

**პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი
PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS**

**პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის
დაარსებიდან 65-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს
ეკონომისტთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის
მასალების კრებული**

**ეკონომიკური განვითარების ტენდენციები
თანამედროვე ეტაპზე**

**COLLECTION OF MATERIALS OF SCIENTIFIC- PRACTICAL
CONFERENCE OF ECONOMISTS OF GEORGIA DEDICATED TO
THE 65 ANNIVERSARY OF PAATA GUGUSHVILI
INSTITUTE OF ECONOMICS**

**Tendencies of Economic Development
at Current Stage**

**თბილისი
TBILISI**

**პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი
PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS**

**პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის
დაარსებიდან 65-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს
ეკონომისტთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის
მასალების კრებული**

**ეკონომიკური განვითარების ტენდენციები
თანამედროვე ეტაპზე**

(2 ივლისი, 2009)

**COLLECTION OF MATERIALS OF SCIENTIFIC- PRACTICAL
CONFERENCE OF ECONOMISTS OF GEORGIA DEDICATED TO
THE 65 ANNIVERSARY OF PAATA GUGUSHVILI
INSTITUTE OF ECONOMICS**

**Tendencies of Economic Development
at Current Stage**

(2 July, 2009)

**პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა
PUBLISHING HOUSE OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE
OF ECONOMICS
თბილისი Tbilisi 2009**

UDC (უკა) 061.62:33(479.22)(063)

ს – 323

წინამდებარე კრებულში შესულია 2009 წლის საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებების მასალები

The present collection of works includes the materials and speeches made at the scientific-practical conference of economists of Georgia in 2009

სარედაქციო კოლეგია: რ. აბესაძე (მთავარი რედაქტორი), ი. ანანიაშვილი, კ. აჩელაშვილი, გ. ბერულავა, ნ. ბიბილაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ვ. ბურდული, ლ. დათუნაშვილი, გ. ერქომაიშვილი, ლ. თოთლაძე, ე. კაკულია, ნ. კაკულია, ა. კურატაშვილი, თ. ლაზარაშვილი, ე. მექვაბიშვილი, ი. ნათელაური, ვლ. პაპავა, უ. სამადაშვილი, ნ. ხადური, მ. ხუსკივაძე, თ. ჩხეიძე

Editorial Board: R. Abesadze (editor-in-chief), K. Achelashvili, I. Ananiashvili, G. Berulava, N. Bibilashvili (executive secretary), V. Burduli, T. Chkheidze, L. Datunashvili, G. Erkomaishvili, E. Kakulia, N. Kakulia, N. Khaduri, M. Khuskivadze, A. Kuratashvili, T. Lazarashvili, E. Mekvabishvili, I. Natelauri, V. Papava, U. Samadashvili, L. Totladze

რეცენზენტები: ემდ გ. პაპავა,
ემდ მ. კვარაცხელია

Reviewers: Doc. of Econ. G. Papava,
Doc. of Econ. M. Kvaratskhelia

© პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

© PUBLISHING HOUSE OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE
OF ECONOMICS

2009

ISBN 978-9941-9060-4-6

პლენარული

რამაზ აბესაძე

სიღარიბე და ეკონომიკური განვითარება

ეკონომიკური განვითარების პროცესი არის ეკონომიკურ სისტემაში მიმდინარე ის პროგრესული ცვლილებები, რომლებიც ეკონომიკის თვისებრივად ახალ, უფრო სრულყოფილ მდგომარეობაში გადასვლას განაპირობებს. სწორედ ეკონომიკური განვითარება ქმნის ეკონომიკის შემდგომი რაოდენობრივი ზრდისა და ცხოვრების ხარისხობრივი მაჩვენებლების ამაღლების განუსაზღვრელ პირობებს.

მაგრამ ეკონომიკური განვითარების პრობლემები და, გარკვეულწილად, შინაარსიც იცვლება მსოფლიოში მიმდინარე მეტად დინამიური პროცესების შესაბამისად. ამასთან, თითოეულ ქვეყანას, გამომდინარე მათი ეკონომიკური განვითარების დონიდან, ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული მიზნები და ამოცანები აქვს.

თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო დრამატიკული კონტრასტები: მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პარალელურად მიმდინარეობს ეკონომიკურ ძალთა გადანაწილების მწვავე პროცესი: უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენება ცვლის ადამიანის როლს კეთილდღეობის დონეს, ისე მის სოციალურ მდგომარეობას საზოგადოებაში; განვითარებულ ქვეყნებში მიმდინარეობს თვისებრივად ახალი პოსტინდუსტრიული საზოგადოების სრულყოფა; განვითარებად ქვეყნებში ადგილი აქვს მრავალწახნაგოვან ტრანსფორმაციულ პროცესებს. მათ ნაწილმა შეძლო განვითარებული ქვეყნების რიგებში გადასვლა, ნაწილი ახლოს დგას ამ ნიშნულთან ან აშენებს ინდუსტრიულ საზოგადოებას, ნაწილი კი ისევ უკიდურესად ჩამორჩენილი რჩება. მაღალგანვითარებული ქვეყნების გვერდით არსებობენ ისეთი სახელმწიფოები, რომელთა მოსახლეობა სიღარიბის ზღვარზეა. მათი დღიური შემოსავალი ერთ სულზე 2 დოლარია, ზოგის კი 1 დოლარზე ნაკლები. არსებობენ ქვეყნები, რომლებისთვის მუდმივი თანამგზავრია შიმშილი, სიცოცხლის ხანგრძლივობის დაბალი მაჩვენებელი, სასმელი წყლისა და სანიტარული კეთილმოწყობის უქონლობა, ახალშობილთა სიკვდილიანობის მაღალი დონე და ა.შ. დღეს მსოფლიოში 2,5 მილიარდზე მეტი ადამიანი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს; გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა თითქმის ყველა ქვეყანაში შეამცირა მოსახლეობის ცხოვრების დონე და გაზარდა ღარიბებისა და დატაკების რიცხვი; ყოფილმა სოციალისტურმა ქვეყნებმა უარყვეს დირექტიული დაგეგმვის მოდელი და საბაზრო (შერეული) ეკონომიკის მშენებლობის გზას დაადგნენ. ერთმა ნაწილმა განვითარების შედარებით მაღალ დონეს მიაღწია, ნაწილისათვის კი, მეტნაკლებად, კვლავ დამახასიათებელია საბაზრო ურთიერთობების განვითარების დაბალი დონე, ეკონომიკის არაეფექტიანი სტრუქტურა, დაბალი კონკურენტუნარიანობა, უმუშევრობისა და სიღარიბის მაღალი დონე და ა.შ.; მსოფლიო

მოსახლეობის რიცხოვნობისა და ეკონომიკური ზრდის ტემპებმა ისეთ ნიშნულს მიაღწია, რომ მათმა შემდგომმა მატებამ, შესაძლებელია, კაცობრიობა ეკოლოგიური კატასტროფის საშიშროებისა და რესურსული უკმარისობის პრობლემის წინაშე დააყენოს; მსოფლიო ეკონომიკა განვითარების სულ ახალ და ახალ საფეხურზე ადის – გლობალიზაციის პროცესი იჭრება ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში, რომელსაც, პოზიტიურთან ერთად, თან ახლავს ნეგატიური მოვლენებიც.

თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი კრიტერიუმი ხდება სიღარიბე. თუ განვითარების ნაყოფით ვერ სარგებლობს მოსახლეობის ღარიბი ფენები, თუ განსხვავება (ანუ უთანაბრობა) მდიდარ და ღარიბ ნაწილს შორის იზრდება, მაშინ, შეიძლება ითქვას, ეკონომიკურ განვითარებას ადგილი არ აქვს, მიუხედავად იმისა, რომ პროგრესული ცვლილებები ეკონომიკური სისტემის ელემენტებში შეიძლება ხორციელდებოდეს.

მაშასადამე, წარმოებული სიმდიდრის განაწილების პრობლემა ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმი ხდება.

გლობალური მასშტაბითაც ეკონომიკურ განვითარებას ადგილი ექნება მაშინ, როდესაც განსხვავება განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის თანდათან მცირდება.

სიღარიბე არის სუბიექტის ნორმალური ცხოვრებისათვის საჭირო ქონებრივი ღირებულებების უკიდურესი უკმარისობა. სუბიექტი შეიძლება იყოს ადამიანი, სოციალური ჯგუფი, რეგიონი ან ქვეყანა.

ერთმანეთისგან განასხვავებენ **აბსოლუტურ** და **ფარდობით** სიღარიბეს.

ფარდობითი სიღარიბის დროს ადგენენ სიღარიბის ზღვარს, რომელიც შემოსავლების დადგენილ დონეს წარმოადგენს და რომელიც განისაზღვრება ფიზიკური საარსებო მინიმუმით. ამჟამად, მსოფლიო ბანკის მიხედვით, უღარიბესი ქვეყნებისათვის ეს დონე (რომელსაც სიღარიბის ზღვარის საერთაშორისო დონეს უწოდებენ) შეადგენს არანაკლებ 1,25 აშშ დოლარს დღეში, ხოლო შემოსავლების საშუალო დონის მქონე ქვეყნებისათვის – 2 აშშ დოლარს დღეში (რომელსაც სიღარიბის ზღვარის საერთაშორისო საშუალო დონეს უწოდებენ). ასევე დიდა იმ მოსახლეობის რაოდენობა, რომელიც დღეში 1 აშშ დოლარზე ნაკლებს მოიხმარს.

აღნიშნული ნიშნის მიხედვით ქვეყნები ძლიერ განსხვავდებიან ერთმანეთისგან. რეგონების მიხედვით, იმ მოსახლეობის რიცხოვნობა და ხვედრითი წილი (ცხრილი 1), რომლებიც ცხოვრობდნენ სიღარიბის ზღვარს მიღმა, შემდეგნაირად გამოიყურება: 2005 წლისათვის დედამიწის მოსახლეობის თითქმის 53.6%-ის შემოსავალი დღეში შეადგენდა – 2, 31.1% – 1.25, ხოლო 16.1%-ისა – 1 აშშ დოლარზე ნაკლებს. პროცენტულად, სიღარიბის ყველაზე დიდი დონეა სამხრეთ აზიის, საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკის ქვეყნებში, ასევე, ჩინეთში, აღმოსავლეთ აზიასა და წყნარი ოკეანის რეგიონში მდებარე ქვეყნებში. ამ მაჩვენებლის დაბალი სიდიდით გამოირჩევიან ევროპისა და ცენტრა-

ლური აზიის, ლათინური ამერიკისა და კარიბის აუზის, ახლო აღმოსავლეთი ქვეყნები.

ყველაზე დიდი რაოდენობით ღარიბი მოსახლეობა ცხოვრობს სამხრეთ აზიასა და საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკის ქვეყნებში, ყველაზე ნაკლები – ევროპისა და ცენტრალური აზიის, ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონებში.

ცხრილი 1

სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები მოსახლეობა მსოფლიოს რეგიონების მიხედვით (2005)¹

მოსახლეობის რაოდენობა, რომელთა შემოსავალი შეადგენს 1 და 2 ამერიკულ დოლარზე ნაკლებს დღეში	მლნ კაცი	%	
აღმოსავლეთი აზია და წყნარი ოკეანის რეგიონი	1 \$	179.8	9.5
	1.25 \$	336.9	17.9
	2 \$	748.3	39.7
ჩინეთი ცალკე	1 \$	106.1	8.1
	1.25 \$	207.7	15.9
	2 \$	473.7	36.3
ევროპა და ცენტრალური აზია	1 \$	16.0	3.4
	1.25 \$	23.9	5.0
	2 \$	50.1	10.6
ლათინური ამერიკა და კარიბის აუზის ქვეყნები	1 \$	27.6	5.0
	1.25 \$	45.1	8.2
	2 \$	98.7	17.9
ახლო აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ აფრიკა	1 \$	6.2	2.0
	1.25 \$	14.0	4.6
	2 \$	58.0	19.0
სამხრეთ აზია	1 \$	350.3	23.7
	1.25 \$	595.8	40.4
	2 \$	1091.9	74.0
ინდოეთი ცალკე	1 \$	266.5	24.3
	1.25 \$	455.8	41.6
	2 \$	827.7	75.6
აფრიკა საჰარის სამხრეთით	1 \$	299.1	39.2
	1.25 \$	384.2	50.4
	2 \$	551.0	72.2
სულ	1 \$	985.1	16.1
	1.25 \$	1399.8	25.7
	2 \$	2598.1	47.6

ღარიბი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ცხოვრობს განვითარებად ქვეყნებსა და შემდეგ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. თუმცა ეს ქვეყნები

¹ <http://www.worldbank.org/eca/russian/>

ისინი განვითარების მეტად არათანაბარი დონით ხასიათდებიან. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის კლასიფიკაციით, განვითარებადი ქვეყნებიდან გამოიყოფა ქვეყნები: შემოსავლების დაბალი დონით (მათ შორის ნაკლებად განვითარებული ქვეყნები), შემოსავლების საშუალო დონით, ახალი ინდუსტრიული და ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის (OPEC) წევრი ქვეყნები. გარდამავალი ეკონომიკის წევრი ქვეყნებიდან გამოიყოფენ დსთ-ს წევრ, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, ბალტიისპირეთის ქვეყნებს, ჩინეთს და ვიეტნამს. ამ ქვეყნებს შორის კონტრასტის საჩვენებლად საკმარისია მოვიყვანოთ მაჩვენებლები ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) სიდიდის შესახებ. 2008 წელს ეს მაჩვენებელი მსყიდველობითი პარიტეტის მიხედვით საუდის არაბეთში ტოლი იყო – 24120, არგენტინაში – 14354, ირანში – 11209, ანგოლაში – 6443, ინდოეთში – 2787, გვინეაში – 1008, ნიგერიაში – 691, ლიბერიაში – 378, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში – 340, რუსეთში – 16161, ყაზახეთში – 11563, აზერბაიჯანში – 8958, უკრაინაში – 7634, ჩინეთში – 5943, თურქმენეთში – 5765, სომხეთში – 5437, საქართველოში – 5001, უზბეკეთში – 2444, ყირგიზეთში – 2174, ტაჯიკეთში – 1984 დოლარის.

საინტერესოა აღნიშნული მაჩვენებელი განვითარებულ და იმ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, რომელთაც მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს: ნორვეგია – 55199, აშშ – 47025, ირლანდია – 42780, შვეიცარია – 42668, კანადა – 39339, ავსტრალია – 37478, დიდი ბრიტანეთი – 36571, გერმანია – 35552, იაპონია – 34501, ჩეხეთი – 25755, ესტონეთი – 20754, უნგრეთი – 19830, ლიტვა – 18855, პოლონეთი – 17560, ლატვია – 17801, ხორვატია – 16474, რუმინეთი – 12698, ბელორუსია – 12344 დოლარი.²

ფარდობითი სიღარიბე დაკავშირებულია კონკრეტულ ქვეყანაში ისეთ მდგომარეობასთან, როდესაც ამ ქვეყანაში, ეკონომიკური რესურსების უკმარისობის გამო, შეუძლებელია ისე ცხოვრება, როგორც ცხოვრობს ამ საზოგადოების წევრთა უმეტესი ნაწილი. ამ დროს სიღარიბის ზღვარი შეიძლება განისაზღვროს არსებობისათვის აუცილებელი საშუალებების მიხედვით (საკვები, ტანსაცმელი, ბინა და ა.შ.) ან იმ საშუალებების მიხედვით, რომელიც სრულფასოვანი მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას იძლევა საზოგადოების ცხოვრებაში (არსებობისათვის აუცილებელ საშუალებებთან ერთად, შრომის ხასიათი, დასვენება, განათლება და სხვ.).

ცხადია, აბსოლუტურ და ფარდობით სიღარიბეს შორის განსხვავება დიდია. აბსოლუტური სიღარიბე შესაძლებელია მოისპოს, ფარდობითი კი ყოველთვის იარსებებს, ვინაიდან სიმდიდრის სრული გათანაბრება შეუძლებელია. შესაძლებელია განისაზღვროს აბსოლუტური სიღარიბის ზღვარის საერთო მაჩვენებელი

² <http://www.worldbank.org/eca/russian/>

ლი ყველა ქვეყნისათვის, ფარდობითი სიღარიბის ზღვარის დადგენა კი მხოლოდ ცალკეული ქვეყნის მიხედვით უნდა მოხდეს. ერთ ქვეყანაში აბსოლუტური სიღარიბის ზღვარი ხშირად ბევრად ნაკლები შეიძლება აღმოჩნდეს, ვიდრე ფარდობითი სიღარიბის სხვა ქვეყანაში. უფრო მეტიც, ზოგიერთ ქვეყანაში სიღარიბის ფარდობითი ზღვარი შესაძლებელია ბევრად მეტი იყოს, ვიდრე სიმდიდრის საერთო დონე სხვა რომელიმე ქვეყანაში.

საერთოდ, სიღარიბის როგორც აბსოლუტური, ისე ფარდობითი დონე ბევრადაა დამოკიდებული შემოსავლების სამართლიან განაწილებაზე ქვეყანაში. შემოსავლების განაწილების ყველაზე მიღებულ მაჩვენებლად ითვლება მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების (კვანტილების) ხვედრითი წილი შემოსავლების საერთო მოცულობაში. ასევე მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა ლორენცის მრუდი და მასთან დაკავშირებული ჯინის კოეფიციენტი. ეს კოეფიციენტი იცვლება 0-დან 1-მდე და რაც უფრო ახლოსაა იგი 0-თან, მით უფრო თანაბარი და სამართლიანია შემოსავლების განაწილება. თუმცა შემოსავლების ზუსტად თანაბარი განაწილება შეუძლებელია რომელ ეკონომიკურ წყობილებასთანაც არ უნდა გეჭონდეს საქმე.

შემოსავლების განაწილების ხელთ არსებული მონაცემებიდან³ ირკვევა, რომ მსოფლიოში ჯინის ყველაზე კარგი მაჩვენებელი 24,7% XX საუკუნის ბოლოს ჰქონდა დანიას, ყველაზე ცუდი – ნამიბიას – 70,7%. ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი შემდეგნაირად გამოიყურება: განვითარებულ ქვეყნებში: ნორვეგია – 25,8, აშშ – 46,6, ირლანდია – 35,9, შვეიცარია – 33,1, კანადა – 33,1, ავსტრალია – 35,2, დიდი ბრიტანეთი – 36,0, გერმანია – 28,3, იაპონია – 24,9, პოსტკომუნისტური სივრცის ქვეყნებში: ჩეხეთი – 25,8, ესტონეთი – 37,2, ლიტვა – 31,9, პოლონეთი – 34,1, ლატვია – 33,6, რუმინეთი – 30,3, რუსეთი – 41,0, აზერბაიჯანი – 36,5, უკრაინა – 31,0, თურქმენეთი – 40,8, სომხეთი – 37,9, ყირგიზეთი – 34,8, ტაჯიკეთი – 32,6; განვითარებად ქვეყნებში: ეთიოპია – 30,0, ბანგლადეში – 31,9, არგენტინა – 52,2, ირანი – 43,0, ინდოეთი – 32,5, გვინეა – 40,3, ნიგერია – 50,6, ლესოტო – 63,2, ბოტსვანა – 63,0. ამ ციფრების ანალიზიდან შეიძლება გავაკეთოთ ორი დასკვნა:


1. ჯინის კოეფიციენტის მაღალი დონე ძირითადად დაბალგანვითარებულ ქვეყნებში არსებობს, თუმცა არსებობს გამონაკლისები (ეთიოპია, ბანგლადეში და სხვ.), რაც იმაზე მეტყველებს, რომ:

2. უოველთესი შემოსავლების არასამართლიანი განაწილება აუცილებლად ეკონომიკური განვითარების დონესთან დაკავშირებული არ არის. იგი უფრო ჩამოყალიბებული ტრადიციებითა და ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სრულყოფილებით განისაზღვრება.

იკვლევდა რა ისტორიულ ჭრილში ეკონომიკური ზრდის კანონზომიერე-

³ <http://www.worldbank.org/eca/russian/>

ბებს განვითარებად ქვეყნებში, სეიმონ კუზნეცი მივიდა დასკვნამდე, რომ თავდაპირველად ეკონომიკური ზრდა მიმდინარეობს განაწილების გაუარესების პირობებში, ხოლო შემდეგ, გარკვეულ დონეზე, იწყება შემოსავლების გათანაბრება. ეს გრაფიკულად გამოისახება მრუდით, რომელმაც კუზნეცის მრუდის სახელწოდება მიიღო (ნახ.1). ამ მრუდის თეორიული ახსნა იმაში მდგომარეობს, რომ ეკონომიკური ზრდის შედეგად მიღებული შემოსავლები უნდა გადანაწილდეს ბიზნესმენთა სასარგებლოდ, ეს თანხები წარმოებაში რომ დააბანდონ, რითაც მიიღწევა ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები. მეცნიერთა დიდი ნაწილი თვლის, რომ ეს დებულება არასწორია, იგი ემსახურება მათ ინტერესებს, რომლებიც სარგებლობენ განაწილების უსამართლობით. კუზნეცის მოსაზრების საწინააღმდეგოდ გამოითქმება შემდეგი მოსაზრებები:



ნახ. 1. დამოკიდებულება ეკონომიკურ ზრდასა და განაწილებას შორის

1. განვითარებად ქვეყნებში მოსახლეობის მდიდარი ნაწილი არ არის მიდრეკილი საინვესტიციო დაგროვებისადმი. ისინი ამჯობინებენ შემოსავლები გამოიყენონ პირადი დაგროვების მიზნით: შეიძინონ ძვირფასეულობა, უძრავი ქონება, გახსნან ანაბრები საზღვარგარეთ და ა.შ.

2. მცირე შემოსავლების დროს დაბალია სამუშაო ძალის უნარი: ჯანმრთელობა, განათლება, კვალიფიკაცია და ა.შ.

3. გადანაწილება ღარიბი მოსახლეობის სასარგებლოდ, გაზრდის მოთხოვნას სამამულო წარმოების საქონელზე, რაც ეკონომიკური ზრდის დაჩქარების ერთ-ერთი ფაქტორი იქნება.

4. სამართლიანი განაწილების შემთხვევაში გაცილებით დიდია ქვეყნის პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური სტაბილურობა, რაც ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი სერიოზული ფაქტორია. აქედან გამომდინარე კეთდება დასკვნა, რომ არ არის შეუძლებელი ერთდროულად ჰქონდეს ადგილი როგორც ეკონომიკურ

ზრდას, ასევე განაწილების გაუმჯობესებას⁴.

ვეთანხმებით რა ამ მოსაზრებებს, მიგვაჩნია, რომ, **არათუ შესაძლებელია ეკონომიკურ ზრდისა და განაწილების გაუმჯობესების ერთდროული განხორციელება, არამედ, შემოსავლების ოპტიმალური განაწილება, ეკონომიკური განვითარების და აქედან გამომდინარე ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.**

წარმოადგენს რა ეკონომიკური სისტემის შემადგენელ ნაწილს, განაწილებითი ურთიერთობები, მათი გაუმჯობესება იწვევს ეკონომიკური სისტემის თითქმის ყველა ელემენტის გარკვეულ სრულყოფას, რასაც ეკონომიკა გადაჭყავს თვისებრივად ახალ, უფრო მაღალ მდგომარეობაში, რაც ქმნის პირობებს ეკონომიკური ზრდის შემდგომი დაჩქარებისათვის:

უმჯობესდება ფიზიკური კაპიტალი და ტექნოლოგია, ვინაიდან მეწარმე უკვე ცდილობს მოგება გაზარდოს არა განაწილების გაუარესების ხარჯზე არამედ ტექნიკისა და ტექნოლოგიის სრულყოფის საფუძველზე. განსაკუთრებით უმჯობესდება ადამიანისეული კაპიტალი, მისი ყველა ელემენტი: ფიზიკური სიჯანსაღე, გონებრივი უნარი, ცოდნა, კვალიფიკაცია. უმჯობესდება საკუთრებითი ურთიერთობები, ვინაიდან მოსახლეობის მეტი ნაწილი ებმება ბიზნესში, ხდება საწარმოს მესაკუთრე. უმჯობესდება ინსტიტუციები და ა.შ. მაგრამ ეს გრძელდება მანამ, სანამ შემოსავლების გათანაბრება არ მიადწევს ოპტიმალურ მნიშვნელობას, რის შემდეგაც იწყება მეწარმეთა ეკონომიკური ინტერესების დაქვეითება, რაც უარყოფითად აისახება ეკონომიკური ზრდის ტემპებზე – იწყება დაქვეითება.


გრაფიკულად ეს დამოკიდებულება შემდეგნაირად გამოისახება (ნახ. 2). კოუზისა და ჩვენ მიერ შემოთავაზებულ მრუდებს ერთნაირი ფორმა აქვთ, მაგრამ არსით ურთიერთსაწინააღმდეგოა. კოუზის მრუდი ემპირიული მონაცემების საფუძველზეა აგებული და იგი გვიჩვენებს, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ეკონომიკურ ზრდას მოსდევს განაწილების გაუარესება, ხოლო შემდეგ გაუმჯობესება. ჩვენ შემოთავაზებულ მრუდზე კი განაწილების გაუმჯობესებას მოსდევს ეკონომიკური ზრდის დაჩქარება, სანამ განაწილების სრულყოფა ოპტიმალურ ზღვარს არ მიადწევს. ჯინის კოეფიციენტის ოპტიმალური მნიშვნელობა, არსებული მონაცემებიდან გამომდინარე, უნდა მერყეობდეს 0,2-0,25-ს, ანუ 20-25%-ს შორის.

იბადება კითხვა, მცდარია თუ არა კოუზის შეხედულებები? რასაკვირველია, არა, ვინაიდან მან დასკვნა გააკეთა სინამდვილეში არსებულ მონაცემთა საფუძველზე. კოუზის დასკვნებში ვლინდება სწორედ ბაზრის ერთ-ერთი დიდი ნაკლოვანება – უზრუნველყოს სოციალური თანასწორობა. ეს გარკვეული დოზით მხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი პოლიტიკის გატარების შედეგადაა შესაძლებელი, რომელიც ძირითადად შემდეგ ღონისძიებებს მოიცავს: მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო ხელშეწყობის გაფართოება; შემო-

⁴ Тодаро П. Экономическое развитие. М., "Юнити", 1997, с. 152.

საელებზე და ქონებაზე პროგრესული პროგრესული გადასახადების შემოღება; ხელფასის მინიმალური ზღვრის დადგენა; პირდაპირი ტრანსფერტული გადასახადელების დაწესება მოსახლეობის ღარიბი ნაწილისათვის და ა.შ.

საქართველოში სიღარიბის დონის დასადგენად გამოიყენება მედიანური მოხმარების (მოხმარების მიხედვით მოსახლეობის განაწილების მედიანა მოხმარების ისეთი სიდიდეა, როდესაც მოსახლეობის ნახევარს მასზე ნაკლები, ხოლო ნახევარს მასზე მეტი შემოსავალი აქვს) ფარდობითი ზრვრები. ერთ შემთხვევაში მედიანური მოხმარების – 60, ხოლო მეორე შემთხვევაში – 40%.



ნახ. 2. დამოკიდებულება განაწილებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის.

მონაცემების ანალიზი გვარწმუნებს, რომ ცხოვრების საერთო დონე საქართველოში დაბალია. მაგალითად, მედიანური მოხმარება, მიუხედავად იმისა, რომ მას ზრდის ტენდენცია ჰქონდა, დაბალია და 2007 წელს საშუალოდ 126 ლარი შეადგინა, ანუ ყოველდღიური მედიანური მოხმარების მაჩვენებელი 2 დოლარზე ოდნავ მეტი იყო. რაც შეეხება სიღარიბის ზღვრულ მაჩვენებლებს, მედიანური მოხმარების მიხედვით 2 დოლარზე ნაკლებია, ხოლო 40 პროცენტის მიხედვით – 1 დოლარზე გაცილებით ნაკლები. საერთოდ, ოფიციალური მონაცემების მიხედვით დღეში 2 დოლარზე ნაკლები შემოსავალი ჰქონდა მოსახლეობის 21,3, ხოლო 1 დოლარზე ნაკლები – 9,2%-ს. მეცნიერთა და ექსპერტთა აზრით რეალური მონაცემები უფრო უარესია.⁵ შემოსავლების განა-

⁵ **ჩიქავა ლ.** სიღარიბე და მისი დაძლევის გზები. კ- “ეკონომიკა და ბიზნესი”, 2008, №1; **პაპავა ვ.** სიღარიბის შემცირება კერძო სექტორის განვითარების გზით: ქართლი სინამდვილე და პერსპექტივები. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტ.7, “სიახლე”, 2009; **მესხია ი., გაბელაშვილი კ.** მოსახლეობის ცხოვრების დონე (ანალიზი და პროგნოზები). თბ., 2004.

წილების მიხედვით საქართველო მიეკუთვნება ქვეყნებს შედარებით არათანაბარი განაწილებით. აქ ჯინის კოეფიციენტი წლების განმავლობაში მუდმივია და ტოლია 47%-ის. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ცხოვრების დონეს საქართველოში, ბოლო წლებში, ზრდის ტენდენცია ჰქონდა. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 2003-2007 წლებში რეალური საშუალო ხელფასი 2,14-ჯერ გაიზარდა.⁶ ასევე თანდათან უმჯობესდებოდა სიღარიბის დონის მაჩვენებლებიც.

იური ანანიაშვილი

**ერთობლივი ბაზოზებისა და ლაფერის მრუდების
ოჯახის შესახებ**

XX საუკუნის 30-იანი წლებიდან, ჯ. კეინზის მიერ ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების კონცეფციის ჩამოყალიბების შემდეგ, ეკონომისტების ინტერესი გადასახადების მიმართ საგრძნობლად გაიზარდა. როგორც ცნობილია, ამ კონცეფციაში გადასახადებს, სახელმწიფო შესყიდვებსა და ტრანსფერტულ გადასახადებთან ერთად, მნიშვნელოვანი როლი აკისრია ერთობლივი მოთხოვნის რეგულირების და, ამ უკანასკნელის საშუალებით, დასაქმების, ინფლაციისა და ეკონომიკური ზრდის პრობლემების მოგვარებაში. XX საუკუნის 80-იან წლებში ეს ინტერესი კიდევ უფრო გამძაფრდა არტურ ლაფერის მიერ საშუალო საგადასახადო განაკვეთისა და საბიუჯეტო შემოსავლების კავშირის ამსახველი მრუდის (რომელმაც საკმაოდ სწრაფად დაიმკვიდრა „ლაფერის მრუდის“ სახელწოდება) შემოთავაზების შედეგად.

ამჟამად მრავალი სტატია და გამოკვლევა არსებობს, რომელიც ლაფერის მრუდის კონცეფციის დასაბუთებას ან უარყოფას, მისი პრაქტიკული რეალიზაციის პრობლემების შესწავლას ეხება⁷. მათ ნაწილში უარყოფილია, ნაწილში კი აპრიორულად აღიარებულია აღნიშნული მრუდის არსებობა, ამასთან, ყველა მათგანში ერთმნიშვნელოვნად განიხილება მრუდი და არა მრუდების ერთობლიობა (თუ არ ჩავთვლით იმ შემთხვევას, რომ ზოგჯერ განიხილება მოკლევადიანი და გრძელვადიანი მრუდის არსებობის შესაძლებლობა)⁸. ლაფერის ერთი მრუდის არსებობის იდეას ბუნებრივად მიყვავართ მცდელობამდე, როგორმე დავადგინოთ ბიუჯეტის მაქსიმალური საგადასახადო შემოსავლების მომტანი განაკვეთის მნიშვნელობა t^{**} , რომელიც საფუძვლად დაედება ეკონომიკის

⁶ საქართველოს სტატისტიკური წელიწადი 2008.

⁷ ამ პრობლემის შესახებ არსებულ ლიტერატურის მიმოხილვა იხილეთ, მაგალითად:

Papava V. On the Laffer Effect in Post-Communist Economies (On the Bases of the Observation of Russian Literature). Problems of Economic Transition, 2002, Vol. 45, No. 7.

⁸ **Бьюкенен Дж. М., Ли Д.Р.** Политика, время и кривая Лаффера. В кн.: М. К. Бункина, А. М. Семенов. Экономический человек: В помощь изучающим экономику, психологию, менеджмент. Москва, Дело, 2000.

ნომიკური პოლიტიკის შემუშავებას და არსებული საგადასახადო რეჟიმის სრულყოფას. მაგრამ, თუ დავეუშვებთ, რომ ლაფერის მრუდი არ არის მდგრადი კონსტრუქცია და ეკონომიკაში შექმნილი სიტუაციების მიხედვით იგი შეიძლება მუდმივად შეიცვალოს, რაც, აგრეთვე, t^{**} -ს ცვლილებას გულისხმობს, მაშინ, სავარაუდოდ, მაქსიმალური საბიუჯეტო შემოსავლების შესაბამისი განაკვეთი არსებულ „მიმზიდველობას“ დაკარგავს და მისი მნიშვნელობის დადგენისადმი ინტერესი რამდენადმე შენედება, ვინაიდან, ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებების გამო, მუდმივად საჭირო იქნება დადგენილი განაკვეთის ცვლილება, რაც, საბოლოო ანგარიშით, არასასურველი შედეგის მომტანია⁹.

ლაფერის მრავალი მრუდის (მრუდების ოჯახის) არსებობის დასაბუთება შესაძლებელია ლაფერ-კეინზიანური სინთეზის მოდელის¹⁰ საფუძველზე, რომელშიც ერთობლივი მოთხოვნის ფუნქცია $Y^D(t)$ კეინზიანურ პრინციპებს, ერთობლივი მიწოდების ფუნქცია $Y^S(t)$ კი ლაფერის პოსტულატებს ეფუძნება. ამასთან, ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების მაკროეკონომიკური წონასწორობის სტანდარტული მოდელისაგან განსხვავებით, ეს ფუნქციები განიხილება არა ფასების დონისა და გამოშვების მოცულობის, არამედ საშუალო საგადასახადო განაკვეთის (t) და გამოშვების მოცულობის (Y) ღერძების შესაბამის საკოორდინატო სიბრტყეზე.

ლაფერ-კეინზიანური სინთეზის აღნიშნული მოდელის ანალიზი გვიჩვენებს, რომ, როდესაც წონასწორული საგადასახადო განაკვეთი (საშუალო საგადასახადო განაკვეთი, რომლის შესაბამისი ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების სიდიდეები ერთმანეთს ემთხვევა) ფიქსირებულია, ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებები, პირველ რიგში კი ერთობლივი მოთხოვნის გადიდებით ან შემცირებით წარმოქმნილი ფასების დონის ცვლილება, ერთობლივი მიწოდების ფუნქციაზე აისახება და მისი შესაბამისი მრუდის გადაადგილებას იწვევს. ეს ნიშნავს, რომ წონასწორული საგადასახადო განაკვეთის ყოველ მოცემულ მნიშვნელობას შეიძლება შეესაბამებოდეს ერთობლივი მიწოდების ფუნქციების და, მაშასადამე, მრუდების მთელი ერთობლიობა, რომლებიც ერთმანეთისაგან ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთის (t^*) მნიშვნელობითაა განსხვავებული. ამ უკანასკნელში იგულისხმება საშუალო საგადასახადო

⁹ ცნობილი ეკონომისტის რობერტ ბაროს აზრით, საგადასახადო განაკვეთის მუდმივი ცვლილება (როგორც გადიდება, ისე შემცირება) ეკონომიკაში უფრო მეტ დამახინჯებებს და აუნაზღაურებელ დანაკარგებს იწვევს, ვიდრე ფიქსირებული განაკვეთის მქონე დაბეგვრის რეჟიმი. **საქს Дж., Ларрен Ф. Б.** Макроэкономика. Глобальный подход. Москва, Дело, 1996, с. 245.

¹⁰ იხ. **ანანიშვილი ი.** გადასახადების გავლენა ერთობლივ მიწოდებაზე. ეკონომიკა და ბიზნესი, 2009, №1.

განაკვეთი, რომელზეც ერთობლივი მიწოდების მნიშვნელობა მაქსიმუმს, ანუ პოტენციური გამოშვების დონეს Y_{pot} -ს აღწევს. აღნიშნულის გამო ერთობლივი მიწოდება შეიძლება განვიხილოთ ორი ცვლადის ფუნქციის სახით: $Y^S = Y^S(t, \delta)$. ამ ჩანაწერში t -ს როლი და შინაარსი გარკვეულია. იგი ასახავს, სხვა თანაბარ პირობებში, საგადასახადო ტვირთის გავლენას ერთობლივ მიწოდებაზე. რაც შეეხება δ -ს, მისი შინაარსის გასარკვევად უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ერთობლივი მიწოდების მოდელი თავისი არსით ქცევის მოდელია, რომელშიც ასახულია ეკონომიკურ სუბიექტთა მოსალოდნელი რეაქციის შედეგი საგადასახადო ტვირთის ამა თუ იმ სიმძიმის პირობებში. ბუნებრივია, ეს რეაქცია ერთი და იმავე ტვირთისათვის შეიძლება ერთნაირი არ იყოს ეკონომიკაში არსებულ სხვადასხვა სიტუაციაში, მით უმეტეს, რომ ეკონომიკურ სუბიექტთა უმრავლესობის ქცევასა და გადაწყვეტილების მიღებას საფუძვლად რაციონალიზმი უდევს. ეს უკანასკნელი კი გულისხმობს, რომ ეკონომიკური სუბიექტები ქცევის ოპტიმიზებას ახდენენ არა ერთჯერადად, არამედ მრავალჯერადად, უწყვეტად, ყოველი ახალი გარემოების გათვალისწინებით. მაშასადამე, δ პარამეტრი შინაარსობრივად მრავალი იმ გარემოების რიცხვითი მახასიათებელია, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ერთობლივ მიწოდებასა და საგადასახადო განაკვეთს შორის არსებული დამოკიდებულების ხასიათზე.

ერთობლივი მიწოდების ფუნქციის მსგავსად, ორი ცვლადის ფუნქციის როლში უნდა განვიხილოთ მიწოდების ფუნქციის საფუძველზე განსაზღვრული საბიუჯეტო შემოსავლების ფუნქციაც (ანუ ლაფერის ფუნქცია), რომელსაც აღნიშნული მოდელის პირობებში შემდეგი ზოგადი სახე აქვს:

$$T^S = tY^S = tY^S(t, \delta) = T^S(t, \delta) \quad (1)$$

შეიძლება ვაჩვენოთ¹¹, რომ გარკვეულ კონკრეტულ პირობებში δ პარამეტრი განსაზღვრავს ლაფერის ფუნქციის მაქსიმუმის შესაბამის საგადასახადო განაკვეთს t^{**} -ს: $t^{**} = \exp(-1/(1 + \delta))$. ამიტომ, (1)-დან გამომდინარეობს, რომ

δ -ს ცვლილებისას იცვლება t^{**} -ის მნიშვნელობაც და, ერთობლივი მიწოდების მრუდების მსგავსად, ლაფერის მრუდების ერთობლიობა, ანუ ოჯახი მიიღება.

მაგრამ, ერთობლივი მიწოდების მრუდისაგან განსხვავებით, რომელსაც ყველა δ -სათვის მაქსიმუმის ერთი და იგივე მნიშვნელობა გააჩნია:

$\max_t Y^S(t, \delta) = Y_{pot}$, სადაც Y_{pot} პოტენციური გამოშვების მოცულობა მხო-


¹¹ იხ. ანანიაშვილი ი. გადასახადების გავლენა ერთობლივ მიწოდებაზე. ეკონომიკა და ბიზნესი, 2009, №1.

ლოდ არსებული რესურსებითა და ტექნოლოგიით განისაზღვრება, ლაფერის მრუდის მაქსიმუმის მნიშვნელობა $\max_t T^S(t, \delta)$ სხვადასხვა δ -სათვის სხვადასხვაა. საქმე ისაა, რომ (1) ფუნქციისათვის ადგილი აქვს პირობას:

$$\max_t T^S(t, \delta) = Y_{pot} / (1 + \delta), \text{ ამიტომ } \delta\text{-ს ცვლილებისას იცვლება ლა-}$$

ფერის მრუდის როგორც მაქსიმუმის შესაბამისი საგადასახადო განაკვეთის მნიშვნელობა t^{**} , ისევე ამ განაკვეთის პირობებში მისაღები საგადასახადო შემოსავლების მაქსიმალური სიდიდე $T^S(t^{**}, \delta)$. კერძოდ, δ -ს გადიდებისას მცირდება, შემცირებისას კი იზრდება $T^S(t^{**}, \delta)$. აქვე აღვნიშნავთ, რომ საგადასახადო განაკვეთის t^{**} მნიშვნელობა δ -ს გადიდებისას იზრდება, შემცირებისას კი მცირდება. მაშასადამე, საგადასახადო განაკვეთის დერძზე t^{**} -ის მარჯვნივ გადაადგილებას თან სდევს $T^S(t^{**}, \delta)$ -ს მნიშვნელობის შემცირება.

ნახ. 1-ზე მოყვანილია ერთობლივი მიწოდებისა და მისი შესაბამისი საბიუჯეტო შემოსავლების მრუდები δ -ს სხვადასხვა მნიშვნელობისათვის. ნახატის ორივე ნაწილში (1ა და 1ბ) იგულისხმება, რომ ადგილი აქვს მიმართებას: $\delta_1 < \delta_2 < \delta_3$.



ნახ. 1. ერთობლივი მიწოდებისა და ლაფერის მრუდების ოჯახი

δ -ს ცვლილების მიმართულება დამოკიდებულია, ერთი მხრივ, იმაზე, თუ რა დაემართა ერთობლივ მოთხოვნას (გაიზარდა თუ შემცირდა) წონასწორული საგადასახადო განაკვეთის მოცემული ფიქსირებული მნიშვნელობისას, მეორე მხრივ, კი იმაზე, თუ საწყისი ერთობლივი მიწოდების მრუდზე სად იმყოფებოდა წონასწორობის მდგომარეობა (აღმაჯად თუ დაღმაჯად ნაწილზე).

დავუშვათ, მოცემული t განაკვეთის შესაბამისი საწყისი მაკროეკონომიკური წონასწორობის მდგომარეობაში ერთობლივი მიწოდების მრუდს

წარმოადგენდა $Y^S(t, \delta_2)$, ლაფერის მრუდს კი - $T^S(t, \delta_2)$ (იხ. ნახ. 1). ვთქვათ, ამ პირობებში ერთობლივი მოთხოვნა გაიზარდა და ხელისუფლებამ საგადასახადო განაკვეთის მნიშვნელობის არსებულ t დონეზე შენარჩუნება გადაწყვიტა. როდესაც საწყისი მაკროეკონომიკური წონასწორობა მიწოდების $Y^S(t, \delta_2)$ წირის აღმავალ ნაწილზეა, მაშინ შექმნილ სიტუაციაში ჩამოყალიბდება ერთობლივი მიწოდების $Y^S(t, \delta_1)$ და ლაფერის $T^S(t, \delta_1)$ ახალი ფუნქციები და მრუდები, რომელთა შესაბამისი δ_1 ნაკლებია δ_2 -ზე. თუ დავუშვებთ, რომ იმავე სიტუაციაში საწყისი მაკროეკონომიკური წონასწორობა მიწოდების $Y^S(t, \delta_2)$ წირის დაღმავალ ნაწილზეა, მაშინ ერთობლივი მიწოდებისა და ლაფერის ახალი ფუნქციები და მრუდები მიიღებს შესაბამისად $Y^S(t, \delta_3)$ -ით და $T^S(t, \delta_3)$ -ით განსაზღვრულ სახეს. ამასთან, ადგილი ექნება უტოლობას: $\delta_2 < \delta_3$. ცხადია, საწინააღმდეგო ცვლილებები განხორციელდება ერთობლივი მოთხოვნის შემცირების შემთხვევაში - ერთობლივი მიწოდებისა და ლაფერის მრუდები გადაადგილდება შესაბამისად $Y^S(t, \delta_3)$ და $T^S(t, \delta_3)$ მდგომარეობაში საწყისი წონასწორობის აღმავალ ნაწილზე ყოფნისას და $Y^S(t, \delta_1)$ და $T^S(t, \delta_1)$ მდგომარეობაში - დაღმავალ ნაწილზე ყოფნისას.

აღსანიშნავია, რომ δ პარამეტრის გადიდების ან შემცირების დროს ადგილი აქვს საგადასახადო განაკვეთის წონასწორული და ოპტიმალური მნიშვნელობების ერთმანეთთან დაახლოებას.

როზეტა ასათიანი

ეკონომიკური ზრდა და საპარტიველოს ეკონომიკური განვითარება

ეკონომიკური ზრდა, როგორც მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა (ინდიკატორთა) სისტემის ამსახველი კატეგორია, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების რადენობრივი მხარის გამომხატველია. საერთაშორისო სტატისტიკა, რომელიც გაეროს ეროვნული ანგარიშების სისტემითაა წარმოდგენილი, ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირების შედეგების დახასიათებისათვის ფართოდ იყენებს ეკონომიკური ზრდის ისეთ ინდიკატორებს, როგორიცაა: მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), მთლიანი ეროვნული პროდუქტი (მეპ), წმინდა ეროვნული შემოსავალი (წეშ), განკარგვითი შემოსავალი (გშ), განკარგვითი ეროვნული შემოსავალი (გეშ), განკარგვითი მთლიანი ეროვნული შემოსავალი (გმეშ), ეკონომიკის მთლიანი მოგება (ემმ), ეკონომიკის წმინდა მოგება (ეწმ), მთლიანი

დანაზოგი (მდ), მთლიანი ეროვნული დანაზოგი (მედ), წმინდა ეროვნული დანაზოგი (წედ) და ა.შ.¹² თუმცა, თანამედროვე ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში, ეკონომიკურ ზრდასთან შედარებით, უპირატესობას ეკონომიკურ განვითარებას ანიჭებენ და მისი მნიშვნელობა წინა პლანზეა წამოწეული.¹³ ეკონომიკური განვითარება მრავალწახნაგოვანია თავისი შინაარსით, გაცილებით მეტი დატვირთვა აქვს, ვიდრე ეკონომიკურ ზრდას. ეს უკანასკნელი მისი ერთ-ერთი მახასიათებელია. ეკონომიკური განვითარება აქცენტს ეკონომიკის თვისებრივ მხარეზე აკეთებს და თანამედროვე პირობებში ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის დონეს გამოხატავს. იგი ქვეყანაში მიმდინარე ინსტიტუციური და სტრუქტურული ძვრების, გრძელვადიან პერიოდში, რაოდენობრივთან ერთად, ეკონომიკური საქმიანობის ხარისხობრივი ცვლილებების ამსახველია. ამასთან, შეუძლებელია ეკონომიკური განვითარების ერთმნიშვნელოვნად შეფასება მისი მხოლოდ ერთი რომელიმე მახასიათებლის შესწავლის საფუძველზე. მაგალითად, ცხოვრების ხარისხობრივი მაჩვენებლების განვითარების დონის მიხედვით ქვეყნების რანჟირებისას ითვლიან ცხოვრების ხარისხის კრებსით ინდექსს, რომელიც მშპ-თან ერთად მოიცავს: ინფლაციის საშუალო წლიურ ნორმას, შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების საშუალო წლიურ ზრდას, ბავშვთა სიკვდილიანობის დონეს, კალორიის მოხმარებას, სუფთა წყლის ხელმისაწვდომობას, ენერჯის მოხმარებას მოსახლეობის ერთ სულზე, სრულ პირად თავისუფლებასა და ა.შ.¹⁴ კონკურენტუნარიანობის დონის მიხედვით ქვეყნების რანჟირებისას კონკურენტუნარიანობის კრებსით ინდექსს ისეთი მახასიათებლების საფუძველზე ითვლიან როგორცაა: ადამიანის განვითარების ინდექსი, ეკონომიკაზე სახელმწიფოს ზემოქმედების ხარისხი, ქვეყნის ინოვაციური და საქსპორტო ორიენტაცია, ბაზრის დინამიკა, ფინანსური მდგომარეობა, შრომის მწარმოებლურობის დონე, სტაბილურობა და თანხმობა, სანედლეულო რესურსებით უზრუნველყოფა და ა.შ.¹⁵

ამრიგად, **თანამედროვე ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაა ახალ თვისებრივ ზრდაზე გადასვლა, რომლის შეფასებაში ჩართულია არა მხოლოდ ეკონომიკური ზრდის, არამედ ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლებიც.** მაგალითად, საქართველოში, გასული საუკუნის 90-იან წლებში დაწეული სისტემური გარდაქმნები, რაც გამოიხატა ინსტიტუციურ, სტრუქტურულ და ა.შ. ცვლილებებში და გარკვეული დოზით გამოიწვია ეკონომიკის ლიბერალიზაცია (ფასების აშვება, ვაჭრობის გათავისუფლება ადმინისტრაცი-

¹² ეკონომიკური ზრდის ზემოაღნიშნულ ინდიკატორთა შესახებ იხ. **ასათიანი რ.** თანამედროვე ეკონომიკის განმარტებითი ლექსიკონი. თბ., საგამომცემლო ფირმა „სიახლე“, 2009.

¹³ **აბესაძე რ.** ეკონომიკური განვითარება. თბ., „მერიდიანი“, 2006, გვ. 19.

¹⁴ **ასათიანი რ.** მომსახურება და საბაზრო სისტემა. თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1993, გვ. 127.

¹⁵ იქვე, გვ. 128.

ული მარწუხებისაგან და ა.შ.), საკუთრების მრავალფორმიანობის დამკვიდრება და სხვ., უდავოდ, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მანქანებელია. მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ ეკონომიკის კონვერსიამ მშპ-ის მკვეთრი შემცირება, ინფლაციისა და უმუშევრობის მკვეთრი ზრდა და, აქედან გამომდინარე, ცხოვრების დონის მკვეთრი დაცემა განაპირობა. თუმცა, საქართველოში (ისე, როგორც მრავალ სხვა პოსტკომუნისტურ ქვეყანაში) რიგი მაკროეკონომიკური მანქანებლების გაუარესების პარალელურად, გარკვეული ხარვეზებით, მაგრამ მაინც, ადვილი ჰქონდა ეკონომიკურ განვითარებას.

პოეზიის ორფეოსი ვაჟა-ფშაველა ბრძანებდა: „უხეირო დეცენტრალიზაცია სჯობია საუკეთესოდ მოწყობილ ცენტრალიზაციას“.¹⁶ საქართველოში, გარკვეულ პერიოდში, მაგალითად, 1991-1995 წლებში, ეკონომიკური განვითარება (განსაკუთრებით, ღრმა ინსტიტუციური ცვლილებების საფუძველზე) დაფიქსირდა ეკონომიკური ზრდის გარეშე. თუმცა, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონესა და ხარისხს დიდად განსაზღვრავს ეკონომიკური ზრდის ტემპები, რომელშიც ფოკუსირდება ეკონომიკური განვითარების შედეგები და მისგან მიღებული ისეთი სიკეთეები, როგორცაა: ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის რაციონალური გამოყენება, ეკონომიკური საქმიანობისაგან მიღებული შემოსავლების ზრდა, ინფლაციის მოთოკვა და უმუშევრობის შემცირება, გარემო ბუნების გაჯანსაღება და ეკოლოგიური წონასწორობის აღდგენა, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დონის ამაღლება, პიროვნების რეალური თავისუფლების მიღწევა, სპორტის, კულტურისა და ხელოვნების განვითარება, რომლებშიც, როგორც სარკეში, აირეკლება ქვეყნის ეკონომიკურ (და არა მხოლოდ ეკონომიკურ) ცხოვრებაში მიმდინარე პროცესები. ამასთან, ეკონომიკური ზრდის ინდიკატორები, მაგალითად, მშპ-ის მოცულობის ზრდა, რომელიც გამოხატავს ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე რეზიდენტებისა და არარეზიდენტების მიერ წარმოებული საქონლისა და მომსახურების ერთობლივ საბაზრო ღირებულებას და ეკონომიკის ყველაზე განზოგადებული მანქანებელია, ან მშპ მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, ყოველთვის როდი ასახავს რეალურ სურათს. ზოგჯერ ეს მანქანებლები საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლების დონის შეფასებას ვერ იძლევა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ისინი ქვეყანაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების მთლიან ღირებულებას გამოხატავენ განურჩევლად მათი ხარისხისა და დანიშნულებისა. აქედან გამომდინარე, ამ ინდიკატორებში ღირებულებით ფორმაში, ხარისხთან ერთად, აისახება უხარისხო ან დაბალი ხარისხის, ან საერთოდ, საზოგადოებისთვის მაგნე პროდუქცია, რომელზეც მოსახლეობის ფართო ფენების მხრივაც ძალზე დაბალია მოთხოვნა და საზოგადოების კეთილდღეობაზე უარყოფით გავლენას ახდენს. ან კიდევ, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონის არაადეკვატური სამხედრო შეიარაღება, რომელიც ზოგჯერ ეკონომიკის „განვითარების“ პრიორიტეტადაც

¹⁶ ვაჟა-ფშაველა. X ტომი. თბ., 1964, გვ. 117-118.

კი აღიქმება, საზოგადოებისთვის ნაკლებადაა სიკეთის მომტანი და ხელს უშლის კეთილდღეობის ამაღლებას. მაგალითად, საქართველოში, მიუხედავად მაკროეკონომიკური განვითარების დაბალი დონისა, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში საკმაოდ გაიზარდა სამხედრო ხარჯები, მაგრამ ომი რუსეთთან ხუთ დღეში წავაგეთ. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირი, განსაკუთრებით 80-იან წლებში, იცავდა სამხედრო პარიტეტს აშშ-თან და ამისთვის უზარმაზარ ხარჯს ეწეოდა, იგი სხვა გზით, მაგრამ, არსებულ ეკონომიკურ სისტემასთან ერთად, მაინც დაინგრა, მაშინ, როდესაც მას, მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული პროდუქციის მიხედვით, მსოფლიოში საუკეთესო მაჩვენებელი ჰქონდა, ხოლო ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობა, განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, – არასახარბიელო.

ამრიგად, **საზოგადოებრივი ღირებულება აქვს ისეთ ეკონომიკურ ზრდას, რომელიც, საბოლოო ანგარიშით, საზოგადოების მუდმივად მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასა და კეთილდღეობის ამაღლებაში გამოიხატება.**

ცივილიზებულ სამყაროში ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ქვეყნის რესურსული პოტენციალის რაციონალურ გამოყენებას ენიჭება. ამის საიდუმლოა მოვიყვანო მაგალითს, რომელიც საყურადღებოა საქართველოსთვის.

ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების თვალსაჩინო ნიმუშია ნორვეგია, რომელმაც გასული საუკუნის 60-იან წლებში აღმოაჩინა ნავთობის საბადო ჩრდილოეთის ზღვაში. 1963 წელს მან მიიღო კანონი, რომლის საფუძველზეც ნავთობის მარაგები გამოცხადდა სახელმწიფო საკუთრებად. 1990 წელს ნორვეგიაში შეიქმნა სახელმწიფო ნავთობის ფონდი, რომელსაც მომავალი თაობების ფონდი ეწოდა. ნორვეგიელები თვლიან, რომ არ აქვთ უფლება, მთლიანად მოიხმარონ ნავთობიდან მიღებული შემოსავალი, ვინაიდან იგი მომავალ თაობებსაც ეკუთვნის. ამიტომ ნორვეგიაში, კანონის თანახმად, მიმდინარე სახელმწიფო ხარჯებზე იხარჯება ფონდის მხოლოდ 4%, დანარჩენი კი ინახება თაობების ფონდში, რომლის დაგროვებამ უკვე საკმაოდ სოლიდურ თანხას მიაღწია. მაგალითად, დანაზოგმა 2005 წელს 182 მლრდ დოლარი შეადგინა. იგი განთავსებულია საზღვარგარეთის ფასიან ქალაქებში და, აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის **არა მხოლოდ ეკონომიკურ ზრდაში, არამედ ეკონომიკურ განვითარებაშიც.** ნორვეგია რომ დღეს მსოფლიოში ერთ-ერთი კონკურენტუნარიანი ქვეყანაა, ამაში დომის წილი მეცნიერებატევადი დარგების განვითარებას მიუძღვის, რაც მრავალი სხვა პრობლემის, მათ შორის სოციალური პრობლემის გადაჭრის გასაღებიცაა. ამრიგად, „მომუშავე“ დანაზოგები, ეროვნულ მოტივთან ერთად, მაღალ ეკონომიკურ ეფექტიანობაზეცაა გათვლილი, ნორვეგიის სწრაფი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზაა.

საქართველოში სავსებით საწინააღმდეგო სურათია. ყველაფერი იყიდება, მათ შორის ბუნებრივი რესურსებიც, ყოველგვარი სამომავლო შესაძლებლობების თუ უარყოფითი გარე ეფექტების გაუთვალისწინებლად, რასაც არაფერი

აქვს საერთო ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებასთან. საქართველოში პრივატიზაცია ქვეყნის „სალაროს“ შევსების მნიშვნელოვან წყაროდ იქცა, ინფლაცია კი შთანთქმავს მშპ-ის გარკვეულ ნაწილს, იზრდება უმუშევრობა, დატაკდება მოსახლეობა, დაბალშემოსავლიან ადამიანთა რაოდენობამ 2,4 მლნ-ს მიაღწია, ქვეყნიდან გარბის უპირატესად რეპროდუქციულ ასაკში მყოფი სამუშაო ძალა, უკვე მიგრირებულია 1,2 მლნ საქართველოს მოქალაქე. სამაგიეროდ, სსფ-ის მისიის აზრით, საქართველომ წარმატებით შეასრულა სიღარიბის დაძლევის პროგრამა. ალბათ, ასეთი არაადეკვატური დასკვნების გაკეთებას საფუძვლად უდევს არაჯანსაღი ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები. ისე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ცნობილია, საქართველო ადამიანის განვითარების ინდექსის მიხედვით 2007 წელს მსოფლიოში 96-ე ადგილზე აღმოჩნდა. სავსებით ვეთანხმებით ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, იმის შესახებ, რომ „თუ კარგად არ ჩავუღრმავდებით ამ მანქანებლებს, მაშინ იმ მანიპულატორთა გავლენაში მოვექცევით, რომლებიც ქოთანს ყურს საიდანაც უნდათ, იქიდან აბამენ“¹⁷.

შოთა ვეშაპიძე

**ილია ჭავჭავაძე გლობალიზაციისა და ეროვნული
ღირებულებების შესახებ**

ჭეშმარიტი გლობალიზაცია იმ პერიოდიდან იღებს სათავეს, როდესაც ევროპელებმა სამყაროს სხვა ნაწილები აღმოაჩინეს, როდესაც სხვადასხვა კონტინენტზე მცხოვრებმა ადამიანებმა ერთმანეთის არსებობის შესახებ შეიტყვეს, მათ შორის სავაჭრო კავშირებმა კი მთელი პლანეტა მოიცვა, ანუ დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენათა ეპოქიდან. გლობალიზაცია არის არა უბრალოდ ქვეყანათა ეროვნული საზღვრების წაშლა, არამედ არადასავლური სამყაროს ჩართვა დასავლურის ორბიტაში. ამიტომ, გლობალიზაციაზე ხშირად ლაპარაკობენ, როგორც ვესტერნიზაციაზე. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, ქვეყნის წინსვლა ეროვნული ეკონომიკური ფასეულობების გარეშე, რომელსაც ხშირად ღირებულებებსაც უწოდებენ, წარმოუდგენელიც არის და მიზანშეუწონელიც. ცივილიზაციის მიღწეული დონე ახალ აზროვნებას მოითხოვს. ყველაზე უფრო მოკლედ თუ ვიტყვით, გარდუვალი გახდა „ერის საერთო კეთილდღეობის“ უთუოდ გლობალურ კონტექსტში განხილვა და ლიბერალური ეკონომიკური ორიენტირების გონივრული განსაზღვრა.

მაინც რა არის ის უმთავრესი ღირებულებანი, რომლისკენაც დღენიადაგ უნდა ვისწრაფოდეთ და როგორია ის მეთოდები, გზები და უმთავრესი პრინციპები, რომლებსაც თანამედროვე გლობალურ სამყაროში უნდა ვიყენებდეთ ჩვენი მიზნების მისაღწევად?

¹⁷ **იაკობიძე დ.** საქართველო და მსოფლიო ფინანსური კრიზისი. თბ., „კამერტონი“, 2009, გვ. 59.

ყველაზე უმთავრესი ჩვენთვის ის უნდა იყოს, რომლის გარეშეც „ჩვენ“, „ჩვენ“ არ ვიქნებოდით. ასეთებად იღია ჭავჭავაძეს მამული, ენა და სარწმუნოება მიაჩნდა, რომლებსაც „სამ ღვთაებრივ საუნჯეს“ უწოდებდა. მათი მარადიული დაცვა თითოეული ჩვენი თანამოქალაქის წმიდათა წმიდა ვალია. შთამბეჭდავად წერდა იღია ჭავჭავაძე: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამაპაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას?“ [ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 3, გვ. 26-27].

ამ მარადიულ ღირებულებებს თვალისწინებით უნდა გავუფრთხილდეთ, რომ ჩვენი მთლიანობა და თვითმყოფადობა არ დაგვარგოთ. მთავარია ასევე ვიცოდეთ როგორ, რა გზებით უნდა დავიცვათ ჩვენი მამული, ენა და სარწმუნოება.

იღია ჭავჭავაძის აზრით, თანამედროვე სამყარო, მისი შემადგენელი ნაწილები ისე მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, ისეა ურთიერთგადაჯაჭვული, რომ ერთი ქვეყნის ჭეშმარიტი სარგებლობა იმაზე დამყარებული, რომ მეორეც, სხვებიც კარგად იყვნენ. ქვეყანა მით უფრო მეტ სარგებელს ნახავს თვითონ, რაც უფრო მეტ სიკეთეს მოუტანს სხვებს. აღსანიშნავია, რომ იგი მსოფლიოს ყველაზე უფრო განვითარებული ქვეყნის, ინგლისის „სარგებლობას“, მის „ეკარგად ყოფნას“ დამოუკიდებლად, ცალკე ადებულად კი არ განიხილავს, არამედ რევიონულ, გლობალურ კონტექსტში. ასევე უდგება იგი საქართველოსაც. 1879 წლის იანვრის შინაურ მიმოხილვაში, ეხებოდა რა რუსეთისა და ინგლისის მეტოქეობას აზიაში „მფლობელობისათვის“, ავტორი ერის საყოველთაო კეთილდღეობას მსოფლიო მასშტაბით განიხილავდა და შენიშნავდა, რომ ინგლისი „ეცდება ძალაუნებურად იმათ კარგამყოფობასაც, ვინც მას აზიაში ბინადრად დახედება...“-ო და დასძენდა: „აზია საერთოდ და ჩვენ თითონ საკუთრივ ვართ საჭირონი არამც თუ ჩვენის თავისათვის მხოლოდ, არამედ სხვისთვისაც. თუმცა ბევრი რამ შეიცვალა ქვეყნიერობაზედ ამ ხუთას-ექვსას წელიწადში, მაგრამ ეს მიწისყელი, რომელსაც კავკასიას ეძახიან, რომელიც აზიისა და ევროპის კარად ყოფილა უწინ და რომლის დაპყრობისათვის ბევრი სხვადასხვა ხალხის სისხლი დაღვრილა, მაინც ისევ კარად დარჩა და ხალხთა შორის შეუღლისა და ცილების მიზეზად იქნება კიდევ“ [ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 5, გვ.229].

იღია ჭავჭავაძე უმთავრეს ორიენტირად გვისახავდა სხვა ქვეყნების მოწინავე გამოცდილების გაზიარებას და ამისთვის კონკრეტულ გზებსაც გვთავაზობდა. მას სამაგალითოდ მიაჩნდა „ევროპის განათლება, მმართველობა და გამგებლობა ქვეყნისა, ევროპის წესი და რიგი“. გემოდგურავდა, რომ კარი გაგვეღო ევროპის ცივილიზაციისათვის, რადგან ის ყველაზე მოწინავე, პროგრესული იყო. მიიჩნევდა, რომ მოწინავე გამოცდილებას საერთოდ ყველა ქვეყნისას უნდა ვითვალისწინებდეთ. მისი მთავარი დასკვნა ასეთია: ზოგადად მოწინავე სახელმწიფოებიდან ყველაფერი უნდა გადმოვიღოთ, რასაც მოითხოვს ქვეყნის სიკეთე და ბედნიერება.

ილია ჭავჭავაძე დიდ რეზერვებს ხელავდა კავკასიის ხალხებთან და ქვეყნებთან ჩვენი სავაჭრო ეკონომიკური კავშირების განვითარებაში. იგი დიდი მოწონებით შეხვდა ბაქო-თბილისი-ფოთის რკინიგზის გახსნას, ვინაიდან მიაჩნდა, რომ ამ გზით კასპიისპირეთთან და შუა აზიასთან დაკავშირება ქვეყანას დიდ სარგებლობას მოუტანდა ისევე, როგორც ბაქო-ბათუმის ნავთობსადენი. ილია მიიჩნევდა, რომ საქართველომ უნდა შეასრულოს ევროპასა და აზიას შორის დამაკავშირებელი ქვეყნის ფუნქცია, რითაც იგი ხელს შეუწყობდა სამი რეგიონის – კავკასიის, ახლო აღმოსავლეთის და კასპიისპირეთის ქვეყნების თავისებური „საერთო ბაზრის“ შექმნას. ეს იდეა ამჟამად თავისებურ გაგრძელებას პოულობს, ხორციელდება ბაქო – თბილისი – ახალქალაქი – ყარსის რკინიგზის მშენებლობა, რაც კიდევ უფრო მტკიცედ შეაკავშირებს საქართველოს, თურქეთის და აზერბაიჯანის მეურნეობებს. ყოველივე ამასთან ერთად, ილია გადამწყვეტ მნიშვნელობას ევროპის ქვეყნებთან და რუსეთთან მჭიდრო ეკონომიკური კავშირების დამყარებას და მათთან ინტეგრირებას ანიჭებდა.

ილია ჭავჭავაძე მიუთითებდა, რომ მიწათმოქმედების, საფაბრიკო და საქარხნო წარმოების გასაძლიერებლად ჩვენ გვჭირდება დავაგროვოთ „საჭირო ცოდნა და გამოცდილება“, აუცილებელია სხვამ არ დაგვასწროს და ჩვენ თვითონ დავიკავოთ ჩვენი „ნიში“ – „მოცლილი და სხვისგან დაუჭერელი ადგილი“. ეს იყო და არის ყველაზე უმთავრესი გზა, ეპოქის მთავარი მოთხოვნა. სწორედ ამიტომ, ერის მამამ არ მოიწონა გერმანელი კაპიტალისტის, მეისნერის მიერ განსახორციელებელი ინვესტიციები საქართველოში, რადგან მისი ამხანაგობის მონოპოლიზებული საქმიანობა ჩვენ ხალხს გააჩანაგებდა და არსებობის საფუძვლებს გამოაცლიდა. ავტორი ქვეყნის ეკონომიკის დაწინაურებისათვის მიზანშეწონილად მიიჩნევდა შრომის ნაყოფიერების გადიდებას და სოფლისმეურნეობრივი სპეციალიზაციის გონივრულ გაღრმავებას. ილია „თვითარსებობისა“ და „თვითგანვითარებისაკენ“ მოგვიწოდებდა და მიუთითებდა, რომ ყოველ სამეურნეო ოპერაციას თავისი შემოსავალი, „ხეირი“ მოაქვს. ამიტომ რაც უფრო მეტ ოპერაციებს შეასრულებ შენ თვითონ, როგორც ქვეყანა, ყველა მისი შემოსავალიც პირადად დაგრჩება.

ილია ჭავჭავაძე გამოკვეთილად აყალიბებს თავის აზრს იმის თაობაზე, რომ მეისნერის პროექტის განხორციელების შედეგად ჩვენი ხალხი არსებობის მთავარი საფუძვლის, მიწის გარეშე დარჩებოდა, რომ ერთეულების გამდიდრების საწინააღმდეგო მას არაფერი არ ჰქონდა, მაგრამ დიდად სამწუხაროა, რომ, ამასთან ერთად „ცხოვრების სახსარი აკლდება ხალხს“-ო. კერძოდ იგი წერდა: „ბ-ნ ელიოზოვისა და იოსელიანის შიშს, რომ ამხანაგობა მიწასაც ხელიდამ გამოგვაცდისო, საყურადღებო და ძნელად დასარღვევი საბუთი აქვს. აი ამ საგანზედ რა სთქვა 1845 წ. პარლამენტში ეხლანდელმა პირველმა მინისტრმა ინგლისისამ გლადსტონმა, რომელსაც, როგორც ფინანსისტს, თითქმის ცალი არა ჰყავს მთელს ქვეყნიერობაზედ: „ერთი ყველაზედ სამწუხარო ამბავი ჩვენის ქვეყნის (ესე იგი ინგლისის) ყოფაცხოვრებისა იმაში მდგომარეობს, რომ რამოდენადაც ძლიერ ბევრდება უმადლეს წოდებათა ხელში სიმდიდრე და

იზრდება ჩვენს ქვეყანაში კაპიტალი, იმოდენად ცხოვრების სახსარი აკლდება ხალხს, იმოდენად ნაკლებულობა და სიღატაკე მატულობს მუშა-ხალხს შორისო“ [ი.ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 5, გვ. 230]. სწორედ ასეთი პრინციპების დაცვით უნდა ვუდგებოდეთ უცხოური ინვესტიციების შემოსვლას საქართველოში ამჟამად.

ილია ჭავჭავაძე მიიხვედდა, რომ ქვეყანამ ისე უნდა გამოიყენოს თავისი აბსოლუტური და შეფარდებითი უპირატესობანი, მისი ეკონომიკის მდგრადობას საფრთხე არ დაემუქროს და ხალხისთვის, არსებობისთვის საჭირო სახსრები ადვილად და იაფად მოსაპოვებელი გახადოს. ასეთი ნააზრვეი ყოველი ხელისუფლებისაგან დიდ დაკვირვებას მოითხოვს. გლობალიზაციის, ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის, საყოველთაოდ განვრცობის პირობებში აბსოლუტური და შეფარდებითი უპირატესობების ზომის ზუსტად მიგნება, განვითარების მისაღწევად, მისი გონივრული ერის საერთო ინტერესების დაცვით გადაწყვეტა, ხელისუფლების, საზოგადოების ყველაზე პრიორიტეტული, საყოველთაო ამოცანაა.

ილია ჭავჭავაძემ, ერთი საუკუნის წინათ, 1897 წლის 31 დეკემბერს, ქართველი ხალხის მიერ ორი ათასი წლის მანძილზე განუწყვეტელი ბრძოლების, ომებისა და სისხლისღვრის შედეგად განვლილი გადარჩენის გზა გააანალიზა. ჰკვირობდა ერის მამა: რამ გაგვაძლებინა, როგორც გადავრჩით? პასუხსაც ჩასწავდა და ამოცნო, რომ საქართველო ორმა დიდმა საიდუმლომ გადაარჩინა. ჩვენი გადარჩენის პირველი დიდი საიდუმლო ის არის, რომ ჭეშმარიტ პატრიოტიზმს მუდამ თან ახლდა ნამდვილი პროფესიონალიზმი. ამის შესახებ ილია ჭავჭავაძე წერს: „ყველა ეს შეგველით და საკითხვად საჭიროა, - რამ შეგვაძლებინა? რამ გვიხსნა? ჯვარცმულნი ქრისტესთვის როგორ გადავრჩით? წამებულნი და სისხლმთხვევლნი მამულისათვის რამღა გვაცოცხლა, რამ გვასულიერა? მან, რომ ვიცოდით - იმ დროს რა უნდოდა, რა იყო მისი ციხე-სიმაგრე, მისი ფარხმალი. ვაჟკაცობა უნდოდა, ვაჟკაცი ვიყავით. ხმალი უნდოდა, ხმლის ჭედვა ვიცოდით. ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა, ომის საქმენი ვიცოდით. აი, რამ შეგვაძლებინა, რამ გვიხსნა, რამ შეგვინახა!.. იმ დროთა ჩარხზე გაჩარხულნი ვიყავით, იმ დროთა ქარცეცხლში გამოფოლადებულნი, იმ დროთა სამჭედურში ნაჭედნი. „სიღბო გექონდა ნაქსოვისა“ - ვით ქრისტიანებს „და სიმტკიცე ნაჭედისა“ - ვით მეომრებსა და მამულიშვილებს. ამით გავიტანეთ თავი, დროთა შესაფერი ღონე ვიცოდით, დროთა შესაფერი ხერხი, დროთა შესაფერი ცოდნა გექონდა, დროთა შესაფერი მხნეობა და გამრჯელობა...“ [ი.ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 5, გვ. 176].

ძველი საქართველოს გადარჩენის მეორე დიდი საიდუმლო არის მისი ეკონომიკური წყობა. ილია ჭავჭავაძე კონკრეტულად ახასიათებს ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის საიდუმლოს. კერძოდ იგი წერს: „ჩვენა გვეკონია, სიკეთე ჩვენის ეკონომიურის აგებულებისა და წყობისა იმაში ყოფილა, რომ მიწა, ესე იგი მამულ-დედული, ცოტად თუ ბევრად უფრო სამართლიანად მორიგებული ყოფილა ჩვენს ხალხში, ვიდრე სადმე სხვაგან. საკვირველია, რომ

დღეს-აქომამდე უმაშულო, უბინაო კაცი ჩვენში თითქმის არსად არ მოიძევება. ამისთანა წყობამ მიჰმართა უსათუოდ ჩვენი ხალხი მიწათმოქმედებას, რომელიც უფრო დაუშრომელი და მკვიდრი წყაროა ხალხისა და ქვეყნის საზრდოებისათვის, ვიდრე სხვა რამ. ხსნა ჩვენი ქვეყნისა ამ წყობაში უნდა ყოფილიყო...

აქედან ცხადია, ჩვენი მეფეები რას უნდა გაჰფრთხილებოდნენ. როგორც ეტყობა, უფროხილდებოდნენ კიდევ, თუ არ მეფენი, თითონ ხალხი მაინცა. ეს იქიდამა სჩანს, რომ ჩვეულებამ ფრთა შეაკვეცა საკომლო განვითარებას, რადგან ყველგან საკომლო განსახდერული იყო ზოგან ოცის დღიურითა, ზოგან ორმოცის დღიურითა, მამულების ნოყიერებისა გვარად. ასე რომ ერთს კომლს სოფელში ჩვეულებით დადგენილხედ მეტი არ შეეძლო მამულები დაქტირა. ტყისა და მინდვრის განსაკუთრება ხომ ყოვლად შეუძლებელი იყო და დღესაც აქამომდე ჩვენის ხალხის გონებაში ვერა თავსდება ის აზრი, რომ ტყე და მინდორი საკუთრება იყოს ვისიმე და არა სამსოფლო“ [ი.ჭავჭავაძე, ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. 4, გვ. 151-152].

ასეთია საქართველოს გადარჩენის „საიდუმლოებანი“, რომლის დაცვა თანამედროვე გლობალიზაციის პროცესშიც აუცილებელია. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ქართველმა ხალხმა იცოდა, თუ სად უნდა მოეძებნა მისი გადარჩენის გზები, ცხოვრების აზრი.

როგორც ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა, ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის უმთავრესი აზრი ის არის, რასაც ჩვენ „ხიზნობას“ ვუწოდებთ და ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ: „ხიზნობა იმისთანა მიწათ-მფლობელობაა, რომელიც არც საკუთრებაა, არც იჯარა და ერთისა და მეორის შუა კი დგას, როგორც განსაკუთრებული, ერთ-გვარი, თავისებური სახე მიწათ-მფლობელობისა“ [„ივერია“, №21, 1886, 2]. ასეთი ურთიერთობის დროს მიწის დამქირავებელს შეეძლო მიწა ჰქონოდა თავის სარგებლობაში და მფლობელობაში სამუდამოდ, ასევე გადაეცა თავისი შთამომავლებისათვის, თუმცა, მისი გაყიდვის უფლება მას არ ჰქონდა, რადგან მიწის სრული მესაკუთრე არ იყო. ვფიქრობთ, ეს ფორმა დღესაც დიდ სარგებლობას მოუტანს ქვეყანას, რათა თავისი რესურსები ხალხს მოახმაროს უკლებლივ და სრულად.

ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური მიდგომებიდან ჩვენი ეპოქისთვის უმნიშვნელოვანესია აგრეთვე, რომ მის მიერ ყველაფერი, ყოველგვარი მოვლენა ფარდობითობაში, ანუ რელატიურობაში განიხილება. მისი მთავარი დამახასიათებელი კონკრეტული თავისებურება ის არის, რომ ილია ყველაფერს საკუთარი ქვეყნისადმი, მისი ადგილის (გეოსტრატეგიული მდგომარეობა), გარემო პირობების და ისტორიული ვითარების (დროის) ნიშნით, მასზე დამოკიდებულების მიხედვით განიხილავდა. მისი თეორია ეკონომიკურ ცხოვრებას წარმოვადგენს არა როგორც მოვლენათა, არამედ, როგორც თანაფარდობის გაგებას (ახსნას). თავის თხზულებებში ილია სულ ამ თანაფარდობის დადგენის ძიებაშია:

- დღენიადაგ ცდილობს დაადგინოს ოპტიმალური, ჭეშმარიტი თანაფარდობა, საკუთრების ფორმებს, მის ორ უმთავრეს, კერძო და საზოგადო ფორმას შორის; მიიჩნევს, რომ საკუთრების ამ ორ ფორმას შორის ისეთი თანაფარდობაა უკეთესი, როდესაც შრომა არის თავისუფალი როგორც დროში, ასევე სივრცეში.

- ხსნის ზოგადკაცობრიული და ეროვნული ეკონომიკური იდეალების თანაფარდობას (საზომის, „საწყაოს“, „სტანდარტის“ ჩამოყალიბებას).

- კლასიკურად განიხილავს საერთო ეროვნული და რეგიონული ინტერესების თანაფარდობას; მიიჩნევს, რომ საერთო ეროვნულ დონეზე უნდა განიხილებოდეს „საყოველთაო კანონმდებლობის წარმოება“, ანუ საერთო კანონშემოქმედებითი საქმიანობა, „საერთო შემოსავალ-გასავალი“, ანუ ქვეყნის ფინანსები და „საყოველთაო მხედრობის დაწყობილობა“ ანუ ქვეყნის თავდაცვა, ყველა დანარჩენი საკითხი კი ადგილზე უნდა წყდებოდეს.

- ქვეყნის განვითარებისთვის უცილობელ პირობად ჭეშმარიტი ადგილობრივი მმართველობის დაკვიდრებას, ადგილობრივი სახელმწიფო მმართველობისა და თვითმმართველობის ოპტიმალურ გამოიჯანსაღებს მოითხოვს „ეკროპული გამოცდილების“ გათვალისწინებით.

- ასახულებს ფრიტრედერული (ლიბერალური, ღია) და პრეტექციონისტული საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის თანაფარდობას, ქვეყნის „თვითარსებობისა“ და „თვითგანვითარების“ უზრუნველსაყოფად.

სწორედ ასეთი თანაფარდობის დადგენის საფუძველზე მიიჩნევს ილია შესაძლებლად ჭეშმარიტი, ოპტიმალური, მთელი საზოგადოებისთვის მისაღები ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ეს კი უნივერსალურ მეთოდს წარმოადგენს ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ღირებულებების ოპტიმალური სინთეზის მისაღებად, ჩვენი „მე“-ს, „ადგილობრივი წერილობების“, ტრადიციების და ზნეჩვეულებათა შენარჩუნების გზით საერთო წინსვლის მისაღწევად. ყოველივე ზემოაღნიშნულს, თანამედროვე გლობალიზაციის ეპოქაში, თითოეული ქვეყნისთვის ფასდაუდებელი, გამოყენებითი დანიშნულება აქვს.

რევაზ კაკულია

ფინანსების მართვის პრობლემები თანამედროვე ეტაპზე

ფინანსების მართვა მეტად რთული ამოცანაა როგორც მაკროდონეზე, ისე მიკროდონეზე. ცენტრალიზებულგეგმიანი ეკონომიკის პირობებში უპირატესობით სარგებლობდა საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის რაოდენობრივი მაჩვენებლების დაგეგმვა, ხოლო, რაც შეეხება თვისებრივ-ხარისხობრივ მაჩვენებლებს, მათ შორის ფინანსურ ურთიერთობებს, მათ სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. უფრო მეტიც, ცენტრალიზებულ-ღირექტიული ეკონომიკური სისტემისათვის დამახასიათებელი იყო ტოტალური დაგეგმვა, რესურსების ლიმიტირება და მათი მკაცრი ნორმირება. რაც შეეხება რესურსების მანიპულირების

თავისუფლებისა და მათი ურთიერთნაწილობის ასპექტებს, ისინი შეზღუდული ხასიათის მატარებლები იყო.

ქვეყანაში ჯერ კიდევ სრულყოფილად ვერ ამოქმედდა სტაბილიზაციის ფაქტორები (წარმოების დაცემის მასშტაბების შეზღუდულობა; საგარეო ბაზარზე საექსპორტო შესაძლებლობათა ოპტიმალური გამოყენება; ლარზე გადიდებული მოთხოვნების ინვესტიციებთან ორგანულად დაუკავშირებლობის დაძლევა).

ეკონომიკის სტაბილიზაციის ამ ფაქტორების ამოქმედების პრობლემებმა არასასურველად იმოქმედა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თვისებრივ ტრანსფორმაციაზე. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს პრობლემათა ოთხ ვექტორს, რომლებმაც შეიძლება რამდენადმე გაამწვავონ ქვეყნის სამეურნეო განვითარება საშუალოვადიან პერსპექტივაში.

ჯერ ერთი, ეროვნული მეურნეობრივი სისტემის დარგთა ფინანსური მდგომარეობის დიფერენციაციის შენარჩუნებას შეუძლია და უნარი აქვს სამეურნეო კავშირები უფრო მოშალოს როგორც რეგიონებს შორის, ისე მიკროდონეზე – შიდა საწარმოო ციკლში;

მეორე, ეკონომიკის სერიოზულ პრობლემად რჩება უმუშევრობა. არასრულ დასაქმებასა და საწარმოთა დიდი ნაწილის კრიტიკულ მდგომარეობას გააჩნია გამწვავების ტენდენცია;

მესამე, ურთულეს პრობლემას წარმოადგენს საგადასახდელი ბალანსის დადებითი საღდოს მიღწევა. ნაკლებად სავარაუდოა ის, რომ მარტო ეროვნული ვალუტის – ლარის სიმტკიცე გამოიწვევს ამ სფეროში დადებით ძვრებს;

მეოთხე, პრობლემად რჩება საბანკო სისტემის მუშაობის ეფექტიანობის ოპტიმალური ამაღლება.

უახლოესი პერიოდისთვის ეკონომიკის სტაბილიზაცია – ბაზარზე საქონელსა და ფულს შორის შეწონასწორება, ინფლაციის ზომიერი ტემპები, საბიუჯეტო დეფიციტის მისაღები დონე, ეროვნული ვალუტის სიმტკიცე უნდა გახდეს ეკონომიკის აღმავლობის მაჩვენებელი. რასაც ლოგიკურად უნდა მოჰყვეს საიმედო ეკონომიკური ზრდა და უმუშევრობის შემცირება.

ერთი სიტყვით, ეკონომიკური სტაბილიზაციის პროცესში ანტიინფლაციური ღონისძიებების განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტია უნდა გახდეს ფინანსების მართვის გაუმჯობესება.

თანამედროვე ფინანსურ თეორიას ჩამოყალიბებული აქვს ფინანსების შესწავლისა და ათვისების ხუთი ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტი. მეცნიერების ამ დარგის საფუძვლიანი შესწავლა საჭიროა: საკუთარი ფულადი სახსრების ეფექტიანი მართვისათვის; ბიზნესში წარმატებული საქმიანობისთვის; საინტერესო და სასარგებლო კარიერის უზრუნველსაყოფად; სახელმწიფო მმართველობაში ისეთი ეფექტიანი გადაწყვეტილებების მისაღებად, რომლებიც გავლენას მოახდენენ ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკასა და ეკონომიკურ ზრდაზე; და ბოლოს, თვალსაწიერის გასაფართოებლად.

იმის გამო, რომ მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან დღემდე მსოფლიოს ბევრი ქვეყნის ეკონომიკა ინფლაციური მეტასტაზებით არის დაჩაივებული,

ბიუჯეტების დეფიციტისა და ჰიპერინფლაციის სალიკვიდაციოდ, სსფ-ისა და მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელობით, აშშ-ის ეკონომიკური ელიტის მიერ შემუშავდა ვაშინგტონის კონსენსუსის გლობალური კონცეფცია, რომლითაც განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა დაყვანილია სამ პოსტულატზე: ეკონომიკურ ლიბერალიზაციაზე, ფინანსურ სტაბილიზაციასა და სტრუქტურულ რეფორმებზე.

აქ ჩამოთვლილი ღონისძიებები განხორციელდა: ფასებისა და საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით და ხარჯებისა და სუბსიდიების მნიშვნელოვანი შემცირებით.

ყოველივე ამის შედეგად ცენტრალური ევროპისა და ბალტიის ქვეყნებმა წარმატებებს მიაღწიეს პირვანდელი ფისკალური კრიზისის დაძლევაში (პოლონეთი, უნგრეთი, ხორვატია, ლიტვა, ესტონეთი, ლატვია, მაკედონია, რუმინეთი, უკრაინა).

სსფ-ისა და მსოფლიო ბანკის გრანტებითა და შედავითანი სესხებით მნიშვნელოვანი წინსვლა იქნა მიღწეული: სომხეთში, მოლდავეთში, საქართველოსა და ყირგიზეთში.

თუმცა, ფართომასშტაბიანი საშინაო და საგარეო სესხები საშუალებას არ იძლევა, ფისკალური პრობლემები და მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია გრძელვადიან პერიოდში იყოს უზრუნველყოფილი.

სერიოზული პრობლემაა ქვეყანაში სახელმწიფო ვალის მართვა. საქართველოში სახელმწიფო ვალის მზარდი ტემპები და საპროცენტო გადასახდელების დიდი მოცულობა მომავლისთვის სახელმწიფო ფინანსების ლიკვიდობის კრიზისის საფრთხეს წარმოქმნის.

არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ, თანამედროვე საბაზრო ურთიერთობების პირობებში, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური ძლიერება დიდად არის დამოკიდებული ეკონომიკურ სუბიექტებში ფინანსური მენეჯმენტის განვითარების დონეზე.

იმის გამო, რომ ქვეყანაში მიმდინარე საბაზრო გარდაქმნების მთავარი ეკონომიკური მექანიზმი ფინანსებია, დიდი მნიშვნელობა ენიჭება რესურსების ფორმირებას, განაწილებასა და გამოყენებას. უფრო მეტიც, ფინანსური რესურსები, წარმოადგენს რა ეროვნული მეურნეობის საფინანსო შედეგს, ერთდროულად მისი განვითარების წყაროც არის.

აუცილებელია, ახლებურად შევხედოთ ფინანსური სტაბილიზაციის რეფორმებს საერთო ეკონომიკური კურსის ჩარჩოებში, ინსტიტუციური და სტრუქტურული გარდაქმნების განხორციელებასთან მჭიდრო კავშირში.

მთლიანობაში ქვეყნის ანტიინფლაციური პოლიტიკა, რომელიც ფინანსური სტაბილიზაციის კონცეფციაში ძირითადი კომპონენტია, აუცილებლად უნდა განხორციელდეს არა ნაკლებეფექტიანი სქემით: „შეკვეცილი ფულადი მასა – ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდებითი შემცირება – მოთხოვნის შეკვეცა – ინფლაციის შემცირება“, არამედ პრინციპით: „კაპიტალის დაგროვება – მოთხოვნის გაფართოება – წარმოებისა და დასაქმების ზრდა – ბიუჯეტების შემოსავ-

ლების გადიდება – ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება – ინფლაციის შემცირება“. ქვეყანაში დაბალანსებული ფულადი პოლიტიკის შემუშავება მოითხოვს ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლიდან გადავიდეთ ინფლაციისა და საბიუჯეტო დეფიციტის რეგულირების, ეკონომიკაში სტრუქტურულ და ინსტიტუციურ გარდაქმნათა სისტემის შემუშავებაზე.

სწორედ ზემოთ აღნიშნული გარდაქმნების უზრუნველსაყოფად არის აუცილებელი ქვეყანაში შემუშავდეს სამეურნეო სუბიექტების ფინანსური რესურსების გამრავლების, მოძიების და გამოყენების, მართვის, დაგეგმვისა და ანალიზის განხორციელების მთლიანი სისტემა.

იაკობ მესხია

ანტიკრიზისული პროგრამის მაკროეკონომიკური ასპექტები

მიმდინარე ეტაპზე, საქართველოში შექმნილი და უახლოეს პერიოდში მოსალოდნელი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე, შეიძლება გამოიკვეთოს ის ძირითადი ფაქტორები, პირობები და პრობლემური სფეროები, რომლებიც შეიძლება მაღალი ალბათობით აისახოს ანტიკრიზისულ პროგრამაში. კერძოდ, მსოფლიო ფინანსური კრიზისის საქართველოს ეკონომიკაზე გავლენის, აგრეთვე, აგვისტოს მოვლენებისა და ეკონომიკის სახელმწიფო მენეჯმენტის უარყოფითი შედეგების ნიველირების მიზნით, ანტიკრიზისულ პროგრამაში უნდა აისახოს როგორც მაკროეკონომიკური, ისე მიკროეკონომიკური, ორგანიზაციულ-მმართველობითი და, ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკური მოწყობის ტრანსფორმაციული ღონისძიებები, რომელთა შორის, ჩემი აზრით, ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ ძირითად საკითხებზე:

* ანტიკრიზისულ პროგრამაში, მსოფლიო გლობალური კრიზისის გავლენის თავიდან აცილების ან შეზღუდვის მიზნით, პრიორიტეტული ადგილი უნდა მიენიჭოს ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლებას.

როგორც ცნობილია, საქართველოში დღევანდელ ეტაპზე მოხმარებული პროდუქციის დაახლოებით 70-75 პროცენტი იმპორტულია, ანუ საქართველო ცალმხრივად მჭიდროდაა ინტეგრირებული მსოფლიო ეკონომიკასთან. ცალმხრივად იმიტომ, რომ ექსპორტი იმპორტს 4-5-ჯერ ჩამორჩება. უფრო მეტიც, საქართველო გარესამყაროსთან მეტწილად სტრატეგიული პროდუქციის (ხორბალი, ნავთობპროდუქტები, გაზი და ა.შ.) იმპორტირების კუთხით არის დაკავშირებული, ხოლო ექსპორტის პოზიციებიდან ჩვენი ქვეყნის პროდუქცია არაა პირველადი, აუცილებელი მოხმარების, განსაკუთრებით კრიზისულ სიტუაციაში (ღვინო, ხილი, ციტრუსი და ა.შ.).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ანტიკრიზისულ პროგრამაში პრიორიტეტული ადგილი უნდა განეკუთვნოს ადგილობრივი წარმოების შენარჩუნება-განვითარებას. უფრო მეტიც, სახელმწიფომ უნდა შექმნას ხელსაყრელი მაკროეკონომიკური და ბიზნესგარემო იმ პროდუქციის საწარმოებლად, რომელიც

დღეისათვის უცხოეთიდან შემოდის და მისი ადგილზე წარმოებისთვის სათანადო ბუნებრივი პირობები და რესურსები არსებობს. ასეთი სფეროა აგროსაწარმოო კომპლექსი – სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება, დამზადება და საწარმოო გადამუშავება. გარდა ამისა, ანტიკრიზისულ პროგრამაში პრიორიტეტული ადგილი უნდა მიეკუთვნოს ადგილობრივი რეალური სექტორის აღორძინება-გადარჩენა-განვითარებას, კერძოდ სამრეწველო წარმოებას, მშენებლობას, მომსოველ დარგებს, გადამამუშავებელ მრეწველობას და ა.შ.

* ანტიკრიზისულ პროგრამაში წამყვანი ადგილი უნდა დაეთმოს ინვესტიციური პოლიტიკის ეფექტიან გამოყენებას. კრიზისის დროს ყველაზე სწრაფად ეცემა ინვესტორების ბიზნესაქტივობა. ამ დროს ფულის მოძრაობა ნელდება და შესაბამისად სუსტდება ეკონომიკური აქტივობა. კრიზისისადმი განსაკუთრებით მგრძობიარენი ხდებიან უცხოელი ინვესტორები რისკვატორების ზრდის გამო და ეს ბუნებრივი პროცესია. საქართველო არ იყო განვითარებული უცხოური ინვესტიციებით (2007 წელს მან 1,7 მლრდ ლარი შეადგინა), მაგრამ აგვისტოს მოვლენებისა და გლობალური ფინანსური კრიზისის შედეგად იგი მნიშვნელოვნად შემცირდა და პროგნოზებიც პესიმისტურია. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან ანტიკრიზისულმა პროგრამამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ინვესტიციების წარმომავლობას, მის დივერსიფიკაციას და არ უნდა დაუშვას ერთი ქვეყნისგან ან ქვეყანათა ერთი ჯგუფისგან ინვესტიციების უპირატესი მოზიდვა.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, ჩემი აზრით, ინვესტიციურმა პოლიტიკამ კრიზისის პირობებში გარკვეული თავდაცვითი სახე უნდა მიიღოს. ამასთან, მთავარი აქცენტი უნდა გაკეთდეს საკუთარ, შიდა კერძო და სახელმწიფო ინვესტიციებზე, განსაკუთრებით იმ სფეროებში, რომლებსაც ქვეყნისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნიათ.

* ანტიკრიზისული პროგრამის ერთ-ერთი მთავარი ქვეკუთხედი უნდა გახდეს სახელმწიფო ბიუჯეტი და, საერთოდ, ქვეყნის საბიუჯეტო სისტემა. კრიზისი და ბიუჯეტი ერთმანეთთან კაუზალურ ურთიერთქმედებაში იმყოფებიან. ერთი მხრივ, ეკონომიკური კრიზისი ამცირებს საბიუჯეტო, განსაკუთრებით საგადასახადო შემოსავლებს, ხოლო, მეორე მხრივ, საბიუჯეტო ხარჯების გონივრული მანევრირება ეკონომიკური კრიზისის ნეგატიური სოციალურ-ეკონომიკური შედეგების შერბილების საშუალებას იძლევა. მთავარია სწორი ხარჯვითი პოლიტიკის გატარება, რომელიც თავისუფალი იქნება პოლიტიკური იდეოლოგიისგან და ოპტიმალურად იქნება მიმართული როგორც საზოგადოების სოციალური სტანდარტების უზრუნველყოფის, ასევე ეკონომიკის განვითარების სტიმულირებისკენ.

როგორც დღევანდელი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პრაქტიკა გვიჩვენებს, კრიზისის წინააღმდეგ საბრძოლველად ყველა ქვეყნის მთავრობის მთავარი ეკონომიკური ბერკეტი საბიუჯეტო სახსრები აღმოჩნდა. საბოლოო ჯამში, კრიზისის დასაძლევად სხვადასხვა ქვეყნების ბიუჯეტისგან დღეისათვის გამო-

ყოფილია თითქმის 8 ტრილიონამდე დოლარი, განსაკუთრებით საბანკო, სადაზღვევო და სამშენებლო სექტორების გადასარჩენად.

საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი თავისი სტრუქტურით და შინაარსით არსებითად არ განსხვავდება წინა წლის ბიუჯეტისაგან და მას არც შიდა და არც გარე ეკონომიკური კრიზისის კვალი არ აჩნევია, მას ანტიკრიზისული სახე ნამდვილად არ გააჩნია.

ბიუჯეტში მრავლადაა ისეთი პროგრამული ხარჯები, რომელთა გაწევა კრიზისის პირობებში მხოლოდ ფუფუნებაა, ხოლო მათი ერთი ნაწილი საერთოდ უმიზნო და ნაკლებად სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა, მეტიც, შეიძლება ითქვას, კორუფციული რისკის მატარებელია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩემი აზრით, შესაძლებელია, განიხილოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხელახალი „გადაწერის“ საკითხი იმ მიმართულებით, რომ არსებითად შემცირდეს სახელმწიფო მმართველობაზე, თავდაცვაზე, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე, დასვენებასა და კულტურაზე, გარემოს დაცვაზე გამოყოფილი ასიგნებები და დაახლოებით 2 მილიარდამდე ლარი გამოიყოს რეალური სექტორის მხარდასაჭერად. ამ მიზნით შეიქმნას „კრიზისის დაძლევის ფონდი“, საიდანაც, დაბალი საპროცენტო განაკვეთებით, სესხები გაიცეს ეკონომიკის სისტემაწარმომქმნელ სფეროებზე (საბანკო სექტორი, სამშენებლო სექტორი, ტურიზმი, მოპოვებითი და გადამამუშავებელი მრეწველობა და ა.შ.).

კრიზისის პირობებში რეალური სექტორის სტიმულირებისთვის მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული საგადასახადო სისტემა. ამასთან, აქცენტი უნდა იქნეს ადებული არა მხოლოდ საგადასახადო განაკვეთების შემცირებაზე, არამედ, აგრეთვე, საგადასახადო ტვირთის ოპტიმალურ გადანაწილებაზე მწარმოებლებს, მომხმარებლებს და კაპიტალს შორის, პირდაპირ და ირიბ გადასახადებს შორის.

ეკონომიკური კრიზისის პირობებში დღევანდელ ეტაპზე თითქმის ყველა ქვეყანამ მიმართა გადასახადების შედარებით ლიბერალიზაციას. არც საქართველო გამონაკლისი. საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი 25 პროცენტიდან შემცირდა 20 პროცენტამდე, რაც, რა თქმა უნდა, ანტიკრიზისული კუთხით წინ გადადგმული ნაბიჯია. ჩემი აზრით, ანტიკრიზისულ პროგრამაში სრულად უნდა აისახოს საგადასახადო სისტემის შესაძლებლობანი კრიზისის დაძლევის საქმეში. ეკონომიკური კრიზისის დაძლევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საგადასახადო მექანიზმის ოპტიმიზაციას, გადასახადების ფისკალურ და მასტიმულირებელ ფუნქციებს შორის რაციონალური თანაფარდობის დამყარებას.

კრიზისის პირობებში, საგადასახადო განაკვეთების ოპტიმიზაციის პარალელურად, დიდ მნიშვნელობას იქონს საგადასახადო პრეფერენციების სისტემის შემუშავება და პრაქტიკული რეალიზაცია. საგადასახადო შეღავათებიდან შეიძლება შემდეგი მექანიზმების გამოყენება: საგადასახადო ამნისტია; საგადასახადო შეღავათი; ზედმეტად გადახდილი საგადასახადო თანხის დაბრუნება; საგა-

დასახადო არდადეგები; საგადასახადო განაკვეთების შემცირება; ინვესტიციური პრემია და ა.შ.

* ანტიკრიზისული რეგულირების ერთ-ერთი სტრატეგიული მექანიზმია ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. მართალია, ეროვნული ბანკის ფუნქციები მნიშვნელოვნად შეიზღუდა და მისი საქმიანობა ძირითადად ფასების სტაბილურობის შენარჩუნებად იქნა დაყვანილი, მაგრამ იგი მაინც ვერ გაექცევა ეკონომიკის სტიმულირების ფუნქციას, რომელიც ლოგიკურადაა მასთან მიბმული. კრიზისის პირობებში მონეტარული პოლიტიკა სახელმწიფო ჩარევისაგან არ იქნება თავისუფალი და ეს ობიექტური აუცილებლობაა, მაგრამ აქ საჭიროა გარკვეული დისტანციის დაცვა და კრიტიკული ზღვარის დადგენა, რომლის იქით ჩარევა დაუშვებელია. მონეტარული პოლიტიკა უნდა გახდეს მაქსიმალურად გამჭვირვალე საზოგადოებისა და ბიზნესისათვის. არ უნდა იქნეს დაშვებული ეროვნული ვალუტის კურსის არც მყისიერად ხელოვნურად გამყარება და არც გაუფასურება. ეროვნულმა ბანკმა უნდა განსაზღვროს ის „ოქროს შუალედი“, რომელიც უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, ფასების სტაბილურობას (დაბალ ფასებს), ხოლო მეორე მხრივ, დაასტიმულირებს კომერციულ ბანკებს ხელი შეუწყონ ეკონომიკის, განსაკუთრებით კი რეალური სექტორის აღორძინება-განვითარებას.

ანტიკრიზისულ პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფისკალურ და მონეტარულ პოლიტიკებს შორის ოპტიმალური წონასწორობის მიღწევას. დაუშვებელია ფისკალური პოლიტიკის „დიქტატურა“ მონეტარული პოლიტიკის მიმართ. ეროვნულ ბანკს უნდა მიენიჭოს ბიუჯეტზე „ხემოქმედების“ ფუნქცია, მას უნდა შეეძლოს მონეტარული ინტერესების საზიანოდ შედგენილი სახელმწიფო ბიუჯეტის დაბლოკვა როგორც მისი შედგენის, ასევე საბიუჯეტო პროცესის ნებისმიერ ეტაპზე, თანაც არა ფორმალურად, არამედ რეალურად, ფაქტობრივად.

მისაღებია კანონი საბანკო დეპოზიტების დაზღვევის შესახებ. კომერციულმა ბანკებმა კრიზისის პერიოდში უნდა დათმონ მოგების (რომლის მარჯა საკმაოდ მაღალია) გარკვეული ნაწილი, შეამცირონ საკრედიტო განაკვეთები (ზოგიერთ ქვეყანაში სახელმწიფომ იძულების წესით მოახდინა) და, პირველ რიგში, უზრუნველყონ იპოთეკური და რეალურ სექტორზე ინვესტირების კუთხით გაცემული კრედიტების რესტრუქტურისა და მათი გადახდის ვადების გადაწევა და საჯარიმო სანქციების განულება.

დღის წესრიგში რჩება ინფლაციის პრობლემა. ამ მხრივ საჭიროა მეცნიერული არგუმენტირებული მეთოდის შექმნა და ინფლაციის შეუღამაზებელი მაჩვენებლების გაანგარიშება.

* პროგრამაში საჭიროა ისეთი მექანიზმის შემუშავება, რომელიც მოაწესრიგებს ქვეყანაში შრომის ანაზღაურების სისტემას. ხელფასების ოპტიმიზაცია განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კრიზისის პირობებში. არასამართლიანია, რომ სამეურნეო სუბიექტებიდან ახდენდნენ მუშაკთა დათხოვნას, ხოლო, იმავედროულად, ხელმძღვანელ მუშაკთა და დარჩენილ თანამშრომელთა ხელფა-

სები იზრდებოდა. საყურადღებოა აშშ-ს პრეზიდენტის ბარაკ ობამას წინადადება. მან ამერიკული კომპანიების ხელმძღვანელებს ურჩია, რომ მუშაკთა დათხოვნისას შესაბამისად საკუთრივ შეიმცირონ ხელფასები და ბონუსები.

ანტიკრიზისულ პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას. გარდა ზემოაღნიშნულისა, ანტიკრიზისულ პროგრამაში უნდა აისახოს ისეთი პრობლემური ეკონომიკური საკითხების დარეგულირების მექანიზმები, როგორცაა ექსპორტ-იმპორტის თანაფარდობა, რეგიონული განვითარების გათანაბრება, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა, ანტიმონოპოლიური რეგულირება, სტატისტიკური ინფორმაციის საიმედოობისა და გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება, ეკონომიკური პროგნოზირებისა და პროგრამების პრაქტიკის დანერგვა, სოციალური დახმარების სისტემის სრულყოფა, აგრეთვე, პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა, სასამართლოს დამოუკიდებლობის მიღწევა, თავისუფლება სამაუწყებლო მედიაში, საარჩევნო სისტემის მოწესრიგება, მთავრობის სტრუქტურის ოპტიმიზაცია და ა.შ.

გიორგი პაპავა

ნორმალიზებული შერეული საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიის შეუღლების პრობლემის აქტუალობა

დემოკრატიული საზოგადოების ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგიას ესაჭიროება პოზიტიური წყობის მანევრული აზროვნება. ამასთან დაკავშირებით წარმონდობა რთული თეორიულ-პრაქტიკული საკითხები, რომლებიც გარკვევას საჭიროებს:

1. “ადამიანისათვის დამახასიათებელია შეცდომების დაშვება”, – ამგვარი გამოთქმა დომინირებს საერთოდ. იგი გამართლებას ანიჭებს ადამიანის მიდრეკილებას პასიურობისაკენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს იწვევს მიდრეკილებას ინტელექტის სიზარმაცისაკენ ეკონომიკურ რეალობათა შეცნობის პროცესში. ამ სახით ეკონომიკაში თავს იჩენს უნებლიე მცდარი ლოგიკით შემცდარ ღონისძიებებზე გასვლა, ე.ი. წარმოიქმნება ეკონომიკური პარადოგიზმები;

2. თუ ეკონომიკაში ინტელექტის განვითარება განხორციელდება შერეული საბაზრო ეკონომიკის რეალობათა თვისებრივი შეცნობის საფუძველზე, მათი წარმართვის გააზრების პროცესი შესაძლოა გახდეს სრულფასოვანი (უნაკლო). ეს იმას მოასწავებს, რომ დავადგებით ეკონომიკური პარადოგიზმებისაგან გათავისუფლების გზას ეკონომიკურ ფუნქციებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებათა მიღებასა და სათანადო ღონისძიებათა გატარებაში. ეს კი გამოიწვევს შერეული საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების ნორმალურ კალაპოტში უპარადოგიზმო მოქცევას და ნეგატიურ ქცევებს ეკონომიკაში გამოაცლის ნიადაგს;

3. ინტელექტის სიზარმაცე თავს იჩენს მაშინ, როდესაც ესა თუ ის ტექსტი იკითხება ზედაპირულად. იგი გამორიცხავს გადმოცემული აზრის არსის და ბუნების სიღრმისეულ წვდომას და, ამდენად, მის ადეკვატურ გაგებას. ეკონომიკური

ნომიკურ რეალობათა არსში შედწევის პროცესში იზღუდებიან ზედაპირული სიუჟეტური სქემის აღქმით. წარმოდგენილ მოხსენებაში მოცემულია საფუძვლიანად დასაბუთებული მეცნიერულ-კვლევითი მიდგომა, რომელიც ინტელექტის სიზარმაცის დაძლევათ გამორიცხავს შაბლონის მიხედვით აზროვნებას. ამას იგი აღწევს ეკონომიკურ რეალობათა თვისებრიობის არსში დაწვრილებითი გონებაჭერებითი შედწევით, რომელიც გადის პრინციპულად ახალ აზროვნებაზე და მიმართულია ეკონომიკური პარალოგიზმების წარმოქმნის წინააღმდეგ. ჩვენი სამეცნიერო კვლევის ბიძგად მოგვევლინა ის, რომ ეკონომიკა ყველგან ყალიბდება დროის პერიოდების მიხედვით. დღეისათვის ეკონომიკური პარალოგიზმები თან სდევს არა მარტო ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობას (რომლებიც მეტ-ნაკლები ზომით წარმოადგენენ დილემანტებს თავიანთ ეკონომიკურ საქმიანობაში), არამედ პროფესიონალ ეკონომისტთა საქმიანობასაც. ამის მიზეზი იმალება იმაში, რომ დღეისათვის არ არსებობს ეკონომიკურ რეალობათა დროის პერიოდების მიხედვით პარალოგიზმებისაგან თავისუფალი თვისებრივი შეცნობის მეთოდოლოგია;

4. ამჟამად ეკონომიკურმა კრიზისმა და ფულის საყოველთაო ინფლაციამ არა მარტო ცალკეულ ქვეყანაში, არამედ მთელ მსოფლიოში მიაღწია უკიდურეს ზღვარს. ამან კი შეაზანზარა დემოკრატიული წყობა მსოფლიოს მასშტაბით და ისიც სხვადასხვა სიღრმით. სახელდობრ, ამ სიტუაციამ გამოიწვია უმუშევრობის თითქმის საყოველთაო ზრდა. უკანასკნელმა კი შეურყია ნიადაგი საზოგადოების დემოკრატიულ წყობას. ამგვარი ნეგატიური მოვლენის მოსაპირკეთებლად წარმოიშვა მცდელობა, რომ მის მოსაგვარებლად მიეღოთ და გაეტარებინათ ღონისძიებათა სათანადო წყობა. ამ მიზნით 2009 წ. 3 აპრილს ლონდონში შეიკრიბა “ოცეულის” ქვეყნების წარმომადგენელთა “სამიტი”. მისი მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ შეიმუშავენ ღონისძიებებს ფინანსური საქმიანობის დასარეგულირებლად მისი რეგლამენტირებისა და კონტროლის მეშვეობით. “სამიტს” მიაჩნია, რომ საფინანსო კრიზისმა წარმოშვა ეკონომიკური კრიზისი. მაშინ, როდესაც ისინი წარმოშვა **ეკონომიკის ჯუმლობრივმა ნაერთმა დროთა განმავლობაში პარალოგიზმების დაგროვების გამო**. ამან კი გამორიცხა ფინანსების ჯანსაღი ნაკადების წარმოქმნა. ეკონომიკის ჯუმლობრიობა (თავმოყრილობა) კი სინამდვილეში აღმოაცენა ეკონომიკური პარალოგიზმების სიმრავლემ ეკონომიკურ-საფინანსო სისტემის ჩამოყალიბებაში. “სამიტს” კი მიაჩნია, რომ შეიქმნა იმის საჭიროება, რათა განხორციელდეს ფინანსების მოძრაობის სპეკულაციური (ხეჯვევითი) დარეგულირება. ჩვენი აზრით, ამგვარი ღონისძიება ეკონომიკის ფინანსური მოპირკეთების ფარგლებს არ სცილდება. იგი უფრო კოსმეტიკური (ზედაპირული) მოპირკეთების არეალის ფარგლებითაა შეზღუდული. როგორც ირკვევა, ეკონომიკურ-საფინანსო სისტემის გაუბედურების პროცესი წარმოშვა საერთოდ ეკონომიკურ-საფინანსო სისტემის არა მთლიანობითობამ, არამედ ჯუმლობრივმა (მექანიკურად თავმოყრილმა) წყობამ, სადაც უხილავ ნეგატიურ ქცევებს სათანადო ასპარეზი გააჩნია ეკონომიკისა და ფინანსების მოძრაობაში. ნეგატიური (უარყოფითი) ბუნებისაა ქცევა, თუ იგი გამორიცხავს პოზიტიურ

(დადებით) შედეგებს დემოკრატიული საზოგადოების ეკონომიკის ფორმირებაში. ე.ი. თუ იგი უპირისპირდება წარმატების მომგან მიდგომას დემოკრატიული საზოგადოების ეკონომიკის ფორმირებასა და განვითარებაში;

5. ამ პრობლემის საყოველთაო გადაჭრა მოითხოვს შერეული საბაზრო ეკონომიკის ნორმალიზაციას, რომელიც მოწოდებული იქნება ეკონომიკა, როგორც ჯუმლობრივი (თავმოყრილი) წარმონაქმნი, საერთო სამეცნიერო დანიშნულების სისტემოლოგიაზე დაყრდნობით, გარდაქმნას დემოკრატიული საზოგადოების ეკონომიკის მთლიანობით სისტემად. აქ საბანკო-საფინანსო საქმიანობა ვერ მოსწყდება ნორმალიზებული საბაზრო ეკონომიკის დაურღვევლობის მოთხოვნებს და დაამკვიდრებს საფუძვლიანი მონიტორინგის სისტემასაც. ამით ჩამოყალიბდება დემოკრატიული საზოგადოებისათვის ურყევი ეკონომიკური ნიადაგი. ამგვარი მიდგომა საფუძვლიანად უნდა იქნეს გამოკვლევული, სადაც სათანადო გამოსავალის მიგნების ფუნქციას იკისრებს ჩვენ მიერ 2009 წ. გამოქვეყნებული ნაშრომი – “Методология познания качеств реалий смешанной рыночной экономики и паралогизмы” (Стокгольм, «СА & СС PRESS», Швеция). ამჟამად დამკვიდრებულია აზრი იმის შესახებ, რომ “социалистическая критика иррациональности капитализма верна, но социалистическая альтернатива неосуществима”¹⁸. არავის არ დაუსვამს კითხვა, შესაძლებელია თუ არა კაპიტალიზმის პირობებში ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგიის გარკვეულწილად რაციონალიზაცია. ამიტომ, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება **ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგიის** წარმართვის ნორმალიზებას დროის პერიოდების მიხედვით, რათა ამ მხრივ გაუმჯობესდეს და უფრო მწყობრი გახდეს ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგიის ფუნქციონირება კაპიტალიზმის პირობებში, რათა მან გამორიცხოს ან შეარბილოს მაინც, ეკონომიკური კრიზისების აღმოცენება. ეს კი მყარ ნიადაგს შეუქმნის დემოკრატიული საზოგადოების ეკონომიკის მწყობრი სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას;

6. სათანადო მეთოდოლოგიას შეუძლია წარმოქმნას დროის ყოველი პერიოდის ეკონომიკურ რეალობათა თვისებების სიღრმისეული შეცნობის შესაძლებლობა და ისიც შერეული საბაზრო ეკონომიკის პირობებში. იგი დაეყრდნობა პერიოდანტულ-გენეტიკური და “პოლიფონიური” წყობის ეკონომიკურ აზროვნებას. მას წინა პლანზე გადმოაქვს ქვეყნის მასშტაბით **სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში წონასწორობის დაცვის აუცილებლობა, როგორც ჭკუშმართვად დემოკრატიული საზოგადოების რეალიზაციის უტყუარი პირობა**. ამას იგი მოახერხებს შერეული საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების ნორმალურ პირობებში ჩაყენებით (ნორმალიზაციით). იგი გამიზნული იქნება იმაზე, რომ არ დაუშვას ეკონომიკური პარალოგიზმების შეპარვა ეკონომიკური ფუნქციების განხორციელებაში. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ინტელექტის

¹⁸ Пшеворский А. Демократия и рынок, политические и экономические реформы в Восточной Европе и Латинской Америке. Москва, «Российская политическая энциклопедия» (РОСНЭН), 2000, с. 198 (перевод с английского).

სიზარმაცე იწვევს “მოკლე ჩართვას” აზროვნებაში, რასაც თან ახლავს ეკონომიკური პარალოგიზმი, ე. ი. უნებლიე მცდარი ლოგიკით შემცდარ ღონისძიებებზე გასვლა. მისი დაძლევა კი შესაძლებელია, თუ გამოვრიცხავთ აზროვნების პასიურობას და ამით ინტელექტის სიზარმაცეს ეკონომიკურ რეალობათა თვისებრივი შეცნობის პროცესში, რითაც მივაღწევთ სათანადო ეკონომიკურ წარმატებებს;

7. სანამდე ვერ მოვახერხებთ თავი დავაღწიოთ ეკონომიკური პარალოგიზმების დაშვებას და ვერ უზრუნველყოფთ მათ მიერ გამოწვეული ხარვეზების მუდმივად “პოსტ-ფაქტუმ” გამოსწორებას, მანამდე მთლიანად ან ნაწილობრივ აღმოჩნდებით წყვილით მოცულ ეკონომიკურ სამყაროში, სადაც ეკონომიკური პარალოგიზმები ქმნის ნოყიერ ნიადაგს ნეგატიური ქცევების აღმოცენება-განვრცობისათვის. ამ მდგომარეობიდან გამოსვლის მიგნება და პარალოგიზმებისაგან თავის დაღწევა შესაძლებელია ეკონომიკის ფუნქციონირების ნებისმიერ დონეზე იმ შემთხვევაში, თუ საფუძვლიანად შევისწავლით და ავითვისებთ ეკონომიკური პრობლემის კვლევის სათანადო მეთოდოლოგიას. იგი ყოველ ეკონომიკურ სუბიექტში გააღრმავებს ანალიტიკური ეკონომიკური აზროვნების უნარს. უკანასკნელი მიღწევა, თუ ინტელექტი სიდრმისეულად (უპარალოგიზმოდ) შეიჭრება მოცემული ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგიის მთლიანობითი სისტემის როგორც ძირეულ და ინტეგრაციულ იმანენტურში, ასევე ემერჯენტული თვისებების არსში და, შესაბამისად, მიმართული გონებაჭკრეტითი ხედვის ჩამოყალიბებით უზრუნველყოფს უხარვეზო გადაწყვეტილებების მიღებას პრაქტიკაში. მიგვაჩნია, რომ ეკონომიკური სუბიექტების ქცევების და თანამდებობის პირთა ეკონომიკური ფუნქციების შემსრულებელთა პრაქტიკა განუხრელად უნდა იყენებდეს ჩვენ მიერ ჩამოყალიბებულ მეთოდოლოგიას (წილადმაგვარი ეკონომიკური მულტიოპერატორების გენეტიკურად მწყობრ სისტემას), ვინაიდან, ამის გარეშე, ის ეკონომიკაში პარალოგიზმების დაშვების წაყრო ხდება;

8. სიდრმისეული ინტენსიური ეკონომიკური აზროვნება, რომელიც გამაგრებულია უშრეტი წყურვილით, გატაცებით და შემართებული განწყობით, შეუძლია შეიჭრას ამა თუ იმ ეკონომიკური რეალობის შიგა არსში ან პრობლემის სიდრმეში. მას გააჩნია უნარი, თავიდან მოიშოროს ლტოლვა ინტელექტის სიზარმაცისაკენ, რათა თავიდან აიცილოს ეკონომიკური პარალოგიზმების შემოპარება, შეიძენს რა იმის უნარსაც, რომ განახორციელოს ჭეშმარიტად დემოკრატიული ქვეყნის ეკონომიკის უხარვეზო წარმართვა (აქ მხედველობაშია მისაღები შემოპარული ნეგატიური ქცევების გავლენის გამორიცხვაც);

9. დროის პერიოდებში, როგორც ვადისეულ რესურსებში, ეკონომიკურ რაობათა და რეალობათა თვისებრიობის საფუძვლიანი შეცნობის გარეშე შეუძლებელია ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგიის მაღალკვალიფიციური წარმართვა. ამისათვის კი საჭიროა ვიცოდეთ, გვესმოდეს და გაგვაჩნდეს იმგვარი ხედვა, სადაც მიღწევადი იქნება ეკონომიკური პრობლემის აღწერა. ცნობილია, რომ “პრობლემის აღწერას ბევრი საერთო აქსისისტემების აღწერასთან; შესაძლოა

ველოდეთ იმას, რომ პრობლემების კვლევის ეფექტიანი მეთოდოლოგია თანხვედრილია სისტემურ მიდგომასთან. პრობლემის ფორმულირება მოითხოვს მის მორფოლოგიურ, ფუნქციონალურ და ინფორმაციულ აღწერას. უკანასკნელი გამოხატავს პრობლემის განვითარების ტენდენციას. პრობლემის გადაჭრა შეუძლებელია იყოს ცალსახა, ვინაიდან პრობლემის დასმა არასდროს არ არის სრულყოფილად განსაზღვრული და კვლევის პროცესში¹⁹ ხდება მისი დაზუსტება (თარგმანი რუსულიდან – გ.პ.)

10. ნორმალიზებული შერეული საბაზრო ეკონომიკის უმკაცრესი მოთხოვნაა “არ დაგუშვათ ნეგატიური გზებით უკანონო გამდიდრება და უეცრობით კანონიერი გაკოტრება”, თუ გვინდა შევუქმნათ მყარი ნიადაგი დემოკრატიული საზოგადოების დასაყრდენს, სახელდობრ, ეკონომიკის ნორმალიზებულ მთლიანობით სისტემას ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგიის ეფექტიანი ფუნქციონირებით და ისიც დროის სათანადო პერიოდებში. ამგვარია აზროვნების დამაკვალიანებელი მიმართულება, რომლის გადაჭრას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება დროის პერიოდებში ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგიის წელში გამართული, ეკონომიკური პარალელობების გამომრიცხავი სისტემით, საზოგადოების ფსევდოდემოკრატიული მინარევებისაგან გასაწმენდად.

ელადიმერ პაპავა

გლობალური ფინანსური კრიზისი და ეკონომიკის ზომბირების საფრთხე

თანამედროვე გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში ეკონომიკის ზომბირების პრობლემა ძალზე გააქტიურდა. თუ გასული საუკუნის 90-იან წლებში ზომბირების თემა ძირითადად მხოლოდ იაპონიის ეკონომიკასთან მიმართებაში განიხილებოდა, დღეს ზომბირების პრობლემა უკვე აშშ-ისა და ევროპის ქვეყნების ეკონომიკებსაც გადასწვდა.

ეკონომიკის ზომბირება უშუალოდ არის დაკავშირებული ფინანსურ კრიზისთან. კერძოდ, ფინანსური სირთულეების გამო ფირმები დეგვიან გაკოტრების საფრთხის წინაშე, რაც, საბოლოო ჯამში, აისახება უმუშევრობის ზრდაში. ეს კი მთავრობას უქმნის პოლიტიკურ დისკომფორტს. ამიტომაც, მთავრობა მზადაა, ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინოს ასეთ ფირმებს, რომ ისინი არ დაიხუროს და ხალხი არ დაითხოვონ. იაპონური გამოცდილების თანახმად, ამ მიზნით მთავრობა ეხმარება ბანკებს, რომ მათ გააგრძელონ გაკოტრებული ფირმების დაკრედიტება. ბუნებრივია, რომ არა მთავრობის მხრიდან ბანკებისადმი გაწეული დახმარება, გაკოტრებული ფირმების დაკრედიტების გაგრძელებით ბანკები თავად გაკოტრდებოდნენ.

აი ასე იქმნება გაცოცხლებული მკვდარი ფირმები და ბანკები, ანუ ზომბი ფირმები და ზომბი ბანკები, რომლებიც ქმნიან ზომბი ეკონომიკის ქსელს.

¹⁹ Дружинин В.В., Конторов Д.С. Проблемы системологии. Москва, «Советское Радио», 1976, с. 73.

პარადოქსი ისაა, რომ ფინანსური კრიზისის დამთავრების შედეგად, ანუ, მაშინაც კი, როცა ამის აუცილებლობა უკვე აღარ იყო, იაპონიაში გაგრძელდა ზომები ბანკებისა და ზომები ფირმების ფუნქციონირება. ამ პარადოქსის ასხნა შეიძლება ეკონომიკურ ცვლილებათა ევოლუციური თეორიით.

ამ თეორიის ძირითად “ინსტრუმენტს” ე.წ. “რუტინის” ცნება წარმოადგენს, რომლის ქვეშ ფირმის ქცევის ჩამოყალიბებული ის წესები და ხერხები იგულისხმება, რომლებიც ამ ფირმის მოქმედების აღწარმოებას არეგულირებენ.

ფინანსური კრიზისის მეტ-ნაკლები ხანგრძლივი პერიოდით გაგრძელების შემთხვევაში გაკოტრებულ ფირმებში ფირმის ქცევის ისეთი წესები და ხერხები ყალიბდება, რომლებიც ეფუძნება სამთავრობო მხარდაჭერის მიღების შესაძლებლობას, რაც ფაქტობრივად გამორიცხავს ფირმის ზრუნვას კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე. შედეგად, ეს ფირმები აგრძელებენ იმ რეჟიმში ფუნქციონირებას, როგორც ეს იყო ფინანსური კრიზისის დროს.

მსგავსი სიტუაცია იქმნება იმ ბანკებშიც, რომლებიც აგრძელებენ ზომები ფირმების დაკრედიტებას, რადგან მათაც გარანტირებული აქვთ მთავრობის მხრიდან ფინანსური მხარდაჭერა, რაც ასევე აყალიბებს ამ ბანკებში შესაბამის რუტინას.

ზომები ბანკების საშუალებით ზომები ფირმების მხარდაჭერის რუტინა ყალიბდება მთავრობაშიც, რის გამოც მთავრობა გადასახადების გადამხდელთა ხარჯზე აგრძელებს მკვდარი ფირმებისა და მკვდარი ბანკების ფინანსურ მხარდაჭერას.

სწორედ ეს ზომები რუტინა ხდება ზომები ეკონომიკის, ანუ ზომები ფირმების, ზომები ბანკებისა და ზომები მთავრობის ერთიანი სისტემის, სიცოცხლისუნარიანობის საფუძველი.

იბადება კითხვა, თუ ვინ არის ზომები ეკონომიკის რუტინის მატარებელი?

თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ ზომები ეკონომიკა არის მკვდარი ეკონომიკა, რომელიც წურბელასავით წოვს სისხლს გადასახადების გადამხდელებს და ამით იხანგრძლივებს სიცოცხლეს, ბუნებრივია დავასკვნათ, რომ ზომები ეკონომიკის რუტინის მატარებელი არის არა ცოცხალი, არამედ მკვდარი ადამიანი, რომელიც ხელოვნურად აგრძელებს სიცოცხლეს, რაც სხვა არაფერია, თუ არა ზომები.

ზომები ეკონომიკაში მოქმედ გაცოცხლებულ მკვდარ ადამიანს *ეკონომიკური ზომები*, “*ზომები ეკონომიკუსი*” ვუწოდოთ. სწორედ ის არის ზომები ეკონომიკის შესაბამისი რუტინის მატარებელი და მისი იმპლემენტატორი.

ეკონომიკური ზომების მიზანი არ არის მოგების მიღება. მისი მიზანია, შეინარჩუნოს არსებობა ისე, რომ სულაც არ იფიქროს იმაზე, თუ რამდენად მისაღებია ბაზრისათვის მისი ფირმის საქმიანობა, თუ რამდენად ესაჭიროება მომხმარებელს მისი ფირმის მიერ წარმოებული საქონელი თუ გაწეული მომსახურება, მისი ხარისხისა და მასზე გაწეული დანახარჯების მიუხედავად.

ზომები ფირმაში მომუშავე ეკონომიკურმა ზომებმა იცის, რომ მას გასხნული აქვს საკრედიტო ხაზი ზომები ბანკში, სადაც მუშაობს მისნაირი ეკონომი-

კური ზომები, რომელიც, პრაქტიკულად, შეფერხებების გარეშე გასცემს კრედიტებს ზომები ფირმაზე.

ზომები ბანკში მომუშავე ეკონომიკურმა ზომებმა კი ასევე იცის, რომ მთავრობაში მომუშავე მისნაირი ეკონომიკური ზომებისაგან გარანტირებული აქვს დეპოზიტების დაზღვევა, ფინანსური მხარდაჭერა სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ის, თუ როგორ აზარალებს ზომები ეკონომიკა ეკონომიკის ჯანსაღ ნაწილს კარგადაა ცნობილი: ჯერ ერთი, ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიან ფირმებს უჭირთ იმ ბაზრებზე შეღწევა, სადაც ზომები ფირმები ბატონობენ, რადგანაც ამ უკანასკნელებს ყოველთვის აქვთ კონკურენტული უპირატესობა – ისინი ჯანსაღი ფირმებისაგან განსხვავებით, მოგებაზე ხომ არ ზრუნავენ; მეორე – ზომები ფირმები ამცირებენ საკრედიტო რესურსს და ამით ზღუდავენ ჯანსაღი ფირმების საქმიანობას ეკონომიკის იმ სექტორებშიც, სადაც ზომები ფირმები ნაკლებად ან საერთოდ არც კია წარმოდგენილი.

სწორედ ამიტომ, ეკონომიკური ზომებისაგან ზომები-ვირუსი გადამდები ხდება იმ ადამიანებზეც, რომლებიც საქმიანობენ ჯანსაღ ფირმებსა თუ ჯანსაღ ბანკებში, რადგანაც ამ უკანასკნელთა ზომბირება აადვილებს იმ ეკონომიკაში ფუნქციონირებას, სადაც ეკონომიკური ზომები ბატონობს.

გლობალური ფინანსური კრიზისი, რომელიც რომელიმე ერთი ქვეყნის საზღვრებით არ შემოიფარგლება, არაერთ ქვეყანას უქმნის საფრთხეს ზომბი-ვირუსის გავრცელებაში.

აშშ-ის, ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოების თუ რუსეთის მთავრობათა ანტიკრიზისული პროგრამები მეტ-ნაკლებად ორიენტირებულია არაგადახდის-უნარიანი ბანკებისა და ფირმების საფინანსო მხარდაჭერაზე გადასახადების გადამხდელთა ხარჯზე. როგორც წესი, სწორედ ის ბანკები და ფირმები ითხოვენ მთავრობებისაგან ფინანსურ მხარდაჭერას, ვინც ხელი შეუწყო ფინანსური კრიზისის ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

დღეს მსოფლიო დადგა იმ საფრთხის წინაშე, რომ ეკონომიკური ზომების ფენომენი, რომლის გავრცელების არეალი ადრე ძირითადად მხოლოდ იაპონიით შემოიფარგლებოდა, დღეს, შესაძლოა, მსოფლიოს სხვა წამყვან ქვეყნებშიც გავრცელდეს, რაც მსოფლიო ეკონომიკის განვითარების სერიოზულ ბარიერად იქცევა.

რა არის ეკონომიკური ზომებისაგან თავდაცვის საშუალება?

ველოსიპედი სულაც არ არის თავიდან გამოსაგონებელი, უბრალოდ აუცილებელია, რეალურად მკვდარი ფირმები და ბანკები იურიდიულადაც მკვდრად იქნენ აღიარებულნი, რაც გაკოტრების შესახებ ეფექტიანი კანონმდებლობის ამოქმედებით მიიღწევა. მხოლოდ ამ გზით იქნება შესაძლებელი ეკონომიკური ზომების გავრცელების შეზღუდვა და მისი საბოლოოდ მოკვლა.

გაკოტრების შესახებ ეფექტიანი კანონმდებლობის მიღება და ამოქმედება კი დამოკიდებულია იმ პოლიტიკურ ნებაზე, რომელიც აუცილებლად უნდა გააჩნდეს შესაბამის სახელმწიფოთა პოლიტიკურ ლიდერებს. ხოლო, თუ მათ ასეთი ნება არ ექნებათ, ისინი თავადვე დაავადდებიან ზომბი ვირუსით და

თავისი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებს დიდი კითხვის მიზნის ქვეშ დააყენებენ.

უშანი საზღაპეილი

საშუალო კლასის ფორმირების პრობლემა
საქართველოში

ტრანსფორმირებადი ეკონომიკის ქვეყნებში უადრესად მნიშვნელოვანია საშუალო კლასის ფორმირებისა და განვითარების პროცესი. სწორედ ამიტომ, პოსტსოციალისტურ საქართველოში ძლიერი საშუალო კლასის განვითარება აუცილებელი პირობაა ნამდვილად დემოკრატიული საზოგადოების, კონკურენტუნარიანი ეროვნული ეკონომიკისა და ეფექტიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის. რეფორმების დასაწყისში ივარაუდებოდა, რომ ეროვნული მეურნეობის საბაზრო პრინციპებზე გადაწყობა აპრიორი (ავტომატურად) გამოიწვევდა მასშტაბური საშუალო კლასის, ანუ ეკონომიკურად დამოუკიდებელი სოციალური სუბიექტის წარმოშობას. სხვა სიტყვებით, საშუალო კლასის ფორმირების პრობლემა განიხილებოდა რეფორმების ეფექტიანობის მნიშვნელოვან კრიტერიუმად, რომელიც მთელი ეკონომიკური სისტემის, სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტების სიმტკიცის მაჩვენებელი უნდა ყოფილიყო. მაგრამ, როგორც რეალურმა ცხოვრებამ გვიჩვენა, ყველაფერი ასე მარტივად არ ყოფილა, ინერციით საშუალო კლასის ჩამოყალიბება შეუძლებელია.

არადა, მსოფლიო გამოცდილებიდან გამომდინარე, როდესაც საზოგადოება მხოლოდ დარბების უდიდესი და მდიდრების უმცირესი რაოდენობით (ანუ საშუალო კლასის გარეშე) არის წარმოდგენილი, პოლიტიკურ ელიტასა და რადიკალურად მოაზროვნე მარგინალებს ძალუთ სახელმწიფოს გადაქცევა დაუსრულებელი საპროტესტო აქციების, კლასობრივი ბრძოლების, გადატრიალებებისა და რევოლუციების სარბიელად, რის გამოც ქვეყანა ერთავად არჩევანის წინაშე დგას: ან მოჩვენებითი სამართლიანობის ფირნიშით ზღვარს გადაცილებული ანარქია და ქაოსი, ან ყოველივე ამის ადკვეთის მიზნით სახელმწიფო ხელისუფლების გაძლიერება თვით ავტოკრატიაზე და ტოტალიტარიზმამდე.

საზოგადოების განვითარების ისტორია და თეორია გვიჩვენებს, რომ საშუალო კლასს უმნიშვნელოვანესი ფუნქციების შესრულება შეუძლია, ესაა: **1. პოლიტიკური სტაბილიზატორის ფუნქცია.** როდესაც საშუალო კლასის წარმომადგენლები საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში მოიპოვებენ გარკვეულ ადგილს, თავიანთი მდგომარეობით მთლიანად კმაყოფილნი არიან და ამის გამო მხარს უჭერენ არსებულ სახელმწიფოებრივ წყობილებას, რომელმაც მათ ასეთი მდგომარეობის მიღწევისა შესაძლებლობა მისცა; **2. სოციალური წინააღმდეგობების შერბილებისა და განვითარების ევოლუციური ხასიათის უზრუნველყოფის ფუნქცია,** რაც, ასევე, განამტკიცებს არსებულ სოციალურ წეს-წყობილებას და

იცავს მას სოციალური კატაკლიზმებისაგან. მაგალითად, ქვედა ფენების უკმაყოფილება ქარწყვლდება იმით, რომ განათლების უწყვეტი სისტემისა და სხვა პირობების მეშვეობით, მათ საზოგადოებაში თავიანთი ეკონომიკური, პროფესიულ-თანამდებობრივი სტატუსის ამადლება-გაუმჯობესებისა და ჰორიზონტალური და ვერტიკალური მობილობის რეალური შესაძლებლობა აქვთ; 3. **ეკონომიკური ფუნქცია.** ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროში საშუალო ფენა ასრულებს ეკონომიკური დონორის როლს, არა მხოლოდ, როგორც საზოგადოების შემოსავლების უდიდესი ნაწილის მწარმოებელი, არამედ, როგორც მომხმარებელი, ინვესტიორი და გადასახადის ძირითადი გამამსდელი და ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების გარანტი; 4. **კულტურული ფასეულობების დაცვისა და განვითარების ფუნქცია.** გარკვეული განათლებისა და შემოსავლების მქონე “საშუალო ქართველი” გვევლინება არა მხოლოდ, საზოგადოების კულტურული ფასეულობების, ნორმების, ტრადიციებისა და კანონების დამცველად და გამავრცელებლად, არამედ სულიერი დოვლათის მწარმოებელი დარგების (ხელოვნება, კულტურა, სპორტი, მეცნიერება, განათლება) დამფინანსებლადაც, როდესაც საკუთარი მდიდარი სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის იხდის კულტურული მომსახურების საფასურს; 5. **ჯანსაღი თაობის აღზრდის ფუნქცია.** გარკვეული განათლებისა და შემოსავლების მქონე “საშუალო ქართველს” შესაძლებლობა ეძლევა, უკეთ აღზარდოს შთამომავლობა და სწავლისა და ცხოვრების უკეთესი პირობები შეუქმნას; 6. **კომპეტენტური გადაწყვეტილების მიღების ფუნქცია.** გარკვეული განათლების, შემოსავლების მქონე და ეკონომიკურად დამოუკიდებელ “საშუალო ქართველს” მეტი შესაძლებლობა აქვს, არჩევნების დროს მიიღოს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გადაწყვეტილება; 7. **კადრებით მომარაგების ფუნქცია.** უპირატესად საშუალო კლასი აწვდის სხვადასხვა რანგის სახელმწიფო მოხელეებისა და მმართველების კადრებს როგორც სახელმწიფო აპარატს, ისე ბიზნესს; 8. **ადმინისტრაციულ-საშემსრულებლო რეგულატორის ფუნქცია.** სამოქალაქო საზოგადოების თვითრეგულირება ასევე ეფუძნება საშუალო კლასის წარმომადგენელთა აქტივობას. მათ უნდა აკონტროლონ როგორ იღებს სახელმწიფო გადაწყვეტილებებს, როგორ ხდება მათი საკუთრების უფლების დაცვა და მრავალი სხვა.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციების სრული და ეფექტიანი შესრულება ჯეროვნად განათლებულმა და თანამედროვე მსოფლიოს გაცნობილმა საშუალო კლასმა უნდა შეძლოს: სახსრების რაციონალური განთავსება საკუთარი ჯანმრთელობის დაცვასა და განათლების დონის რეგულარულ ამადლებაში სამამულო და მსოფლიო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის მიზნით; დანაზოგების მიღება და მისი ფინანსურ, მატერიალურ და არამატერიალურ აქტივებში ეფექტიანი ინვესტირება; გადასახადების ძირითადი ნაწილის გადახდა და სახელმწიფოს მიერ მის ეფექტიან გამოყენებაზე ქმედითი კონტროლი; უპირატესად არაფიზიკური, მაღალპროფესიული და მაღალანაზღაურებადი სამუშაოების შესრულება; სოციალური ვერტიკალური და

პორიზონტალური პროფესიულ-თანამდებობრივი მობილურობა; არჩევნებისას დამოუკიდებელი და კომპეტენტური გადაწყვეტილების მიღება; სამოქალაქო აქტიურობა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების სტაბილურობისათვის მრძოლა.

ჩამოთვლილ კრიტერიუმებს სრულად პასუხობს ქართული ოჯახების არაუმეტეს 30-35 %-ისა, არადა დასავლური სტანდარტებით ეს მაჩვენებელი 60-70%-ია. ამის ერთ-ერთი მიზეზი, ჩემი აზრით, საანალიზო პრობლემის სათანადო მეცნიერულ დონეზე შეუსწავლულობაცაა. წინამდებარე ნაშრომი სწორედ აღნიშნული სიცარიელის რამდენადმე შევსების ერთ-ერთი მოკრძალებული ცდაა საქართველოში. დავიწყეთ საშუალო კლასის არსითა და გენეზისით.

საშუალო კლასი (middle class) საზოგადოების ნაწილია, რომელსაც, თავისი სტატუსით, საშუალო მდგომარეობა უჭირავს უმაღლეს და დაბალ კლასს შორის. მასში შედის წვრილ და საშუალო მესაკუთრეთა და დასაქმებულ მაღალანაზღაურებად კვალიფიციურ მუშაკთა ფართო ფენა, რომელიც არის დამოუკიდებელი, თვითუზრუნველყოფილი და რომელსაც, ამავდროულად, თავისი წვლილი შეაქვს სახელმწიფოს ფუნქციონირების ფინანსურ უზრუნველყოფაში.

აღსანიშნავია, რომ ცნება – “საშუალო ფენა” პირველად ჯერ კიდევ არისტოტელემ გამოიყენა ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნეში. მისი აზრით, საშუალო კლასი არის სოციალური ფენა, რომელიც მდებარეობს ელიტასა და საზოგადოების ქვედა ფენას შორის. სწორედ არისტოტელემ შემოგვთავაზა იდეა, რომელსაც მეცნიერები დღემდე რეგულარულად იმეორებენ: **რაც უფრო მეტი იქნება რაოდენობრივად საზოგადოების “საშუალო ნაწილი”, მით სტაბილური იქნება თავად საზოგადოება!** ცნებამ – “საშუალო კლასი” ფართო გავრცელება პოვა XX საუკუნეში, რადგანაც სწორედ ამ პერიოდში შეინიშნებოდა მისი მკვეთრი რაოდენობრივი ზრდა. საშუალო კლასის” ამა თუ იმ ასპექტის კვლევით სხვადასხვა დროს“ დაკავებული იყო მაქს ვებერი, ნორმან ელიასი, ლ. უორნერი, დ. გოლდორპი და სხვანი. თვით მარქსისტებიც კი, მიუხედავად მათ მიერ საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურის ბიპოლარული აბსოლუტიზაციისა (პროლეტარიატი-ბურჟუაზია), აღიარებდნენ საშუალო კლასის არსებობას და მას შუალედურ სოციალურ ჯგუფს მიაკუთვნებდნენ.

XX საუკუნის დასაწყისში “საშუალო კლასში” აერთიანებდნენ წვრილ მესაკუთრებსა და მეწარმეებს. მოვიანებით, “მასობრივი კეთილდღეობის საზოგადოების” ფორმირებასთან ერთად, განვითარებულ ქვეყნებში ამაღლდა კვალიფიციური დაქირავებული მუშაკების ცხოვრების დონე, რის ხარჯზეც მნიშვნელოვნად გაფართოვდა საშუალო კლასის წარმომადგენელთა რიცხვი. მასში შევიდნენ ელიტარული, მაღალანაზღაურებადი პროფესიის წარმომადგენლები: უმაღლესი მენეჯერები, ადვოკატები, ბუღალტრები, მეცნიერ-მუშაკები და სხვანი. საშუალო კლასის დონეზე გავიდნენ, ასევე, სავაჭრო აგენტები, საშუალო და უმაღლესი სკოლის პედაგოგები, ექიმები და სხვა მასობრივი პროფესიის წარმომადგენლები, რომლებიც შედარებით ნაკლებს გამოიმუშავებდნენ.

მეცნიერთა შორის მუდმივი დებატების საგანს შეადგენს საშუალო კლასის შეფასების კრიტერიუმები და სტრუქტურა.²⁰ ყველაზე ხშირად ძირითადი კრიტერიუმის როლში ასახელებენ შემოსავლებისა და განათლების დონეს, მატერიალური (მოდრავი და უძრავი ქონება) და ინტელექტუალური საკუთრების ფლობას, ასევე, მაღალკვალიფიციური შრომის უნარს, სოციალურ სტატუსსა და პრესტიჟს. ამ ობიექტური კრიტერიუმების გარდა, საშუალო კლასის განსაზღვრისას იყენებენ ადამიანის თვითიდენტიფიკაციასაც, რომელიც ასრულებს საკონტროლო და არა ძირითადი მეთოდის როლს. **საშუალო კლასის სტრუქტურის დახასიათებისას კი იკვეთება ორგვარი მიდგომა. პირველი მიდგომისას** მეცნიერები საშუალო კლასს განიხილავენ, როგორც ერთგვაროვან წარმონაქმნს. ამასთან, ხაზი ესმება იმ გარემოებას, რომ “საშუალო კლასის” წარმომადგენლებს “დაბალ კლასთან” შედარებით უკეთესი შემოსავალი და შრომის პირობები აქვთ, ხოლო “უმაღლესი კლასის” ადამიანებთან შედარებით მათი პოზიციები უარესია.

შედარებით უფრო გავრცელებულია **მეორე მიდგომა**, რომლის მიხედვითაც “საშუალო კლასი” არაერთგვაროვანია. მაგალითად, თანამედროვე ბრიტანელი სოციოლოგი ენტონ გიდენსი თვით “საშუალო კლასს” შიგნით გამოყოფს ორ ძირითად ჯგუფს.

პირველი ჯგუფი – ეს არის “ბევლი საშუალო კლასი”, რომელიც მოიცავს წვრილ მეწარმეებს და ხასიათდება რაოდენობის ცვალებადობით. თუმცა, მოსახლეობის შემადგენლობაში მისი ხვედრითი წილი რჩება მაღალი. ეს იმით აიხსნება, რომ მუდმივად მიმდინარეობს გაკოტრებული მეწარმეების “თამაშიდან გასვლის პროცესი”, რომელიც წონასწორდება იმ ადამიანთა ახალი ნაკადით, რომელთაც საკუთარი შესაძლებლობების გამოცდის სურვილი აქვთ საკუთარ ბიზნესში.

მეორე ჯგუფი – ეს არის “ახალი საშუალო კლასი”, რომელიც შედგება ინტელექტუალური შრომით დაკავებული მაღალანაზღაურებადი დაქირავებული მუშაკებისაგან. **“ახალი საშუალო კლასის” უმაღლესი ფენა** მოიცავს მენეჯერებს და სპეციალისტებს, რომლებიც დასაქმებულნი არიან მსხვილი ბიზნესის სფეროში. ეს ადამიანები, როგორც წესი, არიან უმაღლესი განათლების მქონე მაღალი კლასის სპეციალისტები. **“ახალი საშუალო კლასის” ქვედა ფენას მიეკუთვნება** ძალიან მრავალფეროვანი ჯგუფი ადამიანებისა (მასწავლებლები, ექიმები, საკანცელარიო მუშაკები და სხვა), რომელიც რიგი პარამეტრების მიხედვით წააგავს მუშათა კლასს.


ზემოთ ჩამოთვლილ ჯგუფებს (კატეგორიებს) შორის მკვეთრად გამოხატული საზღვრები არ არსებობს. მეტიც, მათ შორის შეიმჩნევა ინტენსიური

²⁰ А. Гальчинский. Опасный поворот. «Зеркало недели» 2002, №34; А. Дзюбинский. Развитие малого и среднего бизнеса, как путь формирования среднего класса. М. 2002; Н. Хизматулина. Развитие среднего класса. Казань, 2001 და სხვა.

დიფუზია. ასე მაგალითად, “ძველი საშუალო კლასის” (მესაკუთრეთა კლასის) რაოდენობა განუხრელად მცირდება და, პირიქით, იზრდება “ახალი საშუალო ფენა”. ამჟამად “საშუალო კლასის” უმრავლესობას წარმოადგენენ ადამიანები, რომელთა შემოსავლის ძირითადი წყაროა შრომით შემოსავალი, მაღალი პროფესიული უნარ-ჩვევები და არა კერძო საკუთრების ფლობა, როგორც ეს იყო წინათ.

ჩემი აზრით, საქართველოსთვის დიდაქტიკური მნიშვნელობისაა ის, თუ როგორ გამოიყურება საშუალო კლასი განვითარებულ ქვეყნებში. საანალიზო ქვეყნებში დაბალი კლასი ანუ ღარიბთა ფენა და უმაღლესი კლასი, ანუ მდიდართა ფენა რიცხოვნობით არც ისე დიდია, სამაგიეროდ მაღალრიცხოვანი საშუალო კლასი (იხ. დიაგრამა 1).


დიაგრამა 1



განვითარებულ ქვეყნებში ამჟამად “საშუალო კლასს” მიეკუთვნება მოსახლეობის დაახლოებით 60-70%.

ე.წ. “მესამე სამყაროს ქვეყნებში” კი საზოგადოების სოციალური სტრუქტურა ასეთია: 1. უმაღლესი კლასის ადამიანთა არც ისე დიდი ჯგუფი; 2. საშუალო კლასის წარმომადგენელთა რიცხოვნობით შედარებით დიდი ჯგუფი; 3. მრავალრიცხოვანი დაბალი (ღარიბთა) კლასი (იხ. დიაგრამა 2).

დიაგრამა 2



საშუალო კლასი

ღარიბთა ფენა (კლასი)

ხაზგასასმელია, რომ საშუალო კლასს, რიცხოვნობის შედარებითი სიმცირის გამო, არ შეუძლია მთლიანად შეასრულოს იგივე ფუნქციები, რასაც იგი ასრულებს განვითარებულ ქვეყნებში. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი და, ამავდროულად, შედეგი განვითარებადი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენისა. ყოველ ქვეყანაში “საშუალო კლასი” გარკვეული თავისებურებების მატარებელია. ასე მაგალითად, დასავლეთ ევროპაში “საშუალო კლასისადმი” მიკუთვნება ხდება დანაზოგების არსებობით, აშშ-ში კი – კრედიტის ფართო გამოყენებით. საქმე ისაა, რომ ევროპელი მიჩვეულია ახალი საქონლის შექენას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში თავისი შემოსავლების ნაწილის გადანახვით, ეს მაშინ, როდესაც აშშ-ში მიღებულია საქონლის კრედიტით ყიდვა, რომელიც შემდეგ მრავალი წლის განმავლობაში უნდა დაიფაროს.

განვითარებულ ქვეყნებში “საშუალო კლასს” ძირითადად შეადგენს მეწარმენი, ინტელიგენცია, მოსამსახურეები, შემოქმედებითი პროფესიის წარმომადგენლები და მაღალკვალიფიციური მუშები. ამასთან, **“ქვედა საშუალო კლასში”** შედის კვალიფიციური მუშები. **“საშუალო საშუალო კლასს”** მიეკუთვნება წვრილი მეწარმენი, მოსამსახურეები, მოხელეები და სხვანი, ხოლო **“უმაღლეს საშუალო კლასს”** მიეკუთვნება მმართველები, უმაღლესი დონის მენეჯერები და ხელმძღვანელები, ასევე, ის ადამიანები, რომელთაც მემკვიდრეობით ერგოთ სიმდიდრე. სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში თვით “საშუალო კლასის” შიგნითაც ხდება დაყოფა: ისინი, ვინც მუშაობენ მაღალი ტექნოლოგიების მოწინავე სფეროში (ტერმინი “ახალი საშუალო კლასი” სულ უფრო ხშირად სწორედ ამ “პოსტინდუსტრიული მუშაკების მიმართ” გამოიყენება) და ისინი, ვინც კავშირში არიან “გუშინდელი დღის” ტექნოლოგიებთან. მოსახლეების ამ ჯგუფის შუალედური მდგომარეობა რიგ წინააღმდეგობებს ბადებს. ასე მაგალითად, ზოგიერთი მემარცხენე რადიკალური საზოგადოებათმცოდნის აზრით, “საშუალო კლასი” ერთდროულად გამოდის ექსპლუატირებულის და ექსპლუატატორის როლში: ერთი მხრივ, მას ექსპლუატაციას უწევს მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლები, ხოლო მეორე მხრივ, იგი თავად მონაწილეობს დაქირავებული შრომის ექსპლუატაციაში. თანამედროვე კაპიტალიზმის სხვა კრიტიკოსები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ამჟამინდელ მსოფლიოში “საშუალო კლასის” წარმომადგენლები თავიანთი ცხოვრების დონის ასამაღ-

ლებლად (ან თუნდაც შესანარჩუნებლად), იძულებული ხდებიან, იცხოვრონ მუდმივი სტრესის ატმოსფეროში. რამდენადაც ტრადიციული პროლეტარიატი თანდათანობით კვდება, სოციალისტური იდეების მომხრენი ცდილობენ თავიანთი ძირითადი იმედები დაამყარონ “საშუალო კლასის ამბოხებაზე”. მათი აზრით, ანტიგლობალისტური მოძრაობა სწორედ საშუალო ფენას ემყარება. ლიბერალური წრეები კი, პირიქით, საშუალო კლასს მიიჩნევენ არსებული წყობილების დასაყრდენად.

დასასრულ, გაუმართლებელია “საშუალო კლასის” დაყვანა მის გასტრონომიულ გაგებაზე. “საშუალო კლასი” – ეს მხოლოდ შემოსავლებით, მოხმარების საგნებით, კომფორტული ბინებითა და ავტომობილებით უზრუნველყოფილი საზოგადოების ნაწილი კი არ არის, არამედ ცხოვრების გარკვეული წესი და პოლიტიკური ფენომენიცაა. უნდა გვახსოვდეს, რომ მხოლოდ “საშუალო კლასი” ქმნის სტაბილურ პოლიტიკურ სისტემას კონკურენტული პოლიტიკური პარტიებით, ობიექტური საარჩევნო სისტემითა და თვითრეგულირებადი საზოგადოებრივი ინსტიტუტებით. არასწორია იმის წარმოდგენა, რომ სრულფასოვანი საშუალო კლასის ჩამოყალიბება შესაძლებელია ინერციით. იმისათვის რომ საქართველოს საშუალო კლასმა მოსახლეობის 50-60% მოიცვას აუცილებელია რადიკალური ცვლილებები ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ სფეროში. ამასთან, ჩვენი მიზანია არა უბრალოდ საშუალო კლასის ფორმირება არამედ ის, რომ საქართველო გადავაქციოთ საყოველთაო, მაგრამ დიფერენციული კეთილდღეობის აყვავებულ და თანამედროვე ქვეყნად, სადაც კომფორტული ცხოვრება შეეძლება ყველას: მდიდარსაც და ღარიბსაც და, ბუნებრივია, მთ შორის საშუალო ფენასაც. “საშუალო კლასის” განვითარებულობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებელი კი სწორედ ამ სანუკვარი მიზნისკენ წარმატებული სელის საუკეთესო საშუალება და ინდიკატორია.

ნოდარ ხადური

ლარის, რობორტ ერთაღმართი საბაღამხდლო საშუალების სტატუსის გაუმჯობესის შესახებ შედეგები

საქართველოს ეკონომიკის რეფორმირების პროცესი, რომელიც გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო, დღემდე აბსოლუტურად ურთიერთსაწინააღმდეგო, ურთიერთგამომრიცხავი ნაბიჯებით გრძელდება. შესაბამისად, რეფორმის დასასრულიც, რაც, თავის მხრივ, პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის დასასრულის ინდიკატორი უნდა იყოს, უსასრულოდ იწელება ვადაში.

ერთ-ერთი ასეთი სფერო, რომელშიც რეფორმები რადიკალურად განსხვავებული მიმართულებებით მიმდინარეობს, ფულად-საერედიტო სისტემაა. არადა, სწორედ ისაა ყველაზე მგრძობიარე, და, თავის მხრივ, პროცესების მიმართულების მიმცემი, რადგან ფული უმთავრესი მაკროეკონომიკური ინსტრუმენტია,

რომლის მეშვეობითაც ეკონომიკური პროცესებისათვის სასურველი მიმართულების მიცემა შესაძლებელი.

“ვარდების რეველუციის” შემდგომ პერიოდში საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ეროვნული ვალუტა და ეროვნული ბანკი მნიშვნელოვანი დარტყმების სამიზნე ხდებოდა. ე.წ. “სავალუტო საბჭოს” (ან “სავალუტო ფარის”) წინადადებები მიმოქცევაში ერთდროულად რამდენიმე ვალუტის არსებობის თუ ლარისათვის სულაც “მეორეხარისხოვანი ვალუტის” სტატუსის მინიჭებისა და შემდგომ მისი მიმოქცევიდან საერთოდ ამოღების შესახებ, საკმაოდ მაღალი ტრიბუნლიდან არაერთხელ გაისმა.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ პერიოდში ხელისუფლებამ კატეგორიულად უარყო ლარის მიმართ რაიმე ტიპის საფრთხის არსებობაც კი, პროცესების განვითარება იმის საფუძველს იძლევა, რომ ლარის, როგორც ერთადერთი საგადასხდლო საშუალების, სტატუსს სერიოზული საფრთხე ემუქრება.

ის, რომ ქვეყანაში უკვე არის ზონები, სადაც ოფიციალურად დაშვებულია ე.წ. “მულტისავალუტო რეჟიმი”, იმას ადასტურებს, რომ ხელისუფლება აღნიშნული ექსპერიმენტის შედეგების მთელი ქვეყნის მასშტაბით იმპლემენტირებისათვის ემზადება.

სამწუხაროდ, თუნდაც ამ ერთი ნაბიჯით, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ის მიღწევები, რომლებიც საქართველომ, როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფომ, გადადგა ეკონომიკური რეფორმების გზაზე.

საქართველოში 1995 წელს განხორციელებული ფულის რეფორმის შედეგად ქვეყანამ მოახერხა და რეალურად შეძლო მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური ინსტრუმენტის შემოღება. მიუხედავად ხარვეზებისა, ლარი ასრულებდა და დღემდე ასრულებს ფულის ფუნქციებს და, რაც მთავარია, მას აქვს მოსახლეობის ნდობა.

სამწუხაროდ, ლარს უმძიმესი შემკვიდრეობა დახვდა, რაც, ცხადია, მის მიმართ ნდობაზე დადებითად არ აისახებოდა.

ეროვნული ვალუტის წინამორბედი, კუპონი, მიმოქცევაში ფრიად არაორდინალურ ვითარებაში გამოჩნდა. საქართველოს ხელისუფლება ფაქტის წინაშე აღმოჩნდა, როდესაც რუსეთის ფედერაციამ ფულის ნიშნების მოწოდება შეგვიწყვიტა. შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა, თუნდაც დროებითი ნაბიჯი გადაეღვა და მიმოქცევაში კუპონი გაეშვა, არა როგორც დამოუკიდებელი ვალუტა, არამედ როგორც რუსული რუბლის წარმომადგენელი ბრუნვაში.

მიუხედავად იმისა, რომ კუპონის მიმოქცევაში გაშვება მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო როგორც სახელმწიფოებრიობის მშენებლობის თვალსაზრისით, ასევე ეკონომიკური რეფორმების წარმატებით განხორციელებისათვის, ხელისუფლების სხვადასხვა რგოლის წარმომადგენლებმა კუპონის მიმართ არასერიოზული დამოკიდებულება გამოიჩინეს, რამაც გადამწყვეტი ზეგავლენა იქონია დეველვაციური პროცესის გაძლიერებაზე.

მოსახლეობა უნდობლად შეხვდა კუპონს და ამის ძირითადი მიზეზი არა თავად კუპონი ან საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა იყო, არამედ ისევე ქვეყნის ხელისუფლების სურვილი – „რუბლის ზონაში“ მუდმივი ან დროებითი დარჩენა და კუპონის, როგორც მიმოქცევაში რუსული რუბლის წარმომადგენლის გაშვება.

კუპონი ერთადერთ კანონიერ საგადამხდელო საშუალებად გამოცხადდა არა თავიდანვე, არამედ მხოლოდ მას შემდეგ, რაც რუსეთმა 1993 წლის ივლის-აგვისტოში გაატარა ფულის რეფორმა და ბრუნვიდან ამოიღო ყოფილი საბჭოთა კავშირის მანეთი, რაც ასევე არსებულ რეალობაზე რეაგირების მცდელობა უფრო იყო, ვიდრე გამიზნული მაკროეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება.

ხელისუფლება იძულებული იყო, „ჰაერის ემისიისათვის“ მიემართა, რაც თავისთავად ჰიპერინფლაციის წყარო გახდა. ასეთ პირობებში კუპონი ვეღარ ასრულებდა გადახდის ფუნქციას, რომ აღარაფერი ვთქვათ ღირებულების საზომისა და მით უმეტეს დაგროვების ფუნქციებზე. მიუხედავად კანონით გამყარებული პოზიციებისა, კუპონის ნაცვლად მიმოქცევაში იზრდებოდა რუბლის გამოყენების მასშტაბები, ხოლო თავად რუბლის მსყიდველობითი უნარიანობის ასევე სწრაფი დაცემის პირობებში, საქართველოში იზრდებოდა აშშ დოლარის მოქმედების ასპარეზი. რეალურად, ყველა მეტ-ნაკლებად ძვირფასი საქონლის ფასი, როგორც წესი, მხოლოდ დოლარში ფიქსირდებოდა, ხოლო გადახდა, დოლართან ერთად, შესაძლოა რუბლითაც მომხდარიყო. კუპონი მხოლოდ მეტროპოლიტენით მგზავრობის საფასურის გადახდას და ნორმირებული პურის (ხაზს ვუსვამთ, მხოლოდ ნორმირებული) შექენას უზრუნველყოფდა.

1994 წლის ზაფხულიდან ხელისუფლებამ ქართული კუპონისათვის მოიცა-ლა. ამას ხელი შეუწყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის მზადყოფნამაც – დაეხმაროს ქვეყანას, რომელსაც აქვს საკუთარი ვალუტა და რომლის ხელისუფლებაც ზრუნავს მის განმტკიცებაზე. საქართველოს „რუბლის ზონაში“ ყოფნის შემთხვევაში საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და საქართველოს ურთიერთობა პრაქტიკულად ნულამდე დაყვანილი აღმოჩნდებოდა, რადგან ეს ორგანიზაცია იმუშაებდა არა ჩვენთან, არამედ რუბლის ემიტენტ ქვეყანასთან – რუსეთთან. ამგვარმა მიდგომამ ხელისუფლებაში მყოფ „რუბლის ზონის“ მოტრფი-ალეებს ხელიდან გამოაცალა რუსული რუბლის საგადამხდელო საშუალებად გამოცხადების აუცილებლობის ხმაამაღალი ქადაგების შესაძლებლობა და ხელი შეუწყო ხელისუფლებაში მყოფ იმ ძალებს, რომელთაც თავიდანვე გააზრებული ჰქონდათ, რომ საქართველოს ეკონომიკას მომავალი არ შეიძლებოდა ჰქონოდა საკუთარი ვალუტის გარეშე.

ფულად-საკრედიტო და ფისკალურ სფეროებში რეფორმის წარმატებით განხორციელებამ კეთილსაიმედო ფონი შექმნა საქართველოს სახელმწიფოებრი-ვი დამოუკიდებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ატრიბუტის – ეროვნული ვალუტის შემოდებისათვის, რაც 1995 წლის ოქტომბრიდან წარმატებით განხორ-ციელდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ფულის რეფორმამ არ გაიმეორა ის შეცდომები, რაც დაშვებული იყო ხელისუფლების მხრიდან კუპონის მიმართ. ხელისუფლებამ რეფორმის დროს არ გამოიყენა არავითარი კონფისკაციური ღონისძიება და იგი თავის მიერ გატარებული ეფექტიანი ფულად-საკრედიტო პოლიტიკით წარმოგვიდგა საქართველოს ეროვნული ვალუტის სტაბილურობის გარანტად, რამაც საზოგადოების თვალში ნდობა დაიმსახურა და ლარი სწრაფად დაიკვიდრა, როგორც საყოველთაოდ აღიარებული კანონიერი გაცვლის საშუალება.

ცხადია, გასული 13 წელი არ იყო ხავერდოვანი, განსაკუთრებით კი ლარისათვის. ძალიან მძიმე იყო 1998 წლის შემოდგომა, როდესაც გაცვლითი კურსი კატასტროფულად შემცირდა. ასევე რთული იყო 2004 წლის გაზაფხული, როდესაც კურსი ასევე კატასტროფულად გაიზარდა. მაგრამ, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ლარი ახერხებს ქართულ ბაზრზე დომინირებული მდგომარეობა შეინარჩუნოს. ცხადია, არის სფეროები, სადაც მისი ინტერესები აშკარად შელახულია დოლარის სასარგებლოდ, თუმცა, ასეთი მდგომარეობა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია.

მართლაც და რა მოხდება, თუკი საქართველო უარს იტყვის ლარის დომინანტურ სტატუსზე და შემდგომ საერთოდ გააუქმებს მას?

პირველი საფრთხე – ესაა ნდობის დაკარგვა. თუ ხელისუფლება აღიარებს ლარის პარალელურად ან მასთან შედარებით უკეთეს მდგომარეობაში სხვა ქვეყნის ვალუტას, მაშინ იკარგება ეროვნული ვალუტისადმი ნდობა, ადამიანები იწყებენ ვალუტის თავიდან მოცილებას და, გაცვლითი კურსის დაფიქსირების პირობებშიც კი, ხდება ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის დაცემა (თუნდაც "შავ ბაზარზე"), რაც, საბოლოო ჯამში, ეროვნული ვალუტის განდევნას გამოიწვევს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მიმოქცევაში პარალელური ვალუტის გამოჩენა გამოიწვევს საქონლის გაძვირებას, თუნდაც ფასების დამრგვალების მიზნით.

ამ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს თუ უგულვებელყოფთ, საინტერესოა რა წყაროებით მოხდება თუნდაც ევროს ან დოლარის იმ რაოდენობით ნაღდი ფულის მარაგის შექმნა, რომელიც მათ შეუფერხებელ მიმოქცევას უზრუნველყოფს. ერთადერთი ვარიანტი, რომელიც შესაძლოა განიხილოს, არის აღნიშნული მოცულობის შესაბამისი სახსრების სესხად აღება.

საუკეთესო შემთხვევაში, საქართველოს საგარეო ვალი მხოლოდ ამ მოცულობით (თუ დღეისათვის მიმოქცევაში დაახლოებით 1,5 მლრდ ლარია, ალბათ საჭირო იქნება 1 მლრდ დოლარი ან 700-800 ათასი ევრო მაინც) გაიზრდება, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, სავალალოდ გაუარესებულ სავადამხდელო ბაზანსს, უნდა ვივარაუდოთ, რომ, მიმოქცევაში არსებული ბანკნოტების მკვეთრი დეფიციტის თავიდან აცილების მიზნით, ხელისუფლებას სესხის აღება წლის განმავლობაში რამდენჯერმე მოუწევდა, რაც საქართველოს საგარეო ვალს მკვეთრად, საშიშ ნიშნულამდე გაზრდის.

სავალალო ვალის ზრდის არცთუ ისე უსაფუძვლო საფრთხეს თუ არ განვიხილავთ, მაშინ რეალურად ვდგებით სახელმწიფოს მიერ სავალუტო

პოლიტიკის განუხორციელებლობის საფრთხის წინაშე, ანუ საქართველოს სახელმწიფო დაკარგავს დამოუკიდებლობის ერთ-ერთ ატრიბუტს და, შესაბამისად, ეკონომიკურ დამოუკიდებლობასაც. მხოლოდ ფისკალური პოლიტიკის განხორციელებით ქვეყანა სასურველ შედეგს ვერ მიაღწევს.

ცხადია, დღეს მხოლოდ საქართველო არ არის იმ მდგომარეობაში, რომელსაც არ გააჩნია საკუთარი ვალუტა. ასეთ ქვეყანათა რიცხვში ევროზონის სახელმწიფოები შედიან, სერიოზული მსჯელობის საგანია არაბეთის სრუტის სახელმწიფოთა შორის ანალოგიური სავალუტო სივრცის შექმნის იდეა. თუმცა, ამ ორივე შემთხვევაში სავალუტო კავშირის წევრები მეზობელი სახელმწიფოები არიან და რაც მნიშვნელოვანია, ისინი ამ ნაბიჯამდე ერთიან ეკონომიკურ სივრცეში ათწლეულობით თანაარსებობის შემდეგ მივიდნენ. საქართველოს არც ერთ მეზობელს კი მეტ-ნაკლებად სტაბილური ვალუტა არ გააჩნია (საუბარი არ არის არც ევროზე და არც დოლარზე, ყველაზე უკეთესი სიტუაცია თურქეთშია), შესაბამისად, საფრთხე იმისა, რომ საქართველოდან ეს ვალუტა მეზობელ სახელმწიფოებში გაედინება, ძალიან მაღალია, მით უფრო, რომ ჩვენს პრაქტიკულად ყველა მეზობელთან უარყოფითი სავაჭრო სადღო გვაქვს, ანუ საქართველოდან ყველა ამ ქვეყანაში გაედინება ვალუტა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენს მოსაზრებას, რომ ბანკნოტების მუდმივი დეფიციტის პირობებში ვიქნებით, რაც სახელმწიფო ვალის გაზრდის სერიოზული საფრთხის მატარებელია.

და კიდევ ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი პოლიტიკური საფრთხე. დღეს სერიოზული განხილვის თემაა დსთ წევრ სახელმწიფოებში საერთო ვალუტის შემოღება ან რუსული რუბლისათვის აღნიშნული სტატუსის მინიჭება. იმ ფონზე, როდესაც საქართველოს სახმელეთო საზღვრის უდიდესი ნაწილი დსთ წევრ სახელმწიფოებზე მოდის, ხოლო საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი რუსეთის მიერ არის ანექსირებული და იქ მიმოქცევაში რუსული რუბლია, მულტისავალუტო რეჟიმის პირობებში სავალუტო ანექსიის საფრთხე ძალიან მაღალია.

სამწუხაროდ, ეს არ არის საფრთხეთა სრული ჩამონათვალი, თუმცა მხოლოდ ამ საფრთხეების ჩამოთვლაც კი საკმარისი უნდა იყოს მულტისავალუტო რეჟიმის შემოღების არაეფექტიანობისა და მიუღებლობის დასამტკიცებლად.

ეკონომიკური თეორიის სექცია

**ეკონომიკური ტრანსფორმაციის პრობლემები და პრიორიტეტები
ბარლამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში**

გარდამავალი ეკონომიკების რეფორმირების გამოცდილება გვინვენებს, რომ რიგ ქვეყნებში (მათ შორის საქართველოშიც) ეკონომიკის გარდაქმნის სტრატეგიის წარუმატებლობა მისი შემუშავებისა და განხორციელების პროცესში დაშვებული მნიშვნელოვანი ხარვეზებით იყო განპირობებული. ნებისმიერი სისტემა მხოლოდ მაშინ მუშაობს დაგეგმილი სახით, როდესაც მისი ყველა ელემენტი თავის ადგილზე იმყოფება. სისტემის თუნდაც ერთი ელემენტის გამოჩენის შემთხვევაშიც კი დასახულისგან განსხვავებული მოქმედება მიიღება. ამ კონტექსტში, უნდა ითქვას, რომ საბაზრო ეკონომიკა წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული და ერთმანეთის მხარდამჭერი ინსტიტუტების რთულ სისტემას, რომელიც ხანგრძლივი დროის მანძილზე ყალიბდებოდა.

ეკრძოდ, საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირება დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ეფექტიანად შეუძლია მას საინფორმაციო ხასიათის პრობლემებზე რეაგირება კორპორატიულ მართვასთან, საკონტრაქტო გარიგებების შესრულების სამართლებრივ უზრუნველყოფასა და ქონებრივ უფლებებთან დაკავშირებული სირთულეების ჩათვლით. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ამ პრობლემების გადაჭრაში მნიშვნელოვან როლს შესაბამისი ფორმალური (კანონები, ნორმატიული აქტები, აღმასრულებელი ორგანოები და ა.შ.) და არაფორმალური (სოციალური ნორმები და ორგანიზაციული კაპიტალი) ინსტიტუტები ასრულებენ²¹. ეს ინსტიტუტები უზრუნველყოფენ ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებას ინფორმაციის ასიმეტრიულობის შედეგად წარმოქმნილ პრობლემებთან დაკავშირებული გარიგებების ხარჯების შემცირების გზით. თავის მხრივ, ეს ასტიმულირებს ინვესტიციებს, ხელს უწყობს ეკონომიკური სუბიექტების სამეწარმეო აქტივობას, ინოვაციებს და მათი საქმიანობის პროდუქტიულობის ზრდას.

საქართველოში და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ბევრ სხვა ქვეყანაში არასრული ან უსისტემო ტრანსფორმაციის შედეგად შექმნილი გარემო, ეკონომიკური სუბიექტების პროდუქტიული საქმიანობების მხარდაჭერის ნაცვლად, ხელს უწყობდა “რენტაზე ორიენტირებულ” ქცევას და ბიზნესის წარმოების “მტაცებლური” საშუალებების გამოყენებას. ეს მოიცავს ზოგიერთი ბიზნესის გაგლეხას სახელმწიფო პოლიტიკაზე, სამართლებრივ აქტებზე, ნორმებსა და რეგულირების პრინციპებზე უპირატესი პირობების შექმნის მიზნით. მაგალითად, გარდამავალ ეკონომიკებში მოქმედ გაგლეხიან ფირმებს, რომლებიც ახორციელებენ “მტაცებლურ” პოლიტიკას, შეუძლიათ მიიღონ უპირატესობები სუბსი-

²¹ World Bank (2001). *World Development Report 2002: Building Institutions for Markets*. The World Bank, Washington DC.

დიების, საგადასახადო შეღავათების ან ელექტროენერჯის და სხვა გამოყენებული რესურსების გადასახადებისგან გათავისუფლების, კონკურენტებისთვის ბაზარზე შესვლის დაბრკოლებების შექმნის და სხვა მსგავსი ხერხებით. ბიზნესის წარმოების ასეთმა პრაქტიკამ, რომელიც აკადემიურ ლიტერატურაში “სახელმწიფოს დატყვევების” სახელით მოიხსენიება, უარყოფითად იმოქმედა საბაზრო მექანიზმების ფუნქციონირების ეფექტიანობაზე და, მთლიანობაში, ცალკეული ქვეყნების ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებზე²².

ამდენად, გადასვლის პროცესის წარმატების განმსაზღვრელ ძირითად ამოცანას სათანადო ინსტიტუციური მოწყობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ტრანსფორმირების სტრატეგია, რომელიც ჩაურევლობის (laissez-faire) დაშვებაზე დაფუძნებული, გულისხმობდა, რომ ინსტიტუციური მოწყობის უზრუნველყოფა, სახელმწიფოს ნაცვლად, საბაზრო ძალებით უნდა მომხდარიყო, თუმცა, სინამდვილეში, ეს ასე არ არის. შემავსებელი საბაზრო ინსტიტუტების მზადყოფნის უზრუნველყოფაში მნიშვნელოვან როლს სწორედ სახელმწიფო თამაშობს. ამიტომ, საბაზრო ეკონომიკის სისტემური ხასიათის არასწორად გააზრებასთან ერთად, ეკონომიკური ტრანსფორმაციის წარუმატებლობის არანაკლებ მნიშვნელოვან მიზეზს ამ პროცესში სახელმწიფოს როლის დაკნინება წარმოადგენდა.

სახელმწიფოს როლის ხაზგასმისას, ჩვენ არ ვგულისხმობთ მის ზომებს ან თუნდაც სიძლიერეს. როგორც ზოგიერთი გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნის გამოცდილება მიუთითებს, ეკონომიკური განვითარება შეიძლება შეფერხდეს როგორც სუსტ, ასევე ძლიერ ქვეყნებში²³. აუცილებელია არა მარტო სახელმწიფო ძალაუფლების გაზრდა, არამედ უფრო ხელისუფლების ეფექტიანი რესტრუქტურირება და სახელმწიფო პოლიტიკის ხარისხის გაუმჯობესება. ეფექტური რესტრუქტურირება უნდა უზრუნველყოფდეს სახელმწიფოს თავშეკავებას ჭარბი და გადაამანაწილებელი რეგულირებისა და ქონებრივ უფლებებში ჩარევისგან.

ამგვარი რესტრუქტურირების ძირითად ელემენტებს ქმნის სათანადოდ დაფუძნებული ქმედითი და დამოუკიდებელი სამართლებლივი სისტემა და მწყობრივი სამართლებლივი გარემო, რომელშიც ქონებრივი და საკონტრაქტო უფლებების დაცული და ამოქმედებადია. აქ ძალზე მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება ქონებრივი უფლებები სამართლებლივად განხორციელების ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობაზე. მაგალითისთვის, სახელმწიფომ შესაძლოა უზრუნველყოს ამგვარი დაცულობა მხოლოდ საზოგადოების ვიწრო წრისთვის, რომელიც “ელიტის” სახელით არის ცნობილი. თუმცა, ეს ნიშნავს,

²² World Bank (2000). *Anticorruption in Transition: A Contribution to the Policy Debate*. The World Bank, Washington, D.C.

²³ Rapaczynski A. (1996). “The Role of the State and the Market in Establishing Property Rights”, *Journal of Economic Perspectives*, Vol. 10., N2 (Spring): pp. 87-103.

რომ ინვესტირების შესაძლებლობების მქონე უამრავი, ელიტის მიღმა დარჩენილი ეკონომიკური სუბიექტი ვერ შეძლებს აღნიშნული შესაძლებლობების წარმატებით გამოყენებას. გამართულად დადგენილი ქონებრივი უფლებების არარსებობა ხელს უშლის ეკონომიკური სუბიექტების საინვესტიციო და ინოვაციური საქმიანობების წახალისებას და არ აძლევს უამრავ ადამიანს საშუალებას, მიიღოს საბაზრო ეკონომიკით განპირობებული ბევრი სიკეთე. თავის მხრივ, ეს შეუძლებელს ხდის ეკონომიკის მდგრად ზრდას და განვითარებას. გარდამავალი ქვეყნების გამოცდილება უჩვენებს, რომ სახელმწიფოს უნარი, უზრუნველყოს კანონის წინაშე თანასწორობა და თანაბარ პირობებში ჩააყენოს საზოგადოებაში მოქმედი ყველა ეკონომიკური სუბიექტი, ეკონომიკური განვითარების კუთხით წარმატებული და წარუმატებელი ქვეყნების ძირითად განმასხვავებელ ფაქტორს წარმოადგენს.

ამიტომ, თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის მიზნით, სასამართლო სისტემა უნდა იყოს არა მარტო ეფექტური (სწრაფი ქმედების, ხარჯების, სამართლიანობის და ხელმისაწვდომობის კუთხით), არამედ ასევე – დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ხელისუფლებისგან. იგი უნდა უზრუნველყოფდეს ადმინისტრაციული შტოს თვითნებური გადაწყვეტილებების შეხლუღვას და დაბალანსებას და აიძულებდეს მას კანონის დაცვას.

ბესიკ ბოლქვაძე

**საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის
კოორდინაცია და ინფლაცია**

ეკონომიკის ეფექტიანი სახელმწიფოებრივი რეგულირებისთვის კარდინალური მნიშვნელობა აქვს საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სწორ კოორდინაციას და ფისკალური და მონეტარული მექანიზმების სინქრონულ და დაბალანსებულ გამოყენებას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ურთიერთკოორდინაციის აუცილებლობას, საფინანსო და საბანკო სისტემების მჭიდრო ურთიერთკავშირის აქტუალობას ამა თუ იმ ასპექტით (ძირითადად ინფლაციის რეგულირების ჭრილში) ეხება როგორც ქართველ, ასევე უცხოელ მეცნიერ-ეკონომისტთა შრომები და პუბლიკაციები.²⁴

²⁴ რამ გამოიწვია ერთდროულად ლარის გამყარება და ინფლაცია? ინტერვიუ პროფ. ვ. პაპავასთან, ჟურნ. „აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები“, 2007, №10, გვ.12; გ. გამსახურდია. საქართველოს საფინანსო პოლიტიკის ძირითადი პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბ., 1995, გვ.29; რ. კაკულია. საბიუჯეტო პოლიტიკა – სახელმწიფოს თვითრეალიზაციის საფუძველი. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2008, №4, გვ.33; ი. მესხია. ანტიინფლაციური რეგულირებისა და პროგნოზირების კონცეპტუალური საფუძვლები საქართველოში. ჟურნ. „ბანკი“, 2003, №1-2, გვ.17-21; რ. ასათიანი. საით მიჰყავართ რეფორმებს? (ეკონომიკის

აღსანიშნავია, რომ, საქართველოს პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში, საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის კურსების ოპტიმალურ ურთიერთკოორდინაციას ართულებს ფაქტორთა მთელი კომპლექსი, რომელთაგანაც შეიძლება გამოვყოთ შემდეგი: 1. წარმატებული ანტიინფლაციური შედეგების უზრუნველსაყოფად არ არსებობს აუცილებელი სოციალური პირობები და წანამდგრები უმუშევრობის ნიველირების ასპექტით, ვინაიდან ქვეყანაში არ ფუნქციონირებს შრომის ბაზრის განვითარებული ინფრასტრუქტურა, რაც ამცირებს ანტიინფლაციური ეფექტების ხანგრძლივადიანი პერსპექტივის შესაძლებლობას. ამასთან ერთად, დასაქმების დონეზე უარყოფითად აისახება ქვეყნის არახელსაყრელი საქსპორტო-საიმპორტო სასაქონლო სტრუქტურა. კერძოდ, ქვეყნიდან ძირითადად პირველადი გადამამუშავების პროდუქციის ექსპორტირებისა და საბოლოო პროდუქციის იმპორტირების არასუსურველი ტენდენცია ცალსახად მიუთითებს აღნიშნულ სეგმენტში საშუალო ადგილების შექმნის დაბალ მობილურობაზე; 2. თანამედროვე პირობებში სუსტია ქვეყნის საბანკო სისტემისა და ეკონომიკის რეალური სექტორის ურთიერთკავშირი. აღნიშნულს განაპირობებს ის გარემოება, რომ, ფისკალურისაგან განსხვავებით, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარების ინტერესებისა და პასუხისმგებლობის სფეროში არ შედის ეკონომიკის რეალური სექტორის მთხოვნილებებზე ზრუნვა; 3. ეკონომიკის მაღალი დოლარიზაციის პირობებში ქვეყნის საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო სისტემები ეყრდნობა

რეფორმირების ალტერნატიული სტრატეგია). ჟურნ. „ეკონომიკა“, 2004, №4, გვ.5-14; მ. გველეხიანი. ეკონომიკის თბ., 2000, გვ.132-134; ინფლაციის გაკონტროლება შეიძლება. ინტერვიუ პროფ. ი. კოჭანაძესთან, გაზ. „ბანკები და ფინანსები“, 2006, №10 (134), გვ.14, 42; ი. მანაგაძე. ინფლაციური ტარგეტირება, როგორც მონეტარული პოლიტიკის ახალი მიმართულება. ჟურნ. „ეკონომიკა“, 2003, №12, გვ.9, 13; მ. გოგოხია. მონეტარული თეორია და პოლიტიკა. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2008, №4, გვ.55, 58; დ. გორხელიძე. საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის თანამედროვე პრობლემები. თბ., 2003, გვ.164; დ. კვარაცხელია. ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის პრიორიტეტები საქართველოში. გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკური განვითარება: გამოწვევები და შესაძლებლობები, შრომების კრებული, თბ., 2008, გვ.314; Самуэльсон П. Экономика. Т1. Пер. с англ., М., 1992, с.301, 308, 315; Хансен Э. Денежная теория и Финансовая политика. Пер. с англ., М., 2006, с.228; Моисеев С.Р. Денежно-кредитная политика: теория и практика. М., 2005, с.210-211; Сенчагов В. Стратегия государственной денежно-кредитной и бюджетно-налоговой политики России. Журн. „Вопросы экономики“, 1997, №6, с.56-66; Кregel Я., Мацнер Э., Грабер Г. Рыночный шок. Пер. с англ., Вена, 1992, с.86-95; Курс экономической теорий. Под ред. А. В. Сидоровича, М., 1997, с.349; Инфляция и валютная политика. Экономическая экспертная группа. Журн. „Вопросы экономики“, М., 2003, №12, с.41; Бокарева Л. Факторы инфляции. Журн. „Экономист“, 1996, №2, с.83-87; Beddies C. H. Monetary Policy and Public Finances: Inflation in a new Perspective. IMF Working Papers, 1999, №29, p.13-14;

ფულის მიმოქცევის შერეულ სისტემას, რაც ეკონომიკური სუბიექტების ეროვნული ვალუტისადმი დაბალი ნდობის პირობებში ამცირებს საფინანსო-ეკონომიკური პოლიტიკის რეალურ ქმედუნარიანობას; 4. ხშირ შემთხვევაში ერთმანეთს დაცილებულია საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის კონცეპტუალური საფუძვლების – ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტისა და ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შედგენის ვადები, რაც აფერხებს საკოორდინაციო მექანიზმის ეფექტიან ფუნქციონირებას.

აღსანიშნავია, რომ ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის კოორდინაცია მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს ეფექტიანი და პოზიტიური შედეგის მომტანი, როცა გამოირიცხება მათი ურთიერთხემოქმედებისა და ურთიერთხელოვნის უარყოფითი ეფექტები. ამ თვალსაზრისით, საზოგადოების კეთილდღეობის ამადლების მიზნით, მნიშვნელოვანია ეროვნული ბანკის მიერ ოპტიმალური ინფლაციური დონის მიღწევა წარმოების ზრდის აუცილებლობის გათვალისწინებით.²⁵ შევნიშნავთ, რომ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის პოზიტიური შედეგების მიღწევა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც მასზე არ ახდენს უარყოფით ზეგავლენას ფისკალური პოლიტიკა, რაც გულისხმობს შემდეგს: 1. მთავრობისადმი ეროვნული ბანკის სესხები უნდა იყოს მაქსიმალურად მცირე ან, საუკეთესო შემთხვევაში, ნულის ტოლი (რაც მიღწეულია საქართველოს ეკონომიკაში 2005 წლიდან); 2. აუცილებელია შიდა ფინანსური ბაზარი იყოს იმდენად განვითარებული, რომ, საჭიროების შემთხვევაში, შეძლოს სახელმწიფო ვალდებულებათა დამატებითი ემისიის „ათვისება“.²⁶ აღნიშნულის პარალელურად, თვით ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგებიც, საბოლოო ჯამში, უნდა აისახოს ბიუჯეტის შემოსავლების ზრდაში და არა ეკონომიკის წარმოებითი პოტენციალის გამოყენებისაგან მოწყვეტით ეროვნული ვალუტის კურსის ხელოვნურ განმტკიცებაში.

ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მჭიდრო და ორგანულ ურთიერთკავშირზე მნიშვნელოვანადაა დამოკიდებული რეალური ერთობლივი შიდა პროდუქტის ზრდის მყარი ტემპები, ფასებისა და დასაქმების დონე, ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის ინტენსიურობა და ა.შ. მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც საფრთხეს უქმნის ეკონომიკური ზრდის მდგრად ტემპებს ქვეყანაში, არის ინფლაცია მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკის მონეტიზაციის დონე უკანასკნელ პერიოდში ქვეყანაში შედარებით დაბალია. ამასთან, ნებისმიერი პოზიტიური ეკონომიკური მოვლენა – პირდაპირი ინვესტიციები, პრივატიზაცია თუ ბიუჯეტში გადასახადების მზარდი მობილიზება, ფულის მასის მკვეთრ მატებასთან არის

²⁵ Beddies C. H. Monetary Policy and Public Finances: Inflation in a new Perspective. IMF Working Papers, 1999, №29, p. 13-14.

²⁶ მანაგაძე ი. ინფლაციური ტარგეტირება, როგორც მონეტარული პოლიტიკის ახალი მიმართულება. ჟურნ. „ეკონომიკა“, 2003, №12, გვ. 9.

დაკავშირებული და საფრთხეს უქმნის ფასების სტაბილურობას. ეკონომიკაზე ინფლაციური ზეწოლის შერბილებისათვის კარდინალური მნიშვნელობა აქვს, ერთი მხრივ, დეფიციტური ბიუჯეტიდან რეალურ პროფიციტურ ბიუჯეტზე გადასვლას და, მეორე მხრივ, ბიუჯეტის ხარჯვით სტრუქტურაში არამწარმოებლური ხარჯების მინიმუმამდე დაყვანას, ვინაიდან „ქვეყანაში რეალური სექტორის კუთხით შეფასებული არამწარმოებლური ხარჯების დონე მნიშვნელოვნად და დაუსაბუთებლად მაღალია, ანუ საზოგადოებრივ სამუშაოთა მასშტაბი იმდენადაა გაზრდილი, რომ მათ დასაფინანსებლად გამოყოფილი ხარჯები რეალურ სექტორზე მხოლოდ გრძელვადიან პერიოდში თუ მოახდენს ზეგავლენას, მოკლევადიან პერიოდში კი ისინი არა მხოლოდ დასაქმების მცირედ ზრდას, არამედ ინფლაციის ზრდასაც უწყობენ ხელს.“²⁷ ამასთან ერთად, ანტიინფლაციური ეფექტების ხანგრძლივადიანი უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვნად მიგვანჩნია, გატარდეს გრძელვადიანი ფულადი პოლიტიკა, როგორც ანტიინფლაციური სტრატეგიის შემადგენელი ნაწილი. კერძოდ, ფულის მასის ყოველწლიურ მატებაზე მნიშვნელოვანია დაწესდეს მკაცრი კონტროლი და მოხდეს სარეზერვო ფულის რაციონალური ზრდა ისე, რომ მასზე ნეგატიურ ზეგავლენას არ ახდენდეს საინვესტიციო აქტიურობის კლება, უმუშევრობის დონის ზრდა, სავაჭრო დისბალანსი და სხვა მკვეთრი მაკროეკონომიკური რყევებით გამოწვეული ფაქტორები.

ინფლაცია, როგორც თავისი იმანენტური ბუნებით რთული და მრავალგანზომილებიანი მოვლენა, როგორც ცნობილია, შეიძლება პროვოცირებული იყოს მთელი რიგი ფაქტორებით, რომლებიც ფისკალურ-მონეტარული კოორდინაციის თავისებურებების გათვალისწინებით შეიძლება შემდგენიარად დავაჯგუფოთ: 1. მონეტარული ფაქტორები (ეროვნული ბანკის მხრიდან ფულად-საკრედიტო ბერკეტების მოუქნელი და არაადეკვატური გამოყენება და ინფლაციის გამომწვევი ფულადი აგრეგატების მკვეთრი ზრდა მიმოქცევაში); 2. ფისკალური ფაქტორები (ბიუჯეტის მაღალი დეფიციტურობა და საბიუჯეტო ხარჯების ზეწოლით ინფლაციური ფონის გაძლიერება); 3. სხვა დანარჩენი ფაქტორები (ეგზოგენური, ასევე ენდოგენური, მაგრამ ბიუჯეტის ზეგავლენისაგან დამოუკიდებლად მოქმედი დეტერმინანტები).

მნიშვნელოვანია შევნიშნოთ, რომ ზემოაღნიშნული ფაქტორები, ინფლაციაზე ზემოქმედების ხარისხის თვალსაზრისით, ხასიათდება მაღალი პეტეროგენულობით იმაზე დამოკიდებულებით, თუ: ა) როგორი ტიპის მონეტარული, ფისკალური და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა ტარდება ქვეყანაში; ბ) რა გავლენას ახდენს თითოეული მათგანი ინფლაციის პროვოცირებაზე დროითი ლაგის შედეგიანობის თვალსაზრისით. ინფლაციის გამომწვევი ფაქტორების ამგვარი კლასიფიკაცია საშუალებას იძლევა, დავინახოთ ერთი მნიშვნელოვანი და ძირეული წინააღმდეგობა, რაც წარმოიშობა ეკონომიკური პოლიტიკის

²⁷ პაპავა, ვ. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ავტორიტეტის დეველპაციის შესახებ. გაზ. „ბანკები და ფინანსები“, 2006, №9, გვ. 7.

გატარების დროს. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ქვეყანაში ინფლაციის მაღალი დონის პირობებში, საბანკო კანონმდებლობის მიხედვით, პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს ეროვნულ ბანკს, ინფლაციის მკვეთრად გამოხატული ფონი კი ქვეყანაში შეიძლება შექმნილი და გამოწვეული იყოს როგორც ეროვნული ბანკის, ასევე მისგან დამოუკიდებლად მოქმედი ფაქტორებით, მათ შორის, ფისკალური დეტერმინანტებითაც, რაც პრაქტიკაში, ხშირ შემთხვევაში, ფინანსთა სამინისტროსა და ეროვნული ბანკის ინტერესების დაპირისპირებისა და „ურთიერთბრალდებების“ საფუძველი ხდება, რაც, თავის მხრივ, ამცირებს გატარებული საფინანსო-ეკონომიკის პოლიტიკის მარგი ქმედების კოეფიციენტს. სწორედ ზემოაღნიშნულმა გარემოებამ უნდა უბიძგოს ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის გამტარებლებს – დროისა და ეკონომიკური კონიუნქტურის შესაბამისად, ქმედითი ბერეკეტების ადეკვატური გამოყენებითა და ურთიერთსინქრონული მოქმედებებით უზრუნველყონ ფულადი ნაკადების ისეთი ზომიერი გამტარუნარიანობა, რომელიც ხელს შეუწყობს საქმიანი აქტიურობის მაღალ და მზარდ ტემპებს ეკონომიკაში, რაც, ჩვენი აზრით, მხოლოდ საფინანსო-ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებს შორის ინფლაციაზე პასუხისმგებლობის ოპტიმალური გადანაწილების შემთხვევაშია შესაძლებელი.

საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო სისტემების ფუნქციონირებასა და მათ ურთიერთკავშირზე დიდ ზეგავლენას ახდენს ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები და, პირიქით, შეინიშნება ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის არაერთგვაროვანი ზემოქმედება ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის წონასწორობაზე. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ საქართველოს საგაჭრო ბალანსი (როგორც საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის საკვანძო ელემენტი) უკანასკნელი წლების განმავლობაში ხასიათდება დეფიციტის მაღალი ტემპებით (იმპორტი 4-ჯერ სჭარბობს ექსპორტს), რასაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, განაპირობებს, ერთი მხრივ, საბიუჯეტო ხარჯების მზარდი ტემპებით ზრდის შესაბამისად იმპორტისადმი მომხმარებელთა მაღალი ზღვრული მიდრეკილება და, მეორე მხრივ, უკანასკნელ წლებში არსებული სავალუტო-საკურსო პოლიტიკის პირობებში ეროვნული ვალუტის მყარ ვალუტასთან მიმართებით გამყარების მზარდი ტენდენციები. კერძოდ, ეროვნული ვალუტის რევალვაციას მყარი ვალუტის მიმართ ჰქონდა მცოცავი ხასიათი. კერძოდ, 2002-2007 წლებში აშშ დოლარის მიმართ განხორციელდა ლარის 23,8 პროცენტითი გამყარება, რაც სხვადასხვა ფაქტორებით იყო დეტერმინირებული, რომელთაგანაც შეიძლება გამოვეყოთ: 1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მზარდი ნაკადების შემოდინება (2002 წლიდან 2006 წლამდე ერთობლივი შიდა პროდუქტის მოცულობის მიმართ პუი-ს ხვედრითი წონა გაიზარდა 4,9 პროცენტიდან 14,7 პროცენტამდე); 2. უცხოელი სუბიექტების მონაწილეობით განხორციელებული მსხვილმასშტაბიანი საპროვატიზაციო პროცესი; 3. საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების მიერ განხორციელებული ფულადი გზაწინაღობები ქვეყანაში (2002 წლიდან

2006 წლამდე 5,7-ჯერ გაიზარდა საბანკო არხებით განხორციელებული მსგავსი ფულადი ნაკადები); 4. ეკონომიკის ლეგალიზაცია და გასულ პერიოდებთან შედარებით საფინანსო დისციპლინის გამყარება. სავალუტო კურსზე განსაკუთრებით ძლიერმოქმედ ფაქტორს უცხოური ინვესტიციების მზარდი ტემპები განაპირობებს. ლარის ზედმეტად გამყარების თავიდან აცილების მიზნით (ექსპორტზე ნეგატიური ზეგავლენის გასანეიტრალებლად), ეროვნული ბანკი ახორციელებდა უცხოური ვალუტის პერმანენტულ შესყიდვებს (რაც სავალუტო რეზერვების ზრდის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს), რითაც, თავის მხრივ, ხელს უწყობდა ქვეყანაში ინფლაციური ფონის რამდენადმე გაძლიერებას. ე.ი. ახდენდა რა სავალუტო რევეების ნიველირებას, ასტიმულირებდა ინფლაციურ ზეწოლას. სწორედ მსგავსი მექანიზმის მუშაობის დროს უნდა გამოვლინდეს ფისკალურ-მონეტარული კოორდინაციის აუცილებლობა, კერძოდ, ინფლაციური ზეწოლის ნიველირების მიზნით, ეროვნულ ბანკთან ფინანსთა სამინისტროს სინქრონული მოქმედებებით ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი არამწარმოებლური ხარჯების შემცირება. მსგავსი ტიპის მაკროეკონომიკური კონიუნქტურის პირობებში, სავალუტო და ინფლაციური რევეების თავიდან აცილების და ეფექტიანი ფისკალურ-მონეტარული კოორდინაციის მიზნით ცნობილი უნდა იყოს: 1. თუ რა მასშტაბების უცხოური ფულადი ნაკადების შემოსვლაა მოსალოდნელი, ე.ი. მნიშვნელოვანია სწორი და ზუსტი პროგნოზირება; 2. ის არამწარმოებლური სახელმწიფო ხარჯები, რომელთა დაფინანსებისაგან თავს შეიკავებს ბიუჯეტი დროის განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში. მსგავსი სავალუტო-საბიუჯეტო სინქრონიზაცია მსგავს შემთხვევებში მინიმუმამდე დაიყვანს საკურსო და საფასო რევეებს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც მაკროეკონომიკური სტაბილურობის, ასევე მიკროეკონომიკური სუბიექტების ქცევებისა და ფუნქციონირების მდგრადობის უზრუნველყოფისათვის.

ამრიგად, საქართველოს პოსტკომუნისტურ გარდამავალ პერიოდში საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის საკოორდინაციო მექანიზმის პერმანენტული სრულყოფა ხელს შეუწყობს ქვეყანაში ინფლაციური პროცესების გონივრულ რეგულირებას და მაკროეკონომიკური წონასწორობის მიღწევა-შენარჩუნებას.

მერაბ გველესიანი

**ეკონომიკური კრიზისი: თეორია და რეალობა,
პარადიგმა და პარადოქსები**

ეკონომიკურ ატმოსფეროს, რომელშიც დღეს მსოფლიო ცხოვრობს, უპირანია გლობალური დაბნეულობის ატმოსფერო ვუწოდოთ. როგორც ყოველი კრიზისის დროს, იგი დღესაც „ჟანგბადის“ – ფულის – შიმშილს განიცდის. ფული არ გამჭრალა და ვერც გაქრებოდა, იგი მხოლოდ მიიმაღა რეზერვუარებში. რატომ ჩერდება ფული? და რატომ ჩერდება წარმოება? ამ ორიდან

რომელი „რატომ“ არის პირველადი? ჯ. მ. კეინსის მიხედვით – პირველი, სინამდვილეში – უფრო მეორე: ფული დაემალა არაეფექტიან გამოყენებას, განერდა იმიტომ, რომ წარმოების ფაქტორთა ზღვრული ეფექტიანობა დაეცა და ზღვრულმა დანახარჯებმა (MC), მაკროეკონომიკური გაგებით, გადააშტაბა ფასს (P). $MC > P$ უფრო ზოგადად შეიძლება ჩაიწეროს, როგორც $MC > MU$, რამდენადაც ფასს პროდუქტის ზღვრული სარგებლიანობა განსაზღვრავს. ეს უტოლობები ეკონომიკის იმ მდგომარეობას ასახავს, რომელშიც იგი გაჯერებულია კაპიტალით და ახალი (წმინდა) ინვესტიცია მასში ვეღარ შეემა მანამ, სანამ ახალ, არსებულ მიჯნებზე უფრო მაღალ ტექნოლოგიას არ დაემყარება.

თუ ეს ასეა, მაშინ მთავრობის ძალისხმევა ეკონომიკის იმ შინაგანი იმპულსების ამოქმედება-გაძლიერებაზე უნდა მიიმართოს, რომლებიც ეფექტიანობას გაზრდის. ლიტერატურაში ამის საწინააღმდეგო აზრი და საბუთი არ მოიძევა, მაგრამ არ მოიძევა არც კეინსის თეორიის არსობრივი კრიტიკა და არც მისი შემცველი სრულყოფილი თეორია, რომელიც ანტიკრიზისულ პოლიტიკას მისცემდა სწორ გზას. იმიტომ მთავრობები, ინერციით, კვლავ ინიექციის მეთოდს მიმართავენ „ხანძრის ჩასაქრობად“ – ცდილობენ, გაკოტრებისგან გადაარჩინონ არა მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები (აბა ამ სიმრავლიდან თითოეულის მდგომარეობას როგორ შეისწავლიან და როგორ აღმოუჩენენ დახმარებას!), არამედ მსხვილი კორპორაციები, მათ შორის ისინი, რომელთა საქმიანობაც დიდ ნაწილში უსარგებლოა საზოგადოებისათვის. „ხანძარსაწინააღმდეგო“ ეფექტს შედარებით თანაბრად ანაწილებს იაფი ფულისა (იაფი კრედიტისა) და დაბევრის შემსუბუქების პოლიტიკა, სადაც კი ან ერთი ხორციელდება, ან მეორე და ან – ორივე ერთად, მაგრამ, სწორედ იმიტომ, ისინი უფრო მეტად არიან განურჩევლნი იმის მიმართ, რა ხორციეტი უნდა მოცილოს ეკონომიკამ რომ კრიზისიდან საღი სხეულით გამოვიდეს.

მეცნიერება მოვალეა, შექმნას კრიზისის პროგნოზირების, პრევენციისა და მკურნალობის მეთოდ-მექანიზმები, მათ შორის ისინი, რომლებიც საერთოდაც და, მით უფრო, კრიზისულ ვითარებაში შეძლებენ ადამიანთა მობილიზებას და მათი ინტერესებისა და ენერჯის მიმართვას საჭირო მიმართულებებზე. ვალების ჩამოწერისა და ინიექციის „მექანიზმს“ ამის საპირისპირო ეფექტი აქვს – იგი აძლიერებს სახელმწიფოს მოიმედებას, ადუნებს ეკონომიკას. სახელმწიფოს დასახმარებლად დღეს ის კორპორაციებიც ხომ მიმართავენ, რომელთა პრეზიდენტები ოცჯერ და ორმოცჯერ მეტ ხელფასს იღებენ, ვიდრე მათი ქვეყნის პრეზიდენტები, არც ვიღების გაყიდვას აპირებენ და არც კორპორაციის ნაკლებადკონკურენტუნარიანი რგოლების გაუქმებას.

კრიზისის გაჭიანურებასა და მისი შემდგომი განვითარების პროგნოზირების გაძნელებაში ლომის წილი სწორედ ასეთ სახელმწიფო პოლიტიკას უდევს. შევადაროთ მოვლენების დღევანდელი განვითარება კლასიკური ციკლის სქემას. კრიზისი ყოველთვის ფულად სექტორში, როგორც წესი, საბანკო პანიკით იწყებოდა და ერთბაშად ედებოდა მთელ ეკონომიკას, მაღევე ჩერდებოდა

და ადგილს უთმობდა დეპრესიული (დათრგუნული) მდგომარეობის მიძიმე ფაზას, რომელიც „ჩეკა“ ზრდის „წერტილებს“. მიზეზთა და მიზეზთა გამო ეს წერტილები მოგვიანებით იწვევდა რეალურ ზრდას, მათ შორის იმის გამო, რომ ეკონომიკას ჯერ საბოლოოდ უნდა „ჩამოეფერთხა“ ყოველივე, რასაც კი სიძველის სუნი უდიოდა – გაეწოვა დაგროვილი ჭარბი საქონელი და გაეწია რესურსების ეკონომია. დღეს კრიზისი სხვაგვარად განვითარდა. ფინანსური კრიზისი ცალკე ფაზად გამოიყო (და, სანამ რეალურ სექტორშიც დაიწყებოდა დაცემა, თავსატეხი გაუჩინა მეცნიერებს იმის თაობაზე, ფინანსურია ეს კრიზისი თუ ეკონომიკური), კარგა ხნის შემდეგ დარია ხელი წარმოებას და, მესამე წელი მიდის და, „ძირი“ („ფსკერი“) არ გამოსჩენია, არც ზრდის წერტილები გამოკვეთილა. კრიზისის მიზეზების სწორ გაგებას აძნელებს ეკონომიკის ვირტუალიზაცია და ფინანსური კრიზისების მოხშირება. მეცნიერთა ყურადღება გადადის მეორად ფაქტორებზე, რომლებიც უდაოდ ასრულებენ მზარდ როლს სიძნელეების წარმოშობაში და ამით ეჭვქვეშ აყენებენ თვით თანამედროვე ეკონომიკური სისტემის ქმედითობას. ეს სისტემა დღეს სხვაგვარია და საუკუნის წინ სხვაგვარი იყო, ციკლურ ვარდნებსაც თავთავისი სხვადასხვაგვარი ზედაპირული მიზეზები აქვს, მაგრამ პირველმიზეზი მათთვის ყველასთვის საერთოა და ეს პირველმიზეზი გახსნილი არ არის. სანამ გაიხსნებოდა, წყლის ნაყვია საუბარი ეკონომიკაში სისტემური ცვლილებების აუცილებლობაზე, ფორმებსა და მიმართულებებზე.

გასული საუკუნის 30–60-იან წლებში მეცნიერებამ აიტაცა ჯ. კეინის თეორია და ჭეშმარიტებად მიიჩნია მისი ამოსავალი დებულებები, შემდეგ კი მდგომარეობა შეიცვალა. ათიოდე წლის წინ პოლ ჰენინე წერდა, რომ „წინა თაობისგან განსხვავებით, დღევანდელი ეკონომისტები უფრო ნაკლებად არიან დარწმუნებულნი იმაში, რომ სწორად აცნობიერებენ ერთობლივი რყევების მიზეზებს“. სამწუხაროდ, ომის შემდგომი რყევების შედარებითმა სისუსტემ მოაღუნა მეცნიერების ყურადღება და წარმოშვა შემთანხმებლური მიდრეკილებები. ეს აისახა ჯ. სტიგლიცის წიგნში – „საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა“, სადაც დაფიქსირებულია, რომ კეინსელებმა და მათმა მოწინააღმდეგეებმა კონსენსუსს მიაღწიეს – ზოგ ცალკეულ შემთხვევაში უმუშევრობის მიზეზად არაეფექტიანი მოთხოვნა მიიჩნიეს, ზოგში კი – ხელფასის გადამეტებული ზრდა. მსგავს კონსენსუსებს „ჭაობის სიმწვიდე“ შემოაქვს მეცნიერებაში (რაზეც ვწერდი 2004 წლის №3 ჟურნ. „კომენტარში“). ბოლო წელიწადმა შეცვალა დამოკიდებულება, კონცეფციების წვიმა წამოვიდა და კონსენსუსიც უკვალოდ გაქრა.

მიმდინარე კრიზისმა უფრო გამოკვეთა არაეფექტიანი მოთხოვნის კეინისეული თეორიის ნაკლოვანება. კრიზისის „სამშობლოში“ – აშშ-ში – ადამიანები ისე გააღალა კარგმა ცხოვრებამ და კიდევ უფრო უკეთესის მოლოდინმა, რომ – „ძირითადი ფსიქოლოგიური კანონის“ საპირისპიროდ – დაზოგვას ისინი პრაქტიკულად სულ შეეშენენ, ხოლო უკიდურესად გაიზარდა მათი მიდრეკილება კრედიტისადმი, ანუ ვალით ცხოვრებისადმი, რაც სხვა არაფერია, თუ

არა არჩევანი მომავალი შემოსავლის ხარჯზე დღევანდელი მოხმარების სასარგებლოდ. საბანკო სექტორის მესვეურებსაც მეტი რა უნდოდათ, ნახეს დრო კრედიტების გასაზრდელად; ხოლო **post factum**, მთავრობისგან ადმინისტრაციული სასჯელი აიკიდეს.

შეცდომა დაუშვეს? მსგავს შეცდომებს, ეგებ უარესსაც, ისინი უშვებდნენ წარსულშიც, ყოველი ბუმის დროს, რომელსაც მათთვის თავდაპირველად ფანტასტიური მოგება მოაქვს. განა „მათ თავზე წაკითხულ სახარებას“ შეუძლია მათი შეჩერება? საჭიროა პრევენციული მექანიზმები, აშშ-ს მთავრობამ კი, პირიქით, თავიდან ხელშემწყობი გარემო შექმნა. მისმა მონეტარულმა – მონეტარისტულ სულისკეთებას სრულიად მოკლებულმა – ზომებმა, დოლარის ექსპანსიაზე გამიზნულმა ჭარბმა ემისიამ, ხელი შეუწყო კრიზისის ვირუსის გავრცელებასაც მსოფლიოში. ასე რომ, „დიდ დამნაშავეს“ თუ ეძებ, იმათ შორის უნდა ეძებო, ვინც „პატარები“ დასაჯა.

კრიზისების ზოგად თეორიას ეს ნაკლებად აინტერესებს. მისთვის უფრო მნიშვნელოვანია საკითხი, საჭიროა და სასარგებლოა თუ არა მოდელი, რომელშიც მზარდი დანაზოგების მზარდი ნაწილი გამოუყენებელი რჩება და ამით მაკროეკონომიკური წონასწორობა ირღვევა. ვთვლი, რომ ამ ფაქტორის წამოწვევა კეინსის უდავო დამსახურებაა მრავალ სხვა დამსახურებას შორის, რომელთაც გაამდიდრეს თეორია და პოლიტიკა. მაგრამ თეორიამ და პოლიტიკამ უნდა გაითვალისწინონ ისიც, რომ იმ სიტუაციებშიც კი, რომლებშიც ამ ფაქტორის ძალა მნიშვნელოვანია, რეალურად იგი ვერ გამოიწვევს კრიზისს. რატომ? იმიტომ, რომ მის საწინააღმდეგოდ მოქმედებს ფაქტორთა მთელი წყება, რომელთაგან თითოეული ცალკე აღებულიც კი გადასწონის მას. აქედან განსაკუთრებული მნიშვნელობისაა წმინდა ინვესტიციების ეფექტი. კეინსისეული მულტიპლიკატორის ჯაჭვს რეალურ დარგთაშორის კავშირებში რომ გავაყოლოთ თვალი, ვნახავთ, რომ რომელიღაც რგოლში წარმოქმნილ მოთხოვნას მიწოდება კვალში ვერ ჩაუდგება თავისი არაელასტიკურობის (ნაკლები ელასტიკურობის) გამო, ეს წარმოქმნის რესურსების დეფიციტს და იწვევს ფასების ზრდას. სანამ ეკონომიკაში წმინდა ინვესტიციები ხორციელდება, ერთობლივი მიწოდება მისდევს და ვერ ეწევა ერთობლივ მოთხოვნას, ხოლო, როცა წმინდა ინვესტიციები ქრება, ეს იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკა უკვე კრიზისულია. მაშასადამე, პირველმიზეზი იმაში უნდა ვეძიოთ, რაც ინვესტიციების კლებას იწვევს ანუ მათი ეფექტიანობის დაცემაში. კეინსი არ უარყოფს ინვესტიციების ეფექტიანობის დაცემას, ოღონდ, ხაზს უსვამს, რომ კაპიტალის მომგებიანი დაბანდება მაშინაც არის შესაძლებელი, როდესაც ეკონომიკა კრიზისის ზღურბლზე დგას. აქ თვით კეინსი მიადგა ზღურბლს, რომლის მიღმა ციკლის საიდუმლო იმალება, ოღონდ, არ შეადო კარი და უკან გაბრუნდა – საიდუმლო ახსნა დანაზოგების გადამტებით ინვესტიციებზე. შემოსავალ-დანაზოგის მოდელის მსგავსად, დანაზოგ-ინვესტიციების მოდელიც რეალურად მუშაობს, ოღონდ, მას შემდეგ, რაც ინვესტიციები იწვევს კლებას საკუთარი შინაგანი, რეალური ღირებულების ძალით, მანამდე კი ორმხრივი კავშირი რეალობაში მათ

შორის არ არსებობს: აღმავლობის ფაზა თავისუფალ ფულს მაქსიმალურად გამოდევნის რეზერვუარებიდან და სასწაულებრივად აჩქარებს მის ბრუნვას.

კრიზისის კეინსისეული ასხნა ფსიქოლოგიურ ასხნებს მიეკუთვნება. ეს იმიტომ კი არაა ასე, რომ მის ქვაკუთხედს „ძირითადი ფსიქოლოგიური კანონი“ წარმოადგენს (ადამიანის ყოველი გადაწყვეტილება ნებელობით-ფსიქოლოგიური ფორმისაა, მათ შორი მიდრეკილებები დაზოგვისა და მოხმარებისაკენ, ოღონდ ამ ფორმას საფუძვლად რაციონალური გადაწყვეტილების მიღებისაკენ ობიექტური სწრაფვა უდევს), არამედ იმიტომ, რომ ავტორმა ინვესტიციების კლება ასხნა სუბიექტური ფაქტორით – მეწარმეთა არასწორი გათვლებით, მათი შიშით განსახორციელებელი ინვესტიციების შესაძლო ზარალიანობის შესახებ (ამას მრავალჯოის იმეორებს თავისი „დასაქმების, სარგებლისა და ფულის ზოგადი თეორიის“ 22-ე თავში). ასეც რომ იყოს – კრიზისი მანამდე რომ იწყებოდეს, სანამ ეკონომიკა მთლიანად გაჯერდება კაპიტალით, – მაინც გაჯერებაა, მასთან მიახლოებაა კრიზისის დაწყების მიზეზი და შიშებსა და პანიკას მხოლოდ კატალიზატორის როლის შესარულება შეუძლია. მაგრამ ეს რომ კეინსს ეთქვა, მისი თეორია აღარც იქნებოდა მოთხოვნის თეორია. ქვემოთ ვნახავთ, რა საფუძველი აქვს მის სწრაფვას მოთხოვნის სფეროსაკენ და რა მნიშვნელობას იძენს ეს სწრაფვა ციკლის თეორიის პარადიგმაში. მოთხოვნის ზრდამ, მათ შორის სპეკულაციურმა, რომელიც დღევანდელი კრიზისის უშუალო მიზეზი გახდა, მხოლოდ კეინსის შეცდომა დაადასტურა, თორემ ვერ გაახუნა მისი თეორია.

სპეკულაციამ დღეს ეკონომიკის „ქვესენელიდან გამოიხმო“ აქამდე არნახული დამანგრეველი ძალები. ოღონდ, ეს „ქვესენელი“ რეალური ეკონომიკაა, რომელშიც უნდა ვეძიოთ პირველმიზეზი, მრავალი ავტორი კი მას თვით სპეკულაციაში ეძებს და ასეთ მიზეზად ასახელებს რეფლექსიას, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ადამიანთა მოლოდინის „აგორება“ საკუთარ მოლოდინისავე საფუძველზე. ავიწყდება გაარკვიოს, საიდან განჩნდა ეს საფუძველი – თავადპირველი მოლოდინი.

რეფლექსია ყოველთვის იყო სასაქონლო ბაზრების ატრიბუტიც და ასეთად რჩება დღესაც. ვისაც თავისუფალი ფული აქვს, ინფლაციური ქარიშხლის მოლოდინისას საქონელს იმარაგებს. ამით იქმნება დეფიციტი და ფასებიც უფრო სწრაფად იზრდება. ეს პროცესი განსაკუთრებული ძალით ვითარდება აქციებისა და დერივატივების ბაზრებზე და უფრო ხანგრძლივი დროით ხდება შეუქცევადი, რადგან ფინანსური სფერო მხოლოდ „ბეწვის ხიდიოდა“ უკავშირდება რეალურ ეკონომიკას. ამ ბაზრებზე „გაბერილი ბუშტები“ არ აისახებიან ინფლაციის მაჩვენებლებში – ისინი ხომ პირდაპირ არ ზემოქმედებენ სამომხმარებლო კალათსა და, საერთოდ, საქონელთა ფასებზე. ისინი თითქოს საერთოდაც სწყდებიან რეალურ სექტორს: ვინც აქციის მეიდველებს სააქციო საზოგადოებაში იწყევს, ხშირად იღებს პასუხს – „რა მიინდა მიინდა, არ მჭირდება თქვენი დივიდენდები“. არადა საბოლოოდ მაინც რეალურ მოგებასა და დივიდენდებზეა მიბმული საფონდო ინდექსი. ისინი რომ ეცემოდეს, რეფლექსია უკუმიმართულებით განვითარდებოდა, ინდექსი მათ გადაასწრებდა დაცემაში და

კიდევ ხდება ხოლმე ასე, მისი უშუალო მიზეზიც რეალურ სექტორშია და ეს არის ინვესტორთა გაზვიადებული შიში შესაძლო ზარალის თაობაზე, რომელზეც ჯ. კეინსი საუბრობს. ნათელია, რომ როცა ინდექსი ეცემა, ეცემა იმ კომპანიების აქციათა ფასი, რომლებიც ინარჩუნებენ და ზრდიან კიდევ წარმოებასა და დაივიდნენდებს, ხოლო როცა ინდექსი იზრდება, იზრდება იმ კომპანიების აქციათა ფასიც, რომელთა მდგომარეობა უარესდება (თუკი იგი კრიტიკულ ზღვრამდე არაა მისული). ეს წინააღმდეგობრივი პროცესები მხოლოდ აწესრიგებს აქციათა ფასების თანაფარდობას.

აქციები და დერივატივები თავიანთი ბუნებით კატაკლიზმების წყარო კი არაა, არამედ, უწინარესად, ბაზრის მოქნილობის ინსტრუმენტები და მცდარია აზრი, თითქოს მათ თავიანთი ბუნება შეიცვალეს. საზოგადოება მოვალეა მხოლოდ მათი მარეგულირებელი მექანიზმები შექმნას, თუმცა რაოდენ კარგიც არ უნდა შექმნას ამით იგი ვერ გააჩერებს კრიზისის პირველმიზეზს, რომელიც ფულად სექტორში არ ძეგს.

თუ ერთმანეთს შევედარებთ კრიზისების ორ ფსიქოლოგიურ ახსნას – სადღეისოდ მოძალეზულს, მეორად სექტორში განვითარებული რეფლექსიით, და კეინსისეულს, პირველად სექტორში განვითარებული იმავე მიზეზით, აშკარად გამოჩნდება უკანასკნელის უპირატესობა. ვერ ვიტყვით, რომ პირველი ახსნა არ ზრდის მეცნიერული ცოდნის მარაგს, მაგრამ მისი ვექტორი ჭეშმარიტებისაკენ არარის მიმართული. კრიზისის გამოწვევა ფინანსური ბუშტების სკლამსაც შეუძლია, მაგრამ ეკონომიკა სწრაფად მოიცვლება მას, თუ თვითონ, შინაგანად, არ არის მისი მუხტის მატარებელი (და ასეთი კრიზისი ვერც ჩაითვლება ციკლურად). რაც შეეხება ინვესტორების შიშს, რომელსაც ინვესტიციების ეფექტიანობის კლება იწვევს, იგი ეკონომიკაში კრიზისული მუხტის განენას ასახავს. მართალია, კეინსმა უშუალოდ ამ ფაქტორებით კი არ ახსნა კრიზისი, არამედ დაუკავშირა იგი დანაზოგების განერებას, მაგრამ, როგორც ვთქვი, ესეც არის რეალურ ეკონომიკურ კონიუნქტურაზე ზემოქმედი ფაქტორი. ამრიგად, კეინსის თეორია კი არ გვაშორებს ჭეშმარიტებას, არამედ გვაახლოვებს იმიტომ, რომ იგი რეალური სექტორის რეალური კავშირების ლოგიკურ ანალიზს შეიცავს.

რეფლექსიურობის თეორია (რომელიც, როგორც თეორია, პირველად ჯ. სოროსმა ჩამოაყალიბა წიგნში „ფინანსების ალქიმია“) მხოლოდ უფრო ნათლად გვიხსნათებს იმ მიზეზობრივ კავშირებს, რაც დიდი ხნით ადრე იყო ცნობილი ჯერ კიდევ კლასიკური ციკლის ხანაში მისი აღმავლობის ფაზის ანალიზიდან. რეფლექსიის როლი მაშინაც დიდი იყო სპეკულაციის, ფასებისა და, შედეგად, მიწოდების გადამეტებულ ზრდაში. თუმცა, მაშინ არ იყო დერივატივების, შედარებით ადრეულ ეტაპზე კი – არც აქციების ბაზარი.

აღმავლობის ასეთი გაგება საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ საბაზრო-კაპიტალისტური ეკონომიკა კრიზისულია უკვე აღმავლობის ფაზის ბოლო მონაკვეთზე, როდესაც იგი პიკს უახლოვდება, აგრეთვე გვაძლევს იმის გასაღებს, რომ კრიზისული ელემენტები ვეძიოთ თანამედროვე ეკონომიკის მოძრაობის ყოველ მონაკვეთზე. ფასები ხომ დღეს პერმანენტულად იზრდება და ეს

რეფლექსიას აძლიერებს ფულად სექტორში, რომლის მასშტაბებმა მრავალჯობის გადაამეტა რეალურისას. და მართლაც, ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი პარადოქსი ის არის, რომ ციკლის ფაზები ერთმანეთში შეითქვიფა და ეკონომიკა კრიზისული ელემენტების პერმანენტული მატარებელი გახდა. ამის დამადასტურებელი ნიშნებია: 1. უმუშევრობის მაღალი დონე. 1974 წლის დასაწყისში განვითარებულ ქვეყნებში სულ 6,6 მლნ უმუშევარი იყო, 1974-75 წწ. კრიზისმა ეს ციფრი 15 მლნ-მდე გაზარდა, ბოლო ხანებში კი მაღალი კონიუნქტურის შემთხვევაშიც იქ უფრო მეტი უმუშევარი იყო. ხოლო გამოუყენებელი რესურსების არსებობა იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ რესურსების გამოყენება მომგებიანად ვერ ხერხდება; 2. რიგითი მუშაკების (ვინც არავის უფროსი არ არის) რეალური ხელფასის ნელი, მაგრამ პერმანენტული დაცემა. აქვე შეიძლება დავუმატოთ საშუალო კლასის განღვევა მისი უდიდესი ნაწილის შემოსავლის კლების შედეგად; 3. ინფლაცია. იგი შეიძლება განაპირობოს ფულადი სექტორის მოვლენებმაც, ოღონდ, მკაცრი მონეტარული პოლიტიკის პირობებში, როდესაც ფულის მასის ნაზრდი და, საერთოდ, ფულის მასის მზარდი ნაწილი სწორედ ამ სექტორში „გარბის“ (ხოლო, როგორც ითქვა, სტატისტიკა არ, ან, ყოველ შემთხვევაში, ნაკლებად ასახავს ამ სექტორში ფასების ზრდას ინფლაციის მაჩვენებელში), აღნიშნული ფაქტორების მნიშვნელოვანი ზემოქმედება ხანგრძლივ პერიოდში უნდა გამოვრიცხოთ. 80-იანი წლებიდან მიმდინარეობს უპირატესად მიწოდების, უფრო სწორად კი – დანახარჯების, ინფლაცია, რომელიც შეიცავს კრიზისული მუხტების შენიღბვის, მათი აფეთქების გადავადების მექანიზმს, რადგან მომგებიანობის ილუზიას უქმნის წარმოების უკვე ზარალიან რგოლებს. რა თქმა უნდა, მათი დამალვის მექანიზმს უფრო მეტად შეიცავს საფინანსო ბაზრების ფასების ზრდა.

თანამედროვე მოვლენების თავისებურებები და მათ შორის ფაზების შეთქვეფა არათუ არ ამცირებს, არამედ ზრდის ძველი, კლასიკური ციკლის ანალიზის მნიშვნელობას, რადგან დღესაც იგივე ტიპური სიტუაციები იქმნება, რაც მაშინ და ისინი ასევე ტიპურ იმპულსებს წარმოშობენ. მხოლოდ მათი ფორმების კალეიდოსკოპურმა ცვლილებამ გახადა ისინი ძნელად ამოსაცნობი. მაგალითად, ფული დღესაც გადის მიმოქცევიდან, აშშ-ში კი – ამის საწინააღმდეგო („სამკურნალო“) სამთავრობო პოლიტიკის შედეგად – შუაგულ კრიზისის დროს სარგებლის ნორმა დაეცა, რაც სულაც არ წარმოშობს სად იმპულსებს, პირიქით, ისევე, როგორც ინიექციები, აქეზებს საზოგადოების (თუნდაც მისი ნაწილის) გადამეტებულ მომხმარებლურ მიდრეკილებას (აძნელებს ამ მიდრეკილების დათმობას, მის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულების გამოუმუშავებას). კლასიკური ციკლის ხანაში ფული მხოლოდ კრიზისის ფაზაში კი არ იყო ძვირი, არამედ დეპრესიისა და გამოცოცხლების ფაზებშიც და ამ უკანასკნელში თანადთან იაფდებოდა. ციკლის ორფაზიანი დაყოფისგან განსხვავებით, გამოცოცხლების ფაზას იმიტომ აქვს უფლება, გამოიყოს ცალკე და დადგეს აღმავლობის წინ, რომ სწორი არ არის აღმავლობა დავარქვათ ისეთ განვითარებას, რომელსაც ამუხრუჭებს ფულის შეფარდებითი სიძვირე ახალი

ტექნოლოგიების ასევე შეფარდებით სიძვირესთან ერთად. ნამდვილი აღმავლობა შეიძლება დაიწყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ ღირებულებათა წონასწორობა სახეზე საქონელთა დანარჩენი მასის ღირებულებასთან მიმართებაში და იწყება მათი შემდგომი ფარდობითი გაიაფების პროცესი.

ამ თეორიულ სიახლეს აქვს როგორც მეთოდოლოგიური, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა. ასეთივე მნიშვნელობა აქვს იმას, რომ კრიზისის პირველმიზეზის ფორმალიზაცია მოვახდინოთ არა $MC>P$ -ს სახით, არამედ $MC>MU$ –ს სახით. როგორც უფრო ზოგადი ფორმულა, იგი ვერ თავსდება საბაზრო სისტემის ფარგლებში, აფართოებს ეკონომიკური ციკლის ხედვას, საშუალებას გვაძლევს კაცობრიობის მთელი ისტორია განვიხილოთ, როგორც ციკლურ პროცესთა კასკადი.²⁸

საბოლოოდ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, იგი საშუალებას გვაძლევს დავინახოთ კრიზისის პირველმიზეზი მიწოდებისა და მოთხოვნის, დანახარჯებისა და სარგებლიანობის წინააღმდეგობრივ ერთიანობაში. ფორმულაში $MC>P$ ზღვრული დანახარჯი უპირისპირდება ფასს, რომელსაც, მართლია, ზღვრული სარგებლიანობა განსაზღვრავს, მაგრამ – განსაზღვრავს დანახარჯების თანხლები ზემოქმედებით, ხოლო ფორმულაში $MC>MU$ სარგებლიანობა „გაშიშვლებულია“ და „გვაიძულებს“ მხარი არ ავუქციოთ.

ამ კუთხით სრულიად სხვაგვარად ჩანს ჯ. მ. კეინის მცდელობა, გაბრუნდეს კარიდან, რომლის უკან საბაზრო-კაპიტალისტური ციკლის საიდუმლო იმალება და ეს საიდუმლო მოთხოვნის ფაქტორებში ეძებოს. მოთხოვნა ხომ სარგებლიანობის საბაზრო ანარეკლია. ადლო არ დალატობს კეინს, სინამდვილეში იგი ზურგს აქცევს კრიზისის ერთ ცალმხრივ გაგებას და მიდის მეორისაკენ. სხვა საქმეა, რომ ეს მეორე გაგება ასევე (ან, თუნდაც, ნაკლებად) ცალმხრივია და რომ მისკენ იგი მიდის ასევე ცალმხრივი ლოგიკით, რომელიც სრულად ვერ ასახავს რეალობას.

ერთ მოხსენებაში „შეუძლებელია ყველა აუცილებელ „კუთხესა“ და „მისაქცევში მიაქციო“ მოსაზრებები კრიზისის პირველმიზეზის თაობაზე. დებულებები, რომლებიც ათას ასეთ ბრუნვაშია მოქცეული და ათასი კუთხითაა

²⁸ როცა ადამიანმა მიწათმოქმედებას მიჰყო ხელი და შეატყო, რომ დროთა განმავლობაში მიწა იფიტებოდა და იძულებული იყო გადასულიყო ახალზე, შეეცვალა სამოსახლოც, ეს იყო „მისი“ ეკონომიკური კრიზისი. ციკლი რამდენადმე გახანგრძლივდა, როცა ადამიანმა დაიწყო ტყეების გადაწვა, რათა მიწის ნაყოფიერება აქმაღლებინა, მაგრამ, საბოლოოდ, იმავე პრობლემას აწყდებოდა მანამ, სანამ მიწის მოვლა არ ისწავლა. დღესივე ამპრობლემას მოულოდნელად აღარ აწყდება, მაგრამ ცხადია, პრობლემა დარჩა.

მსგავსი მოვლენების ანალიზი დღევანდელ კრიზისზე საუბრისას მსმენელს ვეკებ ანაქრონიზმადაც მოეჩვენოს (და ასე მოხდა კიდევ ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიაში ა.წ. 28 მარტს, როდესაც კრიზისის მიზეზებზე ჩემს მოხსენებას ერთმა მსმენელმა „ძველ ამბებზე“ საუბარი უწოდა). მაგრამ ახალი ძველზეა ნაშენი, აწმყო – წარსულზე და, როგორც დიდი ილია გვაწავლის, მის გარეშე გაუგებარია და გამოუცნობი.

დანახულ-აწონილი, გადაიქცევა პარადიგმად, თუ მათი განფენა ხდება თეორიულ ჩარჩო-სისტემაში (პარადიგმას ჩვეულებრივ მიიჩნევენ ნიმუშად. მართლაც, ასეთი ნიმუშები იყო პლატონისეური იდეალური ფორმები. მაგრამ, დროთა განმავლობაში, ამ ცნების შინაარსობრივი დატვირთვა გაიზარდა და მასში დღეს უფრო ხშირად გულისხმობენ საგნის მთელ ჩარჩო-სტრუქტურას). როდესაც ასეთ სისტემაშია (მოდელშია) განფენილი და „ბრუნვებში“ მოქცეული, პარადიგმა აღარც არის დებულებების უბრალო ერთიანობა, იგი უკვე ზოგადი თეორიაა იმ სისტემის შესახებ, რომელიც მისი გადასახედიდან არის დანახული გარკვეული მეცნიერული პრინციპით. ასეთი პარადიგმა ეკონომიკური კრიზისისა და ციკლის თეორიას ჯერჯერობით არ გააჩნია.

აქვს თუ არა იგი ეკონომიკის, ანუ საბაზრო ეკონომიკის თეორიას? ადამ სმიტისეული დებულება „უჩინარი ხელის“ შესახებ არ იყო პარადიგმა, სანამ სისტემაში არ მოექცა, თუმცა იმთავითვე შეიცავდა ამ შესაძლებლობას. ხოლო სისტემაში მოექცა მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთქმედების თაობაზე ზოგადი დებულებების ჩამოყალიბების შემდეგ, რასაც საუკუნეზე მეტი დასჭირდა და რამაც ალფრედ მარშალის ნაშრომებში („მარშალის ჯვარში“) პოვა გაფორმება. ეკონომიკის (მისი ნაწილები – შრომის, კაპიტალის, სარგებლისა და სხვა თეორიები) მთლიანად მოთხოვნა-მიწოდების პრინციპზეა აგებული. სწორედ ამიტომ ვერ გამოენახა არასაბზრო ელემენტებს – უწინარესად, გარეუფექტებს საზოგადოებრივი სიკეთეების ჩათვლით, – რომლებიც ამ პრინციპს „ეურნეობან“, ეკონომიკაში მკვიდრი ადგილი.

თუ საბაზრო ეკონომიკის თეორიას, ასე თუ ისე, აქვს თავისი პარადიგმა, იგივე პარადიგმა ვერ მოერგო და ვერც მოერგებოდა ციკლის თეორიას, რომელიც, ამიტომ, ჭეშმარიტ თეორიად ჯერ ვერც ჩაითვლება. როგორც საზოგადოებრივი სიკეთეების თეორიისათვის, მისთვისაც აუცილებელია გასცდეს ეკონომიკის საბაზრო ჩარჩოებს. ჯერჯერობით კი იგი ვერ სცილდება მოთხოვნა-მიწოდების ანალიზს, საიდუმლოს ეძებს იმაში, მიწოდება უსწრებს მოთხოვნას თუ მოთხოვნა ჩამორჩება მიწოდებას. ეს ანალიზი აქედან ხან ზედაპირული ფაქტორებისკენ იბრუნებს პირს და ხან კი – ზღვრული დანახარჯებისაკენ (ზღვრულ სარგებლიანობას კი გვერდს უქცევს). საჭირო კია სწორედ დანახარჯებისა და სარგებლიანობის თანაფარდობით დავიწყეთ. მაშასადამე, მეთოდის ხინჯებშია სიმნელის წყარო, თორემ განა ზღვრული დანახარჯების ზრდისა და სარგებლიანობის კლების კანონები XIX საუკუნიდან არაა ცნობილი?

ამ ზოგადმეთოდოლოგიური ფუნდამენტიდან უნდა დაიწონ თავიანთი კონცეფციების კორექცია ან თავიდან შენება კრიზისის მკვლევარებმაც, რომლებიც ჯერჯერობით ჭაპანს ცალ-ცალკე ეწევიან.

მხოლოდ ამის შემდეგ არის უპრიანი გავარკვიოთ მსოფლიოში კრიზისის გავრცელების, ქვენიდან ქვეყანაზე მის გადაცემის მექანიზმები, რომლებიც, საკუთარი პარადოქსულობის ძალით, ბევრ პარადოქსულ ახსნას წარმოშობენ. ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი ამ საკითხისათვის, ცნობილი მიზეზების გამო,

ქართულ პოლიტიკურ სპექტრს არ სცალია, ამ გაგანია კრიზისის უამს ხელისუფლება „ოპიზობანასაც“ კი თამაშობს, მსოფლიო საზოგადოებრიობის კრიზისული დაბნეულობა მას ჯერ არც შეუგრძენია და ამ დროს ეკონომიკა უფსკრულისკენ დაექანა ისევე, როგორც 90-იანი წლების პირველ ნახევარში. რითაა ეს განპირობებული? მსოფლიო კრიზისის ტალღით თუ შინა მიზეზებით? ან, საერთოდ, შესაძლებელია თუ არა ამ ტალღის აცილება? პარადიგმის უქონლობის გამო ამ კითხვებს უპასუხოდ დაგტოვებ და მხოლოდ მათ შესახებ შედარებით ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად აღენიშნავ შემდეგ ასპექტებს.

კაპიტალისთვის დღეს საზღვრები არ არსებობს, იგი თავისუფლად დანავარდობს, მიდის მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში, სადაც კი მოგება ეგულება. ეგულება კი იგი საქართველოში?

კრიზისმა ჩვენთან დაბადა შიში, რომ ინვესტიციები, განსაკუთრებით კერძო ინვესტიციები, ნაკლებად შემოვა. ეს არ არის უსაფუძვლო შიში, მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს, რომ სადაც კი ინვესტორს ვნახავთ და როგორც კი ვნახავთ, ყველა მაშინვე მოვიპატიოთ?

განვითარებული ეკონომიკის გაჯერება კაპიტალით, ზღვრული დანახარჯების ზარალიანობა და მიმოქცევიდან ფულის გადინება არ ნიშნავს იმას, რომ იქ მოგებას არ იღებენ და საინვესტიციო რესურსი ელევათ, პირიქით, ეს ნიშნავს წარმოების დიდ მასშტაბს, იმას, რომ მოგებას დიდი ოდენობით იღებენ წარმოების „არაზღვრული“, უკეთეს პირობებში მომუშავე რეალეები, რომ საინვესტიციო რესურსი გამოუყენებელი რჩება და თუ ხელსაყრელი ეკონომიკური სივრცე ნახა, სიამოვნებით მიაშურებს მას. მის ამ სწრაფვას ვერ გადასწონის ის, რომ კრიზისი ანგრევს განვითარებული ეკონომიკის ნაწილს და ამ ნაწილში, მეტ-ნაკლებად, ითხოვს ინვესტიციების გამოყენებას.

მეორე მხრივ, სუსტად განვითარებული ეკონომიკის სიძნელებები, მისი მაღალი დანახარჯები არ ნიშნავს იმას, რომ აქ ზღვრული დანახარჯებია მაღალი. ამ ეკონომიკის ასეთი კრიზისი არ არის ციკლური კრიზისი, არ არის გამოწვეული კაპიტალის მიერ ეკონომიკის გაჯერებით. ზღვრულია არა მაინცდამაინც ყველაზე მაღალი, არამედ დამატებითი დანახარჯი, რომელმაც შეიძლება მოიტანოს მაღალი მოგება თუ უახლესი ტექნოლოგიების მატარებელი ინოვაციური ინვესტიცია განხორციელდა.

საქართველო, ტექნოლოგიურად, ქვეყნების ყველაზე ჩამორჩენილ ჯგუფს მიეკუთვნება. ამიტომ არის სამამულო საქონელი ძვირი და არაკონკურენტუნარიანი. რა თქმა უნდა, ეს სამწუხაროა, მაგრამ ამავე დროს ნიშნავს ინვესტირების დიდი სივრცის არსებობას, მით უფრო, რომ აქ საკმაოდ არის კარგი ხარისხის შრომითი რესურსები. ხოლო თუ კარგი ხარისხის ინვესტიციები არ შემოდის, როგორც ჩანს, მსოფლიო კრიზისზე მეტად ამას სხვა გარემოებები უშლის ხელს.

ძალიან მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, რა გავლენას ახდენს ჩვენს კრიზისულ ეკონომიკაზე (რომელიც, როგორც ვთვლი, არ „ზის“ მსოფლიო ეკონო-

მიკურ ციკლში) საშუალო ხარისხის უცხოური ინვესტიციები – აუმჯობესებენ მის მდგომარეობას თუ, პირიქით, ამძიმებენ.

ლია დვალისი

**უმუშევრობა – აქტუალური პრობლემა
ბარდამაშვილი ქვეყნებისათვის**

დადებითი მომენტი, თუ შეიძლება ასე ითქვას, რითაც ერთგვარი გამართლება ჰქონდა წინა, სოციალისტურ პოლიტიკურ-ეკონომიკურ სისტემას, იყო უმუშევრობის მისპობა. რა თქმა უნდა, შრომის ანაზღაურება, როგორც ყოფილ საბჭოთა კავშირში, ასევე სხვა ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში, დასაყვანის ქვეყნებთან შედარებით, ძალზე დაბალი იყო, მაგრამ ადამიანს ხვალინდელი დღე არ აშინებდა და ერთგვარად დაცული იყო უმუშევრობისაგან. ამგვარად, ამ პრობლემას შეუჩვეველი საზოგადოება ერთბაშად აღმოჩნდა მძაფრი უმუშევრობის წინაშე, რამაც იგი საკმაოდ დრამა შოკსა და სასოწარკვეთილებაში ჩააგდო.

უმუშევრობა ევროპაში სახეზე იყო XVIII საუკუნეში, თუმცა ეს მოვლენა 1932–1933 წლების კრიზისამდე თითქმის არ გამხდარა სერიოზული დაინტერესების საგანი. ეკონომისტები აღიარებდნენ ცნობილი კოლეგის სეის დოგმას, რომლის მიხედვითაც, საბაზრო ეკონომიკის განვითარების კვალობაზე უმუშევრობა თითქმის მოისპობოდა. ეს შეხედულება რომ მცდარი იყო მხოლოდ 1936 წელს დაასაბუთა ჯ. მ. კეინსმა და განაცხადა, რომ შრომის ბაზარზე არ არსებობს არავითარი ისეთი ეკონომიკური ბერკეტი, რომლის ამოქმედების შედეგად ავტომატურად მოხდებოდა სრული დასაქმების მიღწევა.

XIX საუკუნეში ხელისუფალთ სამუშაოს პოვნა ადამიანის პირად საქმედ მიიჩნდათ. XX საუკუნის დასაწყისამდე სახელმწიფოს ჩარევა შრომის ბაზარზე საბაზრო ეკონომიკის პრინციპებისათვის სრულიად მიუღებელი იყო. მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში მომდღავრებულმა მუშათა გამოსვლებმა აიძულა ევროპის ხელისუფალნი შეეცვალათ თავისი შეხედულება. კანონი, რომელიც გამიზნული იყო უმუშევრობის სოციალური დაცვისათვის, პირველად მიიღეს ბელგიასა და საფრანგეთში 1906–07 წლებში, შემდეგ დიდ ბრიტანეთში – 1911 წელს, გერმანიაში – 1927 წელს, ხოლო აშშ-ში – 1935 წელს. ანალოგიური კანონი შევიცარიამ მხოლოდ 1976 წელს დაამტკიცა.

პირველი სახელმწიფო პროგრამა, რომელსაც მაქსიმალურად უნდა დაესაქმებინა მოსახლეობა, დამუშავდა 1932 წელს გერმანიაში. დასაქმების პროგრამა აშშ-ში 1935 წელს დამუშავდა რუზველტის მთავრობის მიერ. ამ პროგრამამ მოახდინა გარდატეხა დასაქმების პრობლემისადმი სახელმწიფოს მიდგომებში და მსოფლიოს უჩვენა, რომ საბაზრო ეკონომიკაში მთავრობა არა მხოლოდ უფლებამოსილია, არამედ მოვალეცაა იზრუნოს მოსახლეობის დასაქმებაზე. 1944 წელს ჩერჩილის კონსერვატორულმა მთავრობამაც კი შეიმუშავა ეკონომიკის გაძღოლის ახალი პრინციპები – მათი მთავარი მიზანი იყო მოსახ-

ლეობის სრული დასაქმება; ამაზე პასუხისმგებლობა სახელმწიფოს უნდა ეკისრა.

შემდგომ, 1973 წლის ნაეთობის კრიზისით გამოწვეულ „შოკამდე“, დასაქმების პრობლემა არ იყო საგანგაშო. დასავლეთ ევროპაში, გარდა იტალიისა, უმუშევრობას 2,5%-თვის არ გადაუჭარბებია. ის კი არა და, ევროპის ბევრ ქვეყანაში და არა მხოლოდ გერმანიაში, სადაც მან დიდი მასშტაბები შეიძინა, შრომითი რესურსების გარედან მიზიდვის პრობლემაც კი იდგა. უმუშევრობის პრობლემა არ არსებობდა იაპონიაშიც. ამ მხრივ სიძნელეები არ ჰქონია აშშ-საც, სადაც უმუშევრობა 7% არ გადასცილებია. დღეისათვის მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. იმავე გერმანიაში 1997 წელს უმუშევრობამ 18% შეადგინა.

რეალობაა რომ, თუ ადრე ინფლაციის ზრდით შესაძლებელი იყო უმუშევრობის გარკვეული სტაბილიზაცია, ახლა ბევრ ქვეყანაში ერთდროულად იზრდება უმუშევრობაც და ინფლაციაც. პრობლემის სირთულემ განაპირობა XX საუკუნის 90-იან წლებში ევროკავშირის პროგრამა, რომლის ძალითაც უახლოეს მომავალში უმუშევრობის დონე მის წევრ ქვეყნებში სანახევროდ, ანუ საშუალოდ 5-6 პროცენტამდე უნდა შემცირებულიყო. პასუხისმგებლობა ამ პროგრამის განხორციელებაზე თავის თავზე აიღეს როგორც კავშირის ხელმძღვანელებმა, ისე წევრი ქვეყნების მთავრობებმა.

ხშირად უმუშევრობის პრობლემას უკავშირებენ კერძო საკუთრებას, საბაზრო ეკონომიკას, კონკურენციას. ეს რომ ნამდვილად ასე არ არის იქიდანაც ჩანს, რომ, მაგალითად, შვედეთმა, სადაც ერთიც არის, მეორეც და მესამეც, შეძლო მიმნიშუმამდე დაეყვანა უმუშევრობა.

პოსტსოციალისტური ქვეყნები ახალ პოლიტიკურ-სოციალურ სისტემაზე გადასვლას უმუშევრობის სხვადასხვა დონით შეხვდნენ. უმუშევრობა შედარებით დაბალი იყო დსთ-ს ქვეყნებში, რაც ძირითადად იმით იყო გამოწვეული, რომ ამ ქვეყნებში ჯერ კიდევ დიდი ხვედრითი წილით იყო წარმოდგენილი საწარმოო საშუალებებზე სახელმწიფო საკუთრება, სადაც მრავალი ობიექტური თუ სუბიექტური საბაბით ინარჩუნებდნენ დასაქმებულ მუშახელს. უმუშევრობა შედარებით მაღალი იყო ახალ წევრ ქვეყნებში. აქ ამ დროისათვის უკვე მაღალი ტემპებით ხორციელდებოდა პრივატიზაცია და წარმოების საშუალებათა უდიდესი ნაწილი კერძო მფლობელთა ხელში გადადიოდა.

თუ პოსტსოციალისტური ქვეყნების უმუშევრობას შევედარებთ მსოფლიოს ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში არსებულ ანალოგიურ მაჩვენებელს, დავინახავთ, რომ განსხვავება პირველის სასარგებლოდ მეტყველებს. ეს, ჩვენი აზრით, ძირითადად იმით არის გამოწვეული, რომ, ჯერ ერთი, ამ ქვეყნებში დასაქმების სტატისტიკა ჯერაც არაა სათანადოდ დამუშავებული და მეორეც, აქ წარმოების საშუალებებზე სახელმწიფო საკუთრების კვლავაც მაღალი ხვედრითი წილია. ეს კი კვლავინდებურად დაუსაქმებელი მუშახელის ერთგვარ თავშესაფარს წარმოადგენს.

როდესაც უმუშევრობაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ იგი შესაძლებელია გამოწვეული იყოს პრინციპულად განსხვავებული მიზეზებით; იმით, რომ ქვეყანაში არ არის საკმარისი რაოდენობით კაპიტალი, მაღალია მუშაკთა ტექნიკური და ფონდალტურვილობის დონე და ამის გამო მრავალი ადამიანის გასაკეთებელ საქმეს ცოტა აკეთებს, დანარჩენები რჩებიან უმუშევრად. ასეთი ქვეყნის კლასიკური მაგალითია გერმანია. ბოლო ოცი წლის განმავლობაში შრომითი რესურსების რიცხოვნობა აქ თითქმის ერთ დონეზე დარჩა, ხოლო კაპიტალ-დაბანდებები კი 120%-ით გაიზარდა. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ აღნიშნული 11% უმუშევრობა (2004 წლის დასაწყისში) გერმანიაში კაპიტალის, ფონდების ტექნიკური შეიარაღების მაღალი დონით არის გამოწვეული.

სრულიად განსხვავებული მდგომარეობაა საქართველოში. აქ უმუშევრობის მაღალი დონე სწორედ საპირისპირო ვითარების შედეგია. კერძოდ, ჩვენი ქვეყანა ღარიბია კაპიტალით, იგი განიცდის მაღალი ტექნოლოგიების ნაკლებობას, რომლის დახმარებითაც დამზადებული საქონელი მსოფლიო ბაზრებზე კონკურენციას გაუძლედა. ამგვარი მდგომარეობა კი უმუშევრობის გამომწვევი მიზეზი ხდება. უმუშევრობა, როგორც თითქმის მთელ მსოფლიოში, ისე კრიზისში მყოფ საქართველოშიც, უაღრესად აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს.

ეკონომიკური კრიზისის გააღვანა დასაქმებაზე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში საყოველთაო მნიშვნელობას იძენს. ეკონომიკური კრიზისი გაამწვავა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის რეფორმირებამ და ეკონომიკური კავშირების რღვევამ, ინფლაციურმა პროცესებმა და უმძიმესმა სოციალურმა ფონმა. მოქმედი საწარმოები გაჩერდა, ახალი ვერ შეიქმნა, შრომისუნარიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი უმუშევარი დარჩა, რამაც შექმნა შრომაზე მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსი და შეცვალა სამუშაო ძალაზე ფასწარმოქმნის მექანიზმი.

ეკონომიკური კრიზისის პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფართომასშტაბიანი დასაქმების წამახალისებელ ღონისძიებებს, პროფესიული და ტერიტორიული მობილურობის წახალისებას, უმუშევართა დაცვას, სამუშაო ძალაზე მოთხოვნის სტიმულირებას და სხვა. რაც შეეხება სახელმწიფოს აქტიურ როლს ამ პრობლემის გადაწყვეტაში, იგი შენარჩუნდება მანამ, სანამ არ შეიქმნება შესაბამისი ინფრასტრუქტურა, მასშტაბური არ გახდება კერძო საკუთრება, არ განვითარდება კონკურენცია და მობილური არ გახდება სამუშაო ძალა ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო მასშტაბით. გარდა ამისა, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში კვლავაც აქტუალურია სამუშაო ძალის მოთხოვნასა და მიწოდებაზე ზემოქმედება სხვადასხვა მიმართულებით. კერძოდ, სამუშაო ძალაზე მოთხოვნა რომ გაიზარდოს, აუცილებელია ახალი ეფექტიანი სამუშაო ადგილების შექმნა, მეწარმეობის განვითარება, ანახლადურებადი საზოგადოებრივი საქმიანობის ორგანიზება და სხვა. რაც შეეხება სამუშაო ძალის მიწოდებას, მისი გაზრდილობის აუცილებელია პერსონალის პროფესიულ-კვალიფიციური დონის სისტე-

მატურად ამადლება, თვითდასაქმების განვითარება, მიგრაციული პროცესების რეგულირება და სხვა.

მამუკა თორია

დასაქმების პოლიტიკა და შრომის ბაზრის რეგულირება გარდამავალ პერიოდში

შრომითი ურთიერთობების სფეროში სასურველი შედეგების მისაღწევად აუცილებელია შრომის ბაზრის რეგულირება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს არა მარტო მოსახლეობის დასაქმების ზრდა, არამედ ფუნქციონალური კავშირის გამყარება წარმოებასა და საზოგადოებრივი საქმიანობის სხვა სახეობებს შორის. ეს სრულებით არ ეწინააღმდეგება გარდამავალი პერიოდის ისეთი ფუნდამენტური მიზნის მიღწევას, როგორცაა საბაზრო ეკონომიკის ფორმირება, რადგანაც „ეკონომიკური ლიბერალიზაცია გულისხმობს იმ ღონისძიებების გატარებას, რომელიც მიმართულია როგორც ბაზრების შექმნის, ასევე მისი რეგულირებისაკენ“²⁹.

საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, შრომითი ურთიერთობების სფეროში სახელმწიფოს პოლიტიკის უმთავრესი სტრატეგიული მიმართულება უნდა გახდეს სახელმწიფო კონტროლის განხორციელება მოსახლეობის ცალკეული კატეგორიების ცხოვრების დონეზე, როგორც სიმდიდრისა და სიღარიბეს შორის წინააღმდეგობის დაძლევის უმნიშვნელოვანეს საშუალებაზე. აქედან გამომდინარე, ქვეყნის წინაშე არსებულ პრობლემებს შორის გადამწვევტი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკურ პოლიტიკაში სოციალური პრიორიტეტებისათვის უპირატესობის მინიჭებას;

დასაქმების ოპტიმალური დონის მიღწევისა და უმუშევრობის შემცირებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს შრომის ბაზრის რეგულირების მეტ-ნაკლებად ეფექტიანად მოქმედი მექანიზმის ფორმირებას, რაც შესაძლებელს გახდის დამქირავებლებსა და დაქირავებულ მომუშავეებს, ეკონომიკის დარგებს, ცენტრსა და რეგიონებს, პროფესიულ ჯგუფებსა და სამეურნეო ერთეულებს შორის ეკონომიკური ინტერესების დაბალანსებას. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ნებისმიერი ხასიათის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა განწირულია კრახისათვის თუ მასში ცენტრალური ადგილი არ ექნება დათმობილი დასაქმების, ფასებისა და შემოსავლების პოლიტიკას, როგორც სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ საკვანძო ბლოკს, რომლის წარმატებით განხორციელებაზეა დამოკიდებული მთლიანად ეკონომიკური რეფორმების ბედი.

²⁹ Рынок труда и социальная политика в центральной и восточной европе. Переходный период и дальнейшее развитие. Под ред. Николаса Барра. М., 1997. გვ. 158.

საქართველოს შრომის ბაზარზე სახელმწიფო პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს: მოსახლეობის დასაქმების პროგრესული დარგობრივი სტრუქტურის ფორმირებისაკენ; მასობრივი უმუშევრობის თავიდან აცილებისაკენ; არსებული სამუშაო ადგილების ეფექტიანობის ამაღლებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირებისაკენ; კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემის სრულყოფის გზით ქვეყნის შრომითი პოტენციალის ხარისხობრივი მახასიათებლების გაუმჯობესებისაკენ; შრომითი რესურსების დარგობრივი და კვალიფიციური მობილობის ამაღლებისაკენ.

დასაქმების პრობლემების გადასაჭრელად უმნიშვნელოვანესი მიმართულება უნდა გახდეს: საინვესტიციო და საგადასახადო პოლიტიკის საშუალებით – სამუშაო ადგილების დეფიციტის აღმოფხვრა, არსებული სამუშაო ადგილების უფრო ეფექტიანი გამოყენება, კაპიტალდაბანდებების მიმართვა როგორც ახალი, ასევე ტრადიციული დარგების განვითარებისაკენ; მეწარმეობის, მცირე და საშუალო ბიზნესის, ინდივიდუალური სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ეკონომიკური სტიმულირება; ეკონომიკის არასახელმწიფო სექტორში დასაქმების ოპტიმიზაცია, ამ სფეროში შრომის კანონმდებლობაში პრინციპული ხასიათის ცვლილებების შეტანა, რომელიც მიმართული იქნება, უპირველეს ყოვლისა, მომუშავეთა ინტერესებისა და უფლებების გაფართოებისაკენ; დასაქმების სტაბილიზაციის სოციალური პროგრამების შემუშავება; დასაქმების მოქნილი ფორმების განვითარება; მოსახლეობის ნაკლებადკონკურენტული ფენების ცხოვრების პირობების თანმიმდევრული გაუმჯობესება; განათლების უწყვეტის სისტემის განვითარება; გააზრებული მიგრაციული პოლიტიკის გატარება, რომელიც მიმართული იქნება შრომითი რესურსები ოპტიმალური გადანაწილებისაკენ.

ცხადია, დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკა მჭიდროდაა დაკავშირებული შრომის ბაზრის რეგულირებასთან. შრომის ბაზრის რეგულირების უპირველეს ამოცანას წარმოადგენს ამ პრობლემისათვის საერთო-ეროვნული სტატუსის მინიჭება. ამასთან, შრომის ბაზრის რეგულირება მრავალწახნაგოვან პროცესს წარმოადგენს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს შემდეგი ამოცანების მიღწევა:

- საფინანსო-საკრედიტო, სტრუქტურულ, საინვესტიციო და საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის დაკავშირება შრომის ბაზრის რეგულირების მიზნებთან.
- შრომის ბაზრის რეგულირების პრიორიტეტებიდან გამომდინარე სოციალური, დემოგრაფიული და მიგრაციული პოლიტიკის შეთანხმებული გატარება.
- დაუსაქმებელი მოსახლეობის შრომითი მოწყობა და სოციალური დახმარების პოლიტიკა, რომელიც მოიცავს სამუშაო ძალის ხარისხის განვითარებას განათლების, პროფესიული მომზადების და გადამზადების სისტემის სრულყოფით.

ეთერი კაკულია

**დასაქმების ღონის ზრდის რეგულირების მექანიზმის
თეორიული მოდელი**

დასაქმების დონე განისაზღვრება, როგორც თანაფარდობა დასაქმებულთა და 16 წლის ზევით ქვეყანაში მცხოვრებთა რაოდენობას შორის.

დასაქმებულთა დონის გაზრდის მექანიზმის შემუშავებისას, პირველ რიგში უნდა განვსაზღვროთ ის ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში დასაქმების პრობლემის გადაჭრას.

პირველი. უნდა განისაზღვროს ქვეყნის ეკონომიკის სტატუსი (განვითარების დონე). დღეს საქართველოს ეკონომიკა შემოსავალზე ორიენტირებული ეკონომიკის ნიშნებით ხასიათდება, რაც გამოწვეულია უცხოეთში ხანგრძლივად მცხოვრები დიასპორის გზავნილებით, უცხოეთიდან შემოსული გრანტებით (სამეცნიერო და სხვა სახის) და სხვა. ამდენად, დასაქმების პრობლემის მოგვარებაში ძირითადი ორიენტირი უნდა იყოს ეკონომიკაში სამუშაო ადგილების შექმნა.

მეორე. უნდა გადაიხედოს ქვეყანაში მოქმედი კანონები, შეიქმნას დასაქმების მარეგულირებელი ორგანო: საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი დასაქმების სამსახური და შრომის სტატისტიკის ბიურო (შსბ).

მესამე. განათლების სისტემაში განსაკუთრებით უნდა შეეწყოს ხელი ვიწრო სპეციალობების კადრების მომზადებას, რომელთა სწავლების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 1-დან 3 წლამდე პერიოდს. განათლების სამსახური კვალიდაკვალ უნდა მისდევდეს დასაქმების სფეროში გლობალიზაციის და ახალი ტექნოლოგიების მოთხოვნებს.

მეოთხე. სახელმწიფომ ქვეყნის გარდამავალი ეკონომიკის პერიოდში უნდა შეითვისოს მეწარმის და დამსაქმებლის ფუნქცია, ნაცვლად სუბსიდიების და დახმარებების გაცემისა. მან თვითონ უნდა შექმნას საწარმოები და დაასაქმოს მოსახლეობა; ჩამოაყალიბოს საზოგადოებრივ სამუშაოთა ორგანიზაცია, დასაქმების რეგულირების მიზნით შექმნას წახალისების სისტემა.

მესუთე. განსაკუთრებით უნდა შეეწყოს ხელი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, მცირე ბიზნესს არსებითი როლის შესრულება შეუძლია დასაქმების დონის ამაღლებაში; კერძოდ, აქვს შესაძლებლობა, დაასაქმოს შრომისუნარიანი, მასზე უფროსი და უმცროსი მოსახლეობა. საქართველოში შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობას მიეკუთვნება 16-64 წლის მამაკაცები და 16-59 წლის ქალები.

მეექვსე. გლობალიზაცია გავლენას ახდენს მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის კონიუნქტურაზე. ამდენად, დასაქმებაზე ის მოქმედებს ირიბი ძალებით და, არც ისე იშვიათად, პირდაპირი გზით, აუცილებელია ეკონომიკაზე, მათ შორის დასაქმებაზე, გლობალიზაციის პროცესების გავლენის ანალიზი.

მეშვიდე. ახალი ტექნოლოგია იწვევს დასაქმების როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ და სტრუქტურულ ცვლილებებს. ამდენად, ახალი ტექნოლოგიების შემოდინებას ქვეყანაში ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფომ მასზე საბაჟო ტარიფების ლიბერალიზაციის და სხვა გზებით.

მერვე. პროფკავშირები ახალ სამუშაო ადგილებს არ ქმნიან, მხოლოდ იცავენ დასაქმებულთა ინტერესებს. არეგულირებენ სახელშეკრულებო ურთიერთობის მოთხოვნებს ხელმძღვანელობასთან, ამასთან, სწავლობენ დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების საკითხებს. იგი უნდა იყოს დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის. საქართველოში პროფკავშირი თავის მოვალეობას ვერ ასრულებს. ქვეყანაში უნდა ამდღედეს პროფკავშირების როლი, თუმცა დღეს განვითარებულ ქვეყნებშიც სამუშაო ძალის დასაქმებაში პროფესიული კავშირების როლი საკმაოდ შესუსტებულია. მშრომელები საქმიანობის საჩივრების გზით გაუმჯობესების ნაცვლად, უპირატესობას ანიჭებენ მუშაობის კოოპერატიულ და კომანდურ სახეს. ამასთან, პროფკავშირების ზეწოლის ხერხებს, როგორცაა: გაფიცვა, პიკეტირება, ბოიკოტი – დღეს მეტად უარყოფითად უყურებს როგორც ბიზნესის ხელმძღვანელობა, ასევე მოსახლეობა. აქ (განვითარებულ ქვეყნებში) პროფკავშირების ჩანაცვლება ხდება შრომითი ურთიერთობების მენეჯმენტით (HRM).

მეცხრე. დამსაქმებლებსა და დასაქმებულთა შორის ურთიერთობათა დარეგულირების მიზნით, ქვეყანაში ფართო მასშტაბით უნდა დაიწყოს შრომითი ურთიერთობების მენეჯმენტის HRM-ის (ან შრომითი რესურსების მენეჯმენტის HR) დანერგვა.

აშშ-ს შრომითი ურთიერთობების მენეჯმენტის ინსტიტუტის მიერ 1963 წელს შექმნილი განმარტების თანახმად, “შრომითი ურთიერთობების მენეჯმენტი (HRM)” – ეს არის მენეჯმენტის ნაწილი, რომელიც დაინტერესებულია ხალხთან მუშაობით და წარმოებაში მათთან ურთიერთობით, რასაც იყენებს არა მხოლოდ მრეწველობასა და კომერციაში, არამედ მოქმედების ყველა სფეროში. იგი მიზნად ისახავს მიაღწიოს როგორც ეფექტიანობას, ასევე სამართლიანობას. ის იკვლევს, რათა ბაზრის პირობები და მუშების პირობები უზრუნველყოს და სამუშაოთი დააკმაყოფილოს ის, ვინც შრომისუნარიანია.

მეათე. დასაქმების სფეროში არსებითია ინვესტიციების როლი. განსაკუთრებით უნდა შეეწყოს ხელი კერძო ინვესტიციებს, ისინი მეტ რაოდენობით დასაქმების პრობლემის გადაჭრის საქმეში, ვიდრე უცხო მთავრობისგან მიღებული დახმარება თუ ინვესტიცია. კერძო ინვესტიციას, ხშირად, უმოკლეს ვადაში სურს ეკონომიკური აღმავლობის მიღწევა. ისინი საკმაოდ მონდომებულნი არიან, რომ კაპიტალი, რომელსაც სესხად აძლევენ, პროდუქტიულად იყოს გამოყენებული.

ამდენად, სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს მცირე ეკონომიკაში (მცირე და საშუალო ბიზნესში) კერძო ინვესტიციებს.

მეთერთმეტე. აუცილებელია დასაქმების ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება, რომელიც მოიცავს:

შსბ – შრომის სტატისტიკის ბიუროს. იგი სწავლობს შრომის ბაზარს და მოსახლეობას სრულად. ადგენს პროგრამებს სამუშაო ადგილების შესაქმნელად.

ყოველი კვარტლის ბოლოს მთავრობას და სტატისტიკის დეპარტამენტს წარუდგენს მისი საქმიანობის სრულ სურათს.

დასაქმების სამსახური. მან, გარდა იმისა, რომ დაადგინოს უმუშევრობის დონე, ხელი უნდა შეუწყოს სამუშაო ადგილების შექმნის პროგრამების რეალიზაციას. ამასთან, თვითონ შექმნან ასეთი პროგრამები. მიიღონ მონაწილეობა პროგრამების რეალიზაციაში. მოიხილოს პროგრამების დაფინანსების წყაროები.

ნახირა კაკულია

ნეკროეკონომიკური ფაქტორების მოდელირების არსი

ტრანსფორმაციის პერიოდში, ნეკროეკონომიკური პროცესების დაძლევის მიზნით, შეისწავლება პრივატიზაციისა და რესტრუქტურისაციის როლი საწარმოთა საქმიანობის შედეგების ამალღებაში. ფირმის საქმიანობის შედეგიანობაზე ბიზნესგარემო ფაქტორების გავლენის შეფასებისას გამოიყენება ლოგიტ მოდელი.

ემპირიული გამოკვლევა ტარდება BEEPS-ის მონაცემთა (მსოფლიო ბანკისა და რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკი) ბაზაზე დაყრდნობით. ასევე, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მონაცემების საფუძველზე, მიმდინარეობს პარამეტრების შეფასება SPSS-ის პროგრამის მეშვეობით.

ნეკროეკონომიკური ფაქტორების მოდელირებისას გამოიყენება ჰიპოთეზების მეთოდი. ეკონომეტრიკული მეთოდების საშუალებით შესაძლებელია მოცემული ჰიპოთეზების ვარგისიანობის დასაბუთება საიმედოობის განსაზღვრული ხარისხით.

ნეკროეკონომიკური პრობლემების თავისებურებაა ის, რომ მასში დასმული ამოცანების გადაწყვეტა ხდება ეკონომეტრიკული მეთოდების – კერძოდ, ჰიპოთეზების ტესტირების გამოყენებით. მიუხედავად იმისა, რომ ეს მეთოდები საკმაოდ ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა სახეობის ეკონომიკური ამოცანის გადაწყვეტისას, ნეკროეკონომიკის შესწავლის მიზნით იგი ყველაზე სრულყოფილ მოდელად გვესახება. არსებული მოდელი მიზნად ისახავს ნეკრო საწარმოების შემცირების ღონისძიებათა გამოვლენასა და მიღებულ ემპირიულ დასკვნებზე დაყრდნობით რეკომენდაციების შემუშავებას ამ მიმართულებით.

მოდელის გამოყენებით მიღებული შედეგები, რომელიც მოიცავდა პრივატიზაციისა და რესტრუქტურისაციის როლის გამოვლენას საწარმოთა ფუნქციონირების ეფექტიანობის ამალღებაში, საშუალებას გვაძლევს, ეკონომიკის ტრანსფორმაციის პირობებში შემდეგი დასკვნები გავაკეთოთ:

- კერძო საკუთრება უფრო მეტად უწყობს ხელს ეფექტიანობის ამალღებას, ვიდრე სახელმწიფო საკუთრება;

- მთლიანობაში, ახალ საწარმოებს და საწარმოებს უცხოური კაპიტალით მეტი უპირატესობა გააჩნიათ საქმიანობის შედეგებზე, პრივატიზებულ საწარმოებთან შედარებით;

- საკუთრების კონცენტრაცია თავისთავად არ უწყობს ხელს საწარმოს საქმიანობის მანვერებელთა ამაღლებას; მნიშვნელოვანია ის, თუ ვის ხელშია თავმოყრილი საკუთრება;

- საკუთრება, რომელიც „აუტსაიდერების ხელშია“ – ადგილობრივი უცხოური კომპანიები, ბანკები, საინვესტიციო ფონდები – გამოიყენება უფრო ეფექტიანად, ვიდრე ის საკუთრება, რომელიც „ინსაიდერების“ – საწარმოთა მენეჯერებისა და მოსამსახურეების ხელში იმყოფება;

- ეს იმით აიხსნება, რომ „აუტსაიდერები“ უფრო მეტად, ვიდრე „ინსაიდერები“ მზად არიან და აქვთ შესაძლებლობა, საწარმოებში განახორციელონ ეფექტური რესტრუქტურისა;

- საწარმოთა საქმიანობის საბოლოო შედეგებზე მნიშვნელოვან ეფექტს ახდენს გატარებული რესტრუქტურისა;

- საწარმოთა საქმიანობის შედეგიანობაზე უფრო მეტი გავლენა მოახდინა რესტრუქტურისაციისთვის განხორციელებულმა ისეთმა ღონისძიებამა სისტემაში, როგორცაა: ორგანიზაციული ცვლილებები, ტექნოლოგიური სრულყოფა, ახლისა და არსებული სასაქონლო ასორტიმენტის სრულყოფის დანერგვა, ახალი საწარმოების გახსნა.

ყველა ზემოჩამოთვლილი შედეგი საშუალებას იძლევა შეიქმნას აუცილებელი ბაზა იმისათვის, რათა შემუშავდეს რეკომენდაციები პოსტკომუნისტური ქვეყნების და მათ შორის საქართველოს ეკონომიკის შემდგომი რეფორმების უფრო მოქმედი სტრატეგიის ჩამოყალიბებისათვის.

ნეკროეკონომიკის ფორმირებისა და ეკონომიკური რეფორმირების მარცხის მიზეზი ამ ქვეყნებში და კერძოდ, საქართველოში, ჩვენი აზრით, უნდა ვეძებოთ იმ ძალთა არასწორ გაგებაში, რომლებიც საწარმოო ფაქტორებს აძლევენ საშუალებას, ეფექტიანად მოახდინონ ურთიერთზემოქმედება ეროვნული პროდუქტის შექმნის პროცესში. ეს ძალები წარმოადგენენ სტიმულირების სისტემას, რომლებიც ზემოქმედებენ ტრანსაქციური დანახარჯების დონეზე, სპეციალიზაციისა და კოოპერაციის შესაძლებლობებსა და საბოლოო ჯამში, ეკონომიკური აგენტების ქცევაზე. სტიმულირების სისტემა, რომელიც ამა თუ იმ ეკონომიკური სისტემისათვის არის დამახასიათებელი, ფორმირდება ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების გავლენის შედეგად და ზემოქმედებს საკუთრების უფლებათა დაცვისა და საკონტრაქტო ურთიერთობათა ინფორმენტზე, კაპიტალისა და სხვა ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობაზე, საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარების დონეზე. ყველა ზემოჩამოთვლილი ფაქტორი წარმოადგენს ბიზნესგარემოს, რომლის სახლავრებს შიგნითაც ყალიბდება საბაზრო გარიგებები და რომელი გარემოც მოქმედებს ფირმების ეფექტიან

ფუნქციონირებაზე. ამ ფაქტორთა ჩამოყალიბებაში გამოიყენება ფაქტორული ანალიზი.

ჩატარებულმა ფაქტორულმა ანალიზმა გვიჩვენა ის, რომ ცენტრალიზებული – საგვემო სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში უშუალოდ ბიზნესგარემო განსაზღვრავს ინვესტიციების, შრომის მწარმოებლურობის და მეწარმეობრივი საქმიანობის ეფექტიანობას მთლიანობაში.

მურმან კვარაცხელია

**საქართველოს ეკონომიკის სისტემური კრიზისის
საკითხისათვის**

სისტემური კრიზისი მრავალმხრივი პროცესია, რომელიც თან ახლავს გლობალიზაციას დღევანდელ მსოფლიოში. ქვეყნების მაკროეკონომიკური სტაბილურობის ძირითადი მაჩვენებლები, როგორც ცნობილია, ახასიათებენ მათ ეკონომიკურ აქტივობას. მისი ანალიზით ირკვევა, რომ კრიზისი ჯერ კიდევ გაგრძელდება. მსოფლიოს მასშტაბით ჩამოყალიბდა მოსაზრება, რომ ფინანსური ბუშტის სათავე აშშ-ია, მაგრამ ამაში წვლილი უფრო გლობალურ სივრცეშია მოსაძებნი. ამ კრიზისის აღმოსაფხვრელად ეკონომიკაში უზარმაზარი თანხების გადასხმა მოჰყვა, მაგრამ, სამწუხაროდ, პროცესები ღრმა ჭაობისაკენ მიდის. აშშ-ში ეკონომიკის გადასარჩენად ჯერ 700, შემდეგ კი 838 მლრდ დოლარის ინექციამ შედეგი ვერ გამოიღო. ნიშანდობლივია ისიც, რომ საფინანსო ბუშტისა თუ უფსკრულის მოცულობა რამდენიმე ტრილიონს ითვლის.

გლობალურ ფინანსურკრიზისს გააჩნია თავისი მრავალი განშტოება. ესენია განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები, ეკონომიკის სხვადასხვა დარგები და ფინანსური სისტემის მთავარი მამოძრავებელი სფეროები - ბანკები.

ნათელია, რომ დღეს ყველაზე მძიმე კრიზისია ბოლო 65 წლის განმავლობაში. ამ მომენტში უკვე მიმდინარეობს პროდუქციის გამოშვების შემცირება, ვითარდება მძაფრი საფინანსო კრიზისი აღმოსავლეთ ევროპაშიც. უახლოეს თვეებში უფრო გაღრმავდება უმუშევრობისა და ბიუჯეტების დეფიციტის პრობლემაც, გაგრძელდება კაპიტალდაბანდებების დაცემა.

გარკვეულ დადებით ძვრებსაც აქვს ამ მომენტში ადგილი, მაგრამ უარესობისგან გაქცევას უფრო ჰგავს ვიდრე გარკვეულ პროგრესს. რაც მთავარია, საბანკო სისტემის მსხვრევა შეჩერდა და სანედლეულო საქონელზე ფასები გარკვეულ ნიშნულზე დარჩა უფრო მისაღებ დონემდე, რამაც გამოიწვია კრიზისის შეჩერება ნედლეულისა და ენერჯის ექსპორტიორ ქვეყნებში.

ამ კუთხით მეტად საინტერესო მონაცემებით ხასიათდება მსოფლიო ეკონომიკის ძირითადი მაჩვენებლები. ასე, მაგალითად, მშპ-ის დინამიკა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ასეთია: აშშ, 2007 წელს 2,0% იყო, 2008 წელს კი - 1,1%. 2008 წელს III და IV კვარტალში ასეთი სურათი გავქვს: III

კვარტალში შესაბამის პერიოდთან მიმართებაში შეადგინა 0,7%, IV კვარტალში – 0,8%. 2009 წლის I კვარტალში ასეთი მაჩვენებლებია: – 2,6%, ე. ი. აშკარად კლების ტენდენციაა. ევროკავშირის 27 ქვეყნის მაჩვენებლები ასე გამოიყურება: შესაბამისად 2007წ. იყო 2,9% ზრდა, 2008 წელს კი – 0,9%, 2009 წლის I კვარტალში კი უკვე – 4,4% ფაქტობრივი კლება. არც ისე სახარბიელო მდგომარეობაა სხვა მოწინავე მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში. ასე მაგალითად, 2009 წლის I კვარტალში დიდ ბრიტანეთში მინუს – 4,1% კლება წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, გერმანიაში – მინუს 6,9, იაპონიაში – მინუს 9,7%, რუსეთში – მინუს 9,5%, ჩინეთში კი ზრდა დაფიქსირდა 6,1%-ის ფარგლებში.

გარდა მთლიანი შიდა პროდუქტისა, საინტერესოა რა მდგომარეობაა სამრეწველო წარმოების დინამიკის თვალსაზრისით. ასე მაგალითად, აშშ-ში 2008 წელს მინუს 2,2% დაფიქსირდა, 2009 წლის I კვარტალში კი – მინუს 11,6%-ია, ამავე წლის მარტში – მინუს 12,6%, აპრილში კი – მინუს 11,6%-ია. არასახარბიელო მდგომარეობაა ამ კუთხით ევროკავშირის 27 ქვეყანაში. კერძოდ, 2008 წელს მინუს 1,4% იყო საშუალოდ, მაგრამ IV კვარტალში მინუს 6,7% დაფიქსირდა, 2009 წლის პირველ კვარტალში თუ იყო მინუს 11,6%, მარტში მინუს 12,6% გახდა, აპრილში კი – მინუს 12,5%. განსაკუთრებით არასახარბიელო მდგომარეობაა ამ კუთხით დიდ ბრიტანეთში, შესაბამისად 2008 წელს მინუს 2,7%, IV კვარტალში – მინუს 7,5%. 2009 წლის I კვარტალში – მინუს 11,9%, მარტში კი მინუს 12,3%-მდე აიწია. ამ კუთხით გერმანიაში უფრო დიდი გარღვევები შეინიშნება. თუ 2008 წელს ნულოვან ზრდასთან გვაქვს საქმე, 2008 წლის IV კვარტალში უკვე მინუს 7,7% გახდა. 2009 წლის I კვარტალში მინუს 20,4%, ხოლო მარტში – მინუს 21,7%. თუ გადავხედავთ იაპონიის მონაცემებს, აქაც სერიოზულ გარღვევებთან გვაქვს საქმე. 2008 წელს მინუს 3,1% იყო, ამ წლის IV კვარტალში კი – მინუს 14%-მდე აიწია, 2009 წლის I კვარტალში მინუს 34,6% გახდა. მარტის თვეში კი – მინუს 34,2%. საინტერესოა ამ მხრივ რუსეთისა და ჩინეთის მდგომარეობა. რუსეთში სამრეწველო წარმოება 2008 წელს წინა პერიოდთან შედარებით 2,3%-ით გაიზარდა, ამავე წლის IV კვარტალში უკვე მინუს 5,9%-ია, ხოლო 2009 წლის I კვარტალში მინუს 13,1%-ია, ხოლო მარტში მინუს 14,3%, ხოლო აპრილში – მინუს 15,4% გახდა.

ჩინეთი ამ მხრივ უკეთეს მდგომარეობაშია, სადაც 2008 წელს 11,5%-იანი ზრდა დაფიქსირდა, მე-4 კვარტალში კი შემცირდა და 6,4% გახდა, ხოლო 2009 წლის I კვარტალში 5,1% იყო, მარტში – 8,3% და აპრილში – 7,3%.

მეტად საინტერესოა თუ როგორი დინამიკით ხასიათდება სამომხმარებლო ფასების ინდექსი. აშშ-ში ეს მაჩვენებელი გაიზარდა 3,8%-ით, მესამე კვარტალში 5,3%-ით, მეოთხე კვარტალში 1,6%-ით, ხოლო 2009 წლის მარტში შემცირდა 0,4%-ით, ხოლო აპრილში – 0,7%-ით. ევროკავშირის ქვეყნებში 2008 წელს 3,7%-იანი ზრდაა დაფიქსირებული, 2009 წლის პირველ კვარტალში 1,6%, მარტში – 1,4%, აპრილში – 1,2%. დიდ ბრიტანეთშიც ზრდის ტენდენცია შეინიშნება, თუ 2008 წ. 3,6%-იანი ზრდა იყო, 2009 წლის პირველ კვარტალში 3%-იანი ზრდაა, მარტში – 2,9%-იანი, ხოლო აპრილში – 2,3%. სამომხმარებლო ფასების შემცვი-

რების ტენდენცია იაპონიაში, ხოლო რუსეთის ფედერაციაში ყველაზე კატასტროფული მდგომარეობაა. თუ 2008 წ. ფასების ზრდა 14,1%-ის ფარგლებში იყო, თითქმის იგივე ტენდენციაა შენარჩუნებული 2009 წლის ოთხ თვეში. ჩინეთში კი – ფასები შემცირების ტენდენციისაკენ მიდის.

ცნობილია, რომ უმუშევრობა ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა საერთოდ და განსაკუთრებით ნებისმიერი კრიზისის პერიოდში. ამ მხრივ მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში სერიოზული ზრდა შეინიშნება. აშშ-ში 2008 წელს თუ უმუშევრობის დონე 5,8%-იყო, 2009 წლის პირველ კვარტალში 8,1%-ს მიაღწია, მარტში – 8,5%-ს, ხოლო აპრილში – 8,9%-მდე აიწია. აქ აშკარად ზრდის ტენდენცია შეინიშნება, რაც კრიზისის უფრო გამწვავების მიმანიშნებელია. ევროკავშირის ქვეყნებშიც იგივე სიტუაციაა – 7%-დან 8,3%-მდე გაიზარდა, დიდ ბრიტანეთში – 5,7%-დან 7,7%-მდე, გერმანიაში 7,3%-დან 7,6%-მდე, იაპონიაში – 4,0%-დან 5,1%-მდე, რუსეთში 6,4%-დან 10,0%-მდე, ხოლო ჩინეთში 4,2%-დან 4,3%-მდე.

ზემოთ მოყვანილი ციფრობრივი მასალები გვაძლევს საშუალებას, დავადგინოთ თუ რა მასშტაბებს იძენს მსოფლიო ფინანსური კრიზისი ამ ეტაპზე. მის საბოლოო აღმოფხვრამდე ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი, მაგრამ ეს თავის ადეკვატურ გავლენას რომ მოახდენს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე, ეს ეჭვს არ იწვევს. ამ მხრივ რა სიტუაციაა საქართველოს ეკონომიკაში, ამაზე შეგვიძლია ისევ და ისევ ციფრებით ვიმსჯელოთ.

სანამ საქართველოს ეკონომიკის კრიზისულ პერიოდს შევხებით, მანამ უპრიანი იქნება მიმოვიხილოთ პოსტსოციალისტური პერიოდის საქართველოს ეკონომიკის ზოგიერთი თავისებურება.

სოციალიტური სისტემის დაშლის შემდეგ, როცა უნდა დაწყებულიყო ძველი ეკონომიკური წყობის დემონტაჟი, მოხდა პირიქით – სტიქიურმა პროცესებმა ეკონომიკა დაანგრია. ამის შემდეგ იწყება საბაზრო ეკონომიკის კონტურების ჩამოყალიბება, მისი საფუძვლიანი მომზადება, ქვეყანა ერთვება მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში, საერთაშორისო ეკონომიკურ და ფინანსურ სტრუქტურებთან ურთიერთობები მყარდება და, რაც მთავარია, ხდება ეროვნული ეკონომიკის სოციალური მიმართულების განსაზღვრა. ამის შემდეგ ქვეყანაში იწყება საერთაშორისო სტრუქტურებთან კავშირების გადრმავევა, იცვლება სოციალური სფეროს ფუნქციონირების პრინციპები, იზრდება უცხოური ინვესტიციები. ამის ერთ-ერთი შედეგი იყო ის, რომ გამოიკვეთა ეკონომიკური ზრდის ტენდენცია. ყოველივე ამას მოჰყვა აგვისტოს მოვლენების შემდეგ მსოფლიო ფინანსური კრიზისი და საქართველოს ეკონომიკური განვითარება მკვეთრად შენელდა. მოხდა წარმოების ვარდნა, გაიზარდა უმუშევრობა.

ყოველივე ზემოთ მითითებულ ტენდენციებს დაემატა როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური და გარე და შიდა ფაქტორები. ამის მთავარი შედეგი იყო მთლიანი შიდა პროდუქტის დაცემა. ასე მაგალითად, 1994 წელს მშპ-ს მოცულობამ რეფორმამდელი პერიოდის 27,8% შეადგინა. ამავე პერიოდში სამრეწველო პროდუქციის წარმოება შემცირდა 85 პროცენტული პუნქტით,

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება – ორჯერ და მეტად, კაპიტალური დაბანდებებისა – 92 და ტვირთბრუნვის მოცულობა – 67 პროცენტული პუნქტით.

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ 1994 წლის ეკონომიკური მანქვენებლები საქართველოში პირველად მიღწეული იყო: მრეწველობაში – 40 წლის წინ (1954), სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში – 49 წლის წინ (1945), კაპიტალურ დაბანდებებში – 35 წლის წინ (1959), ტვირთბრუნვაში (რკინიგზის ტრანსპორტით) – 54 წლის წინ (1940). აღნიშნულ პერიოდში კატასტროფულად დაეცა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე. **ეკონომიკა სისტემურ კრიზისში შევიდა.**

ამის შემდეგ ეკონომიკაში განხორციელებულმა რეფორმებმა ბევრი პროგრესული შედეგი გამოიღო, მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, საქართველოში ჩამოყალიბდა და ფუნქციონირება დაიწყო მრავალწობიანმა კვაზისაბაზრო ეკონომიკამ. ეს განვითარდა სამი მიმართულებით – კერძო კაპიტალისტური და წვრილსასაქონლო წყობითა და სახელმწიფო სექტორით.

საქართველოს ეროვნული ეკონომიკის სისტემური კრიზისის ანალიზისას ირკვევა, რომ მის განვითარებაზე განსაკუთრებული ნეგატიური გავლენა მოახდინა უამრავი უცხოური პოზიციის ექსპერიმენტების მთელმა კასკადმა, მათ სხვადასხვაობამ. ამ თეორიებში არასოდეს არ ყოფილა გათვალისწინებული ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის ისტორიულად აპრობირებული თავისებურებებისა და ტრადიციების მნიშვნელობა, პირიქით, ხდებოდა მათი უგულებელყოფა. ამ შემთხვევაში წინა პლანზე ყოველთვის ცალმხრივი და სუბიექტური ფაქტორების წამოწევა ხდებოდა. ყოველივე ამან ეკონომიკის განვითარებაში უამრავი სიძნელე შექმნა და ფაქტობრივად სისტემური კრიზისის მატერიალური, ორგანიზაციული და ფსიქოლოგიური საფუძველი მოამზადა. დღევანდელი სისტემური კრიზისი ამ პროცესების ლოგიკური შედეგია.

ამრიგად, საქართველოს ეროვნული ეკონომიკა უკანასკნელ ორ საუკუნეში ფაქტობრივად წარმოადგენდა გარე ფაქტორთა უშუალო გავლენით ფორმირებად (მუდმივად კრიზისულ სიტუაციაში ფუნქციონირებად) “სისტემას”, რომელიც სხვადასხვა “იზმისადმი” მონაცვლეობით მიბაძვითა და ერთგულებით მოსწყდა ეროვნულ ფესვებს, მსოფლიოს პროგრესულ სამეურნეო გამოცდილებას და ეროვნულ ორგანიზმში სხვადასხვა უცხო სხეულის მონაცვლეობით “ჩანერგვით” მსოფლიო ეკონომიკის ჰორიზონტზე ჩამორჩენილ პერიფერიულ, დამბლა-დაცემულ ეკონომიკად ჩამოყალიბდა.

მამუკა ხუსკიაძე

ეკონომიკურ-ეკოლოგიური სისტემის ფუნდამენტური ინსტიტუციური უზრუნველყოფის ზოგიერთი ასპექტი

საქართველოში გეგმურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის, ანუ პოსტკომუნისტური საბაზრო ტრანსფორმაციის პროცესი ხასიათდება ეკოლოგიური სიტუაციის მკვეთრი გაუარესებით. არარაციონალური ბუნებათსარგებლობა, ექსპორტის სანედლეულო ორიენტაციასთან ერთად, ეკოლოგიური

კრიზისის ნიშნების წარმოშობას განაპირობებს ზოგიერთ რეგიონში. ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური განვითარება, ეკოლოგიური და სოციალური ინტერესების გათვალისწინების გარეშე, ძირითადად, ეკოლოგიურ-ეკონომიკური სისტემის (ეეს) ფუნქციონირების ინსტიტუციური გარემოს მოუწყვსირებლობისა და ადმინისტრაციულ და საბაზრო ინსტიტუტებს შორის წინააღმდეგობების გაღრმავების შედეგია. ყოველივე ამის გათვალისწინებით, საქართველოში, პოსტკომუნისტური საბაზრო გარდაქმნების პროცესში, ეეს-ის ინსტიტუციური გარემოს ფორმირებისა და სრულყოფის ამოცანა დგება.

ეეს შეიძლება განვიხილოთ, როგორც ეკონომიკური და ეკოლოგიური ინტერესების რეალიზაციის მიზნით ეკონომიკურ სუბიექტებს შორის ურთიერთობების ერთობლიობა.

ეეს შედგება ეკოლოგიური და ეკონომიკური ქვესისტემებისაგან. ურთიერთქმედების ჰარმონიზაციისა და წინააღმდეგობების დაძლევისათვის როგორც ქვესისტემებში, ისე მათ შორის აუცილებელია ინსტიტუციური პრობლემების გადაჭრა საბაზრო და არასაბაზრო ინსტიტუტების ფორმირებისა და სრულყოფის მეშვეობით. ეეს-ის ინსტიტუტების ფუნქციონირების მიზანს წარმოადგენს საზოგადოების მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შემდეგი კომპლექსური ამოცანის გადაწყვეტის გზით: რაციონალური რესურსმომარება და ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის კვლავწარმოების უზრუნველყოფა ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების პირობებში. ეეს-ის ფარგლებში ინსტიტუტების ფუნქციონირების სპეციფიკა გამოიხატება იმაში, რომ ისინი არეგულირებენ ეკონომიკურ-ეკოლოგიურ ურთიერთობებს, რომლებშიც ერთვებიან სამეურნეო სუბიექტები და ხელს უწყობენ ამგვარი სუბიექტების წინააღმდეგობრივი ინტერესების დაბალანსებას მათი ეკოლოგიზაციით. ეეს-ის ინსტიტუციონალიზაცია წარმოადგენს რაციონალური ბუნებათსარგებლობის ფორმალური ინსტიტუტების არაფორმალურში ტრანსფორმაციის პროცესს, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური ინტერესების ეკოლოგიზაციას და ეკონომიკური სუბიექტების ქცევის არაეფექტიანი წესებისა და ნორმების აღმოფხვრას.

ეკონომიკურ-ეკოლოგიური სისტემის განვითარების პრობლემები, არსებული ინსტიტუტების მეშვეობით, სამეურნეო სუბიექტების ინტერესების რეალიზაციასთან არის დაკავშირებული. მის ძირითად ინსტიტუტებად შეიძლება განვიხილოთ საკუთრების სხვადასხვა ფორმა, ბაზარი, ფირმა და სახელმწიფო მისი სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციებით. ეეს-ის ინსტიტუტების საქმიანობის ხასიათი განისაზღვრება მათთვის დამახასიათებელი ფუნქციების რეალიზაციის ეფექტიანობით.

ეკონომიკურ-ეკოლოგიური სისტემის ინსტიტუტების ფუნქციონირება კარგად ჩანს სახელმწიფოსა და ბაზრის ინსტიტუციური მდგომარეობის ანალიზისას. ბაზარი, როგორც ინსტიტუტი, ავლენს მაკორდინირებელ, გადამანაწილებელ, ტრანსაქციურ და კომპენსაციურ ფუნქციებს წარმოების, მოხმარების, დაგროვების და სხვა ობიექტური ეკონომიკური კანონების მოქმედების მეშვეობით. ბაზარს და საბაზრო ძალებს, სტიქიურობის გამო, არ შეუძლია ეფექ-

ტიანად გადაწყვიტოს ეკს-ის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის კომპლექსური ამოცანა, ამიტომ ინსტიტუციური გარემოს ფორმირების ძირითად ტვირთს საკუთარ თავზე იღებს სახელმწიფო. შესაბამისი ინსტიტუტების ფორმირებით ის ამა თუ იმ ხარისხით ეფექტიანად წვევს კვლავწარმოების პროცესში ეკონომიკური სუბიექტების წინააღმდეგობრივი ინტერესების ჰარმონიზაციის პრობლემას.

ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტაში ბაზრის, როგორც ინსტიტუტის “უენარობა” განაპირობებს იმას, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ სახელმწიფო განიხილება ძირითად ინსტიტუტად სამეურნეო სუბიექტების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების ჰარმონიზაციის რეგულირებაში. ის ასორციელებს ეკოლოგიურ-ეკონომიკური პროცესების მართვას ეკონომიკური და არაეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით. ასეთ ბერკეტებს მიეკუთვნება: გადასახადები ბუნებრივი რესურსების სარგებლობისა და გარემო ბუნების გაჭუჭყიანებისათვის, სამეურნეო საქმიანობის ლიცენზირება, ეკოლოგიური დაზღვევა, ეკოლოგიური აუდიტი, ეკოლოგიური მონიტორინგი, სამეურნეო საქმიანობის ეკოლოგიური ექსპერტიზა და სხვ. ეკოლოგიურ-ეკონომიკური ურთიერთობების ინსტიტუციონალიზაციის სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის გადასახადებს და გარემო ბუნებაზე უარყოფითი ზემოქმედების ღირებულებით შეფასებას.

საქართველოში ეკონომიკურ-ეკოლოგიური ურთიერთობების სახელმწიფო რეგულირების ფორმალური ინსტიტუტების არსებული სისტემის შეფასება ცხადყოფს, რომ ის საჭიროებს სრულყოფას. ეკს-ის ინსტიტუციონალური არასრულყოფილება ვლინდება ეკოლოგიური წონასწორობის რღვევაში და წინააღმდეგობების გამწვავებას იწვევს, რომლებიც დამახასიათებელია ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების ერთდროული რეალიზაციის პროცესისათვის.

სამეურნეო სუბიექტებისათვის უფრო ხელსაყრელია გარემოს გაჭუჭყიანება, ვიდრე ფულადი სახსრების გაღება გარემოსადაცვითი ღონისძიებების დასაფინანსებლად. ამიტომ, შემუშავებასა და სრულყოფას საჭიროებს რაციონალური ბუნებათსარგებლობის ეკონომიკური რეგულირების სამართლებრივი ბაზა, გადასახადები გარემო ბუნებაზე უარყოფითი ზემოქმედებისათვის და ნებადართული საქმიანობის რეგლამენტაცია. სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც ბუნებათსარგებლობის სფეროში შეღავათიან დაბეგვრას ეხება, უნდა გააჩნდეს რეალიზაციის აუცილებელი ბერკეტები, ხოლო ეკონომიკური მექანიზმები არ უნდა ატარებდნენ მხოლოდ წმინდა ფისკალურ ხასიათს.

მოქმედი საკანონმდებლო ინსტიტუტი ჯერჯერობით ვერ ასტიმულირებს ეკოლოგიურად ეფექტიან ტექნოლოგიებზე გადასვლას. საკანონმდებლო ბაზის არაეფექტიანობა არასრულყოფილს ხდის მას საზოგადოებრივი და სახელმწიფო ეკოლოგიური ინტერესების დაცვის საქმეში, შეიმჩნევა წინააღმდეგობები სამართლებრივ ნორმებს შორის, რაც აფერხებს ბუნებათსარგებლობის რაციონალიზაციის საბაზრო მექანიზმების განვითარებასა და გარემო ბუნების დაცვას. ამასთან, უნდა აღინიშნოს ის, რომ ბუნებათსარგებლობის მექანიზმი საბაზრო

ხასიათს უნდა ატარებდეს, თუმცა მისი ძირითადი ინსტრუმენტები სახელმწიფომ უნდა შემოიღოს. ზემოთ აღნიშნული წინააღმდეგობების აღმოფხვრის ერთ-ერთი გზაა საქართველოს ეკოლოგიური კოდექსის მიღება.

ეკს-ის ინსტიტუციური გარემოს სრულყოფის მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენს სამეურნეო სუბიექტების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შეთანხმების მექანიზმი. ამ მექანიზმის გამოყენებით შესაძლებელია ეკს-ის მდგრადობის გაუმჯობესება გარკვეული წესებისა და პრინციპების საფუძველზე. სუბიექტებს შორის წინააღმდეგობრივი ხასიათის ურთიერთობების მოწესრიგებით. შემუშავებული ეკოლოგიურ-ეკონომიკური სტრატეგიის შესაბამისად, აღნიშნული მექანიზმის გამოყენება შეიძლება: არაეფექტიანი ინსტიტუტების ლიკვიდაციისათვის (მაგ., არასაბაზრო მიდგომების საფუძველზე კონტირება ბუნებათმოსარგებლევებს შორის რესურსების განაწილებისას), ახალი ინსტიტუტების შესაქმნელად (მაგ., გაჭუჭყიანების უფლებათა ბაზარი), ეფექტიანი ინსტიტუტების განვითარებისათვის (მაგ. სამეურნეო საქმიანობის ეკოლოგიური ექსპერტიზა).

ეკონომიკურ-ეკოლოგიური სისტემის ინსტიტუციური გარემოს სრულყოფის საკითხი აუცილებელია განიხილოს მასში შემავალი ინსტიტუტების ფუნქციონირების ეფექტიანობის თვალსაზრისით. არაფორმალური ეკოლოგიური ინტერესების დაცვაზე ორიენტირებული ინსტიტუტების ფუნქციონირების ეფექტიანობის რაოდენობრივი შეფასება საკმაოდ რთულია. თუმცა, ჩვენი აზრით, მიახლოებითი სიზუსტით ის შეიძლება შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:

$$E_{ecol} = \frac{Z}{Q} \quad (1), \text{ სადაც } E_{ecol} \text{ არის ეკოლოგიური ინსტიტუტის}$$

ეფექტიანობა; Z – თავიდან აცილებული ზარალი; Q – მიყენებული ზარალი.

ეკონომიკური ინსტიტუტების ეფექტიანობა რაოდენობრივად შეიძლება განისაზღვროს, როგორც კომპენსირებული ზარალის სიდიდის (გარემოსდაცვით ღონისძიებებზე დანახარჯები) თანაფარდობა სამეურნეო სუბიექტების საინვესტიციო პოტენციალთან (საწარმოების შემოსავლების მოცულობა).

$$E_{econ} = \frac{H}{I} \quad (2), \text{ სადაც } E_{econ} \text{ არის ეკონომიკური ინსტიტუტის}$$

ეფექტიანობა; H – კომპენსირებული ზარალის ამსახველი მანკვებელი; I – საინვესტიციო პოტენციალის ამსახველი პარამეტრი.

$$E = E_{ecol} + E_{econ} \rightarrow 1 \quad (3), \text{ სადაც } E \text{ არის ჯამური ეკოლოგიურ-ეკონომიკური ეფექტიანობა.}$$

ურთიერთქმედების პროცესში ეკოლოგიურ-ეკონომიკური სისტემის ინსტიტუტები ურთიერთდაბალანსებისაკენ უნდა მიისწრაფოდეს.

პრაქტიკაში, ეკოლოგიურ-ეკონომიკური ინსტიტუტების ეფექტიანობისა და, მთლიანობაში, ეკოლოგიურ-ეკონომიკური სისტემის მდგრადობის შეფასება საკ-

მაოდ რთული საკითხია. ეს განპირობებულია იმით, რომ არ არსებობს სრულყოფილი, კომპლექსური მეთოდოლოგია, რომლითაც ზუსტად მოხდება გარემო ბუნებაზე სამეურნეო სუბიექტების ზემოქმედების ხარისხის განსაზღვრა. არ არსებობს რეგიონის ეკოლოგიურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ერთიანი სისტემა. სწორედ ეკოლოგიურ-ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირებაზე ორიენტირებული ინსტიტუტების შექმნა ან არსებული ინსტიტუტების რეფორმირება და ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების ჰარმონიზაციის ინსტიტუციური გარემოს სრულყოფა წარმოადგენს ზემოთ აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტის ძირითად გზებს.

Давлашеридзе Ната

ПУТИ РЕШЕНИЯ ПРОБЛЕМЫ БЕЗРАБОТИЦЫ В ТРУДАХ НОБЕЛЕВСКИХ ЛАУРЕАТОВ ПО ЭКОНОМИКЕ XXI ТЫСЯЧЕЛЕТИЯ

1. Достижение высокого уровня занятости - одна из основных целей макроэкономической политики государства. Экономическая система, создающая дополнительное количество рабочих мест, ставит задачу увеличить количество общественного продукта и тем самым в большей степени удовлетворить материальные потребности населения. При неполном использовании имеющихся ресурсов рабочей силы система работает, не достигая своего потенциала. Показатели занятости населения и безработицы являются одними из ключевых показателей макроэкономики, которые служат для оценки эффективности и выявления основных тенденций функционирования и развития рыночных отношений в контексте общего состояния экономики страны. Поэтому значительное внимание проблеме занятости и безработицы уделено в трудах таких нобелевских лауреатов по экономике в 2000 годы, как Э. Фелпс, Джордж Акерлоф, Джозеф Стиглиц, Джеймс Хекман.

2. Нобелевская премия по экономике в 2006 году присуждена американцу **Эдмунду Фелпсу** "за исследования взаимосвязей между краткосрочными и долгосрочными эффектами в макроэкономической политике". Самым известным открытием нобелевского лауреата является определение существования в экономике "равновесного уровня безработицы" – он стал одной из самых заметных экономических идей второй половины XX века и лег в основу денежной политики всех развитых стран, вошедший в учебники и используемый большинством центральных банков мира. В 40-х и 50-х годах XX века преобладал кейнсианский взгляд на баланс инфляции и занятости: он заключался в том, что пока занятость в экономике неполная, рост совокупного спроса (например, за счет госзакупок) ведет к росту занятости (и соответственно, экономики). В конце 50-х годов стандартная кейнсианская модель с так называемой кривой Филлипса (Phillips curve), устанавливающей обратную зависимость между уровнем безработицы и уровнем инфляции, подверглась ревизии. Эдмунд Фелпс ввел в рассмотрение не только фактическую инфляцию, но и ожидаемую. Оказалось, что в долгосрочной перспективе увеличить занятость за счет более высокой инфляции невозможно. Фактически господин

Фелпс продемонстрировал, что экономические ожидания людей имеют свойство материализовываться.

3. **Дж. Акерлоф** (нобелевский лауреат по экономике за 2001 г.) работал на стыке экономической теории и социологии, в основном на материале эффективности рынков труда. Он отмечал, что такие чувства, как понимание интересов работодателя или уважение к товарищам по работе, могут привести к повышению оплаты труда и понижению вероятности безработицы. **Д. Стиглиц** (нобелевский лауреат по экономике за 2001 г.) смотрел на тот же вопрос, что и другие лауреаты, но со стороны менее информированных участников. Он объяснил, каким образом менее информированные участники рынка, в частности, страховые компании, пытаются улучшить свое положение, добывая дополнительные данные. Д. Стиглицу удалось таким образом объяснить феномен долгой безработицы. Д. Стиглиц показал, что неинформированный участник способен иногда уловить информацию от лучше информированного через постоянное отслеживание информации, например, рекламной или выбирая для сделки какую-то специфическую форму договора из списка возможных форм.

4. Центральным пунктом своего метода **Д. Хекман** (нобелевский лауреат по экономике за 2000 г.) сделал известную категорию микроэкономики "X-фактор". "Хекман-метод" позволяет государству оценить важность дилеммы: что выгоднее - выделить больше инвестиций на образование с тем, чтобы увеличить занятость, или увеличить субсидии на обеспечение безработицы. Ответ один: выгоднее инвестировать в образование. Появление более высококвалифицированной рабочей силы на рынке труда будет способствовать более быстрому экономическому росту, повышению благосостояния народа и более быстрому решению социальных вопросов. Д. Хекман доказал, что существует определенный порог заработной платы, ниже уровня которого она не может опуститься, ибо любой безработный (даже самой низкой квалификации) откажется от той работы, что оплачивается по тарифам ниже пособия по безработице. Это наблюдение Д. Хекмана имеет очень большое значение для выработки государством такой политики занятости и заработной платы, которые стимулировали бы общую занятость и уменьшали бы безработицу до максимально низкого уровня.

Альфред Кураташвили

МИРОВОЙ ЭКОНОМИЧЕСКИЙ КРИЗИС И ПРОБЛЕМЫ ПОЛИТИЧЕСКОГО МЕНЕДЖМЕНТА

Мировой экономический кризис начала XXI века является наглядным показателем того, что существуют серьезные недостатки и просчеты в политическом менеджменте, прежде всего, ведущих капиталистических государств мира, которые во многом определяют как политический, так и экономический климат на планете Земля.

Нынешний Мировой экономический кризис, который фактически представляет собой Всеобщий кризис капитализма, и который в условиях глобализации затрагивает в

той или иной степени все государства мира, является именно результатом недостатков и просчетов в политическом менеджменте ведущих капиталистических государств.

Хотя необходимо отметить, что в результате просчетов в политическом менеджменте отмеченный кризис, как известно, начал проявляться в финансово-экономической сфере развитых капиталистических государств, и, в частности, начался он с кризиса финансово-экономической сферы Соединенных Штатов Америки.

Следовательно, Мировому экономическому кризису, по моему глубокому убеждению, предшествовал кризис в политическом менеджменте развитых капиталистических государств мира.

Притом, Мировой экономический кризис вызван кризисом в политическом менеджменте потому, что экономика, и даже так называемая рыночная экономика, в которой регулирующую роль в основном играют рыночные механизмы, все-таки управляется политикой.

Поэтому, и ответственность за Мировой экономический кризис лежит, прежде всего, на политическом менеджменте этих государств, т.е. на лидерах государств, осуществляющих политический менеджмент.

Возникает вопрос: в чем же причины кризиса в самом политическом менеджменте развитых капиталистических государств мира?

Глубинные причины кризиса в политическом менеджменте, по моему глубокому убеждению, следует искать, прежде всего, в кризисе сознания тех ученых, на результаты исследований которых опираются в процессе управления обществом и государством лидеры (и вообще власти) ведущих капиталистических стран мира.

Исходя из вышеотмеченного, важнейшей задачей общественных наук является разработка путей и механизмов преодоления проблем научного творчества, ибо без творческого развития науки эффективное функционирование общества, государства и человечества в целом не представляется возможным.

Считаю необходимым особо отметить, что проблемы научного творчества для меня всегда представляли особый интерес.

Этот интерес вызван тем, что, во-первых, без творческого развития науки, как уже отмечалось, не может быть эффективного функционирования общества, государства и человечества в целом, т.е. не может быть социально-экономического прогресса, и, во-вторых, всю свою сознательную жизнь мне приходилось бороться с «серостью» в науке и, в частности, в общественной науке.

Следовательно, решение проблем научного творчества имеет особое значение для предотвращения мировых экономических кризисов впредь.

Вместе с тем, новые научные идеи, как известно, всегда с трудом пробивали себе дорогу, ибо всегда существовали такие представители науки, которые отличались не своим творческим мышлением, а лишь своим должностным положением в науке и, пользуясь этим, всячески препятствовали развитию науки, чтобы на фоне творчески мыслящих ученых не выглядеть серыми.

А без творческого развития науки немыслимо и неосуществимо эффективное функционирование общества и государства.

Таким образом, Мировой экономической кризис начала XXI века еще раз подтверждает, что решение проблем научного творчества является глобальной – международной, всемирной – проблемой, ибо эффективное функционирование государств и благосостояние народов во много зависит, прежде всего, от творческого развития науки – как от идейно-теоретической основы социально-экономического прогресса.

Поэтому, тормозить развитие науки – это значит искусственно преграждать путь развитию общества, государства и человечества в целом.

Именно на основе творческих, т.е. истинно научных идей должны быть решены проблемы политического менеджмента, а, соответственно, и проблемы предотвращения мировых экономических кризисов.

Все вышеизложенное еще раз подтверждает чрезвычайную важность научного творчества и необходимость преодоления его проблем, ибо «серость» в науке – тормоз прогресса, а истинное творчество в науке – необходимая основа прогресса.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და მეცნიერება

შრომის ბაზარი და დასაქმების აღრიცხვის მეთოდები

შრომის ბაზარი წარმოადგენს სისტემას, რომელშიც ერთმანეთს ხვდებიან და ერთმანეთზე ზემოქმედებენ შრომის ბაზრის ისეთი სუბიექტები, როგორცაა სამუშაოს მიმცემი და სამუშაო ძალის მფლობელი პირები. შრომის ბაზარზე ფასდება სამუშაო ძალა, ყალიბდება თანაფარდობა სამუშაო ძალის მოთხოვნასა და მოწოდებას შორის, მისი სტრუქტურა და შრომის ბაზრის პირობები.

შეიძლება ითქვას, რომ შრომის ბაზარმა საქართველოში ჯერ კიდევ ვერ შეიძინა ცივილიზებულიობის ყველა ნიშანი და, გარკვეულწილად, წინააღმდეგობრივი ხასიათის მატარებელია. მიუხედავად იმისა, რომ თითქოს ჩამოყალიბდა მისი ფუნქციონირების საბაზრო მექანიზმის საფუძვლები, მისთვის დამახასიათებელია საერთო ეროვნული ბაზრის ზოგიერთი ნიშანი, მაგრამ მის სრულ ფორმირებას ბევრი ფაქტორი უშლის ხელს, მაგალითად, ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნების მიმდინარეობის დაბალი ტემპი, ხელფასების სიმცირე, მაღალი გადასახადები და სხვა. ამასთან, მასზე თითქმის სრულად აისახება გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელი ყველა სოციალურ-ეკონომიკური წინააღმდეგობა. უნდა ითქვას იმაზეც, რომ იმ ინსტიტუციურმა ცვლილებებმა, რომელიც ხორციელდება ქვეყანაში, მაგალითად, კერძო საკუთრების ინსტიტუტების სამართლებრივი საფუძვლების ჩამოყალიბებამ, მცირე და საშუალო ბიზნესის ახალი ფორმების განვითარებამ და სხვა, არსებითად შეცვალა შრომის ბაზრის თვისებრივი მდგომარეობა, ხოლო შრომითი ფორმების მრავალფეროვნებამ, განსაკუთრებით ინდივიდუალურ შრომით საქმიანობაში, განაპირობა მოსახლეობაში თვითდასაქმების ზრდა, განსაკუთრებით სოფლად. ახლა შრომის ბაზარზე მთლიანად, ისევე, როგორც დასაქმებასა და უმუშევრობაზე, არსებით ზეგავლენას ახდენს ის საერთო სიტუაცია, რომელიც არის ქვეყნის ეკონომიკაში, კერძოდ, შრომის მიწოდების შეუსაბამობა მის მოთხოვნაზე ეკონომიკის მხრიდან. სახეზეა ჭარბი სამუშაო ძალა მასზე მოთხოვნის სულ უფრო შემცირების პირობებში, ასე მაგალითად, 2000-2007 წლებში დასაქმებულთა რიცხოვნობა საქართველოში 1839,3 ათასი კაციდან 1704,3 ათას კაცამდე შემცირდა, შესაბამისად, დასაქმების დონე დაეცა 58,4%-დან 54,8%-მდე. მაშასადამე, გამოკვეთილი დაუსაქმებლობის ზრდის ტენდენციის პირობებში, უმუშევრობა სულ უფრო ხდება მთავარი სოციალურ-ეკონომიკური ფენომენი, რომელიც ქვეყანაში ახალი საბაზრო რეალობისათვის არის დამახასიათებელი. ამას დაემატა გასული წლის აგვისტოს მოვლენები და მსოფლოში ახლა მიმდინარე მძაფრი ფინანსური კრიზისი, რომელმაც აღნიშნული პრობლემა კიდევ უფრო გაამწვავა. როგორც ჩანს, უახლოეს მომავალში მისი შეცვლის ალბათობა ძალზე სათუაოა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სხვადასხვა სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო, აშკარად ცდილობს სასურველი მიმართულებით ვითარების შევლამაზებას, ძნელი წარმოსადგენია, რომ მდგომარეობა შეიცვალოს ამ სამსახურის ეკონომიკის სამინისტროს

დაქვემდებარებიდან გამოსვლის შემდეგაც, რამდენადაც საქართველოს პარლამენტის მიერ 27 მარტს მიღებული კანონის თანახმად, სტატისტიკის დეპარტამენტში ნებადართულია 3 ისეთი უწყების ხელმძღვანელი პირის ყოფნა, რომელთაგან თითოეულს აქვს იტერესი, რომ ინფორმაცია დამახინჯდეს, ეს კი ახლაც და მომავალშიც ძალზე გაართულებს სწორი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას.

დასაქმებულთა აღრიცხვის საბჭოური სისტემის რღვევამ, ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით, განაპირობა საბაზრო ურთიერთობების შესატყვისი დასაქმების სტატისტიკის ფორმირების აუცილებლობა. რამდენადაც ჩვენთან ამ მხრივ არავითარი გამოცდილება არ არსებობდა, დაიწყო შრომის საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებისა და მითითებების მექანიკური გადმოტანა, რაც, ბევრ შემთხვევაში, რეალობასთან შეუსაბამო აღმოჩნდა. ამას დაემატა სააღრიცხვო საქმიანობით დაკავებული სახელმწიფო მოხელეების თითქმის მასიური დათხოვნა სამსახურებიდან, შედეგად მივიღეთ სინამდვილის ძალზე დამახინჯებული სურათი. მაგალითად, ოფიციალური სტატისტიკა (2007 წ. მონაცემებით) უმუშევრად მხოლოდ 261,0 ათას კაცს ასახელებს, იმ დროს, როცა ქვეყნის პირველი პირი აღიარებს, რომ ბოლო ხუთ წელიწადში სამსახურებიდან 250 ათასი კაცია დათხოვნილი და ესენი ძირითადად საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლები იყვნენ, მაშინ, როცა 265,0 ათასი უმუშევარი ჯერ კიდევ 2002 წელს იყო აღრიცხული, ძალზე საეჭვოა მათ სამუშაო ეშვოათ, მაშ, სად წავიდნენ ისინი – საზღვარგარეთ? როგორც ჩანს, დასაქმებულთა და უმუშევართა აღრიცხვის მეთოდი, რომელიც მხოლოდ შინამეურნეობებში რესპონდენტთა გამოკითხვას ემყარება, გადახედვას ექვემდებარება, ისევე, როგორც ცნებები „დასაქმებული“ და „უმუშევარი“.

ნანა ბიბილაშვილი

უმუშევრობის ღაპავის ღონისძიებები კოსტკომუნისტურ საქართველოში

თანამედროვე ეკონომიკური, პოლიტიკური და ფინანსური კრიზისის პირობებში, რომელმაც მოიცვა საზოგადოებრივი ურთიერთობების ყველა მხარე, განსაკუთრებული სიმწვავეთ გამოიკვეთა მასობრივი უმუშევრობისა და მოსახლეობის ძირითადი ფენების ცხოვრების დონის მკვეთრი დაცემის ტენდენცია. მსოფლიოში, და განსაკუთრებით პოსტკომუნისტურ სივრცეში, უმუშევრობა განიხილება, როგორც უმძაფრესი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა და ფენომენი. საქართველოში კი ის სიღარიბის გამომწვევე მთავარ მიზეზად არის მიჩნეული.

სტატისტიკის დეპარტამენტის ოფიციალური მონაცემებით, უმუშევრობის დონე საქართველოში 2007 წელს 13.3% შეადგენდა, მაგრამ ექსპერტთა შეფასებით უმუშევრობის დონის ამსახველი რეალური მაჩვენებელი გაცილებით უფრო მაღალი უნდა ყოფილიყო – 25-30%.

უმუშევრობისა და მისი ღონის შემცირების მიზნით, პოსტკომუნისტურ ქვეყნებში უნდა შემუშავდეს დასაქმების აქტიური პოლიტიკა და მოხდეს მისი პრაქტიკული რეალიზაცია. ასეთი პოლიტიკის მთავარი მიზანი უნდა იყოს შრომის ბაზრების ფუნქციონირების ეფექტიანობის იმგვარი ამაღლება, რომლის დროსაც შესაძლებელი იქნება უმუშევრობის მინიმალური ღონის შენარჩუნება.

ამ მხრივ მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის სახელმწიფოს მარეგულირებელ ფუნქციას დასაქმების სფეროში.

დასაქმების სფეროების სახელმწიფო რეგულირებისათვის საჭირო ძირითად ღონისძიებებს შემდეგნაირად აჯგუფებენ:

- რეგულირების მიმართულებების მიხედვით – სოციალური და ეკონომიკური შინაარსის ღონისძიებები;
- მათი გამოყენების შედეგად მოსალოდნელი დროითი ეფექტების მიხედვით – მოკლე, საშუალო და ხანგრძლივადიანი ღონისძიებები;
- შრომის ბაზრის პროცესებზე ზემოქმედების მიხედვით – პირდაპირი და ირიბი (ანუ არაპირდაპირი) ღონისძიებები;
- შრომის ბაზრის ცალკეულ სექტორებზე ზემოქმედების მიხედვით – შრომითი რესურსების მიწოდების, შრომით რესურსებზე მოთხოვნისა და ხელფასის რეგულირებისათვის საჭირო ღონისძიებები;
- ღონეების მიხედვით – მიკრო და მაკროღონეების მარეგულირებელი ღონისძიებები.

აღნიშნულიდან ცხადია, რომ ჩამოთვლილ ჯგუფებში შემაჯავლი ღონისძიებების ერთი ნაწილი დასარეგულირებელ ობიექტზე ახდენს პირდაპირ, ხოლო მეორე კი – არაპირდაპირ ზეგავლენას.

პირდაპირი ზეგავლენის ღონისძიებებს მიეკუთვნება სამუშაო ადგილების შექმნის, განათლების სფეროს, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამები, ცვლილებები შრომის კანონმდებლობაში, რეგიონული პოლიტიკის სფეროში ჩატარებული ღონისძიებები და სხვ.

ირიბი (ანუ არაპირდაპირი) ზეგავლენის ღონისძიებებს მიეკუთვნება ფულად-საკრედიტო და საგადასახადო პოლიტიკა, მეწარმეების სუბსიდირება, სამუშაოზე მოწყობილი უმუშევრების წარმოებრივი მომზადება-გადამზადებისა და სხვა ეკონომიკური ხასიათის ღონისძიებები.

შევეხოთ ზოგიერთ იმ ღონისძიებას, რომლებიც სამუშაო ადგილების ზრდის ხარჯზე დაარეგულირებენ საქართველოში დასაქმების პროცესებს.

- **ინფრასტრუქტურის განვითარება.** დროებითი დასაქმების სისტემის შექმნა მნიშვნელოვნად ამცირებს შრომის ბაზარზე არსებულ დაძაბულობას. მთავრობამ ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა გამოყოფს თანხები ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის. ბოლო წლებში ბიუჯეტიდან მზარდი თანხები მიემართება სწორედ ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ: გზების მშენებლობა, ფასადების შეღებვა, ენერგობიექტების რეკონსტრუქცია და

ახლის მშენებლობა და სხვ. ამ პროცესს არ უნდა ჰქონდეს ერთჯერადი ხასიათი.

- **ინვესტიციების გაზრდის ხელშეწყობა.** ნებისმიერი საკანონმდებლო თუ სხვა სახის ქმედებით ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებას, რადგან სამუშაო ადგილების შექმნა, გარკვეულწილად, ახალი ინვესტიციების მოზიდვითა და ეკონომიკის განვითარებითაა შესაძლებელი. აგვისტოში განვითარებულმა მოვლენებმა და ქვეყანაში ამჟამად არსებულმა რთულმა ვითარებამ საქართველოს პოლიტიკურად არასტაბილური ქვეყნის იმიჯი შესძინა. ამან კი, თავის მხრივ, ნეგატიურად იმოქმედა არა მხოლოდ უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე, არამედ უკვე შეთანხმებული ინვესტიციების ამუშავებაზე.
- **საგადასახადო კანონმდებლობა.** უნდა შეიქმნას ისეთი საკანონმდებლო სივრცე, რომელიც გააუმჯობესებს სამეწარმეო გარემოს: ახლად დაარსებული მცირე საწარმოების გარკვეული ვადით გათავისუფლება ყოველგვარი გადასახადისგან, მოგების გადასახადის დიფერენცირება და დაბალი განაკვეთის დაწესება მცირე საწარმოებისთვის, ლიცენზირების სისტემის რეორგანიზაცია და შესამჩნევი გამარტივება, შესაძლებლობის ფარგლებში შეღავათიანი სახელმწიფო კრედიტის, სუბსიდიებისა და გრანტების გამოყოფა პრიორიტეტული დარგებისთვის, განსაკუთრებით უნდა წახალისდეს მეცნიერებატევადი დარგები.
- **მცირე ბიზნისის განვითარების პრიორიტეტულობა.** მცირე ბიზნისის განვითარება საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტი უნდა გახდეს, რადგან სწორედ მას ძალუძს გადამწყვეტი როლი ითამაშოს საბაზრო ეკონომიკის ფორმირებასა და ქვეყანაში ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური პრობლემების დაძლევის საკითხში. ჩვენთან მცირე ბიზნისის ხელშეწყობა და განვითარება ჩრდილოვანი ეკონომიკის შემცირებას გამოიწვევს, რადგან სწორედ ამ სექტორში იქმნება აღურიცხავი პროდუქციის 70-75%, ეს ის პროდუქციაა, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია შიდა ბაზარზე. არის ერთი მომენტიც, მცირე საწარმოები ძირითადად იმ პროდუქციას აწარმოებენ, რომლებიც საქართველოში იმპორტის გზით შემოიტანება. მცირე საწარმოებისთვის შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის არსებობისა და ამის საშუალებით მათი კონკურენტუნარიან საწარმოებად გადაქცევის შემთხვევაში, იმპორტი შეიზღუდება, რაც ხელს შეუშლის სავალუტო რესურსების გარეთ გადინების პროცესს. მცირე ბიზნისის განვითარება ხელს შეუწყობს კონკურენციის გაღრმავებას, მათ მართვას არ სჭირდება დიდი კაპიტალი, ისინი გაცილებით მოქნილნი არიან, ამიტომ აქვთ საშუალება, ადვილად მოახდინონ ადაპტირება საბაზრო კონიუნქტურის ნებისმიერ ცვლილებაზე.

კერძო დანაზოგები და მაკროეკონომიკური სტაბილურობა

ინვესტიციები, ყველა სხვა ეკონომიკური რესურსების მსგავსად, შეზღუდულია. ამიტომ ინვესტიციური რესურსების მოთხოვნის დაკმაყოფილება ერთ-ერთი ყველაზე ძნელად გადასაჭრელი პრობლემაა ნებისმიერი ეკონომიკური სისტემისათვის, ყველა სამეურნეო სუბიექტისათვის. პრობლემა გამწვავებულია იმ კუთხითაც, რომ ინვესტიციები – ეს არის მომავლის რესურსები, ადამიანები კი პრაქტიკულად ყოველთვის ცდილობენ უპირეტესობა მიანიჭონ დღევანდელ მოთხოვნებს – მოხმარების მოცულობას. თუმცა ასეთი საკციელო, რა თქმა უნდა, გამართლებული არ არის, რადგან შემოსავლების გარკვეული ნაწილი ეკონომიკურმა სუბიექტებმა უნდა დაზოგონ. დაზოგვა – ეს დროში განვადებული მოხმარებაა, რომელიც ინვესტიციების სახით ბრუნდება ეკონომიკაში.

გასული წლის სექტემბრამდე საქართველოში არსებული მაკროეკონომიკურ მანევრებელთა ზრდა არ შეიძლება აიხსნას ადგილობრივი ინვესტიციების მატებით,

რომელიც 2005 წლიდან თითქმის არ შეცვლილა. (2005 წელს ადგილობრივ ინვესტიციებს მშპ-ის 26,3% ეკავა, 2006 წელს – 25,6%, 2007 წელს – 27% და 2008 წლის მონაცემებით – 26,8%).

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, რომელიც ეროვნულ დანაზოგებსა და ინვესტიციებს შორის სხვაობის ტოლია, მხოლოდ კერძო დანაზოგების შემცირებით შეიძლება აიხსნას, რომელიც 2005 წელს მშპ-ის 13,8%-ს შეადგენდა და 2008 წლის მონაცემების მიხედვით 5,9%-მდე დაეცა. კერძო დანაზოგების ასეთი შემცირება საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი ქვეყნებისათვის არის დამახა-სიათებელი. და მიუხედავად იმისა, რომ ფაქტორები, რომლებმაც საქართველოში კერძო დანაზოგების შემცირება გამოიწვია, სხვა ქვეყნებში არსებული ფაქტორების მსგავსია, მაინც არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება. ეს განსხვავება ძირითადად დანაზოგების ძალიან დაბალი დონით აიხსნება, რაც არ იძლევა საინვესტიციო აქტივობის ამადლების შესაძლებლობას. ეროვნული დანაზოგების არა მარტო დაბალ, არამედ კლებად ფონზე ღრმა საგარეო კრიზისის განვითარების თავიდან აცილება შესაძლებელი გახდა მხოლოდ საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და პოლიტიკური პარტნიორების მხარდაჭერითა და ფინანსური დახმარებით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს დახმარებები დროებითი შეღავათებია და გრძელვადიან პერსპექტივაში ვერ შეძლებს ადგილობრივი კაპიტალის არასაკმარისი დაგროვების კომპენსაციას.

მსოფლიო ბანკმა ოთხმოცდაათიან წლებში ჩაატარა კვლევა დანაზოგების განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ. მონაცემთა ბაზა საკმაოდ ფართო იყო, რომელშიც შედიოდა როგორც განვითარებადი, ასევე განვითარებული ქვეყნები.

ამ ქვეყნების ეკონომიკებს შორის სხვაობა აშკარად დიდი იყო, რაც გამოვლინდა დანაზოგების მანვენებლის ზრდაში განვითარებულ ქვეყნებში. კვლევის ავტორები შეეცადნენ გაეანალიზებინათ, რატომ განსხვავდებოდა დანაზოგები ქვეყნებისა და დროითი პერიოდების მიხედვით და როგორ შეიძლებოდა ეკონომიკური პოლიტიკით ამის გამოსწორება. აშკარაა, რომ განვითარებულ ქვეყნებში არსებობს საკმაოდ მაღალი კორელაცია კერძო დანაზოგებს, ადგილობრივ ინვესტიციებსა და ერთ სულ მოსახლეზე რეალური მშპ-ის ზრდას შორის.

მოცემული კვლევის თანახმად განისაზღვრა კერძო დანაზოგების ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორები:

- მდგრადობა. დანაზოგების განაკვეთებისათვის დამახასიათებელია დიდი ინერცია. თუმცა საქართველოსათვის დამახასიათებელია დანაზოგების განაკვეთების ტრადიციულად დაბალი დონე.

- შემოსავალი. სამეურნეო სუბიექტების კეთილდღეობის ზრდასთან ერთად იზრდება დანაზოგების მოცულობაც (განვითარებულ ქვეყნებში ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის გაორმაგებისას შეფარდება კერძო დანაზოგებსა და მშპ-ს შორის 10 პროცენტით იზრდება).

- დემოგრაფია. კერძო დანაზოგებზე უარყოფითად მოქმედებს ერის დაბერება, არასამუშაო ძალის ხვედრითი წილის ზრდა მთელ მოსახლეობაში.

- კერძო დანაზოგების განმსაზღვრელი კიდევ ერთი ფაქტორი ფინანსურ ლიბერალიზაციას უკავშირდება. იგი საკმაოდ უარყოფითად მოქმედებს დანაზოგებზე მოკლევადიან პერსპექტივაში. რეალური საპროცენტო განაკვეთების ზრდა, რომელიც ჩვეულებრივ თან ახლავს ფინანსურ დერეგულირებას, უარყოფითად მოქმედებს დანაზოგებზე, ვინაიდან შემოსავლის ეფექტი უფრო მნიშვნელოვანია მისი ჩანაცვლების ეფექტზე.

საქართველოში კერძო დანაზოგებზე ნეგატიური ფაქტორების გავლენა აშკარად უფრო მეტია, ვიდრე პოზიტიურის. ეს გარკვეულწილად განპირობებულია საჭიროების შემთხვევაში საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მზადყოფნით, განახორციელონ რეფინანსირება ქვეყანაში. თუმცა ქვეყნისთვის უფრო ქმედითი იქნება თუ გავითვალისწინებთ, რომ გაცილებით სტაბილურია და უსაფრთხო გრძელვადიანი განვითარების სტრატეგია, როცა იგი ეყრდნობა საკუთარ შესაძლებლობას, გაზარდოს ადგილობრივი დანაზოგები, ხოლო უცხოურ რესურსებს იყენებს როგორც დამხმარე და არა ჩამნაცვლებელ საშუალებას.

დაზოგვის ეროვნული სტრატეგიის შემუშავებისას აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ, გლობალური ფინანსური ლიბერალიზაციის შედეგად, მიუხედავად ეროვნულ დანაზოგებსა და ინვესტიციებს შორის შემცირებული კორელაციისა, კავშირი მათ შორის მაინც ძლიერია. განსაკუთრებით საყურადღებოა ეს საკითხი საქართველოსთვის, სადაც გასული წლის აგვისტოს ომის შედეგად საგრძნობლად შემცირდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა. იგივე შეიძლება ითქვას ინვესტიციებსა და მშპ-ს შორის კავშირზე. დღეს საქართველოს-თვის მეტი ეროვნული დანაზოგი ნიშნავს მშპ-ის ზრდის უფრო

მაღალ ტემპს, რასაც სამუშაო ადგილების შექმნისა და სოციალური სტაბილურობის თვალსაზრისით აშკარად პოზიტიური შედეგები ექნება. ადგილობრივი დანაზოგების ზრდა ასევე იძლევა საშუალებას, ქვეყანაში განვითარებული ფინანსური სისტემა შეიქმნას.

შალვა გოგიაშვილი

ეკონომიკური პოლიტიკა და კონკურენცია

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების განვითარება აჩვენებს, რომ კონკურენცია წარმოადგენს რესურსების ეფექტური გამოყენების, მინიმალური საწარმოო დანახარჯების პირობებში ეროვნული სიმდიდრის ზრდის მნიშვნელოვან წინაპირობას. იგივე გამოცდილება ადასტურებს, რომ ხშირად არარეგულირებადი ბაზარი გადაიზრდება საპირისპირო მოვლენაში – მონოპოლიაში, რომელსაც შედეგად მოჰყვება ეკონომიკური განვითარების დინამიზმის დაკარგვა და სტაგნაცია.

ამიტომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სახელმწიფო იძულებული ხდება ჩაერიოს საბაზრო მექანიზმის “მუშაობაში”. აუცილებელ შემთხვევებში მან უნდა აკონტროლოს და არეგულიროს სამეწარმეო სუბიექტების საქმიანობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული საზოგადოებისათვის დამღუპველი მონოპოლიზებისა და არაკეთილსინდისიერი საქმიანი პრაქტიკის პროცესები.

კანონმდებლობა კონკურენციისა და მონოპოლიების შესახებ შედარებით ახალი მოვლენაა საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებასა და სამართლებრივ სისტემაში. საქართველოში, ისევე, როგორც სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, მას საფუძველი ჩაეყარა გეგმური ეკონომიკის რღვევისა და საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის საწყის ეტაპზე. კერძოდ, XX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს. შესაბამისად, უკვე 1992 წელს სახელმწიფო საბჭომ მიიღო დეკრეტი “მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების შესახებ”, რომელიც ჩანაცვლებულ იქნა “მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ” საქართველოს 1996 წლის კანონით. მოგვიანებით, 2005 წლის 3 ივნისს მიღებულ იქნა კანონი “თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ”, რომელიც, საქართველოს კონსტიტუციასა და კონკრეტული დარგების მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმატიულ აქტებთან ერთად, წარმოადგენს ქვეყნის კონკურენციულ კანონმდებლობას და ეკონომიკის ანტიმონოპოლიური რეგულირების სამართლებრივ საფუძველს.

დღეს უკვე სადავო არ არის (არ უნდა იყოს), რომ საბაზრო ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება შეუძლებელია საკონკურენციო სამართლებრივი ნორმებისა და შესაბამისი აღმასრულებელი ინსტიტუტის გარეშე. ამდენად, გარე სამყაროსთან ჰარმონიზებული საკონკურენციო პოლიტიკა წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის ხერხემალს; მის სწორ წარმართვაზე დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკის სტაბილურობა და მისი სამართლიანი განვითარება. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეწარმეებს და

მთლიანად საზოგადოებას კარგად ექნება გაცნობიერებული ანტიმონოპოლიური რეგულირების აუცილებლობა და მისი რეალიზაციის ეკონომიკურ-სამართლებრივი ინსტრუმენტარის ობიექტურობა და ეფექტიანობა.

საქართველოში კონკურენციული კანონმდებლობის შექმნა, რომელიც ანტიმონოპოლიური პოლიტიკის განხორციელების საფუძველს წარმოადგენს, განპირობებულია იმავე მიზეზებით, რაც ნებისმიერი საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი. კერძოდ, ესაა ბაზრის სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებლობა, მონოპოლიზების შეზღუდვა, კონკურენციის მხარდაჭერა და საერთოდ, პოლიტიკური დემოკრატიისათვის ეკონომიკური საფუძვლების შექმნა.

ანტიმონოპოლიური პოლიტიკა წარმოადგენს სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელ ორგანულ ნაწილს, რომლის ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ, ერთი მხრივ გამოყენებულ იქნეს მაღალი ეფექტიანობის მქონე მსხვილმასშტაბიანი ეკონომიკის უპირატესობები, ხოლო, მეორე მხრივ, განხორციელდეს კონკურენციის განვითარებაზე ამ ეკონომიკის შესაძლო ნეგატიური შედეგების მაქსიმალური განეიტრალება.

რაციონალური კონკურენციული პოლიტიკის ჩამოყალიბება და გატარება აუცილებელი პირობაა საზოგადოებაში ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობების დაფუძნებისათვის, რადგან კონკურენცია წარმოადგენს ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ობიექტურ საფუძველს. აღნიშნულიდან გამომდინარე, დიდ როლს ასრულებს ანტიმონოპოლიური რეგულირება, რომელიც წარმოადგენს კანონმდებლობით განსაზღვრულ ჩარევებში სახელმწიფოს და მისი უფლებამოსილი ორგანოების მიზანმიმართულ საქმიანობას მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის და სხვა უკანონო ქმედებათა საწინააღმდეგოდ, რომლებიც იწვევენ ან შეუძლიათ გამოიწვიონ კონკურენციის შეზღუდვა ან მისი აღკვეთა სასაქონლო ბაზარზე.

ანტიმონოპოლიური რეგულირების საქმეში განსაკუთრებული როლი ენიჭება სასაქონლო ბაზრების სისტემატურ მონიტორინგს, მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტთა და ბუნებრივი მონოპოლიების სუბიექტების საბაზრო ქცევის შესწავლას და, საჭიროების შემთხვევაში, კონტროლისა და ეკონომიკური რეგულირების ეფექტიანი მექანიზმის ამოქმედებას.

როგორც დაახლოებით ორასწლიანი გამოცდილება აჩვენებს, საბაზრო სისტემა არასოდეს თვითონ არ ქმნიდა და არ ქმნის გარემოს თავისუფალი კონკურენციისათვის. უფრო მეტიც, გარედან ჩარევის გარეშე სისტემა მისწრაფის მონოპოლიზებისაკენ. აღნიშნული აიძულებს საზოგადოებას კონკურენციის უზრუნველსაყოფად, კონკურენციის დასაცავად და, საერთოდ, საკონკურენციო ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციისათვის, სპეციალური საკანონმდებლო მექანიზმის ფორმირებას და სრულყოფას.

აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ თავისუფალი ბაზრის სასარგებლოდ არსებული ეკონომიკური მტკიცებულებები შორს არის იმ აზრისაგან, რომ

ბაზარი ყოველთვის “სწორად” ფუნქციონირებს და ავტომატურ რეჟიმში ახერხებს კონკურენციის დაცვას. ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს შეთანხმებებს ცალკეულ საქონელმწარმოებლებს შორის პროდუქციაზე ფასების ზღვრულ დანახარჯებზე ზემოთ დაფიქსირების თაობაზე, ხდება ხოლმე სასაქონლო ბაზრის ცალკეული სეგმენტების მონოპოლიზება, რასაც შედეგად მოჰყვება მომხმარებელთა უფლებების შელახვა. ამიტომ საკონკურენციო კანონმდებლობა ყველა ქვეყანაში მოწოდებულია საბაზრო მექანიზმის ზოგიერთი ნეგატიური ნიშნის “გამოსწორება-შერბილებისათვის” და, აუცილებლობის შემთხვევაში, სახელმწიფო რეგულირებისათვის.

კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკის განვითარებას ფართო გასაქანი მიეცა კაპიტალიზმის პირობებში. ის არის მდგრადი ეკონომიკური განვითარების საწინდარი, საბაზრო ურთიერთობათა ძირითადი შემადგენელი ელემენტი და წარმოადგენს ბაზრის სიმბოლოს, რომლის გარეშე შეუძლებელია თავისუფალი ეკონომიკური არჩევანის განხორციელება, ცალკეული პერიოდისათვის სასაქონლო ბაზრებზე მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსება და მომხმარებლისათვის მისაღები ფასის ფორმირება. კონკურენცია საბაზრო ეკონომიკაში ფასწარმოქმნის მექანიზმის ისეთ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს, რომლის (სამართლიანი კონკურენციული გარემოს) არსებობის საჭიროება უკვე დიდი ხანია აღიარებულია მთელ მსოფლიოში.

ჯერ კიდევ საუკუნის წინათ, ფაქტობრივად, ყველა ქვეყანა ეკონომიკაში წამყვან როლს მცირე საწარმოებს ანიჭებდა. მოგვიანებით, ამ ქვეყნების ეკონომიკაში დიდი ადგილი დაიკავეს მსხვილმა კორპორაციებმა, რომლებიც მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდნენ და დღეისთვისაც წარმოადგენენ თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში. ამასთან, დაკვირვებისა და ანალიზის საფუძველზე, ეკონომისტებმა დაასკვნეს, რომ მსხვილი საწარმოების მომრავლება, როგორც წესი, აკნინებს კონკურენციას და ხელს უშლის არსებული რესურსების ოპტიმალურ ათვისება-გამოყენებას.

საზოგადოდ, კონკურენციის პოლიტიკა ეფუძნება იმ ფუნდამენტურ ეკონომიკურ თეზისს, რომლის მიხედვითაც საბაზრო ძალაუფლების მოპოვებამ და მისმა ბოროტად გამოყენებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას კონკურენციის განვითარებას და საზოგადოების ეკონომიკური კეთილდღეობის დონეს. ამდენად, კონკურენცია მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ეკონომიკურ დოქტრინასა თუ კონცეფციაში განიხილება როგორც წარმატებულად განვითარებადი ეკონომიკის საფუძველი; კონკურენციის დაცვა და ანტიკონკურენციული ქმედებების გამოფლენა არის სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი ამოსავალი პრიორიტეტი.

საზოგადოებას, რომელიც აშენებს თავისუფალ ეკონომიკურ სისტემას, აუცილებლად უნდა ჰქონდეს ჩამოყალიბებული ეკონომიკური პოლიტიკა, რომლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი სწორედ კონკურენციის პოლიტიკა უნდა იყოს. თუმცა, იმისათვის, რომ ქვეყანამ რეალურად გაატაროს კონკურენციული ეკონომიკური პოლიტიკა, აუცილებელია, მაგრამ

არასაკმარისი, შესაბამისი საკონკურენციო კანონმდებლობის არსებობა. შეიძლება ითქვას, რომ კონკურენციის პოლიტიკის წარმატება დამოკიდებულია სახელმწიფოსა და იმ სახელმწიფო ორგანოების ნებაზე და მიდგომებზე, რომელთაც კანონით ვვალდებთ კონკურენციისა და საკონკურენციო ურთიერთობების ზედამხედველობა. ამასთან, პრაქტიკაში კონკურენციული პოლიტიკის გატარებისას ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ ეკონომიკური კონკურენცია არ იქნეს მიზანშეუწონლად შეზღუდული სახელმწიფოს და კერძო ეკონომიკური აგენტების დისკრიმინაციული ან არაკეთილსინდისიერი ქმედებებით.

საზოგადოდ, კონკურენციის ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაცია შიდა და გარე ბაზარზე ხელს უწყობს ქვეყნის ჩართვას შრომის საერთაშორისო განაწილებასა და საბაზრო ურთიერთობების განვითარების პროცესში. ამდენად, საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის უმნიშვნელოვანეს წინაპირობას წარმოადგენს ქვეყნის შიდა ბაზარზე ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება და კონკურენციის პოლიტიკის თანმიმდევრული გატარება.

უნდა აღინიშნოს, რომ კონკურენციული ურთიერთობის დაცვისა და რეგულირების ეფექტური მექანიზმით “შეიარაღებული” ეკონომიკური პოლიტიკა ქვეყანას აძლევს რეალურ საშუალებას, საყოველთაოდ მიღებული კანონიერი გზით დაიცვას შიდა ბაზარი ეკონომიკურ აგენტთა მხრიდან კონკურენციის შემზღუდავი მოსალოდნელი ქმედებებისაგან და უზრუნველყოს ასეთი ქმედებებებით გამოწვეული ზიანის საკომპენსაციო მარეგულირებელი ზომების განხორციელება. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სრულყოფილ კონკურენციულ კანონმდებლობას შედარებით პატარა ქვეყნებისათვის (მცირე ზომის ეკონომიკის მქონეთათვის), მით უმეტეს, თუ ისინი საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ და განვითარებად ქვეყნებს წარმოადგენენ.

გლობალიზაციისა და ეკონომიკური ინტეგრაციის პირობებში, რაც ერთი მხრივ აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკისა და მისი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად, სერიოზული საშიშროება ექმნება მცირე ზომის ქვეყნის ეკონომიკას, რომ ამ ქვეყანაში არსებულ შედარებით მცირე ზომის ფირმებს (მსოფლიო მასშტაბით) არ შეექმნას ბარიერები ბაზარზე თავისუფალი ფუნქციონირებისათვის მსხვილი, ტრანსნაციონალური კომპანიებისა და მათი ფილიალების მხრიდან, დისკრიმინაციული, კონკურენციის შემზღუდავი საბაზრო ქცევის პირობებში. ამ თვალსაზრისით, კონკურენციული კანონმდებლობაა ის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი, ქმედითი ბერკეტი, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს სათანადო კონკურენციული ბიზნესგარემო ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი ყველა ეკონომიკური აგენტისათვის მათი ზომისა და საბაზრო ძალაუფლების ხარისხის მიუხედავად.

აღნიშნულ გარემოებათა ანალიზი იძლევა საფუძველს ითქვას, რომ კონკურენციული კანონმდებლობის სრულყოფილება და მისი პრაქტიკული რეალიზაციის ეფექტურობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ისეთი პატარა ქვეყნების, როგორც საქართველო, ეკონომიკურ დამოუკიდებლობასა და, გარკვეულ-

წილად, პოლიტიკურსაც, რადგან მას შეუძლია უზრუნველყოს სამამულო მწარმოებლებისათვის (რომლებიც, ქვეყნის მასშტაბებიდან გამომდინარე, ვერ იქნებიან მსხვილი კომპანიები) და, საერთოდ ყველა მცირე და საშუალო ზომის ეკონომიკური აგენტისათვის, ფუნქციონირების ნორმალური პირობები. ამ შემთხვევაში სამამულო საქონელმწარმოებლებსაც მიეცემათ საერთაშორისო ბაზრის ცალკეულ სეგმენტებზე კონკურენციული უპირატესობის მოპოვების შანსი.

სადავო არაა, რომ კონკურენციული უპირატესობის გარეშე, გლობალიზაციისა და საერთაშორისო კონკურენციის თანამედროვე ეტაპზე ნებისმიერი ქვეყანაა განწირული იმისათვის, რომ საერთაშორისო ბაზარზე მას ეკავოს მუდმივად მხოლოდ “მომხმარებლის ნიშა”, ხოლო მისი მოსახლეობა თავისი მოხმარების მოცულობითა და სტრუქტურით იყოს ასევე მუდმივად “ღარიბთა” კატეგორიაში. სწორედ ამიტომ, სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს თეორიული და პრაქტიკული ხასიათის კვლევები კონკურენციული უპირატესობის მიღწევის სტრატეგიისა და ტაქტიკის სფეროში. სამწუხაროდ, საქართველოში კვლევის ამ სფეროსადმი ჯერჯერობით სათანადო ყურადღება და რესურსები არაა კონცენტრირებული, მაგრამ ფაქტია, რომ საყოველთაოდ აღიარებულ საკონკურენციო ნორმებზე დაყრდნობილი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობისა და მისი აღმასრულებელი, შესაბამისი უფლებამოსილებებით აღჭურვილი ინსტიტუტის ეფექტური მუშაობის გარეშე შეუძლებელია ამ მიზნის მიღწევა.

დემნა კვარაცხელია

უმუშევრობის შემცირება და დასაქმების დონის ამაღლება

ეკონომიკური განვითარების მიმდინარე ეტაპზე ეკონომიკური პოლიტიკის მოკლევადიანი მიზანია ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, უმუშევრობის შემცირება და არსებული შრომითი რესურსების ოპტიმალური გამოყენება.

აღნიშნული მიზნის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი უმთავარი პრობლემაა სამუშაო ადგილების დეფიციტი და უმუშევრობა. საკითხი დგას შემდეგნაირად: „რა უნდა გაკეთდეს ქვეყანაში არსებული უმუშევრობის შემცირებისა და შრომითი რესურსების დასაქმებისათვის“?

აღსანიშნავია, რომ საქართველოში დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ არსებული ოფიციალური მონაცემები აშკარად გაყალბებული და ტენდენციურია, განსაკუთრებით ეს შეეხება სოფლის მეურნეობას. 1990 წელს ამ დარგში დასაქმებული იყო 697,2 ათასი კაცი, 2006 წელს კი 966,4 ათასი კაცი, ანუ 1,4-ჯერ მეტი, რაც წარმოუდგენლად მიგვაჩნია იმავე პერიოდში ქვეყნის მოსახლეობის 1055 ათასი კაცით შემცირებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში არსებული კრიზისული ვითარების ფონზე. სოფლის მეურნეობის პროდუქცია 2006 წლისათვის 1990 წელთან შედარებით შემცირებულია 34,4 %-

ით. 1990-2006 წწ. პერიოდში ასევე მნიშვნელოვნად შემცირებულია დამუშავებული სახნავი მიწების (საგანგაშოა, რომ ნათესი ფართობი შემცირდა 1999-2005 წლებშიც – 54,4 ათასი ჰექტარით), ჩაის პლანტაციების, ვენახისა და ხეხილის გაშენებული ფართობები. ასევე შემცირებულია მსხვილფეხა და წერილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საეჭვოა სასოფლო-სამეურნეო წარმოების სფეროში დასაქმებულთა რაოდენობის არნახული ზრდა და ხელისუფლების მხრიდან სირაქლემას პოზაში ყოფნა რაიმე სახის სიკეთის მომტანი არ არის.

სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობის მაღალი მაჩვენებლის გამართლებად შეიძლება მოგვეჩვენოს ის, რომ 1990 წელთან შედარებით დაბალია სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვის დონე. თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ სოფლად დასაქმებულთა რაოდენობის ოფიციალური მაჩვენებელი ეკონომიკური კრიზისის საწყის ეტაპზე იქნა ხელოვნურად ამადლებული, ანუ მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ შენარჩუნებული იყო არსებული ტექნიკა. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ პრობლემა სტატისტიკური აღრიცხვის მეთოდშია, რომლის თანახმადც დასაქმებულად ითვლება ყველა პირი, მ.შ. სოფლად მცხოვრებიც, რომლის მშობლებსაც გააჩნიათ მიწის საკარმიდამო ნაკვეთი და რომელმაც ბოლო კვირის მანძილზე იმუშავა თუნდაც ერთი საათი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში უმუშევართა რაოდენობა და უმუშევრობის დონე ბევრად აღემატება ოფიციალურად გამოქვეყნებულ მაჩვენებელს. ასე მაგალითად, სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების თანახმად, უმუშევართა რაოდენობამ 2006 წლისათვის შეადგინა 275 ათასი კაცი, ხოლო უმუშევრობის დონემ – 13,6%. მხედველობაში მისადგება, რომ 2006 წლისათვის სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა 1990 წელთან შედარებით ხელოვნურად თითქმის 270 ათასი კაცითაა გაზრდილი და დასაქმებულთა ეს კატეგორია პრაქტიკულად უმუშევარია. ანუ საქართველოში არანაკლებ 545 ათასი (275 ათასს + 270 ათასი) უმუშევარია. შესაბამისად, უმუშევრობის დონე მინიმუმ 27 %-ია.

თავისთავად ცხადია, რომ მოსალოდნელია სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა ოფიციალური რაოდენობის შემცირება მათი რეალური აღრიცხვისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნიკური აღჭურვის დონის ამადლებისას. შესაბამისად, აუცილებელია ზრუნვა ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და ამ მიზნით სამეწარმეო სექტორის წახალისებაზე.

ჩვენთან საკმაოდ მაღალია კომფორტული ცხოვრების მოთხოვნილებანი, რომლის დაკმაყოფილებაც სათანადოდ ანაზღაურებადი დასაქმების გარეშე შეუძლებელია. ამიტომ, უმუშევრობის პრობლემის უმოკლეს ვადებში გადაუჭრელობის შემთხვევაში, საქართველო საბოლოოდ დაიცვლება მოსახლეობისაგან, ძირითადად ახალგაზრდობისაგან. მაგრამ მხოლოდ ტრადიციული დარგების აღორძინება და ამ გზით სამუშაო ადგილების შექმნა საკმარისი არ არის. მაღალტექნოლოგიური დარგების განუვითარებლობის შემთხვევაში კატასტროფულ ზღვარს მიადწევს ინტელექტუალური კაპიტალის უცხოეთში გადინება. და

ეს აუცილებლად მოხდება, ვინაიდან ქართველი ერი ნიჭიერი, ახლის მაძიებელი და ცოდნას მოწყურებული ერია. ყოველივე აღნიშნულის რეალიზაცია თუკი ადგილზე არ მოხდება, მაშინ, დღევანდელი გლობალიზაციის ეპოქაში, საქართველო, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაიცლება აბორიგენი მოსახლეობისაგან.

ამგვარად, ტრადიციული დარგების წახალისების პარალელურად, განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს მაღალტექნოლოგიური და მაღალპროდუქტიული დარგების (ან ქვედარგების) ვიწრო სპექტრის შერჩევა და მათი განვითარების ხელშეწყობა, რაც, გრძელვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ამაღლების, დასაქმების ზრდის, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისა და ეროვნულ-ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებელი პირობაა.

მაღალტექნოლოგიური და მაღალპროდუქტიული დარგების განვითარება მოითხოვს სათანადო ფინანსური რესურსების მობილიზაციას (სახელმწიფოებრივისა და კერძოს, ადგილობრივისა და უცხოურის), შესაბამისი სამეცნიერო-საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებასა და ადამიანური კაპიტალის განვითარებას.

ვინაიდან ადამიანური კაპიტალის განვითარების გარეშე შეუძლებელია კონკურენტუნარიანი გადაწყვეტილებების მიღება (როგორც წარმოების, ასევე საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში) და კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება, ამიტომ იგი უნდა ჩაითვალოს მთავრობის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტულ მიმართულებად. მთავრობამ უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის განათლების დონის ამაღლება, სამუშაო ძალის მომზადება-გადამზადება ბაზარზე არსებული მოთხოვნების გათვალისწინებით და ამ გზით მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

უმუშევრობის შემცირებისა და დასაქმების ზრდისათვის საჭიროა სამეწარმეო საქმიანობის განვითარებისათვის აუცილებელი ბიზნესგარემოს ფორმირება. უპირველეს ყოვლისა, განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს სათანადოდ ხელშეწყობი სამართლებრივი, ინსტიტუციური, მაკროეკონომიკური და კრიმინოგენური გარემოს ჩამოყალიბება, კანონთან მიმართებაში ყველა ბიზნესმენის თანაბარ პირობებში ჩაყენება – განურჩევლად ფინანსური შესაძლებლობებისა და ხელისუფლების ორგანოებთან სიახლოვისა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას და კონკურენტციული ურთიერთობების გაღრმავებას. ამასთან, უნდა გაავითვალისწინოთ, რომ მსხვილ ბიზნესთან შედარებით მცირე და საშუალო ბიზნესის უპირატესი განვითარება ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ამაღლების, მოსახლეობის შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდისა და მდგრადი და უსაფრთხო განვითარების უზრუნველყოფისათვის პანაცეა არ არის. დღევანდელ სინამდვილეში იგი საქართველოში მოსახლეობის დასაქმების მნიშვნელოვანი სფეროა. მაგრამ, გრძელვადიან პერიოდში ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად, აუცილებელია მსხვილი წარმოებების

განვითარების ხელშეწყობაც, ვინაიდან ისინი თანამედროვე მაღალმწარმოებლური ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობას იძლევიან. მცირე და საშუალო ბიზნესი კი ხელს უწყობს კონკურენციული გარემოს ფორმირებას. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის დასაქმებასთან ერთად, ამითაცაა მათი არსებობა გამართლებული.

სამეწარმეო საქმიანობის წახალისების მიზნით მიზანშეწონილია დღეს-გადასახადისაგან საერთოდ გათავისუფლდეს საწარმოო დანიშნულების ახალი მანქანა-მოწყობილობების წარმოება და რეალიზაცია, მ. შ. იმპორტულისაც.

ასევე მიზანშეწონილად მიგვაჩნია „საქართველოს ეკონომიკური აღორძინებისა და განვითარების ფონდის“ შექმნა, რომლის ძირითადი ფუნქციები იქნება: მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისება, ამ სფეროებში დასაქმებული მეწარმეებისათვის შეღავათიანი კრედიტებისა და გრანტების გაცემა, მათი სამეწარმეო რისკების დაზღვევა და მათი უფასო ინფორმაციული უზრუნველყოფა.

ქეთევან კიწმარი შვილი

**„ახალი ეკონომიკა“ და საქართველოს ეკონომიკური
განვითარების ღონე**

გასული საუკუნის ბოლო ათწლეულის განმავლობაში მკლევარი-ეკონომისტები აღნიშნავენ ახალი ტიპის ეკონომიკის წარმოშობის ფაქტს.

დასავლურ ლიტერატურაში ახალი ტიპის ეკონომიკის აღსანიშნავად ფართოდ გამოიყენება შემდეგი ტერმინები:

- „knowledge economy“, ანუ ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკა, ანუ „ცოდნის ეკონომიკა“;
- „information economy“, ანუ ინფორმაციაზე დაფუძნებული ეკონომიკა, ან როგორც მას ჩვეულებრივ უწოდებენ ხოლმე „ინფორმაციული ეკონომიკა“;
- „new economy“, ანუ „ახალი ეკონომიკა“.

ტერმინი „ცოდნის ეკონომიკა“ სამეცნიერო სფეროში შემოიტანა ფ. მახლექმა (1962) დღეს კი ეს ტერმინი, “ცოდნაზე დამყარებულ ეკონომიკასთან” ერთად, გამოიყენება იქ, სადაც ცოდნა გადაწყვეტ როლს თამაშობს, ხოლო ცოდნის რეალიზება კი – ეკონომიკის ზრდის მანევრებლად ითვლება.

ტერმინი „ინფორმაციული ეკონომიკა“ მეცნიერებაში შემოიტანა ამერიკელმა ეკონომისტმა მარკ პორატომ 70-იანი წლებში. სწორედ ამ დროიდან, ამ ტერმინმა დაიკვიდრა კანონიერი სტატუსი ეკონომიკის თეორიასა და რეალობაში. მ. პორატომ არა მარტო სახელი უწოდა ახალ მოვლენას, არამედ მრავალმხრივ და საკმაოდ ვრცლად გამოიკვლია იგი აშშ-ის მაგალითზე.

რუსი მეცნიერი ვ. ინოზემცევი ამტკიცებს, რომ თანამედროვე სამეურნეო სისტემა წარმოადგენს ცოდნას და არა ინფორმაციულ ეკონომიკას, ხოლო საზოგადოების უმნიშვნელოვანეს საწარმოო რესურსს შეადგენს არა იმდენად ინფორმაცია ამა თუ იმ საწარმო-ტექნოლოგიური პროცესების შესახებ და

არსებული ობიექტური მონაცემები, არამედ ცოდნა, ანუ ადამიანის მიერ ათვისებული ინფორმაცია, რომელიც არსებობს მის ცნობიერებაში.

ტერმინი „ახალი ეკონომიკა“ პირველად XX ს-ის 90-იან წწ-ში შემოტანილი იქნა აშშ-ის ეკონომიკის უპრეცედენტოდ ხანგრძლივი უკრიზისო განვითარების აღსანიშნავად, რის შედეგადაც ამ ქვეყანამ დაადასტურა სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში თავისი ლიდერობა. კვლავ მოიპოვა წამყვანი პოზიციები მსოფლიო ბაზარზე საკუთარი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით. თუმცა, დღეისათვის ცნება „ახალი ეკონომიკა“ მთელი მსოფლიოს კუთვნილებაა, ხოლო „ახალი ეკონომიკის“ საკითხებზე სულ უფრო მეტი მკვლევარი მუშაობს.

ამერიკელი მეცნიერი რ. ალკალი „ახალ ეკონომიკას“ შემდეგნაირად განმარტავს, „ეს არის ეკონომიკა, რომელიც უკავშირდება ინფორმაციების ინტენსიურ დანერგვასა და ბიზნესის წარმოების ახალ ხერხებს, რაც გავლენას ახდენს შრომის მწარმოებლურობაზე“. მოცემული ცნების განსხვავებულ დეფინიციას გვაძლევს თავის მონოგრაფიაში რუსი ეკონომისტი ი. ა. სტრელები. მისი აზრით, „ახალი ეკონომიკა იწვევს ცალკეული მაკროეკონომიკური პარამეტრების შეცვლას“, მოყვანილი განმარტებების მსგავსება იმაში მდგომარეობს, რომ ორივე ხაზს უსვამს თანამედროვე მეურნეობის განვითარების თავისებურებებს.

ჩვენი აზრით, მოვლენები, რომლებიც ვითარდება განვითარებული ქვეყნების თანამედროვე სამეურნეო სისტემებში, ეფუძნება არა მარტო ცოდნასა და ინფორმაციებს, არამედ წარმოადგენს ისეთი კატეგორიების ურთიერთდაკავშირებულ სისტემას, როგორცაა: ინფორმაცია, ადამიანური რესურსი, ინსტიტუციური გარემო.

განვითარებული ქვეყნების თანამედროვე ეკონომიკის ზრდის ფაქტორებს შორის თითქმის წამყვან როლს ფ. მახლუპი ადამიანური კაპიტალის შესახებ თეორიას ანიჭებს, რამდენადაც მის ობიექტად იგი მოიაზრებს ეკონომიკური პროგრესის ძირითად მამოძრავებელ ძალას.

ასევე უნდა აღინიშნოს ინტელექტუალური საკუთრების უფლების მნიშვნელობა ახალი ტიპის ეკონომიკის ფორმირებაში.

რაც შეეხება საქართველოს ეკონომიკას, თუ ათვლის წერტილად ავიღებთ 1998 წლის კრიზისს, რომელმაც ერთგვარად შეაჯამა 90-იანი წლების ეკონომიკური მდგომარეობა, მაშინ შემდგომ პერიოდში საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში კარგად იკვეთება ორი ფაზა:

- 1999–2001 – ეკონომიკის ზრდა (7.1% საშუალოდ წელიწადში), რომელიც ემყარებოდა შიდა ბაზრების ჩაკეტილობასა (ღარის დეველვაციის შემდეგ) და თავისუფალი სიმძლავრეებისა და სამუშაო ძალის რეზერვებს;
- 2005–2006 – ექსპორტზე ორიენტირებული ზრდა (6.4% საშუალოდ წელიწადში), რომელიც ეყრდნობოდა ნედლეულის ექსპორტს და ნავთობზე ძვირ ფასებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ამგვარად, მიმდინარე ათწლეულის შუა პერიოდისთვის საქართველოში ჩამოყალიბდა ეკონომიკის მოდელი, რომელიც ხასიათდება:

- საექსპორტო პროდუქციის ნომენკლატურა – ნედლეულის ტიპით;
- სტრუქტურის შემქმნელი სექტორების წონასწორობის არარსებობით;
- სტრუქტურული დაუბალანსობის კომპენსატორების არსებობით, რომელთა მოქმედება თანდათანობით სუსტდება;
- სოციალური სისტემების დეგრადირებითა და ნეგატიური სოციალური ტენდენციების გაძლიერებით.

ამ პრობლემის დაძლევა “ახალი ეკონომიკის” მოთხოვნილებათა პრაქტიკაში ფართოდ დანერგვითაა შესაძლებელი.

ინგა კულიანი

საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური სტატუსი

ნებისმიერ ქვეყანაში, და მათ შორის საქართველოში, ადამიანის ეკონომიკურ სტატუსს განსაზღვრავს მისი ადგილი ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში. ამ მნიშვნელობით ქვეყნის მოსახლეობა ჯგუფდება აქტიურ და პასიურ, დასაქმებულ და დაუსაქმებელ მოსახლეობად, დაქირავებულად და თვითდასაქმებულად და ა.შ.

ადამიანური რესურსები ნებისმიერი ქვეყნის, რეგიონის, დარგის, ორგანიზაციის უმთავრესი სიმდიდრეა და მათი ზრდა-განვითარება ამ რესურსების გამოყენების ხარისხზეა დამოკიდებული. ადამიანები ფლობენ მწარმოებლურ აქტივს, ანუ ადამიანურ კაპიტალს – ცოდნას, უნარს, გამოცდილებას, ჩვევები და ა.შ., რაც მათში ჩადებული და მათი განვითარებისათვის დახარჯული ინვესტიციების შედეგია. ამ აქტივის გამოყენება, ე.ი. შრომა, მათ შეუძლიათ საკმაოდ ხანგრძლივად – შრომისუნარიანობის მთელ პერიოდში, რომელიც საშუალოდ 30-40 წელს გრძელდება. ასე რომ, ქვეყნის მოსახლეობა, მისი ადამიანური რესურსი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის გამორჩეული ფაქტორია.

1990 წლის დასაწყისში საქართველოს მოსახლეობა 5424,4 ათას კაცს, ხოლო 2007 წლის ბოლოს 4394,7 ათას კაცს შეადგენდა. მაშასადამე, 1991-2007 წლებში საქართველოს მოსახლეობა შემცირდა 1029,7 ათასი კაცით, ანუ თითქმის 20%-ით. ბუნებრივი და მექანიკური მატების შემცირებასთან ერთად, ეს გამოიწვია სამუშაოს საძიებლად მოსახლეობის მიგრაციამ ქვეყნის ფარგლებს გარეთ, რაც, თავის მხრივ, ძირითადად გამოწვეული იყო მოსახლეობის მატერი-ალური გაჭირვებით.

ასე რომ, 1991-2007 წლებში საქართველომ დაკარგა 1 მლნ-ზე მეტი ადამიანური რესურსი (თითქმის მთლიანად ეს იყო ეკონომიკურად აქტიური

მოსახლეობა, რომელიც ადგილზე, ე.ი. საქართველოში, ვერ დასაქმდა. ამაში თავისი უარყოფითი როლი შეასრულა შობადობის მკვეთრმა შემცირებამაც და ამის კვალობაზე 1000 კაცზე გაანგარიშებით მოსახლეობის ბუნებრივი მატების მანევრების დონის კატასტროფულმა კლებამ, რომელმაც 2006 წელს 1,3% შეადგინა ნაცვლად 1990 წლის 7,7%-სა (2006 წელს – შობადობა 10,9%, მოკვდაობა 9,6%; 1990 წელს – შობადობა 17,1%, მოკვდაობა 9,3%).

თუ ამ საკითხს განვიხილავთ საქართველოს რაიონებისა და ქალაქების ჭრილში, დავინახავთ, რომ 1989-2002 წლებში საქართველოს ყველა ქალაქისა და რაიონის მოსახლეობა საგრძნობლად შემცირებულია გარდა ზუგდიდის, ცაგერის და წნორისა. ეს ზრდა მოხდა ლტოლვილების ხარჯზე.

2006 წლის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის 50%, ანუ 2021,8 ათასი კაცი არის ეკონომიკურად აქტიური, აქედან დასაქმებულია 86,4%, ანუ 1747,3 ათასი, უმუშევარია (მკაცრი კრიტერიუმით) 274,5 ათასი. 2000 წელთან შედარებით, საქართველოში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობაც შემცირებულია და დასაქმებულთა რიცხვიც (იხ. ცხრილი 1). დასაქმების დონე შემცირებულია.

ცხრილი 1
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დასაქმების დონე საქართველოში
(ათასი კაცი)

	2000	2007	ცვლილება (+, -)	ცვლილებების პროცენტი
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა	2051,6	1965,3	-86,3	95,8
მათ შორის:				
დასაქმებული აქედან:	1839,3	1704,3	-135	92,6
ა) დაქირავებულები	684,3	625,5	-58,9	91,3
ბ) თვითდასაქმებული	1042,9	1078,8	+35,9	103,4
დასაქმების დონე (%)	58,4	54,9	-3,5	-

58,4%-დან 54,9%-მდე, ე.ი. 3,5 პროცენტული პუნქტით. უნდა აღვნიშნოთ, რომ 2008 წლის მეორე კვარტალში მოსახლეობის დასაქმების დონემ 58,2%-მდე აიწია და მიუხალოვდა 2000 წლის დონეს ეს იძლევა გარკვეული ოპტიმიზმის საფუძველს.

დასაქმების საპირისპირო ტენდენცია აქვს უმუშევრობას. ცხრილი 2 გვიჩვენებს, რომ საქართველოში უმუშევრობის დონეს 2007 წელს.

ცხრილი 2

უმუშევრობის დონე საქართველოში

	2000	2007	ცვლილება (-, +)	ცვლილების %
უმუშევართა რიცხვი (ათ. კაცი)	212,2	261,0	+48,8	123
უმუშევრობის დონე (შკაცრი კრიტერიუმით), %	10,3	13,3	+3,0	-

13,3 შეადგინა, ნაცვლად 2000 წლის 10,2%-ისა. 2008 წლის II კვარტალში იგი უმნიშვნელოდ (0,3%) შემცირდა.

უმუშევართა საერთო რაოდენობიდან რეგისტრირებულია მხოლოდ მისი ნაწილი. 2006 წელს რეგისტრირებულ უმუშევართა რიცხვმა 3360 კაცი შეადგინა, რეგისტრირებულმა ვაკანსიებმა (თავისუფალი სამუშაო ადგილები) კი – 100, ერთ ვაკანსიაზე მოდიოდა 336 კაცი.

რაც შეეხება უმუშევართა სქესობრივ სტრუქტურას, უმუშევარ ქალთა რაოდენობა, უმუშევარ მამაკაცებთან შედარებით, 50%-ით მეტია. არაერთგვაროვანია უმუშევართა სტრუქტურა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. უმუშევართა მთლიან რაოდენობაში შედარებით დიდი ხვედრითი წილი მოდის ასალგაზრდებზე – 20-24 წელი – 14,5%, 25-29 წელი – 16,6%, 30-34 წელი – 15,6%.

უმუშევრობა ყველა გარდამავალ ქვეყანაშია, თუმცა, პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ყველაზე მძიმედ იგი საქართველოში გამოვლინდა. ისეთ ჩამორჩენილ ქვეყანაშიც კი, როგორც ტაჯიკეთია, უმუშევრობის დონე მხოლოდ 2,5%-ია.

უმუშევრობა საბაზრო ეკონომიკის დამახასიათებელი ნიშანია. საბაზრო ურთიერთობის დროს სრული დასაქმება არ ნიშნავს უმუშევრობის მთლიან მოსპობას. ფრიქციული უმუშევრობა, ანუ უმუშევრობა, დაკავშირებული ერთი სამუშაოდან მეორეზე გადასვლასთან, ყოველთვის იქნება. ამიტომაც, რომ უმუშევრობის ბუნებრივი დონეც არის დაწესებული და იგი 6%-ს შეადგენს. ასეთი უმუშევრობა ოპტიმალურად იწოდება.

საქართველოში უმუშევრობის დონემ უკვე 2-ჯერ გადააჭარბა ოპტიმალურს. დაეცა მოსახლეობის ცხოვრების დონეც. დღის წესრიგში დგას დასაქმების ოპტიმიზაციის საკითხი. სამუშაოს ნომინალური ხელფასი (გადასახადების გარეშე) საქართველოში 2007 წელს 378,5 ლარს შეადგენდა. შედეგად სიღარიბის დონე იყო 21,3, სიღარიბის სიღრმე 6,9, სიღარიბის სიმწვავე 3,2.

ცხოვრების დონის მაჩვენებელია მთლიანი შიდა პროდუქტიც, რომლის ნომინალურმა სიდიდემ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით საქართველოში 2007 წელს შეადგინა 2315,2 აშშ დოლარი, ხოლო ევროკავშირში 34125,5 აშშ დოლარი და მთლიანი ეროვნული შემოსავალი, რომელიც არის ასევე ერთ სულზე გაანგარიშებული შესაბამისად ტოლი იყო 3480,5 და 28115,6 ევროსი.

1991-2007 წლებში ასე შეიცვალა საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური სტატუსი და რაგასაკვირია, რომ 1-მლნ-ზე მეტი კაცი (მათ შორის 50-60% ეროვნებით ქართველი) სამუშაოს საძებნელად და დუხჭირი მატერიალური მდგომარეობის გამოსასწორებლად ქვეყნიდან გავიდა. მართალია,

ოფიციალურ სტატისტიკას არ მოეპოვება ინფორმაცია მოსახლეობის მიგრაციის შესახებ, მაგრამ ექსპერტული გაანგარიშებებით დგინდება, რომ მოსახლეობის რიცხოვნობის კლება საქართველოში ძირითადად განპირობებულია მათი სამუშაოს საძიებლად უცხოეთში მიგრაციით.

ისმება კითხვა: თუ ქვეყანაში მთლიანი შიდა პროდუქტი შესამჩნევად იზრდება (2007 წ. რეალური მშპ-ს ზრდა 12,4%), და თითქოს ახალ-ახალი ფირმებიც იხსნება, მაშ რატომ გადის ჩვენი მოსახლეობა საზღვარგარეთ. მიზეზი ორია:

1. ფირმები ეკონომიკის სამინისტროს ძირითადად სთავაზობენ ვაკანსიებს პროფესიული განათლების მქონეთათვის (მაგალითად, 2007 წელს ცენტრ-პონტმა წარადგინა 2000 ვაკანსია კვალიფიციურ მუშებზე, პოპულმა 1340 – გამყიდველებზე, ვისოლ-პეტროლიუმმა +500 ბენზინგასამართი პუნქტების მუშებზე და ა.შ.).

2. საქართველოში დაბალია შრომის ანაზღაურება. ნომინალური ხელფასის საშუალო სიდიდე საქართველოში 2007 წელს, როგორც აღვნიშნეთ, 378,5 ლარს შეადგენდა, მაშინ, როდესაც რუსეთში იგი 500 დოლარია, სომხეთში – 300, აზერბაიჯანში – 400. ცხადია, უფრო მეტია იგი შორეული საზღვარგარეთის ქვეყნებში.

ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად საქართველოში უნდა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

1. იმ პროფესიათა დასაუფლებლად, რომლებზეც მოთხოვნაა ბაზარზე, დაიწყოს ახალგაზრდობის აქტიური მომზადება (ესაა მშენებელი – მუშები, ტურიზმში – თარჯიმან-გიდები, ტრანსპორტზე – მებარგულები და ა.შ.), ანუ გაიხსნას პროფესიული განათლების ცენტრები. ეს ღონისძიება საქართველოში უკვე ტარდება, მაგრამ არასაკმარისად. 2006/2007 სასწავლო წელს დაწყებით და საშუალო პროფესიულ სასწავლებლებში სწავლობდა 36,2 ათასი სტუდენტი, უმაღლეს სასწავლებელში კი 110,9 ათასი სტუდენტი. მაშასადამე, საქართველოში კვლავაც პრესტიჟულია უმაღლესი სასწავლებელი და მისი დიპლომი.

2. არასახელმწიფო (კერძო) ორგანიზაციები სახელმწიფომ უნდა დაუწყოს ხელფასის ქვედა ზღვარი.

სახელმწიფოს ასეთი ჩარევა შეიძლება საბაზრო ურთიერთობებისთვის მიუღებელია, მაგრამ ისეთი გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების მთავრობები, როგორც ჩვენ ვართ, აქტიურად ერევიან ასეთ საქმეებში და შედეგიც საკმაოდ ეფექტური აქვთ.

3. უნდა გაიხსნას უფასო გადამზადების კურსები, რომლებიც ფაქტობრივად არ არსებობს საქართველოში. ამ საქმის დაფინანსებით უნდა დაინტერესდნენ დონორი ორგანიზაციები და გამოყოფილი რესურსების ნაწილი სწორედ გადამზადებას და რეკვალიფიციის ამაღლებას მოახმარონ. საკუთარი პროფესიის შეცვლით კი უნდა დაინტერესდნენ ის პირები, განურჩევლად იმისა, რა აქვთ დამთავრებული, რომელთა პროფესიებზეც მოთხოვნა აღარ არის და ახლო მომავალში არც იქნება. საბაზრო ეკონომიკის დროს იყიდება მხოლოდ ის

საქონელი (პროდუქცია, მომსახურება), რაზეც მოთხოვნა არსებობს. ჩვენ ისღა დაგვეჩენია მას ფეხი ავუწყოთ.

ეკატერინე მეყანწიშვილი

**ეკონომიკის სახელმწიფო რეზერვების ანალიზი მაკროეკონომიკური
მოდელების საფუძველზე**

ეკონომიკური სისტემის მართვა რთული ინტეგრირებადი პროცესია. მასზე ერთი მიმართულებით ზემოქმედება გავლენას ახდენს სხვა დანარჩენ მიმართულებებზე. ასეთი ურთიერთკავშირის გამო ხშირად ერთ სფეროში გაუმჯობესება შეიძლება მიღწეულ იქნეს სხვა სფეროს გაუარესების ხარჯზე და, სტრატეგიული თვალსაზრისით, ეს გაუმჯობესება გადაიქცევა ეკონომიკური სისტემის განვითარების საფრთხედ. იმისათვის, რომ გამოიკვეთოს განვითარების ოპტიმალური ტენდენცია (ისე, რომ ერთი სფეროს გაუმჯობესებამ არ გამოიწვიოს სხვა სფეროს გაუარესება) საჭიროა, მართვის პროცესს უსწრებდეს ისეთი კვლევითი სამუშაოები, როგორცაა ეკონომიკური სისტემის მთლიანი სტრუქტურის ანალიზი და მისი სფეროების მდგრადობის განსაზღვრა. ასევე, მართვად ზემოქმედებებში გათვალისწინებისა და მათი პერიოდულობისა და ხასიათის განსაზღვრის მიზნით, საჭიროა დადგინდეს სტრუქტურული ურთიერთკავშირების აუცილებელი ცვლილებები და მათი შემადგენელი კომპონენტების ოპტიმალური რაოდენობა. უსაფრთხო მართვის ეს ამოცანები სტრატეგიული დაგეგმვის სტადიაზე წყდება.

ეკონომიკურ სისტემაზე ზემოქმედების ხასიათისა და მიზნობრივ-რაოდენობრივი პარამეტრების განსაზღვრა რთულ ამოცანას წარმოადგენს, რომლის გადაწყვეტა შესაძლებელია განხორციელდეს მრავალფაქტორული მაკროეკონომიკური მოდელების კომპლექსის საფუძველზე.

მართვის ყველა დონეზე ეკონომიკური უწყებებისა და საფინანსო ორგანოების მთავარ ამოცანას წარმოადგენს ეკონომიკური სისტემისა და მისი შემადგენელი ელემენტების განვითარების მდგრადობის მიმდინარე და საპროგნოზო ანალიზი. ეკონომიკური სისტემის განვითარების აუცილებელი ტენდენციის მიღწევის მიზნით, მის შემადგენელ ელემენტებზე რაციონალურ მართვად ზემოქმედებებში გასათვალისწინებელი წინადადებები უნდა ეფუძნებოდეს ანალიზისა და პროგნოზის შედეგებს.

ეკონომიკური სისტემის მაკროეკონომიკური მოდელების ითვალისწინებს ისეთი ადეკვატური ანალიტიკური ინსტრუმენტის (მოდელის) არსებობას, რომელიც კომპლექსურად ასახავს ურთიერთკავშირებს წარმოებას, განაწილებას, მოხმარებასა და დაგროვებას შორის, შემოსავლებს, გასაღებებს და საბოლოო მოხმარებას შორის, დანახოვებსა და ინვესტიციებს შორის და ა.შ. მაკროეკონომიკური ანალიზის საბაზისო მოდელად შერჩეულ იქნა ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, რომლის საშუალებით შესაძლებელია გამოსახოს (როგორც

ქვეყნის, ასევე რეგიონის მაშტაბით) ეკონომიკურ აგენტებს შორის პროდუქციისა და მათი ფინანსური ეკვივალენტების მოძრაობის არხები, იმ საბალანსო მაჩვენებლების საფუძველზე, რომლებშიც რაოდენობრივად და ასახული სხვადასხვა ეკონომიკური ოპერაციების განხორციელების პროცესი.

ტრადიციული სქემისაგან განსხვავებით, მოცემულ შემთხვევაში ეროვნულ ანგარიშგებათა სისტემა ჩაიწერება კვადრატული მატრიცის სახით, რომლის თითოეული სტრიქონ-სვეტის წყვილი ასახავს ეკონომიკური ბრუნვის ობიექტის ან ცალკეული მონაწილის კონკრეტულ ეკონომიკურ პროცესს საბალანსო მაჩვენებლების სახით. მატრიცაში შემავალი ნაკადები ასახავს სტრიქონებში, ხოლო გამომავალი – სვეტებში. შედეგად მატრიცის სტრიქონები გვიჩვენებს საშუალებების (რესურსების, შემოსავლების, პასივების, საკრედიტო ოპერაციების) შემოდინებას, ხოლო სვეტები – საშუალებების (რესურსების, მასალების, აქტივების, სადებეტო ოპერაციების გამოყენებას) გადინებას, მათ გადაკეთაზე მოიცავს მაჩვენებლებს შორის კავშირები, რომლებსაც პირობითად შეიძლება „ბლოკები“ ვუწოდოთ. თითოეულ ბლოკს აქვს კონკრეტული ეკონომიკური შინაარსი, ხოლო სტატისტიკური ინფორმაციით უზრუნველყოფით იძენს კონკრეტულ რაოდენობრივ გამოხატულებას.

ეროვნულ ანგარიშგებათა სისტემის საფუძველზე აგებული მატრიცის საშუალებით შესაძლებელია გამოკვლევულ იქნეს ეკონომიკის ფუნქციონირების მახასიათებლები აღწარმოების პროცესის სხვადასხვა სტადიაზე. ასევე განხორციელდეს მაკროეკონომიკური მახასიათებლების დინამიკის ანალიზი მატრიცის შეფარდებითი და აბსოლუტური მაჩვენებლების საფუძველზე და მიღებული დასკვნები საფუძვლად დაედოს ეკონომიკისა და მისი სუბიექტების ფუნქციონირების შესახებ რიგი ჰიპოთეზების წამოწვას, რომელიც გაითვალისწინება მაკროეკონომიკურ მოდელში.

ნინო მიქიაშვილი

ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ზოგიერთი ასპექტი

საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი ამოცანა უნდა იყოს გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა და სოციალური გარემოს გაუმჯობესება ინფლაციური ფონის გარეშე. აღნიშნული მიზნის მისაღწევად აუცილებელია ეფექტური ღონისძიებების გატარება ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნა-ოპტიმიზაციისთვის.

მიმდინარე პერიოდში საქართველოს ეკონომიკა პოტენციურ შესაძლებლობებს მინიმალურ დონეზე იყენებს. ქვეყნის სამრეწველო პოტენციალი გეოგრაფიული მდებარეობის, კლიმატური პირობების, ეკონომიკური და კულტურული ტრადიციების, წარმოების ფაქტორების მოცულობის, მატერიალური და ფინანსური რესურსების თანაფარდობითა და სხვა განმსაზღვრელი ფაქტორების მიხედვით ყალიბდება. ქვეყნის მმართველობის ორგანოების ძირითადი დანიშნუ-

ლებაა ამ პოტენციური შესაძლებლობების რეალიზაცია, რაც განსაკუთრებით აქტუალურია შედარებით ახალგაზრდა ქვეყნისთვის.

ეკონომიკის მიღწევები პოტენციური შესაძლებლობის რეალიზების კონტექსტში უნდა განიხილებოდეს. იგი მსოფლიო პრაქტიკაში სხვადასხვა მანვენობლით ან მანვენებელთა ჯგუფით ხასიათდება. ესენია: რეალური მშპ-ის საერთო მოცულობა, მშპ/მეკ ერთ სულზე, ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა, პროდუქციის ძირითადი სახეობების წარმოება ერთ სულზე, მოსახლეობის ცხოვრების დონე და ხარისხი; ეკონომიკური ეფექტიანობის მანვენებლები და ა.შ. აღნიშნული მანვენებლებით შესაძლებელია როგორც ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის (რეალური მშპ), ასევე ეკონომიკური განვითარების დონის (მშპ/მეკ ერთ სულზე, მსყიდველობითი უნარის პარიტეტი და ა.შ.) დახასიათება და შესწავლა. ერთ სულზე გათვლილი მშპ საქართველოსათვის გეოგრაფიულად მცირე ზომის ქვეყანას შეიძლება უფრო მაღალი ჰქონდეს, ვიდრე მასზე გაცილებით დიდი პოტენციალის (აბსოლუტურ მანვენებლებში) ქვეყანას. იგი ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონესა და ხარისხზე მეტყველებს. საერთაშორისო სტატისტიკურ ელექტრონულ გამოცემებში 2009 წლისთვის მშპ ერთ სულზე შემდეგნაირად დაჯგუფდა (აშშ დოლარში): მაქსიმუმია ლუქსემბურგში – 58600, მინიმუმი აღმოსავლეთ ტიმორში – 400, საშუალოდ მსოფლიოში 8800, საქართველოს შემთხვევაში ამ მანვენებლის დინამიკა ასეთია: 2005 წელს – 1483.5, 2006 წელს – 1763.7, 2007 წელს – 2314.6, 2008 წელს – 2920.3. ცხადია, საქართველოს მსოფლიო საშუალო დონის მისაღწევად საკმაოდ მაღალსმევა დასჭირდება.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მანვენებელთა შესაბამისობას და საწყისი მონაცემების სიზუსტეს, რაც საქართველოს სტატისტიკურმა სამსახურებმა შეძლებისდაგვარად უნდა გაითვალისწინონ და უზრუნველყონ.

ცალკეული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხარისხი შეიძლება განისაზღვროს ეკონომიკის წამყვანი დარგების (სფეროების) შრომის მწარმოებლობის დონეების შეპირისპირებით. ამგვარი გამოკვლევა ხორციელდება მაკენსის გლობალური ინსტიტუტის (McKensy Global Institute, MGI) (აშშ) მიერ. როგორც წესი, ისინი ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკის კვლევაზე არიან ორიენტირებულნი და წარმოების ცხრა დარგს (სფეროს) აანალიზებენ. მათ შორისაა: აგროინდუსტრია, ფინანსური მომსახურება, ჯანდაცვა, დაზღვევა, ინფორმაციული ტექნოლოგია, პროგრამული უზრუნველყოფა, ფარმაცია, საცალო ვაჭრობა. განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული შრომის ბაზარსა და შრომის ფაქტორის მოძრაობაზე (განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებიდან როგორც მაღალკვალიფიციური, ასევე დაბალკვალიფიციური მუშახელის გადინებაზე). საქართველოსთვის განსაკუთრებით მწვავეა მუშახელის გადინების პროცესი, რომელიც გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეზე მეტყველებს ისიც, თუ ეროვნული სიმდიდრის რა ნაწილი იწარმოება ე.წ. „მესამე“ სექტორში, ანუ

მომსახურების სფეროში. საქართველოს ამ მხრივ დიდი პოტენცია აქვს, რადგან მომსახურების ისეთი სფეროები, როგორცაა: საბანკო, საკონსულტაციო, საინფორმაციო და სხვა ინტელექტუალურ სფეროსთან დაკავშირებული საქმიანობა, ყოველთვის იზიდავდა საქართველოს მოსახლეობის უმეტესობას, რადგან მათში ბუნებრივად ხდება გონებრივი შესაძლებლობების რეალიზება.

ქვეყნის ეკონომიკური მიღწევა და განვითარება ასევე აისახება ცხოვრების დონისა და ხარისხის მაჩვენებლებში. განზოგადებულ მაჩვენებლად ითვლება ადამიანური განვითარების ინდექსი. მასში გათვალისწინებულია სიცოცხლის ხანგრძლივობა, განათლების დონე, მსყიდველობითი უნარის პარტიციპი. განვითარებულ ქვეყნებში იგი 1-ს უახლოვდება.

დასასრულ, გასათვალისწინებელია, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება ერთგვარად ისტორიული კატეგორიაა. მთლიანობაში, ეროვნული ეკონომიკისა და მსოფლიო თანამეგობრობის განვითარების ყოველ ეტაპს გასაანგარიშებელ ძირითად მაჩვენებლებში გარკვეული ცვლილებები შეაქვს.

როლანდ სარჩიშელია

დასაქმების მაქსიმიზაცია და უმუშევრობის მინიმიზაცია საქართველოს მდგრად ეკონომიკურ განვითარებასთან შესაბამისობაში

დრამაღ მოაზროვნე ადამიანები მიზანდასახული შრომითი საქმიანობის დახვეწითა და მისი ოპტიმიზაციით ახერხებენ ქვეყანაში წარმოების განვითარების სრულყოფის გზაზე დაყენებას, რაც მდგრადი ხასიათისაა შესაბამისი ბიზნეს-გარემოს ფორმირების პირობებში.

ჩვენი აზრით, დასაწყისიდანვე, წარმოების მამოძრავებელი მისი შესაძლებლობის მიმართ ნდობის მაღალი დონეა, რაც ფიქსირდება შესაბამისი რისკვაქტორების მინიმიზაციით, სადაც მნიშვნელოვანია დივერსიფიკაციის მოშველიება და, მასთან დაკავშირებით, შრომითი კოლექტივების გააქტიურება.

ცივილიზებულ საზოგადოებაში მაღალი კვალიფიკაციის დასაქმებულები კიბერნეტიკული შესაძლებლობის საწარმოთა მიზნების შესაბამისად აზროვნებენ. ისინი ერთმანეთთან შეთანხმებისაკენ მიწრაფებების საფუძველზე “ოპტიმიზაციის კოდით” მოქმედებენ, თანაც “იმუხტებიან” ისე, რომ გააჩნიათ წინააღმდეგობის დაძლევისა და წარმოების განვითარება-გაძლიერების უნარი. მათი მიღწევები ევრისტიკული ალგორითმებითა და თვითორგანიზებით წარმართება, რაც საიმედოა, რადგან ცივილიზაციის შესაბამისად ფუნქციონირებას იწყებს მდგრადი ეკონომიკური განვითარება. იგი “გონიერი საზოგადოების” მიერ თვითორგანიზებით დაფუნდდება და მომდევნო თაობებს “ესტაფეტით” გადაეცემა განახლებული და განვითარებული სახით, რომელიც, სხვა სახელ-

მწიფობისაგან აგრესიის შემსუბუქების შესაბამისად, საზოგადოების კეთილსინდისიერი გზისაკენ წარმართვით, ქვეყნის გაძლიერებისა და მისი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობითი გზაზე გადასვლის საფუძველი გახდება. ამის შესაძლებლობას გლობალიზაციის თანამედროვე დონე იძლევა.

საქართველოში ოპტიმიზაციის გამოყენება სრული სპექტრის აზროვნებით წარიმართება მეცნიერების, ტექნიკისა და ეკონომიკის დარგებში. იგი შინაარსით ღრმაა, ხოლო შრომითი რესურსების დასაქმებისა და უმუშევრობასთან შეხებაში მისი ჩართვა ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე გაცნობიერებული.

უმუშევრობა ასოცირდება მოსახლეობის სიღარიბის გამომწვევ მიზეზთან და განიხილება, როგორც საბაზო მექანიზმის თანმდევი. იგი მართვადია მარტივ შემთხვევაში, როგორცაა, მაგალითად, მოსახლეობის საშუალო ფენის მართვა მათი დასაქმებით. მოსახლეობის ღარიბი და დატაკი ფენები უმუშევრობას კატასტროფულად აღიქვამენ. ამჟამად შეუძლებელი ხდება მათი დასაქმების პრობლემის დასმა და გადაჭრა, არსებული მთავრობა კი ელემენტარული ფუფადი დახმარებით შემოიფარგლა.

ყოფილ საბჭოთა კავშირში სრული დასაქმების კანონი უმუშევრობას “ძირშივე ახშობდა”, ხოლო პოსტკომუნისტურ საქართველოში თავს იჩენს ხელმე უმუშევრობით გადატაკებული მოსახლეობის პრეტენზიები არსებული მთავრობის მიმართ, როდესაც ისინი საკომპესაციო დახმარებას ითხოვენ.

სამუშაო ადგილის შექმნის უნარი ადამიანთა საზოგადოების მიერ ცხოვრების მოწყობის დიდი ძალაა, სადაც ოპტიმიზაციის ფენომენი მოქმედებს და რასაც ეკონომიკური ავტომატიზმი აძლიერებს, ქმნის თვითორგანიზაციის პირობებს, გამოყოფს სამუშაო ადგილებს მოსახლეობის დასაქმებისათვის და ა.შ.

დასაქმებასა და უმუშევრობაზე ჩვენი ამჟამინდელი სინამდვილის აღრიცხვისა და მათი შესაბამისი “დაუბალანსებელი მონაცემები” (რომელსაც გამოცემის ცხრილების სახით საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი) მეცნიერული კვლევისათვის არაა საკმარისი. გაუგებრობა ტერმინებში შრომითი რესურსების ახალი მანკვნილებების შემოტანასთან დაკავშირებით, როგორცაა, მაგალითად, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა, დასაქმებულებისა და უმუშევრების განმარტებები, არ ჩანს უცხოეთში სამუშაოდ წასული ჩვენი მოსახლეობის რაოდენობრივი შეფასება, რაც არ აისახება უმუშევართა დონის აღრიცხვაში და ა.შ.

ასეთ პირობებში თითქმის შეუძლებელი ხდება უმუშევრობის პრობლემის დასმა, რომელზედაც ზრუნვა, ჩვენი აზრით, მოსახლეობის საშუალო ფენის რიცხოვნობაზე მონაცემების ინფორმაციის სრულყოფით უნდა დაიწყო. ამით შესაძლებლობა მოგვეცემა მოსახლეობის საშუალო ფენის დასაქმების ოპტიმიზაციაზე მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი უმუშევრობა. (მოსახლეობის საშუალო ფენაში ვგულისხმობთ ცხოვრებისათვის აუცილებელი მინიმალური საარსებო პირობების მქონე მოსახლეობას, შესაბამისად საკმარისი ანაზღაურებით). მოსახლეობის საშუალო და ღარიბი ფენების რიცხოვნობის შეფასება, მათი განმარტებიდან გამომდინარე პირობითია. საკვლევი ობიექტის შესახებ სტატისტიკურ ინფორმაციაში საკმაოდ დიდი რაოდენობის საიმედო მონაცემების

ვიზუალური ფილტრის ჩატარება კვალიფიციურ სპეციალისტებს შესაძლებლობას აძლევს, გამოირიცხოს წინააღმდეგობები და შეაფასოს მანევრებლებს შორის კორელაციული დამოკიდებულებები. კონკრეტულ შემთხვევაში საინტერესოა უმუშევრობისა და ინფლაციის ფუნქციური კავშირის აგება რეგრესიის განტოლებების შედგენით, დისპერსიული ანალიზის ჩატარება, რისკის შეფასებები და პროგნოზირება, რაც ისე უნდა ჩატარდეს, რომ მიღებულ დასკვნებს ჰქონდეს რეალური შედეგები, გამოირიცხოს უნებლიედ დაშვებული შეცდომები (პარალოგიზმი) და ა.შ. ასეთი თვალსაზრისით მკვლევარს უნდა შეეძლოს სტატისტიკური მონაცემების დაბალანსებით მისი მომზადება „მანქანური დამუშავებისათვის“, და ოპტიმიზაციის ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების გამოყენებაც. დასკვნისთვის.

1. პროდუქციის მასიურ წარმოებაზე გადასვლა და ქვეყანაში უმუშევრობის ზრდა ქრონიკულად მიმდინარე სირთულედ იქცა. ამ მხრივ ვერც პრივტიზების აუცილებელმა, მაგრამ უპროგრამოდ და მასიურად ჩატარებამ ვერ მოგვცა უმუშევრობის შემცირების შესაძლებლობები, როგორცაა, მაგალითად, მოსახლეობის მასიურ დასაქმებასთან ერთად, სამამულო წარმოების საექსპორტო პროდუქციის გამოშვების ზრდა.

2. ქვეყანაში ძველი ტექნოლოგიები მოიშალა, რამაც კიდევ უფრო მეტად გაამწვავა უმუშევრად დარჩენილი მოსახლეობის მიძიმე მდგომარეობა.

3. აღორძინებას მოითხოვს მოშლის პირას “მდგომი” დარგობრივი ეკონომიკა, იმ ბიუროკრატების პასუხისმგებლობის დეტალიზებით, რომლებმაც საპრივატიზაციოდ გაწირეს დიდი საწარმოები.

4. მნიშვნელოვანია პატერნიზაციის პრინციპით სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობის გააქტიურება, მეწარმეობის გაძლიერებასთან დაკავშირებით სამთავრობო დონეზე მოსახლეობის ინტელექტუალური და გონივრულ რისკზე წასვლის უნარის დაფასება.

5. ბოლომდე გასარკვევია შრომითი რესურსების კვალიფიციური სტრუქტურის მართვის ეფექტიანობა საქართველოში, მისი მდგრადობა და ისიც, თუ როგორ შეიძლება იგი გაძლიერდეს ჩვენი ქვეყნის შინაგანი შესაძლებლობებით.

რუსუდან სირბილაძე

საქართველოს ეკონომიკის განვითარების პრობლემები

1. ეკონომიკური განვითარების პრობლემები ნებისმიერი საზოგადოების წინაშე დგას. მათი გადაჭრით ადამიანი ვითარდება და საკუთარ თავს უქმნის პირობებს, რომ უკეთეს გარემოში იცხოვროს, რისთვისაც იძულებულია ჩაერთოს წარმოების პროცესში, გაზარდოს წარმოების მასშტაბები და ამით დაეხმაროს საზოგადოებას.

2. ეკონომიკური განვითარება მაშინ მიიღწევა, როცა ვითარდება წარმოება და ქვეყანაში კარგი საინვესტიციო გარემო იქმნება.

3. ეკონომიკურ განვითარებას ბევრი კონკრეტული და ზოგადი ფაქტორი განაპირობებს. ეს ფაქტორები ერთმანეთთან დაკავშირებულია. თითოეული განიცდის ცვლილებას და ეკონომიკურ განვითარებაზე ზემოქმედების განსხვავებულ ფუნქციას ასრულებს.

4. ეკონომიკური განვითარების დაჩქარება დამოკიდებულია როგორც მეცნიერულ ტექნიკურ პროგრესზე, ასევე საზოგადოების წიგნიერებაზე, მომუშავეთა განათლების დონეზე, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაზე, რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე, ინვესტიციების მოზიდვაზე და სხვა.

5. თავად ცნება "ეკონომიკური განვითარება" გამოიყენება დაბალ განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკური მდგომარეობის ასახვისათვის და აქტუალურია იმდენად,

რამდენადაც ის გულისხმობს ქვეყნის ცხოვრების ეკონომიკური განვითარებისა და ხარისხობრივი ცვლილებების შერწყმას.

6. ეკონომიკური განვითარება ნიშნავს დაბალი განვითარების ქვეყნების სამეურნეო ცხოვრების ყველა ასპექტის განვითარება-მოდერნიზაციას, და ეს პროცესები საკმაოდ ნელა მიმდინარეობს.

7. ეკონომიკური განვითარების პროცესში შედის ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, ქალაქების განვითარება და ურბანიზაცია, მოსახლეობის წიგნიერების და საგანმანათლებლო დონის ამაღლება, ეკონომიკური ინფრასტრუქტურის მშენებლობა, საშუალო მეწარმეთა ფენის ჩამოყალიბება, ბიზნესის სამართლებრივი დაცვის ფუნქციონირებადი სისტემის უზრუნველყოფა, თითოეული ოჯახის, თითოეული ეკონომიკური სუბიექტის საშემოსავლო მდგომარეობის გაუმჯობესება.

8. ეკონომიკური განვითარების საფუძველი ის რესურსებია, რომელიც აქვს ამა თუ იმ ქვეყანას და რითაც ქვეყანა ფლობს აბსოლუტურ ან შეფარდებით უპირატესობას.

9. ეკონომიკის წარმატება დამოკიდებულია ხალხთა ტრადიციებზე, რელიგიურ აღმსარებლობაზე, წეს-ჩვეულებებზე, სამართლებრივ კულტურაზე, ეკონომიკურ ურთიერთობებზე.

10. ეკონომიკის განვითარებისათვის საზოგადოებას უნდა ჰყავდეს ადამიანთა საკმარისი რაოდენობა, რომლებიც დაკავებულნი იქნებიან ინფორმაციის დამუშავებით, ახალი ცოდნის მოპოვებით, ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვით. საზოგადოებრივი სიმდიდრე იმდგვარად უნდა განაწილდეს, რომ ადამიანმა შეძლოს სამეცნიერო მუშაობა. ასევე საზოგადოებას უნდა გააჩნდეს მიზანდასახულობა და ისეთი ღირებულებათა სისტემა რაც სტიმულს მისცემს ეკონომიკის განვითარებას.

11. დღეს მსოფლიოში ახალი ეკონომიკური წესები მოქმედებს და ეკონომიკური თამაშის ახალი მეთოდები ინერგება. თამაშის მონაწილეები ძირითადად არიან აშშ, ევროპა, რუსეთი, ჩინეთი. საქართველოს მნიშვნელობა იზრდება და არც ერთ შემთხვევაში არ კნინდება.

12. საქართველოში საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები ძირითადად 1992 წლიდან იღებს სადავეს. შეიქმნა კიდევ ეკონომიკის ლიბერალიზაციის

საკანონმდებლო ბაზა, მაგრამ საქართველომ მაინც ვერ შეძლო 2008 წლამდე საექსპორტო და საიმპორტო კლიმატის შექმნა. მისთვის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში უცვლელი პარტნიორი რუსეთი იყო, თუმცა ეს მდგომარეობა 2007 წელს რუსეთის ემბარგოთი შეიცვალა.

13. რაც რუსეთმა ბევრ პროდუქციაზე ემბარგო გამოაცხადა, საქართველო მას შემდეგ იწყებს ფიქრს თუ როგორ შეიცვალოს ექსპორტის გეოგრაფია. საექსპორტო წარმოების ზრდა მუდმივი ფიქრის და ზრუნვის საგანი ხდება.

14. საქართველოს უმსხვილესი საგარეო სავაჭრო პარტნიორები ხდებიან აზერბაიჯანი, თურქეთი, გერმანია, უკრაინა, აშშ, გაერთიანებული ემირატები, ჩინეთი, იტალია, ბულგარეთი.

15. საქართველო ისწრაფვის ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციისკენ, რის გამოც ეკონომიკური დარგების რეგულირება და მარეგულირებელი ორგანოების თემა აქტუალობას იძენს. ეს თემა აქტუალურია როგორც საქართველოსთვის, ასევე მთელი მსოფლიოსთვისაც.

16. ეკონომიკური და სამართლებრივი ცხოვრების გლობალიზაციის ფონზე აუცილებელი ხდება კონკურენტული წესებისა და პოლიტიკის ერთიანი მიდგომებისა და ნორმების შექმნის აუცილებლობის საკითხი. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები გადადგმულია და იგი პირველმა ევროკავშირმა გადადგა, რომლის შეთანხმების საფუძველზე მიღებულია გაერთიანების ყველა ქვეყნისთვის ერთიანი კონკურენტული წესები. ამ ნორმების და სტანდარტების დაცვა აუცილებელია საქართველოსთვისაც, იმ შემთხვევაში თუ მას სურს ევროკავშირში გაწევრიანება.

17. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი საფრთხეს უქმნის საქართველოში ეროვნული ვალუტის კურსს. ამ ფონზე შეიძლება დახმარების ნაკადები დროში არ დაემთხვეს საჭიროებებს, რის გამოს საფრთხე შეექმნება ლარის კურსს.

18. ფასების ზრდა ყოველთვის არ მიგვანიშნებს ინფლაციაზე, თუ დღეს სახელმწიფო უცხოური დახმარებების მასობრივ მონეტარიზაციას დაუშვებს, ინფლაცია უფრო ფართო მასშტაბებს შეიძენს. ქვეყანაში შემოსული დახმარება აუცილებლად ინფრასტრუქტურის აღდგენას და ეკონომიკის წამყვანი დარგების რეაბილიტაციას თუ მიზნობრივად მოხმარდება, ინფლაცია შეუმჩნეველი იქნება. დახმარებების დიდ ნაწილს თუ ქვეყნის მიმდინარე საგარეო გადასახადებს მოვახმართ, ეს არ გამოიწვევს მიწოდების სიტარბეს და ლარის მასის ფიქსირებულ ზრდას.

19. თანამედროვეობის მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემაა ბიზნესის მაგნე ზეგავლენა გარემოზე. ბიზნესის ეთიკური ნორმები უნდა აისახოს განსაკუთრებულად ამ სფეროში, რათა ნაკლები ვნება მიადგეს გარემოს.

20. კომპანიები ზემოელების მიღების მიზნით, არღვევენ ეკოლოგიურ წონასწორობას.

21. უმუშევრობა თანამედროვეობის ძირითადი პრობლემაა, მიუხედავად იმისა, რომ ის საბაზრო ეკონომიკის თანმდევი ეფექტია, არ შეიძლება მან გრანდიოზული მასშტაბები მიიღოს, თუმცა ვარაუდობენ, რომ 2010 წლისათვის

დედამიწაზე 210 მილიონი ადამიანი იქნება უმუშევარი. ასევე შესაძლოა გაიზარდოს იმ ადამიანთა რიცხვიც, რომელთა შემოსავალი დღეში 1 დოლარზე ნაკლები იქნება.

22. ყველა ეკონომიკური პრობლემა საბოლოოდ უმუშევარი ადამიანების ზრდაში პოულობს ასახვას. ძირითადად ეს ეხება საფინანსო და მშენებლობის სფეროს.

23. საქართველოში დღეს შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა გამოწვეულია როგორც მსოფლიო ეკონომიკური კრიზისით, ასევე საომარი მოქმედებებით საქართველოში, ქართული ბანკების მიერ მოზიდული უცხოური სახსრების გაძვირებით, ეროვნული ბანკის არასწორი პოლიტიკით.

გოდერძი ტყეშელაშვილი

**საქართველოს მაკროეკონომიკური სტაბილურობის
მიღწევის გზები**

საქართველოს ეკონომიკა თითქმის ოცი წელია არასტაბილურობით ხასიათდება. მისი გამომწვევი მიზეზები უამრავია, მაგრამ ძირითადად მინც განპირობებულია:

- ეკონომიკის ფუნქციონირების წესის შეცვლით;
- ტრადიციული სამეურნეო-ეკონომიკური ურთიერთობების მოშლით;
- სავალუტო კრიზისებით და ლარის კურსის არასტაბილურობით;
- დანაშაულებრივი პრივატიზაციის გატარებით;
- არასათანადო საგადასახადო გარემოთი;
- ფულად-საკრედიტო სისტემის მოუწესრიგებლობით;
- კლანური და ჩრდილოვანი ეკონომიკის არსებობით;
- მონოპოლისტური ეკონომიკური დარგების არსებობით და ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გაუტარებლობით;
- არამიმზიდველი საინვესტიციო გარემოთი და ა.შ.

მაკროეკონომიკური სტაბილურობა კი შემდეგი სამი პარამეტრით ხასიათდება: **მშპ**-ის მოცულობა და მისი ზრდის ტემპი; უმუშევრობის არსებობა მისაღებ ზღვრებში; ინფლაციის დონე მაქსიმუმ 10 პროცენტამდე. სამივე ამ მაჩვენებლის მიხედვით სახეზეა უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოში არასტაბილური ეკონომიკის არსებობა. გასულ 2007 წელს, ოფიციალური სტატისტიკით, **მშპ**-ს მოცულობამ შეადგინა 17 მლრდ ლარი, დასაქმებული (დაქირავებული) შრომით დასაქმებულთა რიცხვმა 625 ათასი კაცი, ხოლო, თუ გავითვალისწინებთ საქართველოს მოსახლეობის რიცხვს – 4.6 მლნ-ს, დასაქმებული მინიმუმ 2 მილიონი კაცი უნდა იყოს. რეალურად ვდებულობთ უმუშევრობის დონეს 68 პროცენტამდე, რაც ეკონომიკის უაღრესად არასტაბილურობის

მასხიათებელია, ასევე მაღალია ინფლაციაც. ლარის შემოდებიდან დღემდე ინფლაციის დონემ 300 პროცენტს გადააჭარბა.

1987 წელს კი ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი 22,6 მლრდ მანეთი, ანუ დღევანდელი ფასებით – 110 მლრდ ლარი მაინც იყო. თუ აღნიშნულს შევადარებთ დღეისათვის **მშპ**-ს მოცულობას და გავითვალისწინებთ, რომ მთლიანი ეროვნული პროდუქტის გათვლის მეთოდით მისი მოცულობა რამდენადმე ჩამორჩება **მშპ**-ს მოცულობას, მაშინ სახეზეა ამ ოცწლიან მონაკვეთში **მშპ**-ს ვარდნა 6,5-ჯერ მაინც. ეს მაშინ, როდესაც დროის ამ პერიოდში თითქმის ყველა ნორმალურმა სახელმწიფომ – უპირველესად **აშშ**-მ და ევროკავშირის სახელმწიფოებმა – **მშპ**-ს გაორმაგება და გასამმაგება მოახერხეს. ანალოგიური მდგომარეობაა მაკროეკონომიკური სტაბილურობის სხვა მაჩვენებლების მხრივაც. ეს ადასტურებს საქართველოს არასტაბილურობას მსოფლიოს მასშტაბითაც კი.

საილუსტრაციოდ **აშშ**-ს მაგალითიც კმარა. ამ ქვეყნის **მშპ**-ს მოცულობა 1987 წელს შეადგენდა 4,739,5 მლრდ \$-ს, იგი თანდათანობით იზრდებოდა: 1988 წლისთვის – 5,103,8 მლრდ \$-მდე, 1989 წლისთვის – 5,484,4 \$ მლრდ-მდე და ა. შ. 2007 წლისთვის – 13,807,5 \$ მლრდ-მდე. ანუ აქ საქმე გვაქვს **მშპ**-ს 291%-იან ზრდასთან. ასეთივე ტენდენცია იყო ევროკავშირის წევრ “ძველ” სახელმწიფოებშიც, ხოლო ყოფილმა აღმოსავლეთ ევროპის და ბალტიისპირეთის სახელმწიფოებმა, შედარებით მცირედით, მაგრამ უკვე დიდი ხანია გადააჭარბეს 1987 წლის მაჩვენებელს.

მიუხედავად საქართველოს მაკროეკონომიკის ასეთი არასტაბილური და არასაიმედო მდგომარეობისა, ჯერჯერობით ქვეყანას არ გააჩნია მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა დროის ხანგრძლივი პერიოდისათვის მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევისა და ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად. ასეთი პროგრამა არ აქვს არც მოქმედ მთავრობას, არც პოლიტიკურ პარტიებს და მეცნიერებს, არადა პროგრამის (გეგმის) არარსებობის პირობებში რეალური ღონისძიებების გატარება შეუძლებელია.

სტაბილიზაციის მიღწევისათვის, უპირველესად, აუცილებელია ყურადღების გამახვილება ისეთი მიმართულებებით, როგორცაა: საგადასახდო გარემოს გაუმჯობესება და ოპტიმალურად მორგება სახელმწიფოს, მეწარმის, მომხმარებლის და მოსახლეობის ინტერესებისადმი; თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფა და ანტიმონოპოლიური სამსახურის გაძლიერება; მართლწესრიგის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით სამეურნეო სფეროში; საფინანსო-საკრედიტო სისტემის განვითარება და ამ სფეროში ეკონომიკის ინტერესების დამცველი სახელმწიფო პოლიტიკის გაძლიერება ეროვნული ბანკის მიერ; საბაზრო ინფასტრუქტურის განვითარება.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მიმართულების არსებული მდგომარეობა არასახარბიელოა. საგადასახდო სისტემაზე უპირატესად მოქმედებს საგადასახდო კოდექსი, რომელიც პერმანენტულად განიცდის ცვლილებებს და ეს

ცვლილებები იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ არის მიმართული მეწარმე სუბიექტების სასარგებლოდ. ჯერ ერთი, კოდექსით აშკარად არათანაბარ სამართლებრივ ჩარჩოებში დგება ერთი მხრივ გადასახადის გადამხდელი და მეორე მხრივ – საგადასახადო ორგანო. უფლებრივად საგადასახადოს აქვს თითქმის ყველაფრის უფლება, ხოლო გადასახადის გადამხდელს – მხოლოდ გადასახადის გადახდის უფლება. **მშპ**-სთან მიმართებაში საბიუჯეტო შემოსავლები შეადგენს 40%-ზე მეტს, რომელიც ჩვენნიანი განვითარებადი სახელმწიფოსთვის მიუდებელია. ამერიკელი ეკონომისტის ა. ლაფფერის თეორიის თანახმად, ეს ციფრები განვითარებადი სახელმწიფოსათვის არ უნდა აღემატებოდეს 15-20%-ს. პრაქტიკაც იმას ადასტურებს, რომ ქვეყნებმა, რომლებმაც მოახერხეს გადასახადების განაკვეთების დაწვევა, მიადწიეს **მშპ**-ს ზრდის მაღალ ტემპებს და უმუშევრობის მკვეთრ შემცირებას. ამის გარდა, საგადასახადო სისტემა პროპორციული და არადიფერენცირებულია. ეს კი, თავის მხრივ, არ ახალისებს საქართველოსთვის ბუნებრივად პრიორიტეტული დარგების განვითარებას.

სახელმწიფოში არ არის უზრუნველყოფილი თავისუფალი კონკურენცია და, შედეგად, ეკონომიკა კლანურ ხასიათს ატარებს. ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ანტიმონოპოლიური, ისედაც სუსტი სამსახური კი მისი გაძლიერებისათვის ხელშეწყობის მაგიერ საერთოდ გაუქმდა. შესაბამისად, ეკონომიკის ზოგიერთ დარგში ფაქტობრივად დაკანონდა მონოპოლიური ძალმომრეობა. ასეთია კომუნიკაციების, ენერჯომომარაგების, წილისხელის მიღების, მათი გადამუშავების და სხვა ბაზრები. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია არა მარტო ანტიმონოპოლიური სამსახურის აღდგენა, არამედ მისი დამოუკიდებელ უწყებად ჩამოყალიბება და მისთვის უფლება-მოვალეობების გაძლიერება.

საქართველოში უკვე დიდი ხანია გაუქმდა საარბიტრაჟო სასამართლოები და ყველა სამეურნეო საქმე დაექვემდებარა საერთო სასამართლოებრივ განხილვას, რაც ერთი მხრივ, გაუმართლებლად აჭიანურებს სამეურნეო დაეების გადაჭრას და, მეორე მხრივ, ხშირად გამოტანილი გადაწყვეტილებები არასამართლიანია. არსებული კერძო საარბიტრაჟო სასამართლოები კი თითქმის უმოქმედონი არიან მათ მიმართ სამეურნეო სუბიექტების დაბალი ნდობისა და გამოტანილი გადაწყვეტილების არასავალდებულო ხასიათის გამო. ამიტომ, ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირების მოცემულ ეტაპზე, საარბიტრაჟო სასამართლოების ჩამოყალიბება მიზანშეწონილად მიგვაჩნია.

საქართველოში, დღიდან მისი დამოუკიდებლობის მოპოვებისა, საბანკო-საპროცენტო განაკვეთი ძალიან მაღალია. ხშირად იგი რამდენჯერმე აღემატება ინდუსტრიულ სახელმწიფოებში საბანკო განაკვეთის პროცენტს. ეს კი ისედაც დანგრეულ ეკონომიკას და სუსტ სამეწარმეო სუბიექტებს კიდევ უფრო ცუდ ფინანსურ გარემოში ფუნქციონირებას აიძულებს. ბოლო პერიოდის პრაქტიკამ დაადასტურა, რომ ეროვნული ბანკი მასშტაბურ დახმარებას უწევს კომერციულ ბანკებს მათი საგადასახადო ბალანსის გასაუმჯობესებლად. საჭიროა, ამ სფეროში ჩამოყალიბდეს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა. მიეცეს ყველა

კომერციულ ბანკს თანაბარი უფლებები ეროვნული ბანკიდან რესურსების მისაზიდად, ხოლო მისი პროცენტი გამოაცხადოს ოფიციალურად, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საბანკო სესხებზე პროცენტის დაწვევას და გაზრდის სამეწარმეო აქტივობას. ამასთან, საჭიროა აღდგეს ეროვნული ბანკის მიერ კომერციულ საფინანსო სტრუქტურებზე ზედამხედველობის ფუნქციაც.

საბაზრო ინფრასტრუქტურა, რომელიც, უპირველესად სასაქონლო, ფასიანი ქაღალდების, შრომის და სავალუტო ბირჟებითაა წარმოდგენილი, თითქმის არ არსებობს, რაც შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის და სახელმწიფოს მხრიდან მისი ხელშეწყობის აუცილებლობას მოითხოვს.

ქვეყნის მაკროეკონომიკური გარემოსათვის კიდევ უამრავი ღონისძიების გატარება და შესაბამისი პირობების შექმნა საჭირო. ჩამოთვლილი მხოლოდ უძირითადესი და პირველი ეტაპის განსახორციელებელი ღონისძიებებია. შემდგომ კი აუცილებელია, შეიქმნას ისეთი ეკონომიკური გარემო, რომელიც უზრუნველყოფს “ახალი”, “ტექნოლოგიური,” “ინფორმაციული” ეკონომიკის განვითარებას.

*გოდერძი ტყეშელაშვილი
ქეთევან კიწმარიშვილი*

საქართველოს ეკონომიკური განვითარების დონე და ინოვაციების დანერგვის პერსპექტივა

საქართველო „ახალი ეკონომიკის“ გამოწვევას არცთუ ისე მომზადებული ხედება, რაზედაც მიუთითებს მისი ეკონომიკის დღევანდელი მდგომარეობა. თუ განვითარებულ ინდუსტრიულ სახელმწიფოებში: აშშ, იაპონია, გერმანია, საფრანგეთი და ა.შ. მთლიანი შიდა პროდუქციის მოცულობა 1 კაცზე შეადგენს 45-46 ათას დოლარს, ჩვენთან ეს მაჩვენებელი მხოლოდ 3 ათასი დოლარია. (მსოფლიო ბანკის მონაცემებით), ანუ ეკონომიკის სფეროში ცხოვრების დონე 15-ჯერ ჩამორჩენილია. არასახარბიელო მდგომარეობა გვაქვს პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებთან მიმართებაშიც. იმავე მონაცემებით, ბალტიისპირეთის სახელმწიფოებშიც ეს მაჩვენებელი 18-21 ათასი დოლარია, რუსეთში – 9 ათასი, ბელორუსიაში – 11 ათასი და ა.შ. მაშინ, როცა საქართველოს ეკონომიკა გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსათვის ერთ-ერთი მოწინავე იყო მსოფლიოში. 1985 წელს საქართველოს მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტი შეადგენდა 22 მილიარდ მანეთს, ხოლო ძირითადი ფონდები – 33 მილიარდ მანეთს. ჩვენი გაანგარიშებით, ეს ციფრები მთლიან შიდა პროდუქციასთან მიმართებაში უტოლდება 150-160 მილიარდ ლარს, რაც შეესაბამება მაშინდელი მსოფლიო მოწინავე სახელმწიფოების მაჩვენებლებს. დღეს კი საქართველოს ეკონომიკა 30-ჯერ კიდევ პალიან შორს არის 30 წლის წინადელი პარამეტრებისაგან.

საქართველოს მშპ დღეისთვის 16 მილიარდ ლარამდეა, რაც გაცილებით მცირეა, ვიდრე ანალოგიური მაჩვენებელი ყველა მეზობელ სახელმწიფოსთან მიმართებაში. მიუხედავად ოფიციალური სტატისტიკის დამაიმედებელი მონა-

ცემებისა, რომ საქართველოში უმუშევრობა 11-13%-ია, ჩვენთან დაქირავებული შრომით დასაქმებული 600 ათას კაცს არ აღემატება. ოფიციალური სტატისტიკით კი ყველა მცხოვრებლებს, რომელთაც გააჩნიათ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, ან ერთი თვის განმავლობაში, თუნდაც ერთი საათით იყვნენ დაკავებულები ანაზღაურებადი შრომით, თვითდასაქმებულად მიიჩნევიან.

თუ საქართველოს მოსახლეობა 4,4 მილიონი კაცია, მაშინ მისი ნახევარი შრომისუნარიანია. უმუშევრობა გაცილებით მაღალია ვიდრე ოფიციალური სტატისტიკის რიცხვები.

საქართველოს ეკონომიკის გადასარჩენად, საყოველთაო გლობალიზაციის და „ახალი ეკონომიკის“ გაბატონების პირობებში, აუცილებელია ინოვაციური განვითარება როგორც სახელმწიფო დაფინანსების, ასევე კერძო სექტორის დახმარებით. სასიცოცხლოდ აუცილებელია სამეცნიერო-კვლევითი, საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების და ზოგადად ინოვაციების დაჩქარებული განვითარება და შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება. ბოლო წლებში გატარებული პოლიტიკა კი საპირისპიროს მეტყველებს. საგრძობლად შემცირდა დაფინანსება, როგორც აკადემიის სისტემის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებისათვის, ასევე სასწავლო სამეცნიერო ცენტრებისათვის, ასე, მაგ., უმაღლესი სასწავლებლებიდან მიმდინარე წელს გათვალისწინებული იყო მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ტექნიკური უნივერსიტეტის, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ნაწილობრივი დაფინანსება, შესაბამისად 4,5; 4,0; 0,3 მლნ ლარით. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში მეცნიერებასა და განათლებაზე მოდის ხარჯების მხოლოდ 5-6%, მაშინ, როცა ინდუსტრიულ სახელმწიფოებში ხვედრითი წილი 9-10%-ია, ხოლო აბსოლუტურ მაჩვენებლებში განსხვავება ძალზე დიდია.

ინოვაციური პროცესებისადმი ყურადღების მოდუნების გამო ძალიან დაეცა საქართველოში გადაამაშუშავებელი მრეწველობის წარმოებული პროდუქციის მოცულობა, აღნიშნული განაპირობა ამ პროდუქციის არაკონკურენტუნარიანობამ, არა მხოლოდ მსოფლიო ბაზარზე, არამედ ქვეყნის შიგნითაც. ეკონომიკის აღმავლობისათვის ამ ტენდენციის გამოსწორება აუცილებელია, რისთვისაც მიგვაჩნია ისეთი ღონისძიებების გატარება, რომელიც უზრუნველყოფს:

1. სამეცნიერო დამუშავების (გამოგონების) წარმოებაში ჩაშვებისთვის ინსტიტუციური პირობების შეცვლას;
2. ინოვაციური ინფრასტრუქტურის გააქტიურებას;
3. ინოვაციური საქმიანობის მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბებას.

აღნიშნულ მიმართულებათა გაუაქტიურებლობის შემთხვევაში საქართველოს ეკონომიკის პოზიციები მოსალოდნელია, კიდევ უფრო შემცირდეს, ანუ ვერ იქნება უზრუნველყოფილი ქვეყანაში კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება, ვერ დაიძლევა ექსპორტ-იმპორტის უარყოფითი ბალანსი და თანდა-

თანობით დაეცემა მოსახლეობის ინტელექტუალური დონე და პროფესიონალიზმი.

საქართველომ გეზი უნდა აიღოს ყველაზე უფრო კონკურენტუნარიანი „ახალი ეკონომიკის“ ჩამოყალიბებისაკენ 2010 წლისათვის, აქედან გამომდინარე ეკონომიკის საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებად საჭიროა იქცეს შემდეგი სამი სფერო: სამეცნიერო-ტექნიკური, ინოვაციური და განათლების პოლიტიკა.

მიგვაჩნია, რომ საქართველოში აუცილებელია შემუშავდეს სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებში ინვესტირების ზრდის კონკრეტული გეგმა, რომელიც გაითვალისწინებს ინოვაციურ პოლიტიკაში პრიორიტეტების ცვლილებას, მათი მიზანია:

- სახელმწიფოს მხარდაჭერის ეფექტურობის ზრდა ინოვაციებისა და სამეცნიერო სფეროში, საჭირო კადრებით უზრუნველყოფა, კვლევითი ბაზის გაძლიერება სახელმწიფო სექტორში;
- სახელმწიფო რესურსების ორიენტირება ინოვაციებსა და კვლევით სფეროზე სახელმწიფო ხარჯების ეფექტურობის მომატების გზით, ბიზნესისათვის სახელმწიფოს მხრიდან დახმარების გაწვევის მექანიზმების გაუმჯობესება და სახელმწიფო ხელშეკრულებების წესების შეცვლა.

*ნუნუ ქისტაური
მედეა მელაშვილი*

აუდიტის სახელმწიფო რეგულირების პრობლემები საქართველოში

1. აუდიტს, როგორც წესი, საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთ ძირითად ატრიბუტს უწოდებენ. თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში ხშირად ვხვდებით ისეთ დამოკიდებულებას, რომლის მიხედვითაც ბიზნესი აუდიტის გარეშე კრიმინალური ეკონომიკაა ანდა, რომ თანამედროვე ბიზნესის წარმომადგენლები სერიოზულად არ აღიქვამენ ისეთ მეწარმეს, რომელსაც თავისი საქმიანობის შესახებ აუდიტორული დასკვნები არ გააჩნია.

აუდიტი ჩვენთან საქმიანობის ახალი სახეობაა. მას დასაბამი მიეცა საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი საწარმოებისათვის ჩვეულებრივ მოვლენას არ წარმოადგენს, ვინაიდან ჩვენთან მოქმედებდა საწარმოთა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ბალანსის ანალიზისა და რევიზიის მეთოდები.

კონტროლი, რევიზია და აუდიტი – სამივე ეს ცნება რაიმე ობიექტის შემოწმებასთანაა დაკავშირებული. მაგრამ ეს უკანასკნელი, პირველი ორისაგან განსხვავებით, გარდა შესამოწმებელი ობიექტის ფინანსური მდგომარეობის გამოვლენისა, ამ ობიექტის ფინანსური თუ სამეურნეო-ეკონომიკური მდგომარეობის

რეობის გაუმჯობესების მიზნით, სათანადო რეკომენდაციების შემუშავებასაც მოიცავს.

2. როგორც ცნობილია, ჩვენს ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ეროვნული ეკონომიკის კატასტროფული ნგრევით დაიწყო. მას არ ჰქონდა საძირკველი, ვინაიდან ჩვენთან არ არსებობდა კერძო საკუთრება. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, აუდიტს არ ექნებოდა სათანადო საკანონმდებლო უზრუნველყოფა, არ არსებობდა აუდიტორული საქმიანობის წარმართვის შესაბამისი კონცეფცია და არც რაიმე სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანო.

ამგვარი მდგომარეობის გარკვეულწილად დარეგულირების მიზნით, 1995 წლის 7 თებერვალს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი აუდიტორული საქმიანობის შესახებ, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს აუდიტორული საქმიანობის საწყისად და საფუძვლად ჩვენთან და რომლითაც განისაზღვრა აუდიტორული საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები. ხოლო მისი რეგულირების განსახორციელებლად შეიქმნა საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო. ზემოაღნიშნული კანონი დასავლეთის ქვეყნებში არსებული კანონმდებლობის ანალოგიური იყო და ეს სრულიად გასაგებია. გარდა ამ კანონისა, შემუშავდა სხვადასხვა საკანონმდებლო და ნორმატიული აქტი.

3. მსოფლიო პრაქტიკაში აუდიტორული საქმიანობის მართვა-რეგულირების ორი განსხვავებული კონცეფციაა გაბატონებული. პირველი მათგანი აუდიტორული საქმიანობის სახელმწიფო მართვა-რეგულირებას გულისხმობს, ხოლო მეორე – აუდიტის მართვა-რეგულირებაში თვითრეგულირებადი ორგანიზაციების მონაწილეობის გარკვეულ შესაძლებლობებს უშვებს. პირველი კონცეფციით ძირითადად ხელმძღვანელობენ ავსტრია, საფრანგეთი, ესპანეთი, გერმანია, იაპონია და აფრიკის ფრანგულენოვანი ქვეყნები. რაც შეეხება მეორე კონცეფციას, ჩვენ აბსოლუტურად ვიზიარებთ იმ აზრს, რომ აუდიტორული საქმიანობის მართვა-რეგულირება სახელმწიფოსა და თვითრეგულირებადი ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევით უნდა მოხდეს, ანუ უნდა მოხდეს მათი საქმიანობის გონივრული შეხამება. თუმცა, გარკვეულწილად, მაინც ადგილი უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს პრიმატს.

4. ევროსაბჭოს წევრ სახელმწიფოთა მიერ სავალდებულოა აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების სახელმწიფო ზედამხედველობის ეფექტიანი სისტემის შექმნა. მაგალითად შეიძლება დიდი ბრიტანეთის მოყვანა, სადაც ბოლო დრომდე აუდიტორული საქმიანობა მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალი დონის თვითრეგულირებად სისტემას წარმოადგენდა. აქ მთავრობა ძალიან ნაკლებად, შეიძლება ითქვას, თითქმის არ ერეოდა აღრიცხვა-აუდიტის რეგულირების საქმეში. შემდეგ, როდესაც განხორციელდა აუდიტორული საქმიანობის მარეგულირებელი გარემოს ეტაპობრივი გარდაქმნა, ბრიტანეთის მთავრობამ კონტროლის ფუნქცია საკუთარ თავზე აიღო და ამ მიზნით აქ 2004 წელს შეიქმნა სახელმწიფო სახელმძღვანელო საბჭო.

ამრიგად, მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებით, სრულიად ნათელია, რომ აუდიტორული საქმიანობის ხარისხიანად წარმართვა მეტად რთული და

მნიშვნელოვანი საქმეა და მისი განხორციელება სახელმწიფო საზედამხებველო კანონებით უნდა ხდებოდეს. ამასთან, ვთვლით, რომ მისდავსა გარკვეულ შემთხვევებში ზოგიერთი ფუნქციის დელეგირება საზოგადოებრივ აუდიტორულ ორგანიზაციებზე. აქ უმთავრესია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმწიფოსა და პროფესიული ორგანიზაციების ინტერესთა ოპტიმალური დაბალანსების მიღწევა.

5. საქართველოში აუდიტორულ საქმიანობასთან დაკავშირებული ურთიერთობების სამართლებრივ საფუძველს ბოლო დრომდე წარმოადგენდა საქართველოს კანონი “აუდიტორული საქმიანობის შესახებ”, რომელიც ძირითადად აგებულია ევროპარლამენტისა და ევროკავშირის მიერ მიღებული დირექტივების მოთხოვნების საფუძველზე.

დასავლეთევროპელი კოლეგების რჩევით (აშშ-ში დამკვიდრებული წესების საფუძველზე), საქართველოში სააღრიცხვო-აუდიტორული საქმიანობა პროფესიული თვითრეგულირებადი საზოგადოებების მიერ უნდა განხორციელდებოდეს, ანუ აუდიტორულ საქმიანობას უნდა ახორციელებდნენ ლიცენზირებული აუდიტორული ფირმები ან ატესტირებული აუდიტორები.

აუდიტორული ორგანიზაციების გარდა, საწარმოთა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის კონტროლის განხორციელება შეუძლია ბუკდვით და ელექტრონულ მასშედიას, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებს (ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია და სხვა). გარდა ამისა, საბიუჯეტო სახსრების ხარჯვას, სახელმწიფო ქონების გამოყენებას თვალყურს ადევნებს სხვადასხვა საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანებები.

მაშასადამე, საქართველოში ფინანსური კონტროლის განმახორციელებელი მრავალი სახელმწიფო თუ დამოუკიდებელი სტრუქტურაა.

6. ჩვენ არ ვიზიარებთ იმგვარ დამოკიდებულებას, რომ საერთაშორისო გამოცდილება, თუნდაც მეტად წარმატებული, ბრძიდ იქნეს გადმოღებული ეკონომიკის ნებისმიერ დარგში, კერძოდ აუდიტორულ საქმიანობაში. სრულიად ნათელია, რომ ეს უნდა მოხდეს ნაციონალურ პირობებთან ადაპტაციით. ამის გათვალისწინებით ქართველმა მეცნიერებმა უნდა შექმნან აუდიტის პროფესიული მეთოდოლოგია, რომელიც ადეკვატური იქნება საბაზრო ეკონომიკის ინფრასტრუქტურის ელემენტებთან. თუმცა ჩვენთან საერთაშორისო აუდიტორული ფორმის “დელიტ ენ ტუში“-ის ექსპერტების კონსულტაციებით მომზადდა აუდიტის განვითარების კონცეფცია, მაგრამ სრულიად ნათელია, რომ აუცილებელია აუდიტის ეროვნული კონცეფციის განვითარება, რომელიც, მაგალითად, აუცილებლად შემოგთავაზებს “შავ აუდიტორთა” საქმიანობის აღმკვეთ მექანიზმს, რაც, ჩვენი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანი ხელშეშლელი ფაქტორია არა მარტო ჩვენთან, არამედ ბევრ სხვა ქვეყანაშიც

ჩვენს ქვეყანაში, სადაც საბაზრო ურთიერთობები ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია და კორუფციის საკმაოდ დიდი საფრთხეა, ვთვლით, რომ ნაადრევია აუდიტორული საქმიანობის დამოუკიდებელ აუდიტორულ კავშირებზე დელეგირება. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ პროფესიულ ორგანიზაციათა

საქმიანობაზე მონიტორინგი სახელმწიფომ განახორციელოს, ვინაიდან, ჩვენი შეხედულებით, ეს აუდიტორული გაერთიანებები ჯერ კიდევ არაა ორგანიზაციულად და მეთოდოლოგიურად სრულყოფილად ჩამოყალიბებული. ამიტომ ამ აუდიტორული კავშირების მონიტორინგი უმაღლესმა მაკონტროლებელმა ორგანომ – კონტროლის პალატამ უნდა განახორციელოს.

7. 2008 წლის იანვარში ძალაში შევიდა საქართველოს კანონი “ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის შესახებ”, რომელიც, ჩვენი აზრით, გარკვეულ ხარვეზებს მოიცავს. ახალი კანონით, აუდიტორული საქმიანობა თვითრეგულირებაზე გადადის. ჩვენ ზემოთ შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ მთელს მსოფლიოში სრულიად საწინააღმდეგო პროცესები მიმდინარეობს (მით უმეტეს განხილული ბანკოტების შემდეგ). თვითრეგულირების ნაცვლად ძლიერდება და მკვიდრდება აუდიტის სახელმწიფო რეგულირება. მაგალითად, 2006 წელს ევროკავშირის მიერ მიღებული დირექტივის მიხედვით, რომელიც ჩვენ ზემოთ მოვიხსენიეთ, წვერ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ აუდიტორებისა და აუდიტური ფირმების სახელმწიფო ზედამხედველობის ეფექტიანი სისტემის შექმნა. აუცილებელია, ყოველი აუდიტორი, აუდიტორული ფირმა დაექვემდებაროს სახელმწიფო ზედამხედველობას³⁰. ამ დირექტივის მიხედვით 2008 წლის მეორე ნახევრიდან აუდიტორული საქმიანობა მთლიანად უნდა იქნეს გადაყვანილ სახელმწიფო რეგულირებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ აღნიშნული კანონი არცთუ დიდი ხნისაა, ჩვენ ვთვლით, რომ ის რაც შეიძლება მოკლე პერიოდში მოითხოვს დახვეწას და სრულყოფას. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ვერ შეძლებს, პროგრესული როლი ითამაშოს აუდიტორული საქმიანობის ხარისხის ამაღლებისა და შემდგომი განვითარების საქმეში. პირიქით, ის ადვილად გადაიქცევა აუდიტორული საქმიანობის სრულყოფილი განვითარების მუხრუჭად.

8. როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვჩვენებს, განვითარებულ ქვეყნებშიც ხშირად აქვს ადგილი პრობლემებს აუდიტორული საქმიანობის სფეროში. მით უმეტეს ჩვენი ქვეყანა, სადაც აუდიტი საქმიანობის ახალი სახეობაა, არაა დაცული შეცდომებისაგან. ამგვარი შეცდომების რიცხვი მინიმუმამდე რომ იქნეს დაყვანილი, ვთვლით, რომ ამ ეტაპზე აუცილებელია, ჩვენთან აუდიტორული საქმიანობის მართვა-რეგულირება განახორციელოს სახელმწიფომ, რომლის ვალია აუდიტორული საქმიანობის სახელმწიფო წარმართვის მექანიზმი ჩამოაყალიბოს მთლიანობითი სისტემის სახით. ეს უკანასკნელი უნდა მოიცავდეს შემდეგ შემადგენლებს:

1. საკანონმდებლო და ნორმატიული უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს მეთოდოლოგიურ უზრუნველყოფას, სტანდარტების შემუშავებას, ნორმატიული აქტების მიღებას;

2. აუდიტორთა სერტიფიცირებას, რაც გულისხმობს განათლების სათანადო სისტემის შექმნას;

³⁰ 2006 წელი, ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს დირექტივა, მუხლი 32.

3. აუდიტორთა ლიცენზირებას (ესაა აუდიტორებისა და აუდიტური ფირმების რეგისტრაცია და საჯარო რეესტრის წარმოება);

4. აუდიტორებისა და აუდიტური ფირმების კონტროლი, რასაც ახორციელებს სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო (ესაა აუდიტორული საქმიანობის ხარისხის კონტროლი), რომელიც მოიცავს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენას, უზრუნველყოფს კანონმდებლობისა და ეთიკის კოდექსის დაცვას.

ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფომ აუდიტი იმგვარი მთლიანობითი სისტემის სახით უნდა ჩამოაყალიბოს, რომ მან შექლოს სათანადო ფინანსური კონტროლის განხორციელება როგორც პორიზონტალურ, ისე ვერტიკალურ ტრილში.

*თინათინ ჩხეიძე
ქეთევან ქველაძე*

**ბუნებრივ-რესურსული კოტინენციალის ოპტიმალურად გამოყენების
ზოგიერთი საკითხი საქართველოში**

მდგრადი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ ასპექტს და საფუძველს მდგრადი ეკოლოგიური განვითარება წარმოადგენს. არ არსებობს ქვეყნის ეკონომიკური ზრდა და განვითარება ბუნებრივი რესურსების გამოყენების გარეშე. ეკონომიკური განვითარებისაკენ მიმართულ ღონისძიებათა შორის არსებითი ადგილი უკავია ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების საკითხს. თანამედროვე პირობებში ცალკეული ქვეყნისათვის აღნიშნულ ფაქტორს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ქვეყნები უპირატესობით სარგებლობენ მაღალტექნოლოგიურ, მაგრამ ბუნებრივი რესურსებით ღარიბი ქვეყნების წინაშე.

ბუნებრივი რესურსებიდან ჩვენ შევსებით მდგრადი ეკონომიკური განვითარების ისეთ ფუძემდებლურ და უნივერსალურ ფაქტორს, როგორც არის მიწა. მიწას, როგორც წარმოების ძირითად საშუალებას, კაცობრიობა თავის არსებობის შესანარჩუნებლად იყენებს. სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესი უშუალოდ დაკავშირებულია მიწასთან, მის აგრობიოლოგიურ თვისებებთან, ვინაიდან ის არის შრომის საგანიც და წარმოების იარაღიც. მოსავლის მიღების მიზნით ადამიანი უძველესი დროიდან აწარმოებს მიწის დამუშავებას. „აკულტურებს“ მას და ქმნის ეკონომიკურ ნაყოფიერებას, რაც საზოგადოებრივ ურთიერთობათა და წარმოების საშუალებათა მთელ კომპლექსზე დამოკიდებული. უკანასკნელ პერიოდში დედამიწაზე მოსახლეობის ზრდამ, ტრანსპორტის განვითარებამ, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციამ და სხვა ანთროპოგენურმა ფაქტორებმა მკვეთრად გააფართოვა და გააძლიერა ნიადაგზე ადამიანის ზემოქმედების მასშტაბები, რაც აუნაზღაურებელ ზიანს აყენებს ნიადაგს. ნიადაგი კარგავს მისთვის დამახასიათებელ ნაყოფიერებას, აღარ იძლევა

მოსავალს და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისათვის უვარგისი ხდება, რისგამოც დეგრადირებული მიწები ეთიშება სოფლის მეურნეობის წარმოებას. ასეთ დროს ნიადაგის რესურსების დეგრადაციისაგან დაცვის ერთ-ერთ საიმედო ფაქტორს ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება წარმოადგენს, რაც უშუალოდ დაკავშირებულია „სასურსათო უსაფრთხოების“ უზრუნველყოფასთან. თუ კაცობრიობა შეძლებს იმ ნეგატიური მოვლენების თავიდან აცილებას, როგორცაა ნიადაგის ეროზია, დამლაშება, დაჭაობება, გაუდაბნობა და ა.შ., მაშინ შესაძლებელი გახდება მოშიმშილე მოსახლეობის დაპურება და მომავალი თაობების სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, რასაც სწორედ „მდგრადი განვითარების“ კონცეფცია ითვალისწინებს.

საქართველოსათვის ეკოლოგიური თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე საჭირობო პრობლემა, რომელიც ნიადაგის დეგრადაციას იწვევს არის ეროზია. ეროზიის ანთროპოგენური და სხვა ბუნებრივი პროცესებით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 3 მილიონი ჰექტარიდან 1 მილიონზე მეტი ე.ი. 35% დეგრადირებულია, აქედან სახნავი მიწები 380 000 ჰექტარს შეადგენს (დეგრადირებული ნიადაგი 30–50%-ით ნაკლებ მოსავალს იძლევა). უკანასკნელ 50 წლის განმავლობაში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო და სატყეო მეურნეობის მიწების ფონდს ეროზიის გამო 50 ათასი ჰექტარი გამოაკლდა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბოლო წლებში საქართველოს დიდ ქალაქებს, როგორც არის თბილისი, ბათუმი და სხვ. შემოუერთდა მომიჯნავე სოფლების ტერიტორიები, რითაც ასეული ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები გადავიდა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ფონდში, რითაც კიდევ უფრო შემცირდა ქვეყნის სახნავ-სათესი ფართობები (ამჟამად ოფიციალურ სტატისტიკურ მასალებში არ არის ნაჩვენები თუ რა რაოდენობის სახნავ-სათესი ფართობი მოდის საქართველოს ერთ სულ მოსახლეზე, ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის). აქედან გამომდინარე, ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის ოპტიმალურად გამოყენება ქვეყნის პრიორიტეტულ საკითხად უნდა იქცეს.

მარინა ცუცქერიძე

**ბიზნესგარემო და უზრუნველყოფა მისი ბავშვის
საკითხისათვის**

1. ბიზნესგარემოს გაუმჯობესება საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების აუცილებელი პირობაა. იგი ეკონომიკური ზრდის, სამუშაო ადგილების გადიდების მნიშვნელოვან წინაპირობად და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ფაქტორად გვევლინება. ბიზნესგარემო დადებით გავლენას ახდენს საბაზრო

კონსტრუქტურის ცვლილებებზე და წარმოების კონკურენტუნარიანობის ამადლებას განაპირობებს. ამით იგი ბაზრის იმ სექტორებზე ზემოქმედებს, რომლებიც მცირე ფირმების განსაკუთრებულ დაინტერესებას იწვევენ.

2. ბიზნესგარემოს გაუმჯობესების აუცილებლობას საქართველოში განაპირობებს უმუშევრობის დონის შემცირებისა და დასაქმების პროცესისათვის ხელშემწყობი ფაქტორების მოქმედებაში მოყვანის მიზნების არსებობა. დასაქმების საბაზრო პროცესის რეგულირება განუხრელად უკავშირდება ინფლაციასა და უმუშევრობის დონეთა შორის კავშირის ასახვას ა. ვ. ფილიპის მრუდის საშუალებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, რომ შრომის ბაზარზე ფასების ზრდა ან მისი შემცირება, ასრულებს წარმოებისა და დასაქმების ზრდის მარეგულირებელ როლს. ამით, საბაზრო პროცესების წარმართვის დროს, ფასწარმოქმნის მექანიზმი დასაქმების დონის თვითრეგულირების ფუნქციასაც ასრულებს.

3. უმუშევრობაზე ბიზნესგარემოს გავლენა საქართველოში იმ ფირმების შედეგებით აისახება, რომელიც მიიღება მაქსიმალური, ანუ იდეალური და მინიმალური, ანუ ოპტიმალური ბიზნესისგარემოს პირობებში. ბიზნესის განვითარების ეს ორი აუცილებელი პირობა უკავშირდება დარგობრივი, საბაზრო სისტემის სივრცობრივი, ფირმების ოპტიმალური ტერიტორიული განლაგების, რესურსების ეკონომიის პრობლემას. ბიზნესგარემოს ფუნქციონირება დამოკიდებულია ფირმებს შორის არსებულ ეკონომიკურ ურთიერთობებზე, მათი ფინანსური და ორგანიზაციული დამოუკიდებლობის დონეზე, საბაზრო სივრცის სიდიდესა და სავაჭრო ქსელის განვითარებაზე. მიზანშეწონილია ბიზნესგარემოს გაუმჯობესება მცირე ფირმების მართვის ორგანიზაციული სისტემის საფუძველზე განხორციელდეს, ამისთვის აუცილებელია რესურსების დანახარჯების შემცირებასა და კონკურენტუნარიანობაზე დამყარებული მეთოდები. ამით ფირმები შეძლებენ საკონტრაქტო სისტემის გამოყენებას, ტექნოლოგიისა და წარმოების მომსახურების განვითარებას. იგი ეკონომიკური განვითარებისათვის საჭირო წარმოებათაშორის არსებულ საბაზრო და სამეურნეო ურთიერთობთა რთული სისტემის ფუნქციონირებას განაპირობებს.

4. დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის მიმართულებათა განხორციელებისათვის მიზანშეწონილია: 1) ბიზნესით დაინტერესებული მცირე და საშუალო სიდიდის მქონე ფირმების მიერ ახალი სამუშაო ადგილების შექმნა; 2) პარტნიორული და კომერციული ურთიერთობების საფუძველზე, ფინანსური და საკრედიტო პროცედურების განხორციელება, რისი მიზანიც საქართველოს ინფრასისტემის და საწარმო ინფრასტრუქტურის გაფართოებაა და მათთან დაკავშირებული ეროვნული და ხალხური წარმოების განვითარება. ამავე დროს, მნიშვნელოვანია ინფრასისტემაში შემავალი ობიექტების საბაზრო პროცესისთვის გადაცემის სტიმულირება; 3) საბიუჯეტო სახსრებით და კრედიტით სარგებლობისათვის, საბაზრო განაკვეთთან შედარებით, შედავათების დაწესება; 4) ბიზნესის გარემოს მართვისათვის აუცილებელი მარკეტინგული და საინფორმაციო სისტემის შემუშავება; 5) მცირე და საშუალო ბიზნესსაწარმოების მეწე-

ჯერების საქმიანობაში სექტორულ უპირატესობათა გაფართოება მონაცემთა საინფორმაციო ბანკის გამოყენებით, საწარმოთა მომსახურების გაუმჯობესება ოპერატიული მართვის ღონისძიებებისა და გადაადგილების ახალი მარშრუტების შემუშავების საფუძველზე.

ბიზნესგარემოს გაუმჯობესება საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი სოციალური მიზნების, მათ შორის დასაქმების ღონის ზრდის და მასობრივი უმუშევრობის დაძლევის, მისი წარმომქმნელი მიზეზების შესამცირებლად საჭირო და საბაზრო ურთიერთობების სრულყოფის საფუძველს წარმოადგენს.

მია ჭანია

საგადასახდელო ბალანსის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლები

საგადასახდელო ბალანსის შეფასების კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების განსაზღვრა მისი არსისა და ფუნქციონირების განსაზღვრით უნდა დაიწყოთ. სამწუხაროდ, კვლავაც გავრცელებულია ვიწრო გაგება საგადასახდელო ბალანსის არსის შესახებ. როგორც წესი, მას მხოლოდ რაოდენობრივი ხასიათის მაჩვენებლად აღიქვამენ, რადგანაც ასეთნაირად ძალიან ადვილია სხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებთან ურთიერთკავშირის დადგენა. მაგალითად, პ. პ. ლინდერტის აზრით, საგადასახდელო ბალანსი წარმოადგენს მოცემული ქვეყნის რეზიდენტებსა და დანარჩენ სამყაროს შორის ყველა ეკონომიკური გარიგების სისტემურ ჩანაწერს დროის მოცემული პერიოდის მანძილზე. კრუგმანის მიხედვით, საგადასახდელო ბალანსი საერთაშორისო გადახდების ამსახველი ჩანაწერია, რომელიც ქვეყნის საგარეო კავშირების ჯამს გამოხატავს. სხვა ავტორებიც იმავე აზრს გამოთქვამენ, მხოლოდ უმნიშვნელო განსხვავებით. უ. ასლერი, ი. ჰაინრიხი და ვ. კოხი მიიჩნევენ, რომ, აღნიშნულთან ერთად, საგადასახდელო ბალანსი არა მარტო ქვეყნებს შორის ურთიერთგადახდებს გვიჩვენებს, არამედ ხასიათდება ორმაგი ჩანაწერით, აქტივითა და პასივით, ხოლო ვ. ვარგას მიხედვით, იგი ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ჯამური შედეგის მაჩვენებელია, კერძოდ, გვიჩვენებს ქვეყანა სხვა ქვეყნების მიმართ მოვალეა თუ კრედიტორი.

თუკი საერთო აღიარებით საგადასახდელო ბალანსი ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების ჯამური შედეგია, მაშინ ამ ურთიერთობებს, როგორც სუბიექტებს შორის ურთიერთობებს, რაღაც მიზეზები და მიზნები გააჩნია, ისინი მათი გარკვეული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურებიან. ამიტომ საგადასახდელო ბალანსის არსის სისტემურად წარმოდგენისათვის უნდა გავითვალისწინოთ მისი, როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი მხარეები.

ჩვენი აზრით, საგადასახდელო ბალანსი არის ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების ფულადი ფორმით ანგარიშსწორების ჯამური

შეფასება, რომლის მიზანია ეროვნული მეურნეობის მსოფლიო ეკონომიკაში ეფექტიანი ინტეგრაცია საერთაშორისო შემოსავლების გადანაწილებაში აქტიური მონაწილეობით მიმდინარე და კაპიტალის საღდოს გაუმჯობესების საფუძველზე. ასეთი დეფინიციით ჩანს საგადასახდელო ბალანსის რაოდენობრივი მხარე – მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრაციის ხასიათი, წამგებანია თუ დადებითი შედეგის მომტანია იგი, აქტიურად თუ პასიურად მონაწილეობს ქვეყანა საერთაშორისო შემოსავლების გადანაწილებაში. ჩანს ქვეყნის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მიზნის მიღწევის მექანიზმი, საგადასახდელო ბალანსის სტრუქტურული ელემენტების მიმდინარე და კაპიტალის ბალანსის ურთიერთქმედება რამდენად აბალანსებს, ავსებს ერთმანეთს ქვეყნის სტრატეგიული მიზნების სარეალიზაციოდ (ცხრ.1).

ცხრილი 1

საგადასახდელო ბალანსის სისტემა

აქტივი	პასივი
1. მიმდინარე ბალანსი	
სასაქონლო ექსპორტი	სასაქონლო იმპორტი
მომსახურების ექსპორტი	მომსახურების იმპორტი
ტრანსფერტები	ტრანსფერტები
საზღვარგარეთიდან	საზღვარგარეთ
2. კაპიტალის ბალანსი	
კაპიტალის იმპორტი	კაპიტალის ექსპორტი
3. ოქროსა და ვალუტის მოძრაობა	
ოქროსა და ვალუტის შემოდინება	ოქროსა და ვალუტის გადინება
4. მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრაციის ხარისხი	
საერთაშორისო შემოსავლებში აქტიური მონაწილეობა	საერთაშორისო შემოსავლებში პასიური მონაწილეობა
ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის განმტკიცება	ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის შემცირება
ინტეგრაციის ხარისხის ამაღლება	ინტეგრაციის ხარისხის შემცირება

საგადასახდელო ბალანსის არსში გარკვევისათვის ძალიან მნიშვნელოვანია აგრეთვე განვსაზღვროთ მისი ძირითადი ფუნქციები იმის საფუძველზე, რაც უკვე ითქვა. პირველი ფუნქცია ქვეყანაში ფინანსური რესურსებს შემოდინებასა და ქვეყნიდან მისი გადინების თანაფარდობის გაზომვით გამოიხატება, მეორე ფუნქცია – საგადასახდელო ბალანსის ხარისხის განსაზღვრით, რაც მსოფლიო მეურნეობაში ქვეყნის პოზიციების განმტკიცებით და მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობით აისახება. პირველ შემთხვე-

ვაში საგადასახდელი ბალანსის დინამიკის რაოდენობრივ შედეგთან გვაქვს საქმე. მეორე შემთხვევაში – მის ხარისხობრივ შედეგთან.

საგადასახდელი ბალანსის არსის დადგენის საფუძველზე უკვე შეგვიძლია გამოვიყენოთ მისი შეფასების მეთოდოლოგიური პრინციპები, კრიტერიუმები და მაჩვენებელთა სისტემა.

საგადასახდელი ბალანსის დინამიკის შეფასების პრინციპებიდან უმნიშვნელოვანესია შემდეგი:

- შეფასების სისტემური ხასიათი, რაშიც მსოფლიო მეურნეობაში ქვეყნის მონაწილეობის რაოდენობრივი და თვისებრივი მხარეების გათვალისწინება, ანალიზი იგულისხმება;

- სადაგასახდელი ბალანსის დინამიკისა და მისი შეფასების დამოკიდებულება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეზე, ანუ შეფასების კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების ცვლილება განვითარების კვალობაზე;

- საგადასახდელი ბალანსის ინფორმაციული ხასიათი, ბუნება, რის გამოც იგი ფინანსური და ინფორმაციული სისტემების კანონზომიერებებსაც, ტენდენციებსაც ემორჩილება;

- საგადასახდელი ბალანსის დინამიკის სოციალური ორიენტაცია, რაც მოსახლეობის კეთილდღეობაზე, ადამიანის განვითარებაზე, ცხოვრების ხარისხზე, სოციალური, კულტურული, ეკოლოგიური, ტექნოლოგიური გარემოს ცვლილებაზე მის ზემოქმედებას გამოხატავს;

- შეფასების კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების შესადარისობა საერთაშორისო სტანდარტებსა და ფასეულობებთან;

- შერჩეული კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების საფუძველზე საგადასახდელი ბალანსის სისტემური რეგულირების განხორციელების შესაძლებლობა.

აღნიშნული მეთოდოლოგიური პრინციპების საფუძველზე განსაზღვრულია საგადასახდელი ბალანსის შეფასების კრიტერიუმებისა და მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც მე-2 ცხრილშია მოცემული. ჩვენ გამოვეყოფთ 4 ძირითად კრიტერიუმს: 1. საგარეო ეკონომიკური სექტორის მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრაციისა და მდგრადობის ხარისხი; 2. მიმდინარე ოპერაციების დაბალანსებულობა; 3. კაპიტალის მოძრაობის დაბალანსებულობა; 4. ოქროსავალუტო რეზერვების დაბალანსებულობა.

არსებითი მნიშვნელობა ენიჭება პირველი კრიტერიუმის მიხედვით გამოყოფილი მაჩვენებლების დინამიკას. მსოფლიო განვითარებისათვის დამახასიათებელია შემდეგი ტენდენციები: ბოლო ათწლეულების განმავლობაში დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნების წილი იზრდება მსოფლიოს მთლიან შიდა პროდუქტში, ხოლო მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნების წილი – მცირდება. მრავალი ქვეყანა წარმატებით სძლევს საერთო ეროვნული ბაზრის შეხედულებას და საერთაშორისო ბაზრებზე აქტიური საქმიანობით ეკონომიკური ზრდისა და საგადასახდელი ბალანსის მდგომარეობას უზრუნ-

ველეოფს. მაშასადამე, ქვეყნების კეთილდღეობა თანამედროვე პირობებში უშუალოდ არის დაკავშირებული მათი მსოფლიო ეკონომიკაში მონაწილეობის ხარისხზე.

ცხრილი 2

საგადასახდელი ბალანსის შეფასების ძირითადი კრიტერიუმებისა და მანვენებლების სისტემა

№	კრიტერიუმების სისტემა	მანვენებელთა სისტემა
1	საგარეო ეკონომიკური სექტორის მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრაციისა და მდგრადობის ხარისხი	<ol style="list-style-type: none"> 1. ქვეყნის მშპ-ის წილი მსოფლიო მეურნეობის მშპ-ში 2. საგადასახდელი ბალანსის დინამიკა 3. ქვეყნის კონკურენტუნარიანობა 4. სავალუტო რეზერვების დინამიკა 5. საგარეო ვალის მოცულობა და დინამიკა 6. ეკონომიკის კარგახსნილობის ხარისხი 7. საგადასახდელი ბალანსის მდგრადობის ხარისხი
2	მიმდინარე ოპერაციების დაბალანსებულობა	<ol style="list-style-type: none"> 1. მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის ბალანსი 2. საქონლით ვაჭრობის ბალანსი 3. მომსახურებით ვაჭრობის ბალანსი 4. სავაჭრო ბალანსი 5. შემოსავლების ბალანსი 6. ტრანსფერტების ბალანსი
3	კაპიტალის მოძრაობის დაბალანსებულობა	<ol style="list-style-type: none"> 1. კაპიტალის ბალანსი 2. კაპიტალის ოპერაციების ანგარიშის ბალანსი 3. ფინანსური ბალანსი 4. პირდაპირი ინვესტიციების ბალანსი 5. პორტფელური ინვესტიციების ბალანსი 6. სხვა ინვესტიციების ბალანსი
4	ოქროსავალუტო რეზერვების დაბალანსებულობა	<ol style="list-style-type: none"> 1. ოქროსავალუტო რეზერვების ბალანსი

მსოფლიო შემოსავლების გადანაწილებაში აქტიური მონაწილეობა უშუალოდ ზემოქმედებს საგადასახდელი ბალანსის დინამიკასა და კონკურენტუნარიანობაზე. როგორც წესი, საგადასახდელი ბალანსის სადღო მერყეობს ეკონომიკური ზრდის ხასიათის ცვალებადობის კვალობაზე. დადებითი საღ-

დღითი ხასიათდებიან უპირატესად განვითარებული და წარმატებული ახალი ინდუსტრიული ქვეყნები, მაშინ, როდესაც პოსტსაბჭოთა ქვეყნები და ჩამორჩენილი ქვეყნები უარყოფითი საღდოთი ხასიათდებიან. თუმცა, ბუნებრივია, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უარყოფითი საღდო უცილობლად არ ნიშნავს იმას, რომ ქვეყანა ეკონომიკურ დაქვეითებას, კრიზისს განიცდის. ცნობილია, რომ აშშ-ის სავაჭრო ბალანსი დიდი ხანია უარყოფითია და ამის გამო სავადასახდელო ბალანსიც, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქვეყანა წარმატებულად ვითარდება. ეს იმას ნიშნავს რომ სავადასახდელო ბალანსის უარყოფითი საღდო არ შეიძლება ყოველთვის უარყოფით მოვლენად ჩათვალოს.

რაც შეეხება ქვეყნის კონკურენტუნარიანობას, ამ მაჩვენებლის შეფასებითი ფასეულობა მრავალფეროვანია, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იგი სავადასახდელო ბალანსის ანალიზისათვის. გავრცელებულია მისი ორი ვარიანტი.

პირველი წარმოადგენს მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსს, რომელიც მსოფლიო კონკურენტუნარიანობის წლიურ ანგარიშში ქვეყნდება მართვის მეთოდების სრულყოფის საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ. მისი გამოთვლა ხდება 286 კრიტერიუმის საფუძველზე იმის მიხედვით, თუ როგორ ქმნის ქვეყანა ფირმებისათვის კონკურენტულ გარემოს. კონკურენტუნარიანობა ფასდება 4 კრიტერიუმის მიხედვით. პირველი ასახავს ქვეყნის ეკონომიკურ აქტიურობას, მაკროეკონომიკურ შეფასებას, მათ შორის ისეთ მაჩვენებლებს, როგორც არის: ეკონომიკის სასტარტო მდგომარეობა, საბაზრო კონკურენციის ხარისხი, ვაჭრობის ლიბერალიზაციის დონე, ქვეყნის გახსნილობის ხარისხი. მეორე გამოხატავს სახელმწიფოს ეფექტიანობას, მის უნარს, უზრუნველყოს მაკროეკონომიკური და სოციალური პირობები, ფორმირებისათვის გარეგანი რისკების მინიმიზაცია, სწორი ეკონომიკური პოლიტიკა. მესამე გულისხმობს ბიზნესის ეფექტიანობას მისი ფინანსური და კვალიფიციური უზრუნველყოფის ჩათვლით, ხოლო მეოთხე – ინფრასტრუქტურულ უზრუნველყოფას ინსტიტუციური, ინოვაციური, ტექნოლოგიური, მეცნიერული ხასიათის მიმართულებით. შესაბამისად იანგარიშება ქონებრივი რეიტინგი.

მეორე ვარიანტი გულისხმობს უფრო მნიშვნელოვან საერთაშორისო პროექტს – მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის რეგულარულად მომზადებულ გლობალური კონკურენტუნარიანობის მოხსენებას, რომელიც აფასებს ქვეყნების კონკურენტუნარიანობას მათი ეკონომიკური სიძლიერის რეიტინგის მიხედვით. ამ პროექტის ხელმძღვანელებს შორის მოიხსენიება ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორებიც არიან მ. პორტერი და ჯ. საქსი.

აღნიშნული მოხსენება მოიცავს კონკურენტუნარიანობის ორ ინდექსს: ზრდის კონკურენტუნარიანობის და მიმდინარე კონკურენტუნარიანობის ინდექსებს. პირველში ასახულია მომავალი ზრდის, ანუ მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის ცვლილების განმსაზღვრელი ფაქტორები სამი ქვეინდექსის სახით: ტექნოლოგიური განვითარების დონე, საზოგადოებრივი დაწესებულებების ხარისხი, მაკროეკონომიკური პირობები. მეორე ინდექსი აქცენტს აკეთებს მიმდ-

ნარე მწარმოებლურობისა და ეკონომიკური აქტივობის უზრუნველყოფ ფაქტორებზე, ეკონომიკური ზრდის მაკროეკონომიკურ საფუძველზე, კომპანიების მწარმოებლურობასა და ბიზნესისათვის გარემოს ხარისხზე. მაშასადამე, პირველი ინდექსი ეკონომიკური ზრდის სფეროში კონკურენციის ქვეყნობრივ რეიტინგს გვიჩვენებს, ხოლო მეორე – მიმდინარე კონკურენტუნარიანობას.

პრაქტიკამ და გამოკვლევებმა დაადასტურა რომ, თანამედროვე პირობებში, საგადასახდლო ბალანსის ტრადიციული მეთოდებითა და მახასიათებლებით შეფასება უკვე საკმარისი არ არის, თუმცა მათი როლი კვლავაც დიდია.

ასეთი შეფასებისათვის, ჩვენი აზრით, არსებითი მნიშვნელობისაა შემდეგი დასკვნები.

1. წინა პლანზე გამოდის შეფასების სისტემურობის უზრუნველყოფა, მისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მხარეების გათვალისწინება, ისეთი კრიტერიუმები და მაჩვენებლები, რომლებიც ქვეყნის მსოფლიო ეკონომიკაში მონაწილეობის ხარისხს განსაზღვრავდნენ.

2. ცხადია, უწინარეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს სავაჭრო კაპიტალისა და საგადასახდლო ბალანსების ხასიათი, დადებითია თუ უარყოფითი. სავაჭრო, კაპიტალისა და საგადასახდლო ბალანსის უარყოფითი სადღო ყოველთვის არ არის უარყოფითი ხასიათის ტენდენცია. თუ ქვეყანა ასეთი უარყოფითი სადღოს პერიოდს იყენებს აქტიური პროგრესული სტრუქტურული გარდაქმნებისთვის, ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისთვის დანახოებისა და ინვესტიციების გადიდების გზით, მაშინ მისი განვითარების დონე მაღლდება და საგადასახდლო ბალანსის უარყოფითი სადღო არ არის ცალსახად ნეგატიური მოვლენა. მეცნიერულ-ტექნოლოგიური რევოლუციისა და გლობალიზაციის პროცესებით გამოწვეული ტენდენციების შედეგები უნდა აისახოს საგადასახდლო ბალანსის სტრუქტურაშიც.

3. საგადასახდლო ბალანსის მდგრადობის ხარისხი სულ უფრო მეტად იქნება დამოკიდებული ეკოლოგიური ბაზრების, ინტელექტუალური და ტექნოლოგიური ბაზრების საერთაშორისო ბრუნვაში ქვეყნის მონაწილეობაზე როგორც პროდუქციით, ასევე კაპიტალით, ინვესტიციებით.

4. სავაჭრო ბალანსის დეფიციტი ან მიმდინარე ბალანსის დეფიციტი შეიძლება ნაწილობრივ ან მთლიანად გადაფაროს კაპიტალის ბალანსის დადებითმა სადღომ, ან პირიქით. მეორე მხრივ, თვითონ სავაჭრო ბალანსში ან კაპიტალის ბალანსში შეიძლება უმრავლესი კომპონენტის სადღო უარყოფითი იყოს, მაგრამ სხვა რომელიმე ერთმა ან რამდენიმე კომპონენტმა იგი ნაწილობრივ ან მთლიანად გადაფაროს. საგადასახდლო ბალანსის შეფასებისათვის საჭიროა არა მხოლოდ მისი დადებითი ან უარყოფითი სადღოს დაფიქსირება, არამედ, რაც მთავარია, მისი სტრუქტურული სრულყოფის ტენდენციების, კონკურენტუნარიანობის, მდგრადობის პერსპექტივების განსაზღვრა.

საგადასახდლო ბალანსის შეფასებისადმი მხოლოდ ასეთი კომპლექსური მიდგომა მოგვცემს საშუალებას, რეალურად განისაზღვროს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა და მისი ზრდის შესაძლებლობები.

საერთაშორისო ეკონომიკის სექცია

ბორის გითოლენდია

საავტომობილო-სატრანზიტო გადაზიდვების მოცულობის ზრდის შესაძლებლობები საქართველოში

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა ისეთია, რომ მას ცენტრალური ადგილი უკავია აღმოსავლეთ-დასავლეთის (შავი და კასპიის ზღვები) და ჩრდილოეთ-სამხრეთის (რუსეთსა და თურქეთს შორის) მიმართულებით სატრანზიტო გადაზიდვებისას. ამჟამად საქართველო, როგორც ტრანზიტული ქვეყანა, დიდ შემოსავალს იღებს სხვადასხვა საქონლის ტრანსპორტირებით.

საქართველოს ტრანსპორტის სექტორი საკმაოდ განვითარებულია, საქართველოს სატრანსპორტო სისტემის სტრუქტურაში საავტომობილო ტრანსპორტის პრიორიტეტი, მისთვის მახასიათებელი ტექნოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით, უდავოა. საბჭოთა პერიოდში ამ დარგის საქმიანობა ძირითადად ქვეყნის შიგნით ფუნქციონირებაზე იყო აგებული, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი სატრანსპორტო სექტორი საერთაშორისო ბაზარზე გავიდა. თურქეთთან საზღვრის გახსნამ მკვეთრად გაზარდა საავტომობილო ტრანსპორტის საქმიანობის მასშტაბები.

საავტომობილო ტრანსპორტი საქართველოს ეროვნული მეურნეობის სწრაფად განვითარებადი და უაღრესად პერსპექტიული სექტორია. ბოლო წლებში იზრდება გადატანილი ტვირთის მოცულობა და ტვირთბრუნვისა და მგზავრთა გადაყვანის მაჩვენებლები. ეს დარგი, პერსპექტივის თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესია საქართველოსათვის მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციას.³¹

საქართველოში, საშუალოდ, ყოველწლიურად თითქმის 24,5 მილიონი ტონა ტვირთის და 257 მილიონი მგზავრის გადაზიდვა-გადაადგილდება ხდება ქვეყნის საავტომობილო გზებით. საქართველოში გადაზიდული ტვირთის მოცულობაში დიდი ხვედრითი წილი, დაახლოებით 59.9%, საავტომობილო გადაზიდვებზე მოდის.³² 1990 წლის შემდეგ საავტომობილო მაგისტრალებმა თავისი ფუნქცია დაიბრუნა, თუმცა აღსანიშნავია, რომ წლების განმავლობაში მიტოვებული და მოუყვდელი მაგისტრალების უმეტესობა მოიშალა და განადგურდა. მას შემდეგ, რაც საქართველომ შეიძინა აზია-ევროპის დამაკავშირებელი კორიდორის სტატუსი, სახელმწიფოს წინაშე პრიორიტეტული გახდა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება. საავტომობილო გადაზიდვების გაზრდილმა მოთხოვნებმა დღის წესრიგში დააყენა არსებული გზების რეკონსტრუქციის და,

³¹ საქართველოს მთავრობა. ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2009-2012 წლები-სათვის. თბილისი, 2008. http://www.parliament.ge/files/435_18857_810986_2009-2012.pdf

³² წყარო: ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაცია.

ზოგ შემთხვევაში, ახალი უსაფრთხო მონაკვეთების მშენებლობის აუცილებლობა. ბოლო პერიოდში საქართველოს მთავრობამ გაარქონა დიდი დატვირთვის მქონე გზები, მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ძალიან ბევრია გასაკეთებელი სიტუაციის საბოლოო მოწესრიგებამდე.³³

აღსანიშნავია, რომ იმ დროს, როდესაც აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანსპორტო კორიდორი ვითარდება, სამხრეთ-ჩრდილოეთის მარშრუტების დატვირთვა, რომლებიც საბჭოთა პერიოდში ფუნქციონირებდა, მცირდება. იმ სარკინიგზო და საავტომობილო გზების გადაკეცვამ, რომლებიც საქართველოს, აფხაზეთის გავლით, რუსეთის ფედერაციასთან აკავშირებდა, უარყოფითი გავლენა იქონია ვაჭრობის და ზოგადად ეკონომიკის განვითარებაზე. ამ მიმართულებით გადაზიდული ტვირთების რაოდენობამ თანდათან იკლო და ამ პერიოდისათვის, შეიძლება ითქვას, მთლიანად შეჩერებულია, რამაც, ბუნებრივია, იმოქმედა ტვირთების საერთო მოცულობაზე.

საავტომობილო-სატრანზიტო გადაზიდვების მოცულობის შემცირების მიზეზების შესწავლისას ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია უსაფრთხოება, საქართველოს ამჟამინდელი არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა აფერხებს ქვეყნის (რეგიონის) სატრანსპორტო პოტენციალის სრულად გამოყენებას და ტრანსპორტით მომსახურების ფასს ზრდის საქართველოში, ეს და სხვა პრობლემები გარკვეულწილად მოქმედებს ქვეყნის იმიჯზე და ტვირთბრუნვის მატეხის ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორად გვევლინება.

საავტომობილო-სატრანზიტო გადაზიდვების მოცულობის ზრდის შესაძლებლობები საქართველოში დიდია. უდავოა, რომ ტრანსპორტირების ალტერნატიული მარშრუტების კონკურენტუნარიანობა ძირითადად დამოკიდებულია ტრანსპორტირების დანახარჯებსა და სატრანზიტო გადასახადებზე. ასევე ზოგადად ლიბერალური საკანონმდებლო ბაზა, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და რეგიონის სწრაფი ეკონომიკური განვითარება იწვევს საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთნაკადების თანდათანობით ზრდას, მაგრამ ასევე საგულისხმოა ის ეკონომიკურ ასპექტებიც, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს ტვირთების მოცულობის გაზრდის შესაძლებლობებზე მაგ., ტრანსპორტირების გეოპოლიტიკური ფაქტორი, სატრანზიტო დერეფნის უსაფრთხოება, ტვირთის მიწოდების ალტერნატიული მარშრუტები და სხვა ფაქტორები. უდავოა, რომ საქართველოს სატრანსპორტო ტვირთების მოცულობის გაზრდის პირობების შეფასებისას ამ ფაქტორებს სერიოზული ყურადღება უნდა დაეთმოს.

სატრანსპორტო სექტორის და ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციის განვითარება პირდაპირ კავშირშია სატრანსპორტო ტვირთების მოცულობის ზრდას-

³³ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – საავტომობილო გზების დეპარტამენტის

http://www.georoad.ge/files/23_15_70_3_9tvisangarishi.doc

თან, ხოლო ამ უკანასკნელის განვითარება დამოკიდებულია გარკვეულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ასპექტებსა და გარემოებებზე, კერძოდ, ეკონომიკის განვითარება და გადაზიდვების მოცულობის ზრდა – როგორც ეკონომიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი – წარმოუდგენელია მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურის გარეშე. ეს ეხება როგორც შიდასახელმწიფოებრივ, ასევე საერთაშორისო მნიშვნელობის გზების მშენებლობა-რეაბილიტაციას. ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა საბაზისო ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება, ძირითად ავტომაგისტრალზე უსაფრთხო და მაღალი გამტარუნარიანობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია გზების მახასიათებლების დაახლოება საერთაშორისო მოთხოვნებთან, ყოველწიურად ჩასატარებელია გზების ინფრასტრუქტურის მოვლის, რეაბილიტაციის, განვითარებისა და მშენებლობის სამუშაოები. აუცილებელია ყველა რაიონულ ცენტრთან, ძირითად საკურორტო, ისტორიულ, კულტურულ ძეგლებთან და მოსახლურე ქვეყნებთან მისასვლელი გზების სრული რეაბილიტაცია, ასევე, გზების დიზაინის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, აუცილებელია დაზიანებული და შემდგომ რეაბილიტირებული მონაკვეთების მონიტორინგი და სახიდე გადასასვლელების და სხვა ხელოვნური ნაგებობების ადდენითი და სარეკონსტრუქციო სამუშაოების უწყვეტად გაგრძელება, უსაფრთხოების ამადლების მიზნით საჭიროა ავტომაგისტრალების და გზების გასწვრივ განლაგებულ კომერციულ და სერვისულ ობიექტებთან მისასვლელი მეორეხარისხოვანი გზების შესაბამისობაში მოყვანა, ტვირთბრუნვისა და მეზავრთა გადაყვანის დინამიკის მაჩვენებლების სტატისტიკური ანალიზი, კანონმდებლობათა პარამონიზაცია, სისტემის სტანდარტიზაცია, უმნიშვნელოვანესია სატრანზიტო გადასახადების და მოსაკრებლების ეკონომიკური ეფექტიანობის ანალიზი და რეგულირება და ა.შ.³⁴

პრიორიტეტები, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის და საავტომობილო-სატრანზიტო გადაზიდვების მოცულობის გაზრდას, არის თანამშრომლობის განმტკიცება ევროპისა და მეზობელ სახელმწიფოებთან, საზღვრის გადაკვეთის პროცედურების გამარტივება, საგზაო გადაზიდვების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და განმტკიცება, შერჩევითი ღონისძიებებისა და რეფორმების გატარებით ტრანსპორტის სფეროებში საერთაშორისო კონვენციებითა და შეთანხმებებით აღებული ვალდებულებების შესრულება და სხვ. მიმაჩნია, რომ საკითხთა ამ ჩამონათვალის მიმართულებით მუშაობა და დასმული საკითხების მოწესრიგება მთავარი პრიორიტეტი უნდა გახდეს. ეს ხელს შეუწყობს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდას აღმოსავლეთ-დასავლეთი დერეფნის სატრანზიტო მომსახურების განვითარების საქმეში და საავტომობილო-სატრანზიტო გადაზიდვების მოცულობის მატების შესაძლებლობებს საქართველოში საგრძობლად გაზრდის. საქართველოს

³⁴ საქართველო ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, პროექტი – საქართველოს საგზაო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგია, 2008.

სატრანზიტო-სატრანსპორტო ტვირთების მოცულობის გაზრდის თვალსაზრისით, რუსეთთან კორექტული და პარტნიორული ურთიერთობები საქართველოსათვის სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. აქედან გამომდინარე, რუსეთის გაღიზიანების თავიდან აცილების მიზნით მეტი სიფრთხილეა საჭირო, ასევე მნიშვნელოვანია სამხრეთ კავკასიაში სერიოზული სატრანზიტო ინფრასტრუქტურული ობიექტების განვითარების მხარდაჭერა.

ევროკავშირში სულ უფრო მეტად ხდება შავი ზღვისა და კასპიისპირეთის რეგიონის მნიშვნელობის გაცნობიერება, მათ შორის საავტომობილო ტრანსპორტის დარგში თანამშრომლობის კუთხით. ცივილიზებული მსოფლიო უკვე აკეთებს აქცენტს პოლიტიკის ჰარმონიზაციასა და ადმინისტრაციული სისტემების ინტეგრაციაზე, როგორც საქართველოს სატრანსპორტო დერეფნის ეფექტიანი ფუნქციონირებისა და პრიორიტეტული პროექტების განხორციელების ფაქტორზე, აქედან გამომდინარე, ეს პერპექტივა დასაბუთებულ მოლოდინს აჩენს ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის აღქმისათვის, ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ საქართველოს სატრანზიტო პოტენციალი განუზომლად დიდია და მის გასამყარებლად მომავალშიც ბევრი ქმედითი ღონისძიებაა გასატარებელი, ამ მხრივ ზემოთ ჩამოთვლილი ეკონომიკური ასპექტები საქართველოს საავტომობილო-სატრანსპორტო ფუნქციის განვითარებისა და ამ გზით სატრანსპორტო ტვირთების მოცულობის გაზრდის გაგრძელების თვალსაზრისით შესანიშნავი საგზაო რუკაა. საქართველოს კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება და შიდა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება, უსაფრთხოების განმტკიცების ხელშეწყობა, საქართველოზე გამავალი სატრანსპორტო დერეფნის ეფექტიანად გამოყენება, სატრანზიტო პროექტების სრულყოფილი რეალიზაცია სატრანსპორტო ტვირთების მოცულობის გაზრდას და ამ მიმართულების სრულყოფას გამოიწვევს, რაც, თავის მხრივ, დააჩქარებს საქართველოს ინტეგრაციას გლობალურ ეკონომიკურ სტრუქტურებში და რეგიონის მდგრად განვითარებას შეუწყობს ხელს.

ემირ ეთერია

ეკონომიკური გლობალიზაციის თეორიული ასპექტები

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე გლობალიზაციის ყოვლისმომცველი პროცესის მრავალ განზომილებას შორის უმთავრესია ეკონომიკური გლობალიზაცია, რომელიც მოკლედ შეიძლება განიხილოთ, როგორც ღია ეკონომიკისა და ეკონომიკის ფუნქციონირების საბაზრო ფორმის საფუძველზე ერთიანი გლობალური ეკონომიკური სისტემის ფორმირების პროცესი. ეკონომიკის სფეროში გლობალიზაციის თაობაზე არსებული კონცეფციების ლაბორტორიული ვაჭრობისა და კაპიტალის მოძრაობის ლიბერალიზაციის შედეგად თვისებრივად ახალი ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და ქვეყნებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ზრდის ხაზგასმია.

ზოგადად, ეკონომიკის სფეროში გლობალიზაციის პროცესის განვითარების თეორიულ საფუძველს ეკონომიკური ლიბერალიზმის კონცეფცია წარმოადგენს. თანამედროვე ეპოქაში გლობალიზაციის კონცეფციებად წოდებული თეორიები, განსაკუთრებით ეკონომიკის გლობალიზაციის სფეროში, თავისი არსით ეკონომიკური ლიბერალიზმის კონცეფციების მოდიფიცირებულ და თანამედროვე პერიოდისათვის დამახასიათებელი მოვლენების თეორიულ-სისტემური ანალიზით შევსებულ ვარიანტებს წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური ლიბერალიზაციის პროცესი განსხვავდება შიდა და საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში როგორც შედეგების, ისე გამოყენებული ინსტრუმენტების თვალსაზრისით. ასევე ხაზგასასმელია განსხვავება ეროვნულ ეკონომიკაზე საგარეო ვაჭრობისა და კაპიტალის მოძრაობის ლიბერალიზაციის ზეგავლენას შორის.

საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციის პროცესმა გლობალურ დონეზე ინსტიტუციურად გაფორმებული სახე XX საუკუნის მე-2 ნახევარში მიიღო. ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ გენერალური შეთანხმების გაფორმების შედეგად დაიწყო ქვეყნებს შორის სავაჭრო ბარიერების შემცირების, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში მათი გაუქმების პროცესი.

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ სავაჭრო ურთიერთობების მნიშვნელოვანმა ლიბერალიზაციამ განსაკუთრებული როლი ითამაშა როგორც ცალკეული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, ასევე მსოფლიო ეკონომიკაში მათი ინტეგრაციის ხარისხის ამაღლების პროცესში, რაც, თავის მხრივ საგარეო ვაჭრობის ინტენსიფიკაციისა და ეკონომიკური ზრდის თეორიული კონცეფციების ემპირული დადასტურების ნათელი გამოხატულებაა.

ამ მოსაზრებას ადასტურებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების მხრიდან, სხვა ხელშემწყობ გარემოებებთან ერთად (სახელმწიფოს აქტიური როლი), ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების განვითარების შედეგად ეკონომიკური ზრდის სწრაფი ტემპების მიღწევა. შედეგად, აღნიშნულმა ქვეყნებმა დროის მცირე მონაკვეთში მიაღწიეს ეკონომიკური განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების გამოცდილების საპირისპიროა ლათინური ამერიკისა და აზიის ზოგიერთი სახელმწიფოს მხრიდან იმპორტ-შემცვლელი წარმოების განვითარების ეკონომიკური სტრატეგიის სრული ფიასკო.

XX საუკუნის 80-იანი წლებიდან ქვეყნები, რომლებიც იმპორტ-შემცვლელი ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკას ატარებდნენ, გადაერთნენ ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების განვითარებისაკენ.

ამავე დროს, XX საუკუნის 80-იანი წლების მსოფლიოს ცალკეული ქვეყნის განვითარების სტატისტიკური მონაცემები ნათლად ავლენს ღია ეკონომიკის სტრატეგიის ტრიუმფს ტრადიციულ პროტექციონისტულ პოლიტიკასთან შედარებით.

ნათელია, რომ გლობალიზაციის ეკონომიკური განხორციელება (უპირატესად სავაჭრო კომპონენტი) ხელს უწყობს განვითარებადი და გარდამავალი

ეკონომიკის ქვეყნებში სიღარიბის დონის შემცირებას. ამდენად, სამართლიანია იმ მკვლევარების (რ. ბოლდუინი, ჯ. ბჰაგვატი და სხვათა) მოსაზრება, რომლებიც მჭიდრო კორელაციაში განიხილავენ ღია ეკონომიკას, ეკონომიკურ ზრდას და სიღარიბის შემცირებას.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ისტორია ნათლად ადასტურებს ლიბერალიზებული საგარეო ვაჭრობის პოზიტიურ ზეგავლენას ცალკეული ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. უდავოა, მსგავსი ზეგავლენა გამოკვეთილია გრძელვადიან პერიოდში, ხოლო, რაც შეეხება მოკლევადიან პერიოდს, ლიბერალიზებული საგარეო ვაჭრობა ეკონომიკის ფუნქციონირების პროცესში მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებების განმაპირობებელი ფაქტორია, რაც, თავის მხრივ, ეკონომიკის ზოგიერთ არაკონკურენტუნარიან სფეროში წარმოების და, შესაბამისად, დასაქმების შემცირებას მოასწავებს.

ზოგადად, ეკონომიკური ნაციონალიზმის პოლიტიკა საკმაოდ მოკლევადიანია იმისათვის, რომ შეაჩეროს ქვეყნებს და ხალხებს შორის ურთიერთობების განვითარების ყოველსომცველი პროცესი, როგორც გლობალიზაცია.

საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ორი რადიკალურად განსხვავებული მიმართულების თანაფარდობა დამოკიდებულია ცალკეული ქვეყნის ეკონომიკის მიზნებსა და მსოფლიო ეკონომიკის განვითარების მაგისტრალურ მიმართულებებზე.

ნათელია, რომ თავისუფალ ვაჭრობას გააჩნია პოზიტიური ასპექტები, თუმცა თანამედროვე მსოფლიოში არ მოიძებნება ქვეყანა, რომელიც ატარებს მხოლოდ ლიბერალურ ან პროტექციონისტულ საგარეო-ეკონომიკურ პოლიტიკას. ჯ. ბჰაგვატის მოსაზრებით “უკანასკნელ ათწლეულში ღარიბი ქვეყნები დარწმუნდნენ პროტექციონისტული პოლიტიკის არაშორსმჭვრეტელობაში”³⁵. თუმცა, როგორც ბ. ლინდსი შენიშნავს, არ არსებობს “ქვეყანა, რომლის მთავრობაც თანმიმდევრულად ატარებს ” აისსეზ აირე“-ს პოლიტიკას”³⁶.

პროტექციონისტული პოლიტიკის ანალიზისას საჭიროა აღინიშნოს ურთიერთმიმართება ცალკეული სფეროს დაცვისა და თავისუფლების ზრდის ასპექტებს შორის. ხშირ შემთხვევაში გაცილებით ეფექტიანი და პოპულარულია ეკონომიკის გარკვეული სფეროს დაცვა, ვიდრე მისი დატოვება მძაფრ საერთაშორისო კონკურენტულ გარემოში, ანუ თავისუფლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა. ამავე დროს, შეიძლება ითქვას, რომ პროტექციონისტული პოლიტიკა მოკლევადიან პერიოდში გარკვეულწილად ეფექტიანაცაა, რამდენადაც პროტექციონიზმის პოლიტიკით დაცულ საწარმოებში დასაქმებულია გარკვეული რაოდენობის სამუშაო ძალა, რომელიც დროის კონკრეტულ პერიოდში ეფექტიანადაა გამოყენებული.

თუმცა, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური ურთიერთობების ევოლუცია ნათლად ავლენს, რომ ურთიერთობების

³⁵ Бхагვატი Дж. В защиту глобализации. М., 2005, с. 308.

³⁶ Линдси В. Глобализация: повторение пройденного, М., 2006, с. 24.

მაგისტრალურ მიმართულებას ლიბერალიზმი წარმოადგენს. უდავოა, რომ მსოფლიო ისტორიის მანძილზე არსებობდა გარკვეული ჩავარდნები, მაგრამ ეს არ ცვლიდა მაგისტრალურ ვექტორს, არამედ შექმნდა გარკვეული კორექტივები ურთიერთობების თვისებრივად ახალი მიმართულებების წარმოშობით და განვითარებით.

საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ლიბერალიზაციის მეორე სახის – კაპიტალის მოძრაობის ლიბერალიზაციის შედეგები მნიშვნელოვნად განსხვავდება საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციის შედეგებისაგან. აღნიშნული განსხვავება განსაკუთრებით თვალსაჩინოა სპეკულაციური კაპიტალის მოძრაობის ლიბერალიზაციის გათვალისწინებით, რომელიც XX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში საერთაშორისო-სავალუტო საფინანსო კრიზისების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განმაპირობებელი ფაქტორი გახდა. რაც შეეხება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოძრაობას, რომელიც XX საუკუნის 90-იანი წლებიდან განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში განუხრელად იზრდება, ამ ქვეყნების ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს წარმოადგენს.

ამდენად, თუ საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ერთი სახე – საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია მნიშვნელოვან ეკონომიკურ ეფექტიანობასთანაა დაკავშირებული, კაპიტალის მოძრაობის ლიბერალიზაცია (უპირატესად სპეკულაციური კაპიტალის) ხშირ შემთხვევაში ცალკეული ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპის დაქვეითების მიზეზი ხდება. როგორც ინდოელი წარმოშობის ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტი ჯ. ბჰაგვატი მიუთითებს “ვაჭრობის ლიბერალიზაციის სარგებელი უდავოა, მაშინ როცა კაპიტალის მოძრაობის ლიბერალიზაციის პოზიტიური შედეგები საეჭვოა”³⁷.

რაც შეეხება შიდა ეკონომიკურ ურთიერთობებს, ლიბერალიზაციის პოლიტიკის ნათელ გამოხატულებას XX საუკუნის 80-იან წლებში აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში გატარებული ე.წ. “რეივანომიკისა” და “ტეტჩერიზმის” პოლიტიკა წარმოადგენს. ამ შემთხვევაშიც სახეზეა სხვაობა შიდა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ლიბერალიზაციას შორის. შიდა ეკონომიკურ ურთიერთობებში ლიბერალიზაციის პოლიტიკის შედეგია ეკონომიკური საქმიანობის რეგულირების პროცესში სახელმწიფოს როლის მნიშვნელოვანი შესუსტება, ხოლო საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში მიმდინარეობს ლიბერალიზაციის პროცესის შედეგად სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციების თვით ეროვნული სახელმწიფოების მიერ შექმნილ ზეეროვნულ ორგანოებზე გადაცემა.

ამდენად, საეჭვოა ცნობილი ამერიკელი მეცნიერების პ. ჰერსტის და გ. ტომპსონის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ “გლობალურ ეკონომიკას წარმართავს მხოლოდ საბაზრო ძალები, რომლებიც არ იქნება დამოკიდებული ცალ-

³⁷ Бхагვატი Дж. В защиту глобализации. М., 2005, с.12.

კეული ქვეყნების მონეტარულ პოლიტიკაზე³⁸. აღნიშნული მოსაზრება თანამედროვე მსოფლიოში ეროვნულ სახელმწიფოსა და ტრანსნაციონალურ კორპორაციებს შორის ძალთა თანაფარდობაში მიმდინარე ცვლილებებს ასახავს. აქედან გამომდინარე, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეროვნული სახელმწიფოები კარგავენ ძალაუფლებას. ამ დებულებას, რომელიც დომინირებს ე.წ. “ბაზრის უხილავი ძალების“ მოტრფიალეთა ნაშრომებში, არაფერი აქვს საერთო ლიბერალიზმის თეორიასთან. აქვე აღსანიშნავია, ე.წ. “ულტრალიბერალიზმის კონცეფციის“ თაობაზე, რომელიც ეროვნულ სახელმწიფოებს მხოლოდ გლობალური საბაზრო ძალების დამხმარე როლს უტოვებს და ხაზს უსვამს ეროვნული სახელმწიფოების მხრიდან სოციალური ფუნქციის დაკარგვის ობიექტურ აუცილებლობას.

გლობალიზაციის პირობებში “ბაზრის აპოლოგეტები“ მნიშვნელოვნად აზვიადებენ ტნკების, ზოგადად საბაზრო ძალების როლს და ყურადღების მიღმა ტოვებენ ცალკეული ქვეყნების მოსახლეობის უმრავლესობას, რომლებიც სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფებიან.

ლიბერალიზმი, როგორც პოლიტიკა, თავისუფლების ხარისხის ზრდის საფუძველზე საერთო ეფექტიანობის ამადლებისკენ მიმართული პოლიტიკაა. ლიბერალიზმი არაეფექტიანი რეგულირების შემცირებას გულისხმობს და სრულიად არ უარყოფს ზოგადად, ეკონომიკის რეგულირების შესაძლებლობას და ხშირ შემთხვევაში აუცილებლობას.

შიდა ლიბერალიზაციის პროცესი გულისხმობს სახელმწიფოს როლის შესუსტებას, ხოლო საგარეო ურთიერთობების ლიბერალიზმი სახელმწიფოს ფუნქციების გარკვეულწილად შენარჩუნების პროცესს, მაგრამ უკვე ზეეროვნული ორგანოების მეშვეობით. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ზეეროვნული ორგანიზაციების პოლიტიკა უპირატესად ეროვნული სახელმწიფოების (განსაკუთრებით განვითარებული ქვეყნები) ეკონომიკური პოლიტიკით განისაზღვრება, ეკონომიკის რეგულირების სფეროში სახელმწიფოს როლის ტრანსფორმაცია უპირატესად გარდამავალი და განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნების მაგალითზეა განსაკუთრებით თვალსაჩინო.

ამდენად, შიდა ურთიერთობებში ლიბერალიზმსა და საგარეო ურთიერთობების ლიბერალიზმს შორის ზღვარი უდავოა, როგორც ლიბერალიზმის პოლიტიკის განხორციელების მასშტაბების, ისე მექანიზმების, ინსტრუმენტების, ინსტიტუციური ასპექტებისა და რეალური შედეგების თვალსაზრისით.

საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში ლიბერალიზმის პრინციპების დამკვიდრება და განვითარება გახდა როგორც რეგიონული ინტეგრაციის, ისე ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესების შემდგომი განვითარების საწინდარი. არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ლიბერალიზაცია, საერთაშორისო ვაჭრობასა და კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის პროცესში (განსაკუთრებით პირდაპირი უცხოური

³⁸ ტომპსონი პ., ჰერსტი გ. გლობალიზაცია: კრიტიკული ანალიზი, თბ., 2005, გვ. 18.

ინვესტიციების) ბარიერების შემცირების ტენდენცია გარდაუვალია. საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ლიბერალიზაციის განვითარება ეჭვქვეშ აყენებს პროტექციონისტული რეცეპტებით ცალკეული ეროვნული ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობას, “ეკონომიკური გლობალიზაციის მიმართ წინააღმდეგობა და ეკონომიკაში პროტექციონიზმის დანერგვა არასწორი ტაქტიკაა როგორც მდიდარი, ისე ღარიბი ქვეყნებისათვის”³⁹.

ლიბერალიზაცია, რეგიონული ინტეგრაცია და გლობალიზაცია ცალკეული ქვეყნების, რეგიონული ბლოკების, სოციალური ჯგუფების განსხვავებული ინტერესებიდან და მათი რეალიზაციის განსხვავებული ინსტრუმენტებიდან გამომდინარე, ერთი მიმართულებით წინააღმდეგობრივად განვითარებად პროცესს წარმოადგენს. თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში, აღნიშნული სამი პროცესის განვითარება წარმოადგენს როგორც ცალკეული ეროვნული ეკონომიკის, ისე გლობალური ეკონომიკის შემდგომი განვითარების საფუძველს.

გულნაზ ერქომაიშვილი

**საქართველოს ექსპორტ-იმპორტის ბანკითარების
ტენდენციები**

სამამულო წარმოების აღორძინება-განვითარებისათვის დიდი როლის შესრულება შეუძლია საქსპორტო-საიმპორტო პოტენციალის შეფასებას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არსებობს ადგილობრივი ბრენდები, ქართული პროდუქცია მსოფლიო ბაზარზე არაკონკურენტუნარიანია.

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის დონის, მისი ხარისხის შეფასების საფუძველია მისი საქსპორტო კონკურენტუნარიანობა და არა იმპორტზე ორიენტირება, რომელიც „ზარმაცი“ ეკონომიკის შენარჩუნებას უწყობს ხელს. ექსპორტის ზრდა განაპირობებს მუშაკთა დასაქმებას, სავალუტო შემოსავლების ზრდას ქვეყანაში, საფინანსო სისტემის სიმყარეს. როცა იმპორტი მეტია ექსპორტზე სახელმწიფოდან გადის თანხები, ქვეყანა იძულებულია აიღოს სესხები მომწოდებელი ქვეყნებიდან და საბანკო დაწესებულებებიდან.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში?

2008 წელს ექსპორტი შეადგენდა 1,5 მლრდ აშშ დოლარს, ხოლო იმპორტი 6,0 მლრდ აშშ დოლარს, ანუ იმპორტი 4-ჯერ სჭარბობს ექსპორტს. აღნიშნულ წელს დაფიქსირდა ბოლო წლებთან შედარებით საგარეო ვაჭრობის ბალანსის ყველაზე მეტი უარყოფითი საღდო. 2004 წელთან შედარებით, 2008 წელს ექსპორტის მოცულობა გაიზარდა 2,4-ჯერ, ხოლო იმპორტი – 3,3-ჯერ. ამდენად, საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ჩამოყალიბებული უარყოფითი ტენდენცია 2008 წელსაც გრძელდება და კიდევ უფრო მიიმე გახდა. რუსეთ-

³⁹ Гидденс Э. Ускользающий мир. Как глобализация меняет нашу жизнь. М., 2004, с.34.

საქართველოს ომის შემდგომ პერიოდში იმპორტი შემცირდა და სექტემბერ-ოქტომბერში მხოლოდ 2,9-დან 3,5-ჯერ, ხოლო ნოემბერ-დეკემბერში იგი უკვე 5,8-6,1-ჯერ აღემატებოდა ექსპორტს.

2008 წელს საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფი ასე გამოიყურება: ფეროშენადნობები (17,8%), შავი ლითონის ჯართი (8,6%), სპილენძის მადნები და კონცენტრატები (7,9%), მსუბუქი ავტომობილები (7,6%), აზოტოვანი სასუქები (7,0%), ოქრო დაუშუშავებელი და ნახევრადამუშავებული (6,7%), ცემენტი (5,3%), სპირტი და სპირტოვანი სასმელები (4,9%), ყურძნის ნატურალური ღვინოები (2,5%), თხილი და სხვა კაკალი (2,1%) **[კვარტალური ბიულეტენი 2008. IV. სტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისი, 2009, გვ. 37-38].**

2004 წელთან შედარებით, 2008 წელს განსაკუთრებით გაიზარდა ცემენტის (17-ჯერ), ფეროშენადნობების (6,3-ჯერ), ოქროს (6,0-ჯერ), სპილენძის მადნების და კონცენტრატების (3,7-ჯერ), აზოტოვანი სასუქების (3,7-ჯერ), სპირტი და სპირტიანი სასმელების (3,0-ჯერ) ექსპორტი. შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც იზრდება ყურძნის ნატურალური ღვინოების (2-ჯერ), თხილი და სხვა კაკალი (1,8-ჯერ) ექსპორტი. 2005 წლიდან მკვეთრად შემცირდა ღვინის ექსპორტი ამ პროდუქციის ყველაზე მსხვილ იმპორტიორ ქვეყანასთან – რუსეთთან. 2001-2003 წლებში ღვინის პროდუქციის ექსპორტი მთელი ექსპორტის 10,3% შეადგენდა, დღეს კი მხოლოდ 2,5%-ია.

ექსპორტის ამჟამინდელი სტრუქტურა გარკვეულწილად ასახავს ქვეყანაში ფარდობითი უპირატესობის მქონე სფეროებს. კერძოდ, ექსპორტში მნიშვნელოვანია სამრეწველო პროდუქციის წილი, რაც გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა ქვეყანას ფარდობითი უპირატესობა ჰქონდეს ინდუსტრიულ სექტორში, რაც ხელს შეუწყობს სხვა სექტორების (სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, ვაჭრობა) განვითარებას. უცხოელი ექსპორტებისა და ქართველი სპეციალისტების აზრით, საქართველო განეკუთვნება იმ ქვეყნების ჯგუფს, რომელსაც სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის საექსპორტო პროდუქციის წარმოების უდიდესი პოტენციალი გააჩნია.

2008 წლის ექსპორტის მიხედვით საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებია: თურქეთი (17,6%), აზერბაიჯანი (13,7%), უკრაინა (9,0%), კანადა (8,8%), სომხეთი (8,3%), ბულგარეთი (7,2%), აშშ (6,8%), მექსიკა (3,5%), გაერთიანებული სამეფო (3,0%), საფრანგეთი (2,7%). წინა წლებთან შედარებით უმსხვილეს ექსპორტიორ ქვეყნებს გამოაკლდა რუსეთი, შვეიცარია, იტალია, გერმანია, თურქმენეთი. აღსანიშნავია, რომ 2001-2004 წლებში რუსეთის წილი საერთო ექსპორტის დაახლოებით 16,2–22,9%-ის ფარგლებში მერყეობდა. აღნიშნულ წლებთან შედარებით 2008 წელს მკვეთრად გაიზარდა ექსპორტი აზერბაიჯანში, უკრაინაში, აშშ-ში; შემცირდა – გაერთიანებულ სამეფოში, თითქმის იგივე დონეზე დარჩა თურქეთში; უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებს დაემატა კანადა, სომხეთი, ბულგარეთი, მექსიკა, საფრანგეთი.

ექსპორტი ქვეყნების ჯგუფების მიხედვით 2008 წელს 2004 წელთან შედარებით 2,3-ჯერ გაიზარდა. აქედან ექსპორტი დსთ-ს ქვეყნებთან 1,7-ჯერ,

ევროკავშირის ქვეყნებთან – 3-ჯერ, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ქვეყნებთან – 2,6-ჯერ, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნებთან – 2,8-ჯერ.

2008 წელს საქართველოს უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფში შედის: ნავთობი და ნავთობპროდუქტები (12,6%), მსუბუქი ავტომობილები (7,6%), ნავთობის აირები და სხვა აირისებრი (3,4%), სამკურნალო საშუალებები (3,1%), გადამცემი აპარატურა (2,4%), წნელები ნახშირბადიანი ფოლადისგან (1,8%), ხორბალი (1,8%), ხორბლის ფქვილი (1,2%), გამომთვლელი მანქანები და მათი ბლოკები (1,5%), მანგანუმის მადნები და კონცენტრატები (1,2%).

2008 წლის იმპორტის მიხედვით საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებია: თურქეთი (15,5%), უკრაინა (11,0%), აზერბაიჯანი (10%), გერმანია (7,2%), რუსეთი (7,0%), ჩინეთი (4,9%), არაბთა გაერთიანებული ემირატები (4,5%), აშშ (4,0%), იტალია (3,0%), თურქმენეთი (2,2%).

იმპორტი ქვეყნების ჯგუფების მიხედვით 2008 წელს 2004 წელთან შედარებით გაიზარდა 3,3-ჯერ. მათ შორის: შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ქვეყნებიდან – 3,5-ჯერ, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნებიდან – 3,1-ჯერ, დსთ-ს ქვეყნებიდან – 3-ჯერ, ევროკავშირის ქვეყნებიდან – 2,8-ჯერ **[კვარტალური ბიულეტენი 2008. IV. სტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისი, 2009, გვ. 40-44].**

დღეისათვის საქართველოში შექმნილია საექსპორტო პროდუქციის წარმოების და სავაჭრო ვაჭრობის ისეთი რეჟიმი, რომელიც მაქსიმალურად უწყობს ხელს საექსპორტო პროდუქციის წარმოებას და რეალიზაციას. ექსპორტის ლიბერალიზაციის პროცესი ჯერ კიდევ 1995 წლიდან დაიწყო: გაუქმდა ქვოტების სისტემა, რომელიც გამოიხატებოდა ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის გამოყენების მიმართულებების მკაცრ რეგლამენტაციაში, მინიმუმამდე იქნა დაყვანილი ექსპორტის ლიცენზირების მოთხოვნები, შეიქმნა ექსპორტის მასტიმულირებელი სავადასახადო სისტემა. ქვეყანაში ექსპორტირებულ პროდუქციაზე დაწესებულია ნულოვანი განაკვეთი, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო უბრუნებს ექსპორტიორს პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე გადახდილ დღგ-ს; აქციზური საქონლის ექსპორტი განთავისუფლებულია სააქციზო გადასახადისაგან. ასევე, საექსპორტო პროდუქციისათვის განაკუთვნილი დამკვეთის ნედლეული განთავისუფლებულია საიმპორტო საბაჟო გადასახადისაგან. ყველა სახეობის მანქანა-დანადგარების იმპორტი ექვემდებარება შეღავათიან საბაჟო გადასახადს და განთავისუფლებულია დღგ-ს გადასახადისგან.

საქართველომ უპირატესობა უნდა მოიპოვოს არა მხოლოდ ტრადიციულ დარგებში, არამედ აგრეთვე მაღალხარისხიანი, მაღალტექნოლოგიური და მაღალპროდუქტიული წარმოების სფეროებშიც, ვინაიდან მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი კონკურენტუნარიანობის გრძელვადიანი და შეუქცევადი ზრდა, შემოსავლებისა და ხელფასების ამაღლება და მოსახლეობის ცხოვრების პირობების არსებითი გაუმჯობესება. ასეთია მაგალითად, ფარმაცევტული პროდუქციის, სატელეკომუნიკაციო მოწყობილობის, აგრეთვე ხელსაწყოებისა და

ჩარხების წარმოება. ანუ ყურადღება უნდა გამახვილდეს მაღალტექნოლოგიური და ძვირადღირებული პროდუქციის წარმოებაზე. ეს ქვეყანას შესაძლებლობას მისცემს საექსპორტო პროდუქციის სანაცვლოდ მიიღოს იმპორტული პროდუქციის შედარებით მეტი რეალური მოცულობა. ქვეყანამ თავისი ეკონომიკური პოლიტიკა საექსპორტო პროდუქციის წარმოების სტრატეგიაზე უნდა ააგოს ამისათვის აუცილებელია:

- პირველ რიგში, ხელსაყრელი პოლიტიკური და ბიზნეს გარემოს შექმნა;
- წარმოების აღჭურვა უახლესი ტექნოლოგიებით, მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალით;
- სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის განვითარება და მისი შედეგების წარმოებაში დანერგვა;
- პროდუქციის ექსპორტის შედეგად მიღებული მოგების იმ ნაწილის განათავისუფლება ბიუჯეტში შენატანებისაგან, რომელიც მიმართული იქნება პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიის გასაუმჯობესებლად;
- საექსპორტო პროდუქციის საბითუმო ბაზრების, პავილიონების მოწყობის ორგანიზაცია;
- საექსპორტო პროდუქციის მწარმოებელ კომპანიებში გამოიყოს სპეციალისტთა ჯგუფები, რომლებიც დასაქმდებიან საექსპორტო პროდუქციის ბაზრის მოძიებისა და მოწოდების ორგანიზაციით, აგრეთვე ინფორმაციის შეგროვებით. ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული ელექტრონული ვაჭრობა და ინტერნეტ აუქციონი.

იზა ნათელაური

საპარტიველო საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა (მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის შეფასება)

ქვეყნის კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო (მსოფლიო) მნიშვნელობის კატეგორიაა და გულისხმობს ერთი ქვეყნის უპირატესობას (რეიტინგს) დანარჩენებთან შედარებით გეოპოლიტიკაში, გეოეკონომიკაში, სოციალურ სფეროში, ქვეყნის ინსტიტუციურ მოწყობაში, გეოგრაფიულ მდებარეობაში, ბიზნესის კეთებაში, ეკონომიკურ ზრდაში, ცხოვრების დონეში და სხვ.

ხელსაყრელი ბიზნესგარემო ასტიმულირებს ეკონომიკურ ზრდას: ეკონომიკური ზრდა – დასაქმების მაღალ დონეს, ეს უკანასკნელი კი – ცხოვრების მაღალ დონეს: ქვეყნები, სადაც მაღალია დასაქმებისა და ცხოვრების დონე წარმოადგენენ მაღალრეიტინგულს კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით. გარდა ბიზნეს-გარემოსი, ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე მოქმედ ფაქტორებს შორის გამორჩეული ადგილი განეკუთნება ხელსაყრელ გეოგრაფიულ მდებარეობას. ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ქვეყნებს შესაძლებლობას აძლევს, შეასრულონ სატრანზიტო ფუნქცია, განავითარონ ტურიზმი, სრულყოფ

ბუნებრივი რესურსების გამოყენება და ამ გზით მიღწეულ საექსპორტო შესაძლებლობების ოპტიმიზაცია. განვითარებული საექსპორტო პოტენციალიც ქვეყნის კონკურენტუნარიანობის მაღალ რეიტინგზე მიუთითებს.

მსოფლიოს 125 ქვეყნის მიხედვით, კონკურენტუნარიანობის რეიტინგის გამოკვლევა მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმმა (მეფ), ბოლოს 2005 წელს ჩაატარა. მეფ-მა თავის კვლევებში გამოიყენა აღიარებული ბიზნესწრეების გამოკითხვის შედეგები და ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია ბენეფიციანტი ქვეყნების შესახებ.

ქვეყნების კონკურენტუნარიანობის შეფასების მეფ-ის მეთოდოლოგია მოიცავს: 1) კონკურენტუნარიანობის ინდექსს ეკონომიკური ზრდის მიხედვით, რომელიც თავის მხრივ აერთიანებს ტექნოლოგიური განვითარების, სახელმწიფო ინსტიტუციებისა და მაკროეკონომიკური გარემოს ქვეინდექსებს; 2) კონკურენტუნარიანობის ინდექსს კომპანიების მიხედვით; 3) კონკურენტუნარიანობას ბიზნესის წარმოების პირობების მიხედვით: მასში იგულისხმება ბიზნესის წარმოების სიმარტივე (მსოფლიო ბანკის შეფასებით), ეკონომიკური თავისუფლების დონე, ბიზნესის წარმოების შეფასებისადმი სამი მიდგომის ურთიერთშედარება და კონკურენტუნარიანობა ბიზნესგარემოს ცალკეული პარამეტრების მიხედვით; 4) სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობის განზოგადებულ ინდექსს.

საქართველოსთვის ტექნოლოგიური განვითარების ქვეინდექსი 2006 წლისთვის 2,90-ის ტოლია. ამ ქვეინდექსის მიხედვით ჩვენი ქვეყანა 91-ე ადგილზეა. საქართველოს მსგავსად, ქვეყანა-აუტსაიდერების რიგებში არიან: მაკედონია – 2,9, უკრაინა – 2,91, ზერბაიჯანი – 2,09, სომხეთი – 2,88, მოლდოვა – 2,81, ტაჯიკეთი – 2,63, ყირგიზეთი – 2,53 და ა.შ., რაც შეეხება ინსტიტუტების ქვეინდექსს, საქართველოსთვის იგი ტოლია 3,86, ქვეყანა კი 85-ე ადგილზეა. საქართველოს ჩამორჩება უკრაინა (3,83 და 86-ე ადგილი), რუსეთი (3,78 და 93-ე ადგილი), ტაჯიკეთი და ყირგიზეთი: ოდნავ უსწრებს აზერბაიჯანი (3,89 და 83-ე ადგილი), ყაზახეთი (4,00 და 76-ე ადგილი), სომხეთი, რუმინეთი და ა.შ. მაკროეკონომიკური გარემოს ქვეინდექსი საქართველოსთვის ტოლია 3,47 და იგი 90-ე ადგილზეა. ოდნავ უკეთეს მდგომარეობაში არიან სომხეთი და უკრაინა, ოდნავ უარესში კი სერბეთი, ალბანეთი, მოლდოვა, ტაჯიკეთი და სხვ.

ქვეყნების კონკურენტუნარიანობა მჭიდრო კავშირშია მათ ტერიტორიებზე განლაგებული კომპანიების კონკურენტუნარიანობასთან. ამ ინდექსის მიხედვით საქართველო 2005 წელს იყო 90-ე ადგილზე, 2006 წელს კი მე-100 ადგილზე.

საქართველოში საკმაოდ გამარტივებულია კომპანიების შექმნის პროცედურა. ამ მაჩვენებლისა და სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლების მიხედვით ქვეყანა მაღალრეიტინგულია და 31-ე ადგილზეა. გაცილებით უკეთესი მაჩვენებლები გვაქვს ბიზნესსაქმიანობაში სახელმწიფოს ჩაურევლობის კუთხით (ამ მაჩვენებლის მიხედვით, საქართველო მე-12 ადგილზეა), კიდევ უფრო უკეთესი, შრომითი ურთიერთობების თავისუფლების თვალსაზრისით (ამ მაჩვენებლის მიხედვით საქართველო პირველ ადგილზეა. მისი თავისუფლება ტოლია 99,9 %-ის).

საქართველო შესულია იმ ქვეყნების რიცხვში, რომელთათვისაც მეფ-მა 2005 წელს დათვალა სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობის განზოგადებული ინდექსი. ეს ინდექსი აერთიანებს სამ ქვეინდექსს: საბაზისო ფაქტორების, ნაყოფიერების და ინოვაციური ფაქტორების ქვეინდექსებს. სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობის განზოგადებული ინდექსით (3,73) საქართველო 85-ე ადგილზეა. მასზე უარესი მდგომარეობა აქვს მოლდოვას (3,71 და 88-ე ადგილი), ტაჯიკეთს (3,5 და 94-ე ადგილი) და სხვ. უკეთესი პოზიცია უკავიათ ჩვენი პარტნიორი ქვეყნებიდან უკრაინას (3,89 და 86-ე ადგილი), აზერბაიჯანსა (4,06 და 56-ე ადგილი) და თურქეთს (4,14 და 74-ე ადგილი), რეიტინგს ლიდერობენ შვეიცარია, ფინეთი და შვეცია. მათი ინდექსები ტოლია 5,81-ის, 5,76-ის და 5,74-ის შესაბამისად. რაც შეეხება ქვეინდექსებს, საქართველოსთვის ისინი ტოლია 4,20, 3,36 და 3,09, ადგილები კი 82, 87 და 113.

თამარ ღამბაშიძე
**მრავალეროვნული კომპანიების საქმიანობის
თანამედროვე ასექტები**

საერთაშორისო ბიზნესში მთავარი ადგილი უკავია მულტინაციონალურ, ანუ მრავალეროვნულ კორპორაციებს. მულტინაციონალური კორპორაცია (მნკ) ეწოდება კომპანიას, რომელსაც ორ ან მეტ ქვეყანაში აქვს საწარმოო ბაზა. თანამედროვე ეტაპზე მნკები ახორციელებენ სამეურნეო საქმიანობის ნებისმიერ სახეს. მათზე მოდის მსოფლიო ექსპორტის დაახლოებით 1/3. ამჟამად გიგანტი კორპორაციები აკონტროლებენ ძირითადად სასაქონლო და რეგიონულ ბაზრებს. ისინი ლიდერობენ სამრეწველო საქონლის, მომსახურებისა და სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის ექსპორტში.

საერთაშორისო კომპანიების უმრავლესობას გააჩნია მნკ-ს ფორმა.

XX საუკუნის 60-იან წლებში გაერო მნკ-ებს მიაკუთვნებდა კომპანიას 100 მლნ დოლარის წლიური ბრუნვის ოდენობით და არანაკლებ ექვს ქვეყანაში განთავსებული ფილიალებით. დღეს, გაეროს მიერ შემუშავებული **ტრანსნაციონალური კორპორაციის კოდექსის** თანახმად, ტნკ-ის დამახასიათებელი ნიშნებია:

1. კომპანიის წლიური გაყიდვების მოცულობა 1 მლრდ აშშ დოლარზე მეტი;
2. კომპანიის ფილიალები არანაკლებ 6 ქვეყანაში;
3. კომპანიის უცხოური აქტივების ხვედრითი წილი მთლიან აქტივებთან არანაკლებ 25-30%;
4. კომპანიის რეალიზაციაში საგარეო ბაზრის წილი არანაკლებ 20-30%.

5. აქვს გადაწყვეტილებათა მიღების ისეთი სისტემა, რომელიც ერთი ან რამდენიმე ცენტრიდან შეთანხმებული პოლიტიკისა და ერთიანი სტრატეგიის განხორციელების საშუალებას იძლევა;

6. შეიღობილი კომპანიები საკუთრებრივი ან სხვა ურთიერთობებით ისე არიან დაკავშირებულნი, რომ ყოველ მათგანს შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს სხვა კომპანიების საქმიანობაზე.

ხშირ შემთხვევაში მრავალნაციონალური და ტრანსნაციონალური კორპორაციების ცნებები სინონიმებად იხმარება, მაგრამ მათ შორის არსებითი განსხვავება არსებობს: ტრანსნაციონალური კორპორაციები ინტერნაციონალურია საქმიანობის სფეროთი და ეროვნულია კაპიტალით, ხოლო მულტინაციონალური კორპორაციები ინტერნაციონალურია როგორც საქმიანობით, ისე კაპიტალით.

ჯერ კიდევ XX საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში მსოფლიოში 300 ტრანსეროვნული კორპორაცია იყო. ამჟამად მათი რიცხვი დაახლოებით 67 000-ია, ხოლო მათი ფილიალებისა და ასოცირებული კომპანიების რაოდენობა აღემატება 500 000-ს. ტრანსეროვნული კორპორაციების წილი მსოფლიო კაპიტალისტურ სამრეწველო წარმოებაში 50%-ზე მეტია, საგარეო ვაჭრობის 63%-ია. მნკ-ები აკონტროლებენ ახალ ტექნიკაზე, ტექნოლოგიასა და ნოუ-ჰაუ-ზე პატენტებისა და ლიცენზიების 80%-ს, აგრეთვე, საერთაშორისო ბიზნესის მნიშვნელოვან მომგებიან სფეროებს, კერძოდ, ყავის, ხორბლის, სიმინდის, ხეტყის მასალების, თამბაქოს, რკინის მადნის მსოფლიო ბაზრის 90%-ს, სპილენძისა და ბოქსიტების ბაზრის 85%-ს, ჩაისა და კალის 80%-ს, ბანანის, ნატურალური კაუჩუკის, ნავთობის ნედლეულის ბაზრის 75%-ს და სხვა არაერთი მომგებიანი სფეროს დიდ ნაწილს. ისინი საზღვარგარეთ პირდაპირი კერძო დაბანდებების 90%-ს ფლობენ, ყოველწლიურად ტრილიონ დოლარზე მეტ პროდუქციას აწარმოებენ, კონტროლს უწევენ სამრეწველო წარმოების 40%-ზე მეტს და თავის განკარგულებაში ფლობენ 33 ტრილიონი დოლარის მსოფლიო აქტივებს. საერთაშორისო საქმიანობის ფორმები დღეისათვის უფრო ინტერნაციონალურია. თუ 1970 წელს 7000 ასეთი კომპანიიდან თითქმის ნახევარი აშშ და ინგლისის იყო, ახლა მათ რიცხვი აშშ-ზე, იაპონიაზე, გერმანიაზე და შვეიცარიაზე ვრცელდება.

მნკ-ები განსხვავდებიან ზომებით, კაპიტალისა და წარმოების კონცენტრაციის დონით, აგრეთვე საერთაშორისო სამეურნეო საქმიანობით, საბაზისო და რეციპიენტი (მიმღები) ქვეყნების ეკონომიკაზე ზემოქმედების დონით.

მნკ-ს რიცხვი საკმაოდ დიდია. ჩვეულებრივ, ექსპერტები იკვლევენ 1 მლრდ დოლარზე მეტი საქონლისა და მომსახურების მწარმოებელ ტნკებს. ასეთი მილიარდული მონოპოლიები აწესებენ კონტროლს და ზღუდავენ კონკურენციას მსოფლიო ბაზარზე. ტნკ-ები ისწრაფვიან საგარეო ეკონომიკური ექსპანსიისკენ და ცდილობენ მათ საქმიანობაზე ყოველგვარი შეზღუდვების გაუქმებას იმისდა მიუხედავად, ავნებს ეს ეროვნულ ეკონომიკას თუ არა.

მეკ-ების ბიზნესის ახალი ფაქტორები ხდება ინოვაცია, სიჩქარე და მოქნილობა. ამ სფეროში დასაქმებულებმა უნდა გაითავისონ, რომ ეს ფაქტორები

საშუალებებია, რომელთა მეშვეობითაც მათი კომპანიები იძენენ ღირებულებებს და ამიტომ, სტრატეგიის რეალიზაციის შემთხვევაში, იმაზე მეტი მნიშვნელობის ამოცანა, როგორცაა პროცესების დამუშავება და ინტეგრაცია ან მასში შემავალი მოქმედებების კოორდინაცია, არ არსებობს.

მაგალითისთვის განვიხილოთ კომპანია “Federal Express”, რომელიც თავისი სტრატეგიის ფოკუსირებას ახდენდა მომხმარებლის მიერ წარდგენილ კონკრეტულ სამომხმარებლო ღირებულებაზე ორიენტირებული ოპერატიულ და საფოსტო გზავნილებზე. ყოველი პროცესი ორგანიზაციაში იმგვარად პროექტდებოდა, რომ დასახული მიზნის მიღწევას ემსახურებოდა.

“Federal Express”-ის მფლობელობაშია საკუთარი თვითმფრინავების პარკი და მათ ისე მართავს, რომ მომსახურების მაღალ ხარისხს მიადწიოს, თუმცა ეს ბევრად მეტ და მნიშვნელოვან ინვესტიციებს მოითხოვს, ვიდრე დაგირავებული ადგილები სამოქალაქო ავიაციაში.

იმის მაგივრად, რომ გამოძებნოს მექანიზაციის ხერხები, გააუმჯობესოს გადახარისხების ტრადიციული მეთოდები და ფოსტის მიწოდება, “Federal Express” ინფრასტრუქტურაში, ინფორმაციულ ტექნოლოგიებსა და ტრადიციულ პროცესებში (ინოვაციური და ლოგისტიკური ხერხების გაერცვლებით ახალი მომხმარებლობითი ღირებულებების შექმნა) ცვლილებების კომბინირებას ახდენს. ამგვარი მოქმედების შედეგად კომპანიამ გახსნა ფოსტის მიწოდების ახალი ბაზარი, რომელსაც აქვს მაღალი ღირებულება და პრიორიტეტი. “Federal Express”-ის სისტემაში პაკეტების გატარების თვალყურისდევნებამ, რაც ძირითადად განასხვავებს საფოსტო და ერთიან საამანათო მომსახურებას აშშ-ისა, კლიენტებს საშუალებას აძლევს ნებისმიერ დროს იცოდნენ თავიანთი ამანათის ადგილმდებარეობა.

რამდენადაც კლიენტებს საშუალება ეძლევათ გავიდნენ “Federal Express”-ზე ინტერნეტის მეშვეობით, თავიანთი გზავნილებისა თუ პაკეტების მოძრაობის შესახებ ინფორმაცია რომ მიიღონ ფაქტობრივად ისინი თავიანთი მომსახურების სფეროს მაკონტროლებლები ხდებიან. ამდენად, კომპანია გახდა ამ სფეროში მსოფლიო კლასის შემქმნელი და რეალიზატორი და, ბუნებრივია, საყურადღებო უფრო მეტი რაოდენობის კლიენტებისთვის. შეიძლება ყოველგვარი გადამეტების გარეშე ითქვას, რომ “Federal Express”-მა თავის დარგში ფაქტობრივად მოქმედების ახალი წესები ჩამოაყალიბა (ე.ი. ის, რაც, ამ შემთხვევაში, კლიენტებს შეეძლებათ მიიღონ).

დასავლურ ლიტერატურაში კომპანიის კუთვნილების თეორიებიდან გამოიყოფა კონტროლის, დაფუძნებისა და ადგილსამყოფელის თეორია. **კონტროლის თეორია** (kontrolltheorie) წარმოიშვა XIX საუკუნის დასაწყისში და მისი განვითარება უკავშირდება პირველი მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდს. ამ პერიოდში კონტროლის თეორიას მნიშვნელოვანი მხარდაჭერა ჰქონდა გერმანიასა და ინგლისში. აღნიშნულ თეორიაზე ნათელ წრმოდგენას გვაძლევს მაგალითი, 1916 წელს ინგლისში დაარსდა საბურავების მწარმოებელი გერმანული

ფირმა, რომელიც წარმოადგენდა კომპანია “daimler-Benz”-ის შვილობილ საწარმოს. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისურ მხარეს ეკუთვნოდა აქციების 4%, ხოლო გერმანულს – 96%, ეს ფირმა ინგლისურ კომპანიად უნდა მიხნეულიყო. კონტროლის თეორიას უფრო მეტი პოლიტიკური დასაბუთება ჰქონდა, ვიდრე ეკონომიკური და სამართლებრივი. ზოგიერთ ქვეყანას სჭირდებოდა მათ ტერიტორიაზე არსებული უცხოური კომპანიების კონტროლი, რომ მათ მიერ მიღებული მოგება მოწინააღმდეგე ქვეყანაში არ მოხვედრილიყო. ამიტომ, საეჭვოა, რომ აღნიშნულმა თეორიამ მომავალში კვლავ პოვოს აღიარება მსოფლიოში.

დაფუძნების თეორიის მიხედვით უცხოური კომპანიის “ეროვნულობის” განმსაზღვრელია მისი დაარსების ადგილი, ანუ ის ქვეყანა, სადაც კომპანია დაარსდა და გაიარა რეგისტრაცია. ეს პრინციპი მოქმედებს აშშ-ში, ინგლისში, შვეიცარიაში, დანიაში, შვედეთში, რუმინეთსა და სხვა ქვეყნებში.

ადგილსამყოფელის თეორიის მიხედვით, კომპანიის “ეროვნულობის” განმსაზღვრელ ძირითად კრიტერიუმად მისი ცენტრალური ადმინისტრაციის მდებარეობის ადგილია მიხნეული, მაგალითად, კომპანია “SIEMENS” იმ შემთხვევაში ჩაითვლება გერმანულად, თუ მისი ცენტრალური ოფისი გერმანიის ტერიტორიაზე იქნება განლაგებული. ეს თეორია გაბატონებულია გერმანიაში, ესპანეთში, ავსტრიასა და ევროპის სხვა ქვეყნებში.

მნკ-ის საგარეო ეკონომიკური ექსპანსიის მთავარი ფორმაა კაპიტალის გატანა. სხვადასხვა ქვეყანაში ინვესტიციების განხორციელებით ტნკ იწვევენ კაპიტალდაბანდებათა შემხვედრ ნაკადებს. ასეთ სიტუაციაში ყველა ქვეყანა ერთდროულად ხდება კაპიტალის ექსპორტიორი და იმპორტიორი.

პირველი ტნკ-ების ძირითადი მიზანი XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში მსოფლიოში რესურსების იაფი წყაროების ხელში ჩაგდება იყო. კომპანიები კი ამას წარმატებით აღწევდნენ, რადგან რესურსების ძირითადი მარაგი თავმოყრილი იყო და არის განვითარებად ქვეყნებში, ხოლო გამოიყენება განვითარებულ ქვეყნებში. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში საქართველოც მოხვდა მათი ინტერესების სფეროში. ისტორიულად, საქართველოთი ევროპული ფირმების დაინტერესების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა იყო. ამიერკავკასიის ეკონომიკაში დამკვიდრების თვალსაზრისით ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეკუთვნოდა გერმანული კომპანიების კაპიტალს. უცხოელთა შორის გერმანული კაპიტალის წარმომადგენლებმა პირველებმა დაიწყეს კონკურენციული ბრძოლა ჭიათურის მანგანუმის წარმოებაში დასამკვიდრებლად. ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჭიათურის მანგანუმს საერთაშორისო მასშტაბით. პირველ მსოფლიო ომამდე ჭიათურა იძლეოდა მანგანუმის მსოფლიო ექსპორტის 30-50%-ს. 1912 წელს ჭიათურის მანგანუმის მთელი ექსპორტის 38% გერმანიაზე მოდიოდა. გერმანული კომპანიების კაპიტალი ჭიათურაში მანგანუმის მადნის

აღმოჩენის დასაწყისშივე გამოჩნდა და მოკლე დროში მონოპოლიური მდგომარეობა დაიკავა.

კახაბერ ციმიცია

ბლოკალიზაციის უზბაღმენა ეკონომიკის სახელმწიფოებრივ რეგულირებაზე

სახელმწიფოს ეკონომიკური როლი, საზოგადოების განვითარების კვალობაზე, მნიშვნელოვანი ცვლილებებით ხასიათდებოდა, იგი მუდმივად ადეკვატური იყო ცალკეული ეპოქისთვის დამახასიათებელი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესებისა, მისი არსენალი მუდმივად ივსებოდა ახალი მეთოდებით, ინსტრუმენტებითა და მექანიზმებით. რაც შეეხება სახელმწიფოებრივი რეგულირების განხილვას ისტორიულ ასპექტში, ყველაზე გავრცელებული მიდგომით მიღებულია ხუთი ეტაპის გამოყოფა.⁴⁰

პირველი ეტაპი ხასიათდებოდა სახელმწიფოს მხრიდან საბაზრო ეკონომიკის განვითარებისთვის შესაბამისი პირობების ფორმირებით. რაც უპირველესად შრომის, საგადასახადო, საფაჭრო და სოციალური კანონმდებლობის საფუძველზე ხორციელდებოდა. ამავდროულად, უპირატესობა ენიჭებოდა პროტექციონისტული პოლიტიკის გატარებას. **მეორე ეტაპიდან** სახელმწიფო უფრო ფართოდ ერთვება სამეურნეო საქმიანობაში. იგი, საბაზრო ურთიერთობათა განვითარების კვალობაზე, საკუთარი ეკონომიკური მიზნებიდან და სამრეწველო პოლიტიკიდან გამომდინარე, უფრო გამოკვეთილად იღებს საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი სამეურნეო სუბიექტის სახეს, მონაწილეობს საკომუნიკაციო საშუალებების, რკინიგზებისა და პორტების მშენებლობაში. **მესამე ეტაპზე** სახელმწიფოებრივი რეგულირების პროცესში აქცენტს შედარებით დამოუკიდებელ სფეროებზე (სამრეწველო, სოციალური, აგრარული, საბაუკო) აკეთებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ანტიკრიზისული და სტრუქტურული ხასიათის აქციებს, ლოკალური ზემოქმედება ხორციელდება დასაქმებასა და ფასებზე. ამ ეტაპის მთავარ მახასიათებლად მიიჩნევა ის, რომ საერთაშორისო ბაზარზე ექსპორტის წახალისებისა და კაპიტალის გატანის პოლიტიკამ მსოფლიოს ტერიტორიულ-ეკონომიკური დაყოფა გამოიწვია. რაც შეეხება **მეოთხე ეტაპს**, მას მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი მიეკუთვნება. მის მთავარ ნიშნად მიიჩნევა ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევისადმი უფრო ფართო ხასიათის მინიჭება. მთელი რიგი ქვეყნები გადადიან დარგობრივ დაგეგმვაზე, ეროვნულ და რეგიონულ პროგრამირებაზე. **მეხუთე ეტაპზე** უკვე მიმდინარეობს ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის მეთოდთა ტრანსფორმაცია გლობალიზაციის მიმდინარე ეტაპის სპეციფიკის შესაბამისად. ხორციელდება განვი-

⁴⁰ Петров А. Государственное регулирование экономики. Ч. I. СПб, 1999. ст. 7.

თარების საშუალოვადიანი პროგრამების მიზნებისა და ამოცანების შეთანხმება გარკვეული ინტეგრაციული კავშირების ჩარჩოებში.

XX საუკუნის ბოლო მეოთხედში მსოფლიო ცივილიზაციამ მნიშვნელოვანი საფუძვლები შექმნა პოსტინდუსტრიული საზოგადოების ფორმირებისთვის. ძირეული, რადიკალური ცვლილებები მიმდინარეობს საკუთრების, კონკურენციის, რესურსების, განვითარების ფაქტორებისა და საქმიანობის მოტივაციის სფეროში. აქცენტი კერძო საკუთრებიდან პლურალიზმზე გადადის, ამავდროულად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინფორმაციაზე, ინტელექტუალურ პოტენციალზე, ცოდნაზე საკუთრებას. სწორედ ინტელექტი, ცოდნა, ინფორმაცია, მართვა ხდება განვითარების მთავარი ფაქტორი, კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი. თანდათან სუსტდება რესურსების აბსოლუტური იშვიათობისადმი კლასიკური მიდგომები და გადასვლა ხდება უკვე განახლებადი რესურსების უპირატეს გამოყენებაზე. სუსტდება რაციონალურობის მიმართ აქამდე გაბატონებული მიდგომები, როდესაც წარმართველად მოგების მაქსიმიზაცია გვევლინებოდა.

განვითარების პოსტინდუსტრიული სტადიის პირობებში საზოგადოების მოთხოვნებმა, განსაკუთრებით მსოფლიო ცივილიზაციის ტენდენციებმა გლობალიზაციისაკენ, განაპირობა რადიკალური ცვლილებები ქვეყნების პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და ინოვაციურ-ტექნოლოგიურ განვითარებაში.

გლობალიზაცია, როგორც ისტორიული პროცესი, სცილდება ეკონომიკურ ჩარჩოს, მოიცავს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ყველა მხარეს, ერთმანეთთან უშუალო კავშირში აერთიანებს ინტეგრაციისა და ლოკალიზაციის პროცესებს, დამოუკიდებლობას ერთი მხრივ, მეორე მხრივ კი ალიანსების შექმნისაკენ მისწრაფებას. იგი აჩქარებს როგორც ადამიანებს, ასევე სახელმწიფოთა შორის ურთიერთობათა გაფართოებას, გლობალური საინფორმაციო სივრცის, კაპიტალის, საქონლის, სამუშაო ძალის მსოფლიო ბაზრის ფორმირებას, ეკოლოგიური და სოციალური პრობლემების ინტერნაციონალიზაციას. იგი, როგორც ყოველსმომცველი პროცესი, შემდეგი ძირითადი მიმართულებებით ვითარდება: ფინანსური გლობალიზაცია, მრავალეროვნული კორპორაციების ფორმირება-ფუნქციონირება, ეკონომიკის რეგიონალიზაცია, მსოფლიო ვაჭრობის ინტენსიფიკაცია, კონვერგენციისადმი ტენდენცია.⁴¹ თანამედროვე ცივილიზაციის მთავარი მახასიათებელი არის ის, რომ მიმდინარეობს გლობალური სამეურნეო სისტემის ჩამოყალიბება, ქრება საზღვრები ეროვნულ მეურნეობებს შორის და ხდება მათი დაკავშირება მძლავრი სავაჭრო, საფინანსო, პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული ურთიერთობებით. გლობალიზაცია, რომელიც მოიაზრება, როგორც ინტერნაციონალიზაციის ერთ-ერთი ეტაპი, განვითარებულ ინფორმაციულ ტექნოლოგიებს ეფუძნება, რომლის საშუალებითაც იქმნება თვისებრივად ახალი პირობები კაპიტალის მოძრაობისთვის. აშკარა ხდება, რომ

⁴¹ ჭითანავა ნ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. III ნაწ., თბილისი, 2001. გვ. 5, 10.

გლობალური ეკონომიკური სისტემის პირობებში იქმნება ფართო არეალი მსოფლიოს ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ზრდისთვის. ასეთ პირობებში, ცხადია, არსებითად იცვლება სახელმწიფოს ეკონომიკური როლი და ფუნქციები, მიმდინარეობს მისი ტრადიციული ფუნქციების გადაფასება და როლის ტრანსფორმაცია.

გლობალიზაციის ზეგავლენა ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მეთოდების ტრანსფორმაციაზე ორი ძირითადი მიმართულებით ხორციელდება. პირველი. ეკონომიკის კონკურენტუნარიანობისადმი მზარდი მოთხოვნა. შესაბამისად, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტად ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდისათვის პირობების შექმნის დასახვა. მეორე. ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულების ზრდა. აქედან გამომდინარე, ქვეყნის მთავრობის მოქმედებები დაკავშირებულია არა მარტო ქვეყნის შიგნით არსებულ სიტუაციასთან, არამედ პარტნიორი ქვეყნების კონკრეტულ ნაბიჯებთანაც, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მოქმედებებთან. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ მთავრობის თავისუფლების ხარისხი მცირდება, მაგრამ იზრდება ეკონომიკური პოლიტიკის უნიფიცირებისა და შეთანხმებულობის აუცილებლობა. უფრო მეტიც, მიმდინარეობს სახელმწიფოს სუვერენული ფუნქციების გარკვეული შეზღუდვა, მისი ნაწილი გადაეცემა რეგულირების ზეეროვნულ ან რეგიონულ ორგანიზაციებს.

გლობალური ტენდენციების გაძლიერების კვალობაზე, ადამიანის მდგომარეობა ეროვნულ სახელმწიფოზე მეტად ტრანსნაციონალური სტრუქტურების მოქმედებებზეა დამოკიდებული. მნიშვნელოვნად იზრდება ტრანსნაციონალური ძალების როლი ქვეყნის შიგნით მიმდინარე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მართვაში. თავის მხრივ, სუვერენული სახელმწიფოს ბერკეტები უკვე ვერ უზრუნველყოფს ლოკალური ეკონომიკური სისტემის ფარგლებში სამართლიანობის, ეფექტიანობისა და სტაბილურობის ფუნქციების ოპტიმალურ განხორციელებას. ეროვნული სახელმწიფოებისთვის უკვე ცხადია, რომ მათი ეკონომიკური სისტემის კოორდინაციის, დამოუკიდებელი კვლავწარმოების უნარყ, მხოლოდ საკუთარ წიაღში მნიშვნელოვნად შეიზღუდა, რის გამოც ცდილობენ განვითარება მსოფლიო მეურნეობის სივრცეში უზრუნველყონ. ამით კი, გარკვეული იმუნიტეტი გამოიქმნა გლობალური პროცესების არასასურველ ზეგავლენაზე და ღირსეული ადგილი დაიკავენ მსოფლიო მეურნეობაში. ყოველივე ცხადყოფს, რომ სუვერენული სახელმწიფოს ეკონომიკური როლის მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციაა მოსალოდნელი, რადგანაც, ერთი მხრივ, გლობალური პროცესების გამო, ტრადიციული მეთოდებით ეკონომიკაში ჩარევა ხშირ შემთხვევაში, კონტრეფექტიანია, მეორე მხრივ, ახალი პირობების გათვალისწინებით აუცილებელი ხდება გლობალიზაციისა და ეროვნული ინტერესების, საერთაშორისო ორგანიზაციებში მონაწილეობის კოორდინაციის, ეროვნული ინტერესების დაცვის მნიშვნელოვანწილად ახალი ფუნქციების შესრულება. აღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ მკვეთრად იკლებს სუვერენული სახელმწიფოს თავისუფლების ხარისხი – წარმართოს

ეკონომიკური პროცესები – და ასევე მკვეთრად იზრდება იმ მარეგულირებელ ღონისძიებათა არეალი, რომლებიც მიმართულია საერთაშორისო მოთხოვნებისადმი უნიფიკაციისა და შეთანხმებულობისაკენ. ამასთანავე, თვით გლობალიზაცია ქმნის ახალ პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტაც სუვერენული სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე რთულია. ამასთან, თუ ადრე რეგულირების მიზნებისა და მეთოდების განსაზღვრა ხდებოდა უპირატესად ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ახლა იგი სულ უფრო დამოკიდებულია გლობალური განვითარების ინტერესებზე.

ეკონომიკურ ლიტერატურაში თითქმის ერთგვაროვანია მიდგომა საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფეროში და მათ შორის ეკონომიკაში, სუვერენული სახელმწიფოს როლის შემცირებაზე, თუმცა, ამავდროულად, საუბარია არა მის სრულ გაქრობაზე, არამედ ტრანსფორმაციაზე. ჩვენი აზრით, ყოველივე ერთმნიშვნელოვნად გარკვეული როდია, რადგან ეკონომიკაში სახელმწიფოს როლი წინააღმდეგობრივი და განსხვავებულია განვითარებული და განვითარებადი ქვეყნებისთვის.

ქვეყნებს შორის განვითარების დისპროპორციები ისეთი მწვავე, როგორც ამჟამადაა, არ ყოფილა ცივილიზაციის არც ერთი ეტაპისათვის. ცხადია, გლობალიზაცია რეალურად იწვევს საზოგადოების სოციალური პოლარიზაციის პროცესის გაძლიერებას, სუვერენული სახელმწიფოს ეკონომიკური საზღვრების, სახალხომეურნეობრივი კომპლექსების ეფექტიანი ფუნქციონირების ეროვნული ინტერესების რღვევას⁴². ამასთანავე, ფართოა შესაძლებლობები და მექანიზმები, რომლის საშუალებითაც ლიდერებს შეუძლიათ, ზეგავლენა მოახდინონ ევოლუციური ეკონომიკის ქვეყნებზე. მაშინ, როცა პეკემონი ქვეყნებისთვის მისაღებია არ დაირღვეს განვითარების ამჟამად არსებული ლოგიკა და ბალანსი, განვითარება განხორციელდეს მათი მოდელით, რაც მათი მხრიდან სახელმწიფოებრივი რეგულირების მრავალფეროვანი და უადრესად დახვეწილი მეთოდების გამოყენებითაა შესაძლებელი, განვითარებადი ქვეყნების წინაშე უპირველეს ამოცანად დგას მიიღონ გლობალიზაციის გამოწვევა და ღირსეული ადგილი დაიკაონ მიმდინარე პროცესებში, რომელიც ასევე სახელმწიფოს როლის მნიშვნელოვანი გაძლიერებითაა შესაძლებელი.

არსებული მოსაზრებით სახელმწიფოს მზარდი როლი შეიძლება გამოიხატოს: ფუნქციების დიფერენციაციაში, ინტეგრაციული კავშირების გაღრმავებაში, ძალაუფლების ინსტიტუციონალიზაციასა და სახელმწიფოს უნივერსალიზაციაში⁴³.

ამგვარად, როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი ქვეყნებისათვის მიმდინარე პროცესებში სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობის აუცილებ-

⁴² ჭითანავა ნ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. III ნაწ., თბილისი, 2001. გვ. 10.

⁴³ ჭითანავა ნ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. III ნაწ., თბილისი, 2001. გვ. 55.

ლობა სახეზეა. ამასთანავე, პირველ რიგში მათი განსხვავებული მიზნებიდან გამომდინარე, განვითარებული ქვეყნებისთვის სასურველი არ არის ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების აქტიური ხასიათი განვითარებად ქვეყნებში, რადგანაც ასეთ შემთხვევაში გართულება განვითარების შესაბამისი მოდელის თავზე მოხვევა. არადა მათ ბოლომდე გამოიყენეს ეკონომიკური პროტექციონიზმის სიკეთები და გარკვეულწილად სწორედ ამით მიადწიეს დომინანტურ მდგომარეობას. აშკარაა, რომ მოცემულ საკითხებში ლიდერი ქვეყნებისა და მათი ინტერესების გამტარებელი საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან „ორმაგ სტანდარტებთან“ გვაქვს საქმე. ერთისთვის, თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური სიძლიერის ხარჯზე, ნებადართულია სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებში აქტიური ჩარევა არა მხოლოდ საკუთარი ეკონომიკური სისტემის მასშტაბით, არამედ სხვა სახელმწიფოების ფარგლებშიც, როცა მეორე მხარეს ყოველმხრივ ეხლეუება საკუთარი ინტერესების დაცვის მიზნით თვით ლოკალური ეკონომიკური სისტემის ფარგლებში აქტიური ღონისძიებების გატარება.

ცხადია, პოსტინდუსტრიული ცივილიზაციის პირობებში, გლობალური ინტერესების გაძლიერების კვალობაზე, მოსალოდნელია სუვერენული სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციებისა და როლის მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია. სუვერენული სახელმწიფოს როლი შემცირდება დამოუკიდებელი მაკროეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაში, მაგრამ მის ექსკლუზიურ ფუნქციად დარჩება განვითარების ადეკვატური ღონისძიებების მუდმივი განხორციელება, რაც, პირველ რიგში, საერთაშორისო მიდგომებთან უნიფიცირებასა და ეროვნული ეკონომიკური ინტერესების დაცვაში აისახება. ამასთანავე, სუვერენული სახელმწიფო კიდევ დიდხანს დარჩება მეწარმედ, ასევე ლოკალური ეკონომიკური სისტემის ფარგლებში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შეასრულებს გარე ეფექტების აღმოფხვრისა და საზოგადოებრივი დოვლათის წარმოების ფუნქციას.

რევაზ ჯავახიშვილი

**ცენტრალური კავკასიის ქვეყნების საბარემო-სავაჭრო
ურთიერთობები**

ცენტრალური კავკასიის ქვეყნების – საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მნიშვნელოვნად გაფართოვდა მათი საგარეო-სავაჭრო კავშირები, რის შესახებაც ნათლად მეტყველებს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის მონაცემები.

ცენტრალური კავკასიის ქვეყნების საგარეო ვაჭრობის

მანქანები 2000-2007 წწ.⁴⁴

ქვეყნები	ბრუნვა – სულ	2000				ბრუნვა – სულ	2007			
		დსთ-ს ქვეყნები		მსოფ. სხვა ქვეყნები			დსთ-ს ქვეყნ.		მსოფ. სხვა ქვეყნები	
		მლნ დოლ	%	მლნ დოლ	%		მლნ დოლ	%	მლნ დოლ	%
ექსპორტი										
აზერბაიჯანი	1745	235	13,5	1510	86,5	5462	1005	18,4	4457	81,6
სომხეთი	300	73	24,3	227	75,7	1061	325	31	736	69
საქართველო	323	129	40,1	194	59,9	1116	419	38	697	62
იმპორტი										
აზერბაიჯანი	1172	375	32,0	797	72,0	5000	1673	33	3327	67
სომხეთი	885	174	19,7	711	80,3	2871	963	34	1908	66
საქართველო	709	229	32,3	480	67,7	4511	1589	35	2922	65
სალდო										
აზერბაიჯანი	573	-140	-24,4	713	+124,4	462	-668	-144,6	1130	+244,6
სომხეთი	-585	-101	-17,3	-484	-82,7	-1810	-838	-46,3	-1172	-64,7
საქართველო	-385	-100	-26,0	-286	-74,0	-3395	-1170	-34,5	-2295	-65,5

ცენტრალურ კავკასიაში საგარეო ვაჭრობის ყველაზე არასახარბიელო მანქანები საქართველოს, ხოლო მის შემდეგ სომხეთს აქვს. საქართველოში ექსპორტის ზრდა საგრძნობლად ჩამორჩება იმპორტის ზრდას, რის გამოც უარყოფითმა სავაჭრო სალდომ 2007 წელს 2,6 მლრდ დოლარს გადააჭარბა და იგი 2000 წელთან შედარებით თითქმის 9-ჯერ გადიდდა. ამჟამად ქვეყნის იმპორტი 3,7-ჯერ აღემატება ექსპორტს, რაც განაპირობებს ქვეყნის უარყოფითი სავაჭრო სალდოს მეტად მაღალ მანქანებულს.

მონაცემებით დასტურდება, რომ ცენტრალური კავკასიის ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობები საკმაოდ კონტრასტულია. გასაგები მიზეზების გამო სადღეისოდ აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის არ არსებობს არავითარი სავაჭრო ურთიერთობა. საქართველოს ერთ-ერთი მსხვილი სავაჭრო პარტნიორია აზერბაიჯანი, რომლის წილი საქართველოს ექსპორტში 11,2, ხოლო იმპორტში 7,3 პროცენტს უდრის. ამჟამად აზერბაიჯანის ბაზარზე წარმატებით იყიდება

⁴⁴ Содружество независимых государств в 2007. М., 2008, с. 140.

ქართული საექსპორტო პროდუქცია – ცემენტი და საბათქაშე მასალები, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები, შავი ლითონები და მისი ნაწარმი, შაქარი და საკონდიტრო ნაწარმი, საფრენი აპარატები, მინა და მინის ნაწარმი, ფარმაცევტული პროდუქცია, დეკორატიული მასალები და სხვ. აზერბაიჯანიდან კი ქართულ ბაზარზე შემოდის ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ბუნებრივი აირი, რადიოაქტიული და ორგანული ქიმიური ნაერთები, პლასტმასები და მათი ნაწარმი, ქიმიური ბოჭკოები და ძაფები, შავი ლითონები და მისი ნაწარმი, სამშენებლო კონსტრუქციები, საფეიქრო ნაწარმი, მარცვლეული, ხორცისა და თევზის პროდუქტები, ხილი, ბოსტნეული და სხვ.

რაც შეეხება სომხეთს, მის წილად მოდის საქართველოს ექსპორტის 8,3, ხოლო იმპორტის 1,2 პროცენტი. სომხეთში საქართველოდან გაიტანება: სასუქები, შავი ლითონები და მისი ნაწარმი, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები, შაქარი და საკონდიტრო ნაწარმი, სამკურნალო წამლები, მარცვლეული, ფქვილი, ბურღული, კერამიკული ნაწარმი, ხის ნახშირი და სხვ. ქართულ ბაზარზე კი სომხეთს შემოაქვს სამშენებლო მასალები, სარეცხი და საპოხი მასალები, საფეიქრო ნაწარმი, მინა და მინის ნაწარმი, ფარმაცევტული და მეცხოველეობის პროდუქცია, ყავა, სანელებლები, ხილი, ბოსტნეული და სხვ.

ცენტრალურ კავკასიაში საგარეო ვაჭრობის ყველაზე უკეთესი ბალანსი აზერბაიჯანს აქვს, რომლის ექსპორტით იმპორტის გადაფარვა 2007 წელს შეადგენდა 109,2 პროცენტს, სომხეთში – 37, ხოლო საქართველოში – (-24,7) პროცენტს. ცხადია, ასეთი დიდი ზომით უარყოფითი სავაჭრო სადღო აისახება ქვეყნის საგადასმდელო ბალანსსა და საგარეო ვალის ზრდაში. 2009 წლის დასაწყისში ის უდრიდა 2,6 მლრდ დოლარს, რაც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის თითქმის 1/3-ს შეადგენს.

ამჟამად საქართველოს გააჩნია დიდი ენერგოდეფიციტი. ენერგომატარებლებით ქვეყანა კმაყოფილდება მხოლოდ 36,3 პროცენტით. 2010 წლისათვის ეს მანევრებელი გაიზრდება მხოლოდ 46 პროცენტამდე.⁴⁵ ბუნებრივი აირის მნიშვნელოვან ნაწილს საქართველო იღებს რუსეთიდან, რომელთანაც ბოლო პერიოდში განსაკუთრებით დაიძაბა ურთიერთობა. ასეთ პირობებში, ცხადია, საქართველომ უნდა იზრუნოს ენერგომატარებლებით უზრუნველყოფის ალტერნატიული წყაროების მოძიებაზე.

საქართველოს აქვს უნიკალური ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე გადამამუშავებელი მრეწველობის მაღალკონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებისა და საექსპორტო პოტენციალის გადიდებისათვის. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი დსთ-ს, ევროკავშირისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნების ბაზარზე ყიდვიან და დიდი რაოდენობით ყიდულობენ მათთვის საჭირო ნედლეულსა და მზა ნაწარმს, სავსებით შესაძლებელია რეგიონში შეიქმნას,

⁴⁵ Чомахидзе Д. Грузия: энергетическая политика, ж. "Центральная Азия и Кавказ", 6 (54), 2007, с. 208.

როგორც წარმოების საშუალებების (უპირველეს ყოვლისა, ენერგომატარებლების), პირადი მოხმარების საგნების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და მათი გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის, აგრეთვე, საკურორტო-ტურისტული, რეკრეაციული და სხვა სახის მომსახურების საკმაოდ ტევადი ბაზარი.

ცენტრალური კავკასიაში რეგიონული ბაზრის ფორმირების რეალურ შესაძლებლობას ქმნის აღნიშნული ქვეყნების საექსპორტო პოტენციალი, რომლის დიდი ნაწილი დღეისათვის რეგიონის გარეთ რეალიზდება. რეგიონული ბაზრის ფორმირების პროცესში მნიშვნელოვანი როლი შეიძლება შეასრულოს ქვეყნების მომიჯნავე ტერიტორიებზე (ლაგოდეხის, სიღნაღის, დედოფლის-წყაროს, გარდაბნის, მარნეულის, ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონების მიმდებარე აზერბაიჯანისა და სომხეთის რაიონების ტერიტორიები) თავისუფალი სავაჭრო ზონების შექმნამ და საზღვრისპირა ვაჭრობის ორგანიზაციის გაფართოებამ.

ცენტრალური კავკასიის ქვეყნებს შორის სავაჭრო ინტეგრაციის გზაზე ჯერ კიდევ ბევრი წინააღმდეგობა და გადაუჭრელი პრობლემაა. ეს, პირველ რიგში, სომხეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობას შეეხება, რაც უმთავრესად მთიანი ყარაბაღის უმწვეველი კონფლიქტითაა განპირობებული. ცხადია, ამ ქვეყნებს შორის კონფლიქტის მოგვარებამდე რაიმე სავაჭრო ინტეგრაციაზე ლაპარაკი ზედმეტია და ე.წ. „სავაჭრო სამკუთხედი“ ვერ ამოქმედდება. ამ ეტაპზე იგი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საქართველოს მეშვეობით, ისიც ამ ორი ქვეყნის თანხმობის შემთხვევაში. პერსპექტივაში კი, სავსებით შესაძლებელია, კავკასიაში ეთნოკონფლიქტების მოგვარების შემდეგ, რეგიონის ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობების გაფართოება-გადრმავება, რაც ამ ქვეყნებს დიდად წაადგებათ მათი პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნებასა და განმტკიცებაში.

წინანსების სექცია

ელენა ბახტაძე

საბაღასახადო ტვირთის ბანაწილების ოპტიმიზაციის საკითხები

გადასახადები საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფო რეგულირების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და ეფექტიან ინსტრუმენტს წარმოადგენს. ამიტომ საქართველოში, ეკონომიკური რეფორმების გატარებისა და ეკონომიკური სისტემის მართვის გარდაქმნის პროცესში, დიდი ყურადღება დაეთმო საგადასახადო რეფორმის განხორციელება და ქვეყანაში საგადასახადო კანონმდებლობის შექმნას. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოს ახალმა საგადასახადო კოდექსმა, მასში შეტანილმა ცვლილებებმა და დამატებებმა ვერ აღმოფხვრა საგადასახადო სისტემის არასრულყოფილება, ვერ უზრუნველყო

საგადასახადო რეფორმის გატარებით სასურველი შედეგების მიღწევა.

ქვეყნის ეკონომიკაში გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო ტვირთის ოპტიმალური განაწილების საკითხი კვლავ რჩება ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემად. დღემდე ეკონომიკურ ლიტერატურასა და ნორმატიულ დოკუმენტებში „საგადასახადო ტვირთის“ ცნების განსაზღვრის აღსანიშნავად გამოიყენება ისეთი ტერმინები, როგორცაა „საგადასახადო წნეხი“, „ბეგარისებური წნეხი“, „საგადასახადო დაბეგვრის უკიდურესი დონე“, „საგადასახადო დაბეგვრის სრული განაკვეთი“, „საგადასახადო დატვირთვა“, ამ ცნებათა მკაფიო გამოიჯენისა და მკაცრი განსაზღვრის გარეშე. ძალიან ხშირად საგადასახადო ტვირთი ფასდება სახელმწიფოს მიერ ამოღებული სავალდებულო გადასახადების (ასევე მოსაკრებლების და გადასხედვლების) საერთო მოცულობის სიდიდის შეფარდებით მთლიან შიდა პროდუქტთან. მთლიანი საგადასახადო ტვირთი იზომება აბსოლუტურ გამოხატულებაში – ფულად ერთეულებში. თუმცა, ამგვარი მიდგომისას ძალიან ძნელია საგადასახადო ტვირთის სიმძიმეზე მსჯელობა, ვინაიდან მსგავსი მიდგომა, საჭიროებს შესაპირისპირებელი ბაზის არსებობას, მოქმედი საგადასახადო დაბეგვრის ნორმების შედარებას საგადასახადო დაბეგვრის ოპტიმალურ დონესთან ფულად გამოხატულებაში, რომლებიც რეალურად არ არსებობს. შეიძლება უფრო ობიექტურად და დამაჯერებლად მსჯელობა სამრეწველო და სხვა საწარმოო დაწესებულებების საგადასახადო ტვირთის შესახებ საგადასახადო განაკვეთების პროცენტული სიდიდის მიხედვით, მაგრამ ასეთი მიდგომისას, სხვადასხვა სახის გადასახადების საგადასახადო დაბეგვრის ბაზების განსხვავების გამო, საგადასახადო ტვირთის შედარებით მათი წვლილის შეფასება ვერ ხერხდება.

ვინაიდან გადასახადი თავისთავად წარმოადგენს ეკონომიკური სუბიექტის შემოსავლის ნაწილის ამოღებას ბიუჯეტის სასარგებლოდ, საგადასახადო ტვირთის (გადასახადების რიცხვის ზრდა, საგადასახადო განაკვეთის გადიდება) გაზრდას მიყვარათ ერთობლივი მოთხოვნის ისეთი კომპონენტების კლებაზე, როგორცაა პირადი მოხმარება და ინვესტიციები. ერთობლივი მოთხოვნის შემცირება წარმოქმნის წარმოებული მთლიანი ეროვნული პროდუქტის რეალიზაციის პრობლემას. მასზე საპასუხო რეაქციას კი წარმოადგენს ერთობლივი მიწოდების კლება. სამართლიანია საწინააღმდეგო მტკიცებაც, კერძოდ ის, რომ საგადასახადო ტვირთის შემცირებას მიყვარათ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა განკარგულებაში დარჩენილი შემოსავლის ზრდასთან. ამასთან დაკავშირებით მართლზომიერია გაიზარდოს პირადი მოხმარების, დანაზოგებისა და ინვესტიციების მოცულობა. ერთობლივი მოთხოვნის ზრდა კი, თავის მხრივ, განაპირობებს ერთობლივი მიწოდებისა და მთლიანი ეროვნული პროდუქტის ზრდას.

მართალია, საგადასახადო განაკვეთების შემცირებას, ასევე საგადასახადო შეღავათების სისტემის გაფართოებას, პირველ ხანებში მიყვარათ ბიუჯეტში შემოსავლების შემცირებასთან. თუმცა მეწარმეთა და დაქირავებულ პირთა დაინტერესების ამადლებითა და ეკონომიკური აქტივობის გაძლიერებით მომავალში მოსალოდნელია ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ზრდას

ჰქონდეს ადგილი. ამდენად, დღეს შემოსავლების გარკვეული ნაწილის მიუღებლობით ბიუჯეტს მომავალში ერთიორად შეუძლია მისი ანაზღაურება (შეესება).

თუმცა დღევანდელი კეთილდღეობის შეწირვა მომავლისთვის ყოველთვის რთულად აღიქმება. განსაკუთრებით ძნელია იგი სახელმწიფოსთვის. საგადასახადო განაკვეთების ოპტიმალური სიდიდის განსაზღვრა მეტად მნიშვნელოვანი და რთული ამოცანაა. მისი გადაწყვეტა გართულებულია ეროვნული, კულტურული და ფსიქოლოგიური ფაქტორებიდან გამომდინარე.

ცალკეული გადასახადების განაკვეთების შედარება არ იძლევა საშუალებას, შევაფასოთ საგადასახადო ტვირთის სიმძიმე. ამ მიზნისთვის გამოიყენება ეფექტიანი საგადასახადო განაკვეთი – აქციონერების, დაქირავებულთა, კორპორაციებისა და ფირმების მიერ გადახდილი გადასახადებისა და ანარიცხების მთლიანი ჯამის შეფარდება მთლიან დამატებულ ღირებულებასთან (წარმოებასა და მიმოქცევაში). ეფექტიანი საგადასახადო განაკვეთი გეიხვენებს, დამატებული ღირებულების თუ რა ნაწილი წარიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში და არასაბიუჯეტო ფონდებში. საგადასახადო ტვირთის ზოგადი შეფასების ეფექტიანი განაკვეთი განისაზღვრება წარმოების საშუალო პირობებისთვის, როცა არ მოქმედებს შეღავათები და შემოსავლების გადამეტებული ამოღება ბიუჯეტისთვის.

საქართველოში მოქმედი საგადასახადო დაბეგვრის სისტემა 2003 წლამდე ვერ ახდენდა თავისი მასტიმულირებელი პოტენციალის რეალიზებას. ეს ხდებოდა რიგი მიზეზების ხელშეწყობით, კერძოდ, როგორც იყო: საგადასახადო დაბეგვრის მაღალი დონე, რასაც შედეგად მოსდევდა საწარმოთა მასობრივი თავის არიდება გადასახადების გადახდაზე; არასაკმარისად დასაბუთებული შეღავათების არსებობა; გადაუხდელობის მაღალი დონე; საწარმოთა ფულადი საშუალებების უკმარისობა; წარმოების და მოხმარების დაბალი დონე.

საგადასახადო სტიმულებს გააჩნია მგრძობელობის მაღალი ხარისხი და თავის გამოვლენა შეუძლია მხოლოდ მყარად ფუნქციონირებადი, განვითარებული ეკონომიკის პირობებში.

ამას ადასტურებს ქვეყანაში არაპირდაპირი გადასახადების საგადასახადო ტვირთის საერთო სიდიდის სიჭარბის ფაქტი, რომლებიც, ერთი მხრივ, ყველაზე უფრო მოსახერხებელია ფისკალური თვალსაზრისით, რადგან ისინი უზრუნველყოფენ საგადასახადო შემოსულობათა სტაბილურ დონეს ბიუჯეტში, მეორე მხრივ კი, ფინანსური სტაბილურობის და ეკონომიკური ზრდის პირობებში, წარმოებაზე უარყოფით გავლენას არ ახდენენ.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ დასავლეთის ქვეყნების და საქართველოს კომპანიათა საგადასახადო ტვირთის საერთო სიდიდეებს შორის არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება, რაც განპირობებულია იმით, რომ ჩვენ ქვეყანაში სამეწარმეო საქმიანობაზე საგადასახადო დაბეგვრის ბაზები ბევრ გადასახადზე განვრცობილია.

დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში საგადასახადო დაბეგვრის ოპტიმალურად სრულყოფილ სისტემას და კანონმდებლობით დადგენილ შეღავა-

თების ერთობლიობას ისინი იქამდე მიჰყავს, რომ საგადასახადო დაბეგვრის რეალური განაკვეთები კანონმდებლობით დადგენილის ქვემოთ აღმოჩნდება ხოლმე, რაც განაპირობებს მწარმოებლების ერთიანი საგადასახადო ტვირთის მნიშვნელოვნად უფრო დაბალ დონეს, ვინაიდან საქართველოში საწარმოო სექტორზე საგადასახადო ტვირთი ცალკეულ სეგმენტებსა და კონკრეტულ გადასახადის გადამხდელებზე ძალზე უთანაბროდ ნაწილდება. საქართველოში არსებულ საგადასახადო სისტემაში ფორმალურად უთანაბრობა არ არსებობს (მაგალითად, საკუთრების ფორმების ან ადგილმდებარეობის მიხედვით), თუმცა, რეალურად, ცალკეული გადასახადების გადამხდელთა მდგომარეობაში ძალიან დიდი განსხვავება შეინიშნება, რომელიც აიხსნება ნაწილობრივ კანონმდებლობის ნაკლოვანებებით, ნაწილობრივ კი – სხვადასხვა კატეგორიის გადასახადების გადამხდელების არაერთგვაროვანი გამჭვირვალობით. ამიტომ საწარმოთა ერთი ნაწილი უზომოდ დიდი ტვირთის მატარებელია, ხოლო დანარჩენი მინიმალურის ან საერთოდ არ იხდის გადასახადებს.

საქართველოში სამეწარმეო საქმიანობის წარმართვისთვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად საგადასახადო რეჟიმი ლიბერალი უნდა იყოს იმ ქვეყნებთან შედარებით, რომელთაც განვითარებული საბაზრო ეკონომიკა გააჩნიათ. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს ეკონომიკა მოუფიქრებელი საგადასახადო გადაწყვეტილებების მქვეალის როლში აღმოჩნდება და საგადასახადო შემოსულობათა დონის ზრდა ვერ უზრუნველყოფს წარმოების დაცემისა და საბიუჯეტო შემოსავლების კლების კომპენსირებას.

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ, მიუხედავად საქართველოში საგადასახადო ტვირთის თაობაზე მრავალი მტკიცებულების არსებობისა, საგადასახადო წნეხის რეალური რაოდენობრივი შეფასებები იშვიათად გვხვდება. ამასთან, გამოთქმულ მოსაზრებებში ხშირად ვლინდება გადასახადის შემცირების სურვილი, საგადასახადო განაკვეთების შემცირებით გამოწვეული სასურველი და არასასურველი შედეგების გაანალიზების გარეშე. ჩვენი აზრით, აუცილებელია საგადასახადო ტვირთის შემცირების პრობლემისადმი კომპლექსური მიდგომა სახელმწიფოს, მწარმოებლების და მომხმარებლების ინტერესების გათვალისწინებით. ამასთან, საგადასახადო კოდექსში გადასახადების ცვლილებების თაობაზე აზრის ჩამოყალიბებასა და ნებისმიერი წინადადებების შემოტანას წინ უნდა უსწრებდეს ქვეყანაში არსებული საგადასახადო ტვირთის ობიექტური, მიუკერძოებელი ანალიზი და მისი შესუსტების შესაძლებლობების განსაზღვრა ეკონომიკის ესოდენ აუცილებელ გამოცოცხლებაზე სასურველი ზემოქმედების მოხდენის მიზნით.

ტიანა ბენაშვილი

**შინანსური აღრიცხვა და ინფორმაციის მოძიარება
სააღრიცხვო სისტემაში**

აღრიცხვა არის ინფორმაციული სისტემა, რომელიც ასახავს ბიზნესის ფუნქციონირებას, ამუშავებს სააღრიცხვო ინფორმაციას და ამზადებს ანგარიშგებას. აღრიცხვა ბიზნესის ენაა. თუ ეს ენა კარგად იცი, კარგად მართავ შენს ბიზნესს.

სააღრიცხვო ჩანაწერები თავდაპირველად კეთდება ჟურნალში, იგი წარმოადგენს სამეურნეო ოპერაციების ქრონოლოგიურ ჩანაწერს. შემდეგ ეს ჩანაწერები მიიმართება ანგარიშებში, რომელთა ერთობლიობა ქმნის მთავარ საბუღალტრო წიგნს.

აღრიცხვის მთავარი შემაჯამებელი საშუალებაა ანგარიში, რომელიც საანგარიშო პერიოდში დეტალურად აღწერს ცვლილებებს აქტივებში, კაპიტალსა და ვალდებულებებში. სააღრიცხვო განტოლების შესაბამისად, ანგარიშები დაჯგუფებულია სამ ძირითად კატეგორიად: აქტივების, კაპიტალის და ვალდებულებების ანგარიშებად. ორგანიზაციები იყენებენ ანგარიშთა გეგმას (ჩამონათვალს), რომელშიც ანგარიშთა ნომრებია მითითებული.

არსებობს სამი სახის ანგარიშთა გეგმა: მომსახურების სფეროში დასაქმებული ორგანიზაციებისთვის, საქონლის რეალიზაციით დაკავებული ორგანიზაციებისთვის და საქონელმწარმოებელი ორგანიზაციებისთვის.

სააღრიცხვო ციკლი იწყება აქტივების, ვალდებულებებისა და კაპიტალის საწყისი ნაშთების ანგარიშებში გადატანით. შემდეგი ეტაპია სამეურნეო ოპერაციების მოხდენისთანავე მისი ჟურნალებში გატარება. ჟურნალებიდან მონაცემები გადაიტანება შესაბამის ანგარიშებში. სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს ხორციელდება ანგარიშების დაჯამება, საბოლოო ნაშთების გამოყვანა, მოსამზადებელი ბალანსის შედგენა. ბოლოს კი დგება წლიური ანგარიშგება, რომელიც უმთავრესად წარმოდგენილია ბალანსის, მოგება-ზარალის ანგარიშის და ფულის მოძრაობის ანგარიშის სახით.

სააღრიცხვო-ინფორმაციული სისტემებიდან განსაკუთრებით საინტერესოა ჟურნალების სისტემა, რომელიც სპეციალური ჟურნალების სახელითაა ცნობილი. სპეციალური ჟურნალები შექმნილია სპეციფიკური ტიპის სამეურნეო ოპერაციების ჩასაწერად.

სამეურნეო ოპერაციათა უმრავლესობა იყოფა 5 ძირითად კატეგორიად, აქედან გამომდინარე, აღრიცხვაში გამოიყენება ხუთი სახის ჟურნალი:

კრედიტით გაყიდვებისთვის – გაყიდვების ჟურნალი; ფულადი შემოსავლებისთვის – ფულადი შემოსავლების ჟურნალი; კრედიტით შესყიდვებისთვის – შესყიდვების ჟურნალი; ფულის გადახდისთვის – ფულის გადახდის ჟურნალი; ყველა სხვა დანარჩენი სამეურნეო ოპერაციებისათვის – გენერალური (მთავარი) ჟურნალი; სამეურნეო ოპერაცია იწერება სპეციალურ ჟურნალში ან მთავარში, მაგრამ არა ორივეში.

ჟურნალებიდან მონაცემთა გადატანა მთავარ საბუღალტრო წიგნში სხვადასხვა პერიოდულობით ხორციელდება. გაყიდვების ჟურნალიდან მონაცემთა გადატანა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ თვის ბოლოს გაყიდვებიდან

ამონაგებისა და დებიტორული დავალიანების ანგარიშებში. იგივე შეიძლება ითქვას ფულის გადახდის ჟურნალზეც.

ბიზნესს შეიძლება ჰყავდეს უამრავი დებიტორი და კრედიტორი. საჭიროა სრული ინფორმაციის ქონა თითოეული მათგანის შესახებ. ამ მიზნით იხსნება სუბანგარიშები, სადაც ინფორმაციის გადატანა ყოველდღიურად ხორციელდება. არსებობს დებიტორული დავალიანებების სუბანგარიშთა წიგნი, კრედიტორული დავალიანებების სუბანგარიშთა წიგნი.

ყველა სააღრიცხვო სისტემას ესაჭიროება გენერალური (მთავარი) ჟურნალი. მასში იწერება წინასწარგადახდები და დავროვილი დანახარჯების ზოგიერთი სახე; ანგარიშების დამარეგულირებელი და დამხურავი გატარებები; აგრეთვე სხვა არარეგულარული, იშვიათი სამეურნეო ოპერაციები. ბევრი კომპანია იყენებს გენერალურ ჟურნალს გაყიდული ან შესყიდული საქონლის უკან დაბრუნებათა აღრიცხვისათვის, ფასდათმობებისა და სხვა შეღავათების აღრიცხვისათვის.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს დაცული უნდა იქნეს მნიშვნელოვანი ტოლობები: გენერალურ ჟურნალში ყველა დებეტის ჯამი უნდა ემთხვეოდეს ყველა კრედიტის ჯამს; კრედიტორული დავალიანების კონტროლანგარიშის ნაშთი უნდა უდრიდეს კრედიტორული დავალიანების ყველა სუბანგარიშის ნაშთების ჯამს. ამ პროცესს უწოდებენ ანგარიშების შეჯამებას; იგი ხელს უწყობს სააღრიცხვო ჩანაწერების სიზუსტესა და აკურატულობას.

დავით ბიძინაშვილი

აუდიტის განმასწორებელი სუბიექტების პასუხისმგებლობა

აუდიტორული მომსახურებით მოსარბაზლე ეკონომიკური

სუბიექტის წინაშე

საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა, აუდიტის სფეროს განვითარება და გაფართოება არა მარტო ცალკეულ სამეურნეო სუბიექტებს შორის ურთიერთობათა მოწესრიგების პრობლემაა, არამედ რეფორმის პროცესში წამოჭრილი მაკროეკონომიკური მნიშვნელობის მქონე საკითხიცაა. მაღალეფექტიანი, გამჭვირვალე, სრული და, ამასთან, მარტივი აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემის დანერგვა უზრუნველყოფს ქვეყნის მთლიანი ეკონომიკური კომპლექსის გამართულ ფუნქციონირებას.

საქმე ისაა, რომ ბუღალტრული აღრიცხვის მიმდინარე რეფორმამ, საგადასახადო სისტემის ეფექტიანობის ამაღლების პროცესმა, აუდიტის ეროვნული სკოლის ფორმირების აუცილებლობამ დღის წესრიგში დააყენა ახალი პრობლემები.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად მართებულია ამ სფეროში არსებული უცხოეთის გამოცდილების გაზიარება და ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის მსოფლიო სტანდარტების გათვალისწინება. შეიძლება თამამდ ითქვას, რომ

იმ ქვეყანაში, სადაც ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ტარდება, არავითარი შეფერხებები არ არსებობს უცხოელი ინვესტორების მიერ კაპიტალის დასაბანდებლად. რაც მთავარია, ასეთი სტანდარტები ყველაზე უკეთესი დამცავი მექანიზმია კორუფციასთან საბრძოლველად.

დღეს, როდესაც ქვეყანამ გეზი საბაზრო ეკონომიკის განვითარებისაკენ აიღო, გეგმაზომიერად ტარდება შესაბამისი ღონისძიებები სათანადო კონკურენტული გარემოს შესაქმნელად, ცხადია, აუდიტორული საქმიანობაც მხარს უბამს ეკონომიკის ყველა დარგის მოთხოვნებს და ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ ამ საქმიანობამ სწრაფად მოიკიდა ფეხი საქართველოში. მართალია, ჯერ კიდევ სრულად არ არის ფორმირებული აუდიტორული მომსახურების ბაზარი, მაგრამ დარგის წინსვლა აშკარად შეიმჩნევა. არადა, აუდიტორული საქმიანობის როლი და მნიშვნელობა ობიექტური, ცხოვრებისეული კანონზომიერებაა. ისიც ცხადია, რომ ამ სფეროს სრულყოფა სჭირდება. გასაკეთებელი ძალიან ბევრია, თანამედროვე მოთხოვნები ამ მხრივ ახალი გამოცდილების, ახალი გზების ძიებას მოითხოვს.

დღეისათვის აუდიტორული ფირმების უმეტესი ნაწილი ისწრაფის აუდიტორული საქმიანობის ხარისხის ამაღლებას, ამიტომ, კონკურენციის პირობებში, აუდიტურ ფირმებს აიძულებენ მიადწონ მალად რეიტინგს, მისი მოპოვება კი შესაძლებელია მაკონტროლებელი ფუნქციებისა და ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესრულებით.

აუდიტორული სამსახურის პირველადი ამოცანაა აუდიტორული შემოწმების მაღალხარისხიანად ჩატარება. მოცემული ამოცანის შესრულება დამოკიდებულია აუდიტორი ფირმის კადრების მომზადების დონეზე, მათ პრაქტიკულ გამოცდილებაზე, კონტროლის მეთოდისა და მეთოდოლოგიის, ასევე, აუდიტორული საქმიანობის დადებითი გამოცდილების გამოყენებაზე.

აუდიტორული სამსახური მთელ მსოფლიოში ერთ-ერთ პრესტიჟულ და მეტად საჭირო საქმიანობად ითვლება. ალბათ ჩვენი მეწარმეებიც ანგარიშს გაუწევენ აუდიტორს მაშინაც კი, როცა იგი მათთვის არასასურველ საკითხებს წამოჭრის. აუდიტორისადმი უნდობლობის მოსახსნელად აუდიტორი უნდა შეეცადოს, რომ შინაგანადაც გარდაიქმნას. აუდიტორს, გარდა იმისა, რომ უნდა ჰქონდეს მაღალი პროფესიული განათლება, ფლობდეს სააღრიცხვო და საკონტროლო სამუშაოების თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ გამოცდილებას, ამასთანავე, აუცილებელია, ჰქონდეს შეუბღალავი რეპუტაცია. ამ მოვლენის აღმოფხვრა, პირველ რიგში, საკანონმდებლო ნორმატიული დოკუმენტით და აუდიტის სტანდარტებით უნდა მოხდეს. აუდიტის სტანდარტების მიხედვით, აუდიტორული მომსახურება აუდიტორული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების, აუდიტორის პასუხისმგებლობის ამაღლების ერთ-ერთი წინაპირობაა. აუდიტის სტანდარტების პრაქტიკაში დანერგვა აუდიტურ ფირმებს, ინდივიდუალურ აუდიტორებს აიძულებს, ძირეულად შეცვალონ აუდიტორული მომსახურ-

რება და ამით, დროთა განმავლობაში, მიაღწიონ აუდიტორული მომსახურების საერთაშორისო დონეს.

აუდიტორული სამსახურების საკმაოდ დიდი ქსელია შექმნილი ყველა განვითარებულ ქვეყანაში კერძოდ, დიდ ბრიტანეთში ფუნქციონირებს ინგლისისა და უელსის მსაჯულ ბუღალტერთა ინსტიტუტი, აშშ-ში შექმნილია დიპლომიან და უდიპლომი საზოგადოებრივ ბუღალტერთა (ბუღალტერ-აუდიტორთა) ინსტიტუტები (საზოგადოებები), გერმანიაში არსებობს აუდიტორთა პალატა და აუდიტორთა ინსტიტუტი. სამოციან წლებში ჩამოყალიბდა ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის ბუღალტრული აღრიცხვის მკვლევარ-ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც ამზადებს რეკომენდაციებს თანამეგობრობაში შემაჯავლი ქვეყნებისათვის, აგრეთვე გამოსცემს დირექტივებს კომპანიების ანგარიშგების შემადგენლობისა და აგებულების აუდიტორული შემოწმებების წესის შესახებ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან შექმნილია სახელმწიფო საფინანსო კონტროლის უმაღლესი ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაცია (ინთოსაი). არსებობს აგრეთვე ნაციონალური დარგთაშორისი აუდიტორული ფორმები. კანადაში, მაგალითად მათ წარმოშვეს განსაკუთრებული საკონსულტაციო ბიზნესი. ითვლება, რომ ჩინეთში ოთხმოციანი წლების შუა პერიოდში აუდიტორული სამსახურების ორგანიზაციამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ეკონომიკის გაჯანსაღებასა და ბაზრის სტაბილიზაციის საქმეში.

იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულოს თავისი მოვალეობები, აუდიტორი უნდა აკმაყოფილებდეს მთელ რიგ მოთხოვნებს. ამ მოთხოვნებიდან ერთ-ერთი ძირითადია აუდიტორის სათანადო განათლება. გარდა ამისა პროფესიონალი აუდიტორის მთავარი განსხვავებული ნიშანია პასუხისმგებლობის გრძნობა საზოგადოების წინაშე. ამერიკული, აგრეთვე ევროპის ქვეყნების საზოგადოებრივ ბუღალტერთა (აუდიტორთა) ინსტიტუტის ეთიკური ნორმების კოდექსში გამოკვეთილია აუდიტორთა პასუხისმგებლობის აუცილებლობა საზოგადოების, კლიენტებისა და კოლეგების წინაშე.

აუდიტორის ქცევის ნორმები შეიძლება ჩამოყალიბდეს სავალდებულო და ამკრძალავი ხასიათის ეთიკურ პრინციპებში, რომლებიც ნაკარნახებია პრაქტიკით, კერძოდ:

1. აუდიტორი ვალდებულია, შეასრულოს თავისი ფუნქციები მიუკერძოებლად, რისთვისაც ის უნდა იყოს დამოუკიდებელი, პატიოსანი და ობიექტური. აუდიტორის პატიოსნებას და ობიექტურობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მაშინ, როდესაც ის გამოხატავს თავის აზრს ფინანსური ანგარიშის ირგვლივ. მართალია, პატიოსნების ობიექტურობის გაზომვა შეუძლებელია რაოდენობრივად, მაგრამ ეს თვისებები მით უფრო აუცილებელია აუდიტორის პროფესიისათვის. აუდიტორს არ შეუძლია, თავი აარიდოს მასზე დაწოლას თავისი პროფესიული საქმიანობის პროცესში, მაგრამ იგი ვალდებულია, წინააღმდეგობა გაუწიოს ამ დაწოლას. რეკომენდებულია, რომ აუდიტორმა თავიდან აიცილოს კლიენტებთან სხვა სახის ურთიერთობები, რომლებიც არ არის დაკავშირებული აუდიტორულ შემოწმებებთან. აუდიტორმა უნდა შეინარჩუნოს

პატიოსნება და ობიექტურობა მუშაობის ყველა სტადიაზე და ფინანსური ანგარიშის შესახებ თავისი აზრის გამოხატვისას თავი აარიდოს ისეთ სიტუაციებს, რომლებიც შელახავს მის დამოუკიდებლობას;

2. აუდიტორი ვალდებულია, ყოველგვარი გადახვევის გარეშე დაიცავს საერთო და ტექნიკური პროფესიული სტანდარტები და ცდილობდეს, მუდმივად აიმაღლოს თავისი პროფესიული დონე და ხარისხი. იგი უნდა იყოს ფართოდ ინფორმირებული, გეგმაზომიერად ახორციელებდეს თავის საქმიანობას და იყენებდეს მონაცემთა საკმარის რაოდენობას, რაც აუცილებელი იქნება თანამედროვე მოთხოვნების დონის შესაბამისი დასაბუთებული დასკვნებისა და რეკომენდაციების გამოსატანად;

3. აუდიტორი უნდა იყოს პატიოსანი და მიუკერძოებელი კლიენტებთან ურთიერთობაში, მაქსიმალურად უნდა აგულენდეს თავის შესაძლებლობებს, მუშაობდეს მათი ინტერესების შესაბამისად, თუ ეს ინტერესები არ ეწინააღმდეგება საზოგადოებრივს და არ უშლის ხელს პროფესიული ვალის შესრულებას. აუდიტორი ვალდებულია, საიდუმლოდ შეინახოს მთელი ინფორმაცია, რომელიც ეხება კლიენტის საქმიანობას.

მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ აუდიტორმა რაიმე დათმოს, თუ კლიენტი არ არის მზად აღიაროს ის შეცდომები, რომლებსაც ადგილი ექნება ფინანსურ ანგარიშებში და რაც აუცილებელია მისი საქმის მდგომარეობის სრულად წარმოდგენისათვის. მართალია, აუდიტორი უნდა იყოს თავაზიანი და შორსმჭვრეტელი კლიენტებთან, მაგრამ არ უნდა შეცვალოს თავისი აზრი და დასკვნები, ზემოთ დასახელებული ქცევის ნორმების გამო. აუდიტორმა უნდა დაიცავს კონფიდენციალობა, ანუ არ უნდა გაუმხილოს არავის სამუშაოს შესრულების მსვლელობაში მიღებული ინფორმაცია ან ფაქტები, გარდა იმ შემთხვევებისა, რაც მისი კანონიერი მოვალეობის შესრულებას შეეხება ან არ ექნება კლიენტის თანხმობა; მას არ აქვს უფლება, გამოიყენოს აღნიშნული ინფორმაცია და ფაქტები თავის სასარგებლოდ ან კლიენტის საზიანოდ, ან რომელიმე სხვა პირის სასარგებლოდ;

4. აუდიტორი უნდა იყოს კეთილმოსურნე, ხელს უწყობდეს კარგი ურთიერთობების დამყარებას მოცემული პროფესიების წარმომადგენლებს შორის. აუდიტორი, რომელიც ცდილობს თავისი პრაქტიკის გაფართოებას, არ უნდა ართმევდეს თავის კოლეგებს კლიენტებს ისეთი გზებით, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მუშაობის ხარისხის დადაბლება ან ინფორმაციის მომხმარებელთა უფლებების დარღვევა. ნამდვილი აუდიტორი ვალდებულია, დახმარება გაუწიოს ნაკლებად გამოცდილ კოლეგებს, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში გადასცეს დაკვეთა სხვა, უფრო მცოდნე აუდიტორს; თუ აუდიტორი ჯგუფის ხელმძღვანელია, იგი ვალდებულია, აცნობოს აუდიტორული ფირმის უფროსს იმ ნეგატიური მოვლენების შესახებ, რომელთაც შესაძლოა სერიოზული ზარალი მიაყენონ კლიენტის საკუთრებას; აუდიტორი არ უნდა ეწეოდეს თვითრეკლამას, რათა არ დააბნიოს კლიენტები და არ დაჩრდილოს კოლეგების ინტერესები;

5. აუდიტორი ვალდებულია, ხელი შეუწყოს თავისი პროფესიის ავტორიტეტის ზრდას საზოგადოებაში. იგი უნდა იყოს პატიოსანი და არც პირად და არც პროფესიულ ცხოვრებაში არ უნდა იქცეოდეს ისე, რომ შეირყეს აუდიტორის პროფესიისადმი საზოგადოებრიობის ნდობა და დამოკიდებულება. აუდიტორმა უნდა მოიხევეჭოს კომპეტენტური და პატიოსანი სპეციალისტის რეპუტაცია არა სიტყვით, არამედ საქმით. აუდიტორი თავის საქმიანობაში უნდა ხელმძღვანელობდეს არა მატერიალური ინტერესებით, არამედ საქმიანი მოსახრებებით. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას არ უნდა აინტერესებდეს ის ანაზღაურება, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს იმ პასუხისმგებლობის დონეს, რომელიც აკისრია მის მოვალეობებს, ენერჯიას და კვალიფიკაციას, და რაც აუცილებელია მოცემული სამუშაოს შესასრულებლად. ჰონორარები უნდა გადაიხდებოდეს იმ ცოდნისა და გამოცდილების შესაბამისად, რომელსაც იყენებს აუდიტორი თავის პროფესიულ საქმიანობაში, აგრეთვე ყოველი ცალკე დავალების მოცულობის მიხედვით. აუდიტორმა არ უნდა გაამხილოს თავისი ხელფასის ოდენობა, რადგან იგი წარმოადგენს აუდიტური ფირმის კომერციულ საიდუმლოს, ამასთან, იგი არ შეიძლება ფლობდეს იმ ფირმის აქციებსა და ობლიგაციებს და იყოს მისი თანამესაკუთრე, სადაც იგი ეწევა აუდიტებას.

შემოწმების ჩატარების პროცესში აუდიტორს შეუძლია: შეამოწმოს საბუღალტრო დავთრები, ფულადი დოკუმენტები და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ამსახველი სხვა დოკუმენტაცია; ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდების, მატერიალური ფასეულობების არსებობა, მიიღოს საწარმოსაგან ყველანაირი ახსნა-განმარტება და დამატებითი ცნობა, რაც აუცილებელია შემოწმებისათვის.

ამავე დროს, აუდიტორთა უფლებები არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ანგარიშგების სისწორის შემოწმებით. მათ შეუძლიათ შეასრულონ ისეთი სახის აუდიტორული მომსახურება, როგორიცაა: სამეურნეო საქმიანობის ანალიზი, კონსულტაციების გაწევა სამეურნეო სამართლისა და ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში, ანგარიშგების კონსოლიდაცია და ტრანსფორმაცია, ქონების შეფასებასთან დაკავშირებული მომსახურება, ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამების ექსპერტიზის ჩატარება და ა.შ.

პასუხისმგებლობა იმ მონაცემთა სისწორეზე, რომლებიც ეძლევა აუდიტორს მისი მოთხოვნის საფუძველზე, ეკისრება საწარმოს ხელმძღვანელს. აუდიტორი პასუხს აგებს თავისი მოვალეობების კვალიფიციურ შესრულებაზე, რასაც ითვალისწინებს კანონმდებლობა და დამკვეთთან დადებული ხელშეკრულება. საწარმოსადმი მიყენებულ იმ ზარალზე, რაც შეიძლება შედეგად მოჰყვეს აუდიტორული შემოწმების უხარისხოდ ჩატარებას, აუდიტორს ეკისრება ქონებრივი პასუხისმგებლობა იმ ოდენობით, რაც მოცემულია ხელშეკრულებაში, პასუხისმგებლობის კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვის გათვალისწინებით. მსოფლიო პრაქტიკაში აუდიტორთა პასუხისმგებლობის საკითხი წყდება აუდიტორული სტანდარტების მეშვეობით, რომელთა დაცვაც სავალდებულოა ყველა აუდიტორული კომპანიის მიერ.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ აუდიტის რეფორმას საქართველოში აღტერნატივა არ გააჩნია. იგი საბაზრო ეკონომიკის განვითარების აუცილებელი პირობაა. ამ მიმართულებით გადადგმული ყოველი ნაბიჯი მისასაღმებელია, რადგანაც იგი გვახლოვებს საქართველოს ეკონომიკის აღმავლობასთან. აუდიტორული საქმიანობა მომავალში თავის სიტყვას იტყვის, რადგან ქვეყანას ამის პოტენციალი აქვს.

თამარ გამსახურდია

ფინანსური კრიზისი და საბანკო ბიზნესის სრულყოფის მიმართულება

თანამედროვე საქართველოში საბანკო სექტორი ჩამოყალიბდა, როგორც ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და დინამიურად განვითარებადი სექტორი, რაზედაც ნათლად მეტყველებს საქართველოს ზოგიერთი მაკროეკონომიკური და საბანკო მონაცემის დინამიკა 2001-2008 წლებში.

საბანკო სისტემის განვითარების ტენდენციების გასარკვევად განვიხილოთ აგვისტოს ცნობილ მოვლენებამდე საბანკო ბიზნესისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობები და დისპროპორციები, ხოლო შემდგომ დღეისათვის არსებული მდგომარეობა.⁴⁶

ინფლაციის მაჩვენებელმა 2007 წლის ოქტომბრის შემდეგ პირველად დაიწია ორნიშნაზე დაბლა და 2008 წლის ივლისის ბოლოსთვის 9.8% შეადგინა. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ ინფლაციის საშუალო მაჩვენებელი ბოლო წლების განმავლობაში იზრდებოდა, 2006 წლის ივლისში კი ინფლაციის წლიურმა მაჩვენებელმა 14.5%-ს მიაღწია. 2005 წლის შემდეგ ცხადია, რომ ინფლაციის პრობლემამ საქართველოში ქრონიკული ხასიათი შეიძინა.

მშპ-სთან შედარებით უფრო მაღალი ზრდის ტემპების გამო, საბანკო აქტივების მშპ-სთან შეფარდების მაჩვენებელი ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გაიზარდა. კეთდებოდა პროგნოზი, რომ ასეთი ტემპების შენარჩუნების შემთხვევაში აღნიშნული მაჩვენებლით საქართველო მიუახლოვდებოდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დონეს. შესაბამისად იზრდებოდა სხვა მაჩვენებლებიც: ანალოგიურ პერიოდში წმინდა სესხები 6-ჯერ, მთლიანი დეპოზიტები 3.6-ჯერ, ფიზიკური პირების მთლიანი დეპოზიტების 3.7-ჯერ, ნასესხები სახსრები 8.5-ჯერ, ხოლო კაპიტალი 5-ჯერ გაიზარდა. ადეკვატური იყო საბანკო სისტემის სხვა ფინანსური მაჩვენებლების ზრდაც. თუკი 2004 წელს კომერციული ბანკების საერთო შემოსავლები 276 მლნ ლარს, ხოლო წმინდა მოგება 27 მლნ ლარს შეადგენდა, 2007 წელს ანალოგიური მაჩვენებლები შესაბამისად 949 და 109 მლნ ლარის ტოლია. 2007 წელს ბანკებმა პროცენტული ხარჯის

⁴⁶ ნ. არველაძე, ქართული ბანკების სიძნელების დაწყების რეალური დრო. ჟ. „საქართველოს ეკონომიკა“, 2009 (3).

სახით 302 მლნ ლარი გადაიხადეს. მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებებიც ბანკების შემოსავლებისა და ხარჯების სტრუქტურაში.

2007 წლიდან საქართველოს საბანკო ბაზარზე კონკურენცია გაიზარდა. განსაკუთრებით ინტენსიური გახდა ბანკების მიერ ახალი ფილიალებისა და სერვისცენტრების გახსნა. უკანასკნელი წლების განმავლობაში ეკონომიკური აქტივობის და ბანკებს შორის კონკურენციის ზრდასთან ერთად, საქართველოში სახეზე იყო დეპოზიტებსა და კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირების ბუნებრივი პროცესი. თუმცა ეს ტენდენცია თანდათან შენედა და უკვე 2005 წლიდან დაიწყო უკუპროცესი როგორც დეპოზიტებზე, ისე ბანკების მიერ გაცემულ სესხებზეც.

თუკი 2006-2007 წლებში ბანკების საკრედიტო პორტფელის ზრდის ტემპის საშუალო მაჩვენებელი თვეში 4.2% იყო, 2008 წლის თებერვალ-ივლისში 3.3% შეადგინა, მათ შორის მაის-ივლისში – 2.6%. ამასთან, ადგილობრივ ბაზარზე მოზიდვების კუთხით რეგრესი უფრო მეტად თვალსაჩინოა. მთლიანი დეპოზიტების კუთხით ზრდის ტემპმა 2006-2007 წლებში შეადგინა 3.6%, 2008 წლის თებერვალ-ივლისში – 1.5%.

თუ შევადარებთ ბანკების მიერ მოზიდულ დეპოზიტებთან დაკავშირებულ ორ ტენდენციას – ვადიანი დეპოზიტების საშუალო ვადიანობის შემცირებას და დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთების ზრდას, ცხადია, ეს, ერთი მხრივ, რესურსების მოზიდვასა და ლიკვიდობასთან დაკავშირებულ პრობლემებთან და მეორე მხრივ, რესურსების გაძვირებასა და ფინანსური მაჩვენებლების გაუარესებაზე მიუთითებს. ყოველივემ განაპირობა, რომ უკანასკნელ პერიოდში ბანკები სულ უფრო მეტ შემოსავალს იღებდნენ, მცირდებოდა რენტაბელობის მაჩვენებლები. კიდევ ერთი ნეგატიური ტენდენცია, რომელიც აგვისტოს მოვლენებამდე წარმოინდოდა, უკავშირდება ბანკების სესხების პორტფელის ხარისხის ბოლოდროინდელ გაუარესებას. ბოლო წლების განმავლობაში საბანკო სისტემის სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის შეფარდება საკრედიტო დაბანდების მოცულობასთან მცირდებოდა და 2007 წლის ივლისისათვის 3.3%-მდე დაიწია.⁴⁷

2007 წლის მიწურულს საქართველოს სამშენებლო სექტორის წარმომადგენლები მსოფლიო წამყვან იპოთეკურ ბაზრებზე კრიზისის დაწყებისას ამტკიცებდნენ, რომ კრიზისის ტალღა საქართველომდე არ მოაღწევდა, საქართველოს სამშენებლო ბაზარი გაჯერებული არ იყო, ამიტომ ისინი მოთხოვნისა და ფასების ზრდის ტენდენციის გაგრძელებას ვარაუდობდნენ. რუსეთ-საქართველოს სუსტი შიდა მენჯემენტისა და სამშენებლო სექტორში პრობლემების გამო, ომამდე ბანკებს სერიოზული ლიკვიდურობის პრობლემები შეექმნათ, რადგან გათვლა, რომ მსოფლიო ბაზარზე დაწყებული საბინაო სექტორის დამანგრევე-

⁴⁷ ი. კოვზანაძე, გ. კონტრძე, საქართველოს საბანკო სისტემის ზოგიერთი პრობლემა 2008 წლის აგვისტოს მოვლენებამდე. ჟ. „საქართველოს ეკონომიკა“, 2009 (1).

ლი ტალღა საქართველომდე არ მოაღწევდა და უძრავ ქონებაზე ფასების ზრდის ტენდენცია გაგრძელდებოდა, არ გამართლდა და კრიზისიც დაიწყო.

ყოველივე ზემოაღნიშნული მეტყველებს, რომ 2008 წლის აგვისტოს მოვლენებამდე საქართველოს საბანკო სისტემა უკვე იდგა მნიშვნელოვანი პრობლემების წინაშე. შემდგომ პერიოდში მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა კიდევ გააღრმავა საბანკო ბიზნესში არსებული პრობლემები. განვიხილოთ, დღეისათვის როგორ მართავენ არსებულ სიძნელებებს ქართული ბანკები.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გავრცელებული სტატისტიკური მონაცემებით, 2009 წლის იანვარში საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი წმინდა აქტივები 319 მილიონი ლარით შემცირდა და 8 მილიარდ 546 მილიონი შეადგინა. მიმდინარე წლის დასაწყისიდანვე, საბანკო სექტორის სააქციო კაპიტალი 7,9 მილიონი ლარით, 1 მილიარდ 509 მილიონ ლარამდე შემცირდა.⁴⁸

სტატისტიკური მაჩვენებლები მეტყველებენ იმაზე, რომ დღეისათვის მოხდა 2008 წლის აგვისტოს დასაწყისის მდგომარეობის აღდგენა, თუმცა, თუ ათვლის წერტილად სექტემბერს ავიღებთ, 400 მილიონიანი სადეპოზიტო ბაზის შემცირების შემდეგ ზრდა, მიუხედავად ამავე პერიოდის ეკონომიკური კონიუნქტურის გაუარესებისა, მაინც კარგია, რადგან პოსტკრიზისული სიტუაციის ათვლის წერტილად, რეალურად, ამ კრიზისამდე უახლოესი ფაზა მიიჩნევა – ჯერ უნდა დაებრუნდეთ იქ, საიდანაც ვარდნა დაიწყო. ეს ფაქტორი იმაზეც მიგვანიშნებს, რომ სადეპოზიტო ბაზის ზრდის მნიშვნელოვანი წყარო იმ დეპოზიტების ნაწილია, რომლებიც საბანკო სისტემიდან გავიდნენ.

ამრიგად, ჩატარებული ანალიზი ნათლად მეტყველებს, რომ: 1. ქართული ბანკები ბაზარზე აღარ აქტიურობენ, დაბანდებებს აღარ ახორციელებენ და სესხების ამოღებას ახდენენ. როგორც ექსპერტები განმარტავენ, ეს ნიშნავს რომ ქვეყანაში რეცესიაა, ეკონომიკა განჩერებულია. ექსპერტთა ნაწილის აზრით, ბანკების წმინდა მოგებები შესაძლოა კვლავაც შემცირდეს, რადგან მათი აქტივობის ზრდა 2009 წელს მოსალოდნელი არ არის; 2. არსებული რეცესიის გამო ჩვენი მოსახლეობის შემოსავალი დღითი დღე იკლებს. კომერციული ბანკების პრობლემურ მევალეთა რაოდენობა თითქმის ყოველდღიურად იზრდება; 3. საქართველოს საბანკო სექტორში არსებულ პრობლემებზე საერთაშორისო საბანკო რეიტინგებიც მეტყველებს: საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო Moody's-მა ქართულ ბანკებს („თიბი-სი ბანკი“ და „საქართველოს ბანკი“) რეიტინგები რამდენიმე საფეხურით შეუმცირა; 4. „საქართველოს ბანკის“ აქციების ფასი ლონდონის საფონდო ბირჟაზე ვარდნას განაგრძობს; 5. რუსეთ-საქართველოს სუსტი შიდა მენეჯმენტისა და სამშენებლო სექტორში პრობლემების გამო, ომამდე ბანკებს სერიოზული ლიკვიდურობის პრობლემები შეექმნათ, რადგან გათვლა, რომ მსოფლიო ბაზარზე დაწვებული საბინაო სექტორის

⁴⁸ საქართველოს საბანკო სექტორი დღეს. მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მასალების მიხედვით. ქ. „საქართველოს ეკონომიკა“, 2008 (11).

დამანგრეველი ტალღა საქართველომდე არ მოაღწევდა და უძრავ ქონებაზე ფასების ზრდის ტენდენცია გაგრძელდებოდა, არ გამართლდა და კრიზისიც დაიწყო; 6. ახლა კომერციულ ბანკებში სამომხმარებლო და იპოთეკური სესხების ნაცვლად შავი სიების მოცულობა იზრდება. მშენებლები და ბანკირები კი შექმნილ კრიზისში ერთმანეთს ადანაშაულებენ; 7. ყველაფერი მიანიშნებს იმაზე, რომ მოსალოდნელი სამშენებლო ბიზნესების სრული გაკოტრების პერიოდი და მენაშენეთა დავალიანების პერმანენტული არგადახდა საბანკო სექტორს ახალ სირთულეებს შეუქმნის; 8. ეს იმას ნიშნავს, რომ ბანკებში მორიგი კრიზისული ტალღა ზაფხულში მოსალოდნელია ისევე, როგორც მათი ზარალიანობის ზრდა შემცირებული შემოსავლების ფონზე დიდი საოპერაციო ხარჯების გამო. კომერციული ბანკების გადარჩენისთვის ბრძოლა ჯერ კიდევ წინაა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გაირკვეს აქვს თუ არა საქართველოს საბანკო სისტემას პრობლემებთან გამკლავების რეალური ბერკეტები და როგორ აპირებენ ქართული ბანკები თავის გადარჩენას.

საბანკო ბიზნესში შეიძლება გამოვეყოთ ბანკების სამი ტიპი: 1. ბანკები, რომლებსაც ჰქონდათ დივერსიფიცირებული აქტივები და სამშენებლო და სამთო-მომპოვებელ ბიზნესს მჭიდროდ არ უკავშირდებოდნენ („პროკრედიტ ბანკი საქართველო“, ბანკი ქართუ); 2. მსხვილი ბანკები („საქართველოს ბანკი“, „თიბო-სი ბანკი“, რესპუბლიკა ბანკი/სოსიეტე ვენერალი ჯგუფი), რომლებმაც შესაბამისი გადარჩენის გეგმა შეიმუშავეს, უცხოური სახსრები მოიზიდეს და კვლავ ლიდერ ბანკებად რჩებიან; 3. მშენებლობაზე მჭიდროდ მიბმული ბანკები, რომლებსაც აქტივების ნაკლები დივერსიფიკაცია და კლიენტი ჰყავდათ (სახალხო ბანკი).

ბანკების კატეგორიებად დაყოფა იმაზე მეტყველებს, რომ საბანკო ბიზნესის პრობლემების გადაჭრისათვის საჭიროა გაგრძელდეს დეპოზიტური მომსახურების პროდუქტის პოპულარიზაცია და ანაბრების განთავსების წახალისება. გარდა მოსახლეობის მიერ განთავსებული ანაბრებისა, ქართულ საბანკო ბიზნესს ლიკვიდობის პრობლემის გადასაჭრელად ესაჭიროება უცხოეთიდან მოზიდული სახსრებიც. არსებული პრობლემების დაძლევაში მნიშვნელოვანია უცხოური კაპიტალის მონაწილეობით ბანკების რაოდენობის გაზრდა. ქართულ საბანკო სექტორში ყველაზე დიდი მოთამაშე ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკია. ევრობანკი ყველა მსხვილი და შედარებით მსხვილი ბანკის აქციების ყიდვითაა დაკავებული. ექსპერტთა ნაწილი EBRD-ის ქართულ საბანკო სექტორში უფრო ღრმად შემოსვლას დადებითად აფასებს, რადგან, როგორც ისინი მიიხევენ, ყველაგან, სადაც „იბიარდი“ წილს ყიდულობს, მენეჯმენტის გაჯანსაღებას ახდენს, ევრობანკი არასოდეს ყიდულობს საკონტროლო პაკეტს. EBRD-ის ქართულ საბანკო სექტორში აქტიურად დაშვებულ მნიშვნელოვანია, რადგან საკრედიტო რესურსს შედა-

რებით გააიფუტეს. საბანკო სექტორის მხარდასაჭერად EBRD-მ 351 მლნ ევრო გამოყო, რომელიც სამ წელზე გადანაწილდა.⁴⁹

როგორც გლობალური და ისე ლოკალური ფინანსური კრიზისის პირობებში ქართული ბანკებმა შექმნილი პრობლემიდან გამოსავალს ახალი სტრატეგიის შემუშავების მეშვეობით მიაგნეს. განსხვავებული სტრატეგიის გამო, კარგ პირობებში აღმოჩნდა „პროკრედიტ ბანკი საქართველო“. გაზრდილი საერთაშორისო დაფინანსების ფონზე მეტად აქტიუალური ხდება კომერციულ ბანკებში რისკ-მენეჯმენტისა და სტრატეგიული მენეჯმენტის შეცვლა, სხვა შემთხვევაში დახმარების სახით მიღებული ფულის ეფექტური გაწერა შეუძლებელი იქნება.

გარდა აღნიშნულისა, მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ქვეყნის სავალუტო ბაზარზე მდგომარეობის გამოსასწორებლად მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტის – სავალუტო აუქციონების ამოქმედება, რაც შეამცირებს სეპის ჩარევის საჭიროებას. ამასთანავე, ახლად დანერგილი სისტემის მეშვეობით, კომერციულ ბანკებს, ბანკთაშორის ბაზარზე უცხოური ვალუტით 24 საათიანი ვაჭრობა შეუძლიათ. აღნიშნული ღონისძიებები, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობს საბანკო ბიზნესის წარმატებულ ფუნქციონირებას ფინანსური ბაზრის განვითარების და დოლარიზაციის შემცირების მეშვეობით, რაც თავის მხრივ, აძლიერებს მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმს.

ლილი გვენეტაძე

**ფინანსური შუამავლები და მათი ბანკთაშორის ურთიერთობის
ტენდენცია საქართველოში**

მსოფლიო ეკონომიკურმა გარემომ უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების შედეგად საფინანსო სისტემამ გლობალურ დონეზე დაიწყო ფუნქციონირება. ნაციონალურმა ბაზრებმა კი ერთიანი მსოფლიო საფინანსო სივრცეში დაიწყეს გარდაქმნა.

საფინანსო სისტემასა და რეალურ ეკონომიკას შორის მაკავშირებელ რგოლს ფინანსური შუამავლები წარმოადგენენ. ფინანსური შუამავლები ეს ისეთი საკრედიტო და არასაკრედიტო ფინანსური ორგანიზაციებია, რომლებიც ფინანსური ბაზრების ყველა სექტორში ეწევიან მომსახურებას. ისინი რეალურ ეკონომიკაში კაპიტალის გადანაწილების პროცესში იღებენ აქტიურ მონაწილეობას.

⁴⁹ მ. დანიაშვილი, როგორ ებრძვის ფინანსურ კრიზისს საქართველოს საბანკო სისტემა? ქ. „საქართველოს ეკონომიკა“, 2009 (3).

ფინანსური შუამავლები შესაბამისი მარეგულირებელი და მაკონტროლებელი სტრუქტურების მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე მოქმედებენ. ფინანსურ შუამავლებს მიეკუთვნებიან: ბანკები, საინვესტიციო კომპანიები; საბროკერო კომპანიები; მართველი კომპანიები; ბირჟები, სადაზღვევო კომპანიები; რეგისტრატორები; სპეციალიზებული დეპოზიტარები და რეგისტრატორები.

ფინანსური შუამავლები მსოფლიო ბაზარზე როგორც უმსხვილეს ტრანსნაციონალურ კომპანიებთან, ისე ქვეყნის შიდა ბაზარზე მცირე და საშუალო ბიზნესთან მუშაობენ. შესაბამისად, თანამედროვე ფინანსურ შუამავლებს ეროვნულ ეკონომიკაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავიათ. ხოლო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში, მათი, როგორც მსოფლიო ბაზრის მონაწილეების, როლი მნიშვნელოვნად გაიზარდა არა მხოლოდ მათი საქმიანობიდან მიღებული სარგებლის თვალსაზრისით, არამედ იმ საფრთხის გათვალისწინებით, რომელიც გლობალურ ფინანსურ ბაზრებს ახასიათებს.

ცვლილებები, რომელიც მიმდინარეობს მსოფლიო ფინანსურ ბაზარზე, მოითხოვს როგორც მსოფლიოში, ისე ცალკეულ ქვეყნებში ფინანსური შუამავლების ინდუსტრიის განვითარების ტენდენციების განზოგადებას და ანალიზს.

აღსანიშნავია ისიც, რომ მეოცე საუკუნის ბოლოს მსოფლიო პრაქტიკაში ინტეგრირებული ფინანსური შუამავლების ახალი სახე წარმოიშვა. ეს არის ბანკების გაერთიანება ფინანსური ბაზრების სხვა პროფესიულ მონაწილეებთან. ინტეგრირებული ფინანსური შუამავლების მთავარ ამოცანას, საბანკო ოპერაციების კომპლექსური შეთავაზების გზით როგორც კლიენტის ნდობის მიღება, ასევე ისეთი არასაბანკო ფინანსური მომსახურება წარმოადგენს, როგორიცაა, მაგალითად, ფულადი საშუალებების განთავსება საფონდო ბაზარზე, საინვესტიციო ფონდის წილი, სხვადასხვა სახის დაზღვევის პოლისის გაყიდვა და ა.შ.

საქართველოში საფინანსო შუამავლობა, ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის თვალსაზრისით, მართალია, ერთ-ერთი დარგია, რომელსაც ზრდის მაღალი ტემპი გააჩნია, ამასთან, მისი განვითარების ხარისხი დაბალია. ასე მაგალითად, 2006 წელს კერძო სექტორზე გაცემული სესხების მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდება 4-ს უდრიდა, რაც 27-ჯერ ნაკლებია პირველ ადგილზე გასულ აშშ-სთან შედარებით, და 12,8-ჯერ ნაკლები მეორე ადგილზე გასულ გერმანიასთან შედარებით. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ეს მაჩვენებელი დაბალია და 3-დან 18-მდე მერყეობს.

საქართველოში საფინანსო შუამავლობის დაბალი ხარისხობრივი მაჩვენებლის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს მოსახლეობის ცხოვრების დაბალი დონე წარმოადგენს. როგორც ცნობილია, ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში საბოლოო მოხმარების მაღალი ხვედრითი წონა მოსახლეობის ცხოვრების დაბალ დონეზე მიუთითებს. რამდენადაც მოსახლეობა იძულებულია, მიღებული შემოსავლებიდან ნაკლები დაზოგოს და მეტი წილით მიმდინარე მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს. აღსანიშნავია ის, რომ საქართველოში ბოლო წლებში მთლიან შიდა პროდუქტში მოხმარების ხარჯების ხვედრითი წილი მაღალია და ზრდის

ტემპითაც ხასიათდება. ასე მაგალითად, 2005 წელს მთლიან შიდა პროდუქტში საბოლოო მოხმარების ხარჯების ხვედრითი წილი 84,3 პროცენტს შეადგენდა. 2006 და 2007 წლებში ეს მაჩვენებელი შესაბამისად გაიზარდა 94,1 და 92,5 პროცენტამდე. აღნიშნული უარყოფით ტენდენციას წარმოადგენს და ხელს უშლის საფინანსო შუამავლობის გამოყენების ხარისხობრივი დონის ამაღლებას.

მაია გოგონია

ფულად ურთიმართობათა ზოგიერთი აქტუალური ასპექტი

ფული ნებისმიერი ეკონომიკური სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია. თუ ფულადი სისტემა კარგად და გამართულად ფუნქციონირებს, ის სასიცოცხლო ძალებს ანიჭებს კვლავწარმოების ყველა სტადიას, შემოსავლებისა და ხარჯების წრებრუნვას, ხელს უწყობს მწარმოებლური სიმძლავრეებისა და შრომითი რესურსების ეფექტიან გამოყენებას. და, პირიქით, ფულადი სისტემის ცუდი მუშაობა, შესაძლოა, წარმოების დონის შემცირების ან მკვეთრი რყევების, ფასების ზრდის, დასაქმების და მოსახლეობის შემოსავლების დაცემის მთავარი მიზეზი გახდეს.

ამის მიზეზი ალბათ ისიცაა, რომ ფული ურთულესი ეკონომიკური კატეგორიაა და როგორც ეს, ჩვენი აზრით, სამართლიანად შენიშნა 1857 წელს ინგლისური ნეოკლასიკური სკოლის გამოჩენილმა ეკონომისტმა ვ. ჯევონსმა, თვით ეკონომიკისთვისაც კი, გეომეტრიული წრის კვადრატურის მსგავსია. ბევრი მკვლევარი ამას იმით ხსნის, რომ ცივილიზაციის წინსვლასთან ერთად ფულიც ვითარდება.

ქრესტომათიულ ნაშრომში „ეკონომიკა“, რომელიც პირველად 1948 წელს დაისტამბა და შემდგომ მრავალჯერ გამოიცა აშშ-სა და სხვა ქვეყნებში, პოლ სამუელსონი ფულს განსახდერავს, როგორც გაცვლის საშუალებას ან საანგარიშო ერთეულს, რადგან ორ ფუნქციას ის განმსაზღვრელად მიიჩნევს. მისი სიტყვებით, თანამედროვე ქაღალდის ფულს აქვს ღირებულება, რადგან მისი მიწოდება იზღუდება სახელმწიფოს მიერ, სწორედ ამიტომ ფულით „შეიძლება ნივთების ყიდვა დამოუკიდებლად რამენაირი ოქროსგან, ვერცხლისგან ან სახელმწიფო დაფარვისაგან“.⁵⁰ იმავე თვალსაზრისს იზიარებს ფულის პრობლემების თვალსაჩინო ინგლისელი სპეციალისტი ლ. ჰარისი. ფულს ის თვლის საზოგადოებრივ ფენომენად: „თავისთავად დოლარიანი ბილეთი – უსარგებლო ნივთია; ის იძენს ღირებულებას მხოლოდ იმიტომ, რომ საზოგადოება თავისი კანონებისა და ჩვეულებების მეშვეობით ანიჭებს მას მიმოქცევის საშუალებად ფუნქციონირების უნარს“.⁵¹

⁵⁰ Самуэльсон П. Экономика: Вводный курс. М., Прогресс, 1964, с. 69.

⁵¹ Харис Л. Денежная теория. М., Прогресс, 1990, с. 82.

პ. პრუმანი და მ. ობსტფელდი საერთაშორისო ეკონომიკის პოპულარულ წიგნში ფულს განმარტავენ, როგორც „გადახდის ფართოდ მიღებულ საშუალებებს, რომელიც შეიძლება გადაეცეს მფლობელიდან მფლობელს დაბალი დანახარჯებით“, ან როგორც „ყველაზე ლიკვიდურ აქტივს“.⁵² რ.ლ. მილერისა და დ.დ. ვან-ჰუზის აზრით, ფული „ეკონომიკური სიკეთის ან იშვიათი საქონლის ძალზე სპეციფიკური სახეობაა. ჩვენ ვიყენებთ ფულს, რომ ვიყიდოთ სხვა საქონელი და მომსახურება, და ფულის ეს ფუნქცია ანიჭებს მას ღირებულებას“.⁵³

ფინანსური ბაზრის განვითარების თანამედროვე ეტაპზე გაძლიერდა ფულის საინფორმაციო ბუნება. კიდევ უფრო აქტუალური გახდა ფულის გაგება, როგორც ბაზრის ენისა, რადგან ის მთლიანობაში ეკონომიკის, ცალკეული რეგიონების, დარგების, იურიდიული და ფიზიკური პირების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის პროდუქტი გახდა. „ელექტრონული ფული – ეს უკვე ფულის ახალი ტიპია, ვირტუალური ფული, „ფული ფულის გარეშე“. შეუძლებელია მისი ხელში დაჭერა, დანახვა, შეგრძნება. ის მხოლოდ ჩანაწერია საბანკო კომპიუტერებში. ხოლო ამ ჩანაწერების მართვისათვის ყოველ ადამიანს ექნება ფულადი ანგარიშის გაკონტროლების საშუალება ელექტრონული ბარათის სახით. მისი დახმარებით ადამიანი მისცემს განკარგულებებს თავის ბანკს ამა თუ იმ ფულადი ოპერაციის შესრულებაზე. ანალოგიურად, იურიდიული პირები განკარგავენ თავის ანგარიშს ელექტრონულ-ქსელური სახსრებით“.⁵⁴

დღეისათვის ეკონომისტები გამოყოფენ ხუთ თვისებას, რომელსაც აუცილებლად უნდა ფლობდეს ფული: 1) გაყოფადობა – ფული ადვილად უნდა იყოფოდეს უფრო მცირე ნაწილებად; 2) პორტატულობა – იმისათვის, რომ ფული ფართოდ და მოხერხებულად გამოიყენებოდეს, იგი უნდა იყოს ადვილად გადასაცემი, გადასატანი, მიმოქცევადი, ჰქონდეს მცირე ზომა; 3) ხანგრძლივადიანობა – რათა არ დაკარგოს თავისი ღირებულება, ფული ფიზიკურად დღეგრძელი უნდა იყოს; 4) ცნობადობა – ფული მკაფიოდ უნდა იყოს გამოყოფილი სხვა ლიკვიდური აქტივებისაგან, ჰქონდეს საყოველთაო ლიკვიდობა და ადვილად ამოცნობოდეს; 5) სტანდარტიზებულობა – ნებისმიერი ფულადი ერთეული ხარისხით უნდა შეესაბამებოდეს სხვა ფულად ერთეულს.

ფასების დონეზე ფულადი მასის ირიბი ზემოქმედების მექანიზმი პირველად ინგლისელმა ეკონომისტმა ტორნტონმა აღწერა. მნიშვნელოვანი წვლილი ფულის რაოდენობრივი თეორიის განვითარებაში ამერიკელმა ეკონომისტმა ირ. ფიშერმა შეიტანა. ფიშერისაგან განსხვავებით, კემბრიჯის სკოლის ეკონომისტები (მარშალი და მისი მიმდევრები: პიგუ, რობერტსონი და სხვები) ყურად-

⁵² Круман П., Обстфальд М. Международная экономика: Теория и политика. М., ЮНИТИ, 1997, с. 370.

⁵³ Миллер Г.Л., Ван-Хуз Д.Д. Современные деньги и банковское дело. М., ИНФРА-М, 2000, с. 3.

⁵⁴ Юровецкий В.М. Денежное обращение в эпоху перемен, научно-практическое пособие. М., 2007, с. 437.

დებას ამხვილებდნენ არა ფულის მიმოქცევაზე, არამედ მათ დაგროვებაზე მეურნე სუბიექტებთან, „რეალური საკასო ნაშთების” ანალიზზე.

ფიშერის ტრანსაქციური სკოლის ნაცვლად, რომელიც დაფუძნებულია ფულის მიმოქცევის სისწრაფეზე საქონელგაცვლით გარიგებებში, შემოთავაზებულ იქნა შემოსავლებში ფულის მიმოქცევის სისწრაფის ახალი კონცეფცია, რომელიც ნაღდი ფულის დახარჯულ შემოსავლებად გარდაქმნის პროცესს ასახავს. კოეფიციენტი K , როგორც ფულის მიმოქცევის სისწრაფის უკუსიდიდე

($K = \frac{1}{V}$), გამოხატავს თანაფარდობას ხარჯებსა და საკასო ნაღდ ფულს შო-

რის, სადაც V – ფულის მიმოქცევის სისწრაფვა შემოსავლების მიმართ. ეს მიდგომა ნიშნავს, რომ ფასების ცვლილება უკუპროპორციულია სისწრაფისა, რომლითაც ხდება საკასო ნაღდი ფულის აღდგენა მისი შემცირების შემდგომ გაწეული დანახარჯების შედეგად.

კემბრიჯის ეკონომისტების იდეები განავითარა ჯ. მ. კეინზმა. ამასთან, კეინზი არა მხოლოდ ფულის რაოდენობრივი თეორიის კრიტიკით და მისი ძირითადი პოსტულატების სრული უარყოფით გამოვიდა, არამედ შეიმუშავა პრინციპულად ახალი მიდგომა, რაც წარმოების ფულადი თეორიის შექმნით გამოიხატა.

XX საუკუნის 50-იანი წლებიდან შეიმჩნევა ფულის რაოდენობრივი თეორიისადმი ინტერესის გაღვივება მ. ფრიდმენისა და მისი მიმდევრების ნაშრომების წყალობით. კეინზიანური თეორიისაგან განსხვავებით, ფული მონეტარისტების მიერ განიხილება როგორც არა მხოლოდ ფინანსური, არამედ, როგორც ყველა სხვა სახეობის აქტივების სუბსტიტუტი. ისინი უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევენ მიმოქცევაში ფულის რაოდენობის გაკონტროლებას, ვიდრე პროცენტის ნორმისა და კრედიტის მოცულობისას.

საბაზრო ეკონომიკაში ფულის მნიშვნელოვანი როლი მოითხოვს არა მხოლოდ მისი არსისა და ფუნქციების განსაზღვრას, არამედ მის რაოდენობრივად გაზომვასაც. თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში განასხვავებენ ფულადი მასის გაზომვისადმი ორ მიდგომას: ტრანსაქციურსა და ლიკვიდურს.

ტრანსაქციური მიდგომით, ფულად მასად მიჩნეულია – ნაღდი და უნაღდო ფულადი სახსრები, რომელიც გამოიყენება მიმოქცევისა და გადახდის სახსრების ფუნქციით; მიმოქცევისა და გადახდის საყოველთაოდ მიღებული საშუალებების ერთობლიობა. ლიკვიდური მიდგომის თვალსაზრისით კი, ფულადი მასის შემადგენლობაში ჩაირთვება მაღალლიკვიდური აქტივები, რომლებიც სწრაფად შეიძლება გადაიქცეს ფულად, რათა შეასრულოს მიმოქცევისა და გადახდის ფუნქციები რომ შეასრულოს, ამასთან, ეს გაცვლა უნდა შედგეს ნომინალური ღირებულების დაკარგვისა და არსებითი დანახარჯების გარეშე.

ცენტრალური ბანკები ფულადი მასის გაზომვისას იყენებენ როგორც ტრანსაქციურ, ისე ლიკვიდურ მიდგომას, რომელთაგან პრიორიტეტი იმას ენიჭება, რომელიც უზრუნველყოფს ფულადი მასის ეფექტიანი რეგულირების შესაძლებლობას საერთო ეკონომიკური მიზნების მისაღწევად. პრიორიტეტის

დადგენა აისახება ფულადი მასის სტრუქტურასა და ფულად-საკრედიტო რეგულირების ძირითადი ობიექტის არჩევანზე.

ერთიანი უნიფიცირებული საერთაშორისო სტანდარტი იმის თაობაზე, თუ რა უნდა ჩავართოთ ფულად მასაში, არ არსებობს. საერთაშორისო საფინანსო სტატისტიკის მიერ აღიარებული ერთადერთი ფულადი აგრეგატი – ეს არის ფართო ფული, ანუ ფინანსური აქტივები, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს გადახდისა და დაგროვების საშუალების სახით.

ქვეყნის ფულადი მიმოქცევის მოწესრიგების მიზნით სახელმწიფომ, შესაძლებელია, ფულის რეფორმა გაატაროს, რომლის წარმატების საწინდარია: პოლიტიკური სტაბილიზაცია ქვეყანაში; მოსახლეობისა და მეწარმეების ნდობა მთავრობისა და ეროვნული ბანკის მიერ გატარებული პოლიტიკის მიმართ; ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის პირობების შექმნა; ემისიაზე უარის თქმა ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვის მიზნით; ბანკებისადმი ნდობის აღდგენა და საკრედიტო ფორმით ფულადი სახსრების დაგროვების მიმზიდველი პირობების შექმნა; საკმარისი ოქროსავალუტო რეზერვების არსებობა, რაც შესაძლებელს ხდის შევინარჩუნოთ ვალუტის კურსის სტაბილურობა, სასაქონლო და ფულადი მასის დაბალანსებულობა.

დღეისათვის, განვითარებულ ქვეყნებში ფულის რეფორმები ჩანაცვლებულია ანტიინფლაციური პროგრამებით, სტაბილიზაციის სხვადასხვა გეგმისა და ცენტრალური ბანკების მიერ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარების ჩარჩოებში.

XX საუკუნის ბოლოდან ფულადი რეფორმების უმეტესობა დაიყვანებოდა ფულადი სისტემების ნაწილობრივ გარდაქმნაზე, რასაც ლოკალური ხანმოკლე ეფექტი ჰქონდა, რადგან გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პირობებში, მსგავსი ხასიათის ღონისძიებათა გატარებაზე არსებით გავლენას ახდენს საგარეო ეკონომიკური ფაქტორები.

ფულადი ბაზრის მაჩვენებლები – სავალუტო კურსები, ფულადი აგრეგატები და სხვ. გამოიყენება ისეთი მოვლენის დასახასიათებლად, როგორცაა ინფლაცია. ამასთან, გაითვალისწინება, რომ ფულის მსყიდველობითუნარიანობა ფასის ზრდის უკუპროპორციულია, ხოლო ვალუტის კურსის სიდიდე, განიცდის რა ბევრი ფაქტორის ზემოქმედებას, შეიძლება მიმდინარე მომენტში არ ასახავდეს ინფლაციის ნამდვილ ტენდენციებს.

ინფლაციის ძირითადი დამანგრეველი შედეგია ფასების ზრდის არათანაბარზომიერება, რაც მძლავრ მადესტაბილიზებელ ფაქტორად გადაიქცევა.

1989 წლიდან, რიგ განვითარებულ ქვეყანაში გამოიყენება ინფლაციური ორიენტირების დადგენა (inflation targeting), როგორც ინფლაციის დაბალ დონეზე შენარჩუნების საშუალება, რომელიც იმავდროულად უზრუნველყოფს ეკონომიკური ზრდის აუცილებელ ტემპებსა და უმუშევრობის დაბალ მაჩვენებელს.

ინფლაციური ორიენტირების გამოყენება არ შეიძლება ფიქსირებული სავალუტო კურსის პირობებში, რომლის დროსაც ფულადი პოლიტიკა ეგზოგენურია, ანუ გრძელვადიან პერსპექტივაში უბრალოდ არ არსებობს. მოქმედებს

ერთი ფასის კანონი – საქონელთა ფასები შიდა ბაზარზე ტოლია მათი ფასებისა სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში, გამრავლებული სავალუტო კურსზე. შიდა ინფლაცია ტოლია ინფლაციისა ქვეყანა-პარტნიორებში, შეწონილი თითოეული ამ ქვეყნის წილის მიხედვით მოცემული ქვეყნის ვაჭრობის მთლიან მოცულობაში. ეკონომიკებში, სადაც არსებითია დოლარის გაყვანა, ინფლაციური ორიენტირების შემოდგომის მცდელობამ შეიძლება არ გაამართლოს, რამდენადაც ფულადი პოლიტიკა მნიშვნელოვანწილად საზღვარგარეთიდან არის თავსმობეჭეული.

სერიოზული მაკროეკონომიკური პრობლემა შეიძლება იყოს დეფლაციაც – ეკონომიკაში ფასების საერთო დონის ხანგრძლივი დაცემა, რომელიც იმისდამიუხედავად გრძელდება, რომ საპროცენტო განაკვეთი ნულამდე შემცირდა; განსაკუთრებით მაშინ, თუ ის ერთობლივი მოთხოვნის შემცირებითაა გამოწვეული. ეცემა ფასების ერთობლივი ინდექსი, იზრდება დაუტვირთავი სიმძლავრეები, ეცემა ფასები საცხოვრებელსა და აქციებზე, სხვა აქტივებზე, მცირდება კრედიტზე მოთხოვნა. დეფლაციის დროს სახელმწიფო და კორპორაციული ვალის მომსახურების ხარჯები იზრდება, ასევე იზრდება გაკოტრებათა რიცხვი და გადაუხდელი ხესხების რაოდენობა, რამაც შესაძლოა საბანკო კრიზისი გამოიწვიოს.

„სწორედ იმის გამო, რომ ბაზარი ირაციონალურია... შესაძლოა გადაიზარდოს მსხვილმასშტაბიან კრიზისში, რასაც, როგორც წესი, მოჰყვება მოთხოვნის შემცირება, რაც, თავის მხრივ, იწვევს წარმოების შემცირებას, უმუშევრობის ზრდას და, აქედან გამომდინარე, გადახდისუნარიანი მოთხოვნის შემცირების გამო, ფასების შემცირებას, ანუ დეფლაციასაც. ეს კი კრიზისის ყველაზე არასასურველი შედეგია ხელისუფლებისათვის, რადგანაც ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში მწარმოებელი უკეთავეს ხელისუფლებას თამაში წესებს... ფინანსური კრიზისი მხოლოდ მაშინ გადაიზრდება ეკონომიკურ კრიზისში, როდესაც... არსებობს კრიზისში გადაზრდის პოლიტიკური ნება“.⁵⁵

ანტიდეფლაციური ზომები გულისხმობს ინფლაციური მიზნის სწორ დადგენას, მასტიმულირებელ ფისკალურ და ფულად პოლიტიკას, სავალუტო კურსის დევალვაციასა და სტრუქტურულ რეფორმებს.

ღია თოთლაძე

**ინფლაციის ეკონომეტრიკული მოდელირების
ზოგიერთი ასპექტის შესახებ**

ინფლაცია უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური მაჩვენებელია, რომლის დინამიკაც არსებით ზეგავლენას ახდენს მთლიანად ეკონომიკაზე. ზოგადად,

⁵⁵ თ. აქუბარდია, ეკონომიკური კრიზისის ფინანსური და პოლიტიკური მდგენელი, თბ., 2009, გვ. 53.

ინფლაციური პროცესები მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის დამახასიათებელი მოვლენაა. მნიშვნელოვანი ის არის, რა რაოდენობრივი გამოხატულება აქვს მას. ინფლაცია მრავალფაქტორული მანკენებელია. ინფლაციის, როგორც პროცესის შესწავლა კომპლექსურად, მისი ცვლილების კონიუნქტურის ანალიზის საფუძველზე მეტად აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. მისი ვარიაცია დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე, რომელთა ცვლილებაც განაპირობებს ინფლაციის დინამიკის ცვლილების ტენდენციას.

ინფლაციური პროცესების შესწავლა უცხოური და სამამულო ლიტერატურის გათვალისწინებით, გვიჩვენებს, რომ არსებობს მთელი რიგი მონეტარული და არამონეტარული ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ინფლაციის დინამიკაზე. მათ შორის აღსანიშნავია: ეროვნული ვალუტის კურსი; ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთი; მონეტარული აგრეგატები; სამრეწველო წარმოების მოცულობა; ნომინალური საშუალო ხელფასი; ბიუჯეტის დეფიციტი.

მისი აქტუალობიდან გამომდინარე, მეცნიერ-ეკონომისტთა მხრიდან საკმაოდ ბევრი იყო ინფლაციის მოდელირების მცდელობები. უნდა აღინიშნოს, რომ ინფლაციის ფენომენის ახსნისას მკვლევარები პოლარულად განსხვავებულ დასკვნებამდე მიდიან. ინფლაციური პროცესების ნებისმიერი კონცეფცია, ნებისმიერი ახსნა გულისხმობს ეკონომიკური პოლიტიკის რიგ ღონისძიებებს. უმთავრესი კი არის ის, რომ ინფლაცია ძირითად მაკროეკონომიკურ მანკენებლებთან კავშირში უნდა იქნეს განხილული.

XX საუკუნის 90-იან წლებში საკმაოდ პოპულარული იყო ფედერალური სარეზერვო სისტემის თანამშრომელთა ი. ჰოლმანის, რ. პორტერისა და დ. სმოდის მიერ შემუშავებული ე. წ. P^* მოდელი. ამ მოდელის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს $MV \equiv PY$ იგივეობა. იგი ითვალისწინებდა როგორც მონეტარული, ასევე არამონეტარული ფაქტორების ზეგავლენას ინფლაციურ პროცესებზე.

ინფლაციის ეკონომეტრიკული მოდელირების პროცესში მნიშვნელოვანია განისაზღვროს სწორედ მანკენებლები, რომლებიც მნიშვნელოვანწილად განაპირობებენ ინფლაციურ პროცესებს. ამავდროულად, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგიერთი მათგანის რაოდენობრივი გამოსახვა შეუძლებელია, თუმცა მათი გავლენა ინფლაციაზე შესაძლებელია ძალიან დიდიც იყოს (მათ შორის გასათვალისწინებელია პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ხასიათის ფაქტორთა ზემოქმედება). მეცნიერ-მკვლევართა შორის ამ საკითხისადმი ერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება არ არსებობს.

ზოგიერთი მათგანი განიხილავს მხოლოდ მონეტარულ ფაქტორთა გარკვეულ ჯგუფს. მაგალითად, ა. მაკედონსკის მიერ აგებულ ინფლაციის ეკონომეტრიკულ მოდელში დამოუკიდებელ ფაქტორ-ცვლადებად განიხილება ფულის მასა (აგრეგატი $M0$), სავალუტო კურსი და საბიუჯეტო სისტემის დეფიციტი. თუმცა, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ბიუჯეტის დეფიციტი ინფლაციასთან

მიმართებაში განხილული უნდა იქნეს მხოლოდ, როგორც თვისებრივი მანკენებელი, ვინაიდან არ არსებობს მჭიდრო კორელაციური კავშირი ინფლაციასა და ბიუჯეტის დეფიციტს შორის.

ინფლაციურ პროცესთა ეკონომეტრიკული ანალიზისას ყურადღება უნდა გამახვილდეს მიზეზშედეგობრივ კავშირებზე ინფლაციასა და მის გამომწვევ ფაქტორებს შორის. ეს იმითაა განპირობებული, რომ, ზოგ შემთხვევაში, ეს კავშირები არა მხოლოდ პირდაპირია, არამედ ორმხრივიც. მაგალითად, ინფლაციასა და სავალუტო კურსის დინამიკას შორის კავშირი არაერთგვაროვანია.

ინფლაციური პროცესების ანალიზის დროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ქვეყანაში არსებული საშუალო ხელფასი, მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს შრომის ანაზღაურების საშუალო სიდიდეს. ამიტომ, ინფლაციის ეკონომეტრიკულ მოდელში, ზოგ შემთხვევაში, ამხსნელ ცვლადად შესაძლებელია ეს მაჩვენებელიც ჩაირთოს, თუმცა, არ არსებობს ერთიანი მიდგომა, თუ რამდენადაა საშუალო ხელფასი ამხსნელი ფაქტორი ინფლაციის მოდელირების პროცესში. ზოგი ეკონომისტი მას უმნიშვნელო ფაქტორად მიიხსენებს, ზოგიერთი კი საკმაოდ წონად მაჩვენებლად. ა. ციპლაკოვის მიერ აგებულ ინფლაციის ეკონომეტრიკულ მოდელში ამხსნელ ცვლადებად განხილულია ფულის აგრეგატები (როგორც M0, ასევე M2), საშუალო ხელფასი და ვალუტის კურსი. ამ მოდელის გათვლის შედეგად გამოვლინდა, რომ ყველაზე აღეკვადური ფაქტორი აღმოჩნდა საშუალო ხელფასის დონე.

ეკონომეტრიკული მოდელირების პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზი წარმოადგენს. მოდელირების შედეგები დიდადაა დამოკიდებული ინფორმაციის საიმედოობასა და სისწორეზე. ინფლაციასა და მის განმაპირობებელ ფაქტორებს შორის კავშირების რაოდენობრივი შეფასება საშუალებას იძლევა განზოგადდეს და კორექტირდეს გავრცელებული დასკვნები ინფლაციის ბუნებისა და მექანიზმის შესახებ.

ნატო კაკაშვილი

საბანკო სისტემა და ფულის მიმოქცევა

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ცენტრალური ბანკის საშუალებით სახელმწიფო აწარმოებს ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება სახელმწიფოს ამოცანებს ეკონომიკის განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე და წარმოადგენს ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც მიმართულია მიმოქცევაში მყოფი ფულის მასისა და კრედიტების მოცულობის ცვლილებაზე; საპროცენტო განაკვეთების დონეზე; ეკონომიკური ზრდის; ინფლაციისა და უმუშევრობის დაბალი დონის მიღწევაზე. საქართველოს ეროვნული ბანკის კანონში ხაზგასმულია მათი პასუხისმგებლობა ფულადი მიმოქცევის სტაბილურობისა და ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილურობისათვის.

უცხოურ ეკონომიკურ ლიტერატურაში ფულად-საკრედიტო პოლიტიკა განიხილება როგორც ვიწრო, ასევე ფართო გაგებით, ვიწრო გაგებით, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა განაპირობებს ეროვნული ვალუტის სტაბილურობას სავალუტო ინტერვენციების წარმოებისა და სააღრიცხვო განაკვეთის დონის შეცვლით, ხოლო ფართო გაგებით, უშუალოდ ახდენს მიმოქცევაში არსებული ფულადი მასის მოცულობაზე ზეგავლენას. ზემოქმედების ეს საშუალებები ურთიერთკავშირშია და ურთიერთგანპირობებული.

სახელმწიფოს საკუთრების წილი ცენტრალური ბანკის კაპიტალში უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს, რომელიც განსაზღვრავს მის ადგილს ქვეყნის ეკონომიკაში, რაც, ძირითადად, დამოუკიდებელია სახელმწიფოსაგან. მაშასადამე, სახელმწიფოს მონაწილეობა ცენტრალური ბანკის კაპიტალში უფრო პრესტიჟისა და ტრადიციების საქმეა. მაგალითად, იტალიის ცენტრალური ბანკი, მიუხედავად იმისა, რომ ბანკებისა და სადაზღვევო კომპანიების საკუთრებაშია, მაინც დამოკიდებულია სახელმწიფო ორგანოებზე. სახელმწიფოსაგან ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის განმსაზღვრელ **მეორე ფაქტორს** წარმოადგენს ბანკის ხელმძღვანელობის დანიშვნის პროცედურა. ამ ნიშნით ცენტრალური ბანკები ქვეყნების მიხედვით შეიძლება ასე დაჯგუფდეს:

პირველი ჯგუფის ქვეყნებია, სადაც ბანკის პრეზიდენტი და დირექტორატის წევრები მთავრობის მიერ არიან დანიშნული; ამ ჯგუფს მიეკუთვნება ავსტრია, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, აშშ, საფრანგეთი, გერმანია, იაპონია.

მეორე ჯგუფის ქვეყნებში ცენტრალური ბანკის პრეზიდენტს ნიშნავს ბანკის მმართველთა საბჭო; შემდგომ ეს დანიშვნა უნდა მოიწონოს მინისტრთა საბჭომ და დაამტკიცოს პრეზიდენტმა (ამ ჯგუფს განეკუთვნება იტალია).

მესამე ჯგუფის ქვეყნებში ცენტრალური ბანკის მიერ წარმოდგენილ კანდიდატურას ნიშნავს მინისტრთა საბჭო (ნიდერლანდები).

განვითარებული ქვეყნების უმეტესობაში ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელობა არ შეიძლება ვადაძლე ადრე იქნეს დათხოვნილი. გამონაკლისია იტალიის, რუსეთისა და საფრანგეთის ცენტრალური ბანკები.

მესამე ფაქტორი, რომელშიც აისახება ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობა, არის კანონმდებლობაში მისი მიზნების და ამოცანების განსაზღვრის ხარისხი. ამით დადგენილია, ერთი მხრივ, ცენტრალური ბანკის მოქმედების თავისუფლების ჩარჩოები, მეორე მხრივ კი საკანონმდებლო წესით განსაზღვრულია მისი რწმუნებულება. ასე მაგალითად, ავსტრიაში, დანიაში, საფრანგეთში, შვეიცარიაში, გერმანიაში და იაპონიაში ცენტრალური ბანკის მოქმედების სფერო და მთავარი მიზნები ასახულია კონსტიტუციაში ან ვრცლად არის გადმოცემული ცენტრალური ბანკისა და საბანკო მოქმედების კანონებში. გერმანიაში ცენტრალური ბანკის ფუნქციონირების მიზნები და სფერო განსაზღვრულია კონსტიტუციით, რომელიც გერმანიის ფედერალური ბანკის ძირითად ამოცანას განსაზღვრავს, როგორც ეროვნული ვალუტის სტაბილურობის უზრუნველყოფას.

ისეთ ქვეყნებში, როგორცაა აშშ, იტალია, შვედეთი, კანონმდებლობაში ცენტრალური ბანკის ამოცანები მხოლოდ ზოგადადაა განსაზღვრული.

ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის განმსაზღვრელი **მეოთხე ფაქტორია** სახელმწიფო ორგანოების ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში ჩარევის უფლება, რაც საკანონმდებლო გზით არის განსაზღვრული.

დამოუკიდებლობის ყველაზე დაბალი დონით გამოირჩევა საფრანგეთის, იტალიის ცენტრალური ბანკები: ფულად-საკრედიტო პოლიტიკის საკანონმდებლო სახით განსაზღვრა აქ სახელმწიფოსათვის არის გადაცემული; ცენტრალური ბანკი არის მხოლოდ კონსულტანტი და მან მთავრობის გადაწყვეტილებანი უნდა შეასრულოს.

დიდ ბრიტანეთში, ნიდერლანდებში, შვედეთსა და იაპონიაში კანონმდებლობით განსაზღვრულია ცენტრალური ბანკის პოლიტიკაში სახელმწიფო ორგანოების ჩარევის შესაძლებლობა.

კანონმდებლობის თვალსაზრისით, ავსტრიასა და დანიაში სახელმწიფო არ ერევა ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში, მაგრამ ცენტრალური ბანკმა თავისი პოლიტიკა მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკას უნდა შეუთანხმოს

გერმანიის და შვეიცარიის ბანკები საკმაოდ დამოუკიდებელი არიან, რადგანაც მათ კანონმდებლობაში აღნიშნულია მთავრობის ჩარევის უფლება ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში; გერმანული ფედერალური ბანკი (განსხვავებით აშშ-საგან) არ ექვემდებარება პარლამენტს.

ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის **მეხუთე ფაქტორია** მთავრობის დაკრედიტების კანონმდებლობაში არსებული შეზღუდვა.

ამ ნიშნით დამოუკიდებელია ავსტრიის, ნიდერლანდების, გერმანიის ცენტრალური ბანკები; დამოუკიდებლობის ნაკლები ხარისხია საფრანგეთსა და იაპონიაში, სადაც მთავრობის დაკრედიტების მოცულობა მთავრობის მიერ მტკიცდება და გათვალისწინებულია კანონმდებლობით.

ქვეყნების **მესამე ჯგუფს**, გარდა ნიდერლანდებისა, განეკუთვნება დანია, შვეიცარია, სადაც ფორმალურად არ არსებობს მთავრობის დაკრედიტების შეზღუდვა, რაც მოწმობს ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობაზე სახელმწიფოსაგან. აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში სახელმწიფოსადმი კრედიტების მიწოდება მიმდინარეობს ღია ბაზარზე ცენტრალური ბანკის მონაწილეობით.

ამრიგად, ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის ეს ხუთივე ფაქტორი მიუთითებს მის ადგილზე განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში, მის გავლენაზე ეკონომიკურ პროცესებზე, მისთვის კანონით მინიჭებული რეგულირების საშუალებებზე, მთავრობისაგან მისი დამოუკიდებლობის ხარისხსა და ცენტრალური ბანკის განსაკუთრებულ როლზე ფულად-საკრედიტო სისტემაში.

ფულად-საკრედიტო საშუალებათა არჩევანი, რასაც უცხოეთის ქვეყნების ცენტრალური ბანკები იყენებენ, მეტად ფართოა. ეს დამოუკიდებელია ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებაზე, მისი ეკონომიკა ღიაა თუ არა, ტრადიციებსა და კონკრეტულ სიტუაციაზე. პირველ ეტაპზე ცენტრალური ბანკი პირდაპირ ერევა ფულად-საკრედიტო სფეროში: **პირველი**, კომერციული ბანკების

დეპოზიტური და საკრედიტო განაკვეთების ადმინისტრაციული რეგულირებით; **მეორე**, ბანკის მიერ თავისი კლიენტებისათვის კრედიტის მიცემის ზღვრული მოცულობების განსაზღვრით; **მესამე**, მინიმალური რეზერვების დონის შეცვლა. საბაზრო ურთიერთობების განვითარებასთან ერთად ხდება ფულადი მასის რეგულირების არაპირდაპირ მეთოდებზე გადასვლა.

ინფლაციური დონის შესამცირებლად, საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მიმართულია ეკონომიკური დაცემის შეწყვეტაზე, ფინანსური სტაბილიზაციის მიღწევასა და ამის საფუძველზე ეკონომიკაში პროზიტიური სტრუქტურული ძვრების მიღწევაზე, მთელი რიგი სოციალური პრობლემების გადაწყვეტაზე.

საქართველოს ეროვნული ბანკი განუხრელად იცავს ფულადი და სავალუტო პოლიტიკის ძირითად ორიენტირებს, ასევე არ დაუშვებს ჭარბ ფულად ემისიას.

მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს: **პირველი**, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფულად ბაზარზე ოპერაციების გაზრდა, რამაც, *ჩვენი აზრით*, უნდა უზრუნველყოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის უფრო ეფექტური რეალიზება; **მეორე**, ბანკთაშორისი საკრედიტო ბაზრის კონიუნქტურის სტაბილურობის უზრუნველყოფის ფაქტორი, როგორც საქართველოს ეროვნული ბანკის უფრო აქტიური პოლიტიკა ბანკების რეფინანსირებაში.

საპროცენტო განაკვეთების რეგულირების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი სახელმწიფო ობლიგაციებით აწარმოებდა აქტიურ ოპერაციებს. მიმდინარე წლისათვის შექმნილი საქართველოს მაკროეკონომიკური განვითარების ძირითადი პარამეტრები მოწმობს ყველა ობიექტური წანამდგვარების შენარჩუნებას, რათა შემდგომ სტაბილურად განვითარდეს საქართველოს საფინანსო ბაზარი და შესაძლებელი გახდეს ფულად-საკრედიტო რეგულირების რეალიზება სახელმწიფო ვალის მომსახურების საფასურის შესამცირებლად.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ფინანსური სტაბილიზაციის კურსის მხარდასაჭერად, ფულის შეთავაზების რეგულირება ეკონომიკაში იმ დონეზე უნდა აწარმოოს, რომელიც საკმარისი იქნება სამეურნეო მიმოქცევისა და წარმოების მოცულობის გაზრდისათვის პირობების შესაქმნელად; აგრეთვე, საქართველოს ეროვნული ბანკი დიდ ყურადღებას უნდა ანიჭებდეს ფინანსური ნაკადების ანალიზს საქართველოს ეკონომიკის სექტორების შორის.

თეა ლაზარაშვილი

ანტიინფლაციური ღონისძიებათა სისტემა და მისი ფუნქციონირების უმეტესიანობა საქართველოში

XX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულებში მსოფლიო ინფლაციის მნიშვნელოვანი შემცირება შეიმჩნეოდა, რაც განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში

გამოვლინდა, სადაც ინფლაციის საშუალო წლიური მაჩვენებელი 5%-ს შეადგენდა. ინფლაციური პროცესების შესუსტება მიღწეული იყო იმ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციური პროგრამების წყალობით, რომლებიც განვითარებად ქვეყნებში გატარდა. ვერ ვიტყვით, რომ ინფლაციის დეტერმინანტის სპექტრი განვითარებად, გარდამავალ და აგრეთვე ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების ჯგუფში მნიშვნელოვნად იყოს განსხვავებული. განვითარებულ ქვეყნებში ინსტიტუციური ფაქტორი, განვითარებადი ქვეყნებისაგან განსხვავებით, პრაქტიკულად არანაირ როლს არ თამაშობს ფასწარმოქმნაში. მთლიანობაში, ეკონომიკური თეორიის შესაბამისად, ინფლაციის დეტერმინანტები განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში შეიძლება შემდეგნაირად დაიყოს:

1. ნომინალური შოკები (მოთხოვნის შოკი): სახელმწიფო სექტორის დეფიციტი და ფულის მიწოდების ზრდა;
2. რეალური შოკები (მიწოდების შოკი): საწარმო-ტექნოლოგიური პროცესების, სავალუტო კურსისა და ეკონომიკური ზრდის გრძელვადიანი დეტერმინანტების ცვლილება;
3. ინერციული ფაქტორები: ეკონომიკური აგენტების მოლოდინის ზემოქმედება ფასებზე, აგრეთვე ფასებისა და ხელფასის სისხტეები;
4. ინსტიტუციური ფაქტორები.

აღსანიშნავია, რომ განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ინფლაციის ძირითად წყაროდ სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ემისიური დაფინანსება გამოდის. როგორც უკვე აღინიშნა, მაღალი ინფლაცია მსოფლიოში განვითარებად ქვეყნებში წარმატებული მაკროეკონომიკური პროგრამების წყალობით შეჩერდა. ყველაზე სანიმუშო პროგრამად აღიარებული იყო სტაბილიზაციის პაკეტები, რომლებიც შემუშავდა და რეალიზდა არგენტინაში, ბრაზილიაში, მექსიკაში, ჩილეში, ისრაელსა და თურქეთში. ყოველივე მათგანში რამდენიმე წლის განმავლობაში ჰიპერინფლაცია ფასისმიერ სტაბილიზაციაში გადაიზარდა. განვითარებადი ქვეყნების სტაბილიზაციის გამოცდილება კარგად გამოიყენეს გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებმა.

საქართველოში მოსალოდნელი ინფლაციური პროცესების დასარეგულირებლად საჭიროდ მიგვაჩნია, შემუშავდეს ანტიინფლაციურ ღონისძიებათა სისტემა და დაისახოს მისი პრაქტიკული რეალიზაციის ეფექტიანი გზები.

სახელმწიფოს მიერ ინფლაციურ პროცესთა დასარეგულირებლად სპეციალურ ლიტერატურაში 3 მთავარი გზაა ცნობილი: **პირველი, ესაა ინფლაციის საწინააღმდეგოდ მიმართული სტრატეგიის შემუშავება**, რომელიც ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მეთოდებს გულისხმობს. **მეორე გზაა ანტიინფლაციური ტაქტიკის შემუშავება**, რომელიც ფისკალური პოლიტიკის განხორციელებით ახდენს ინფლაციის ტემპების შემცირებით მათ სტაბილურ დონეზე შენარჩუნებას. **მესამე გზა კი გულისხმობს უბრალოდ ინფლაციასთან შეგუებას**, ანუ მის პირობებში ცხოვრებას. როდესაც სახელმწიფო გადაწყვეტს ინფლაციასთან ბრძოლას, იგი უნდა ეცადოს ჩაახშოს ინფლაციასთან დაკავშირებული ნეგა-

ტიური ეკონომიკური შედეგები. ინფლაციასთან ბრძოლა არ იქნება წარმატებული, თუ მხოლოდ მისი ნეგატიური შედეგების შემცირების მიმართულებით იქნება გატარებული ღონისძიებები. მისი დაძლევა თუ გვინდა, აუცილებელია, ამ ღონისძიებებთან ერთად, მოხდეს ინფლაციის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრა.

ანტიინფლაციური რეგულირების სტრატეგიული ზომები დროის ხანგრძლივ პერიოდს მოითხოვს და შემდეგ ძირითად ღონისძიებებს მოიცავს: ეროვნული ეკონომიკის ანტიინფლაციურ გარდაქმნას; მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებას; ადაპტიური ანტიინფლაციური მოლოდინის შემცირებას; ბიუჯეტის დეფიციტის აღმოფხვრას; მონოპოლიზმთან ბრძოლას; ეკონომიკის რესტრუქტურისაციას; სამხედრო ხარჯების შემცირებას.

ტაქტიკური ხასიათის ზომები კი, პირიქით, მიმართულია ინფლაციასთან ბრძოლის მოკლევადიანი პერიოდისაკენ, რომელიც ორი გზით ხორციელდება:

1. მიწოდების სტიმულირების გზით: გაცვლის დენატურალიზაცია; პრივატიზაცია და აქციონირება; მასიური სამომხმარებლო იმპორტი; სახელმწიფო სტრატეგიული მარაგების ნაწილობრივი რეალიზაცია.

2. მოთხოვნის შემცირების გზით, რომელიც გულისხმობს დანაზოგების სტიმულირებას მაღალი საპროცენტო განაკვეთებით და სხვა შედეგატებით.

ინფლაციასთან ბრძოლას მაშინ აქვს ადგილი და შედეგი, როდესაც ხდება მისი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრა. ინფლაცია, როგორც ცნობილია, დაკავშირებულია სასაქონლო და ფულადი ბაზრების დეფორმაციასთან, რომლებიც იწვევენ ერთობლივი მოთხოვნის გაზრდას ერთობლივ მიწოდებასთან შედარებით, რის გამოც, სახელმწიფოს ანტიინფლაციური პოლიტიკა აუცილებლად უნდა განხორციელდეს **ორი ძირითადი მიმართულებით:** 1. ერთობლივი მოთხოვნის და 2. ერთობლივი მიწოდების რეგულირებით.

ამჟამად მსოფლიო პრაქტიკაში ანტიინფლაციური პოლიტიკის ორი ძირითადი მიმართულებაა ცნობილი: 1. კეინზიანური და 2. მონეტარული.

როგორი მიმართულებითაც არ უნდა იყოს გატარებული ანტიინფლაციური პოლიტიკა, ის ყველა შემთხვევაში ხორციელდება ფისკალური (საბიუჯეტო-საგადასახადო) და ფულად-საკრედიტო (მონეტარული) მექანიზმებით.

სახელმწიფოს ფისკალური (საბიუჯეტო-საგადასახადო) პოლიტიკა გულისხმობს გადასახადებითა და სახელმწიფო ხარჯებით მანევრირებას ეკონომიკაზე ზემოქმედების მოხდენის მიზნით. ფისკალური პოლიტიკის მექანიზმი ძირითადად მიმართულია ერთობლივი მოთხოვნის გადიდების ან შემცირებისაკენ საგადასახადო განაკვეთებისა და სახელმწიფო ხარჯების მოცულობის ცვლილების გზით, რაც შესაბამისად ზემოქმედებს ეკონომიკის მოცულობასა და ფასებზე. მოკლევადიან პერიოდში სახელმწიფო შესყიდვების გადიდება იწვევს ერთობლივი მოთხოვნის ზრდას და, შესაბამისად, წარმოების გაფართოებას, უმუშევრობის შემცირებას. სახელმწიფო შესყიდვების შეკვეცა კი, პირიქით, – წარმოების დაცემას და უმუშევრობის გაზრდას.

მიუხედავად უარყოფითი მხარეებისა, ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა დღესდღეობით ყველაზე მნიშვნელოვან ინსტრუმენტად რჩება საბაზრო ეკონომიკაზე სახელმწიფოს ზემოქმედების სფეროში. ისინი სახელმწიფო რეგულირების საკმაოდ ეფექტიან მეთოდად ითვლებიან. უნდა აღინიშნოს, რომ ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობა გაცილებით იზრდება, როდესაც იგი ტარდება შესაბამის ფულად-საკრედიტო (მონეტარულ) პოლიტიკასთან ერთად კომბინაციაში.

ანტიინფლაციურ ღონისძიებათა დაგეგმვისა და რეალიზაციის დროს აუცილებელია ინფლაციასა და სხვა მაკროეკონომიკურ ფაქტორებს შორის დამოკიდებულების გათვალისწინება. რაოდენობრივი კავშირები, რაც ვლინდება ინფლაციასა და მის განმსაზღვრელ სხვა მაკროეკონომიკურ ფაქტორებს შორის, თუნდაც დროის განსაზღვრული პერიოდისათვის, საშუალებას გვაძლევს, ზუსტად განვსაზღვროთ ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილება რა სახის ცვლილებებს გამოიწვევს. ამიტომ, ზუსტ მეცნიერულ კვლევაზე დაყრდნობილი ეკონომიკური პოლიტიკა უფრო ქმედითი და ეფექტური იქნება.

ნათია ლუკვაი

ეროვნული სადაზღვევო ბაზრის ჩამოყალიბების თავისებურებები და მონების დაზღვევის არსებული მდგომარეობა საქართველოში

დამოუკიდებლობის აღდგენის პირველი წლები საქართველოს ისტორიაში როგორც პოლიტიკურინ ისე ეკონომიკური თვალსაზრისით ყველაზე მძიმე და რთული წლები იყო. საქართველოში ეკონომიკური კრიზისი უცბად არ წარმოშობილა და მისი საგანგაშო ნიშნები ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნის პერიოდში გამოვლინდა. საბჭოთა კავშირის ეკონომიკის დაცემა ამ ეს უკანასკნელი სრულ კრიზისამდე მიიყვანა.

90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში დაწყებული ეკონომიკური და სოციალური რეფორმების ორგანულ და აუცილებელ შედეგს და გაგრძელებას წარმოადგენდა 1997 წელს დაწყებული რეფორმა ქვეყანაში ცივილიზებულ პრინციპებზე დაფუძნებული სადაზღვევო სისტემის ჩამოყალიბებისა და შემდგომი განვითარების მიზნით. უნდა აღინიშნოს, რომ დროის მოკლე პერიოდში საქართველოში, პირველ რიგში, შეიქმნა დაზღვევის მარეგულირებელი ის აუცილებელი პირველადი საკანონმდებლო ბაზა, რომლის არსებობის გარეშე შეუძლებელია თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოებული სადაზღვევო ინფრასტრუქტურის ფორმირება და ფუნქციონირება. ბუნებრივია, დღეისათვის არსებული კანონმდებლობა არ არის იდეალურად სრულყოფილი, მაგრამ მიმდინარეობს სისტემური მუშაობა მისი დახვეწისა და თანამედროვე მოთხოვნებთან მისადაგების მიზნით. თავის მხრივ კი, საკანონმდებლო ბაზა გულისხმობს მთლიანად სადაზღვევო ინფრასტრუქტურისა და მისი შემადგენელი თითოეული ელემენტის (სადაზღვევო კომპანიები, დაზღვევის მომხმარებლები, არასამ-

თავრობო, მათ შორის საგანმანათლებლო ორგანიზაციები, სახელმწიფო ორგანოები, დაზღვევის დამხმარე საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტები და სხვა) განვითარებას, ურთიერთთანამშრომლობასა და პარმონიზაციას.

საქართველოს კანონით „დაზღვევის შესახებ“ გაუქმდა ყველა ის სავალდებულო დაზღვევა, რომელიც ექსკლუზიურ ხასიათს ატარებდა და მონოპოლიზებული იყო სახელმწიფო დაზღვევის ხელში. საბიუჯეტო ორგანიზაციებს ეკრძალებათ სადაზღვევო ორგანიზაციების დაფუძნება „დაზღვევის შესახებ“ კანონით. სადაზღვევო დაწესებულებათა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმად დასაშვებია მხოლოდ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და აქციონერული საზოგადოება.

საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 28 ივლისის №388 ბრძანებულებით, „საქართველოს სახელმწიფო სადაზღვევო კომპანია“ გარდაიქმნა კერძო სამართლის სუბიექტად, რომლის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა აქციონერული საზოგადოება. 2005 წლის 24 ივნისის გაუქმდა კანონი „სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევის“ შესახებ. სავალდებულო დაზღვევის ძირითადი სახეა 1997 წლის კანონი „სავალდებულო ავტომობილტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა“.

1997 წელს დაზღვევის სფეროში დაწყებული რეფორმის შედეგი იყო ამავე წელს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს ჩამოყალიბება. ეს არის დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანო, რომლის ძირითად ფუნქციად განსაზღვრულია სადაზღვევო ბაზრის ზედამხედველობა და სადაზღვევო ორგანიზაციების საქმიანობის კონტროლი. სამსახური 1999 წლიდან არის დაზღვევის ზედამხედველთა საერთაშორისო ასოციაციის (IAIS) წევრი. ამ უკანასკნელის როლი გამოიხატება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების საზედამხედველო სამსახურების კოორდინირებულ თანამშრომლობასა და მათ შორის ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და გაღრმავებაში.

საქართველოში საკუთრების ფორმირებისა და საკუთრებით ურთიერთობათა გაფართოების შედეგად, საქონელის ბაზართან ერთად, გარკვეულ ადგილს იკავებს სადაზღვევო ბაზარი. სადაზღვევო ბაზრის წარმოქმნა დაზღვევის კომერციულ საწყისებს უკავშირდება, როდესაც სადაზღვევო მომსახურებამ საქონლის ხასიათი მიიღო და ყიდვა-გაყიდვის საგანი გახდა.

საქართველოში დაზღვევა ხორციელდება ნებაყოფლობითი და სავალდებულო ფორმებით.

ნებაყოფლობითი დაზღვევა ხორციელდება მზღვეველსა და დამზღვევს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ნებაყოფლობით დაზღვევას ახორციელებს საქართველოს ნებისმიერი, ლიცენზირებული სადაზღვევო ორგანიზაცია.

სავალდებულო დაზღვევა არის დაზღვევის ისეთი ფორმა, რომლის დროსაც დაზღვევის ობიექტი, სახეობები და განხორციელების წესი განისაზღვრება შესაბამისი კანონით სავალდებულო დაზღვევის შესახებ. სავალდებულო დაზღ-

ვევას ახორციელებს საქართველოს ნებისმიერი, ლიცენზირებული სადაზღვევო ორგანიზაცია.

2005 წელს საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზარდა ბიზნესმენტა და-ინტერესება სადაზღვევო სისტემით. დღის წესრიგში დადგა საიმედო, გადახდის-უნარიანი კომპანიების საქმიანობის უზრუნველყოფა, რაც სახელმწიფო სადა-ზღვევო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანად იქცა. ამ მიზნით 2005 წელს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურმა მნიშვნელოვნად გაამკაცრა სადაზღვევო კომპანიებისათვის შესავსები მინი-მალური საწესდებო კაპიტალისადმი მოთხოვნები. მანამდე დაზღვევის ცალკეუ-ლი სახეობების მიხედვით განსაზღვრული მინიმალური საწესდებო კაპიტალის ოდენობა 500 ათასი-დან 1 მლნ ლარამდე მერყეობდა.

ასეთმა მიდგომამ გამოიწვია საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა გამ-სხვილების და შერწყმის პროცესის დაჩქარება, რის შედეგადაც სადაზღვევო ორგანიზაციების რაოდენობა 25-დან 14-მდე შემცირდა, სამაგიეროდ, მნიშვნე-ლოვნად გაიზარდა კომპანიების საქმიანობის ხარისხობრივი მაჩვენებელი.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს სადაზღვევო ბაზარი ფორმირებულია. არსებობს დაზღვევის პროდუქტის – სადაზღვევო მომსახურების ყიდვა-გაყიდ-ვისათვის საჭირო ატრიბუტები, არსებობს სადაზღვევო მომსახურების გამყიდ-ველი, რომელიც წარმოდგენილია სადაზღვევო კომპანიების სახით და მიყიდ-ველი, ასევე პოტენციური კლიენტები, რომლებიც წარმოდგენენ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, არსებობს ასევე ბაზრის რეგულირების საჭირო მექანიზმი – სამართლებრივი ბაზა, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველო-ბის სამსახური.

საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე ამჟამად მოქმედებს 14 სადაზღვევო კომპანია: სს „აღდაგი ბისიაი“; შპს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „იმე-ლი L International“; „აი სი ჯგუფი“; შპს „ვესტი“ (2004); შპს „ირაო“ (2004); „აიგ საქართველო“; „აონ ჯორჯია“; „არქიმედეს გლობალ ჯორჯია“; „კაპტო აი ბი სი“; „mai jorjia“; „სახალხო დაზღვევა“; „ჯი პი ჯგუფი“; „ჯიბიაი ჰოლდინგი“; „კოურ ჯგუფი“.

საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე არსებობს სადაზღვევო მომსახუ-რების 16 სახე: ქონების დაზღვევა; სიცოცხლის დაზღვევა; სამედიცინო დაზღვე-ვა; სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა; ავტომობილტრანს-პორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვე-ვა; საწყალოსნო სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა; გადაძირველთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა; ტვირთების დაზღვევა; უბედური შემთხვევისაგან დაზღვევა; საპენსიო დაზღვევა; სავალდებულო ხანძარსაწინა-აღმდეგო დაზღვევა; საჰაერო-სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა; ფინან-სური რისკების დაზღვევა; სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა; პროფე-სიული პასუხისმგებლობის დაზღვევა; ავტომობილტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის ნებაყოფლობითი დაზღვევა.

უნდა აღინიშნოს, რომ სადაზღვევო კომპანიების რაოდენობა ყოველ წელს იცვლება. მაგალითად, 2000 წელს ფუნქციონირებდა 18 კომპანია; 2001 წელს – 21; 2002 წელს – 27; 2003 წელს – 25; 2004 წელს – 17; 2005 წელს; 2008 წელს – 14.

2003 წელს სადაზღვევო კომპანიათა მიერ მოზიდულმა ჯამურმა სადაზღვევო პრემიამ შეადგინა 38416974 ლარი. 2004 წელს ეს მაჩვენებელი გაიზარდა და შეადგინა 45106267 ლარი, ანუ დაფიქსირდა 17,4%-იანი ზრდა. ანაზღაურებულმა ზარალმა 12630887 მლნ ლარი, ანუ მთელი ჯამური პრემიის 28,0% შეადგინა. 2008 წელს სადაზღვევო კომპანიების მიერ მოზიდული ჯამური პრემია 2007 წლის მაჩვენებელს აღემატება 55,95%-ით. სადაზღვევო საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ შუამავლები – აგენტები და ბროკერები.

2004 წლიდან საკმაოდ გაიზარდა საქართველოს სადაზღვევო ბაზრის მოცულობა, სადაზღვევო კომპანიების პროფესიონალიზმის დონე და საერთაშორისო ინტეგრაციის მიმართულებით საქართველოს სადაზღვევო ბაზარმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. სტატისტიკური მონაცემები საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ დაზღვევის უმეტეს სახეობაში აღინიშნება ძირითადი საფინანსო მაჩვენებლების გაუმჯობესება. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ გაცემულია 207 ლიცენზია, მათ შორის 194 – სადაზღვევო საქმიანობის და 13 სადაზღვევო საბროკერო საქმიანობის განხორციელებაზე.⁵⁶ დაზღვევის სახეობების მიხედვით სადაზღვევო ორგანიზაციების დაინტერესება ბაზრის ამა თუ იმ სეგმენტით შემდეგნაირად განაწილდა: 16 ლიცენზია გაიცა „ავტომობილტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის განხორციელებაზე“; 16 – „უბედური შემთხვევისაგან და ავადმყოფობისაგან დაზღვევაზე“; 14 – „ტერიტორიის დაზღვევაზე“; 13 – „ქონების დაზღვევაზე“; 10 – „საპაერო სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევაზე“; 12 – სამედიცინო დაზღვევაზე“; 13 – „პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევაზე“; 12 – „სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევაზე“; 16 – „სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევაზე“; 10 – „ავტომობილტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის ნებაყოფლობით დაზღვევაზე“; 8 – „სიცოცხლის დაზღვევაზე“; 13 – „ფინანსური რისკები“; 12 – „სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა“; 7 – „საწყალოსნო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევაზე“; 6 – „საპენსიო დაზღვევაზე“; 13 – „დაზღვევის სფეროში საბროკერო საქმიანობაზე“; 3 – „ვალდებულებათა შეუსრულებლობაზე პასუხისმგებლობის დაზღვევაზე“. 2004 წლის და 2008 წლის მონაცემები ცხადყოფს, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა დაინტერესება დაზღვევის ისეთი პროდუქტებით, როგორცაა: ქონების დაზღვევა, სამოქალაქო დაზღვევა, სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა და სამოქალაქო

⁵⁶ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური. საქართველოს სადაზღვევო ბაზარი და სახელმწიფოებრივი რეგულირება. თბ., 2005.

პასუხისმგებლობის დაზღვევა, თუმცა მათ შორის ქონების დაზღვევა პრიორიტეტს წარმოადგენს.

საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვას, ადამიანთა სიცოცხლის დაზღვევას თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს. მართალია ციფრობრივი მონაცემები გვიჩვენებს დაზღვევის სახეების მიხედვით ზრდის მაჩვენებლებს, თუმცა ზარალიანობის კოეფიციენტი ჯერ კიდევ მაღალია, განსაკუთრებით სიცოცხლის დაზღვევის და სამედიცინო დაზღვევის სფეროში, რასაც მოყვანილი ციფრობრივი მონაცემები ადასტურებს.

მთლიანად დაზღვევის სფეროში შეინიშნება სადაზღვევო ბაზრის ათვისების როგორც ხარისხობრივი, ასევე რაოდენობრივი მახასიათებლების ზრდის დადებითი ტენდენცია, რომლის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ის, რომ სადაზღვევო ორგანიზაციები კარდინალურად აუმჯობესებენ მენეჯმენტს. ასევე თანდათან იზრდება როგორც ორგანიზაციების, ასევე მოსახლეობის სადაზღვევო კულტურის დონე, რაც აუცილებელი წინაპირობაა ქვეყნის სადაზღვევო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის.

სადაზღვევო კომპანიების განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს გადაზღვევას.

გადაზღვევა წარმოადგენს ეკონომიკური ურთიერთობების სისტემას, როდესაც მზღვეველი აღებული სადაზღვევო ვალდებულებების ნაწილს შეთანხმების საფუძველზე გადასცემს სხვა მზღვეველს სადაზღვევო ოპერაციების რენტაბელობისა და საკუთარი ფინანსური მდგომარეობის უზრუნველყოფის მიზნით.

გადაზღვევის ბიზნესი არის საერთაშორისო ურთიერთობების ფორმა, რადგან გადაზღვევის ოპერაციებში ძირითადად რამდენიმე ქვეყნის სადაზღვევო ორგანიზაცია მონაწილეობს. ქართული სადაზღვევო კომპანიები გადაზღვევის მექანიზმს იყენებენ როგორც ქონებრივი, ისე პიროვნული რისკების დაზღვევის სფეროში. ქართული სადაზღვევო ბაზარი „დაპერობილი“ აქვთ ისეთ სადაზღვევო კომპანიებს, როგორიცაა: „Munich Re“; „Swiss Re“; „X“; „General Re“; „Coogne Re“; „Generally“; „Alliancz“; „Hannover Re“; „Reliance national“ და სადაზღვევო ბროკერებს: „J & H“; „MARSH & MCLLENNAN“; „HARRIS & DIXON“; „RIFAMS“.

საქართველოში არსებული ყველა სადაზღვევო კომპანია ახორციელებს გადაზღვევის ოპერაციებს.

სადაზღვევო ბაზრის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების ანალიზი ადასტურებს, რომ საქართველოში დაზღვევა თანდათან ცივილიზებულ სახეს იღებს, თანდათან იკვეთება მისი განვითარების ტენდენციები და დასტურდება მიმდინარე სადაზღვევო რეფორმების მიმართულების სისწორე, რომელიც დღითი დღე უახლოვდება საერთაშორისო მასშტაბით აპრობირებულ სადაზღვევო საქმიანობის ნორმებსა და სტანდარტებს.

საკრედიტო რისკის შეფასების ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი

დღეს, მსოფლიო ფინანსური კრიზისის პირობებში, კრედიტორის გადახდისუნარიანობის შეფასების სრულყოფის პრობლემატიკა აქტუალურია. ეს ამოცანა, მოცემულ მომენტში და მომავალში, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების პრობლემას უკავშირდება. გავრცელებული მიდგომების თანახმად, საწარმოს გადახდისუნარიანობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძველია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ მონაცემები მოცემულ მომენტში. 1999 წელს ბაზელის კომიტეტის მიერ ფინანსურად მდგრად ბანკებს უფლება მიეცათ, შეიმუშაონ და გამოიყენონ რისკების შეფასების საკუთარი მოდელები და მსესხებელ-საწარმოს კრედიტუნარიანობის შეფასებისთვის საკუთარი რეიტინგული შეფასება⁵⁷.

საკრედიტო რისკის შიდა რეიტინგული შეფასების სისტემა შემდეგი ეტაპებისგან შედგება:

1. აქტიური ოპერაციების კლასიფიკაცია;
2. რისკის კომპონენტების გამოყოფა, კერძოდ:
 - პორტფელში თითოეული საკრედიტო ინსტრუმენტის დეფოლტის ალბათობის გამოანგარიშება;
 - დეფოლტის დადგომის შემთხვევაში თითოეული საკრედიტო ინსტრუმენტის ზარალის განაწილების ალბათობის გამოანგარიშება;
 - პორტფელში თითოეული საკრედიტო ინსტრუმენტის დეფოლტის წარმოქმნისა და ზარალის სიდიდეს შორის კორელაციური დამოკიდებულების განსაზღვრა;
 - აქტიური ოპერაციებისთვის თანხის რაოდენობის დადგენა;
 - ვალდებულებების შესრულების ვადის დადგენა.
3. აქტივების წონის მნიშვნელობის გამოთვლა;
4. რისკის დონის მიხედვით აქტივების შეფასება;
5. რისკის დონის მიხედვით ბანკის აქტივების და საკუთარი საშუალებების შეფასება.

მსოფლიო გამოცდილებამ აჩვენა, რომ საწარმოს კრედიტუნარიანობის შესაფასებლად საკმარისია 100 ფინანსური კოეფიციენტის ნაცვლად 9 კოეფიციენტის გამოყენება. ამჟამად მსოფლიოში ცნობილი რეიტინგული სააგენტოები, როგორებიცაა: Dun&Bradstreet, Moody's, Standard&Poor's⁵⁸ იყენებენ რეიტინგის

⁵⁷ www.abg.org.ge

⁵⁸ <http://www.standardandpoors.com>

[www. www.moodys.com](http://www.moodys.com)

www.dunandbradstreet.com/

განსაზღვრის საკუთარ მეთოდებს. ყველა საერთაშორისო რეიტინგული კომპანია ძირითადად 4 სახის რისკის ინტეგრირებულ ინდექსს გამოყოფს: პოლიტიკურს, კომერციულს, მაკროეკონომიკურს და საგარეოს.

ძირითადი პრობლემა, ბანკის მიერ მსესხებელ-საწარმოს კრედიტუნარიანობის შეფასებისთვის, შიდა რეიტინგული სისტემის ან საკრედიტო რისკის შეფასების მათემატიკური მოდელის შექმნის დროს, არის სისტემის პარამეტრების განსაზღვრა. ბანკის შიდა საკრედიტო რისკის შეფასების მოდელი ეფექტური იქნება მხოლოდ მაშინ, როცა მოდელით ხდება საწარმო-მსესხებლის ფინანსური მდგომარეობისა და ვალდებულებების დეფოლტის ალბათობას შორის კავშირის დამყარება, საკრედიტო ინსტრუმენტების მონაცემების საფუძველზე მოდელის პარამეტრების განსაზღვრა და შეფასება. ბანკს საკრედიტო რისკის 100% დაზღვევა არ შეუძლია და, აგრეთვე, არ შეუძლია შეისწავლოს საწარმო-მსესხებელზე მოქმედი რისკები, ესენია: პოლიტიკური, დარგობრივი, სისტემური, ფორსმაჟორული, სუბიექტური.

ამის გათვალისწინებით ჩვენ ვთავაზობთ ბანკებს, საწარმო-მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასების შიდა მოდელს დაემატოს ლოგიკურ-ალბათური მოდელი, რომელიც არ მოითხოვს სტატისტიკურ მონაცემებს. ლოგიკურ-ალბათური მოდელის ალგორითმი, მსესხებელ-საწარმოს საკრედიტო რისკის დასადგენად, ზემოთ აღნიშნული 4 რისკ-ფაქტორის გათვალისწინებით შემდეგია:

სისტემა წარმოადგენს $Z = \{K_i / i \in [1, n]\}_{59}$, სადაც $\forall K_i$ მახვენებელი ან კარგია,

ან ცუდი. სისტემა შედგება $n=4$ მახვენებლისგან. სისტემის ორივე მდგომარეობა – ცუდი და კარგი, სულ იქნება $N=24$, საიდანაც $N-1=23$ სისტემა ერთ ცუდ ვარიანტს მაინც შეიცავს. ნებისმიერმა მახვენებელმა შეიძლება მიიღოს ორი საწინააღმდეგო მნიშვნელობა: „ერთი“, როცა იგი ნაკლებია ლოგიკურად რისკფაქტორის გარკვეულ მნიშვნელობაზე, ხოლო პირიქით “ნული”, თუ რისკ-ფაქტორის მნიშვნელობა მისაღებია და აღემატება R -ით, წინააღმდეგ შემთხვევაში 0 ასოთი.

საწარმო-მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის შესაძლო რისკის ალბათობის ჯამი ერთის ტოლი იქნება. იმის ალბათობა, რომ სისტემა t დროის განმავლობაში შეიძლება შეიცავდეს თუნდაც ერთ დამატებით რისკფაქტორს იქნება:

$$P_t\{A(Q)\}=1- \prod_{i=1}^n (p_i(R_i)), \quad (1)$$

$$\text{თუ } p_1=p_2=\dots=p_n=p, \text{ მაშინ } P_t\{A(Q)\}= \sum_{j=1}^n C_n^j p(Q)^j [(1-p(Q))^{n-j}] \quad (2)$$

⁵⁹ Солженцов Е.Д. Сценарное логико-вероятностное управление риском в бизнесе и технике. Издательский дом «Бизнес-принесса», Санкт-Петербург, 2004, 216 с.

პოლიტიკური სტაბილურობის ალბათობა $P_1(R) = 0.66;$	პოლიტიკური დესტაბილიზაციის ალბათობა $P_1(Q) = 0.34$
ფინანსური მდგარდობის ალბათობა $P_2(R) = 0.80;$	ფინანსური არასტაბილურობის ალბათობა $P_2(Q) = 0.20$
მაკროეკონომიკური სტაბილურობის ალბათობა $P_3(R) = 0.88;$	მაკროეკონომიკური არასტაბილურობის ალბათობა $P_3(Q) = 0.12$
საგარეო ეკონომიკურ-პოლიტიკური მდგომარეობის სტაბილურობის ალბათობა $P_4(R) = 0.70$	საგარეო ეკონომიკურ-პოლიტიკური მდგომარეობის არასტაბილურობის ალბათობა $P_4(Q) = 0.30$

გამოვიკვლიოთ ის სიტუაცია, როცა გაცემულ სესხზე მოქმედებს ზემოთ აღნიშნული 4 რისკფაქტორი და გამოთვლების შედეგად მივიღებთ⁶⁰, რომ:

$$\sum P_i \{ Y(0 \leq m < 4, 0 < k \leq 4) \} = 0.43 \text{ საერთო რისკის ალბათობა იქნება } 0.43.$$

გამოთვლებიდან გამომდინარეობს, რომ მსესხებელ-საწარმოზე გაცემულ სესხზე იმოქმედებს დამატებითი საკრედიტო რისკი 0.43, რომელიც აუცილებელია სესხის გაცემის დროს გაითვალისწინოს კრედიტ ოფიცერმა და საკრედიტო განყოფილების მენეჯერმა. ბანკებს ჩვენ ვთავაზობთ აგრეთვე ჩვენ მიერ ლოგიკურ-ალბათური მოდელირების ქართულენოვან ავტომატიზებულ ინფორმაციულ სისტემას⁶¹, რომლის მიზანია ავტომატიზებულად განხორციელდეს პროექტის რისკის მოდელირებასთან დაკავშირებული ყველა გაანგარიშება, სხვადასხვა პიპოთეზების საფუძველზე შესრულდეს მრავალვარიანტიული გაანგარიშებები – ფორმირებულ იქნეს პროექტის რისკის ვარიანტი პროექტის რეალიზაციაზე მოქმედი ფაქტორების გათვალისწინებით, და, ბოლოს, ვარიანტთა სიმრავლიდან ამოირჩეს მინიმალური რისკის მქონე ვარიანტი.

ჯამლექ შათირიშვილი
ნინო ხითარიშვილი

საბაზრო ეკონომიკა და ნოვაციური საბანკო პროდუქტები

⁶⁰ მუნჯიშვილი თ. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების ლოგიკურ-ალბათური მოდელი. თბილისი: თსუ. თსუ-ს შრომები, გამოყენებითი მათემატიკა და კომპიუტერული მეცნიერებები. 2005, №364 (24), გვ. 216-229.

⁶¹ მუნჯიშვილი თ. ლოგიკურ-ალბათობათა მეთოდით ეკონომიკური რისკების გაანგარიშებათა ავტომატიზაცია. ჟურ. მეცნიერება და ტექნოლოგიები. 2007, № 7-9, გვ. 11-16

ქართულ საბანკო სისტემაში

საბაზრო ეკონომიკა, რომელიც სულ უფრო იხვეწება და ვითარდება, შესაბამისად იწვევს ტექნიკისა და ტექნოლოგიების პერმანენტულ განვითარებას-სრულყოფას. ძველი იცვლება ახლით, ახალი კი – უახლესით. პროცესებისა და მოვლენების განვითარების ასეთი დაჩქარებული ტემპების პირობებში საბაზრო სუბიექტებს გადარჩენის ერთ-ერთ რეალურ გზად ცვლილებებისადმი სწრაფი ადაპტირების უნარი ესახებათ.

საბაზრო ეკონომიკის მზარდი მოთხოვნები არც საბანკო სექტორს ტოვებს უყურადღებოდ, რადგან საბანკო სისტემა საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთ ურთულეს, აუცილებელ და მგრძობიარე სფეროს წარმოადგენს. ასეთ რთულ პირობებში, როდესაც ბანკები არა მარტო ერთმანეთს, არამედ სპეციალიზებულ საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტებსაც უწევენ კონკურენციას, იძულებულნი არიან განახორციელონ კლიენტების უფრო ფართო ჯგუფების კვლევა, მომხმარებლის სურვილებისა და საჭიროებების გათვალისწინებით ახალი საბანკო პროდუქტების შექმნა და დანერგვა, ამიტომ ოცდამეერთე საუკუნე შეიძლება მივიჩნიოთ საბანკო მომსახურების ახალი სახეებისა და ექსპერიმენტების საუკუნედ.

ბაზარზე რეალიზებული ახალი საბანკო პროდუქტები და ტექნოლოგიები ინოვაციას (ინგ. Innovation – სიახლე, ნოვატორობა, ახალშემონადები) წარმოადგენს, ხოლო მათ დანერგვაზე გაწეული ხარჯები – “ინოვაციურ ინვესტიციას”.

საბანკო ინოვაცია შინაარსის მიხედვით მოიცავს: ა) ახალ საბანკო პროდუქტს, რომელიც პირველად გამოჩნდა საფინანსო ბაზარზე, ე.ი. მხოლოდ ერთ ბანკში; ბ) მოცემული ქვეყნისათვის ახალ საზღვარგარეთულ საბანკო პროდუქტს; გ) ახალ ფინანსურ ოპერაციებს.

საბანკო ინოვაცია დროს მოითხოვს და მთელ რიგ სტადიებს გადის, რომელთა ერთობლიობა მისი “სიცოცხლის ციკლს” შეადგენს.

დღეს მსოფლიოში აქტუალური და ნოვატორულია არაერთი საბანკო პროდუქტი და ინოვაცია, რომლებიც ფართოდაა გამოყენებული საბანკო საქმის წარმოებაში. ასეთი პროდუქტებიდან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს პლასტიკური ბარათი, რამდენადაც სწორედ პლასტიკური ბარათების გამოყენებაზე დაფუძნებული ელექტრონული ანგარიშსწორების სისტემის ფუნქციონირების მექანიზმი და იგი მოიცავს ბანკომატების მეშვეობით განხორციელებულ ოპერაციებს, სავაჭრო ორგანიზაციების, მოსახლეობის ანგარიშსწორების ელექტრონულ სისტემებს, ასევე კლიენტების საბანკო მომსახურების სისტემებს ბინაზე და სამუშაო ადგილზე.

ამჟამად საკრედიტო ბარათების საფუძველზე საბანკო მომსახურებას ახორციელებს ორასზე მეტი ქვეყანა, ხოლო საქონლისა და მომსახურების უნაღდო ანაზღაურება მრავალი ქვეყნის მთელი ფულადი ოპერაციების სტრუქტურაში 90%-ს აღწევს. ამიტომ საფუძვლადტენილი მყიდველი უკვე გაკვირვებას იწვევს. ამ ფონზე ასევე ანაქრონიზმად გამოიყურება ჩვეის წიგნაკიც.

საბანკო სისტემაში გამოყენებული ელექტრონული ბარათების რამდენიმე სახეობა არსებობს. მათგან ყველაზე უმარტივესია **მასსოვრობითი** ელექტრონული ბარათები, რომლებსაც მხოლოდ დამასოვრება შეუძლიათ. მიკროპროცესორული ბარათების მასსოვრობა გაცილებით აღემატება მაგნიტური ბარათების მასსოვრობას, რადგან მისი შედარება, შეჯამება და გადაწერა მრავალჯერაა შესაძლებელი. თუმცა მთელი მისი “ინტელექტუალური შესაძლებლობები” ტერმინალური მოწყობილობებითაა განპირობებული, რომელსაც შეუძლია ინფორმაციის შედარება და ჩაწერა ბარათის მეხსიერებაში.

მასსოვრობითი ბარათის გაუმჯობესებულ ფორმას წარმოადგენს **სმარტ-ბარათები**. რომელთა მიკროსქემა შეიცავს “ლოგიკას”. ისინი სწორედ ამით გამოიყოფიან ინტელექტუალური ბარათების ცალკე ჯგუფად. სმარტ-ბარათის მიკროსქემა წარმოადგენს მიკროკალკულატორს, რომელსაც უნარი აქვს პერსონალური კომპიუტერის მსგავსად შეასრულოს ანგარიში. თანამედროვე სმარტ-ბარათები სიმძლავრით შეგვიძლია 60-იანი წლების პერსონალურ კომპიუტერებს შევადაროთ.

სუპერსმარტ-ბარათი, რომლის ნიმუშია ფირმა Toshiba-ს მრავალმიზნობრივი ბარათი, იყენებენ “Visa”-ს სისტემაში. ჩვეულებრივი სმარტ-ბარათების შესაძლებლობების დამატებით, მას გააჩნია პატარა დისკლეი და მონაცემების შესაყვანი დამხმარე კლავიატურა. ეს ბარათი აერთიანებს საკრედიტო და სადებეტო ბარათებს, თანაც ასრულებს საათის, კალენდრის, კალკულატორის ფუნქციებს, ახორციელებს ვალუტის კონვერტაციის გაანგარიშებებს, ასევე შეიძლება მისი გამოყენება ჩანაწერებისათვის. სუპერსმარტ-ბარათები დღეს ფართოდ არაა გავრცელებული სიძვირის გამო, თუმცა მისი პერსპექტივები ეჭვს აღარ იწვევს.

მეორე მნიშვნელოვანი ინოვაციური პროდუქტია **დისტანციური საბანკო მომსახურება**, რომელიც კლიენტებს აძლევს საშუალებას, განახორციელონ საბანკო ოპერაციები ბანკში მიუსვლელად, ტელეკომუნიკაციების სხვადასხვა არხის გამოყენებით.

დღეისთვის შეიძლება გამოვეყნოთ დისტანციური საბანკო მომსახურების სისტემების **სამი** ყველაზე გავრცელებული სახეობა:

1. ტრადიციული სისტემები “**კლიენტი-ბანკი**”, რომელიც იყენებს პირდაპირ კავშირს ბანკთან მოდემით და ითვალისწინებს კლიენტის კომპიუტერზე სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის დაყენებას;

2. სისტემები “**ტელებანკი**” (**სატელეფონო ბანკინგი**) – საგადასახდელი და საინფორმაციო საბანკო მომსახურება ტელეფონით/ფაქსით, კომპიუტერული ტელეფონის გამოყენებით;

3. **ინტერნეტ-ბანკინგი** – საბანკო მომსახურებათა გაწვევის სისტემები ინტერნეტის საშუალებით, რომელთა გამოსაყენებლადაც კლიენტისათვის, როგორც წესი, არ არის აუცილებელი, ჰქონდეს სპეციალური პროგრამული უზრუნ-

ველეოფა და შეუძლია იმუშაოს თავის საბანკო ანგარიშთან ნებისმიერი კომპიუტერიდან, რომელიც ჩართულია ინტერნეტის ქსელში.

საბანკო ნოვაციების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახეობაა **ელექტრონული კომერციის საბანკო მომსახურება**. ელექტრონულ კომერციად, ფართო გაგებით, გულისხმობენ ბიზნესის სხვადასხვა სახეობას ინტერნეტის ქსელში, უშუალოდ ინტერნეტ-მომსახურებათა ჩათვლით (საიტების შემუშავება, პროვაიდერული მომსახურება, რეკლამა ინტერნეტით და ა.შ), ხოლო ვიწრო გაგებით, ელექტრონულ კომერციაში იგულისხმება საქონლისა და მომსახურებათა გაყიდვების განხორციელება ინტერნეტით.

ელექტრონული კომერციის საბანკო მომსახურება ვიწრო გაგებით მდგომარეობს მყიდველსა და გამყიდველს შორის უნაღდო ანგარიშსწორების უზრუნველყოფაში. ერთი მხრივ, ამ მიზნით ბანკს შეუძლია მომსახურება გაუწიოს ფიზიკურ პირებს (მყიდველებს), უზრუნველყოს მათი შენაძენის ასანაზღაურებლად ინტერნეტში საანგარიშსწორებო ინსტრუმენტების გამოყენება ან განახორციელოს გადახდები მათი ანგარიშებიდან მითითებული რეკვიზიტების მიხედვით. მეორე მხრივ, ბანკს ასევე შეუძლია მომსახურება გაუწიოს თავად ელექტრონულ მაღაზიებს ინტერნეტით გადასახდელების მიღების ორგანიზებაში გარკვეული ტექნოლოგიების საშუალებით.

ინტერნეტ-ბიზნესის საყოველთაო მიღებული ორი ძირითადი მოდელი არსებობს: **B2B** და **B2C**. მოდელი B2B (Business – to – Business) – ეს არის ურთიერთობები კომპანიებსა და მიმწოდებლებს, მწარმოებლებსა და მყიდველებს და სხვა კონტრაქტებს შორის. ხოლო მოდელი **B2C** (Business – to – Customer) გულისხმობს მომსახურებისა და საქონლის გაყიდვას საბოლოო მომხმარებლებზე, იქნება ეს კერძო პირი თუ კორპორაციული შემკვეთი. წამყვანი კონსალტინგური კომპანიების გამოკვლევათა თანახმად, მოდელი **B2B** სწრაფად ვითარდება და ახლო მომავალში ეკონომიკის ყველა დარგში გავრცელდება. რაც შეეხება **B2C** მოდელს იგი დიდი ხანია წარმატებით მუშაობს ონლაინურ ბაზარზე და მის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ფორმას ინტერნეტ-მაღაზია წარმოადგენს.

გასათვალისწინებელია, რომ შენაძენთა ნახევარზე მეტი ინტერნეტში უახლოეს დროში გადახდილი იქნება **ციფრული ფულის** დახმარებით, რომელიც წარმოადგენს ჩანაწერებს ანგარიშებზე ელექტრონულ საგადასახდელო სისტემებში. უკვე დღეისათვის ციფრული ფული (მაგ., Web Money) შეიძლება გამოვიმუშაოთ, დავხარჯოთ ინტერნეტ-მაღაზიებში, გადავირიცხოთ სხვა პირების ანგარიშებზე, მოვახდინოთ კონვერტირება უცხოურ კონვერტირებად ვალუტებში, ასევე მოვხსნათ ნაღდი სახით სპეციალურ გადამცემულ პუნქტებში ევროსა და აშშ დოლარებში. ციფრული ფულის ემიტენტები შეიძლება იყვნენ ბანკები და ნებისმიერი ფინანსური ორგანიზაციები, რომლებმაც შესაბამისი ლიცენზია მიიღეს.

გადახდის მეორე გავრცელებული ინსტრუმენტი ინტერნეტქსელში არის **საბანკო ბარათები**. უმსხვილესი საერთაშორისო საგადასახდელო სისტემები (Visa და Master Card) აქტიურად აეთარებენ პლასტიკური ბარათებით ანგარიშსწორების საკუთარ სისტემებს ინტერნეტში. ამავე დროს, ინტერნეტის ქსელში გამოჩნდა სპეციალური „ვირტუალური“ ბარათები ანგარიშსწორებისათვის. მართალია, „ვირტუალურ“ ბარათს აქვს ჩვეულებრივი ბარათის ატრიბუტები (ნომერი, მოქმედების ვადა, მოსარგებლის მონაცემები), მაგრამ არ წარმოადგენს პლასტიკს და პინ-კონვერტს, რომლებიც აღარ არის საჭირო ინტერნეტის მეშვეობით ანგარიშსწორებისათვის.

ბანკის **კლიენტური სტრატეგიის** უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს **პერსონალური საბანკო მომსახურების სისტემა**, რომელიც ფართოდაა გამოყენებული საზღვარგარეთის წამყვან ბანკებში. მოცემული სისტემის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია პერსონალური მენეჯერები, რომლებიც კლიენტური საკითხების კომპლექსური გადაწყვეტით არიან დაკავებული. პერსონალური მენეჯერი გამორიცხავს ბანკის სხვადასხვა ქვედანაყოფთან ურთიერთქმედებაში დამოუკიდებლად შესვლის შესაძლებლობას, საშუალებას აძლევს მას უფრო ახლოს იყოს კლიენტთან, გაითვალისწინოს მისი ინდივიდუალური მოთხოვნები. პერსონალური მენეჯერი ახდენს ბანკის ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფის კოორდინირებას კლიენტის ინტერესებში და უზრუნველყოფს ოპერატიული გადაწყვეტილების მიღებას. მსგავსი მიდგომა შესაძლებლობას იძლევა, ერთი მხრივ, თავიდან ავიცილოთ ბიუროკრატიული შეფერხებები, რაც არცთუ იშვიათად გვხვდება ბანკში, ხოლო მეორე მხრივ, სრულიად გამოვიყენოთ ბანკის მომსახურებათა მთელი სპექტრის უპირატესობები.

აღსანიშნავია, რომ ჩვენ მიერ ზემოთ განხილული საბანკო პროდუქტები ნელ-ნელა შემოიჭრა ქართულ საბანკო სივრცეშიც. ძირითადი ნოვაციური პროდუქტები, რაც წარმატებით დაინერგა ქართულ კომერციულ ბანკებში, არის ტელეფონ-ბანკი, ინტერნეტ-ბანკი, ბანკი-კლიენტი და მობილ-ბანკი. მომსახურების აღნიშნული სახეები თითქმის ერთნაირი წარმატებითაა გამოყენებული ყველა მოწინავე ქართულ ბანკში, რომლებიც სხვადასხვა პროდუქტის შემთხვევაში სხვადასხვა სახის მომსახურების გაწევას სთავაზობენ კლიენტებს.

მაგალითად, **ტელეფონ-ბანკის** საშუალებით მომხმარებელს შეუძლია ბანკთან დაკავშირებული ნებისმიერი ტიპის ინფორმაციის მიღება, როგორიცაა: საბანკო მომსახურება; ანგარიშზე არსებული ნაშთი, ბრუნვა და განხორციელებული ოპერაციები; ვალუტის კურსები; არსებული ანაბრის ვადა, დარიცხული პროცენტებისა და თანხის სიდიდე; არსებული სესხის დაფარვის გრაფიკი; ამონაწერების მიღება (ქართულ და ინგლისურ ენაზე); პლასტიკური ბარათის დაბლოკვა/ბლოკის მოხსნა; ბანკის ცხელ ხაზზე ინფორმაციის დაფიქსირება.

ფიზიკურ პირებს ასევე შეუძლიათ ტელეფონით განახორციელონ ისეთი ოპერაციები, როგორიცაა: საკუთარ ანგარიშებს შორის უღიმიტო გადარიცხვები; ბანკის შიგნით სხვა პირის ანგარიშებზე 1000 ლარამდე/500 აშშ დოლარამდე გადარიცხვები; ბანკის გარეთ გადარიცხვები; კომუნალური გადასახადების

გადახდა; საკუთარ ანგარიშებს შორის კონვერტაცია; სესხის დაფარვა; პლასტიკური ბარათების განახლება; ნებისმიერი ტიპის ახალი პლასტიკური ბარათის შექვეთა; დისტანციურ მომსახურებაზე დარეგისტრირება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ ტელეფონ-ბანკის მომსახურების საშუალებით კლიენტისათვის შესაძლებელია: დროის მნიშვნელოვნად დაზოგვა; საბანკო ანგარიშებზე მუდმივი კონტროლის განხორციელება; ბანკის შესახებ სხვადასხვა ტიპის ინფორმაციების მიღება, აგრეთვე საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებით წარმოშობილი შესაძლო პრობლემების დროულად მოგვარება.

მობილ-ბანკი, როგორც მნიშვნელოვანი საბანკო პროდუქტი, შედარებით ახალია ზემოთ ჩამოთვლილ სხვა პროდუქტებთან შედარებით. იგი ბანკსა და კლიენტს შორის მობილურ ტელეფონზე დაფუძნებული ურთიერთობის ფორმაა. მობილ-ბანკი საშუალებას აძლევს კლიენტს მთელი 24 საათის განმავლობაში მიიღოს ინფორმაცია მის ანგარიშებზე არსებული მდგომარეობის შესახებ, ასევე განახორციელოს სხვადასხვა სახის ტრანსაქციები, გადაიხადოს კომუნალური და საკომუნიკაციო გადასახდელები.

მობილ-ბანკის საშუალებით კლიენტებს შეუძლიათ: მიიღონ ინფორმაცია ანგარიშების შესახებ და ბანკის ამონაწერი მათ ანგარიშებზე მომხდარი ოპერაციების თაობაზე; განახორციელონ გადარიცხვები საკუთარ ანგარიშებს შორის; გადაიხადონ კომუნალური გადასახდელები და შეავსონ მობილური ტელეფონის ბალანსი; ასევე, საჭიროების შემთხვევაში, მოახდინონ საკუთარი პლასტიკური ბარათის დაბლოკვა.

ბანკი-კლიენტი წარმოადგენს თანამედროვე კომპიუტერულ-პროგრამულ სისტემას, რომლის მეშვეობითაც კლიენტებს შეუძლიათ აწარმოონ საბანკო ოპერაციები, აკონტროლონ და მართონ თავიანთი ანგარიშები ოფისიდან/სახლიდან გაუსვლელად. კერძოდ, პროგრამა “ბანკი-კლიენტი” საშუალებას გვაძლევს: გადავირცხოთ ეროვნული ვალუტა საქართველოს ტერიტორიაზე და მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში; შევასრულოთ კონვერტაციის ოპერაციები; ვაწარმოოთ საბიუჯეტო გადარიცხვები; შევამოწმოთ ანგარიში და ნაშთი; დავებჭლოთ ამონაწერი და დოკუმენტი (ბანკის მიერ დამოწმებული ფორმით); ვაწარმოოთ საბუთების სრული არქივი; მოვახდინოთ მონაცემების ექსპორტირება ჩვენთვის სასურველი ფორმატით; მივიღოთ ინფორმაცია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული უცხოური ვალუტის კურსის შესახებ, ასევე მივიღოთ საქართველოში არსებული კომერციული ბანკების ნუსხა მათი საბანკო კოდებით და ვისარგებლოთ ორმაგი ავტორიზების მექანიზმით.

სისტემა “ბანკი-კლიენტი” გამოყენება სასარგებლო და მოსახერხებელია როგორც მომხმარებლების, ასევე კომერციული ბანკებისთვისაც. აღნიშნული პროგრამის საშუალებით ხდება ოპერაციონისტების დროის ეკონომია დოკუმენტების მიღებასა და დამუშავებაზე, ადგილი აქვს საოპერაციო დარბაზების განტვირთვას, ჩნდება კლიენტების ინფორმაციული უზრუნველყოფის შესაძლებლობები, რაც ხელს უწყობს ბანკში კლიენტების მოზიდვას მისგან ტერიტო-

რიულად დაშორებული ოფისებიდან. გარდა ამისა, ბანკს შეუძლია საზღაურის სახით მიიღოს დამატებითი შემოსავალი კლიენტების მიერ სისტემის გამოყენებისთვის.

ბანკებისთვის ყველაზე მაღალი გამტარუნარიანობის არხების შექმნასა და მომსახურებას უზრუნველყოფს გლობალური კომპიუტერული ქსელის – ინტერნეტის შესაძლებლობების გამოყენება.

ინტერნეტ-ბანკი არის ელექტრონული საბანკო მომსახურება, რომელიც კომპიუტერის მეშვეობით საშუალებას იძლევა 24 საათიან რეჟიმში ოპერატიულად განვახორციელოთ ყველა ზემოთ აღწერილი პროცედურები და მომსახურებები. ამასთან, იგი არ საჭიროებს სპეციალურ პროგრამულ უზრუნველყოფას.

როგორც კვლევამ ცხადყო, ქართული საბანკო სისტემა საკმაოდ დინამიკურად ვითარდება, ის ფეხდაფეხ მიჰყვება მსოფლიო საბანკო სექტორში დანერგილ სიახლეებს და ცდილობს მაქსიმალურად სწრაფად და სრულყოფილად გადმოიღოს ეს პროდუქტები, მორგოს ქართულ რეალობას და ისე შესთავაზოს მომხმარებელს.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ჩვენი აზრით, საქართველოში არსებობს საბანკო საქმეში ნოვატორული იდეებისა და ახალი საბანკო პროდუქტების დანერგვის რიგი ხელშემშლელი ფაქტორები, ისეთები, როგორიცაა, მაგალითად, ნოვაციური პროდუქტების შესახებ მოსახლეობის დაბალი ინფორმირებულობა, კომუნიკაციების თანამედროვე საშუალებებისადმი მოსახლეობის დიდი ნაწილის ხელმიუწვდომლობა, ქართული ეროვნული მენტალურობა და სხვა, რომელთა შემდგომი გაუმჯობესება და დახვეწა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მსოფლიოში კარგად აპრობირებული და საყოველთაოდ აღიარებული საბანკო პროდუქტებისა და ტექნოლოგიების ქართულ საბანკო სივრცეში წარმატებით დანერგვის საქმეს.

მენეჯმენტის და მარკეტინგის სექცია

ვენერა გოგავა

აქტივებისა და პასივების მართვა საბანკო მენეჯმენტში

საბანკო მენეჯმენტის მნიშვნელოვანი სფეროა საბანკო კაპიტალის მართვა, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს კომერციული ბანკების აქტივებისა და პასივების მართვას. იგი იმ მეთოდებსა და ხერხებს აერთიანებს, რომლებიც შესაძლებლობას აძლევს ბანკებს, შეინარჩუნონ კაპიტალის საკმაო ოდენობა და გაზარდონ აქტივები და ვალდებულებები ნორმატიული მოთხოვნის შესაბამისად.

ზოგადად, ბანკის კაპიტალის მართვა მიმართულია მისი ლიკვიდურობის მიღწევისა და შენარჩუნებისაკენ, რაც, საბანკო დეპოზიტების ზრდის უზრუნველსაყოფად, ითვალისწინებს (ბანკის მიერ წარმოებული ოპერაციების მოცულობის გაფართოებისას, საბანკო პროდუქტების ახალი სახეების, ახალი ბაზრების, დარგების ათვისებისას ანუ რისკის გადიდებისას საჭირო კაპიტალის ზრდას) საკუთარი სახსრების გარკვეული სიდიდის შექმნას.

საბანკო აქტივების მართვა არსებითად აქტივების კონკრეტული პროდუქტის, ჯგუფის ან პორტფელის ხარისხის მართვაა. მისი საფუძველი, რიგი თვისებრივი მახასიათებლის შესაბამისად, აქტივების დივერსიფიკაციაა. ამ მახასიათებელთაგან ძირითადს შეიძლება მივაკუთვნოთ: კაპიტალის რეზერვების მოცულობა, ვადები, სანქციები, დაფარვის წესი, მიზნები და განვითარების პროექტები. გარდა ამისა, აქტივების მართვა დამოკიდებულია აგრეთვე პროცენტების სიდიდესა და სახეებზე, საკომისიო გადახდებზე, გაცემის წესებზე, დოკუმენტირებაზე და ა.შ.

ჩამოთვლილი საბაზო პრინციპები განაპირობებს საბანკო აქტივების მართვისადმი მიდგომის ფორმებს. ამასთან, ბანკის აქტივების ყოველ სახეს თავისი სპეციფიკა აქვს.

ბანკის საქმიანობაში არის კიდევ ერთი მომსახურება, რომელიც წარმოდგენას გვაძლევს საბანკო მენეჯმენტის შესახებ, მაგრამ მასში აქტიურ და პასიურ ოპერაციებს განმასხვავებელი ნიშნები აქვს. ეს არის კლიენტთა საანგარიშსწორებო-საღარი მომსახურება, რომლისთვისაც დამახასიათებელია პასიური ოპერაციების ნიშნები, რადგან ბანკისთვის განსაზღვრულ წილში (უცვლელი ნაშთი) კლიენტთა საანგარიშსწორებო და მიმდინარე ანგარიშებზე საკრედიტო რესურსს წარმოადგენს და მრავალ ბანკში ნაღდდება. ასევე მას გააჩნია აქტიური ოპერაციების ნიშნებიც, რადგან ამგვარი ოპერაციების გატარება ბანკს აძლევს საკომისიო შემოსავლებს. აქედან გამომდინარე, ამ ოპერაციების მართვისას ბანკის ინტერესებს თან ახლავს კომპლექსურობის მახასიათებელი. ამდენად, საანგარიშსწორებო-საღარი მომსახურება აქტივებისა და პასივების მართვის ამოცანებს ერთობლიობაში (ხელმისაწვდომობა, მდგრადობა, სიიფექსი, ასევე, შემოსავლიანობა და ა.შ.) გამოხატავს.

კომერციული ბანკების პასივები გარკვეულწილად წარმოადგენს მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფ ფინანსურ რესურსებს. არსებობს სხვადასხვაგვარი მიდგომა ბანკის პასივების კლასიფიკაციისადმი. მათგან განსაკუთრებული კარდინალური საბაზო ელემენტებია: საკუთარი, მოხიდული და ნასესხი რესურსები; კაპიტალი და ბანკის ვალდებულებები.

საბანკო ზედამხედველობის თანამედროვე პოზიციებიდან, ბანკის კაპიტალის სიდიდე ნორმატიულად შეზღუდულია. კერძოდ, რისკის გათვალისწინებით შეწონილი აქტივები; ვალდებულებები; რისკი ერთ მსესხებელზე; მოსახლეობის მოხიდული სახსრები; სხვა იურიდიული პირების აქციების შექმნა; გარანტიების, თავდებობების გაცემა; შესაძლო ზარალის დაფარვა (ანუ თავისებური ბუფერის, სარეზერვო ფონდის შექმნა, რომელიც დაიფარავს ბანკს ზარალის გამოვ-

ლენისას მისი მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებისაგან და მისცემს საკმაოდ რისკიანი ოპერაციების წარმოების საშუალებას); ბანკის მენაბრეთა და კრედიტორთა ფინანსური ინტერესების დაცვა მისი ლიკვიდაციის შემთხვევაში (კაპიტალის საკმაოდ დენობა წარმოადგენს ფონდს, რომლის მეშვეობითაც მენაბრეებს შეიძლება დაუბრუნდეს მათი თანხების მნიშვნელოვანი ნაწილი).

საბანკო მენეჯმენტში შედის აქციებზე მუშაობა (გამოშვება, შეთავაზება, განთავსება, გამოსყიდვა, მ.შ. კოტირების შენარჩუნების, ობლიგაციებში აქციების კონვერტირების და, პირიქით, და ა.შ. მიზნით). ამ მეთოდს გააჩნია როგორც უპირატესობანი – მაგ., კაპიტალის კონცენტრაციის მოკლე ვადები, ისე არსებითი ნაკლოვანებები. მაგ., ის ქმნის სერიოზულ პოტენციურ პრობლემებს. აქციათა ახალ ემისიებს „რეცხავენ“, აქვეითებენ წინა ემისიების აქციათა პაკეტების წონას და საკონტროლო პაკეტი შეიძლება სხვა ინვესტორების ხელში აღმოჩნდეს.

საბანკო მენეჯმენტის ერთ-ერთი მეთოდია შემოსავლების მართვა და დივიდენდების პოლიტიკა. ეს შესაძლებელს ხდის კაპიტალიზაციას დაქვემდებარებული გაუნაწილებელი მოგების ადეკვატურ ზრდას. ამ შემთხვევაში აქციების მფლობელთა პოზიციები სტაბილური რჩება, მტკიცდება რაოდენობრივად. ამასთან, კაპიტალიზაციით გადაჭარბებულმა გატაცებამ შეიძლება მიგვიყვანოს დივიდენდების შემცირებამდე, შესაბამისად კი, ბანკების აქციათა მიმზიდველობის დაქვეითებამდე, კოტირებათა დაწვეამდე;

საბანკო აქტივების კონტროლი ითვალისწინებს ზარალისა და დამატებითი ხარჯების მინიმიზაციას, ანუ არაშემოსავლიანი ან ზარალიანი აქტივების თვალის მიდევნებას, ასევე, აქტივების დროულ გადაფასებას.

პასივები, როგორც ბანკის ვალდებულებები, იქმნება სხვადასხვაგვარი რეჟიმებისა და შეზღუდვების მქონე დეპოზიტების და შენატანების, ასევე ემიტირებული და გავრცელებული სავალო ფასიანი ქაღალდების სახით. ამასთან, მათი თვისებრივი მახასიათებლები დამოკიდებულია უამრავი სხვადასხვაგვარი ფაქტორის ზემოქმედებაზე. პასივების – ვალდებულებების მართვა მდგომარეობს, უპირველეს ყოვლისა, ფაქტორთა ორი მნიშვნელოვანი ჯგუფის – ბანკის მიზნების (ამოცანების) და მისი კლიენტების (საბანკო პროდუქტების მომხმარებლების) ინტერესების ოპტიმალურად დაბალანსებული გავლენის მიღწევაში. ამასთან, გასათვალისწინებელია გარედან ზემოქმედებაც. აუცილებელია მისი უარყოფითი შედეგების შეძლებისდაგვარად განეიტრალება.

ბანკის ამოცანები პასივების მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

1. არ იქნეს დაშვებული არაშემოსავლიანი რესურსების მოზიდვა, კერძოდ: სავალო ფასიანი ქაღალდების ჭარბი დეპოზიტები და რესურსები, რომელთა გავრცელება მიმდინარე და უახლეს მომენტებში შეუძლებელია; რესურსები, რომელთა თვისებრივი მახასიათებლები – მოზიდვის პირობები, ბაზრის მოთხოვნების არაადეკვატურია, ამნელებს ან შეუძლებელს ხდის მათ გავრცელებას;

2. მოძიებულ იქნეს და უპირატესად მოიზიდოს ის საკრედიტო რესურსები, რომლებიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად მოთხოვნის ადეკვატურია: ა) გატარებისა და განვითარებისათვის (აქტიური ოპერაციების გაფართოება); ბ) ბანკის ვალდებულებების დაფარვის ალტერნატიული წყაროების შექმნისთვის (ექსტრემალური ფულადი ნაკადი);

3. მოძიებული უნდა იქნეს ამოღების პირობების მიხედვით „იაფი“ საკრედიტო რესურსები;

4. აუცილებელია მაქსიმალურად „მდგრადი“ საკრედიტო რესურსების, ანუ თვისებრივი მახასიათებლების ცვლილების მინიმალური ალბათობის მქონე რესურსების მოძიება და მოზიდვა, რათა შემცირდეს ლიკვიდურობის რისკი ან საპროცენტო რისკი (გამონაკლისი შემთხვევების გარდა);

5. მოძიებული და მოზიდულ იქნეს ადვილად მისაწვდომი საკრედიტო რესურსები. აღსანიშნავია, რომ ლიკვიდურობის ნეიტრალიზაციის მიმართულებით ეს არის ძალზე მნიშვნელოვანი მიმართულება.

6. აუცილებელია წარმოშობის თვალსაზრისით „საეჭვო“ რესურსების წინასწარი სეროზული ანალიზი და ბანკში მათი მოზიდვის თავიდან აცილება, რადგან მას შეუძლია ბანკის იმიჯის შელახვა, მისი ჩათრევა კრიმინალურ სფეროებში, განსახორციელებელ ოპერაციათა რისკის ამაღლება და კლიენტთა დაფრთხობა.

7. ერთ-ერთი ამოცანაა რესურსების მოზიდვის პროცესში საინფორმაციო და სტრატეგიული უზრუნველყოფის პრინციპის დაცვა, ანუ გამარტივებული მონიტორინგის მქონე ანგარიშებსა და დეპოზიტებზე ბანკის კრედიტებით ხანგრძლივად მოსარგებლე კლიენტთა სახსრების მოზიდვა (განსაკუთრებით მაღალი რისკის ზონაში მომუშავე მსხვილი კლიენტებისა).

პასივების მართვის საქმეში ბანკის მიზნები და ამოცანები, განსაკუთრებით საწყის და კრიტიკულ ეტაპებზე, მუდმივად უნდა შევუფარდოთ ბანკის მომსახურების მომხმარებელთა – ბანკის კლიენტთა ინტერესებსა და საერთო მოთხოვნებს, სახელდობრ: 1) შემოსავლიანობას; 2) დაცულობას; 3) შექცევადობას.

ეს სამი ზოგადი მოთხოვნა ითვლება საბაზო, კლასიკურ მოთხოვნად. მისი რეალიზება ხდება სხვა პირობებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით. მათ შორის შეიძლება გამოეყოთ:

ლიკვიდურობა, რაც წარმოადგენს გაფორმების მოთხოვნას ისეთი ფინანსური ინსტრუმენტების (დოკუმენტები, ფასიანი ქაღალდები) გამოყენებით, რომელიც თანხის დაბრუნების შესაძლებლობას მისცემდა კლიენტს მესამე პირზე მისი რეალიზაციისას, ასევე, დამატებით შემოსავალს და გირაოს სახით საანგარიშსწორებო ოპერაციებში მისი გამოყენების შესაძლებლობას.

ანაბრების დაცვის ადეკვატური საბანკო პოლიტიკა (მასტიმულირებელი პრინციპების გამოყენება ან ზომიერად მკაცრი სანქციების პოლიტიკა);

დეპოზიტთა ადეკვატურობა კლიენტთა დაბანდებების მიზნებთან (მიმდინარე ანგარიშები, დანაზოგები, შემოსავლები და ა.შ.);

ბანკის კლიენტებთან იმიჯის ამაღლება (კარგ ბანკს საეჭვო სტრუქტურებთან საქმე არ აქვს);

პასივების პროდუქტების ტიპისა და მახასიათებლების კონვერსიის შესაძლებლობა კლიენტთა მოთხოვნების შესაბამისად (თანაბარ მოთხოვნამდე – სასწრაფო – შემნახველი; ობლიგაციები – აქციები და ა.შ.).

ზემოთ აღწერილი პასივების მართვის საბაზო სფეროების გარდა, აუცილებელია გავანეიტრალოთ გარემოს გავლენის განეიტრალება.

პასიური საბანკო პროდუქტის თვისებრივი მახასიათებლები, რომელთა მიხედვითაც, პასივების მართვის პროცესში, ხორციელდება ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების ბალანსირება და კორექტირება, თავისი მნიშვნელობით განსხვავებულია სხვადასხვა კონტრაგენტისათვის, მაგრამ ზოგადად დაიყვანება შემდეგზე: მოსაზიდი რესურსების ოდენობა, სიდიდე; მოზიდვის ვადები; მეანაბრის ტიპი, დარგები, ტერიტორიები; დაბრუნების რეჟიმი და წესი; პროცენტების დარიცხვის წესი და სიდიდე; პროცენტების სახე, მისი შეცვლის შესაძლებლობები და მიზეზები; დოკუმენტების გაფორმების წესი და მომსახურების ანაზღაურება პასიური საბანკო მომსახურების გაწევით; თანმხლები და დამატებით გაწეული მომსახურების კომპლექსი და არსებობა; სესხის ხელშეკრულების მახასიათებლების კონვერსიის შესაძლებლობები და პირობები; სახსრების ვადამდელი ამოღებისაგან დაცვის რეჟიმი, სიმკაცრე და ა.შ.

ამ თვისებრივი მახასიათებლების ჩამოყალიბება ხორციელდება დივერსიფიკაციის პოლიტიკის საბაზო პრინციპებით.

ამ პრინციპების რიცხვმა შეიძლება მიადწიოს ასეულებამდე, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს მმართველობითი გადაწყვეტილებებისა და ზემოქმედების ფორმების ფორმირებისას. ანალოგიურ პრინციპებზე აიგება პასივების დივერსიფიკაციის პოლიტიკა, მათი სტრუქტურირება და სისტემატიზაცია. **პასივების მართვა, ისევე, როგორც აქტივების მართვა, წარმოებს ორი მთავარი მიმართულებით:** კონკრეტული საბანკო პროდუქტის ხარისხის მართვა; საბანკო პროდუქტის პორტფელის მართვა.

კონკრეტული საბანკო პროდუქტის ხარისხის მართვა მდგომარეობს მის თვისებრივ მახასიათებელთა შექმნაში, დაცვასა და როგორც აუცილებელ, ასევე იძულებით კორექტირებაში. პრაქტიკულად, მართვის ეს პროცესი იწყება ჯერ კიდევ საბანკო პროდუქტის დამუშავების სტადიაზე საბანკო პოლიტიკის შესაბამისი სფეროების საბაზისო დებულებათა შესაბამისად. მახასიათებლები ადაპტირდება ზედამხედველობის მოთხოვნებთან, ბაზრისა და გარემოს პირობებთან და მუშავდება საკმაოდ გულმოდგინედ, განსაკუთრებით სიტუაციების მკვეთრი ცვლილებებისა და კრიზისის დროს. ამასთან, მნიშვნელოვანია ისიც, რომ თვით მახასიათებლებსა და ხელშეკრულებებში მათი ასახვა დაცული უნდა იყოს შესაძლებლობის ფარგლებში.

საბანკო პროდუქტების პორტფელის მართვა გულისხმობს იმას, რომ მათი კონკრეტული თვისებრივი მახასიათებლები შედარებით სტაბილურია თუნდაც ფიქსირებული ვადით. ამასთან, მმართველობითი ზემოქმედება მიმართულია

შემაღვენლობის მართვისაკენ – პორტფელის სტრუქტურის შექმნა, მასში შესული ყოველი კონკრეტული პროდუქტის გულმოდგინე ანალიზი და შერჩევა. გამოირიცხება საბანკო პოლიტიკის მიზნების შეუსაბამო მოქმედებები; არასაკმარის საინფორმაციო ბაზაზე დამყარებული კრიმინალური ელფერის მოქმედებები. ასევე გამოირიცხება ისეთი მოქმედებები, რომლებიც მოითხოვს კვალიფიკაციის განსაკუთრებულ დონეს, რაც ბანკის პერსონალს იმ მომენტისათვის არ აქვს. ბუნებრივია, ეს გამონაკლისები იცვლება გარემოს მდგომარეობით, საბანკო პოლიტიკის მიმართულების, გარეშე რისკების, პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისად და ა.შ. თუმცა, პასივების პორტფელის მეშვეობით მართვაში უფრო რთულ პროცესს წარმოადგენს პორტფელის შემაღვენელი ნაწილების წილის სიდიდის პერმანენტული კორექტირება. თვით პორტფელის სტრუქტურის ჩამოყალიბება ხვედრითი წონის მიხედვით, დივერსიფიკაციის პრინციპების გათვალისწინებით მისი შემაღვენელი ნაწილების ჯგუფურად გაერთიანება, მათი წილის კორექტირება გარემოს მდგომარეობის შესაბამისად მოითხოვს ზუსტ პროგნოზებს, სერიოზულ საორგანიზაციო-ანალიტიკურ მუშაობას, ბანკის მენეჯმენტის მაღალ პროფესიულ დონეს.

თანამედროვე პირობებში უფრო ლოგიკურად გვეჩვენება აქტიური ოპერაციების, როგორც საბანკო შემოსავლების ოპერაციების განსახლვრა. აქტიური ოპერაციებს, სასესხო და საინვესტიციოსთან ერთად, შეიძლება მივაკუთვნოთ ბანკის ლიზინგური, ფაქტორინგული და ტრასტული ოპერაციები.

ისევე, როგორც პასივების, აქტივების მართვაც ხდება საბანკო პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების, გარემოს მანეგ გავლენის შემზღულადვი საბანკო პროდუქტის მომხმარებელთა ინტერესების ბალანსირების აუცილებლობის გათვალისწინებით. **აქტივების მართვის სფეროში საბანკო მენეჯმენტის ამოცანებს მიეკუთვნება:**

შემოსავლიანობის უზრუნველყოფა – სამეწარმეო სტრუქტურების მნიშვნელოვანი ამოცანაა, რომელიც მოიცავს ბანკის საქმიანობის პრაქტიკულად ყველა სფეროს;

ლიკვიდურობის მხარდაჭერა – დაბანდებული თანხების შექცევადობის (ღირებულების დაუკარგავად) უზრუნველყოფა ან ახალი რესურსების მოზიდვა ბანკის ვალდებულებათა დასაფარად. შესაძლებელია შექცევადობის მართვა როგორც გარკვეული ვადით (საკრედიტოს შემცირებისას), ასევე თავისუფალი (სპეციალურად გაფორმებული დოკუმენტური აქტივები, უსაფრთხოებას – მესამე პირზე ფასდაკლებით გაყიდვას – დაქვემდებარებული აქტივები);

აქტივების, მისი ღირებულების დაცულობა (კლიენტთა გადაჭარბებული რისკის ან ბაზრის პირობების ცვლილებების გამო შესაძლო დანაკარგების ნეიტრალიზაცია); ახალი ტერიტორიების, მეწარმეობის დარგების, სფეროების, სოციალური ფენების ათვისება და ა.შ.; ბაზრის მოთხოვნების ადეკვატური საბანკო მოთხოვნების დასრულებული კომპლექსის ჩამოყალიბება.

საბანკო პოლიტიკის ყველა ამოცანა უნდა შეესაბამებოდეს აქტიური საბანკო პროდუქტის მომხმარებელთა – ბანკის კლიენტთა ინტერესებს, ისეთებს, როგორცაა:

საბანკო მომსახურების თვისებრივ მახასიათებელთა ადეკვატურობა პროექტის მოთხოვნებთან (კლიენტის მიერ სასესხო სახსრების გამოყენებისას). ეს განსაკუთრებით ეხება კრედიტის მოცულობებს, ვადებს, მისი მიღების, გაფორმების, დაფარვის და ა.შ. წესს;

დაბრუნების (დაფარვის) პირობებისა და მოთხოვნების ადეკვატურობა კლიენტის შესაძლებლობებთან საერთო, ადეკვატური, ექსტრემალური ან ალტერნატიული ფულადი ნაკადის მიხედვით;

კრედიტის მიღებისა და მომსახურების პირობებში სახსრების დაბრუნების მეთოდებში ზედმეტი სირთულისა და სიმკაცრის არარსებობა;

მომსახურების კომპლექსის ან დამატებითი დახმარების (კონსულტაციების, პრობლემურ კრედიტებთან მუშაობის სახით) მიღების შესაძლებლობა და ა.შ.

გარემომცველი სამყაროც აყალიბებს თავის უპირატესობებს და შეზღუდვებს, ქმნის შემაფერხებელ ზემოქმედებას, რომელსაც თვალი უნდა მივადევნოთ და გავითვალისწინოთ აქტივების მართვის პროცესში. უპირველეს ყოვლისა, ეს არის: ზედამხედველობის ორგანოების მიერ დადგენილი ნორმატივები და შეზღუდვები; მაკროეკონომიკური ფაქტორები, ბანკის მდგომარეობა საერთოდ და ფინანსური – კერძოდ; სოციალური გარემოს უპირატესობანი, ტრადიციები და პირობები; სამეწარმეო საქმიანობის განვითარების მიმართულებები; კონკურენტთა ძალისხმევა; ახალი საბანკო პროდუქტების, ტექნოლოგიებისა და ხერხების შემუშავება და დანერგვა; საინფორმაციო უზრუნველყოფის დონე.

კლიენტთა ინტერესები არის, პირველ რიგში, ანგარიშსწორების მონაწილეთა ინტერესები, რომელთაც უნდა მივაკუთვნოთ: გარიგების წამყვანი მიმართულების მოთხოვნის შესაბამისად ანგარიშსწორების შესაფერისი ფორმის შეთავაზების საშუალება; ოპერაციების გატარების სისწრაფე, განსაკუთრებით ინფლაციის მაღალი ტემპების პირობებში; გადახდის, მიწოდების ან მომსახურების გაწევის (გადამხელისათვის, მყიდველისათვის) გარანტია; ანგარიშსწორების გატარების პირობების ცვლილების შედარებითი თავისუფლება (მ.შ. ურთიერთშეთანხმების საფუძველზე – გამოსათხოვი აკრედიტივები, აქცეპტები და ა.შ.); ანგარიშსწორების განხორციელების პროცესში ბანკისაგან ფინანსური (ოვერდრაფტები, კონტოკორენტული) ანგარიშები, ასევე, საორგანიზაციო დახმარების და კონსულტაციების მიღების შესაძლებლობა.

საანგარიშსწორებო-საღარო ოპერაციები ნაწილობრივ რეგლამენტირდება საბანკო ზედამხედველობის ორგანოების მიერ, მასზე გავლენას ახდენს ბაზარი და სამეწარმეო სფეროები, ტექნოლოგიებისა და საანგარიშსწორებო ინსტრუმენტების განვითარება.

მარკეტინგული სტრატეგიების უორშირება ანტიკრიზისულ მართვაში და მათი კლასიფიკაცია

მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება ანტიკრიზისულ მართვაში მეტად რთული და მრავალწახნაგოვანი საქმიანობაა, რომელიც დამოკიდებულია კონკრეტულ სიტუაციაზე. საბაზრო ურთიერთობების პირობებში მართვის სტრატეგია განიხილება, როგორც მძლავრი მმართველობითი ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობით თანამედროვე ორგანიზაცია უმკლავდება გარემოს ცვალებად მოვლენებს.

მართვის სტრატეგია წარმოადგენს სამეურნეო პოლიტიკას, რომელიც მუშავდება ფირმის მომავალი განვითარების, საწარმო-კომერციული საქმიანობის ხასიათისა და შედეგების წინასწარხედვის საფუძველზე გამოყენებული რესურსების, მართვის მეთოდებისა და საშუალებების, შედეგების პროგნოზირებისა და განსაზღვრის გზით. საწარმო-სამეურნეო სისტემის მარკეტინგის სტრატეგიის ობიექტია კონკრეტულ ბაზარზე ფირმის სამომავლო მდგომარეობა, ასევე მის მისაღწევად სხვადასხვა მარკეტინგული საშუალებებისა და მეთოდების გამოყენების ხასიათი.

აღსანიშნავია, რომ სტრატეგია მარკეტინგში უფრო მყარი ინსტრუმენტი ვიდრე მარკეტინგის მიზნები, რადგან იგი უზრუნველყოფს ფირმის მიზნებისა და მისიის რეალიზაციას. მარკეტინგის მიზნები უფრო დინამიურია და კორექტირებას ექვემდებარება როგორც ანტიკრიზისული მართვის სტადიაზე, ასევე საბაზრო მოთხოვნის, ფასების, ინფლაციისა და სხვა პროცესების ცვლილებიდან გამომდინარე. მარკეტინგის საშუალებათა კომპლექსური ხასიათის გათვალისწინებით, ნებისმიერი მარკეტინგული სტრატეგია განიხილება, როგორც მრავალასპექტური. მარკეტინგის სტრატეგიის შინაარსი ფართოვდება მისი გადაადგილებით მარკეტინგული საქმიანობის სტადიების (საქონლის შექმნა, ბაზრის ანალიზი, კომუნიკაციები, საქონლის დაწინაურება, ფასების დადგენა, მომსახურება) მიხედვით. მარკეტინგული საქმიანობის ეფექტიანობა დამოკიდებულია მარკეტინგის მენეჯერების უნარზე, შეისწავლონ მომხმარებელთა მოთხოვნები, შექმნან ამ მოთხოვნების დამაკმაყოფილებელი საქონელი, შეიმუშაონ წინასწორული ფასი, დროულად გაიტანონ ბაზარზე და გაუწიონ ეფექტური რეკლამირება.

ცნობილია, რომ მარკეტინგის მართვის პროცესი მოიცავს ოთხ ძირითად სტადიას: 1. ფირმის საბაზრო და მარკეტინგულ შესაძლებლობათა ანალიზი და შეფასება; 2. მიზნობრივი ბაზრის შერჩევა; 3. მარკეტინგული კომპლექსის დამუშავება; 4. მარკეტინგული ღონისძიებების შემუშავება და რეალიზაცია. მარკეტინგის მენეჯმენტის ყველა სტადიაზე ხდება მომხმარებელთა მოთხოვნილებების გამოვლენა, ახალი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ბაზრის განსაზღვრულ სეგმენტზე საქონლის პოზიციონირება, მასზე ფასის განსაზღვრა, რეკლამის საშუალებების განსაზღვრა, საქონლის ბაზარზე გასვლის შემდეგ მომხმარებელთა რეაქციის შეფასება და ა.შ. ასეთი მარკეტინგული ინფორმაციები და

მარკეტინგული რეკომენდაციები ხელს უწყობს სწორი ანტიკრიზისული მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებას. ამ გადაწყვეტილებათა საფუძველზე მენეჯერი აყალიბებს ბაზარზე ფირმის ქცევის სტრატეგიას, ირჩევს კრიზისიდან გამოსვლის მარკეტინგულ ღონისძიებათა კომპლექსიდან ყველაზე მნიშვნელოვან მიმართულებას საკუთარი შესაძლებლობებიდან გამომდინარე. ყველა დანარჩენი სტრატეგია გამოიყენება მოკლევადიანი გეგმების და ტაქტიკური მოქმედებების შესასრულებლად. კრიზისის პერიოდში მუშავდება საშუალოვადიანი სტრატეგია სამ წლამდე.

მარკეტინგული მენეჯმენტის მთელი პროცესი წარმოადგენს რთულ მექანიზმს, რომლის მთავარი სუბიექტია პოტენციური მომხმარებელი. ფირმა მის ხელთ არსებული ყველა საშუალებებიდან ამუშავებს მარკეტინგის კომპლექსს, რისთვისაც იყენებს შემდეგ ოთხ სისტემას: მარკეტინგული ინფორმაციის, მარკეტინგული დაგეგმვის, მარკეტინგული სამსახურის ორგანიზაციისა და მარკეტინგული კონტროლის სისტემებს. ეს სისტემები ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებულია. მათი მეშვეობით ფირმა სწავლობს მიკროგარემოსა (მომხმარებლები, მიმწოდებლები, კონკურენტები, შუამავლები, ინვესტორები) და მაკროგარემოში (ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალურ-კულტურული, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, დემოგრაფიული) მიმდინარე ცვლილებებს, რაც მას ანტიკრიზისული პროგრამის ჩამოყალიბებაში ეხმარება.

მარკეტინგული პროგრამა მოიცავს იმ ღონისძიებათა კომპლექსს, რაც უნდა შეასრულოს ფირმამ ბაზარზე სიტუაციის სტაბილიზაციისა და კონკურენტული უპირატესობის შესანარჩუნებლად. მარკეტინგულ ანტიკრიზისულ მენეჯმენტში პრიორიტეტულ სტრატეგიას წარმოადგენს ახალ ბაზრებზე საქონლის გატანა, ძველ ბაზრებზე მდგომარეობის შენარჩუნება, წარმოების დივერსიფიკაცია.

მარკეტინგული სტრატეგიის შერჩევისას მიზანშეწონილია სტრატეგიების კლასიფიცირება დამახასიათებელი ნიშანთვისებების მიხედვით. ეს თვისებები კომპლექსურად ახასიათებს არა მარტო ფირმის სამომავლო მდგომარეობას ბაზარზე, არამედ ამ მდგომარეობის მიღწევის საშუალებებსაც.

თვისებებს, რომლებიც განსაზღვრავს ფირმის საწარმო-სამეურნეო საქმიანობას, მის ფუნქციონალურ დანიშნულებას, ადგილს ქვეყნის ეკონომიკაში, საკვანძო პრობლემებს, ბიზნესის სახეს, გააჩნია ინტეგრაციული ხასიათი და ქმნის ფირმის რეალური მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავების სოციალურ-ეკონომიკურ და ორგანიზაციულ-სამართლებრივ ბაზას. ბაზრის სახე და მასშტაბები განსაზღვრავს ფირმის ქცევას მყარი საბაზრო მდგომარეობის მისაღწევად. ასეთი შეფასების კრიტერიუმს წარმოადგენს ბაზარზე ფირმის პროდუქციის წილი და მისი აბსოლუტური და შეფარდებითი სიდიდეები. მენეჯერის მიერ შემუშავებული სტრატეგია ამ სიტუაციაში მდგომარეობს ბაზრის გაფართოებაში, გაყიდვების გადიდებაში, საქონლის გატანაში ახალ ბაზრებზე, კონკურენტული უპირატესობის მიღწევაში.

სტრატეგიის შეცვლა მარკეტინგის საშუალებების პრიორიტეტების შეცვლას იწვევს. მარკეტინგის სახელმძღვანელოებიდან ცნობილია, რომ საქონლის ბაზარზე გასვლისათვის მას საწყის ეტაპზე მომხმარებელთა მცირე კატეგორია ჰყავს, რომლებიც მზად არიან, გადაიხადონ მაღალი ფასი ახალ პროდუქტიაზე (მარკეტინგის პრინციპებიდან გამომდინარე, ფირმა ამზადებს პოტენციურ მყიდველებს ახალი საქონლის მისაღებად რეკლამისა და ზემოქმედების სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით). ამ ეტაპზე გაყიდვების მოცულობა მცირეა და მოგუბაც დაბალია მაღალი ფასის პირობებში. კონკურენტების რაოდენობა მცირეა, ასევე მცირეა ხარჯებიც მარკეტინგზე. საქონლის სასიცოცხლო ციკლის ყოველ სტადიაზე მარკეტინგის საშუალებათა ცვლილება განსაკუთრებულ ხასიათს ატარებს, რაც მხედველობაში მიიღება ანტიკრიზისული პროგრამის შემუშავებისას. აშკარაა, მყარი საბაზრო სიტუაციის დროს სტრატეგიები, რომლებიც კლასიფიცირდება მარკეტინგის საშუალებათა პრიორიტეტების მიხედვით, შეასრულებენ დამოუკიდებელი სტრატეგიისა და კონკურენტული უპირატესობის როლს (მაგალითად, ფასების მომატების სტრატეგია ან საფირმო საქონლის სტრატეგია).

მარკეტინგის პრინციპებით მოქმედი ფირმა ყოველთვის სწავლობს და მართავს ბაზრის მოთხოვნებს. მოთხოვნის თავისებურება ფირმის საბაზრო პოლიტიკის სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენების საფუძველს იძლევა. როცა საქონლის მიმართ ინტერესი მცირდება, მომხმარებელთა მოზიდვის მიზნით გამოიყენება მოთხოვნის სტიმულირებადი სტრატეგია (ფასების ცვლილება, რეკლამა და საქონლის გაყიდვის სხვა სტიმულირებადი ღონისძიებები). დამხმარე სტრატეგია გამოიყენება მყარი ბაზრის პირობებში მოთხოვნისა და ბაზრის წილის გასამყარებლად. სრულფასოვანი მოთხოვნის შენარჩუნება ხორციელდება ყველა საშუალებით: რეკლამით, გასაღების სტიმულირებით, პროდუქციის ხარისხისა და გაყიდვის შემდგომი მომსახურების გაუმჯობესებით. კრეატიული სტრატეგია გამოიყენება მაშინ, როცა პოტენციური მომხმარებელი ვერ ათვისებდა პროდუქტის მოხმარებიდან მიღებულ სარგებელს ე.ი. როცა პოტენციური მოთხოვნილებები უნდა გარდაიქმნას რეალურ მოთხოვნად. მარკეტოლოგების აზრით, გარკვეულ სიტუაციებში გამოიყენება ასევე, წინააღმდეგობრივი სტრატეგია (პროდუქტზე არსებობს ირაციონალური მოთხოვნა), ე.ი. მოცემულ საქონელზე მომხმარებელთა ცალკეული ჯგუფის მოთხოვნა მომხმარებელთა სხვა ჯგუფის მხრიდან წინააღმდეგობას იწვევს.

ფირმების საბაზრო ქცევა ემყარება რიგ მახასიათებლებს: სიდიდეს, დარგობრივ მიკუთვნებას, ბაზრის მოცულობას, კონკურენტულ უპირატესობას, მოგების სიდიდეს. თუმცა საკვანძოს წარმოადგენს ფირმის სიდიდე, პროდუქციის სახე და ბაზრის ტიპი. მცირე ფირმების საბაზრო ქცევის სტრატეგიის მთავარი მახასიათებელია მოქნილობა, ადაპტაცია ცვლილებებთან და რესურსების სინაკლებესთან (მაღალკვალიფიციური კადრების პირობებში). საშუალო სიდიდის ფირმებისათვის დამახასიათებელია საბაზრო “ნიშის”, ანუ საპატენტო სტრატეგია, რომელიც გულისხმობს ბაზრის სეგმენტისა და ფირმის

ქცევის წესის დეტალურ შერჩევას. გამოიყენება აგრეთვე ინოვაციური ქცევის სტრატეგია, როცა ფირმა-ინოვატორები მუშაობენ მაღალი რისკის პირობებში იმ დარგებში, სადაც მოითხოვება მეცნიერულ-ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვა. ასეთ პირობებში გამოიყენება ბაზრის სეგმენტის შერჩევის სტრატეგია, რომელიც განაპირობებს მომხმარებელთა მოთხოვნილებების ყოველმხრივ გამოკვლევას, მათთან მჭიდრო კონტაქტების დამყარებას. ასევე გამოიყენება ინტენსიური მარკეტინგის სტრატეგია, რომელიც ხორციელდება მოთხოვნის ფორმირებისა და გასაღების სტიმულირების მიზნით და მიიღწევა მაღალი ფასებისა და რეკლამაზე დიდი დანახარჯების მეშვეობით. ასეთი სტრატეგია მუშავდება პოტენციური მომხმარებლის პროდუქციისადმი კეთილსასურველი დამოკიდებულების შესაქმნელად.

მსხვილი ფირმებისათვის დამახასიათებელია ახალ ბაზრებზე შედწევის სტრატეგია, რომელიც მოიცავს მაღალ დანახარჯებს მოთხოვნის შექმნასა და გასაღების სტიმულირებაზე. “ნაღების მოხდა” – ესაა მაღალი ფასების სტრატეგია, რომელიც ხშირად გამოიყენება საქონლის ბაზარზე გასვლის საწყის სტადიაზე (მაგალითად, IBM-ის მარკეტინგული სტრატეგია მოიცავდა ახალი პროდუქტის შესახებ განაცხადის გაკეთებას ბაზარზე გასვლამდე რამდენიმე ხნით ადრე, რაც ე.წ. “შოკს” იწვევდა კონკურენტებში. ასეთი სტრატეგია პოტენციურ მომხმარებელს პროდუქტის ყიდვის გადაწყვეტილებას სიახლის მოლოდინში გადაადგილებს. როცა სიახლე გამოჩნდება ბაზარზე კომპანია აწესებს მაღალ ფასს “ნაღების მოხდის” მიზნით).

საქართველოში არსებული ფირმებისათვის პრიორიტეტულს წარმოადგენს საფირმო საქონლის სტრატეგიის ფორმირება, რომელიც უზრუნველყოფს საქონლის მაღალ ხარისხს, ფასების მყარ ღონეს, მისი შექმნის ხელმისაწვდომობას. ცნება “საფირმო საქონელი” დაკავშირებულია მისი ექსპლუატაციის საიმედოობასთან, გაყიდვის შემდგომ მომსახურებასთან, მიწოდების გამარტივებულ მეთოდებთან. სტრატეგია იძლევა კონკრეტული მარკეტინგული ინსტრუმენტების, მეთოდებისა და საშუალებების გამოყენებით გაყიდვებისა და ბაზრის წილის საჭირო მოცულობის უზრუნველყოფის პირობებს ფირმის მიზნობრივი ორიენტირებიდან და რესურსული შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

ზზია ზუბიაშვილი

**სარკინიგზო მენეჯმენტის ახალი ტექნოლოგიის
თავისებურებანი**

თოთოეული თვის გადასახიდი ტვირთების მოცულობის განსაზღვრის დამუშავებული და დანერგილი ტექნოლოგია არსებითად განსხვავდება დაგეგმვის მოქმედი წესისაგან.

რკინიგზის ტრანსპორტზე მოქმედი დებულება, უპირველეს ყოვლისა ითვალისწინებს გადაზიდვის დაწყებამდე განაცხადის არანაკლებ 10 დღით, ხოლო საექსპორტოდ და პირდაპირი შერეული მიმოსვლით გადაზიდვის დაწყებამდე არანაკლებ 15 დღით ადრე მიწოდების ახალი ვადების დაწესებას. აქ იქმნება ორი პრობლემა: პირველი – რა ამოსავალი წყაროების საფუძველზე უნდა დაიგეგმოს მოსალოდნელი სამუშაო გადასაზიდად წარმოდგენილი ტვირთების დიდი რაოდენობის განაცხადების გათვალისწინების შეუძლებლობის პირობებში; მეორე – დაგეგმვის როგორი პრინციპები უნდა იყოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ახალ პირობებში.

გთავაზობთ სარკინიგზო მენეჯმენტის ახალ ტექნოლოგიას, რომლის თანახმადაც, პირველი პრობლემა გადაწყვეტილია შემდეგნაირად: გადაზიდვების განაცხადებთან ერთად, მოქმენას მოითხოვს თვიური გეგმის ფორმირების სხვა წყაროები. არსებობს რამდენიმე ასეთი წყარო.

სარკინიგზო მენეჯმენტის ახალ პირობებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გრძელვადიან ხელშეკრულებას გადამზიდავსა და გადასაზიდი ტვირთების მფლობელებს შორის. გრძელვადიანი ხელშეკრულების საფუძველზე, რკინიგზის საგეგმო ორგანოების მიერ განისაზღვრება ტვირთების გადაზიდვების თვიური გეგმის განსაზღვრული ნაწილი. გადაზიდვების ყველა მოსალოდნელი მოცულობა, რომელიც არ მოიცავს გრძელვადიანი ხელშეკრულების და წინა თვეში გაცემულ განაცხადებს, უნდა განისაზღვროს მარკეტინგული გამოკვლევით.

მრავალი მონაცემი, g_{j-1} -სათვის, რაც ასახავს ტვირთების გადაზიდვის თვიურ გეგმას, ჩვენ შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი დაზუსტებული დამოკიდებულებით:

$$g_{j-1} = f(g_{j-1}, g_{gr}, g_{st}^{st}, g_{st}^{pl}), \quad (1)$$

სადაც, g_{j-1} მრავალი განაცხადია წინა თვიდან;

g_{gr} – გრძელვადიანი ხელშეკრულებების საფუძველზე დასადგენი დიდი მოცულობის გადაზიდვა;

g_{st}^{st} – სტატისტიკური კვლევის საფუძველზე თვის შესაბამისი დიდი მოცულობის საპროგნოზო გადაზიდვა;

g_{st}^{pl} – იგივე სხვადასხვა სახის მარკეტინგული კვლევის საფუძველზე.

ზემოთ მითითებული მეორე პრობლემა – გადაზიდვების მოცულობის განსაზღვრის ახალი პრინციპის შექმნის აუცილებლობა – წყდება თვიურ გეგმასთან, პარამეტრებთან ერთად ოპერატიული გეგმის დამუშავებით და დატვირთვის გეგმური პერიოდის კალენდარული თარიღის მიხედვით განაცხადების ავტომატიზებული შეკრებისა და დამუშავების სისტემის საშუალებით. შემოთავაზებული ახალი ტექნოლოგიით დატვირთვის კალენდარული თარიღის მიხედვით (გად_{*t*}), სარკინიგზო მენეჯმენტის ოპერატიული გეგმა სერვისული მომსახურების ცენტრში მუშავდება გად_{*j*} გეგმის შესაბამისი მონაცემების და აგრეთვე წინა თვის (*j*–1) განაცხადების განუწყვეტელი შეკრების საფუძველზე, რომელიც შემოსულია თვიური გეგმის დამუშავების შემდეგ (20-დან 30 რიცხვის ჩათვლით) – გან_{*j-1*}²⁰⁻³⁰, გეგმური თვის განმავლობაში გან_{*j*} და სხვადასხვა სახის დავალების გად_{*დავ*} შედეგად. ამრიგად წარმოგვიდგება შემდეგი ფუნქციონალური დამოკიდებულება:

$$\text{გად}_j^o = f(\text{გად}_j^*, \text{გან}_{j-1}^{20-30}, \text{გან}_j, \text{გად}_{\text{დავ}}), \quad (2)$$

სადაც, გად_{*j*}^{*} – გად_{*j*} გეგმის მონაცემები გაითვალისწინება ოპერატიული გეგმის დამუშავების დროს დატვირთვის კალენდარული თარიღების მიხედვით.

სარკინიგზო მენეჯმენტში ტვირთების გადაზიდვის დაგეგმვის საერთო სქემა წარმოდგენილია ნახაზ 1-ზე:

მთლიანად დაგეგმვის მიმდინარეობის სქემა შეიძლება შემდეგი დამოკიდებულებით იქნეს წარმოდგენილი:

$$\overline{\text{გად}}_j = f(\text{გად}_j, \text{გად}_j^o, \text{გადმ}, \text{გუ}), \quad (3)$$

სადაც, გადმ, გუ – შესაბამისად, ტვირთმფლობელების გადმოტვირთვის და გადახდის უნარი – დაკავშირებული გადაზიდვების გეგმის შეზღუდვასთან.

ახალ ტექნოლოგიაში საექსპორტო და იმპორტული საქონლის დატვირთვის დროს საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს ტრანსპორტის სხვა სახეებთან (ტსს) და უცხოეთის რკინიგზებთან (უცხ) შესათანხმებელი დამატებითი შეზღუდვები, რის შედეგადაც (3) წარმოდგინდება შემდეგი დამოკიდებულებით:

$$\overline{\text{გად}}_j^* = f(\overline{\text{გად}}_j, \overline{\text{ტსს}}, \overline{\text{უცხ}}), \quad (4)$$

სადაც, $\overline{\text{გად}}_j^*$ – ყველა სახის ტვირთის გადაზიდვების გეგმა.

ნახაზი 1

ტვირთების გადაზიდვის დაგეგმვის საერთო სქემა

$$\overline{\text{გად}}_j = f(\overline{\text{გად}}_j, \overline{\text{გად}}_j^{\text{გადმ}}, \text{გუ}, \overline{\text{ტსს}}, \overline{\text{უცხ}})$$

ტვირთების გადაზიდვის გეგმა $\overline{\text{გად}}_j$

$$\overline{\text{გად}}_j = f(\overline{\text{გან}}_{j-1}, \overline{\text{გან}}_{\text{გრ}}, \overline{\text{გად}}_{\text{ტვ}}^{\text{სტ}}, \overline{\text{გად}}_{\text{ტვ}}^{\text{გადკმლ}})$$

$$\overline{\text{გად}}_j^* = f(\overline{\text{გად}}_j^*, \overline{\text{გან}}_{j-1}^{20-30}, \overline{\text{გან}}_j, \overline{\text{გად}}_{\text{ღავ}})$$

ტვირთების გადაზიდვის თვიური გეგმა $\overline{\text{გად}}_j$	
$\overline{\text{გან}}_{j-1}$	წინა თვის განაცხადები
$\overline{\text{გან}}_{\text{გრ}}$	გადაზიდვების მოცულობა გრძელვადიანი ხელშეკრულებების მიხედვით
$\overline{\text{გად}}_{\text{ტვ}}^{\text{სტ}}$	გადაზიდვების გეგმა სტატისტიკური მონაცემების მიხედვით
$\overline{\text{გად}}_{\text{ტვ}}^{\text{გადკმლ}}$	გადაზიდვების გეგმა მარკეტინგული გამოკვლევების მიხედვით

ტვირთების გადაზიდვის ოპერატიული გეგმა კალენდარული დღეების მიხედვით $\overline{\text{გად}}_t$	
$\overline{\text{გად}}_j^*$	გად $\overline{\text{გად}}_j$ გეგმის მონაცემები, გათვალისწინებული ოპერატიულ გეგმაში
$\overline{\text{გან}}_{j-1}^{20-30}$	განაცხადების უწყვეტი შეკრება წინა თვეში თვიური გეგმის დამუშავების შედეგ
$\overline{\text{გან}}_j$	განაცხადების უწყვეტი შეკრება გეგმიურ თვეში
$\overline{\text{გად}}_{\text{ღავ}}$	ტვირთების გადაზიდვის სხვადასხვა სახის ოპერატიული დავალება
დამატებითი შეზღუდვები	

$\overline{\text{გადმ}}$	ტვირთმფლობელების გადმოტვირთვის უნარი
$\overline{\text{გუ}}$	ტვირთმფლობელების გადახდის უნარი
$\overline{\text{ტსს}}$	ტრანსპორტის სხვა სახეობთან შესათანხმებელი დამატებითი შეზღუდვები
$\overline{\text{უცხ}}$	უცხოეთის რკინიგზებთან შესათანხმებელი დამატებითი შეზღუდვები

საექსპლუატაციო მუშაობის ტექნიკური გეგმა

შემოთავაზებული ახალი ტექნოლოგიის საფუძველზე მუშავდება აუცილებელი ნორმატიული დოკუმენტები და სისტემები, რომელიც უზრუნველყოფს ტვირთების გადაზიდვების განაცხადების ავტომატიზებულ შეკრებას და დამუშავებას.

სარკინიგზო მენეჯმენტში ტვირთების გადაზიდვების დაგეგმვის განხილული ახალი ტექნოლოგიის პრინციპი დაედო საფუძვლად გეგმების დამუშავების წესს.

ნატო კაკაშვილი

საბანკო მენეჯმენტის მიზნების უორშირება

საბანკო მენეჯმენტის სტრატეგიულ ამოცანას, მისი აქტუალურობიდან გამომდინარე, წარმოადგენს:

- საბანკო დაწესებულებების მუდმივი სწრაფვა დასახული მიზნებისაკენ;
- გარე გარემოს უარყოფითი გავლენის რისკის შემცირება.

საბანკო მენეჯმენტი – ეს არის საკრედიტო ორგანიზაციის მართვის სისტემა, დაფუძნებული საბანკო საქმიანობის მართვის თანამედროვე ეფექტურ ფორმებზე, საშუალებებსა და მეთოდებზე. იგი წარმოადგენს მმართველი სუბიექტის ზემოქმედებას მართვად ობიექტზე დასახული მიზნების მისაღწევად.

კომერციულ ბანკში მენეჯმენტის დაყოფას ფინანსურ მენეჯმენტად და პერსონალის მართვად, განაპირობებს ობიექტური სტრუქტურა, რომლისაკენაც მიმართულია საბანკო მენეჯმენტის მმართველობითი ძალისხმევა. ამიტომაც, იგი, შესაძლოა, განვიხილოთ ერთი მხრივ, როგორც შიდასაბანკო რეგულირების მექანიზმი და მეორე მხრივ, სახელმწიფო ზედამხედველობითი ორგანოების მიერ დაწესებული ნორმატივებისა და მოთხოვნებიანთა შესრულებისაკენ მიმართული საქმიანობა.

საბანკო მენეჯმენტის ფუნქციონირების სფერო მოიცავს ფულადი ნაკადების რაციონალური მართვის პროცესებსა და ბანკის პერსონალის ცოდნისა და გამოცდილების, როგორც ეფექტური მენეჯმენტის აუცილებელი პირობის გამოყენებას. აღნიშნული გულისხმობს საბანკო მენეჯმენტის ძირითადი ამოცანების სტრუქტურას:

1. საბანკო პოლიტიკა:

- მთავარი ამოცანის ჩამოყალიბება, ბანკის ძირითადი მიზნის გამოყოფა;

- კომპლექსური პროგრამებისა და პროექტების შემუშავება ბანკის არსებობის ძირითადი მიზნის მიღწევის უზრუნველსაყოფად;

- საბანკო საქმიანობის მართვის მეთოდოლოგიის შემუშავება;

- ბანკის განვითარების არჩეული პოლიტიკის შესაბამისი ორგანიზაციული სტრუქტურის შემუშავება;

- პერსონალის მართვის სტრატეგია:

1. საბანკო მარკეტინგი:

- ბანკის მომსახურებათა არსებული და პოტენციური ბაზრების დადგენა;

- კონკრეტული ბაზრის არჩევა და ბანკის კლიენტურის მოთხოვნილებათა განსაზღვრა-გამოკვლევა;

- მოკლე და გმეღვადიანი მიზნების განსაზღვრა არსებული პროდუქტების განვითარებისათვის და ახალი საბანკო პროდუქტების შექმნა;

- ახალი სახის საბანკო მომსახურებათა დანერგვა პრაქტიკაში და დანერგვის რეალიზაციის კონტროლი;

- არსებული საბანკო პროდუქტებისათვის ფორმის შეცვლა, მდგომარეობის შეცვლა, თვისებრივად გარდაქმნა, ბანკის არსებული და პოტენციური კლიენტების მოთხოვნილებებზე მაქსიმალურად მოსარგებლად.

2. მომხმარებელთა (ბანკის კლიენტთა) ბაზის ფორმირება, გაყიდვების სამსახურის ორგანიზება;

- არსებულ ბაზარზე პოზიციების გამყარება;

- საბანკო მომსახურებათა ახალი ბაზრების ათვისება;

- კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ბანკის რესურსული ბაზის გაფართოება;

3. ეკონომიკა და ფინანსები:

- კაპიტალის გაზრდა;

- მოგებისა და ლიკვიდობის მართვა;

- ბანკის განვითარების სტაბილურობის უზრუნველყოფა;

- ფინანსური გადაწყვეტილებების დასაბუთება;

- ბანკის დანახარჯების მართვა;

4. ინფორმაციულ-ანალიტიკური უზრუნველყოფა:

- ფინანსური ოპერაციების დაგეგმვისა და რეალიზაციის ინფორმაციულ-ანალიტიკური სისტემის შექმნა;

5. ადმინისტრირება:

- ბანკის სტრუქტურის, პერსონალის კლასიფიკაციისა და კვალიფიკაციის ბანკის განვითარების არჩეულ სტრატეგიასთან შესაბამისობაში მოყვანა.

თანამედროვე მენეჯმენტის ზოგად პრინციპებს განეკუთვნება მართვისას ცენტრალიზაცია-დეცენტრალიზაციის ოპტიმალური შეთანაწყობა. ზოგადი პრინ-

ციპების გვერდით საქმიანობის ყოველ სფეროში არსებობს პრინციპები, რომლებიც გამოხატავს სპეციფიკურ მოთხოვნებს და ასახავს მის გასაკუთრებულობას.

საბანკო მენეჯმენტის ძირითადი პრინციპები შესაძლოა ფორმულირდეს შემდეგი სახით:

1. ფუნქციათა გამიჯვნა ორი დონის საბანკო სისტემას შორის – ცენტრალურ ბანკსა და კომერციულ ბანკს შორის;
2. კომერციული ბანკის ეკონომიკური ინტერესების შერწყმა სახელმწიფო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მოთხოვნილებებთან;
3. ცენტრალური ბანკის მიერ კომერციული ბანკის ზედამხედველობა;
4. საბანკო რისკების მინიმიზაცია.

საბანკო მენეჯმენტის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს მოგების მიღების უზრუნველყოფა ბანკის სამეწარმეო საქმიანობიდან. დღეისთვის საბანკო მენეჯმენტი საქართველოში ჩამოყალიბებისა და განვითარების სტადიაში იმყოფება. ამ პროცესის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს:

- საბანკო მენეჯმენტის სრულყოფა;
- სტრატეგიული მიმართულებების განვითარება;
- საბანკო მარკეტინგის განვითარება;
- ანალიტიკური საქმიანობის განვითარება კლიენტის გადახდისუნარიანობის, კრედიტუნარიანობის, ფინანსური მდგრადობის ანალიზის თვალსაზრისით;
- საბანკო რისკების ჰეჯირება.

საბანკო მენეჯმენტის განვითარების აქტუალურ საკითხებს ასევე წარმოადგენს ბანკში მიმდინარე პროცესების ავტომატიზაცია, ბანკის შემოსავლიანობის გაზრდა, პერსონალის პროფესიული დონის ამაღლება და სხვა.

ეკატერინე კობერიძე

**სადაზღვევო ორგანიზაციის მართვის ინფორმაციზაციის
აუცილებლობა**

დაზღვევა ნებისმიერი ქვეყნის ფინანსური სისტემის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია საბანკო და ფასიანი ქაღალდების სისტემებთან ერთად. საქართველოში 2009 წლის 1 იანვრის მონაცემებით (საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს მონაცემები), 13 ლიცენზირებული სადაზღვევო ორგანიზაციაა (1. ალგადი-ბი-სი-აი, 2. ჯი-პი-აი ჰოლდინგი, 3. იმედი-ღ, 4. ირაო, 5. სახალხო დაზღვევა, 6. აი-სი ჯგუფი, 7. არქიმედეს გლობალ ჯორჯია, 8. ქართუ, 9. ვესტი, 10. პარტნიორი, 11. ტაო, 12. AIG-AIG-Europe SA, 13. სტანდარტ დაზღვევა საქართველო). საქართველოში სადაზღვევო ორგანიზაციები სადაზღვევო მომსახურებას უწევენ რამდენიმე ასეულ ათას დაზღვეულ ფიზიკურ პირს და ათასობით დაზღვეულ ორგანიზაციას (საქართველოს სადაზღვევო ინსტი-

ტუტის ექსპერტული შეფასებებით დაზღვეულთა რაოდენობა 1 500 000-ზე მეტია).

სადაზღვევო მონაცემთა დიდი რაოდენობა და მისი დინამიკურობა გარდაუვალს ხდის თანამედროვე პროგრამული და კომპიუტერული საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას და სადაზღვევო ორგანიზაციათა საქმიანობაში მათ აქტიურ და რაციონალურად გამოყენებას მოითხოვს.

სადაზღვევო ორგანიზაციას თავისი საქმიანობის წარმატებით განხორციელებისათვის თითოეული დაზღვეულისათვის ესაჭიროება ინდივიდუალური მონაცემის აღრიცხვა და დამუშავება და ამ მონაცემთა მართვა.

ეს მონაცემები ინფორმაციას მოიცავს დაზღვეულის, დამზღვევის და მოსარგებლის შესახებ. ეს ინფორმაცია დასამუშავებელია დაზღვევის დაწყების მომენტიდან. მონაცემთა რაოდენობა იზრდება შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

1. **ანდერაიტინგის ეტაპზე:** ამ ეტაპზე ხდება თითოეული ინდივიდუალური რისკის (დასაზღვევი ობიექტის) ანალიზი, შესწავლა, შეფასება და გადაწყვეტილების მიღება მისი დაზღვევის ან დაზღვევაზე უარის თქმის შესახებ;

2. **ანდერაიტინგის ეტაპზე:** ამავე ეტაპზე, რისკის მიღების შემთხვევაში, ხდება დაზღვევის პირობების (ზოგადი და სპეციალური) განსაზღვრა და მისადაგება კონკრეტულ დასაზღვევ რისკზე (ობიექტზე);

3. **გადაზღვევის ეტაპზე:** განისაზღვრება რისკების ერთობლიობიდან რომელი რისკები და რა პირობებით უნდა იქნეს გაშვებული გადაზღვევაზე;

4. **ზარალების მართვის ეტაპზე:** განისაზღვრება არის თუ არა დაზარალებულის მხრიდან წარდგენილი პრეტენზია სადაზღვევო შემთხვევა (ხდება დაზღვევის პირობებისა და მომხდარი ზარალის მონაცემთა შედარება, ზარალის სიდიდის განსაზღვრა, გადახდის ფორმის განსაზღვრა).

ეს მონაცემები არ არის სტატიკური, უცვლელი, არამედ მუდმივად განიცდის ცვლილებებს. მონაცემთა აღრიცხვის სირთულე იზრდება შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებითაც: 1. დაზღვევის სახეობების მრავალფეროვნება, 2. სადაზღვევო თანხების შემცირება და აღდგენა, 3. ვადაზე ადრე შეწყვეტილი კონტრაქტები; 4. სადაზღვევო პრემიის გადახდის ფორმების მრავალფეროვნება და სხვ.

ასევე გასათვალისწინებელია საქართველოს სადაზღვევო ბაზრის ზრდის მაღალი ტემპები.

აღნიშნული მონაცემების და მასში შესული ცვლილებების დაფიქსირება და მათი მისადაგება კომპანიის საერთო მონაცემთა ბაზებთან სადაზღვევო ორგანიზაციებისათვის სისტემატური, რთული და შრომატევადი საქმიანობაა. ეს ნიშნავს ყოველწლიურად ასიათასობით მონაცემის კორექტულად და მიზნობრივად აღრიცხვას, დამუშავებას და გაანალიზებას.

ასეთი უმნიშვნელოვანესი და შრომატევადი პროცესი უნდა დაეფუძნოს სწორ, ნაცად და მუშაობის გრძელვადიან პერიოდზე გათვლილ კონცეფციას და

თანამედროვე სადაზღვევო და საინფორმაციო-კომპიუტერულ ტექნოლოგიებს. ამ შემთხვევაში არასწორად შერჩეული კონცეფცია სადაზღვევო ორგანიზაციის საინფორმაციო სისტემის არაეფექტურობის, შეცდომების სისტემატურად დაშვებისა და სათანადო ფინანსური დანაკარგების ტოლფასია.

დღეისათვის, ექსპერტებისა და სადაზღვევო ინდუსტრიის წარმომადგენელთა შეფასებებით, საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა მდგომარეობა თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების ოპტიმალურად გამოყენების თვალსაზრისით, არაა დამაკმაყოფილებელი. დღევანდელი სიტუაცია რეალურად პრობლემატურია, რადგან არც ერთ სადაზღვევო ორგანიზაციას და არც მათ მიმწოდებლებს (სამედიცინო დაწესებულებები, პარტნიორები) არ აქვთ ოპტიმალურად ორგანიზებული საინფორმაციო სისტემა. არ არსებობს ინფორმაციის გაცვლის საერთო ზოგადი სტანდარტები, არ არსებობს სპეციალიზებული კომპიუტერული პროგრამები და სისტემები, რომლებშიც სრულად იქნება გათვალისწინებული ცალკეულ სადაზღვევო ორგანიზაციათა და მთლიანად სისტემის სპეციფიკური სადაზღვევო და ზოგადი საინფორმაციო-ტექნოლოგიური მოთხოვნები, რომლებიც გაამარტივებს სადაზღვევო ინფორმაციის აღრიცხვას, ურთიერთგაცვლას და საერთოდ – ინფორმაციის მართვის ხარისხს.

დავით ქათამაძე

**ბიზნესრისკების მართვის შესაძლებლობები
საქართველოში**

საქართველოში ბიზნესის წარმართვისათვის საკმაოდ არასტაბილური ვითარებაა შექმნილი. ამიტომ, ასეთ პირობებში წარმატების შანსი მხოლოდ იმ მეწარმეს აქვს, რომელსაც შეუძლია, ერთდროულად, ფხიზლად გაიანგარიშოს ან ინტუიციით განსაზღვროს რისკის დონე და წარუმატებლობის შესაძლებლობის არსებობის მიუხედავად, წავიდეს გარკვეულ რისკზე. რისკვაქტორების ზრდამ ჩვენს ქვეყანაში მატერიალური რესურსების ეკონომიის ძლიერი სტიმული წარმოქმნა, რაც აიძულებს ფირმებს, განსაკუთრებული ყურადღებით გააანალიზონ პროექტების ეფექტიანად რეალიზაცია, უდიდესი პასუხისმგებლობით დაამუშაონ ინვესტიციის ნუსხები, შეიძინონ რესურსები, დაიქირაონ კადრები და ა. შ. საქართველოში გეხვედება როგორც წმინდა, ისე სპეკულაციური ხასიათის რისკები.

წმინდა რისკი გულისხმობს მხოლოდ დანაკარგების არსებობის ალბათობას, ხოლო სპეკულაციური რისკი კი გულისხმობს როგორც დანაკარგების, ასევე მოგების მიღების შესაძლებლობას. წმინდა რისკების წინასწარ გათვალისწინება და თავიდან აცილება შეუძლებელია. მას განეკუთვნება მიწისძვრები, ხანძარი, სხვადასხვა სახის ბუნებრივ-ეკლიმატური პირობები, სტიქიური უბედურ-

რებები და ა. შ.⁶² რისკების კლასიფიკაცია მოიცავს აგრეთვე სოციალურ-ეკონომიკურ, პროფესიულ, სამედიცინო, სამხედრო, პოლიტიკურ და სხვა სახის რისკებს. საქართველოში ბიზნესის წარმართვის დროს ყველაზე უფრო ხშირად იქმნება სამხედრო, პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური რისკების წარმოქმნის საშიშროება. ამიტომ საჭიროა, შევავასოთ ჩვენს ქვეყანაში ამ სახის რისკებისაგან ბიზნესის დაცვის შესაძლებლობანი.

2008 წლის აგვისტოში საქართველო-რუსეთს შორის ომმა და მოუგვა-რებელმა კონფლიქტებმა ჩვენი ქვეყანა მაღალი სამხედრო და პოლიტიკური რისკების მომცველ სახელმწიფოდ აქცია. რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ გამოცხადებულმა სავაჭრო-ეკონომიკურმა ბლოკადამ, ფინანსური პოლიციის მხრიდან ბიზნესმენებზე, მეწარმეებზე საკუთრების, ზოგჯერ უკანონოდ, ყოველგვარი მტკიცებულებებისა და სასამართლო ორდერის თავის დროზე წარდგენის გარეშე, კონფისკაციამ საქართველოში გააღრმავა ეკონომიკური რისკის წარმოქმნის ალბათობა.

საქართველოში იმძლავრა სოციალური რისკების წარმოქმნის საფრთხე, რაც ჩვენს ქვეყანაში სოციალურ რისკებს წარმოშობის სხვადასხვა მიზეზი აქვს. ყოველი მათგანის შედეგები მომუშავეთა სხვადასხვა კატეგორიებში სხვადასხვა გზით ვლინდება.

უმუშევრობის რისკი, რომლის წარმოქმნის საშიშროება საქართველოში ძალზე დიდია, ერთდროულად უკავშირდება მომუშავეს, დამქირავეებსა და ხელისუფლებას. აქ რისკის დიდი ნაწილი თვით მომუშავეზე მოდის, რადგანაც იგი თვითონ ირჩევს პროფესიას და კვალიფიკაციის ამადლებასაც თავად ზრუნავს. დამქირავებელი რისკს ეწევა პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის დროს. უმუშევრობის დონის ზრდა ხელისუფლებას სოციალური აფეთქების საშიშროებას უქმნის.

საქართველოში არსებობს სამეწარმეო (საწარმოო, კომერციული, ფინანსური, ინვესტიციური და საბაზრო) რისკებიც. საწარმოო რისკი დაკავშირებულია პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციასთან. ამ სახის რისკი ნებისმიერი საწარმოო ცვლილებებისადმი მგრძობიარე. საწარმოო რისკი იქმნება ბაზრის კონიუნქტურის ცვლილებისას, გაუთვალისწინებელი ხარჯების შემთხვევაში, საწარმოო ქონების დაკარგვისას, რაც ხშირი მოვლენაა ჩვენს ქვეყანაში. კომერციული რისკი წარმოიშობა საქონლის რეალიზაციის, ფასების არასასურველი ცვლილების დროს და ა. შ.

მსოფლიო საფინანსო კრიზისის გაღრმავების შედეგად საქართველოში იმატა ფინანსური რისკების წარმოქმნის საშიშროებამაც, რაც გამოწვეულია დებიტორთა გადახდისუნარიანობის დაქვეითებით. ჩვენს ქვეყანაში ინვესტიციური რისკი წარმოქმნა საინვესტიციო-ფინანსური პორტფელის გაუფასურებამ.

⁶² ბიზნესის საფუძვლები. სახელმძღვანელო. პროფ. გ. ბაბუნაშვილისა და პროფ. ლ. ყორანაშვილის რედაქციით. თბ., 2004, გვ.163.

ფინანსური რისკის კვალდაკვალ ამადლდა საბაზრო რისკების, რაც განაპირობა საპროცენტო განაკვეთების ზრდამ და ლარის მოულოდნელმა დევალვაციამ.

საქართველოში ბოლო ხანებში გაიზარდა აგრარული რისკების დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბების ინტერესი. საბაზრო სისტემის ადეკვატური აგრარული რისკების დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბებისას აუცილებელია საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინება, რაც თავიდან აგვაცილებს იმ შეცდომებს, რომელიც თავის დროზე დაუშვა ამჟამად აგრარული რისკების დაზღვევის განვითარებული სისტემის მქონე ქვეყნებმა⁶³.

ამრიგად, ჩვენს ქვეყანაში მრავალი სახის ბიზნესრისკი არსებობს. საინტერესოა, თუ რამდენად არის შესაძლებელი ამ რისკებისაგან ბიზნესის დაზღვევის შესაძლებლობა ჩვენი ქვეყნის რეალობაში. ბევრი რისკის დაზღვევა შეიძლება, მაგრამ, ცხადია, ყველა სახის რისკს არც ერთი სადაზღვევო კომპანია არ დააზღვევს. საქართველოში წმინდა რისკების უმრავლესობა დაზღვევადია, ხოლო სპეკულაციურ რისკებს, როგორც წესი, არ აზღვევენ. დაუზღვეველ რისკებს განეკუთვნება ბაზრის რისკი (ფასების სეზონური, ციკლური რყევა, კონკურენტის არსებობა, პოლიტიკური რისკი, წარმოების რისკი და სხვა).

საქართველოში მოქმედ ბიზნესმენებს შეუძლიათ დააზღვიონ საკუთრება, პირადი რისკი, სიცოცხლე, შრომისუნარიობა, მოხუცებულობა, იურიდიულ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული რისკი (ავტომობილის გამოყენება, საქონლის წარმოება, პროფესიული შეცდომები და სხვა). ჩვენს ქვეყანაში ნებისმიერი სახეობის ბიზნესი დაცვას საჭიროებს, რადგანაც რისკი ბიზნესში გარდაუვალია. მენეჯერებმა უნდა განჭვრიტონ ბიზნესრისკები, რათა უზრუნველყონ წარმატება ბიზნესში. მაგრამ მათ არ შეუძლიათ იწინასწარმეტყველონ ყველა სახის რისკი.

ჩვენს ქვეყანაში შეუძლებელია ფინანსურმა მენეჯერმა დაიცვას ბიზნესი ფინანსური რისკისაგან ისე, რომ, იმავედროულად, უზრუნველყოს რენტაბელობის მაღალი დონე, რადგანაც მან ასევე უნდა გაითვალისწინოს რისკის ნეგატიური შედეგების შემცირების შესაძლებლობა ფირმისათვის ყველაზე არახელსაყრელ მოვლენათა შემთხვევაშიც კი. მოსალოდნელი დანაკარგების მინიმიზაციისათვის საქართველოში მოქმედი ფირმის „რისკის მენეჯერმა“ უნდა შეიმუშაოს სპეციალური პროგრამა, სადაც ჯერ უნდა შეფასდეს რისკ-ფაქტორების წარმოქმნის საშიშროება, შემდეგ კი დაისახოს შესაძლო ბიზნეს-რისკების მართვის ღონისძიებები, კონტროლი დაუწესდეს რისკის საწინააღმდეგო პროგრამის შესრულებას.

საქართველოში ბიზნესრისკების მართვა მიზნად უნდა ისახავდეს ისეთი ნორმატივების შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს ყველაზე უკეთესი დამცავი მექანიზმის ჩამოყალიბებას, გატარებულ ღონისძიებათა შედეგების ანა-

⁶³ ბაჟუნაიშვილი ჯამლეო, ძაგანია ეთერ. აგრარული რისკების დაზღვევის ესპანური მოდელი: პერსპექტივები საქართველოსათვის. ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, № 2 (მარტი-აპრილი), თბ., 2008, გვ. 113.

ლიზს, რისკების დაზღვევის ღონისძიებათა კორექტირებას და სხვა. ჩვენს ქვეყანაში ბიზნესის განვითარებისათვის არასტაბილური პირობების შექმნის გამო დიდი მნიშვნელობა აქვს კონკურენციული სადაზღვევო ბაზრის განვითარებას. საქართველოში ეკონომიკური სუბიექტების საფრთხისაგან დაზღვევა და ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში. ჩვენს ქვეყანაში ბიზნესრისკებისაგან კომპანიების დაზღვევის აუცილებლობა განაპირობა კონიუნქტურის არასასიკეთო ცვლილებამ, ამა თუ იმ კანონის ხშირად ცვლილებამ და სამეწარმეო საქმიანობის პირობების შეცვლისაგან მიღებულმა სხვა უარყოფითმა შედეგებმა.

საქართველოში ბიზნესის დაზღვევის აუცილებლობა გამოწვეულია განუსაზღვრელი და მოულოდნელი მოვლენებისაგან კაპიტალის ან შრომის დაცვით, რომელთა უზრუნველყოფაც ხდება სადაზღვევო ორგანიზაციების მიერ გარკვეული გადასახადის საფასურად. ჩვენს ქვეყანაში სადაზღვევო საქმიანობის საბაზრო პირინციპებზე გადაყვანის მიზნით, პარლამენტმა 1997 წელს მიიღო კანონი „დაზღვევის შესახებ“. ქვეყანაში სადაზღვევო საქმის მოწესრიგების მიზნით დამტკიცებულია საქართველოს ტერიტორიაზე სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზირების წესები. სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზია წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც მფლობელს აძლევს უფლებას, აწარმოოს სადაზღვევო საქმიანობა საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ლიცენზია გაცემა დაზღვევის სახეობების მიხედვით ცალ-ცალკე პირადი, ქონებისა და პასუხისმგებლობის დაზღვევის მიზნით⁶⁴.

პირად დაზღვევას მიეკუთვნება სიცოცხლის დაზღვევა, საპენსიო დაზღვევა, სამედიცინო დაზღვევა, უბედური შემთხვევებისა და ავადმყოფობისაგან დაზღვევა. ქონების დაზღვევას მიეკუთვნება სახელმწიფო, საპაერო, საზღვაო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა, ტვირთების დაზღვევა, ყველას სახის ქონების დაზღვევა, ფინანსური რისკებისა და გარიგებათა დაზღვევა. პასუხისმგებლობის დაზღვევას მიეკუთვნება ავტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის, გადამხდელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის, პროფესიული ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის დაზღვევა. ლიცენზიის შეწყვეტა შეუძლია დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს ლიცენზირების წესების დარღვევის ან შეუსრულებლობის შემთხვევაში.

საქართველოში ბიზნესის ეფექტიანად წარმართვისათვის საჭიროა წინასწარ შეფასდეს არსებული რისკები, განისაზღვროს მათგან ბიზნესის დაცვის შესაძლებლობები და დროულად მოხდეს ამ რისკებზე რეაგირება. შეფასების პროცესში უნდა დადგინდეს, არსებობს თუ არა ჩვენს ქვეყანაში რესურსები რისკებზე ოპერატიულად რეაგირებისათვის. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი რესურსები გამოიძებნება, მაშინ შესაძლებელია მოხდეს ბიზნეს-რისკების დაზღვევა.

⁶⁴ თემურ შენგელია. ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები. თბ., 2008, გვ. 647.

ბიზნესრისკების მართვის დამატებითი პროცედურების შემუშავების მიზნით, საჭიროა რისკების მართვის სფეროში დასაქმებულ მუშაკთა კვალიფიკაციის დონის ამაღლება, დამატებითი მოწყობილობის შეძენა-მონტაჟი, რისკების ამოქმედების შემთხვევაში ურთიერთმხარდაჭერის ხელშეკრულების შემუშავება და ა. შ. მას შემდეგ, რაც მოვახდინეთ საქართველოში ბიზნესრისკების რანჟირება საფრთხეების მიხედვით, აუცილებელია, დაესახოს ის ღონისძიებანი, რომლებიც იძლევა ამ რისკების მართვის (შემცირების ან ლიკვიდაციის) შესაძლებლობას. ამდენად, აუცილებელია ობიექტურად შეფასდეს ჩვენს ქვეყანაში ბიზნესრისკების დაძლევის დამოუკიდებელი ან კორპორაციული შესაძლებლობანი. საქართველოში შექმნილი ვითარების შესაბამისად, უნდა გატარდეს რისკებისაგან ბიზნესის დაზღვევის შემდეგი ღონისძიებანი:

1. რისკებზე პასუხისმგებლობის გადანაწილების მიზნით უნდა მოიძებნოს ისეთი ობიექტი, რომელიც მოახდენს მოცემული რისკის ნეიტრალიზებას. სადაზღვევო კომპანიებზე რისკის გადანაწილება უნდა მოხდეს სადაზღვევო პოლისების რეალიზაციით;

2. მაღალი რისკების შემცველი სიტუაციების განსაზღვრის მიზნით ნეიტრალიზაციის ობიექტი, პირველ რიგში, უნდა გახდეს მაღალი რისკის მქონე ბიზნესვაქტორები;

3. რისკების ალბათობის შემცირების მიზნით საჭიროა თანამშრომლებზე უსაფრთხოების წესების გაცნობით, ტრავმულობის ალბათობის შემცირება;

4. რისკების შეფასების მიზნით კომპანიამ ან სრულად უნდა აიღოს ფინანსური პასუხისმგებლობა ცალკეული ტიპის რისკების მიხედვით ან ეს პასუხისმგებლობა სადაზღვევო კომპანიას უნდა დააკისროს.

თამარ ქამხაძე

**სატრანსპორტო ზირმების მენეჯმენტის სრულყოფის
მიმართულეუბები საპარტიველოში**

ტანსპორტი ეროვნული მეურნეობის მნიშვნელოვანი და დინამიკურად განვითარებადი დარგია. ამჟამად, ქვეყანაში არსებული კრიზისული მდგომარეობის დაძლევის მიზნით, საქართველოში სატრანსპორტო სექტორის განვითარებას ერთ-ერთი პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება.

გარდა აღნიშნულისა, მსოფლიო ეკონომიკაში, კულტურაში, საზოგადოებრივ ურთიერთობებსა და ადამიანთა საქმიანობების სხვა სფეროებში ცვლილებებმა აუცილებელი გახადა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნებს შორის კავშირების გაფართოება, რაშიც განსაკუთრებული როლი აკისრია ტრანსპორტს.

ამ ასპექტში, სატრანსპორტო საწარმოების წინაშე სულ უფრო მზარდი ამოცანები იშლება, რაც მნიშვნელოვნად აფართოებს მათი მართვის ფუნქციებს, ესენია:

- გადაზიდვების დაგეგმვა;
- გადაზიდვების პროცესების ოპერატიული მართვა და მათი მსვლელობის რეგულირება;
- სატრანსპორტო წარმოების ტექნიკური და ტექნოლოგიური მომზადება;
- მატარებლების, გემების, ავტოტრანსპორტის, თვითმფრინავების და სატრანსპორტო ქსელის სხვა სახის ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- კადრების შერჩევა, სწავლება, აღზრდა და განლაგება;
- წარმოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ორგანიზაცია;
- შრომისა და ხელფასის ორგანიზაცია;
- საფინანსო საქმიანობის ორგანიზაცია;
- საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების ორგანიზაცია;
- სარტანსპორტო წარმოების ეკონომიკური ანალიზი, დაგეგმვისა და მართვის სრულყოფა.

ჩამოთვლილი ფუნქციები დამახასიათებელია ტრანსპორტის ყველა სახეობისათვის, მაგრამ მათი შეცვლა შესაძლებელია სატრანსპორტო საწარმოების ტიპებისა და მათი საქმიანობის თავისებურებების შესაბამისად. ტრანსპორტი, საქმიანობის მწარმოებლურ ფუნქციებთან ერთად, მგზავრთა გადაადგილების სახით, ასრულებს მომსახურებით ფუნქციებსაც. ტრანსპორტის მიერ შესასრულებელი ფუნქციები არაერთგვაროვანი და გადახლართულია, რომელთა გამოიჯენა პრაქტიკაში თითქმის შეუძლებელია.

უნდა აღინიშნოს, რომ ტრანსპორტის საქმიანობა თავისებურებებით ხასიათდება. კერძოდ, აქ შექმნილ პროდუქტს აქვს არა მატერიალური, ნივთობრივი სახე, არამედ მომსახურების სახე. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა, რომ სატრანსპორტო საწარმოთა მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლები წინა პლანზეა წამოწეული. განსაკუთრებით ეს აქტუალურია თანამედროვე საწარმოთა საქმიანობაში.

მადალგანვითარებულ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ფირმების საქმიანობას და მათ სიცოცხლისუნარიანობას განსაზღვრავს არა გამოშვებული პროდუქციის მოცულობა, არამედ გამოშვებული პროდუქციის ხარისხი, ერთეული პროდუქციის დამზადებაზე გაწეული ინდივიდუალური დანახარჯები, საწარმოს რენტაბელობის დონე და ა.შ. ეს იმას ნიშნავს, რომ, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, საწარმოთა საქმიანობა ფასდება მისი მუშაობის ფინანსური მაჩვენებლებით.

საწარმოთა ფინანსური წარმატებების მიღწევაში განსაკუთრებული როლი ეკუთვნით ინიციატივიან და ენერგიულ მენეჯერებს, რომლებმაც საწარმოში უნდა უზრუნველყონ საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა, საწარმოს ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზი, ფინანსური

კოეფიციენტების განგარიშება, განხორციელონ ფულადი ნაკადების მოძრაობაზე კონტროლი, შეადგინონ ფულადი სახსრების, რეალიზაციის, დანახარჯების და სხვ. ბიუჯეტები, ასევე დასახონ პროგნოზები. საზღვარგარეთული ფირმებისათვის ყოველივე ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, ჩვენს საწარმოებში კი ახლა იწყება. სწორედ ამიტომაც აუცილებელი ნებისმიერი საწარმოს შიდა მენეჯმენტის სწორი გატარება და მისი სრულყოფა.

ფირმის შიდა მენეჯმენტის სრულყოფის ერთ-ერთი ძირითადი ასპექტია ინოვაციები. ინოვაცია სატრანსპორტო საწარმოს მართვის და მისი მეურნეობრიობის ფორმების და მეთოდების სრულყოფის საფუძველია.

ინოვაცია განსაკუთრებული სახის საქონელია. მისი მოხმარებით იგი არ იხარჯება, ამიტომ ერთი და იგივე ინოვაცია შეიძლება მრავალჯერ გამოიყენოს მრავალმა შემკვეთმა. იგი მჭიდრო კავშირშია სატრანსპორტო საწარმოების განვითარების პროცესთან და საფუძველად უდევს საწარმოს განვითარების მართვას. იგი მოიცავს სატრანსპორტო მეცნიერებისა და პრაქტიკის კომპლექსური ფუნქციონირების უზრუნველყოფ მიზანმიმართულ ღონისძიებებს. მისი მიზანია უზრუნველყოს სიახლეთა პრიორიტეტი, რომელიც ხელს შეუწყობს, კარდინალურად შეცვალოს ტრანსპორტის საწარმოთა საინვესტიციო აქტივობა მისი ზრდის მიმართულებით, დააქაროს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, შეამციროს განსხვავება რეგიონებს შორის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონეში. შედეგად გაიზრდება კონკურენტუნარიანობა გადაზიდვებს შორის და გააუმჯობესდება სატრანსპორტო მომსახურების ხარისხი.

ტრანსპორტის ინოვაციური განვითარება ობიექტურად საჭიროებს ეკონომიკის მთავარი რესურსის, კადრების მომზადების ახალ კონცეფციას. ფირმის დონეზე ხელმძღვანელებმა უნდა გაატარონ „ადამიანური რესურსების მართვის“ პოლიტიკა, ახალი საწარმოო კულტურის ფორმირება, რომელიც ორიენტირებულია ადამიანზე და ითვალისწინებს ფირმის საქმიანობაში პერსონალის მაქსიმალურად ჩართვას, პერსონალის ინიციატივას წახალისებას და თვითღირსეულობას. ყველა ტექნიკური და ორგანიზაციული გარდაქმნები უნდა განხორციელდეს პროფკავშირებთან და შრომითი კოლექტივების წარმომადგენლებთან კონსულტაციებით, განსაკუთრებით ჭარბი სამუშაო ძალის გათავისუფლების შემთხვევებში. ასეთი მწვავე სოციალური პრობლემა, უპირველეს ყოვლისა, უნდა გადაწყდეს კადრების შიდასაფირმო გადაადგილების საშუალებით, დამატებითი დივერსიფიცირებული წარმოების შექმნით, საწარმოებიდან გათავისუფლებულ მომუშავეთა დახმარების გაწევით.

სატრანსპორტო ფირმების შიდა მენეჯმენტის სრულყოფისათვის ძალზე მნიშვნელოვან საკითხად მიგვაჩნია მძღოლთა შრომის ანაზღაურების სწორი ორგანიზაცია. კერძოდ, ქ. თბილისში მგზავრთა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ე.წ. „ყვითელ“ ავტობუსებში გატარებული ინოვაციური ღონისძიება (საღარო-აპარატების დამონტაჟება) იმის საფუძველი გახდა, რომ მძღოლთა შრომის ანაზღაურება ხელფასის დროითი ფორმით ხორციელდება, ე.ი. მათი შრომა ანაზღაურდება ნამუშევარი საათების სატარიფო განაკვეთებით.

ამ სიახლემ მძლღოთა გარკვეული ნაწილის გაღიზიანება გამოიწვია, რაც პირდაპირ უარყოფითად აისახა სატრანსპორტო მომსახურების ხარისხზე. სახელდობრ, ხშირ შემთხვევაში, დროის მოგების მიზნით, მძღოლები განერებებზე ჩქარობენ, რაც არაკომფორტულს ხდის მგზავრთა ასვლა-ჩამოსვლის პროცესს, ზოგ შემთხვევაში მძღოლები ავტობუსს არ აჩერებენ განერებებზე. ყოველივე ამის ქვეშ იმალება მძღოლთა ფარული მატერიალური დაინტერესება, რაც, სიახლეთა დანერგვასთან ერთად, მათ ჩამოერთვათ.

მიგვაჩნია, რომ სიახლეთა დანერგვამ და პრაქტიკაში გატარებამ, ერთი მხრივ, უნდა უზრუნველყოს მძღოლთა მატერიალური დაინტერესება, და, მეორე მხრივ, დადებითად აისახოს მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე. ამ საქმეში განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს ხელფასის ორგანიზაციის სრულყოფამ. ამდენად, ჩვენი აზრით, „ყვითელი“ ავტობუსების მძღოლთა ანაზღაურება უნდა მოხდეს არა დროითი ფორმით, არამედ სანარდლო ფორმით, ე.ი. ანაზღაურება გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობის მიხედვით. ამისათვის აუცილებელია სწორად განისაზღვროს, შემუშავდეს და დაინერგოს სანარდლო შეფასებები, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს შრომის ნორმირების გაუმჯობესებას და ტექნიკურად დასაბუთებული შრომის ნორმების შემუშავებას.

ნინო ფარესა შვილი

ორგანიზაციული ქცევის ზოგიერთი ასპექტი

ორგანიზაციული ქცევის კვლევა ორიენტირებულია ორ მთავარ ასპექტზე. *პირველ რიგში* ეს ინდივიდუალური ქცევის სფეროა. ამ სფეროს შეისწავლიან ძირითადად ფსიქოლოგები. მას მიაკუთვნებენ ისეთ საკითხებს, როგორცაა ადამიანთა ურთიერთობა ორგანიზაციასთან, ხასიათის ინდივიდუალური მახასიათებლები, აღქმა, სწავლება და მოტივაცია. *მეორე რიგში, ეს არის* ჯგუფური ქცევის სფერო, რომელიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა ნორმები, როლი, გუნდის შექმნა და კონფლიქტები ორგანიზაციაში. ჩვენი მოსაზრებები ჯგუფების შესახებ დაფუძნებულია სოციოლოგების კვლევებზე. ჯგუფის ქცევა არ შეიძლება აისხნას ჯგუფის თითოეული წევრის ქცევის შეჯამებით, რადგან ადამიანები გუნდში ყოფნისას სხვანაირად იქცევიან, ცალკე ყოფნისას კი სხვანაირად. ადამიანები ჯგუფურად ხშირად აკეთებენ ისეთ რაღაცას, რასაც ცალკე არ გააკეთებდნენ. სწორედ აქ ყალიბდება ცალკეული პირების ქცევის ძირითადი მახასიათებლები. ამიტომ გადავწყვიტეთ ჯგუფური ქცევის ძირითადი კონცეფციების განხილვა.

ორგანიზაციული ქცევა იმისთვის შეისწავლება, რომ აეხსნათ ადამიანთა ქცევა ორგანიზაციაში და ზეგავლენა მოვახდინოთ მასზე. რისთვის სჭირდებათ ეს მენეჯერებს? უპირველეს ყოვლისა იმისთვის, რომ შეეძლოთ თავიანთი ხელქვეითების ქცევის მართვა. მენეჯერის წარმატება მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული მის შესაძლებლობაზე – მიადწიოს რაიმეს სხვა ადამიანების

დახმარებით. ამისათვის მმართველისათვის აუცილებელია იცოდეს რატომ იქცევიან მისი ხელქვეითები ასე. მან წინასწარ უნდა განსაზღვროს, როგორი რეაქცია ექნებათ თანამშრომლებს მის მოქმედებაზე და როგორ ზეგავლენას ახდენენ ისინი გარშემომყოფებზე. ხელქვეითების ქცევის რომელი ტიპი აინტერესებთ განსაკუთრებით მენეჯერებს? აქ ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ ძირითად ხუთ მომენტზე: შრომის მწარმოებლურობა, აბსენტიზმი, კადრების დენადობა, ორგანიზაციულ-მოქალაქეობრივი ქცევა და ადამიანთა საკუთარი სამუშაოთი კმაყოფილება.

თანამშრომლების შრომის მწარმოებლურობა არის როგორც ეფექტიანობის, ისე ადამიანთა შრომის შედეგიანობის მაჩვენებელი. აბსენტიზმი – ეს ქცევათა უწყვეტი ხაზია, რომელიც მოიცავს წინასწარი განზრახვით, არასაპატიო მიზეზით სამუშაოზე გამოუცხადებლობას..

კადრების დენადობა მუდმივი ნებაყოფლობითი და იძულებითი წასვლაა ორგანიზაციიდან. ამ დროს იზრდება ხარჯები დაქირავებაზე, ახალი თანამშრომლების შერჩევასა და ტრენინგებზე. როგორც გაცდენებისაგან, ისე კადრების დენადობისაგან მენეჯერი დაზღვეული არაა, მაგრამ აუცილებელია ამ მაჩვენებლის შემცირებისკენ სწრაფვა.

ორგანიზაციულ-მოქალაქეობრივი ქცევა არის თანამშრომლის მიერ თავისი ქცევის აღქმა, რომელიც არ წარმოადგენს მისი სამსახურეობრივი საქმიანობის საჭირო ნაწილს, მაგრამ, ამასთან, ხელს შეუწყობს ორგანიზაციის შედარებით ეფექტურად ფუნქციონირებას.

ორგანიზაციას სჭირდება ისეთი ადამიანები, რომლებიც აჭარბებენ თავიანთ უშუალო თანამდებობრივ ვალდებულებას, რადგან სწორედ ის კომპანიები აღწევენ საუკეთესო შედეგებს, სადაც ასეთი ადამიანები მუშაობენ. **სამუშაოთი კმაყოფილება კი არის თანამშრომლის სამუშაოსთან ურთიერთობის ძირითადი ასპექტი.** განსაზღვრებიდან ცხადია, რომ ეს გაგება უფრო მეტად ეხება ურთიერთობის კატეგორიას, ვიდრე ქცევისას, მაგრამ მოცემული ფაქტორი უშუალოდ ეხება მენეჯერს იმდენად, რამდენადაც კმაყოფილი თანამშრომლები ნაკლებად აცდენენ სამსახურს და იშვიათად ტოვებენ სამსახურს.

ურთიერთობა არის შეფასებითი დასკვნა (სასურველი ან არასასურველი) ობიექტების, ადამიანების ან მოვლენების შესახებ. ის ასახავს, რას გრძნობს ადამიანი რაიმესთან დაკავშირებით. როცა ადამიანი ამბობს „მე მომწონს ჩემი სამუშაო“, ის ამით გამოხატავს თავის პოზიციას ან თავის დამოკიდებულებას სამუშაოსთან.

ურთიერთობის შემეცნებითი კომპონენტია რწმენა, აზრი, ცოდნა, ინფორმაცია, რომელსაც ფლობს ადამიანი.

ურთიერთობის ემოციური კომპონენტი არის ემოციური, ანუ მგრძობიარე ურთიერთობის ასპექტი.

ურთიერთობის ქცევის კომპონენტი კი არის წინასწარი განზრახვა იქცეოდეს გარკვეული სახით ვინმესთან ან რამესთან მიმართებაში.

მოცემული კონცეფციის უკეთ გასაგებად, გთავაზობთ დაწვრილებით განვიხილოთ მისი სამი კომპონენტი: **კოგნიტური შესაძლებლობა, აფექტი და ყოფაქცევა**. ურთიერთობის შემეცნებითი კომპონენტი შედგება რწმენის, აზრის, ცოდნის და ინფორმაციისგან, რომელსაც ფლობს ადამიანი. ასე რომ, აზრი იმის შესახებ, რომ „დისკრიმინაცია – ეს ცუდია და არასწორი” ეფუძნება გარკვეულ აზრს. აფექტური კომპონენტი – ეს ურთიერთობის ემოციური ან მგრძობიარე ნაწილია. აფექტი – რაღაცაა, რაც შესაძლებლობას გვაძლევს, მივალწიოთ გარკვეული ქცევის შედეგს. ქცევის კომპონენტი უკავშირდება განზრახვას – მოიქცე კონკრეტული სახით რამის ან ვინმეს მიმართ. შეხედულება ურთიერთობაზე, როგორც ცნებაზე, შემდგარი სამი კომპონენტისაგან, ასახავს მის სირთულეს. თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ ტერმინი ურთიერთობა ჩვეულებრივ გამოიყენება აფექტურ კომპონენტთან კავშირში.

თავისთავად იგულისხმება, რომ მენეჯერებს აინტერესებთ მათი ხელქვეითების არა ყველანაირი ურთიერთობა, არამედ მხოლოდ სამსახურთან დაკავშირებული. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში ამ სფეროში მუდმივი სამეცნიერო კვლევების აქტიურ ობიექტად ჩამოყალიბდა სამი კონცეფცია – სამსახურით კმაყოფილება, ორგანიზაციის საქმიანობაში ჩართვა და ორგანიზაციისადმი ერთგულება.

როგორც ჩვენთვისაა ცნობილი, სამუშაოთი კმაყოფილება ქმნის ადამიანის სამუშაოსთან ურთიერთობის საფუძველს. ადამიანი სამუშაოს მაღალი კმაყოფილებით მის მიმართ პოზიტიურ დამოკიდებულებაშია, ხოლო უკმაყოფილო მუშა ნეგატიურში. თანამშრომლის სამსახურთან დამოკიდებულებაზე საუბრისას, ჩვენ, ჩვეულებრივ, განვიხილავთ მათი კმაყოფილების დონეს. გთავაზობთ უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ზოგიერთი ძირითადი დასკვნა, დაკავშირებული ადამიანთა სამსახურით კმაყოფილების დონესთან.

შეიძლება ითქვას თუ არა, რომ ადამიანთა უმრავლესობა დღეისთვის კმაყოფილია თავისი სამუშაოთი? თუ ვისაუბრებთ აშშ და სხვა განვითარებულ ქვეყნებზე, მაშინ პასუხი, ყველაფრიდან გამომდინარე, იქნება დადებითი.

ამერიკელი თანამშრომლების აზრის დამოუკიდებელი კვლევა, რომელსაც ახორციელებდნენ უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში, მთლიანობაში მიუთითებდა იმაზე, რომ ადამიანებს ძირითადად სრულიად აკმაყოფილებთ მათი სამუშაო. თუმცა პროცენტული მაჩვენებლების განსხვავება სხვადასხვა დარგებში საკმაოდ მაღალია – 50-დან 80%-მდე ადამიანთა უმრავლესობა აღიარებდა, რომ ისინი კმაყოფილნი არიან თავიანთი სამსახურით. 1990 წლიდან შეინიშნება ამ მაჩვენებლის თანდათანობითი, მაგრამ მნიშვნელოვანი შემცირება. კერძო სამეცნიერო კვლევის ორგანიზაციის Conference Board-ის გამოქვეყნებული მონაცემებით, 1995 წელს 58,6% ამერიკელი კმაყოფილი იყო თავისი სამუშაოთი, 2003 წელს კი ამ მაჩვენებლებმა 49% შეადგინა. სრულიად ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ მოსახლეობის სამუშაოთი კმაყოფილების დონე, როგორც წესი, იზრდება მათი შემოსავლების ზრდის მიხედვით. როგორც გამოკვლევებმა გვაჩვენა, ადამიანები, რომელთა ანაზღაურება შეადგენს 15000 დოლარამდე წელიწადში

ნაკლებად იყვნენ კმაყოფილნი, ვიდრე ისინი ვისი ანაზღაურებაც აჭარბებდა 50000 დოლარს. უკანასკნელნი მეტად კმაყოფილნი არიან თავისი სამსახურით. ამასთან საჭიროა, ვაღიაროთ, რომ დაწყებული 1995 წლიდან, ეს მანქანებელი შემცირდა რესპონდენტების ყველა ჯგუფში. ნიშნავს თუ არა ის ფაქტი, რომ ადამიანები, რომლებიც გამოიმუშავებენ მეტ ფულს, უფრო კმაყოფილნი არიან თავისი სამუშაოთი, რადგან თვლიან, რომ ფულით შეუძლიათ იყიდონ ბედნიერება? მაღალი ხელფასი ხელს უწყობს უზრუნველყოს სამუშაოთი კმაყოფილების უფრო მაღალი დონე. ამ შემთხვევაში გამოიყენება აღნიშნული მოვლენის სხვა განმარტებებიც. მაღალანაზღაურებადი სამუშაო, როგორც წესი, მოითხოვს უფრო რთულ ჩვევებს, რომელიც დაკავშირებულია უფრო დიდ პასუხისმგებლობასთან. ის სთავაზობს თანამშრომლებს უფრო რთულ ამოცანებს და ნიშნავს კონტროლს მათ საქმიანობაზე. შესაძლებელია, ადამიანები მაღალი ანაზღაურებით, კმაყოფილნი არიან თავისი სამუშაოთი. ეს განპირობებულია იმით, რომ ისინი არა მხოლოდ მაღალი ანაზღაურებით არიან კმაყოფილნი, არამედ მოქმედების სრული თავისუფლებით და კონტროლით.

როგორ მოქმედებს ადამიანების სამუშაოთი კმაყოფილების დონე სამსახურში მათ ქცევაზე, ანუ მათ მწარმოებლურ უნარიანობაზე, გაცდენების რიცხვსა და კადრების დენადობაზე? განვიხილოთ ეს ურთიერთკავშირი.

XX საუკუნეში გავრცელებული იყო აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ, თუ მუშაკი კმაყოფილია თავისი სამუშაოთი, მისი შრომის მწარმოებლურობა იქნება მაღალი. ხოტორნის კვლევების შედეგად მენეჯერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ თანამშრომლების სამუშაოთი კმაყოფილება უზრუნველყოფს მათი შრომის მაღალ ინტენსივობას. სამუშაო კმაყოფილებასა და მწარმოებლურობას შორის ურთიერთკავშირის ადრეული კვლევები ისე იგვეგებოდა, რომ, საბოლოო ჯამში, შეუძლებელი იყო დამტკიცებულიყო გარკვეული კავშირი მიზეზსა და შედეგს შორის. გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ მწარმოებლურობას უფრო მიყვავართ სამუშაოთი კმაყოფილებასთან, ვიდრე პირიქით. თუ თქვენ ეფექტიანად ასრულებთ სამუშაოს ე.ი. თავისთავად თქვენ ეს მოგწონთ და იღებთ კმაყოფილებას. თუ თქვენს ორგანიზაციაში აჯილდოვებენ მაღალი მწარმოებლურობისათვის, თქვენ დაიმსახურებთ მოწონებასა და აღიარებას, ხელფასის ამაღლებას და სამსახურებრივ კიბეზე წინ წაწევას, რაც ხელს შეუწყობს მომავალში სამუშაოთი კმაყოფილების დონის ამაღლებას.

კვლევებმა აჩვენა, რომ კმაყოფილი თანამშრომლები იშვიათად აცდენდნენ სამუშაოს საპატიო მიზეზის გარეშე, ვიდრე ისინი, ვისაც სამუშაო არ აკმაყოფილებდა. ამ შემთხვევაში წარმოიქმნება სხვა ფაქტორების ზემოქმედებაც. მაგალითად, ორგანიზაციები, რომლებიც ატარებენ ლიბერალურ პოლიტიკას ავადმყოფობასთან მიმართებაში, ახალისებენ თავის თანამშრომლებს.

სამუშაოთი კმაყოფილ თანამშრომლებსა და თანამშრომელთა დათხოვნის რაოდენობას შორის ურთიერთკავშირის ხარისხის კვლევამ წარმოაჩინა ურთიერთკავშირი ამ ორ მანქანებელს შორის. თუმცა აქაც არსებობს მთელი რიგი ხელის შემშლელი ფაქტორები: პირობები ბაზარზე, კარიერის ზრდის მოლო-

დინი, სამუშაო სტაჟი ორგანიზაციაში და ა.შ. გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ მნიშვნელოვანი ფაქტორია თანამშრომელთა შრომის მწარმოებლურობის დონე. აღმოჩნდა, რომ თანამშრომლებისთვის მაღალი მწარმოებლურობის დონით კმაყოფილება დიდად არ მოქმედებდა მათი სამუშაოდან დათხოვნის ალბათობაზე. ორგანიზაცია, როგორც წესი, იყენებდა ყველა შესაძლებლობას ასეთი თანამშრომლების შესანარჩუნებლად: ისინი აღწევდნენ დაწინაურებას სამსახურში, იღებდნენ ფულად გასამრჯელოს, მორალურ მხარდაჭერას და ა.შ.

ახდენს თუ არა გავლენას თანამშრომელთა სამუშაოთი კმაყოფილება კომპანიის მომხმარებელთა კმაყოფილების დონეზე? თუ საქმე ეხება თანამშრომლებს, რომლებიც უშუალო კავშირში არიან კლიენტებთან, მაშინ პასუხი ამ კითხვაზე იქნება დადებითი. სამუშაოთი კმაყოფილი თანამშრომლები ხელს უწყობენ მომხმარებელთა კმაყოფილების დონის ამაღლებას. რამდენად ეფექტურად ურთიერთობენ ორგანიზაციის თანამშრომლები კლიენტებთან? ცხადია, კმაყოფილი თანამშრომლები არიან უფრო მეგობრულები, მაღალი პასუხისმგებლობის მქონენი და თავაზიანები, რასაც უეჭველია დიდად აფასებს კლიენტი. უფრო მეტიც, რადგან კმაყოფილი თანამშრომლები იშვიათად თავისუფლდებიან სამუშაოდან, ე.ი. მომხმარებლებს შეუძლიათ ჰქონდეთ იმედი, რომ კომპანიაში მისვლისას, მათ მოემსახურებათ ისევე ის, მათთვის სასიამოვნო და კომპეტენტური თანამშრომელი. ეს ყველაფერი ხელს უწყობს კლიენტების შეჩვევას და მათ გადაქცევას მუდმივ მომხმარებლად. თუმცა, საჭიროა გვახსოვდეს, რომ ეს ურთიერთკავშირიც ასევე მოქმედებს საწინააღმდეგო შემთხვევაში.

უკმაყოფილო მომხმარებლებს თავისუფლად შეუძლიათ შეამცირონ თანამშრომლების სამუშაოთი კმაყოფილების დონე. თანამშრომლები, რომლებსაც მუდმივად უხდებოდათ საქმე ჰქონოდათ უხეშ, მოსაწყენ და ზედმეტად მომთხოვნ კლიენტებთან, აღიარებდნენ, რომ ეს დიდად მოქმედებდა მათ დამოკიდებულებაზე სამუშაოსთან მიმართებაში.

დღეს ყველა დიდ კომპანიას ესმის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს ურთიერთკავშირი. სერვისზე ორიენტირებული ფირმები, ისეთები, როგორცაა FedEx, Southwest Airlines, American Express და Office Depot, შეპყრობილნი არიან იდეით – მაქსიმალურად დააკმაყოფილონ თავისი მომხმარებლები. ამ მიზნით ისინი ყველანაირად ამაღლებენ თავისი თანამშრომლების კმაყოფილების დონეს, რადგან ესმით, რომ ასეთი თანამშრომლები გააკეთებენ ყველაფერს რომ კმაყოფილი იყოს მათი კლიენტი. ეს ფირმები ცდილობენ, დაიქირაონ სასიამოვნო და მეგობრული ადამიანები, ატარებენ შესაბამის ტრენინგებს, აჯილდოვებენ თანამშრომლებს მაღალი მიღწევებისთვის კლიენტის მომსახურებაში, ქმნიან პოზიტიურ სამუშაო გარემოს და მუდმივად ატარებენ თანამშრომელთა ურთიერთობის გამოკვლევებს.

ნაირა ლველა შვილი

**შრომის მოტივაცია სოციალურ-კულტურული სპრეზისისა
და ტურიზმის სფეროში**

შრომის მოტივაცია და მასთან დაკავშირებული ორგანიზაციული კულტურა ტურიზმის ორგანიზაციების წარმატებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაქტორებია, რომლებიც მეტწილად დამოკიდებულია კლიენტისა და მუშაკის პიროვნული ურთიერთობების ეფექტურობაზე.

გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ კლიენტის ტურისტულ ორგანიზაციაში დაბრუნების მთავარ მიზეზს მომსახურების დონე წარმოადგენს. პირველად მომხმარებელი შეიძლება მოვატყუოთ კარგი რეკლამით, მდიდრული ინტერიერით, მაგრამ მეორედ, როგორც წესი, ის მიდის ადრე მიღებული ხარისხიანი მომსახურებისა და პერსონალის პროფესიონალური მუშაობის ხიბლით. ტურისტული ორგანიზაციების თანამშრომელთა მოტივაციის მაღალი დონე, ორგანიზაციული თვალსაზრისით, არა მარტო სასურველია, არამედ სასიცოცხლოდ აუცილებელია, რადგან ის პირდაპირ აისახება მთელი ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანობაზე.

ფირმის წინაშე დაყენებული ყველა ამოცანის გადასაჭრელად, საკმარისი არ არის მხოლოდ კვალიფიციური კადრებისაგან შემდგარი გუნდი. აუცილებელია აგრეთვე შრომის ისეთი ორგანიზაცია, რომ თითოეული მუშაკი, პირადი პრობლემების მიუხედავად, თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს იყენებდეს დასახული ამოცანების შესასრულებლად.

არსებობს მითი იმის შესახებ, რომ მხოლოდ მაღალი ხელფასი აგულიანებს ადამიანს უკეთესი შრომისათვის, რის გამოც საწარმოში, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, დისციპლინის პრობლემები არ არსებობს. ზოგის აზრით კი ეს პრობლემა დღესაც საკმაოდ აქტუალურია და მისი გადაჭრა ორი ხერხით ხდება:

პირველი დაკავშირებულია შრომის ანაზღაურებასთან. მაღალი ხელფასი ადამიანს შესაძლებლობას აძლევს, დაიკმაყოფილოს თავისი ყველა მოთხოვნილება. ამისკენ სწრაფვა აიძულებს მას, გამოიმუშაოს მეტი, მაშასადამე, იშრომოს მაქსიმალურად ეფექტურად.

მეორე ხერხი, როგორც მრავალი მიიჩნევს, ყველა იმ თანამშრომლის უპირობო გათავისუფლებაა, რომლებიც არაკეთილსინდისიერად მუშაობენ და ამით აფერხებენ საწარმოს ამოცანების გადაწყვეტას.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ჩვენს ქვეყანაში, ისევე როგორც საზღვარგარეთ, შეუძლებელია შრომის დისციპლინის პრობლემების გადაჭრა მხოლოდ ამ ორი ხერხის მეშვეობით. შემთხვევითი არ არის, რომ მენეჯმენტის კურსების უმრავლესობა ასეთ დიდ ყურადღებას უთმობს შრომის მოტივაციას.

მოტივაცია – ეს საკუთარი თავის და სხვების შეგულიანების პროცესია როგორც პირადი, ისე ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად, ე.ი. ეს ადამიანის მიერ ამა თუ იმ სახის ქცევის გააზრებულად არჩევის შიდა პროცესია, რომელიც განისაზღვრება გარე (სტიმულები) და შიდა (მოტივები) ფაქტორების კომპლექსური ზემოქმედებით.

ტურიზმის ნებისმიერ ორგანიზაციაში წარმოდგენილია ყველა ტიპის ადამიანები და მოტივაციის ამა თუ იმ კონცეფციის გამოყენება განისაზღვრება კოლექტივის კონკრეტული ტიპის მუშაკების ხვედრითი წილით.

მოთხოვნილებათა არჩეული კლასიფიკაციის საფუძველზე ორგანიზაციის ადმინისტრაცია, კერძოდ საკადრო სამსახური, აგებს შრომის მოტივაციის სისტემას. შრომა მაქსიმალურად მოტივირებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც მუშაკს შეუძლია თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მხოლოდ და მხოლოდ თავისი შრომითი საქმიანობით. მოტივირებული შრომა შეიძლება განვიხილოთ, როგორც სისტემა, რომელშიც თანამოქმედებს შემდეგი ელემენტები:

- მოთხოვნა, რომელსაც დააკმაყოფილებს მუშაკი;
- თვით შრომა, როგორც საქმიანობა, როგორც საძიებელი აქტივობა;
- შრომისაგან მიღებული სარგებლისა და დანახარჯების თანაფარდობა;
- ემოციები, სუბიექტური განცდები შრომის პროცესში;
- განწყობა მუშაკის ქცევაში, როგორც ფსიქიკისა და ქცევის ნებისმიერი გამოვლინება;

- ცხოველქმედების პირობები – შინაგანი, გარეგანი;
- ადამიანის იდეალები, მისი ინტერესები – გარკვეული კეთილდღეობისაკენ პიროვნების სწრაფვის გამოვლენის ფორმა.

პერსონალის მოტივირების სისტემის შემუშავებისას საჭიროა გაითვალისწინოთ ეკონომიკური ციკლის ფაზა, რომელშიც იმყოფება ორგანიზაცია. ეკონომიკური ზრდის ფაზაში ყველაზე ადეკვატურია სტიმულები, რომლებიც დაკავშირებულია ფულად პრემირებასთან, თანამდებობრივ დაწინაურებასთან, დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის ამაღლებასთან, პროდუქტიულობის ზრდის წახალისებასა და წარმოების გაფართოებასთან. ეკონომიკური სტაბილურობის პერიოდში ყურადღება უნდა გაგამახვილოთ მართვის სრულყოფაზე, გაყიდვათა მოცულობის ზრდაზე, შემოქმედებითი მიგნების ამოცნობაზე, რომლებიც ზრდიან პროდუქციის კონკურენტუნარიანობას. ეკონომიკური ვარდნის ფაზა მოითხოვს რეკლამის ეფექტურობის, პროდუქციის ხარისხის ამაღლების, თვითღირებულების შემცირების სტიმულირებას.

ადამიანი, როგორც წესი, ყოველთვის მოტივირებულია თავისი საქმიანობით. მას ყოველთვის შეუძლია რაციონალურად ახსნას თავისი ქცევის მიზეზები, როცა მიუთითებს გარემოებებს, რომლებიც აგულიანებს მას სწორედ ამ საქმიანობის არჩევისაკენ. მდგრადი მოტივების ერთობლიობას უწოდებენ პიროვნების მისწრაფებას, რომელიც ხასიათდება მისი ინტერესებით, მიდრეკილებებით, შეხედულებებით, იდეალებით ე. ი. მსოფლმხედველობით.

შრომის მოტივირებისა და შრომითი აქტივობის სასურველი დონის უზრუნველსაყოფად საკადრო სამსახურმა უნდა განახორციელოს შემდეგი მოქმედებები: სიკეთეთა პაკეტის განსაზღვრა, რომელიც ასახავს თანამშრომლის ყველა ძირითად მოთხოვნილებასა და ინტერესს, თითოეული მუშაკის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დონე; მისი ინტერესების განსაზღვრა, შრომითი

საქმიანობის სახეების კონკრეტიზება, რომლებიც აუცილებელია ორგანიზაციისათვის და რომელთა მოტივირებაც მიზანშეწონილია ასევე სიკეთეთა, შეღავათების და უპირატესობების ნაკრებით საქმიანობის გარკვეული სახეების გათვალისწინებისას.

ლეილა ღუღუშაური

**დეპოზიტების მართვის პრობლემები საქართველოს
კომერციულ ბანკაჟში**

საქართველოს საბანკო სექტორმა გასული საუკუნის 90-იანი წლების შემდეგ მომხმარებელთა ნდობა თანდათან მიაოპოვა, მას ხალხმა დანაზოგებიც ანდო. აგვისტოს მოვლენებამდე საბანკო სისტემაში გრძელდებოდა დეპოზიტების (მიმდინარე ანგარიშების და ვადიანი დეპოზიტების, სამთავრობო და ბანკთაშორისი დეპოზიტების გარდა) ზრდის ტენდენცია.

2008 წლის 1 აგვისტოსათვის მათმა მოცულობამ 3,1 მლრდ ლარს მიაღწია, რაც 22,3%-ით მეტია გასული წლის შესაბამისი თარიღისათვის არსებულ მონაცემებთან შედარებით. უნდა აღინიშნოს, რომ 2007 წლიდან დღემდე, ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობა გაცილებით სწრაფად იზრდებოდა უცხოური ვალუტით განთავსებულთან შედარებით. აღნიშნულ პერიოდში ლარით განთავსებული დეპოზიტები 40,2%-ით, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტები 12,7%-ით გაიზარდა, რაც მეტწილად ეროვნული ვალუტისადმი ნდობის შემდგომი განმტკიცებით აიხსნება (ამის მიუხედავად, დეპოზიტების დოლარიზაციის კოეფიციენტი დღემდე საკმაოდ მაღალია).

აღნიშნული ტენდენცია ნათლად აისახა დეპოზიტების დოლარიზაციის კოეფიციენტის დინამიკაზე, რომელიც 2007 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5,1 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 2008 წლის 1 აგვისტოსათვის 60,0% შეადგინა, რაც დეპოზიტების დოლარიზაციის ყველაზე დაბალი მაჩვენებელია 1998 წლის კრიზისის შემდგომი პერიოდიდან დღემდე. ამ პროცესის მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია ისიც, რომ კომერციული ბანკები ბოლო პერიოდში ეროვნული ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე უფრო მაღალ სარგებელს იხდიდნენ, ვიდრე უცხოური ვალუტით განთავსებულზე. ამ პერიოდის განმავლობაში განთავსებულ დეპოზიტებზე საშუალო წლიური სარპროცენტო განაკვეთი 8,9%-ს შეადგენდა, მათ შორის ეროვნული ვალუტით დეპოზიტებზე 10,6%-ს, ხოლო დეპოზიტებზე უცხოური ვალუტით – 8,4%-ს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების სტრუქტურა მნიშვნელოვნად შეიცვალა ევროს სასარგებლოდ. თუ წელიწადნახევრის წინ უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების საერთო მოცულობაში აშშ დოლარის წილი შეადგენდა 85,2%-ს, ხოლო ევროს წილი – 14,1%-ს, მიმდინარე წლის 1 აგვისტოსათვის აშშ დოლარის წილი 69,7%-მდე შემცირდა, ხოლო ევროს წილი 29,6%-მდე გაიზარდა.

აღსანიშნავია, რომ, მიუხედავად ეროვნული ვალუტისადმი მოსახლეობის პოზიტიური დამოკიდებულების ზრდისა, მათი ანაბრების სტრუქტურაში კვლავ მაღალი დარჩა უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების ხვედრითი წილი და 2008 წლის 1 აგვისტოსათვის 78,1% შეადგინა, თუმცა, 2007 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ეს მაჩვენებელი 7,7 პროცენტული პუნქტითაა შემცირებული. 2007 წლიდან 2008 წლის 1 აგვისტომდე ფიზიკური პირების ანაბრები აბსულუტურ მაჩვენებლებში 368,6 მლნ ლარით (32,1%) გაიზარდა და 1,5 მლრდ ლარს გადააჭარბა, რაც მოსახლეობის ერთ სულზე დაახლოებით 340 ლარს შეადგენს.

ასეთი იყო ვითარება აგვისტოს ომამდე. ამ უკანასკნელმა არსებული მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეცვალა, სერიოზული საფრთხე შეუქმნა ქართული ბანკების სტაბილურობას.

რუსეთის საომარმა მოქმედებებმა, რომელსაც ადგილი ჰქონდა გასული წლის აგვისტოს თვეში, სერიოზული ზიანი მიაყენა ქვეყნის ეკონომიკას და, მათ შორის, ქვეყნის საბანკო სისტემას. ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატა იმაში, რომ ომის მსვლელობისას შეანაბრეთა საკმაოდ დიდმა ნაწილმა ბანკებიდან უკან გამოითხოვა საკუთარი ანაბრები, ხოლო იურიდიულმა პირებმა საზღვარგარეთ გადაიტანეს თავიანთი სახსრები, რამაც მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნა ბანკების ლიკვიდობის მარაგს. ამას დაემატა ბანკების მიერ სესხების გაცემის შეზღუდვა და, მთლიანობაში, ქვეყნის საბანკო სისტემა სერიოზული კრიზისის წინაშე აღმოჩნდა.

ლიკვიდურობის უკმარისობის საგანგაშო სიმპტომები საბანკო სფეროში აღინიშნებოდა საომარი მოქმედებების დაწყებამდეც. ბანკებს არ გააჩნდათ საკმარისი ოდენობით ფული, ისინი იზიდავდნენ სახსრებს ხანმოკლე ვადით და განათავსებდნენ უფრო გრძელვადიან აქტივებში, რაც, ვადიანობის მიხედვით, აქტივებსა და პასივებს შორის მნიშვნელოვან წყვეტას იწვევდა. გარდა ამისა, ბანკების მიერ მოზიდული სახსრების წყაროები საკმაოდ დაბალი დივერსიფიკაციით ხასიათდებიან და ვერ უზრუნველყოფენ საბანკო სექტორში მიმდინარე ზრდის ტემპების შენარჩუნებას საშუალოვადიან პერსპექტივაში. გარდა ამისა, ბანკების საკუთარი კაპიტალის დაბალი დონე ვერ უზრუნველყოფს მის ხარჯზე საკრედიტო ოპერაციების გაფართოებას. ბანკების რესურსული ბაზა (მოზიდული სახსრები) საკმაოდ არასტაბილურია. საქართველოში არ არსებობს კანონი გამოუთხოვადი ანაბრების შესახებ, ასევე, არ არსებობს მოსახლეობის ანაბრების სახელმწიფო დაზღვევის სისტემა, რის გამოც საომარი მდგომარეობის დროს მოსახლეობის გარკვეული ნაწილის სერიოზულმა შემოფოტებამ საბანკო ანაბრები თითქმის გაანახევრა. ამგვარად, შეზღუდვები ლიკვიდურობაში არსებობდა თვით საბანკო სისტემის შიგნით და ომი მხოლოდ მისი კატალიზატორი აღმოჩნდა.

საომარი მოქმედებების დაწყებიდან საქართველოს ბანკებმა შეწყვიტეს კრედიტებისა და პლასტიკური ბარათების გაცემა. ეს მოსახლეობისათვის იმის არაორაზროვანი სიგნალი იყო, რომ მათი ანაბრები საფრთხის ქვეშაა და

შედევად, დაიწყო მენაბრეთა მასობრივი „შეტევა“ ბანკებზე საკუთარი სახსრების ამოღების მიზნით და მათი გადაყვანით აშშ დოლარსა და ევროში. მენაბრეთა პრობლემების მოგვარების მიზნით ქვეყანაში 12 აგვისტოს გამოცხადდა ერთდღიანი საბანკო შესვენება და დაწესდა ერთკვირიანი შეზღუდვები სასესხო ოპერაციებსა და ინტერნეტ-ბანკინგზე.

საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტომ Fitch Ratings-მა საქართველოში წარმოებულ საომარ მოქმედებებზე მყისიერი რეაგირება მოახდინა და 8 აგვისტოს შეამცირა საქართველოსათვის ქვეყნის ემიტენტის დეფოლტის გრძელვადიანი რეიტინგები ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში „BB-“ დონიდან „B+“ დონემდე, პროგნოზი – „ნეგატიური“, ხოლო 11 აგვისტოს შეამცირა საქართველოს 4 ბანკის რეიტინგები „BB-“დან „B+“მდე, პროგნოზი – „ნეგატიური“.

მენაბრეთა პანიკის შედეგად ბანკებში არსებული მოსახლეობის ანაბრები თითქმის განახევრდა, ასევე, მიმდინარე ანგარიშების მფლობელმა ბანკის მსხვილმა კლიენტებმა ინტენსიურად დაიწყეს ფულის გატანა საზღვარგარეთ, ბანკებს მნიშვნელოვნად შეუმცირდა ან მთლიანად შეუმცირდა ლიკვიდობა. ამ ფონზე საქართველოს რეიტინგების შემცირება უცხოელი ინვესტორებისათვის იყო სიგნალი, რომ მათ ფულს საფრთხე ემუქრება და მათაც არ დააყოვნეს, დაიწყეს ადვილად გადინებადი პორტფელური ინვესტიციების გატანა საქართველოს საბანკო სისტემიდან, რამაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო გაამწვავა ვითარება. ახლა ბანკები არა მარტო ლიკვიდობის დეფიციტს განიცდიან, არამედ გადახდისუნარიობის სერიოზული საფრთხის წინაშე იმყოფებიან.

დეპოზიტების მისაზიდად კომერციული ბანკები მომხმარებლებს დიდ საპროცენტო განაკვეთებს ჰპირდებიან: უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე წლიური 12%-იანი განაკვეთია. აქ რამდენიმე დეტალია მნიშვნელოვანი, გვაქვს მაღალი ინფლაცია. იმის მიუხედავად, რომ ოფიციალური სტატისტიკა 7 პროცენტს აცხადებს, ინფლაცია გაცილებით მაღალია. აქედან გამომდინარე, ადამიანებს უნდებოდათ შეგრძნება, რომ დაბალი საპროცენტო განაკვეთის პირობებში დეპოზიტი აზრს კარგავს. წლის დასაწყისში 100 დოლარი თავისი მსყიდველობითი უნარით უფრო მეტი იყო, ვიდრე სარგებელთან ერთად წლის დასასრულს. მაგალითად, არსებული ლარის კურსისა და ოფიციალური ინფლაციის პირობებში, 2007 წლის 1 სექტემბერს 100 დოლარი თავისი მსყიდველობითი უნარით 2008 წლის 1 სექტემბრისათვის 130 დოლარს უდრის. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთები იზრდება.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ იმ ფაქტს, რომ საქართველოს ბანკებში დეპოზიტების დიდი ნაწილი უცხოური ვალუტითაა განთავსებული. ამას ლარის კურსის მომენტალურად და ნახტომისებურად ვარდნამაც შეუწყო ხელი.

სექტემბრიდან სადეპოზიტო ანაბრებზე თანხების დაბრუნების ტენდენცია შეინიშნებოდა, მაგრამ არასრული მოცულობით. სექტემბერ-ოქტომბრის დასაწყისისათვის საბანკო სისტემამ რიგი ვალდებულებების გასტუმრება შეძლო, მაგ-

რამ მომავალში სისტემური მდგრადობის შენარჩუნება რომ მარტივი არ იქნება სადავო არ არის, თუმცა იმედისმომცემია უცხოური დახმარება: 4,5 მილიარდი დოლარიდან ერთ მილიარდამდე ის რესურსია, რომელიც საქართველოს საბანკო სისტემამ უნდა მიიღოს 2009 წლის განმავლობაში.

ცხრილი 1

კომერციულ ბანკებში განთავსებული იურიდიული და ფიზიკური პირების დეპოზიტების მოცულობა (ათასი ლარი)

თარიღი	ეროვნულ ვალუტაში	უცხოურ ვალუტაში
1.01.05	266,379	554,836
1.01.06	418,537	997,303
1.01.07	744,991	1,368,632
1.12.07	1,358,915	2,290,693
1.01.08	1,249,158	2,262,058
1.02.08	1,298,689	2,485,039
1.03.08	1,376,613	2,312,226
1.04.08	1,518,337	2,354,761
1.05.08	1,521,913	2,480,050
1.06.08	1,501,415	2,528,501
1.07.08	1,594,761	2,479,843
1.08.08	1,632,381	2,497,894
1.09.08	1,312,576	2,235,869
1.10.08	1,425,692	2,273,191

უნდა აღინიშნოს, რომ აგვისტოს მოვლენების შემდგომ, მიუხედავად ქვეყანაში არსებული საკმაოდ მძიმე ვითარებისა, საბანკო სისტემამ შეძლო სტაბილურობის შენარჩუნება, მაგრამ ბანკებში დეპოზიტების მოცულობა მაინც გაცილებით ნაკლებია ადრინდელზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2008 წლის 1 აგვისტოს ეროვნულ ვალუტაში ნომინირებული დეპოზიტების მოცულობა 1,632,381 ათასი ლარის ტოლი იყო, ხოლო იმავე წლის 1 სექტემბერს – 1,312,576 ათასი ლარის. დეპოზიტების მოცულობა უცხოურ ვალუტაში კი იმავე პერიოდებში შესაბამისად – 2,497,894 და 2,235,869 ათასი

საფინანსო სისტემის სტაბილურობისათვის ძალზე მნიშვნელოვანია ისეთი სპეციალიზებული ინსტიტუტების დროული შექმნა, რომლებიც მოწოდებული იქნებიან, დაეხმარონ ხელისუფლებას კრიზისების დროულად გამოვლენაში, მათ

დაძლევასა და საბანკო სექტორის სტაბილურობის ამაღლებაში. ასეთებად შეიძლება მიჩნეულ იქნეს როგორც სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, ასევე რესტრუქტურისაციის სააგენტოები, პრობლემური აქტივების მართვის კომპანიები ან დეპოზიტების დაზღვევის სისტემები, რომელთა ანალოგებიც საკმაოდ წარმატებით ფუნქციონირებენ განვითარებულ ქვეყნებში, აგრეთვე, თითქმის ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში, გარდა საქართველოსი.

ბიზნესის პრობლემების სექცია

*ხათუნა ბარბაქაძე
ირინე მამალაძე*

კორპორაციის საინვესტიციო პოლიტიკის ევოლუცია გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში

საინვესტიციო პროცესის კორპორაციული მართვისას დიდი მნიშვნელობა აქვს პროექტების რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალს, რამდენადაც კორპორაციის საინვესტიციო პოლიტიკა ამ შემოსავალს ემყარება მოგების ნორმის დიფერენციაციის პრინციპის გათვალისწინებით. კომპანიის ხელმძღვანელობა, მართავს რა საინვესტიციო პროცესს დროში, ცალკეულ პერიოდებში, თავისი ფინანსური მდგომარეობის მიხედვით კაპიტალდაბანდებებზე მოგების სხვადასხვა ნორმებს აწესებს.

კორპორაციულ ანგარიშებში აქცენტი კეთდება ერთ აქციაზე შემოსავლის მაჩვენებელზე, როგორც კომპანიის საინვესტიციო საქმიანობის ეფექტიანობის უმნიშვნელოვანეს ინდიკატორზე. უფრო მეტიც, ფართოდაა გავრცელებული ის თვალსაზრისი, რომ, თუ კომპანია უზრუნველყოფს ერთ აქციაზე შემოსავლების დამაკმაყოფილებელ ზრდას, მაშინ მისი აქციების საბაზრო ფასები აუცილებლად გაიზრდება.

საინვესტიციო პროცესის კორპორაციული მართვა ემყარება კაპიტალდაბანდებათა *სტრატეგიული დავეგმვას*. სტრატეგიული გეგმა მოიცავს მსოფლიო და ეროვნული სოციალურ-ეკონომიკური ტენდენციების ანალიზს, რომელთა ცოდნა აუცილებელია კორპორაციის მიერ საინვესტიციო გადაწყვეტილებათა მიღებისას.

საინვესტიციო პროექტების უმეტესი ნაწილი, ჩვეულებრივ, კორპორაციათა გრძელვადიან გეგმაში რამდენიმე წლის განმავლობაშია საინვესტიციო პროექტების დაფინანსების პრინციპების თანახმად, საჭირო კაპიტალის წარმომდგენმა მხარეებმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეაფასონ პროექტის შესაძლებლობა.

ამრიგად, საინვესტიციო პროექტების დაფინანსებაში კაპიტალის მომწოდებლისთვის გარანტიად გამოდის ეკონომიკური ეფექტი. საინვესტიციო პროექტის რეალიზაციიდან აქტივებს აგრეთვე შეუძლიათ უზრუნველყონ მხარდაჭერა,

თუმცა ხშირად მათი ოდენობა, ზოგჯერ, შეუთავსებელია პროექტის ღირებულებასთან. საინვესტიციო პროექტების დაფინანსების სპეციფიკა გულისხმობს, რომ პროექტების რეალიზება ხდება შემდეგი პრინციპების საფუძველზე: **პირველი**, მეცხრად განსაზღვრული ან განკერძოებული ეკონომიკური საქმიანობა პროექტის ჩარჩოებში; **მეორე**, რისკების გონივრული მართვა და პროექტის მონაწილეთა ფუნქციური გარანტიების სისტემის არსებობა; **მესამე**, დამუშავებული ფინანსური მოდელის არსებობა, რომელიც წარმოადგენს ბაზას ინვესტირებისა და დაფინანსებისთვის; **მეოთხე**, პროექტის პროფესიული მართვა.

საინვესტიციო პროექტის რეალიზაცია პრაქტიკულად ყოველთვის გულისხმობს თანამოქმედებისა და მართვის ახალი მექანიზმების შექმნას და ხშირად ეს მექანიზმები არ არის აპრობირებული კომპანია-მონაწილეებისთვის. ამას დაუმატეთ მენეჯერების მუშაობის მოცულობის მკვეთრი ზრდა და თქვენ მიიღებთ საკმაოდ საგანგაშო სურათს. სუსტმა ფინანსურმა ან მარკეტინგულმა დასაბუთებამ შეიძლება გამოიწვიოს ინვესტირების ჩამოშორება ჯერ კიდევ პროექტის დაწყებამდე. ხოლო მონაწილეთა უუნარობამ, გადაჭრან მართვის საკითხები, შეიძლება პროგრამის რეალიზაციის დროს სერიოზულ სირთულეებამდე მიგვიყვანოს. ამ დროს ინვესტიციები უკვე დაბანდებული იქნება და რაიმეს შეცვლაც პრაქტიკულად შეუძლებელი გახდება.

კორპორაციების მიერ საინვესტიციო გადაწყვეტილებათა მიღების პროცესზე ზეგავლენას ახდენს შეზღუდვათა სამი ჯგუფი: **პირველი**, მიდრეკილება ინვესტირებისადმი; **მეორე**, პროექტის რეალიზების უნარი; **მესამე**, ფინანსური შეზღუდვები.

ინვესტირებისადმი მიდრეკილება განისაზღვრება ისეთი ფაქტორებით, როგორებიცაა წარმოების მიმდინარე დონის შენარჩუნების აუცილებლობა; გარემოსა და შრომის დაცვის თაობაზე მოთხოვნათა შესრულება; წარმოების დანახარჯების შემცირების შესაძლებლობები; თანაფარდობა არსებულ სიმძლავრეებსა და წარმოების გაფართოების აუცილებლობას შორის; მოგების ჩამოყალიბებული საშუალო ნორმა; კორპორაციული სტრატეგიის ხასიათი. ახალმა პროდუქტებმა, რომლითაც ბაზარზე გასვლას გეგმავს კომპანია, შეიძლება მოახდინოს დაბანდვათა ზრდის სტიმულირება, თუმცა თავდაპირველად ამ პროდუქტებით შეიძლება არც მოხდეს გაყიდვათა შესაბამისი ზრდის გენერირება და, პირიქით, პროდუქტების გაყიდვათა ზრდა, რომელთა გატანას ვარაუდობს კორპორაცია ბაზრიდან, შეიძლება საერთოდ არ აისახოს ინვესტიციათა მოცულობაზე.

კომპანიის უნარი, განახორციელოს კონკრეტული პროექტი, დამოკიდებულია კვალიფიციური პერსონალის არსებობაზე, მმართველობით პრაქტიკაზე, არსებულ ტექნოლოგიებზე, კაპიტალდაბანდვათა ტიპზე, რომელთა რეალიზება უნდა მოხდეს, აგრეთვე, პროექტის შეფასებასთან დაკავშირებულ რიგ ფაქტორზე.

საინვესტიციო გადაწყვეტილებათა მიღებაზე ყველაზე არსებით ზეგავლენას ახდენს ფინანსური შეზღუდვები. ისინი განპირობებულია ფულადი შე-

ნატანების ზომებით, გეგმური ან განუჭვრეტელი შთანთქმებისა და შერწყმების არსებობით, კორპორაციის საგარეო ვალის ოდენობის შეცვლის სურვილითა და უნარით. თავის მხრივ, ფულადი შენატანები დამოკიდებულია მოგების მოცულობაზე, ამორტიზაციის დონეზე, აგრეთვე, საბრუნავი კაპიტალის შემცირების შესაძლებლობებზე. ფინანსური შეზღუდვები მნიშვნელოვან როლს თამაშობს მხოლოდ კაპიტალდაბანდებათა შემცირების მიმართულებით, ფინანსური სახსრების გაუთვალისწინებელი ნამატის გამოჩენა კი იშვიათად ასტიმულირებს დამატებით ინვესტიციებს. როგორც წესი, ასეთი რესურსები გამოიყენება მიმდინარე საწარმოო პრობლემების გადაჭრაზე.

გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში სულ უფრო ფართოდ ვრცელდება პრინციპულად ახალი მიდგომები კორპორაციის საქმიანობის ანალიზისადმი, კერძოდ, *აქციონერებისთვის კომპანიის ღირებულების შეფასების მეთოდები*. ისინი აკავშირებენ პროგნოზულ პერიოდში ფირმის ყველა საინვესტიციო ოპერაციიდან მიღებული ნაღდი ფულის მიმდინარე ღირებულებას ბაზარზე მისი კოტირებადი ფასიანი ქაღალდების მიმდინარე ღირებულებასა და კომპანიის ნარჩენ ღირებულებას, რაც საშუალებას იძლევა, განვსაზღვროთ როგორც კონკრეტული პროექტის ეფექტურობა, ასევე მისი ზეგავლენა მთლიანობაში ფირმის საინვესტიციო პოზიციაზეც.

თანამედროვე ურთიერთობები კომპანიების მართვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ინტერესთა კონფლიქტი მათ მესაკუთრეებსა (აქციონერებს, მონაწილეებს) და მენეჯერებს შორის. საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ამ პრობლემის მიზეზი მმართველობიდან საკუთრების გამოყოფაში მდგომარეობს. როგორც წესი, მენეჯერები არ არიან მართვადი კომპანიების მფლობელები. თუმცა ბოლო ათწლეულების განმავლობაში იყო მცდელობებიც, გაეზარდათ მენეჯერთა დაინტერესება საკუთრებასთან მიმართებაში (აქციების, წილის შეთავაზება და ა.შ.) მათი ჩართვის გზით.

აქციონერთა ძირითადი ინტერესი მდგომარეობს მისაღები რისკის დროს დაბანდებული სახსრების მაქსიმალურ უკუგებაში. აქციონერები დაინტერესებულნი არიან მაღალი დივიდენდების მიღებასა და აქციათა კურსის ზრდაშიც, რა თქმა უნდა, რისკის გათვალისწინებით. მენეჯერთა ძალისხმევა მნიშვნელოვანწილად კონცენტრირებულია კომპანიაზე. ისინი დაინტერესებულნი არიან მის მდგრად განვითარებაში, აგრეთვე, საკუთარი მდგომარეობის გამჭვირვალობაში ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში. კომპანიის ღირებულების ზრდა, რა თქმა უნდა, მათთვისაც არის მნიშვნელოვანი ამოცანა, მაგრამ, თუ საკუთრება მკაცრადაა მართვიდან გამოყოფილი, მაშინ მენეჯერებს ამ მიზნის განხორციელებაში პირდაპირი პირადი ინტერესი არ გააჩნიათ. რასაკვირველია, კომპანიის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაზე მმართველობითი რგოლის დონისძიებები დაკავშირებულია მისი აქციების კურსის ზრდასთან, მაგრამ მენეჯერების ფოკუსი მიმართულია კომპანიის მართვის ოპერატიული ამოცანების განხორციელებაზე, ხოლო აქციონერთა ფოკუსი – მისი ღირებულების ზრდასა და მაღალი დივიდენდების მიღებაზე.

მენეჯერებისა და მფლობელების გარდა, არსებობენ სხვა დაინტერესებული პირებიც, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ არიან დაკავშირებული კომპანიის საქმიანობასთან. ნებისმიერი კომპანიის საქმიანობაში გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა დაინტერესებული ჯგუფის ინტერესები და მოთხოვნები. მაგრამ კომპანიის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა იმ პირთა უფლების დაცვა, რომელთა სახსრებით ის არსებობს – მისი მესაკუთრეების ინტერესების დაცვა. მესაკუთრეთა ინტერესების დაცვის ყველაზე სრულყოფილი სისტემა გააჩნიათ სააქციო საზოგადოებებს. აქციონერები, საკუთარი ინტერესების დაცვისა და უზრუნველყოფისთვის, შემდეგ მექანიზმებს იყენებენ: *პირველი*, მონაწილეობა დირექტორთა საბჭოში; *მეორე*, აქციონერთა საერთო კრებაზე ხმის მიცემაზე მინდობილობის მინიჭება; *მესამე*, ოპერაციები საფონდო ბაზარზე.

მონაწილეობა დირექტორთა საბჭოში. დირექტორთა საბჭო იღებს სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს კომპანიის განვითარების თაობაზე. გარდა ამისა, მის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს აქციონერთა ინტერესების დაცვის კონტროლი. ამიტომ, დასავლური კომპანიების დირექტორთა საბჭოები შედგება ეკონომიკურად არადაინტერესებული პირებისაგან ან აქციონერების წარმომადგენლებისაგან. როგორც წესი, დირექტორთა საბჭოებში კომპანიათა მენეჯმენტის წარმომადგენლობა შეზღუდულია.

ხმის მიცემაზე რწმუნების მინიჭება. ყველა აქციონერი არ მონაწილეობს საერთო კრებებსა და ხმის მიცემაში. დასავლეთის ქვეყნებში აქციონერებს შეუძლიათ თავიანთი აქციებით ხმის მიცემის უფლება მიანიჭონ მენეჯმენტს ან დაინტერესებულ აქციონერებს. რწმუნებით ხმის მიცემის შესაძლებლობის წყალობით, მენეჯმენტი ხშირად იღებს კონტროლს სტრატეგიული მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებაზე.

ოპერაციები საფონდო ბაზარზე მხოლოდ პირობითად შეიძლება მივაკუთვნოთ აქციონერთა დაცვის მექანიზმებს, რადგან ერთადერთი, რისი გაკეთებაც შეუძლიათ აქციონერებს ამ შემთხვევაში, ეს „მენეჯმენტის წინააღმდეგ ხმის მიცემა“ აქციათა გაყიდვის გზით. თუ აქციონერები უკმაყოფილონი არიან მენეჯმენტის მოქმედებით, მაშინ მათ შეუძლიათ გაყიდონ საკუთარი აქციები საფონდო ბაზარზე ან მიჰყიდონ ისინი უშუალოდ დაინტერესებულ ინვესტორს. დაინტერესებულ ინვესტორს შეუძლია აქციონერებისგან შეისყიდოს კომპანიის აქციათა საკონტროლო პაკეტი და შეცვალოს მისთვის არახელსაყრელი ან უაფექტო მენეჯმენტი. მესაკუთრის შეცვლა, საერთოდ, მოიცავს განუზღვრელობის ელემენტს კომპანიის მენეჯმენტისათვის. ამიტომ კეთილსინდისიერი მენეჯერები დაინტერესებულნი არიან, დაკმაყოფილდეს არსებულ მესაკუთრეთა ინტერესები და დაცული იყოს მათი ღირებულება ხანგრძლივი დროით.

ამრიგად, პრობლემების გადაჭრა, რომლებიც დაკავშირებულია საინვესტიციო საშუალებების მობილიზაციასა და გადანაწილებასთან, მათ გამოყენებაზე კონტროლთან, წარმატებული შედეგების მიღწევასთან საინვესტიციო პროცესის ყველა სტადიაზე, შესაძლებელია მხოლოდ კორპორაციული მართვის

სწორად აგებული სისტემის დროს, რაც გულისხმობს კომპანიის საქმიანობის მონაწილეებს შორის უფლებებისა და ვალდებულებების რაციონალურ განაწილებას. ასეთი სისტემის ძირითადი ელემენტები მოიცავს ფირმის ორგანიზაციისა და საკუთრების სტრუქტურის გამჭვირვალობას; მის მართვაში აქციონერების მონაწილეობას; მინორიტარული აქციონერების უფლებათა ეფექტურ დაცვას; მაღალხარისხიანი და უტყუარი საქმიანი ინფორმაციით აქციონერთა უზრუნველყოფას.

ხათუნა ბერიშვილი

**მცირე ბიზნესის განვითარების მასშტაბები საზოგადოებაში
და საქართველოში**

მცირე ბიზნესის განვითარება მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ დაიწყო, როცა განვითარებულმა ქვეყნებმა ორიენტაცია მოსახლეობის სრულ დასაქმებასა და საქონლის მასიურ წარმოებაზე აიღეს. ამის შედეგად მცირე ბიზნესი ამჟამად განვითარებული ქვეყნების მეურნეობის ერთ-ერთი განუყოფელი და დინამიურად განვითარებადი ნაწილია, რომელიც, თავისი განსაკუთრებული ადგილის გამო, არსებით როლს ასრულებს ამ ქვეყნების არა მარტო სოციალურ-ეკონომიკურ, არამედ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაშიც. ამ ქვეყნებში მნიშვნელოვანწილად სწორედ მცირე ბიზნესით მიიღწევა საერთო ეროვნული კეთილდღეობა, საზოგადოების ფართო ფენების სოციალური დაცულობა და სტაბილურობა.

მცირე ბიზნესის სფეროში იქმნება ერთობლივი ეროვნული პროდუქტის და ეროვნული შემოსავლის მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი. აქ მზადდება დიდი მოცულობის როგორც საწარმოო დანიშნულების, ისე ფართო მოხმარების მრავალფეროვანი პროდუქცია. ამაზე უფრო მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მცირე ბიზნესის სფეროშია დასაქმებული შრომისუნარიანი მოსახლეობის ერთობ საგრძნობი ნაწილი. მაგალითად, ევროკავშირის 6 ქვეყანაში (ესპანეთი, ნიდერლანდები, ბელგია, გერმანია, საფრანგეთი, იტალია) მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა ხვედრითი წილი 40–70%-ის ფარგლებში მერყეობს. ამ ქვეყნებში მცირე და საშუალო სიდიდის საწარმოები საწარმოების საერთო რიცხვის 90%-ს შეადგენენ და აწარმოებენ პროდუქციის ახლად შექმნილი ღირებულების 35-71%-ს.

მცირე ბიზნესის განვითარების შესანიშნავი მაგალითია აშშ. აქ ჯერ კიდევ 1953 წელს მიიღეს კანონი „მცირე ბიზნესის შესახებ“, შექმნეს სპეციალური სახელმწიფო ორგანო – „მცირე ბიზნესის საკითხების ადმინისტრაცია“ თავისი ასი რეგიონული განყოფილებით და 4000 თანამშრომლით. ცნობილია აშშ-ს პრეზიდენტის რ. რეიგანის ერთ-ერთი გამოსვლა 1984 წელს, სადაც მან თქვა: „ამერიკის მცირე საწარმოთა კარგი ჯანმრთელობა და ძალა – ეს ჩვენი ეკონომიკის ჯანმრთელობის და ძლიერების მნიშვნელოვანი გასაღებია. სინამდვილეში მცირე ბიზნესი არის ამერიკა“. ასე რომ, მცირე ბიზნესის

საქმიანობისადმი მხარდაჭერა ამერიკის პოლიტიკოსებს სისხლხორცში აქვთ გამჯდარი. ეს ხომ ის სექტორია, რომელშიც, საშუალო ზომის საწარმოებთან ერთად, ყოველწლიურად იქმნება პროდუქციის 50%-ზე მეტი და ახალი სამუშაო ადგილების მატების ორ მესამედზე მეტი. მარტო უკანასკნელ ათ წელიწადში მცირე მეწარმეობის მეშვეობით აშშ-ში შეიქმნა ოცი მილიონი სამუშაო ადგილი.

1982 წელს აშშ-ში რეგისტრირებული იყო და წარმატებით ფუნქციონირებდა 4.4 მლნ დამოუკიდებელი მცირე ფირმა და 5.5 მლნ მცირე საწარმო. 1992 წელს მათმა რიცხვმა 19 მილიონს მიაღწია, ხოლო ხვედრითმა წილმა ერთობლივ ეროვნულ პროდუქტში 40% შეადგინა. აქ არ შედის სოფლის მეურნეობაში მოქმედი მცირე ფირმები. ამ დარგში მცირე ფირმებს ფერმერული მეურნეობის საერთო რაოდენობის 75% უკავიათ. მათზე მოდის ქვეყნის მიწების 30%, სასოფლო-სამეურნეო მანქანების 50% და სამუშაო ძალის 40%.

1976–1982 წლებში აშშ-ს მთელ ეკონომიკაში საწარმოთა საერთო რაოდენობა 15,6%-ით გაიზარდა, აქედან მცირე საწარმოების რაოდენობა 29,3%-ით.

აშშ-ში მცირე ბიზნესის განვითარებისათვის ღონისძიებების გატარება ცენტრალური მთავრობის ზრუნვის საგანს წარმოადგენს. ამერიკის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად 4 მილიარდი დოლარი გამოიყოფა მცირე და საშუალო ბიზნესის სუბსიდირებისათვის, ხოლო 300 მილიონი დოლარი – გრანტების პროგრამის შესასრულებლად, შეღავათიანია გადასახადებიც.

რაც შეეხება მცირე საწარმოების ტექნიკურ-ტექნოლოგიურ, მენეჯმენტურ და მარკეტინგულ დახმარებას და ინფორმაციულ უზრუნველყოფას, ამას მთლიანად აკეთებს მცირე ბიზნესის საკითხთა ადმინისტრაცია იმ პროგრამების ფარგლებში, რომელსაც ის შეიმუშავებს.

აშშ-ს შემდეგ მცირე ბიზნესის განვითარების მაღალი დონით გამოირჩევა იაპონია. იაპონიაში მცირე ბიზნესის სექტორმა გადამწყვეტი როლი შეასრულა ქვეყნის სწრაფი განვითარების საქმეში მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ათწლეულებში. ამ წლებში მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს მოეთხოვებოდათ ადაპტირების დიდი უნარი და მოქნილობა. მათ ესეც შეძლეს და თავიანთი ტექნიკური და მენეჯერული შესაძლებლობების გაუმჯობესებაც, რის შედეგადაც ძალზე შემცირდა არსებული სხვაობა მსხვილ საწარმოებთან შედარებით მუშაკთა პროდუქტიულობასა და ხელფასში.

მსოფლიოში ფართოდ ცნობილი იაპონური კონცერნების მყარ საფუძველს წვრილი და საშუალო სიდიდის საწარმოთა განსტობული ქსელი ქმნის, რომელიც გადამწყვეტ როლს ასრულებს ამ ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში. 1988 წლის მონაცემებით, მცირე ბიზნესზე მოდიოდა იაპონიის სამრეწველო პროდუქციის 55%. იაპონიის ექსპორტის 40%-ს მცირე და საშუალო სიდიდის საწარმოები ასრულებენ.

მცირე ბიზნესის განვითარების მიზნით იაპონიისათვის ნიშანდობლივია მსხვილი და მცირე ფირმების თანამშრომლობა, მათი ინტერესების შეთანხმება. ეს განსაკუთრებით სახასიათოა მაღალი ტექნოლოგიების სფეროსათვის. იაპონიის მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს და აქტიურ მხარდაჭერას

უწევს ასეთ სიმბიოზებს და კანონმდებლობის მეშვეობით არეგულირებს ურთიერთობებს მსხვილ მწარმოებლებსა (კონტრაქტორები) და მცირე მწარმოებლებს (სუბკონტრაქტორები) შორის. ეს კანონმდებლობა ისეა შედგენილი, რომ იგი მცირე მეწარმეებს გარკვეულ გარანტიებს და სარგებელს უქმნის. ასევე კეთილსმყოფელმა პირობებმა გამოიწვია ის გარემოება, რომ იაპონიის ეკონომიკაში საწარმოების 99,2% არის მცირე და საშუალო სიდიდის. ისინი სამუშაოთი უზრუნველყოფენ ამ სფეროში დასაქმებულთა 80,6%-ს.

მცირე ბიზნესის განვითარებას იაპონიაში ხელს უწყობს საგადასახადო შეღავათები და კრედიტის აღების იაფი წყაროები. ამ ქვეყანაში არსებობს სამთავრობო დაწესებულება, ე.წ. „მცირე ბიზნესის საფინანსო კორპორაცია“, რომელიც მცირე საწარმოებს აძლევს შეღავათიან კრედიტს და, აგრეთვე, სპეციალურ შეღავათიან სესხებს წარმოების მოდერნიზაციისათვის, ქვეყანაში დეფიციტური ნედლეულის შემოზიდვისათვის, შიდა ბაზრიდან გარე ბაზარზე გასვლისათვის და ა.შ.

წამყვანი პოზიციები უჭირავს მცირე ბიზნესს საფრანგეთის ეკონომიკაშიც, სადაც მცირე და საშუალო სიდიდის ფირმებს 80-იან წლებში ეკავათ საწარმოთა საერთო რაოდენობის 99,4%. მცირე მეწარმეობა აქ უპირატესად განვითარებულია მანქანათმშენებლობაში, კვების მრეწველობაში, ელექტროტექნიკის წარმოებაში, ხე-ტყის გადამამუშავებასა და ავეჯის წარმოებაში. მცირე მეწარმეობაში დასაქმებულია საფრანგეთის შრომითი რესურსების 50%, მცირე ფირმები ამ ქვეყანაში აწარმოებენ მრეწველობის პროდუქციის 45%-ს.

ყველა განვითარებული ქვეყნის დარად, საფრანგეთის მთავრობაც მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის მრავალ ღონისძიებას ატარებს. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია შეღავათიანი დაბეგვრა და დაკრედიტება. მცირე მეწარმეობის დასაკრედიტებლად საფრანგეთში შექმნილია სახელწიფო და ნახევრადსახელმწიფო საფინანსო ინსტიტუტები (მაგ., სოფლის მეურნეობის დაკრედიტების ეროვნული საღარო, სადეპოზიტო საღარო და ა.შ.), რომელთა მიერ გაცემული კრედიტები გაცილებით იაფია. ამის გარდა, საფრანგეთის მცირე საწარმოები შეღავათებით სარგებლობენ საშემოსავლო და დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრაშიც.

დიდ ბრიტანეთში 1980–1987 წლებში მცირე ფირმების რაოდენობა 200 ათასიდან 1,5 მლნ-მდე გაიზარდა, ხოლო მათში დასაქმებულ მუშაკთა რიცხვი 2 მლნ-დან 2,9 მლნ-მდე გადიდა. დიდი ბრიტანეთის გადაამამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა საერთო რაოდენობაში მცირე საწარმოთა ხვედრითი წილი შეადგენს 90%-ს.

მცირე მეწარმეობა დიდადაა განვითარებული გერმანიაში, იტალიაში, ესპანეთში და სხვაგან. გერმანია ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მეწარმეთა ფენის ჩამოყალიბებას და ხელს უწყობდა მათ. გერმანიის მთავრობამ გაამარტივა მცირე საწარმოების შექმნის პირობები. ამის გარდა, აქ მოქმედებს „საწესდებო კაპიტალის შევსების პროგრამა“. ამ პროგრამით 1996 წელს 25 მილიარდი გერმანული მარკა გაიცა დამწვებ მეწარმეებზე. არსებობს საინვეს-

ტიციო გრანტიც, რომელიც ასევე გამოიხედა ბიზნესში საკუთარი სასტარტო კაპიტალის შესავსებად. ქვეყნის მთავრობა აგრეთვე სპონსორობს ე.წ. „ვერო-პული აღორძინების პროგრამას (ERP)“, რომელიც დახმარებას უწევს საწარმოთა შექმნას „მარშალის დახმარების საპარტნიორო ფონდის“ მეშვეობით. დიდი რაოდენობის შეღავათიანი სესხები ავტომატურად გაიცემა იმ მცირე საწარმოებზე, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ საინვესტიციო გრანტის მოთხოვნებს. გერმანიაში მცირე ფირმებისათვის არსებობს საგადასახადო შეღავათებიც. როცა ფირმის მოგება წელიწადში 2 მლნ მარკაზე ნაკლებია, მას უნახვერდება მოგების გადასახადის განაკვეთი.

რაც შეეხება მცირე ბიზნესის სხვა სახის მომსახურებას – ინფორმაციული, კონსალტინგური, ინჟინირინგული და ა.შ. ამ საქმეს ხელმძღვანელობს გერმანიის სავაჭრო-სამრეწველო პალატა, რომელიც ფინანსურადაც კი ეხმარება იმ მცირე ფირმებს, რომლებიც ექსპორტზე მუშაობენ. გერმანიის 500-მდე მცირე და საშუალო საწარმო 1994 წელს დაახლოებით 50 მილიარდი გერმანული მარკის ღირებულების საქონლის და მომსახურების ექსპორტირება მოახდინა, რითაც მთლიან გერმანულ ექსპორტში 7% დაიკავა.

იტალიაში მცირე ბიზნესის მხარდაჭერის პოლიტიკა საკმაოდ დიდი ხნის წინ დაიწყო. 1952 წლიდან აქ არსებობს მცირე მეწარმეობის დამცველი კანონი, რომლის საფუძველიც შეიქმნა მცირე და საშუალო სიდიდის საწარმოებისათვის კრედიტების გამოყოფის ინსტიტუტი. 1976 წელს შეიქმნა „შეღავათიანი დაკრედიტების ეროვნული ფონდი“. 1977 წელს დაარსდა „კონსერვაციისა და რეკონსტრუქციის ფონდი“ იმ საწარმოებისათვის სესხის მისაცემად, რომლებიც იმყოფებოდნენ რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სტადიაზე. იტალიის მრეწველობის სამინისტროსთან არსებობს სპეციალური ფონდი ტექნიკური განახლებისათვის, მისი 20% მიეცემათ მცირე და საშუალო საწარმოებს 15 და მეტი წლის ვადით.

ესპანეთში მცირე და საშუალო ფირმების რაოდენობა 2 მლნ-ს აღწევს. მათში დასაქმებულია საშუალო ძალის 65% და ისინი აწარმოებენ პროდუქციის 64%-ს.

ესპანეთში 1994–1999 წლებისათვის შემუშავებული იყო მცირე და საშუალო ფირმების დახმარების 5 წლიანი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა მათთვის ყველანაირ დახმარებას.

მცირე ბიზნესის განვითარებამ დიდი როლი შეასრულა სხვა ქვეყნების ეკონომიკის აღმავლობაშიც. მან მოახდინა ეკონომიკური სასწაული აზიის ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებში – კორეაში, ტაივანში, სინგაპურში და სხვაგან.

მცირე ბიზნესი ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სექტორი ხდება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. მაგალითად, უნგრეთში მცირე მეწარმეობაშია დასაქმებული მრეწველობაში მომუშავეთა 14,8%, ბულგარეთში 9,8%.

უნგრეთში უმაღლეს სამთავრობო დონეზე რეგულირებული მცირე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა. ამ ქვეყანაში მცირე ბიზნესის ხელშეწყობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი საკითხები დაკისრებული აქვს

ქვეყნის სამეურნეო პალატას. მასთან შექმნილია სპეციალური საკონსულტაციო-მომსახურე ორგანიზაციები, სადაც მცირე საწარმოთა წარმომადგენლებს შეუძლიათ მიიღონ: კონიუნქტურული მიმოხილვა განსახდევრული სახეობის საქონელზე, პროდუქციის მომწოდებელზე, ფასებზე და ა.შ. აქ მცირე საწარმოების შეღავათიანი დაკრედიტების განსაკუთრებული სქემაა შექმნილი.

ბუღალრეთმა ჯერ კიდევ 1984 წელს მიიღო სამთავრობო პროგრამა სახელწოდებით „1990 წლამდე სახალხო მეურნეობაში მცირე და საშუალო საწარმოების დაჩქარებული განვითარების მიმართულების შესახებ“, რამაც ბიძგი მისცა ამგვარი საწარმოების შექმნას განვითარებულ ტექნოლოგიურ ბაზაზე. რუმინეთში მსგავსი კანონი მიღებული იქნა 1980 წელს.

ასეთივე მიდგომებია მცირე ბიზნესის განვითარებისადმი პოლონეთში, ჩეხეთში, სლოვაკეთში და სხვაგან.

მცირე ბიზნესი სათანადოდ განვითარებულია ლათინურ ამერიკაში, აფრიკაში. აფრიკის ქვეყნებში მცირე საწარმოებში დასაქმებულთა რიცხვი არ აღემატება 10 კაცს, აზიის ქვეყნებში 50 კაცს, ხოლო ლათინურ ამერიკაში საშუალოდ 75 კაცს, სადამფუძნებლო კაპიტალი შესაბამისად დადგენილი აქვთ 100, 190 და 350 ათასი დოლარის ფარგლებში. ყველგან შექმნილია მცირე და საშუალო მეწარმეობის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის ქმედითი მექანიზმი, რაც ესმარება მათ, ყოველწლიურად აწარმოონ 200–250 ათასი ღირებულების პროდუქცია.

მსოფლიო გამოცდილების ამ ფონზე მცირე ბიზნესის განვითარება საქართველოში მეტად მოკრძალებულია, საქართველოს საწარმოთა საერთო რაოდენობაში 2008 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მცირე საწარმოებს 80,3% უკავიათ. ეს მაჩვენებელი უტოლდება ევროკავშირის ქვეყნების შესაბამის მაჩვენებლებს, მაგრამ ჩამორჩება მათ პროდუქციის გამოშვებასა და დასაქმებაში ხვედრითი მაჩვენებლებით. აქ მას შესაბამისად უკავია 4,1 და 5,3 პროცენტი (იხ. ცხრილი 1). ეს მაშინ, როდესაც ევროკავშირის ქვეყნებში ეს მაჩვენებლები 35–71 და 40–70 პროცენტის დიაპაზონში მერყეობს. იგივე მდგომარეობაა იაპონიაში, რომლის მცირე საწარმოები ასაქმებენ შრომისუნარიანი მოსახლეობის 80,6%-ს და ქმნიან სამრეწველო პროდუქციის 55%-ს, საფრანგეთში, რომლის მცირე საწარმოებში იქმნება ქვეყნის სამრეწველო პროდუქციის 45% და საქმდება შრომისუნარიანი მოსახლეობის 50%. ესპანეთში, სადაც ეს მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენს 64 და 65 პროცენტს და ა.შ.

ცხრილში მოცემული ციფრები მოწმობს, რომ საქართველოში ჯერ-ჯერობით ვერ შეიქმნა ის აუცილებელი პირობები, რომლებიც ხელს შეუწყობდა მცირე ბიზნესის განვითარებას. სამწუხაროდ, მცირე საწარმოთა ბოლო წლების ეკომონიკური მაჩვენებლის დინამიკაც არ იძლევა ამის იმედს. იგივე ცხრილი

ცხრილი 1

მცირე საწარმოს ხვედრითი წილი საქართველოს სამეწარმეო სფეროს ძირითად მაჩვენებლებში 2000–2007 წწ.

	2000	2007	ცვლილება 2000-2007 წლებში (+,-)
1. საწარმოთა რაოდენობა სულ მ.შ. მცირე საწარმოთა რაოდენობა მცირე საწარმოთა ხვედრითი წილი	28547 4726150 91,6%	23137 18576 80,3	-5410 -7574 -11,3
2. როდუქციის გამოშვება სულ (მლნ ლარი) მ.შ. მცირე საწარმოთა პროდუქციის გამოშვება (მლნ ლარი) მცირე საწარმოთა ხვედრითი წილი პროდუქ. გამოშვება	2382,6 493,7 20,7%	9645,4 392,0 4,1%	+7262,8 -101,7 -16,6
3. საქონელბრუნვა (მლნ ლარი) –სულ მ.შ. მცირე საწარმოთა საქონელბრუნვა (მლნ. ლარი) მცირე საწარმოთა ხვედრითი წილი საქონელბრუნვაში	3781,4 1265,5 33,5%	17544,4 932,9 5,3%	+13763 -332,6 -28,2
4. დასაქმებულთა რიცხვი სულ (კაცი) მ.შ. მცირე საწარმოებში დასაქმებულთა რიცხვი მცირე საწარმოებში დასაქმებულთა ხვ. წილი	378055 125807 33,2%	337765 46435 13,8%	-40290 -79372 -19,4

გვიჩვენებს, რომ 2000–2007 წლებში საქართველოს ეკონომიკის მცირე სექტორში პროდუქციის გამოშვებაც შემცირებულა 16,6 პროცენტული პუნქტით, მცირე საწარმოთა რაოდენობა – 7574 ერთეულით, საქონელბრუნვა – 28,2 პროცენტული პუნქტით, ხოლო დასაქმება – 79372 კაცით. მაშასადამე, 2000 წელს საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების უკეთესი პირობები ყოფილა, ვიდრე დღეს არის. სხვას აბა რას უნდა მივაწეროთ ის ფაქტები, რომ 2000 წელს მთელ დასაქმებაში მცირე სექტორს ეკავა 33,2% (2007 წელს 13,8), საქონელბრუნვაში 33,5% (2007 წელს 5,3%), პროდუქციის წარმოებაში – 20,7% (2007 წელს 4,1%), ხოლო საწარმოთა რაოდენობაში 91,6% (2007 წელს 80,3%).

იმ ფონზე, როცა 2003 წლის შემდეგ საქართველოში გადასახადების რაოდენობაც და ზოგიერთი გადასახადების განაკვეთებიც შემცირდა, მცირე მეწარმეობის სექტორში თითქოს არ უნდა მომხდარიყო ასეთი დაღმასვლა, მაგრამ ფაქტია რომ მოხდა.

მცირე ბიზნესის განვითარებაზე დამოკიდებული ქვეყანაში სიღარიბის დაძლევა, მოსახლეობის მიგრაციის შეჩერება, შობადობის ზრდა, საშუალო ფენის ჩამოყალიბება და მრავალი სხვა.

**ეკონომიკის პრობლემა საქართველოს სამეწარმეო
ბიზნესში და მისი დაკლების გზები**

სამეწარმეო ბიზნესი, ისე, როგორც მთლიანად ეკონომიკა, დრმა კრიზისის განიცდის. რეფორმირების პროცესში ეროვნული მეურნეობის დარგობრივმა სტრუქტურამ დაკარგა მისთვის დამახასიათებელი ინდუსტრიული ხასიათი და შეიძინა უპირატესად აგრარულ-სავაჭრო მიმართულება. აღნიშნული ტენდენციის მომავალშიც შენარჩუნების პირობებში, საქართველო შეიძლება გადაიქცეს ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში დამზადებული სამრეწველო საქონლის გასაღების ბაზრად და მათ აგრარულ-სანედლეულო დანამატად, თავისი ყველა უარყოფითი სოციალურ-ეკონომიკური შედეგით ჩვენი ქვეყნისა და მისი მოსახლეობისათვის.

მეურნეობის ძველი სისტემის ლიკვიდაციამ და ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლამ, პოლიტიკური და სოციალური ცვლილებების პირობებში, მიიქცა დალი დაასვა ეროვნულ ეკონომიკას და განსაკუთრებით მრეწველობას. წარმოების ცენტრალიზებული დაგეგმვისა და მართვის სისტემის სტიქიურად ლიკვიდაციამ (და არა დემონტაჟმა), ახალი ეკონომიკური სისტემის ფორმირების ფუძემდებლური პრინციპების უქონლობამ, ენერგორესურსებზე დეფიციტმა და ფასების ზრდამ გამოიწვია საწარმოო კომპლექსების მასიურად გაჩერება, რასაც მოჰყვა საწარმოო სიმძლავრეების დაქვეითება, ეკონომიკური ეფექტიანობის მკვეთრი დაცემა. კერძოდ, 1991-1995 წლებში შრომის მწარმოებლურობის დონე შემცირდა 75%-ით, ფონდუკუგების კი – 86.9%-ით და ა.შ.⁶⁵

კრიზისის ადასტურებს ნატურალური მანკეებულების დინამიკაც. კერძოდ, 1999 წელს 1988 წელთან შედარებით ელექტროენერჯის წარმოება შემცირდა 44.5%-ით, ქვანახშირის მოპოვება – 99.2%-ით, მანგანუმის მოპოვება – 87.1%-ით, ქსოვილების – 99.9%-ით, მინერალური წყლების – 84.9%-ით, ღვინის – 88.3%-ით და ა.შ. რეფორმირების პერიოდში სამრეწველო წარმოების თანმიმდევრულად დაცემამ შესაბამის საწარმოთა სამრეწველო-საწარმოო პერსონალის შემცირება გამოიწვია, სამუშაო ადგილები დაკარგა ეკონომიკის ინდუსტრიულ სექტორში დასაქმებულთა სამოცზე მეტმა პროცენტმა.

ეკონომიკურმა დაქვეითებამ კრიტიკულ ზღვარს 1993-1994 წლებში მიაღწია. 1994 წელს სამრეწველო კომპლექსში პროდუქციის წარმოების მოცულობა თითქმის 80%-ით შემცირდა, მ.შ. მანქანათმშენებლობაში – 90%-ით,

⁶⁵ სოლომონ პავლიაშვილი, წარმოების ეფექტიანობის მართვის კომპლექსური სისტემა საქართველოს მრეწველობაში, თბ. 1998, გვ. 560

მსუბუქ მრეწველობაში – 93%-ით და ა.შ. ასევე, მნიშვნელოვნად შეიცვალა მისი დარგობრივი სტრუქტურაც.⁶⁶

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში მრეწველობაში შექმნილი მძიმე მდგომარეობა განპირობებულია მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებით, რომელთა გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ჩაისახა. მრეწველობის ეფექტიანობის დაცემის ძირითადი ფაქტორებია:

1. სამეურნეო კავშირების მოშლა, სანედლეულო და გასაღების ბაზრების დაკარგვა;
2. საბაზრო ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა;
3. ფულის კურსის გაუფასურება, რომელმაც პრაქტიკულად საბრუნავი საშუალებების გარეშე დატოვა სამრეწველო საწარმოები;
4. საბანკო პროდუქტისადმი დაბალი ხელმისაწვდომობა;
5. წარმოების დაბალი ტექნიკური დონე;
6. არაეფექტური საგადასახადო კანონმდებლობა;
7. შრომითი რესურსების დეკვალიფიკაცია;
8. საქართველოს მრეწველობაში გატარებული არაეფექტური საპრივატიზაციო პროცესი.

ზემოაღნიშნულ ფაქტორებს დაემატა ისიც, რომ გარდაქმნების რთული პროცესის რეგულირებას სახელმწიფო, განვითარების განსაკუთრებით რთულ ეტაპზე, ნებაყოფლობით ჩამოსცილდა და ეკონომიკური ცხოვრების „თვითმოწესრიგების“ იდეას საკუთარი ფუნქციებიც შესწირა, რამაც, ბუნებრივია, სოციალურ კატაკლიზმებს შეუწყო ხელი. მართალია 1995 წლიდან მოყოლებული დაიწყო წარმოების მოცულობის თანდათანობითი ზრდა, მაგრამ საერთო სამრეწველო პოტენციალის გამოყენების არსებული მაჩვენებელი ჯერ კიდევ დაბალია და რამდენჯერმე ჩამორჩება კრიზისამდელი პერიოდის მაჩვენებელს.

სამრეწველო წარმოების დონის მკვეთრი დაცემა და ამის შედეგად მთლიან შიდა პროდუქტში მისი ხვედრითი წილის არსებითი შემცირება მიანიშნებს დეინდუსტრიალიზაციის რეალურ საშიშროებაზე, რასაც სამრეწველო პროდუქციის ნომენკლატურისა და წარმოების დინამიკის ბოლო მონაცემებიც ადასტურებს. ხანგრძლივი უმოქმედების შედეგად მოძველდა სამრეწველო საწარმოთა ტექნიკური ბაზა, ვინაიდან პრაქტიკულად არ განხორციელებულა მათი განახლება და გადაიარაღება, დაზიანდა ან გაიძარცვა ძირითადი ფონდების დიდი ნაწილი. ყოველივე ამას დაემატა საბრუნავი საშუალებების უმწვავესი დეფიციტი, მაღალკვალიფიკური კადრების დენადობა, საწარმოთა ხელმძღვანელების არასაკმარისი მზადყოფნა ახალ პირობებში სამუშაოდ,

⁶⁶ ნოდარ ჭითანავა, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე მდგომარეობა (თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები), შრომების კრებული, ტ. V, გვ. 7-35.

დარგის განვითარების საკითხებში სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის შეუფასებლობა და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი „სპეციალისტი“, განსაკუთრებით უცხოელი „კონსულტანტები“, საჭიროდ არ თვლიან სამრეწველო წარმოების, როგორც ქვეყნის ეროვნული მეურნეობის საფუძვლის, დანაქარებული ზრდის აუცილებლობას. „საქართველო იყო და დარჩება აგრარულ ქვეყნად“ – ნათქვამია ერთ-ერთ პუბლიკაციაში.⁶⁷ სპეციალისტთა აღნიშნულ ჯგუფს თავიანთი პოზიციის გასამყარებლად მოჰყავთ ის არგუმენტი, რომ მრეწველობა, განსაკუთრებით მძიმე მრეწველობა, არ ფლობს საკმარის საწარმოო პოტენციალს, ხოლო მისი პროდუქცია არაკონკურენტუნარიანია საგარეო ბაზარზე და ხასიათდება მაღალი თვითღირებულებით. აღნიშნული არგუმენტები ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ცნობილია, რომ საწარმოთა უმრავლესობამ პროდუქციის კონკურენტუნარიანობა საკუთარი მიზეზით არ დაუკარგავს. ასევე არაფერია ნათქვამი ქვეყნის ინდუსტრიული განვითარების უპირატესობებზე. კერძოდ, იმაზე, რომ მრეწველობა წარმოადგენს ეროვნულ მეურნეობაში გაფართოებული კვლავწარმოების, ტექნიკურ-ტექნოლოგიური და ეკონომიკური უსაფრთხოების საფუძველს. ასევე, არც ერთ დარგს არ შეუძლია შრომითი რესურსების მასშტაბური დასაქმების საქმეში იმდენი როლის უზრუნველყოფა, რამდენიც მრეწველობას, რასაც საქართველოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

არსებული სირთულეების დასაძლევად საჭიროა იმ ფუნდამენტური პრობლემების გამოყოფა რომელთა გადაწყვეტასაც განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის საქართველოს მრეწველობაში (მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდებში). ეს პრობლემებია: საბაზრო ურთიერთობების, კონკურენტული ბაზრების ჩამოყალიბების, ფუნქციონირებისა და განვითარების უზრუნველყოფა; აღწარმოების პროცესის, ინვესტიციური საქმიანობის აღდგენა, ეკონომიკური კრიზისის დაძლევა; საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფა; ექსტენსიურიდან ინტენსიურ აღწარმოებაზე გადასვლა სამუშაო ძალის ხარისხის, წარმოების მეცნიერულ-ტექნოლოგიური დონისა და სტრუქტურული მოქნილობის ამაღლების საფუძველზე; მენეჯმენტის სისტემის სრულყოფა და ა.შ. ჩვენ მიერ ჩამოთვლილი პრობლემების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული და, შესაბამისად, მათი გადაწყვეტა მხოლოდ ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების კომპლექსური მართვის უზრუნველყოფის საფუძველზეა შესაძლებელი, რომლის გარეშეც ვერც ერთი ზემოაღნიშნული პრობლემა ვერ გადაწყდება.

⁶⁷ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ბიულეტენი №3, 1997, გვ. 8

ფირმის გაწონასწორებული მდგომარეობა

რეალური საბაზრო ერთიერთდამოკიდებულებები მეტად რთულია. ამ მიზეზით პრაქტიკულად იშვიათად ხერხდება საერთო წონსწორების სრული ანალიზის ჩატარება. ძალზე რთულია ფირმის მოქმედების სრული შედეგის შეფარდება სხვა ბაზრისათვის, ასევე – სხვა ბაზრებზე ყველა ფირმის შესაბამისი რეაქციის შეფასება, ვინაიდან ერთი საქონლის ფასის შეცვლა ცვლის მოთხოვნას მეორეზე, თუ ორივე საქონელი ურთიერთშემცვლელი ან ურთიერთშემავსებელია. ასევე, ფირმის საწარმოო მოთხოვნის გაზრდა იწვევს საბაზრო ფასების გაზრდას როგორც რესურსებზე, ისე პროდუქტებზე. საერთო წონასწორების ანალიზისას ფასი და რაოდენობა განისაზღვრება ყველა ბაზარზე ერთდროულად, უკუკავშირების ეფექტის გათვალისწინებით. ამიტომ ფირმის გაწონასწორებული მდგომარეობის განსაზღვრისა და სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირების ამსახველი მოდელის განსაზღვრას მრავალი სირთულე ახლავს. ამ მიზეზით ჩვენ შემოვიფარგლებით მხოლოდ იმ ბაზრებით, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული. მათ რიცხვს მიეკუთვნება, უპირველეს ყოვლისა, წარმოების ფაქტორების ბაზრები და მოხმარების ბაზრები, რომლებიც უზრუნველყოფს ფირმის პროდუქციის შესყიდვას.

ამგვარად, ფირმა ფუნქციონირებს, როგორც ღია სისტემა მოთხოვნისა და მიწოდების ბაზრებთან მჭიდრო კავშირში. სისტემის აგების შედეგად წარმო-

იქმნება მრავალრიცხოვანი რესურსები $\sum_{i=1}^z E_i$, რომელიც შედგება მანქანების,


მოწყობილობების, ნაგებობების, საინჟინრო ქსელებისა და სხვა რესურსებისაგან, რომელთა ექსპლუატაციასა და შენახვაზე ფირმა ეწევა

ყოველწლიურ ფიქსირებულ ხარჯებს $\sum_{i=1}^z K_i$ (ფიქსირებული ხარჯები შედარებით

დამოუკიდებელია სისტემის დატვირთვის ინტენსიურობაზე). მაკროსისტემისა და მიკროსისტემის დროში სტაბილური ფუნქციონირება და მათი შეუფერხებელი განვითარება მოითხოვს ცალკეული ფირმების, როგორც ეკონომიკური მიკროსისტემებისა და ეროვნული ეკონომიკის შემადგენელი ქვესისტემის გაწონასწორებულ მდგომარეობას.

წონასწორობის პირობების განხილვა შეიძლება სქემის მიხედვით, რომელზეც ასახულია სამრეწველო ფირმის გაფართოებული სისტემური მოდელი (სქემა 1).

ამ მოდელის შესაბამისად, ხანგრძლივი გამოყენების რესურსების დანიშნულებსამებრ გამოყენებით, საწარმოს ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად აუცილებელია წელიწადში დაიხარჯოს აღდგენითი რესურსები $\sum_{i=1}^n q_i K_i$



სქემა 1. სამრეწველო ფორმის გაფართოებული მოდელი

რაოდენობით, რომელიც პასუხობს საწარმოს მიზნობრივ დანიშნულებას, იყენებს პროექტივ გათვალისწინებულ ტექნოლოგიასა და ორგანიზაციის მეთოდებს (q_i წარმოადგენს i -რი რესურსების რაოდენობას, რომელიც აუცილებელია დასახული ამოცანების შესასრულებლად, aK_i – რესურსების ერთეულის ღირებულება).

საწარმოში გამოუღებო შემოსული აღდგენადი რესურსების გადამუშავების შედეგად იწარმოება მზა პროდუქცია $\sum_{i=1}^m Q_i M_{szi}$ რაოდენობით, რომლის

რეალიზაციის შედეგად მიკროსისტემა შემოსავალს იღებს თანხით $\sum_{i=1}^n Q_i a_{ei}$

(Q_i – წარმოებულ ნაკეთობათა i -რი სახესხვაობის წლიური რაოდენობა; M_{szi} – i -რი ნაკეთობის ხარისხის დონე; a_{i-1} – i -რი ნაკეთობის ერთეულის ფასი, რომელიც მიღწეულია პროდუქციის რეალიზაციის პროცესში).

აღნიშნავთ, რომ შემოთავაზებული მოდელი აბსტრაქტული ხასიათისაა და ამიტომ განხილული უნდა იყოს, როგორც ლოგიკური. ბუნებრივია, რომ პირობებისაგან დამოკიდებულებით საწარმოს შეუძლია თავისი პროდუქციის რეალიზება და დაახლოებით იდენტური რესურსების შექმნა სხვადასხვა ფასებში.

სქემიდან გამომდინარე, საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პირობები შეიძლება შემდგენიარად ფორმულირდეს:

მოწოდების ბაზარმა უნდა უზრუნველყოს წლის მანძილზე წარმოები-

სათვის აუცილებელი $\sum_{i=1}^n q_i I_i$ რაოდენობის რესურსების ზუსტად ვადებში

მიწოდება;

- მოხმარების ბაზარმა უნდა უზრუნველყოს სისტემის მიერ პროდუქციის

გამოშვების $\sum_{i=1}^m Q_i M_{szi}$ მოცულობის მუდმივად მოხმარება;

$\sum_{i=1}^x R_i$ – რაოდენობის გრძელვადიანი რესურსების სიმძლავრე უნდა

შეესაბამებოდეს $\sum_{i=1}^m Q_i M_{szi}$ პროდუქციის გამოსაშვებად საჭირო სიმძლავრეს;

$\sum_{i=1}^x E_i$ – სიმძლავრის რესურსების ტექნიკური მდგომარეობა უნდა უზრუნ-

ველყოფდეს საჭირო პარამეტრების დაცვას ნაწარმის $\sum_{i=1}^m M_{szi}$ ხარისხობრივი

დონის მისაღწევად;

- მარკეტინგის, ორგანიზაციის, ტექნიკური უზრუნველყოფის და ა.შ. ბლოკების საქმიანობამ უნდა უზრუნველყოს ფირმის სტაბილური ფუნქციონირების პირობები დადგენილ რიტმში;
- სოციალურმა პირობებმა და მატერიალური დაინტერესების სისტემამ სტიმული უნდა მისცეს შემსრულებლებს სამუშაოს მოცემული რიტმით შესრულებისათვის.

სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირების პირობები ეკონომიკური პარამეტრების საშუალებით შეიძლება შემდგენიარად გამოისახოს:

$$\sum_{i=1}^n q_i K_i + \sum_{i=1}^x K_i \left(\sum_{i=1}^m Q_i a_{ei} \right) - \left(\sum_{i=1}^n q_i K_i + \sum_{i=1}^x K_i \right) = P \geq P_1 + P_2 + P_3$$

სადაც P_1 არის მაკროსისტემიდან ამოღებული გადასახადი და სხვა წლიური მოსაკრებლები;

P_2 – მუშებისათვის წლიური გადასახადი მოგებაში მონაწილეობისათვის და სოცდაზღვევაზე;

P_3 – მოგების გამოყენებული ან დაგროვილი ნაწილი, რომელიც იხარჯება სისტემის დონის შესანარჩუნებლად და ტექნიკური განვითარებისა და მართვის სისტემების მიზანშეწონილ დაგეგმვაზე.

მიღებული აღნიშვნებიდან და პირობებიდან გამომდინარე, ფირმის გაწონასწორებული მდგომარეობა შეიძლება გამოისახოს შემდეგი მათემატიკური მოდელებით:

$$\sum_{i=1}^m Q_{iv} M_{sxiv} = \sum_{i=1}^m Q_{ip} M_{sxip}$$

$$\sum_{i=1}^m q_{iv} I_{iv} = \sum_{i=1}^m q_{ip} I_{ip}$$

$$\sum_{i=1}^z K_i + \sum_{i=1}^n q_i K_i + P_{1i} + P_2 + P_3 = \sum_{i=1}^m Q_i M_{mzi}$$

$$P_{it} \leq P_{ir}; P_{2t} \leq P_{2r}; P_{3t} \leq P_{3r}$$

სადაც: V არის ინდექსი, რომელიც შეიძლება მიეკუთვნოს პროდუქციის რაოდენობასა და ხარისხს, რომელიც შეიძლება აწარმოოს ფირმამ, აგრეთვე აუცილებელი რესურსების რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს; – ინდექსი, მიეკუთვნებული პროდუქციის რაოდენობასა და ხარისხსზე, რომელზეც

მოთხოვნაა ბაზარზე. $\sum_{i=1}^m q_i I_i \rightarrow \sum_{i=1}^m Q_i M_{szi}$ სიმძლავრე, რომელიც აუცილებ-

ებელია უწყვეტად განახლებადი რესურსების სიმრავლის გამოსაშვებ ნაკეთობათა სიმრავლედ გადაქცევისათვის;

r – რეალიზებული მოგების ინდექსი; t – დაგეგმილი მოგების ინდექსი.

უკანასკნელი სამი უტოლობა ასახავს მოთხოვნას, რომელიც მდგომარეობის იმაში, რომ, სისტემის სტაბილური ფუნქციონირების შემთხვევაში, რეალიზებული მოგება შეიძლება მინიმალურად მიუახლოვდეს მოგების დაგეგმილ თანხას, რომელიც წარიმართება მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე, ტექნიკურ განვითარებასა და მაკროსისტემების სასარგებლოდ აუცილებელ გადარიცხვებში.

აღნიშნავთ, რომ მანქანური მოწყობილობების სიმძლავრის საკმარისი მოცულობების შეფასება მოითხოვს სიმძლავრის ზუსტ რიცხობრივ გაანგარიშებას, რომელიც საერთო ნიშნებით განიხილება შემდგომ კომპლექსური ანალიზის ჩარჩოებში.

ტურისტული ბიზნესის პერსპექტივები საქართველოში

ტურისტული ბიზნესი მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენაა. საქართველოში ტურიზმი გვევლინება დიდი ბიზნესის, და, აქედან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად. ტურიზმი წარმოადგენს ურთიერთობათა ერთობლიობას და კავშირებისა და მოვლენების ერთიანობას, რომლებიც თან ახლავს ადამიანს მოგზაურობებში.

დასავლეთ ევროპასთან მეზობლობა, სამხრეთული სითბო და უმდიდრესი ბუნება: მარადიული თოვლითა და მყინვარებით დაფარული კავკასიონი, შავი ზღვის სანაპიროს სუბტროპიკული ზონა, წყალუხვი მდინარეები და ჩანჩქერები, კარსტული მღვიმეები, სამკურნალო მინერალური წყლები და კურორტები, ისტორიისა და კულტურის, რელიგიური და არქიტექტურული ძეგლები, ქართული სტუმართმოყვარეობა, სათანადო ინფრასტრუქტურის შექმნისას, ჩვენს ქვეყანაში ტურისტულ ბიზნესს მსოფლიო მასშტაბით კონკურენტუნარიანს გახდის. მას უდიდესი პოტენციალი გააჩნია, ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად და სახელმწიფოს შემოსავლების საგრძნობლად გასაზრდელად. ჩვენს ქვეყანაში უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლების მიუხედავად, სტუმართმოყვარეობისა და ტურისტული ბიზნესის მიმართულებით ჯერჯერობით გამოცდილი და კვალიფიციური კადრების დეფიციტი კვლავ შეინიშნება, რისი გამოსწორებაც, ჩვენი აზრით, ხელაწიფებათ საქართველოში არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს.

რამდენადაც ტურიზმი ადამიანების აქტიურ დასვენებას და საკურორტო მკურნალობასაც ემსახურება (აბსთუმანი, ბორჯომი, საირმე, შოვი, ბახმარო, წყალტუბო და სხვ.), ამდენად, შესაძლებლად მიგვაჩნია, უფრო მეტად განვითარდეს სამკურნალო ტურიზმი, აგროტურიზმი, ეკოტურიზმი და ა.შ. ტურიზმის ამ სახეობების განვითარება უფრო მეტ სარგებლობას მოგვცემს, თუ მათ დაეუკავშირებთ შიდა ტურიზმის განვითარებას. ეს კი ხელს შეუწყობს საქართველოს პერიფერიების ეკონომიკურ განვითარებას.

საქართველოში არსებულ პარკებზე, ბაღებსა და ნაკრძალებზე მეურვეობას ახორციელებს დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი. დღეს საქართველოში 30-ზე მეტი დაცული ტერიტორიაა. დაცული ტერიტორიები სულ რამდენიმე კატეგორიებად იყოფა, ესენია: სახელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ადკვეთილი, ბუნების ძეგლი და დაცული ლანდშაფტი, ასევე სავარაუდო დაცული ტერიტორია, რომელიც შემდგომ დაცულ ტერიტორიად იქცევა. კატეგორიებად დაყოფა ხდება იმის მიხედვით, თუ რა ხარისხით არის დაშვებული ბუნებაში ადამიანის „ჩარევა“.

გვაქვს საინტერესო ინფრასტრუქტურა კოლხეთის ეროვნულ პარკში. ეს ის უნიკალური ადგილია, სადაც გადამფრენი ფრინველების ევრაზია-აფრიკის საიმიგრაციო მარშრუტი გადის.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ გარკვეული ხიბლი მაინც შემორჩა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს თავისი სუბალპური და ალპური მდელოებით.

იუნესკოს ბუნების იშვიათ ძეგლთა სიაშია შეტანილი და მსოფლიო ნაკრძალების რუკაზეა დატანილი ლაგოდეხის ნაკრძალი და ლაგოდეხის ადკვეთილი;

ულამაზესი თუშური ბუნების ნახვით დატკბებიან ტურისტები თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალსა და ეროვნულ პარკში. ანალოგიური მდგომარეობაა სვანეთშიც.

საქართველოს უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთით, თბილისიდან 175-200 კმ-ის დაშორებით, დედოფლისწყაროს რაიონში მდებარეობს ვაშლოვანის ეროვნული პარკი, რომელიც მდინარე ალაზნით და იორით არის შემოსაზღვრული. ვაშლოვანის დაცული ტერიტორიის შემადგენლობაშია სამი ბუნების ძეგლი: ჯუმას ყურე, არწივის ხეობა და ტახტი-თეფას ტალახის ვულკანი. მიმდებარე ტერიტორიებზე დღემდე შემორჩენილია მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლები: V საუკუნის ციხე-ქალაქი ხორნაბუჯი; V საუკუნის წმინდა ელიას მთის ნამონასტრალი; XII საუკუნის ოხანის ამაღლების ტაძარი; IX საუკუნის საროველის სახელობის ტაძარი; ჩვ.წ. აღრიცხვამდე XV ს-ის ნაქალაქარი კამბისენა.

თითოეული უცხოელი თუ ადგილობრივი ტურისტი საქართველოსთვის დიდი სიკეთის მომტანია იქიდან გამომდინარე, რომ მათი მოგზაურობით როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, ისე საქართველოს სხვა კუთხეში, სტიმული ეძლევა ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას, უცხოელი ტურისტები უზრუნველყოფენ საზღვარგარეთის ვალუტის შემოდინებას. ტურისტული ბიზნესის წვლილის ზრდა ჩვენი ქვეყნის მცხოვრებთა სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის თვალსაზრისით უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს. შიდა ტურიზმის განვითარება საქართველოს სოფლის მცხოვრებთა კეთილდღეობის ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. რამდენადაც მათ მცირე შემოსავლები აქვთ და არ გააჩნიათ ეკონომიკური პერსპექტივებიც, ამდენად, ტურისტული ბიზნესი შესაძლებელია სერიოზული ეკონომიკური წინსვლის გარანტია გახდეს. ტრადიციები, კულტურა, ფაუნა, ფლორა – ამ ყველაფერს ადგილობრივი მოსახლეობა უფრო უკეთ იცნობს წინაპრების გადმოცემით და ტრადიციებიდან გამომდინარე. ხოლო გარკვეული ტრენინგ-სემინარების ჩატარებით მათგან შესაძლებელია მომზადდნენ გიდები და გამყოლები; ხელი შეეწყობა მცირე ბიზნესის დაწყებას მომსახურების სფეროში – საოჯახო სასტუმროები, რესტორნები და ა.შ.

ტურისტული ბიზნესის განვითარების ძირითად მიმართულებებად გვევლინება: შიდა ტურიზმის განვითარება, უცხოელთა შემომყვანი ტურიზმის ხელშეწყობა და სტიმულირება, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება, კადრების მომზადება და გადამზადება, საკანონმდებლო ბაზის ინტეგრაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან, უფრო უკეთესი ტურისტული ქვეყნის იმი-

ჯის შექმნა და ფართო რეკლამირება მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებებით.

ია ნაცვლიშვილი

ბიზნესგანათლების პრიორიტეტები საქართველოში გლობალიზაციის პირობებში

ბიზნესგანათლების სისტემის განვითარების პრიორიტეტები გლობალიზაციის კონტექსტიდან გამომდინარეობს და მიზნად ისახავს მსოფლიო მასშტაბით უმაღლესი განათლების კონკურენტუნარიანობის გაზრდას, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს სამუშაო ძალის გლობალური ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებას. მსოფლიო ფინანსური კრიზისის ფონზე გლობალურ ბაზარზე ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის, სხვა ფაქტორებთან ერთად, ბიზნესის ეფექტიანობის ზრდას არსებითი მნიშვნელობა აქვს. მსოფლიო კონკურენტუნარიანობის კვლევის ცენტრის მიერ ქვეყნების მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ყოველწლიური შეფასების ანგარიშში ბიზნესის ეფექტიანობა მიჩნეულია კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ ფაქტორად, რომელიც რამდენიმე ქვეფაქტორად იყოფა. ბიზნესის ეფექტიანობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ქვეფაქტორია შრომის ბაზრის შემდეგი მახასიათებლები: დახელოვებული სამუშაო ძალა, ფინანსური უნარები, საერთაშორისო გამოცდილება, კომპეტენტური უფროსი მენეჯერები⁶⁸. სამუშაო ძალის ბაზრის მახასიათებლების გაუმჯობესებასა და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ამოცანის წარმატებით გადაწყვეტაში უმაღლესი განათლების სისტემას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია სამუშაო ძალის ბაზრის მოთხოვნებთან მისადაგებელი საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზებით. სწორედ ამიტომ, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მსოფლიო მასშტაბით ბიზნესის საგანმანათლებლო პროგრამების მოდერნიზების ძირითადი პრიორიტეტების გამოვლენას სპეციალური გამოკვლევებისა და მეცნიერული ანალიზის შედეგად.

2004-2008 წლებში თუნიზის პროექტის ფარგლებში ლათინურ ამერიკასა და ევროპაში (მათ შორის საქართველოშიც) ჩატარებული კვლევის შედეგები მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას იძლევა. თუნიზის პროექტი დაიწყო ევროპის ქვეყნების განათლების მინისტრების მიერ ბოლონის დეკლარაციის ხელმოწერიდან ერთი წლის შემდეგ (2000 წელს) და „... თავი მოუყარა შესაბამისი სფეროების მაღალკვალიფიციურ ექსპერტებს 27 ევროპული ქვეყნის 135 ცნობილი უმაღლესი სასწავლებლიდან. მან უზრუნველყო სტრუქტურული გარემო ერთობლივი მუშაობისათვის, როგორც დიდი რაოდენობის საპილოტე დარგობრივი სფეროების საკითხებზე, ასევე მთლიანად უმაღლესი

⁶⁸ http://www.imd.ch/research/publications/wcy/upload/All_criteria_list.pdf: Page 5, last accessed February 02, 2009

განათლების რელევანტულ ასპექტებზე“.⁶⁹ თუნიზის მეთოდოლოგიით 2004-2007 წლებში ანალოგიური პროექტი განხორციელდა ლათინურ ამერიკაშიც.

კვლევის შედეგები პასუხობს კითხვებს, თუ როგორი კომპეტენციების გამომუშავებაზე უნდა იყოს ორიენტირებული ლათინურ ამერიკასა და ევროპაში ბიზნესის საგანმანათლებლო პროგრამები, რამდენად პასუხობს ის სამუშაო ძალის ბაზრის მოთხოვნებს და დამსაქმებლების მოლოდინებს, რამდენად ემთხვევა ერთმანეთს სტუდენტების, კურსდამთავრებულების და აკადემიური პერსონალის მოსაზრებები. კვლევა განხორციელდა ორი ტიპის კომპეტენციის – ზოგადისა და დარგობრივის მნიშვნელობისა და მათი საგანმანათლებლო დაწესებულებებში გამომუშავების დონის შესახებ.

ლათინურ ამერიკასა და ევროპაში ჩატარებული გამოკვლევის დროს აკადემიური პერსონალის, კურსდამთავრებულების, სტუდენტებისა და დამსაქმებლებისათვის ზოგადი კომპეტენციის კითხვარმა მოიცვა იმ ზოგადი უნარებისა და კომპეტენციების ჩამონათვალი, რომელიც, შესაძლებელია, მნიშვნელოვანი იყოს პროფესიული წარმატებისათვის. ბიზნესის ადმინისტრირების დარგობრივი, სპეციფიკური კომპეტენციების კითხვარი მოიცავდა ბიზნესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ იმ დარგობრივი უნარებისა და კომპეტენციების ჩამონათვალს, რომელიც შესაძლებელია მნიშვნელოვანი იყოს პროფესიული წარმატებისათვის. კომპეტენციის მნიშვნელობა პროფესიული წარმატებისათვის და საგანმანათლებლო დაწესებულებაში მათი გამომუშავების დონე რესპონდენტების მიერ ფასდებოდა ოთხქულიანი სისტემით. რანჟირების შედეგად მიღებულია კომპეტენციათა ზედა ხუთეული (ყველაზე მნიშვნელოვანი კომპეტენციები ან კომპეტენციის გამომუშავების მაღალი დონე) და ქვედა ხუთეული (ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი კომპეტენციები ან კომპეტენციის გამომუშავების ყველაზე დაბალი დონე). გამოიკითხა ოთხი ტიპის რესპონდენტი: აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. ოთხივე ტიპის რესპონდენტები დაჯგუფებული იყო კლასტრებად ქვეყნისა და უნივერსიტეტების (ინსტიტუტების) მიხედვით.

ლათინურ ამერიკაში თუნიზი არის უმაღლესი განათლების შესახებ კოლექტიური დებატებისა და განხილვების პროგრამა, რომელიც აერთიანებს აკადემიური საზოგადოების დაახლოებით 200 წევრს და რომელიც იყენებს თუნიზის პროექტის მეთოდოლოგიას. პროექტი მოიცავდა 19 ქვეყანას: არგენტინა, ბოლივია, ბრაზილია, კოლუმბია, კოსტა-რიკა, კუბა, ჩილე, ეკვატორი, სალვადორი, გვატემალა, ჰონდურასი, მექსიკა, ნიკარაგუა, პანამა, პარაგვაი, პერუ, დომინიკის რესპუბლიკა, ურუგვაი და ვენესუელა. რესპონდენტთა საერთო რაოდენობა თითოეული ჯგუფის მიხედვით შემდეგნაირია: აკადემიური პერსონალი – 4558, კურსდამთავრებულები – 7220, სტუდენტები – 9162,

⁶⁹ საგანმანათლებლო სტრუქტურების ურთიერთშეწყობა ევროპაში. უნივერსიტეტების წვლილი ბოლონის პროცესში. საბოლოო ანგარიში. საპილოტე პროექტი-ფაზა 2. თბილისი, 2008. გვ. 3.

დამსაქმებლები – 1669. რესპონდენტთა ოთხივე ჯგუფისათვის საერთო აღმოჩნდა მნიშვნელობის მიხედვით რანჟირებულ ზოგად კომპეტენციათა შემდეგი პირველი ექვსეული: ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; ცოდნის განახლებისა და სწავლის უნარი; პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაჭრის უნარი; ეთიკური ნორმების პატივისცემა; ხარისხის პატივისცემა.⁷⁰

ლათინურ ამერიკაში ბიზნესის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა ზოგადი კომპეტენციების შესახებ გამოკითხვაში მონაწილეობდა 824 აკადემიური პერსონალი, 714 დამსაქმებელი, 2939 კურსდამთავრებული, 3944 სტუდენტი. დარგობრივი სპეციფიკური უნარების შესახებ გამოკითხვაში მონაწილეობდა 707 კურსდამთავრებული, 580 დამსაქმებელი და 681 აკადემიური პერსონალი. რესპონდენტთა სამ ჯგუფს შორის მიღწეულია თანხმობა ყველაზე მნიშვნელოვან კომპეტენციათა შემდეგ პირველ ოთხეულზე: ოპერაციული, ტაქტიკური და სტრატეგიული დაგეგმვის უნარები; კომპანიის მიერ საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებისას ბუღალტრული და ფინანსური ინფორმაციის ინტერპრეტაციის უნარი; კომპანიის ფინანსური რესურსების მართვის უნარი; კომპანიის შიგნით ადამიანური რესურსების (ტალანტის) განვითარებისა და მართვის უნარი.⁷¹

ევროპის მასშტაბით გამოკითხვა ჩატარდა 27 ქვეყნის 9 დარგის საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით. ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ გამოკითხულთა მთლიანი რაოდენობა შეადგენს 7087 რესპონდენტს, ხოლო თითოეული ჯგუფის მიხედვით რესპონდენტთა რაოდენობა შემდეგნაირად ნაწილდება: კურსდამთავრებული – 1948, პროფესორი – 2041, სტუდენტი – 2219, დამსაქმებელი – 879. რესპონდენტთა მთლიანი რაოდენობის მიერ (ოთხივე ჯგუფი ერთობლივად) ყველაზე მნიშვნელოვანად მიჩნეული და შესაბამისი რეიტინგის მიხედვით დალაგებული ზოგადი კომპეტენციების ზედა ხუთეული შემდეგნაირად გამოიყურება:⁷² აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზისა და სინთეზის უნარი; პრაქტიკულ სიტუაციებში ცოდნის გამოყენების უნარი; პრობლემის იდენტიფიცირების, დასმისა და გადაწყვეტის უნარი; მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი; სწავლის და ცოდნის მუდმივი განახლების უნარი.

⁷⁰ Tuning Latin America. Reflections on and Outlook for Higher Education in Latin America. Final Report-Tuning Latin America Project 2004-2007, Edited by Pablo Beneitone, Cesar Esquetini, Julia Gonzalez, Maida Marty Maleta, Gabriela Siufi, Robert Wagenaar. Printed in Spain 2007, p 56.

⁷¹ Tuning Latin America. Reflections on and Outlook for Higher Education in Latin America. Final Report-Tuning Latin America Project 2004-2007, Edited by Pablo Beneitone, Cesar Esquetini, Julia Gonzalez, Maida Marty Maleta, Gabriela Siufi, Robert Wagenaar. Printed in Spain 2007, p 77.

⁷² Summary of Outcomes – Business. Business Groups.

http://tuning.unideusto.org/tuningeu/images/stories/template/Template_Business.pdf. August 29-th, 2008

განსაკუთრებით საინტერესოა ევროპაში ბიზნესის ადმინისტრირების დარგობრივი, სპეციფიკური კომპეტენციების შესახებ მოპოვებული მასალები.⁷³ მნიშვნელობის მიხედვით რანჟირებულ ზედა ხუთეულში კომპეტენცია №1 [კომპანიის წინაშე არსებული პრობლემების ანალიზის, სტრუქტურირებისა და პრობლემის გადაჭრის უნარი (მაგ., ახალი ბაზრის ათვისება)] და კომპეტენცია №11 [სწავლის უნარი, მაგ.: როგორ, როდის, სად არის საჭირო პერსონალური განვითარება (მაგ., რიტორიკა, პრეზენტაციის ტექნიკა, მუშაობა ჯგუფში, პირადი მენეჯმენტი)] საერთოა რესპონდენტთა ოთხივე ჯგუფისათვის. კომპეტენცია №23 [უცხო ენაზე წერა, საუბარი, კითხვა და გაგება (მაგ., ინგლისური, როგორც სამუშაო უცხო ენა)] ფიგურირებს აკადემიურ პერსონალთან, კურსდამთავრებულებსა და სტუდენტებთან, ხოლო დამსაქმებლების ზედა ხუთეულში საერთოდ არ შედის. საყურადღებოა, რომ დამსაქმებლები ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევენ რაოდენობრივი ანალიზის გამოყენებას ბიზნეს გადაწყვეტილებების მიღებისას [კომპეტენცია №6 - ადეკვატური ინსტრუმენტების განსაზღვრა და გამოყენება (მაგ.: ბაზრის ანალიზი, სტატისტიკური ანალიზი, შედარებითი კოეფიციენტები)].

2008 წლის გაზაფხულზე თუნინგის ფარგლებში საქართველოში ჩატარებული კვლევის პროცედურების დაგეგმვასა და ორგანიზებაზე, მონაცემთა ბაზის შექმნაზე ევროპელ მკვლევარებთან ერთად მუშაობდნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი სტატიის ავტორის მონაწილეობით, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მართვის ევროპული სკოლა (ESM) და ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საქართველოში გამოიკითხა 4 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უსდ) 90 აკადემიური პერსონალი და 150 სტუდენტი, 2 უსდ-ს 60 დამსაქმებელი და 120 კურსდამთავრებული.

საქართველოს რესპონდენტთა ოთხივე ჯგუფისათვის საერთო კომპეტენციათა რანჟირება, რომელსაც უნდა დაეფუძნოს ბიზნესის საგანმანათლებლო პროგრამის აგების პროცესი, შემდგენიარად გამოიყურება:⁷⁴

ცხრილი 1

საქართველოში რესპონდენტთა ყველა ჯგუფისათვის საერთო კომპეტენციათა ზედა სამეული

⁷³ Materials of Tuning Dissemination Conference II. Competence-based learning: the approach for the future? Brussels, June 12-13 2008.

⁷⁴ ცხრილი 1. შემუშავებულია თუნინგის პროექტის ფარგლებში ორგანიზებულ კონფერენციის “თუნინგი-საქართველო” მასალების საფუძველზე; 28 თებერვალი, 2009; თბილისი, საქართველო

კომპეტენციის №	დარგობრივი კომპეტენცია
1	კომპანიის წინაშე არსებული პრობლემების ანალიზისა და სტრუქტურირების უნარი და პრობლემის გადაჭრის უნარი (მაგ., ახალი ბაზრის ათვისება)
3	კომპანიის შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა და მომავლისათვის მათი გარემოს ანალიზთან შეჯერება (მაგ., SWOT, შიდა და გარე ღირებულებათა ჯაჭვი)
26	პროექტის მართვის უნარი (მაგ., მიზნის ფორმულირება, ამოცანებისა და შედეგების ურთიერთკავშირის განსაზღვრა, დროითი ჩარჩოს დაგეგმვა და მართვა)

ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის გაზრდისა და პროგრამის სრულყოფის თვალსაზრისით საინტერესო ინფორმაციას შეიცავს კომპეტენციების შესახებ თსუ აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების კვლევის შედეგები. დამსაქმებელთა და აკადემიურ პერსონალს შორის თანხმობა მიღწეულია №1 კომპეტენციის შესახებ, რომელიც რესპოდენტთა ორივე ჯგუფის მიერ არის დასახელებული ყველაზე უფრო პრიორიტეტულ კომპეტენციად. ჩვენი აზრით, საჭიროა აკადემიურ პერსონალსა და დამსაქმებლებს შორის ხშირი კონსულტაციები მათი პოზიციების შემდგომი დაახლოების მიზნით.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დამსაქმებლების, აკადემიური პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების პრიორიტეტულ კომპეტენციათა სამეულები შემდეგნაირად გამოიყურება⁷⁵:

ცხრილი 2.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დამსაქმებლების, აკადემიური პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მიერ რანჟირებული კომპეტენციების პირველი სამეული

დარგობრივი კომპეტენცია	რესპოდენტთა რაოდენობა % (მნიშვნელობა)	რესპოდენტთა რაოდენობა % (გამომუშავე ბის დონე)
დამსაქმებლების მიერ რანჟირებული კომპეტენციები		
№1 კომპანიის წინაშე არსებული პრობლემების ანალიზისა და სტრუქტურირების უნარი და პრობლემის		

⁷⁵ ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემების საფუძველზე

გადაჭრის უნარი (მაგ., ახალი ბაზრის ათვისება)	83,3	66,6
№6 ადეკვატური ინსტრუმენტების განსაზღვრა და გამოყენება (მაგ.: ბაზრის ანალიზი, სტატისტიკური ანალიზი, შედარებითი კოეფიციენტები)	66,6	66,6
№13 დაგეგმვისა და კონტროლის გზით კომპანიის მართვა კონცეფციების, მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით	63,3	63,3
აკადემიური პერსონალის მიერ რანჟირებული კომპეტენციები		
№1 კომპანიის წინაშე არსებული პრობლემების ანალიზისა და სტრუქტურირების უნარი და პრობლემის გადაჭრის უნარი (მაგ., ახალი ბაზრის ათვისება)	70,0	43,3
№19 სამართლებრივი პრინციპების ცოდნა და დაკავშირება ბიზნესის/მენეჯმენტის ცოდნასთან	60,0	43,3
№22 ბუღალტრული და ფინანსური სისტემების ცოდნა და გამოყენება (მაგ., მოგება-ზარალის, საბალანსო ანგარიშგება)	53,3	46,6
№16 არსებული და ახალი ტექნოლოგიების ცოდნა და მათი ზეგავლენა ახალ/სამომავლო ბაზრებზე	53,3	46,6
№5 ინფორმაციული სისტემების განვითარება და დანერგვა	53,3	46,6
სტუდენტების მიერ რანჟირებული კომპეტენციები		
№1 კომპანიის წინაშე არსებული პრობლემების ანალიზისა და სტრუქტურირების უნარი და პრობლემის გადაჭრის უნარი (მაგ., ახალი ბაზრის ათვისება)	76,6	56,6
№16 არჩეული და ახალი ტექნოლოგიების ცოდნა და მათი ზეგავლენა ახალ/სამომავლო ბაზრებზე	76,6	43
№28 ორგანიზაციაში ლიდერობის უნარი	73	50
№23 უცხო ენაზე წერა, საუბარი, კითხვა და გაგება	70	50
კურსდამთავრებულების მიერ რანჟირებული კომპეტენციები		
№1 კომპანიის წინაშე არსებული პრობლემების ანალიზისა და სტრუქტურირების უნარი და პრობლემის გადაჭრის უნარი (მაგ., ახალი ბაზრის ათვისება)	80	7
№10 მიკრო და მაკროეკონომიკური ელემენტების ზეგავლენის განსაზღვრა ბიზნესორგანიზაციაზე (მაგ., ფინანსური სისტემები, ფულად-საკრედიტო სისტემები, შიდა ბაზრები)	70	63
№9 ორგანიზაციის ფუნქციონალური სფეროებისა და მათ შორის არსებული კავშირების განსაზღვრა (მაგ., შესყიდვები, წარმოება, ლოგისტიკა, ფინანსები, მარკეტინგი, ადამიანური რესურსები)	66,6	43,3
№22 ბუღალტრული და ფინანსური სისტემების ცოდნა და გამოყენება (მაგ., მოგება-ზარალის, საბალანსო ანგარიშგება)	60%	60

როგორც ცხრილი 2 გვიჩვენებს, რესპონდენტთა ოთხივე ჯგუფისათვის საერთოა მხოლოდ ერთი კომპეტენცია (კომპეტენცია №1). ორი კომპეტენცია (№16 და № 22) საერთოა რესპონდენტთა ორი ჯგუფისათვის: კომპეტენცია № 16 საერთოა აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის, ხოლო კომპეტენცია №22 შეიძლება მივიჩნიოთ საერთო კომპეტენციად კურსდამთავრებულებსა და აკადემიური პერსონალისათვის, მიუხედავად იმისა, რომ აღმოჩნდა მეოთხე ადგილზე კურსდამთავრებულების პრიორიტეტებში.

ამრიგად, კვლევის შედეგები მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას იძლევა მსოფლიო მასშტაბით ბიზნესგანათლების პრიორიტეტების შესახებ. **ლათინურ ამერიკაში** ბიზნესის საგანმანათლებლო პროგრამების პროდუქტებიდან – კურსდამთავრებულთათვის პრიორიტეტულად მიჩნეულია შემდეგი კომპეტენციები: **ოპერაციული, ტაქტიკური და სტრატეგიული დაგეგმვის უნარები; კომპანიის მიერ საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებისას ბუღალტრული და ფინანსური ინფორმაციის ინტერპრეტაციის უნარი; კომპანიის ფინანსური რესურსების მართვის უნარი; კომპანიის შიგნით ადამიანური რესურსების (ტალანტის) განვითარებისა და მართვის უნარი. ევროპის მასშტაბით** კი პრიორიტეტული აღმოჩნდა კომპეტენციათა შემდეგი ოთხეული: **კომპანიის წინაშე არსებული პრობლემების ანალიზის, სტრუქტურირებისა და პრობლემის გადაჭრის უნარი; სწავლის უნარი, მაგ., როგორ, როდის, სად არის საჭირო პერსონალური განვითარება; უცხო ენაზე წერა, საუბარი, კითხვა და გაგება; ადეკვატური ინსტრუმენტების განსაზღვრა და გამოყენება (მაგ., ბაზრის ანალიზი, სტატისტიკური ანალიზი, შედარებითი კოეფიციენტები). საქართველოში** რესპონდენტთა ოთხივე ჯგუფისათვის პრიორიტეტული აღმოჩნდა კომპეტენციათა შემდეგი ნაკრები: **კომპანიის წინაშე არსებული პრობლემების ანალიზისა და სტრუქტურირების უნარი და პრობლემის გადაჭრის უნარი (მაგ., ახალი ბაზრის ათვისება); კომპანიის შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა და მომავლისათვის მათი გარემოს ანალიზთან შეჯერება (მაგ., SWOT, შიდა და გარე ღირებულებათა ჯაჭვი); პროექტის მართვის უნარი (მაგ., მიზნის ფორმულირება, ამოცანებისა და შედეგების ურთიერთკავშირის განსაზღვრა, დროითი ჩარჩოს დაგეგმვა და მართვა).**

ევროპასა და ლათინურ ამერიკაში გამოვლენილი პრიორიტეტების შედარება, მათ შორის არსებული განსხვავებების მიუხედავად, გვიჩვენებს, რომ ბიზნესგანათლების პრიორიტეტი უნდა იყოს კომპანიის წინაშე არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და კომპანიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების პროცესში ადეკვატური ინსტრუმენტების (ოპერაციული, ტაქტიკური და სტრატეგიული დაგეგმვის უნარები; ბუღალტრული და ფინანსური ინფორმაციის ინტერპრეტაციის უნარი; ბაზრის ანალიზი; სტატისტიკური ანალიზი; პროექტის მართვა) გამოყენების უნარების გამოქვეყნება. კვლევის შედეგები ადასტურებს,

რომ სტუდენტები ყველაზე უკეთ “გრძნობენ” სამუშაო ძალის ბაზრის მოთხოვნებს და კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფი კომპეტენციების სახეობებს. დარგობრივი კომპეტენციების მნიშვნელობის შესახებ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების შეხედულებები უფრო მეტად განსხვავდება დამსაქმებლების მოსაზრებისაგან, ვიდრე მათი შეხედულებები ზოგადი კომპეტენციების შესახებ განსხვავდება დამსაქმებლების ანალოგიური მოსაზრებებისაგან. დარგობრივი კომპეტენციების მნიშვნელობის მიხედვით რანჟირებისას, განსხვავება დამსაქმებლებისა და სტუდენტების მოსაზრებებს შორის უფრო დიდია, ვიდრე განსხვავება დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულებს შორის. კვლევის შედეგების მიხედვით, კომპეტენციების მნიშვნელობა უფრო მაღალია, ვიდრე სასწავლებელში მისი გამომუშავების დონე. განსაკუთრებით დიდია განსხვავება ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის მნიშვნელობასა და ამ უნარის გამომუშავების დონეს შორის.

რამაზ ფუტკარაძე

ევროკავშირი საქართველოს ბიზნესში

თანამედროვე ეტაპზე ევროკავშირს საერთაშორისო ბიზნესსა და ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. 2005 წელს ევროკავშირზე (25 ქვეყანა) მოდიოდა საქონლის მსოფლიო ექსპორტის 18,3%, აშშ-ზე – 12,4%, ჩინეთზე (ჰონკონგის გარეშე) – 10,5%, იაპონიაზე – 8,2% და კანადაზე – 4,9% დანარჩენ ქვეყნებზე კი - 45,7%. ასევე ევროკავშირზე მოდიოდა საქონლის მსოფლიო იმპორტის 19,1%, აშშ-ზე – 22,5%, ჩინეთზე (ჰონკონგის გარეშე) – 8,6%, იაპონიაზე – 6,7% და კანადაზე – 4,1% დანარჩენ ქვეყნებზე კი – 39%⁷⁶.

დაახ, ევროკავშირი მსოფლიოს ერთ-ერთი ლიდერია საქონლითა და მომსახურებით მსოფლიო ვაჭრობაში. ევროკავშირის ქვეყნებზე მოდის საქონლის მსოფლიო ექსპორტის 17,4%, (2007) აშშ-ზე – 11,9%, ჩინეთზე (ჰონკონგის გარეშე) – 12,5%, იაპონიაზე – 7,3% და კანადაზე – 4,3%. ასევე ევროკავშირზე მოდის საქონლის მსოფლიო იმპორტის 19%, აშშ-ზე 19,5%, ჩინეთზე (ჰონკონგის გარეშე) – 9,2%, იაპონიაზე – 6% და კანადაზე – 3,7%⁷⁷. ევროკავშირის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საერთაშორისო ვაჭრობაში, იგი მეტად მზარდი ბაზარია, ევროკავშირის საქონლის ექსპორტის მოცულობამ 2007 წელს 1 237 მლრდ ევრო, ხოლო იმპორტმა 1 426 მლრდ ევრო შეადგინა. ევროკავშირის საგარეო ვაჭრობის მონაცემები მოცემულია ცხრილში. 2003-2008 წლებში ევროკავშირის იმპორტის საშუალო წლიურმა ზრდამ 11,2%, ხოლო ექსპორტის საშუალო წლიურმა ზრდამ 9,3% შეადგინა.

ცხრილი 1

1 Eurostat Jahrbuch 2008. Internationaler Handel S. 364.

2 [ობ. \[hpp.eurostat.ec.europa.eu/portal/\]\(http://hpp.eurostat.ec.europa.eu/portal/\)](http://hpp.eurostat.ec.europa.eu/portal/)

**ევროკავშირის საგარეო ვაჭრობა 2003-2008 წწ.
მლნ ევრო**

წელი	იმპორტი	წლიური ზრდა %	ექსპორტი	წლიური ზრდა	ბალანსი	სავაჭრო ბრუნვა
2003	935,270		869,236		-66,034	1,804,506
2004	1,027,522	9.9	952,954	9.6	-74,568	1,980,476
2005	1,179,569	14.8	1,052,720	10.5	-126,849	2,232,289
2006	1,351,745	14.6	1,159,276	10.1	-192,469	2,511,021
2007	1,426,008	5.5	1,236,919	7.0	-189,089	2,662,927
საშუალო წლიური ზრდა		11.2		9.3		

1970-იანი წლებიდან ევროკავშირი და აშშ წარმოადგენენ ერთმანეთის უმსხვილეს სავაჭრო, საინვესტიციო პარტნიორებსა და კონკურენტებს. აღსანიშნავია, რომ მხარეებს შორის დღიური სავაჭრო ბრუნვის მოცულობა აღემატება 1,2 მლრდ ევროს. ასევე, ორივე მხარე, ევროკავშირი და აშშ წარმოადგენენ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნისათვის უმსხვილეს სავაჭრო და საინვესტიციო პარტნიორებს. 2007 წელს ევროკავშირი აშშ-ის საქონლით სავაჭრო ბრუნვამ 440 მლრდ ევრო შეადგენდა, მათ შორის ევროკავშირის საქონლის ექსპორტის მოცულობამ აშშ-ში შეადგინა 260 მლრდ ევრო, ხოლო ევროკავშირის საქონლის იმპორტის მოცულობამ აშშ-დან 180 მლრდ ევრო. მხარეებს შორის სავაჭრო ურთიერთობებში დეფიციტი აშშ-ის ეკონომიკის დამახასიათებელი ტენდენციაა. აშშ-ის სავაჭრო დეფიციტი რამდენჯერმე აღემატება ევროკავშირის სავაჭრო დეფიციტის მანქვენებელს. 2000 წელს ევროკავშირის დადებითი სავაჭრო ბალანსი აშშ-თან 32 მლრდ ევრო 2006 წელს 94 მლრდ ევრომდე გაიზარდა, ხოლო ბოლო ორი წელია შემცირდა და 2008 წელს 63 მლრდ ევრო შეადგინა.

მხარეებს შორის საქონლით ვაჭრობა მნიშვნელოვნად იზრდება, 2000 წელს ევროკავშირის საქონლის ექსპორტი აშშ-ში 238 მლრდ ევროდან 2008 წელს 249 მლრდ ევრომდე გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში კი ევროკავშირში აშშ-ის იმპორტი 206 მლრდ ევროდან 186 მლრდ ევრომდე შემცირდა. თუ 2000 წელს ევროკავშირის საქონლის ექსპორტის 28% აშშ-ის ბაზარზე მოდიოდა, 2008 წელს შემცირდა 19%-მდე. ასევე ევროკავშირის იმპორტის მოცულობა აშშ-დან 2000 წელს 21%-დან 2008 წელს 12 %-მდე შემცირდა.

ევროკავშირსა და აშშ-ს შორის ბოლო პერიოდში მომსახურებით ვაჭრობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ევროკავშირის მომსახურების ექსპორტმა აშშ-ში 2007 წელს 139 მლრდ ევრო, ხოლო აშშ-დან ევროკავშირში მომსახურების იმპორტმა 128 მლრდ ევრო შეადგინა. მომსახურებით ვაჭრობის ბალანსი

მხარეებს შორის დადებითაა ევროკავშირის სასარგებლოდ (+11 მლრდ ევრო). ევროკავშირის მომსახურების ექსპორტის 28% მოდის აშშ-ზე, ხოლო ევროკავშირში მომსახურების იმპორტის 31% – აშშ-ზე მოდის. ისევე, როგორც სასაქონლო ვაჭრობაში, ევროკავშირის წვერი ქვეყნებიდან აშშ-ის მომსახურებით ვაჭრობაში ძირითადი პარტნიორებია გაერთიანებული სამეფო (ევროკავშირის მომსახურების ექსპორტის აშშ-ში 32%, ევროკავშირში აშშ-დან მომსახურების იმპორტის 19%) და გერმანია (15% და 16%). მაღალი დადებითი ბალანსი გააჩნია გაერთიანებულ სამეფოს (+21 მლრდ ევრო), საბურთალოს (+5 მლრდ ევრო), საფრანგოს (+3 მლრდ ევრო) და ბელგიას (+1 მლრდ ევრო), უდიდესი დეფიციტი კი ირლანდიას (-18 მლრდ ევრო), ნიდერლანდებს (- 2 მლრდ ევრო) და ფინეთს (-1 მლრდ ევრო)

აშშ ევროკავშირისათვის საქონლის ექსპორტის მნიშვნელოვანი ბაზარია, 2006 წელს ევროკავშირის ექსპორტის 23,2% აშშ-ზე მოდიოდა, მაშინ, როცა მეორე უმსხვილეს საგაჭრო პარტნიორ ქვეყანა შვეიცარიაზე 7,4%. 2006 წლიდან ევროკავშირის №1 უმსხვილესი საგაჭრო პარტნიორი იმპორტის კუთხით ჩინეთია – 14,4%, მან ჩანაცვალა აშშ – 13,2%.⁷⁸

საქონლის იმპორტის მიხედვით ევროკავშირის უმსხვილესი საგაჭრო პარტნიორი ქვეყნებია: ჩინეთი (16,2%), აშშ (12,7%), რუსეთი (10,1%), იაპონია (5,5%), ნორვეგია (5,4%), შვეიცარია (5,4%), თურქეთი (3,3%), კორეა (2,8%), ბრაზილია (2,3%) და ლიბია (1,9%); ხოლო ევროკავშირის ექსპორტის მიხედვით უმსხვილესი საგაჭრო პარტნიორი ქვეყნებია: აშშ (21,1%), შვეიცარია (7,5%), რუსეთი (7,2%), ჩინეთი (5,8%), თურქეთი (4,2%), იაპონია (3,5%), ნორვეგია (3,5%), ინდოეთი (2,4%), არაბთა გაერთიანებული ემირატები (2,2%) და კანადა (2,1%) (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2

ევროკავშირის უმსხვილესი საგაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2007 წ.
(სასაქონლო ვაჭრობა)

იმპორტის მიხედვით

№	ქვეყანა	მლნ ევრო	%
	<i>სულ</i>	<i>1,426,008</i>	<i>100</i>
1	ჩინეთი	231,516	16.2
2	აშშ	181,104	12.7
3	რუსეთი	143,880	10.1
4	იაპონია	78,104	5.5
5	ნორვეგია	76,841	5.4
6	შვეიცარია	76,700	5.4
7	თურქეთი	46,867	3.3
8	კორეა	39,611	2.8

ექსპორტის მიხედვით

№	ქვეყანა	მლნ ევრო	%
	<i>სულ</i>	<i>1,239,919</i>	<i>100</i>
1	აშშ	261,463	21.1
2	შვეიცარია	92,787	7.5
3	რუსეთი	89,100	7.2
4	ჩინეთი	71,757	5.8
5	თურქეთი	52,641	4.2
6	იაპონია	43,757	3.5
7	ნორვეგია	43,207	3.5
8	ინდოეთი	29,481	2.4

3 Eurostat Jahrbuch 2008. Internationaler Handel S. 362.

9	ბრაზილია	32,661	2.3
10	ლიბია	27,323	1.9
X	10 ქვეყანა	934,607	65.5
X	დანარჩენი ქვეყნები	491,401	35.5

9	არაბთა გაერთიანებული ემირატები	26,878	2.2
10	კანადა	25,893	2.1
X	10 ქვეყანა	736,964	59.5
X	დანარჩენი ქვეყნები	502,955	40.5

ევროკავშირის წვერი ქვეყნიბიდან აშშ-ის მთავარი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებია ექსპორტის კუთხით: გერმანია (71 მლრდ. ევრო, ევროკავშირის აშშ-ში ექსპორტის 29%), გაერთიანებული სამეფო (43 მლრდ ევრო, 17%), საფრანგეთი (24 მლრდ ევრო, 10%), იტალია (23 მლრდ ევრო, 9%) და ნიდერლანდები (17 მლრდ ევრო, 7%)⁷⁸⁰, ხოლო ევროკავშირის წვერი ქვეყნიბიდან აშშ-ის მთავარი სავაჭრო პარტნიორებია იმპორტის კუთხით: გაერთიანებული სამეფო (37 მლრდ ევრო, 20%), გერმანია (29 მლრდ. ევრო, 16%), ნიდერლანდები (29 მლრდ ევრო, 16%), საფრანგეთი (21 მლრდ ევრო, 11%), იტალია (12 მლრდ ევრო, 6.5%). ევროკავშირის წვერი ქვეყნიბიდან მაღალი დადებითი სავაჭრო ბალანსი აშშ-თან აქვს გერმანიას (+37 მლრდ ევრო), იტალიას (11 მლრდ ევრო), ირლანდიას (+9 მლრდ. ევრო), გაერთიანებული სამეფოს (+6 მლრდ. ევრო) და შვედეთს (+5 მლრდ. ევრო). ევროკავშირის ქვეყნიბიდან მაღალი უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აშშ-თან აქვს ნიდერლანდებს (-12 მლრდ ევრო), ბელგიას (2 მლრდ ევრო) და ესპანეთს (-2 მლრდ ევრო).

ალსანიშნავია, რომ ორმხრივ ურთიერთობებში სავაჭრო და ბიზნეს კონფლიქტების ძირითადი ნაწილი ეხება აგრარულ სფეროში თანამშრომლობას⁸¹. ევროკავშირი და აშშ პერიოდულად მართავენ დებატებს სავაჭრო საკითხებზე, რომელიც ხშირად იმართება WTO-ს ჩარჩოებში, რაც გარდაუვალია მხარეებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების მაღალი მასშტაბებიდან გამომდინარე, მაგრამ სავაჭრო დებატები ეხება ევროკავშირ-აშშ-ის სავაჭრო ბრუნვის მხოლოდ 2%-ს.

ევროკავშირში და ჩინეთი მსოფლიო ვაჭრობაში მნიშვნელოვანი მოთამაშეები არიან. მხარეებს შორის სავაჭრო ბრუნვა 2007 წელს 127%-ით გაიზარდა, რაც 2003-2007 წლებში სავაჭრო ბრუნვის ზრდაზე მეტია.

ჩინეთი ერთადერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობებში. ჩინეთი წარმოადგენს მსოფლიოს მეოთხე ეკონომიკას და მესამე ექსპორტიორს, ასევე წარმოადგენს მხარდ სავაჭრო და პოლიტიკურ ძალას. ბოლო პერიოდში ევროკავშირი - ჩინეთის სავაჭრო ურთიერთობები მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამჟამად ჩინეთი წარმოადგენს ევროკავშირის მეორე უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყანას აშშ-ის შემდეგ, ხოლო უმსხვილესი იმპორტიორის – ევროკავშირის ღია ეკონომიკა და ვაჭრობა ღილად უწყობს ხელს ჩინეთის ექსპორტის ზრდას, შესაბამისად, მისი ეკონომიკის განვითარებას.

4 Der Handel zwischen der EU und USA. Eurostat. Statistik kurz gefasst. Aussenhandel 6-2/2001.

5 Gipfel EU-USA. Eurostat. Pressemitteilung, 47/2009-3. April 2009.

6 Weidenfeld, Werner (Hrsg.): Europa Handbuch. 2. Aufl. Gütersloh 2002. S. 649.

ჩინეთი ერთადერთი ქვეყანაა, რომელთანაც ვეროკავშირს ყველაზე დიდი უარყოფითი საფაქტო საღლო აქვს. ვეროკავშირის საქონლის ექსპორტმა ჩინეთში 2007 წელს 71,7 მლრდ ევრო, ხოლო ვეროკავშირში ჩინეთიდან საქონლის იმპორტმა 231,5 მლრდ ევრო შეადგინა, ანუ ექსპორტით იმპორტის გადაფარვის კოეფიციენტი შეადგენს მხოლოდ 30%-ს.

2007 წელს ვეროკავშირიდან ჩინეთში მომსახურების ექსპორტმა 17,6 მლრდ ევრო, ხოლო ვეროკავშირში ჩინეთიდან მომსახურების იმპორტმა 13,7 მლრდ ევრო შეადგინა.

ჩინეთის ეკონომიკა და საგარეო ვაჭრობა მეტად მხარდია, შესაბამისად, ვეროკავშირის პირდაპირი ინვესტიციები ჩინეთში (7,1 მლრდ ევრო) 12-ჯერ აღემატება ვეროკავშირში ჩინეთის მიერ განხორციელებულ პირდაპირი ინვესტიციების (0,6 მლრდ ევრო) მოცულობას.

ვეროკავშირი და ჩინეთი ერთმანეთის პარტნიორები და კონკურენტები არიან. 1985 წელს ვეროკავშირსა და ჩინეთს შორის გაფორმდა ვაჭრობისა და ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ შეთანხმება. 2007 წლის იანვრიდან კი მხარეებს შორის დაიწყო მოლაპარაკებები პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებაზე, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს მხარეებს შორის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს.

ვეროკავშირი იყო ერთ-ერთი ძირითადი მხარდამჭერი ჩინეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანების საკითხში. ჩინეთის მიღება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში მართლაც მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია მსოფლიო ვაჭრობის განვითარებისა და სრულყოფის მიმართულებით. ჩინეთის შესვლამ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მხარეებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ზრდას, ვეროკავშირის კომპანიების სამეწარმეო საქმიანობის გაზრდას ჩინეთის ბაზარზე.

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ვეროკავშირი და იაპონია მსოფლიო ვაჭრობასა და ეკონომიკაში ძირითადი მონაწილენი არიან. ორივე მხარეზე მოდის მსოფლიო მშპ-ის დაახლოებით 40%. იაპონია მსოფლიოს უძლიერესი ქვეყანაა და წარმოადგენს ვეროკავშირის ერთ-ერთ ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყანას. იაპონიის ეკონომიკა მსოფლიოში მეორე ადგილზეა, იაპონიის მოსახლეობა, სადაც ცხოვრობს მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ 2%, მოდის მსოფლიო მშპ-ის 1/8 მას გააჩნია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მეტი რეზერვი ოქროსა და ვალუტის სახით.

იაპონიაზე მოდის საქონლის მსოფლიო ექსპორტის 7,3% და იმპორტის 6% (2007) 2004 წელს იაპონიის საქონლის იმპორტმა და ექსპორტმა შეადგინა 352,2 და 421,1 მლრდ ევრო, რაც შეადგენს მსოფლიო იმპორტის 6,2 და მსოფლიო ექსპორტის 7,95%-ს. 2007 წელს ვეროკავშირისათვის იაპონია არის მე-4 უმსხვილესი იმპორტიორი ქვეყანა ჩინეთის, აშშ-ის და რუსეთის შემდეგ. საქონლის იმპორტის მოცულობამ 78,1 მლრდ ევრო შეადგინა. იაპონია ვეროკავშირის ექსპორტიორ ქვეყნებს შორის წარმოდგენილია მე-6 ადგილზე. ვეროკავშირიდან საქონლის ექსპორტის მოცულობამ იაპონიაში 43,7 მლრდ ევრო შეადგინა, ანუ იაპონიიდან ვეროკავშირში საქონლის იმპორტის მოცულობა ვეროკავშირიდან იაპონიაში ექსპორტის მოცულობას 34,4 მლრდ ევროთი აღემატება. იაპონია არის ვეროკავშირის მნიშვნელოვანი ბაზარი, იაპონიაზე მოდის ვეროკავშირის აგრარული საქონლის ექსპორტის 7,5%, საფეიქრო საქონლის – 5,4%, ქიმიური პროდუქციის – 5,4% და სარტანსპორტო საშუალებების – 4,5%. ვეროკავშირში

იაპონიის ექსპორტიდან ძირითადად წარმოდგენილია სატრანსპორტო საშუალებები (45%) და ქიმიური პროდუქცია (15,5%). აღსანიშნავია რომ, ჩვენ თუ გავითვალისწინებთ იაპონური კომპანიების მიერ ჩინეთში წარმოებული საქონლის ექსპორტს ევროკავშირში, იაპონია კვლავ რჩება ევროკავშირის მეორე უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყანად აშშ-ის შემდეგ.

*ღეილა ქდაგიშვილი
შოთა შაბურიშვილი*

ბიზნეს-ანგელოზთა თანამშრომლობის ფორმაები

ბოლო ათწლეულებამდე „ანგელოზი“ ინვესტორები დამოუკიდებლად, ფაქტობრივად, ერთმანეთისაგან იზოლირებულად მუშაობდნენ. ამჟამად მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა – ინვესტორებმა დაიწყეს გაერთიანებების (ძირითადად, ასოციაციების) შექმნა. როგორც წესი, ბიზნესი სარისკო საქმეა. კიდევ უფრო სარისკოა, როცა გადაწყვეტილებებს იღებს არა ინვესტორთა გუნდი, არამედ ერთი ინვესტორი. ასეთ დროს შეცდომების დაშვების ალბათობა ძალიან მაღალია. გარდა ამისა, ძნელად მოიძებნება ინვესტორი, რომელმაც იცის ყველა სახის ბიზნესის სპეციფიკა. ამიტომ ისინი ერთმანეთთან კონსულტაციის გარეშე თავს იკავებენ უცნობ ბიზნესში სახსრების დაბანდებაზე. სწორედ ურთიერთკონსულტაციების და აზრთა ურთიერთგაზიარების საჭიროებამ წარმოშვა ბიზნეს-ანგელოზთა გაერთიანების შექმნის იდეა.

ამჟამად ბიზნეს-ანგელოზთა ასოციაციების (გაერთიანებების) შემდეგი ფორმებია განვითარებული:

1. „თითოეული თავისთვის“;
2. გაერთიანება დემოკრატიული წესებით;
3. „ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის“.

პირველი ტიპის გაერთიანება ფაქტობრივად არის წვერ ინვესტორთა, ანუ ბიზნეს-ანგელოზთა შეკრება. გაერთიანების წევრთა კრება იხილავს მეწარმეთა მიერ დასაფინანსებლად წარმოდგენილ პროექტებს და ახდენს მათ გადარჩევას. მას შემდეგ, რაც ბიზნეს-ანგელოზები გაეცნობიან სამეწარმეო პროექტებს, ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად იღებენ გადაწყვეტილებას შერჩეული პროექტის დაფინანსების შესახებ. ასევე, დამოუკიდებლად აწყობენ შეხვედრებს და მოლაპარაკებებს მეწარმეებთან. ამ ტიპის ასოციაციის ხელმძღვანელობა არ მონაწილეობს მეწარმეების და „ბიზნეს-ანგელოზების“ ურთიერთობაში. მისი ფუნქცია არის ინვესტიციური გარიგებების მოცულობების ზრდა.

მეორე ტიპის გაერთიანებას ჰყავს აღმასრულებელი დირექტორი, რომელიც საქმის წარმოებაზე აგებს პასუხს. მის შტატში შეიძლება იყოს დაქირავებული მუშაკები, რომელთან ერთად აღმასრულებელი დირექტორი იხილავს მეწარმეთა განაცხადებას. ხშირად ბიზნეს-ანგელოზები თვითონ სთავა-

ზობენ გაერთიანების დირექციას სასურველ პროექტებს. პროექტის დამფინანსებელი ინვესტორები აყალიბებენ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას.

გაერთიანება „ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის“ მუშაობს ვენჩურული ფირმის ფორმატში. მას შტატში ჰყავს პროფესიონალი მენეჯერები, რომლებიც მართავენ ბიზნეს-ანგელოზების კაპიტალს. გაერთიანების მენეჯერის როლს ხშირად ასრულებს მისი კომიტეტი, რომელშიც გაერთიანების წევრები შედიან. აღნიშნული კომიტეტი დეტალურად ეცნობა მეწარმეების ბიზნესგეგმებს და მათ პროექტებს. ამ ტიპის გაერთიანებებში მეწარმეები აწყობენ პროექტის პრეზენტაციას, ხოლო დაფინანსების საკითხი კენჭისყრით წყდება. თუ ინვესტორთა უმრავლესობამ გადაწყვიტა წარმოდგენილი პროექტის (პროექტების) დაფინანსება, მაშინ იქმნება დაფინანსების ფონდი.

ბიზნეს-ანგელოზების ფორმალური გაერთიანებების გარდა, არსებობს არაფორმალური გაერთიანებები. მათი შემადგენლობა მცირერიცხოვანია (6-7 კაცი), ისინი არაფორმალურ ვითარებაში იხილავენ საინვესტიციო გარიგებების შემოთავაზებას, იღებენ დაფინანსების ან არდაფინანსების გადაწყვეტილებებს და ინაწილებენ მოვალეობებს.

ბიზნეს-ანგელოზები ხშირად სინდიკატის ფორმით ერთიანდებიან. ეს სინდიკატები თითქოს ვენჩურულ ფირმებს წააგავს, მაგრამ, მათგან განსხვავებით, უფრო მობილურია, არ აქვს რთული და მოუქნელი მმართველობითი სტრუქტურა და ანგარიშგება. როდესაც ბიზნეს-ანგელოზები თვითონ ხელმძღვანელობენ სინდიკატს, მაშინ ისინი ვენჩურულ ფონდებთან შედარებით ნაკლებხარჯიანია და სამართავადაც მარტივი. სინდიკატში 100 და მეტი ინვესტორიც კი შედის. მასში, თავის მხრივ, ასოციაციები და კავშირებია გაერთიანებული.

სინდიკატი თავის საქმიანობას ახორციელებს ასოციაციების და კავშირების მეშვეობით. მრავალი „ანგელოზი“ სინდიკატის შემადგენლობაში ამჯობინებს მუშაობას, რადგან იგი მათ შემდეგ უპირატესობებს უქმნის:


- კაპიტალის გაერთიანების შესაძლებლობა მრავალი პროექტის დასაფინანსებლად;
- საინვესტიციო პროექტების მეტი მრავალფეროვნება;
- სასარგებლო კონტრაქტების, ინფორმაციის გაცვლა და გამოცდილების გაზიარება;
- პროექტების ექსპერტიზის ერთობლივი განხორციელება;
- არსებული საინვესტიციო პორტფელის შემდგომი დივერსიფიკაცია.

მსოფლიოში არსებობს ბიზნეს-ანგელოზების სინდიკატზე უფრო მსხვილი გაერთიანებები. ეს ორგანიზაციები აერთიანებს ბიზნეს-ანგელოზების ასოციაციებს, კავშირებს, სინდიკატებს და ა.შ. აღნიშნული გაერთიანებები წარმოადგენენ „ბიზნეს-ანგელოზების“ „ქსელის ქსელს“. ასეთია, მაგალითად, „ბიზნეს-ანგელოზების“ ევროპის ქსელი – EBAN.


ბიზნეს-ანგელოზების მუდმივმოქმედი გაერთიანებების გარდა, ამ ტიპის ინვესტიციების განსახორციელებლად იქმნება მოკლევადიანი პროგრამები. ერთ-ერთი ასეთი პროგრამა არის EASY, რომელსაც მხარი დაუჭირა ბიზნეს-ანგელოზთა ევროპულმა ქსელმა (EBAN). ეს პროგრამა ორწლიანია, მასში მონაწილეობს 11 ქვეყანა, ბიუჯეტის მოცულობა კი შეადგენს 5,2 მლნ ევროს. პროგრამის მიზანია ევროკავშირის ქვეყნების ინოვაციურ მეწარმეთა და ბიზნეს-ანგელოზთა თანამშრომლობის ხელშეწყობა.

„ბიზნეს-ანგელოზების ქსელის ფუნქციონირება და მათი ურთიერთობები მეწარმე-სუბიექტებთან მოცემულია ნახ. 1.

როგორც ამ ნახაზიდან ჩანს, დამწყებ მეწარმეთა დაფინანსება საკმაოდ რთული წინასწარი მომზადების და ექსპერტიზის ეტაპებს გადის. ამასთან, წინასწარ ემზადება მეწარმეც და ბიზნეს-ანგელოზიც – პირველი ნათლად უნდა აცნობიერებდეს რისი მიღწევა სურს, მეორე კი – რა სარგებელს ელოდება ამ დაფინანსებიდან და როგორია რისკის დონე. დამწყებმა მეწარმემ უნდა იცოდეს, რომ, დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაშიც კი, პროექტი ნაწილობრივ დაფინანსდება და არა მთლიანად. პროექტის თანადაფინანსება მან თვითონ უნდა მოახდინოს (სასურველია მისი ხიდილე პროექტის ღირებულების 10%-ს არ აღემატებოდეს).



ბიზნეს-ანგელოზების ქსელი მეტად გავრცელებულია საზღვარგარეთ. იმის მიუხედავად, რომ ეს სექტორი საკმაოდ დახურულია და მის შესახებ სრული სტატისტიკური ინფორმაცია არ არსებობს, მაინც ცნობილი გახდა, რომ 2005 წელს აშშ-ში ბიზნეს-ანგელოზთა დაფინანსებამ 23,1 მლრდ დოლარი შეადგინა, ხოლო მათმა რაოდენობამ 55000 (იხ. ნახ. 2).



ბიზნეს-ანგელოზების რაოდენობა ევროპაში 66 ათასიდან (1991) გაიზარდა 228 ათასამდე (2005). ბიზნეს-ანგელოზები რუსეთშიც გამოჩნდნენ. მაგალითად, რუსეთში არსებობს ბიზნეს-ანგელოზების ეროვნული თანამეგობრობა (СБАР), რომელიც 2006 წელს რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის მხარდაჭერით დაფუძნდა. მისი შექმნა „ნათესვის“ სტადიაზე მყოფი ინოვაციური პროექტების განსახორციელებლად საჭირო ფინანსური რესურსების დეფიციტმა განაპირობა. ამ გაერთიანების ლოზუნგია: „დააბანდე ინოვაციურ რუსეთში“. იგი არის EBAN-ის ასოციაციის წევრი და კავშირი აქვს ამერიკის ბიზნეს-ანგელოზების ალიანსთან, ისრაელის ვენჩურულ ასოციაციასთან, ფინეთის ინვესტიციურ ფონდ SITRA-თან და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტები ახალგაზრდა მეცნიერთათვის პროექტის – „ანგელოზების“ როლი ქართული ბიზნესის განვითარებაში“, რომლის განმახორციელებელი ორგანიზაციაა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხოლო დონორი – საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი – ფარგლებში დაგეგმილია „საქართველოს ბიზნეს-ანგელოზთა ასოციაციის“ შექმნა. ასოციაციის მიზნები იქნება:

- საქართველოში პერსპექტიული საქმიანი იდეების პრაქტიკული რეალიზაციის შესაძლებლობების გაზრდა;
- საქართველოში ბიზნეს-ანგელოზების საქმიანობის ხელსაყრელი ეკონომიკური და სამართლებრივი გარემოს ფორმირების ხელშეწყობა;
- ბიზნეს-ანგელოზების ინსტიტუტის განვითარება და მათი ინტერესების დაცვა;
- სახელისუფლებო ორგანოებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და სამეწარმეო წრეებში ასოციაციის წევრების ინტერესების წარმოდგენა;

- ბიზნეს-ანგელოზებს შორის სასარგებლო კონტაქტების, ინფორმაციის გაცვლა და გამოცდილების გაზიარება;
- საქართველოს და უცხოეთის ბიზნეს-ანგელოზებს შორის თანამშრომლობის კოორდინაცია;
- ბიზნეს-ანგელოზების და ინვესტიციების მაძიებლების კვალიფიკაციის ამაღლება;
- ბიზნეს-ანგელოზების კონფერენციების, სემინარების, ფორუმების და ბაზრობების ჩატარება;
- ბიზნეს-ანგელოზების საინვესტიციო შესაძლებლობების გაერთიანების ხელშეწყობა და კოლექტიური ინვესტირების ფორმების განვითარება;
- ბიზნეს-ანგელოზებისა და მეწარმეების დახმარება ინოვაციური პროექტების მართვაში, მათი უზრუნველყოფა კვალიფიციური საკონსულტაციო მომსახურებით და კადრებით;
- პერსპექტიული სამეწარმეო იდეების მოძიება და ექსპერტიზა (შერჩევა, წინასწარი შესწავლა, დეტალური შემოწმება, მონიტორინგი);
- ბიზნეს-ანგელოზთა ადგილობრივი ქსელების შექმნა და განვითარება;
- ბიზნეს-ანგელოზთა საერთაშორისო ქსელებში ინტეგრირება.

ასოციაციის მთავარი პრიორიტეტი იქნება ევროპის ბიზნეს-ანგელოზთა ქსელსა და ევროპის ვენჩურული კაპიტალის ასოციაციაში გაწევრიანება, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში „სათესლე“ ინვესტიციების სფეროში მოწინავე საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას, ევროპულ ინსტიტუტებში ინტეგრაციას, ერთობლივი პროექტების განხორციელებასა და მაღალტექნოლოგიური უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. ასოციაციისა და უნივერსიტეტის ბაზაზე შესაბამისი სამაგისტრო პროგრამის მომზადებით, აგრეთვე, ტრენინგების ორგანიზებითა და კონსალტინგის სხვა ფორმების გამოყენებით განხორციელდება ინოვაციური მენეჯმენტის სფეროში სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლება. მოხდება სამეცნიერო კვლევათა ევროპული სივრცის სტანდარტებთან დაახლოება, რაც ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი და საქართველოს ეკონომიკის ინოვაციური განვითარების მოდელზე გადასვლის საწინდარია.

გულიკო ქათამაძე

**ინვესტიციების როლი სამაგსლო წარმოების
განვითარებაში**

საქართველო ფინანსურ კრიზისს განიცდის. ქვეყანაში განხორციელებული რეფორმების შედეგად სახელმწიფო სექტორიდან მუშახელთა გამოთავისუფლებამ კიდევ უფრო გაამძაფრა უმუშევრობის ისედაც მწვავე პრობლემა.

კერძო სექტორმა ფინანსური სახსრების შეზღუდულობის გამო ვერ შექმნა იმდენი სამუშაო ადგილი, რამდენიც გამოთავისუფლდა სახელმწიფო სამსახურებიდან. ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პოტენციალის სრულმასშტაბიანი ამოქმედება შესაბამის ფინანსურ უზრუნველყოფას საჭიროებს. ფინანსური შესაძლებლობების მობილიზების რეალური გზაა მოსახლეობაში აკუმულირებული თავისუფალი ფინანსური სახსრების ხარჯზე შიგა ინვესტიციების განხორციელება. ლარის კურსის შესანარჩუნებლად გატარებულმა მკაცრმა ფულად-საკრედიტო პოლიტიკამ შეზღუდა შიდა ინვესტირების შესაძლებლობა. მოსახლეობის მწირი შემოსავლების გამო, საოჯახო დანახოვების დონე და, შესაბამისად, შიდა ინვესტირების შესაძლებლობა ძალიან მცირეა. ეკონომიკის შეკვეცილი აღწარმოება ვერ უზრუნველყოფს საკუთარი ინვესტიციების მტკიცე ბაზის შექმნას. ამიტომ ჩნდება უცხოური ინვესტიციების მოზიდვის აუცილებლობა.

უცხოურ ინვესტიციებთან შედარებით შიდა ინვესტირების უპირატესობა ის არის, რომ ხანგრძლივ პერიოდში უცხოური კაპიტალდაბანდება აუარესებს ქვეყნის საგადასახადო ბალანსს – კაპდაბანდებიდან მიღებული შემოსავლების გარკვეული ნაწილის – მოგების სახით საზღვარგარეთ გატანის გამო, ხოლო ადგილობრივი ინვესტიციებიდან მიღებული შემოსავლები კი ხმარდება ქვეყნის შიგნით კვლავწარმოების გაფართოებას, მაგრამ შიდა ინვესტირების ნაკლოვანება ის არის, რომ მას არ ახლავს თანამდევო ტექნოლოგიური ევგქტი, გარდა ამისა, სამამულო ინვესტირებით ვერ მიიღწევა საზღვარგარეთული კომპანიების სავაჭრო მარკეტით სარგებლობის უფლება, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე მსოფლიო ბაზრის მაღალი მონოპოლიზაციის პირობებში. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ინვესტიციების ქაოსურად დაბანდება ეკონომიკურად გაუმართლებელია. ამ პროცესს დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. მას განსაკუთრებული მეცნიერული მიდგომა სჭირდება, რათა ინვესტორთა ხელში არ აღმოჩნდეს ქვეყნისათვის სტრატეგიული დარგები.

ინვესტიციების დაბანდების თვალსაზრისით საქართველოს მიმზიდველ სტრატეგიულ დარგებს განეკუთვნება: ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, მრეწველობა, ენერგეტიკა, ტურიზმი, მშენებლობა და საბანკო სექტორი. ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, გასაგებია უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში. მაგრამ, იმაგდროულად, მომგებიანი იქნება უცხოური ინვესტიციების დაბანდება მატერიალური დოვლათის შემქმნელ სამრეწველო დარგებში, რასაც დიდი მოგების მოტანა შეუძლია როგორც საქართველოსათვის, ასევე უცხოელი ინვესტორისათვის.

საქართველოში ინსტიტუციური ინფრასტრუქტურის (საფონდო ბირჟების, ფასიანი ქაღალდების ბაზრის, საფინანსო შუამავლების და სხვათა) გაუმართავი და არაეფექტიანი ფუნქციონირება, ომის განახლების საშისროება, პოლიტიკურ-ეკონომიკური არასტაბილურობა და სოციალური კრიზისი აიძულებს ადგილობრივ ინვესტორებს, თავი აარიდონ კაპიტალის საქართველოში დაბანდებას

და გაიტანონ ის საზღვარგარეთ. ე. ი. საქართველოს მთავრობა ვერ ასტიმულირებს ინვესტიციებს რეალურ სექტორში. შესაბამისად, საქართველოში ეკონომიკური ზრდის კარდინალური პრობლემა არა ინვესტიციათა ნაკლებობაა, არამედ მათი წარმოებაში არაუფექტიანად გამოყენება.

ინვესტიციების ანარქიულად, დაურეგულირებლად დაბანდებას თან ახლავს უარყოფითი მხარეებიც, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია სტრატეგიაში ინვესტორებთან ხელშეკრულებათა გაფორმების დროს. კერძოდ, ეს ნაკლოვანებებია: 1. ინვესტორთა საქმიანობის კონტროლის სიძნელე; 2. შიდა ბაზარზე კონკურენციის თანდათანობით დათრგუნვა; 3. ბუნებრივი ნედლეულის, წიაღისეულისა და სხვა არაგანახლებადი რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილის ინვესტორთა კონტროლის ქვეშ მოქცევა, რაც მათი გაფლანგვისა და ნაადრევად გამოღვევის საშიშროებას ქმნის; 4. სუსტი სახელმწიფო რეგულირების პირობებში ვერ იქნება მკაცრი ეკოლოგიური კონტროლის გარანტიები სამამულო საწარმოთა საქმიანობაზე და ა.შ.

პრობლემას ართულებს ასევე საგადასახადო სისტემაში არსებული რეალური მდგომარეობა. ერთი შეხედვით, საგადასახადო სისტემა საქართველოში ბევრად უფრო ღიბერალურია, ვიდრე მეზობელ ქვეყნებში. მაგრამ გადასახადების გადახდის გართულებული მეთოდიკა ნაკლებად მიზიდაველს ხდის საქართველოს ინვესტორებისათვის. საგადასახადო სისტემა ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად გამჭვირვალე და, რაც მთავარია, იგი ხშირად ცვალებადია. ამას ემატება ის გარემოებაც, რომ დასახვეწია ინვესტიციების მარეგულირებელი სამართლებრივი სისტემა, რომელიც ვერ იცავს ინვესტორთა საკუთრების უფლებას და ვერ იძლევა საინვესტიციო საქმიანობის დროს წარმოქმნილი სადავო საკითხების ობიექტურად გადაწყვეტის სამართლებრივ გარანტიას. საკანონმდებლო სისტემა ხშირად მერყევი და არასტაბილურია.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ეკონომიკა თითქმის მთლიანად არის დამოკიდებული საგარეო ეკონომიკურ ფაქტორებზე. ამ პრობლემის დასაძლევად საჭიროა უცხოურ ფირმებთან ტექნოლოგიური კოოპერაცია, რომელიც ძირითადად მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიების გადმოცემით უნდა განხორციელდეს. ასევე უნდა მოხდეს ერთობლივ საწარმოთა ორგანიზება, უცხოელ ინვესტორთათვის პრივატიზებულ საწარმოთა აქციების გარკვეული ნაწილის მიყიდვა, უცხოელ ინვესტორებთან თანამშრომლობა ხელშეკრულების საფუძველზე, მთლიანად უცხოელ ინვესტორთა კუთვნილი ახალი საწარმოების შექმნა საქართველოში.

ამრიგად, საქართველოში სამამულო წარმოების სფეროში ინვესტიციების მოზიდვის ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ აღნიშნულ დარგში ინვესტიციების მოზიდვის შესაძრევად გადიდებისათვის საჭიროა გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

1. მინიმუმდე შემცირდეს ბიუროკრატიზმი;
2. გამჭვირვალე, გასაგები და სტაბილური გახდეს საგადასახადო სისტემა;

3. სრულყოფილი გახდეს საინვესტიციო საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზა და აღდგეს ნდობა სამართალდამცავი სტრუქტურების მიმართ;

4. საინვესტიციო რისკის შემცირების მიზნით, კერძო სექტორში დაბან-დებული კაპიტალის გარანტად გამოვიდნენ კერძო სადაზღვევო კომპანიები და ა. შ.

გიული ქველასვილი **ინვესტიციების შუახსახის მეთოდები**

გლობალიზაციის პროცესი შეუქცევადად მიმდინარეობს. კონკურენციულ ბრძოლაში იმარჯვებენ საუკეთესო კომპანიები, ისინი, რომლებიც მუდმივად იცვლებიან და ახლდებიან, რომლებიც მხარს უჭერენ სწავლებას, რომლებშიც მართვის იერარქიული სტრუქტურები გზას ხსნიან ჰორიზონტალური სტრუქტურებისაკენ, რომლებშიც გუნდები მართავენ პროდუქციის წარმოების პროცესებს და აუმჯობესებენ მართვის სისტემებს. რადგან ეკონომიკური სისტემის ეფექტიანობა უკავშირდება მის განვითარებას, სწორი საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღების უნარი ქართულ კომპანიათა გადარჩენისა და წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა. არსებობს ინვესტიციების შეფასების რამდენიმე მეთოდი, რომელთაგან თითოეული იძლევა რაღაც საზომ ერთეულს, რომლის საშუალებითაც ხდება სხვადასხვა ინვესტიციის ერთმანეთთან შედარება. ძირითადი სირთულე კი მომავალი ფულადი ნაკადების გამოთვლაში მდგომარეობს: როცა გაანგარიშება მოიცავს რამდენიმე წელს, შეიძლება წარმოიქმნას უზუსტობა, რის შედეგადაც ინვესტიციას რისკის მაღალი დონე ექნება. განვიხილოთ ინვესტიციების შეფასების რამდენიმე მეთოდი.

1. **ამოგების პერიოდი.** ამოგების პერიოდით იანგარიშება იმ დროის ხანგრძლივობა, რაც ინვესტიციას ესაჭიროება თავისი თავის გამოსასყიდად. ეს მეთოდი ადვილია გამოსაყენებლად და საშუალებას იძლევა, შეირჩეს ის პროექტი, რომელშიც ინვესტიცია ნაკლებად დაექვემდებარება რისკებს, მაგრამ იგნორირება უკეთდება იმ ფულად ნაკადებს, რომელთაც ადვილი ექნებოდა ამოგების პერიოდის შემდგომ წლებში. მართალია, ეს მეთოდი ინვესტიციის შეფასების ძალზე უხეში მეთოდია, მაგრამ მაინც ფართოდ გამოიყენება. განვიხილავთ ორ საინვესტიციო პროექტს, რომელთაგან პირველი პროექტის ამოგება ხდება მეორე წლის ბოლოს, მეორე პროექტი კი ვერ ანაზღაურებს ინვესტიციას მესამე წლის ბოლომდე. აღნიშნული კრიტერიუმის მიხედვით, პირველი პროექტი უმჯობესია, თუმცა ჯამური მოგება მეორე პროექტს აქვს მეტი.

პროექტი 1

პროექტი 2

დანახარჯები	(100 000) ლარი	(150 000) ლარი
წმინდა ეკონომია წლების მიხედვით		
1	50 000 ლარი	20 000 ლარი
2	50 000 ლარი	70 000 ლარი
3	50 000 ლარი	70 000 ლარი
4	50 000 ლარი	70 000 ლარი
5	0 ლარი	70 00 ლარი

2. ინვესტიციების უკუგების კოეფიციენტი (ROI). ROI-ს გამოსათვლელად გამოიყენება ფორმულა: **ROI=საშ.მოგება/საშ.ინვესტიცია×100**
 განვიხილავთ ორ პროექტს, რომელთა ფულადი ნაკადებია:

	პროექტი 1	პროექტი 2
საწყისი ინვესტიცია	180 000 ლარი	220 000 ლარი
5 წლის შემდეგ	20 000 ლარი	30 000 ლარი
	წმინდა მოგება	
წელი 1	5 000 ლარი	0 ლარი
წელი 2	20 000 ლარი	40 000 ლარი
წელი 3	25 000 ლარი	40 000 ლარი
წელი 4	25 000 ლარი	40 000 ლარი
წელი 5	25 000 ლარი	40 000 ლარი
ჯამი	100 000 ლარი	160 000 ლარი.

I პროექტისათვის საშუალო მოგება ტოლია $100\ 000/5=20\ 000$ ლარის. II პროექტისათვის კი – $160\ 000/5=32\ 000$ ლარის. შემდეგ გაიანგარიშება საშუალო ინვესტიცია.

I პროექტისათვის საშუალო ინვესტიცია $\frac{(180000 + 20000)}{2} = 100000$ ლარს, II პროექტისათვის $\frac{(220000 + 30000)}{2} = 125000$ ლარს, ამის შემდეგ ორივე პროექტისათვის

ცალ-ცალკე გაიანგარიშება ROI. I პროექტის $ROI = \frac{20000}{100000} \times 100 = 20\%$; II

პროექტის $ROI = \frac{32000}{125000} \times 100 = 25.6\%$. ქვემოთ მოყვანილი პროექტების

შედარებიდან ცხადი ხდება, რომ ინვესტირება უმჯობესია მეორე პროექტში. **ROI** ადვილი გამოსათვლელია, მაგრამ იგნორირებას უკეთებს დროის იმ სკალას, რომლის განმავლობაშიც მისაღებია ფული. გასათვალისწინებელია, რომ ადრეული შემოსავლები ნაკლებად ექვემდებარება რისკს და შეიძლება რეინვესტირებულ იქნეს მაშინ, როდესაც გვიანი შემოსავლები ინფლაციის გავლენას განიცდის. აღნიშნული ხარვეზი აღმოფხვრილია ფულადი ნაკადების დისკონტირების მეთოდებში.

3. დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდები. ამ მეთოდების გამოყენების დროს მენეჯერი მხედველობაში იღებს ფულის დროით ღირებულებას. განვიხილოთ ორი მათგანი: პროექტის წმინდა მიმდინარე ღირებულება (**NPV**) და უკუგების შიდა განაკვეთი (**IRR**). **წმინდა მიმდინარე ღირებულება – NPV** ანგარიშობს მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას საწყისი დანახარჯების გამოკლებით. თუ აღმოჩნდა, რომ **NPV < 0**, პროექტი წამგებიანია და არ უნდა იქნეს განხილული, ხოლო თუ **NPV > 0** ან **0**-ს, მაშინ პროექტი განხილვას ექვემდებარება. ალტერნატიული პროექტების შეფასებისას კი უპირატესობა მიეცემა იმას, რომლის **NPV** –ც მეტია. **უკუგების შიდა განაკვეთი IRR** – განსაზღვრავს უკუგების ნორმას, რომლისთვისაც წმინდა მიმდინარე ღირებულება 0-ის ტოლია. თუ საინვესტიციო პროექტის **IRR** მეტია კომპანიის მიერ მოთხოვნილ ნორმაზე (კომპანიის კაპიტალის ღირებულება), მაშინ პროექტი მისაღებია. ე.ი. უნდა განისაზღვროს ის საპროცენტო განაკვეთი, რომელზეც პროექტი არ იქნება არც ზარალიანი და არც მომგებიანი. მისი გაანგარიშება შესაძლებელია როგორც გრაფიკულად, ისე ფორმულის საშუალებით. თუ დისკონტირების სხვადასხვა განაკვეთისათვის გავიანგარიშებთ **NPV**-ს მნიშვნელობებს და მიღებულ შედეგებს გადავიტანთ საკოორდინატო სისტემის **Y** ღერძზე, ხოლო **X** ღერძზე დისკონტირების განაკვეთების შესაბამის მნიშვნელობებს, მათი კვეთის წერტილების შემაერთებელი წრფის გადაკვეთა **X** ღერძთან მოგვცემს **IRR**-ს. უფრო მეტი სიზუსტისათვის მოსახერხებელია შემდეგი ფორმულის გამოყენება [**ACCA სახელმძღვანელო, ფინანსური ინფორმაცია მენეჯერებისათვის, თბ., 2003, გვ. 393**]:

$$IRR = A + \frac{N\alpha}{Na - Nb} \times (B - A) \quad \text{სადაც,}$$

A – დისკონტირების დაბალი საპროცენტო განაკვეთია;

B – დისკონტირების მაღალი საპროცენტო განაკვეთი;

Na – წმინდა მიმდინარე ღირებულება დაბალი საპროცენტო განაკვეთისათვის;

Nb – წმინდა მიმდინარე ღირებულება მაღალი საპროცენტო განაკვეთისთვის.

როდესაც კომპანიამ არჩევანი უნდა გააკეთოს რამდენიმე შეთავაზებულ საინვესტიციო პროექტს შორის, ის პროექტს მიიღებს ან უარყოფს იმის მიხედვით, თუ როგორია წმინდა მიმდინარე ღირებულება ან უკუგების შიდა განაკვეთი. განვიხილოთ მაგალითი:

სამწლიანი საინვესტიციო პროექტის მოსალოდნელი ფულადი ნაკადებია

წელი	ფულადი ნაკადი (ლარი)
0	(142700)
1	51000
2	62000
3	73000

ჩვენს წინაშე დგას ამოცანა: გაანგარიშდეს დისკონტირების 10%-იანი და 20%-იანი განაკვეთების შემთხვევაში პროექტის წმინდა მიმდინარე ღირებულება (NPV), უკუგების შიდა განაკვეთი (IRR) და მიღებულ იქნეს საინვესტიციო გადაწყვეტილება პროექტის შერჩევის შესახებ. ცხადია, 0%-იანი დისკონტირების კოეფიციენტი შესწორებას არ საჭიროებს, ხოლო 10%-ისა და 20%-ის შესაბამისი დისკონტირების კოეფიციენტები შეიძლება შეირჩეს დისკონტირების ცხრილიდან, რომელთა გათვალისწინებით, ჩანაწერი მიიღებს ცხრილი 1-ის სახეს.

$$IRR = A + \frac{N\alpha}{Na - Nb} \times (B - A) \text{ ფორმულის გამოყენებით 0-დან 10\%-მდე}$$

დისკონტირების შემთხვევაში

$$IRR = 0 + \frac{43300}{43300 - 9694} \times (10 - 0) = 1.4 \times 10 = 14\% \text{ . 10-დან 20\%-მდე}$$


დისკონტირების შემთხვევაში

$$IRR = 10 + \frac{9694}{9694 + 14922} \times (20 - 10) = 10 + 3.9 = 13.9\%$$

გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ აღნიშნული საინვესტიციო პროექტი მომგებიანია 14%-იან განაკვეთამდე, 14%-ზე NPV=0-ს, ხოლო 14%-ის ზევით არის წამგებიანი (იხ. ნახ.1).

ცხრილი 1

წელი	0% ფულადი ნაკადი (ლარი)	10% დისკონტირების კოეფიციენტი	ფულის ნაკადი (ლარი)	20% დისკონტირების კოეფიციენტი	ფულის ნაკადი (ლარი)
0	-142700	1.000	142700	1.000	-142700
1	51000	0.909	46359	0.833	42483
2	62000	0.826	51212	0.694	43028
3	73000	0.751	54823	0.579	42267
NPV(ლარი)	+43300		+9694		-14922



ნახ. 1. წმინდა მიმდინარე ღირებულების (NPV) უკუგების შიდა განაკვეთზე (IRR) დამოკიდებულების გრაფიკი

გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ საინვესტიციო პროექტი მომგებიანია 10%-იანი დისკონტირების შემთხვევაში. რადგან ამ საპროცენტო განაკვეთზე მისი წმინდა მიმდინარე ღირებულება 9694 ლარის ტოლია, ეს განაკვეთი მენეჯერისთვის მისაღები უნდა იყოს და აღნიშნული პროექტი შეირჩეს. რაც შეეხება 20%-იან განაკვეთს, იგი მენეჯერისთვის მიუღებელია, რადგან წმინდა მიმდინარე ღირებულება – NPV აღნიშნულ საპროცენტო განაკვეთზე -14922 ლარის ტოლი აღმოჩნდა, რაც დაადასტურა IRR-ის გაანგარიშებამაც (14%).

ჩვენ გავაანალიზეთ ინვესტიციების შეფასების მეთოდები გრაფიკული და ინტერპოლაციური ხერხებით და დავსახეთ ღონისძიებანი მენეჯერის პასუხისმგებლობის გაზრდისათვის ამ თვალსაზრისით. ცხადია, აღნიშნული მეთოდების გამოყენება მენეჯერს სწორი საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარება. შერჩევის მექანიზმი და კრიტერიუმები პრიორიტეტების შესაბამისად რესურსების გადანაწილების საშუალებას მისცემს, ხოლო ყველა პროექტის

ერთ სტრატეგიულ მიმართულებად გაერთიანება გლობალური კონკურენციის პირობებში კომპანიათა გადარჩენისა და წარმატების საფუძველი გახდება.

*ნუნუ ქისტაური
მედია მელაშვილი*

ინოვაციური პოლიტიკის ძირითადი პრობლემები თანამედროვე ეტაპზე

1. საბაზრო ეკონომიკის პირობებში საქართველოში ინოვაციური საქმიანობა განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. აქ მეტად მნიშვნელოვანია საწარმოთა ინოვაციური პოლიტიკა, რაც ინოვაციების ძიება-დამუშავება-დანერგვა-ათვისების შესაძლებლობას იძლევა.

ინოვაციები ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას უნდა უზრუნველყოფდეს, რათა განხორციელდეს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების თანამედროვე მიღწევების წარმოებაში დანერგვა და ახალი ან განახლებული საქონლისა თუ მომსახურების ბაზარზე გატანა.

2. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ინოვაცია წარმოადგენს ინოვაციური საქმიანობის საბოლოო შედეგს, რომელიც ბაზარზე ახალი საქონლის, მომსახურების ან ტექნოლოგიის სახით მოგვევლინება. ინოვაციური პროცესი კი სიახლის ათვისებასა და გავრცელებას გულისხმობს.

უცხოელი მეკლევარების მიხედვით, თანამედროვე მარკეტინგის თეორია ინოვაციურ მექანიზმზე უფრო მეტადაა დამოკიდებული, ვიდრე ფასების მექანიზმზე.

ინოვაცია წარმოებაში დანერგილი სიახლეა (ჩატარებული სამეცნიერო კვლევების ან აღმოჩენის საფუძველზე), რომელიც განსხვავებულია არსებულისაგან როგორც ტექნოლოგიური დონით, ასევე საქონლის ან მომსახურების სამომხმარებლო ხარისხით. ე.ი. გაუმჯობესებულია ხარისხობრივად, სწრაფად ინერგება წარმოებაში და მოგების მომტანია.

სიახლე შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ღია პატენტი, სასაქონლო ნიშანი, რაციონალური წინადადება და სხვა.

სამამულო ფირმებმა უნდა გააღიღონ თავიანთი ხვედრითი წილი სიახლეზე და მოახდინონ ინოვაციათა რეალიზება, რაც მათ მოცემულ სფეროში მონოპოლიის ადებისა და საკუთარი ინოვაციური პოლიტიკის შეთავაზების საშუალებას მისცემს.

3. განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში ინოვაციური საქმიანობის რეგულირებასა და სტიმულირებას ახორციელებს სახელმწიფო ეროვნული კვლევითი პროგრამების მიხედვით. ამ პროგრამებში სახელმწიფოს, კორპორაციების და ფირმების მონაწილეობა ნებაყოფლობითია. ამასთან, თითოეულ მონაწილეს საკუთარი ინტერესები გააჩნია.

ასეთ პროგრამებს ეფექტიანად იყენებს იაპონია. აქ მთავრობა საერთო ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელ და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლების აუცილებელ საშუალებად მიიხსენებს სამეცნიერო-ტექნიკურ პოლიტიკას. ვინაიდან მას საკუთარი ბუნებრივი რესურსების მცირე რაოდენობა გააჩნია. ჩვენმა ქვეყანამ უნდა მიბაძოს იაპონიის გამოცდილებას და საკუთარი პოლიტიკის კონცენტრირება განახორციელოს ისეთი პროექტის ექსპორტზე, რომელიც სამეცნიერო პროდუქციის სფეროში ლიდერობს.

4. საქართველოში ჩასახვის სტადიაში მყოფი მცირე მეწარმეობა, ინოვაციური ხასიათის გამო, გაზრდილი რისკის პირობებში ყალიბდება. ამიტომ აქ აუცილებელია მეცნიერული მიდგომა. გარდა ამისა საჭიროა სახელმწიფოსაგან განსაკუთრებული დახმარება. ჩვენმა ფირმებმა უნდა შეიმუშაონ საკუთარი ახალი ტექნოლოგიები. საყოველთაოდ ცნობილია, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, ე.ი. თუ ფირმა გარე წყაროებიდან იღებს ტექნოლოგიებს და არ შეიმუშავებს საკუთარ ტექნოლოგიებს, იგი ინოვაციურ პროცესებს ჩამორჩება.

5. აუცილებელია აქტიური ინოვაციური პოლიტიკის გატარება. მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოვლენილი წარმოებისა და მომხმარებლის პოტენციური შესაძლებლობები. საწარმოსათვის უპირველესი ორიენტირია მომხმარებლის მოთხოვნები.

აუცილებელია ინოვაციური პროცესების სახელმწიფო რეგულირება. სახელმწიფომ უნდა დაიცვას მეწარმეობა, საკუთრება და პირადი თავისუფლება.

6. თანამედროვე ეტაპზე, სიახლეთა სტიმულირების მიზნით, უნდა გაიზარდოს ინოვაციური პოლიტიკის როლი. საბაზრო ურთიერთობათა ჩამოყალიბების პროცესი მოითხოვს მნიშვნელოვან სტრუქტურულ ცვლილებებს, რაც შესაძლებელია მხოლოდ სამეცნიერო პოტენციალის სათანადო გამოყენებით.

7. საქართველოში ინოვაციური პოტენციალის განვითარებისათვის აუცილებელია ინოვაციური პოლიტიკის განხორციელება შემდეგი მიმართულებებით:

- უწინარეს ყოვლისა, უნდა შეიქმნას ინოვაციური პროცესის სამართლებრივი ბაზა (საავტორო უფლებისა და ინტელექტუალური ფასეულობების დაცვის მიზნით);
- ჩამოყალიბდეს ინოვაციური ინფრასტრუქტურა;
- შეიქმნას მეცნიერებისა და ინოვაციების ფონდი;
- განხორციელდეს ეკონომიკის ყველა დარგში, წარმოებისა და მომსახურების სფეროში სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის რესტრუქტურისაცია;
- მოხდეს ინოვაციური პროცესის ინსტიტუციური უზრუნველყოფა;
- შედგეს თანამშრომლობა სამამულო საწარმოებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს შორის (ინოვაციური საქმიანობის სტიმულირების მიზნით);

- სახელმწიფომ უნდა განახორციელოს შეღავათიანი კრედიტების გაცემა და შეღავათიანი გადასახადების დაწესება. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, მოახდინოს მათი მიზნობრივი სუბსიდირება.

8. სამამულო საწარმოთათვის უნდა განხორციელდეს მარკეტინგული კვლევები, რათა დადგინდეს და შეფასდეს მათი კონკურენტული უპირატესობები. გარდა ამისა, განისაზღვროს არსებული საქონლის განახლების, წარმოებიდან მოხსნის, ინოვაციური საქონლის ან მომსახურების დამუშავების საკითხი.

9. ჩვენს ქვეყანაში წარმოებული ინოვაციური საქონლისა და მომსახურების ადგილობრივ ბაზარზე წარმატების გარანტიის უზრუნველსაყოფად საჭიროა მარკეტინგული კვლევების განხორციელება მიზნობრივი ბაზრის სწორად შესარჩევად.

კვა ჩოხელი

ბიზნესში სტრატეგიული დაგეგმვის მნიშვნელობა

ბიზნესის განხორციელების დროს პრაქტიკულად ყველა კომპანიაა დაკავებული გრძელვადიანი დაგეგმვით. თანამედროვე ეტაპზე გრძელვადიანი დაგეგმვაში ჩვეულებრივ გულისხმობენ სტრატეგიულ დაგეგმვას, რომელიც წარმოადგენს ნებისმიერი ბიზნესის განვითარების საძირკველს. იბადება კითხვა, რამდენად ეფექტურია სტრატეგიული დაგეგმვის გამოყენება წარმატების მიღწევაში. კომპანიების საქმიანობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ სტრატეგიული დაგეგმვის დროს გადაუჭრელ პრობლემად რჩება ის, რომ იგი ან ცუდადაა მოფიქრებული ან ცუდადაა ორგანიზებული. კარგად შედგენილ სტრატეგიულ დაგეგმვას კომპანიისთვის სწრაფად მოაქვს წარმატებები, ხოლო ცუდად შედგენილს – დამატებითი დანაკარგები ან, მეტიც, ბიზნესის განვითარების შეფერხება.

ზოგადად, სტრატეგიული დაგეგმვა საშუალებას იძლევა, განისაზღვროს კომპანიის განვითარების მომავალი კურსი. იმისათვის, რომ გაირკვეს როგორი მიმართულებით მოძრაობს კომპანია, აუცილებელია დადგინდეს სად იმყოფება იგი მოცემულ მომენტში, საით აპირებს მოძრაობას და როგორ სურს მისი მიღწევა.

წარმატებული სტრატეგიის დაგეგმვის ერთ-ერთ შემადგენელს წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე მდგომარეობის, ასევე მომავალი განვითარების შესაძლებლობების სტრატეგიული ანალიზი. ანალიზის დროს აქცენტი უნდა კეთდებოდეს, როგორც კომპანიის შიდა მდგომარეობაზე, ასევე გარე გარემოზე, ახალი სტრატეგიის ყველა შესაძლებლობისა და საფრთხის იდენტიფიცირება რომ მოხდეს. სიტუაციური ანალიზის დროს ფასდება ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: ბაზრები, კონკურენტები, ტექნოლოგიები, მომწოდებლები, შრომითი რესურსების ბაზრები, ეკონომიკა, მარეგულირებელი გარემო; ხოლო

ორგანიზაციის გარემომცველი გარემოს ანალიზის დროს – პოლიტიკური, სოციო-კულტურული, ტექნოლოგიური, ეკონომიკური, ეკოლოგიური, ინსტიტუციური გარემო.

პრაქტიკაში, იმისათვის, რომ განხორციელდეს ბიზნესის გონივრული განვითარება, მნიშვნელოვანია კომპანიის შიდა მდგომარეობის (ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების) ზუსტი ანალიზი. ეს აუცილებელია, სწორი სტრატეგიული დაგეგმვის ჩასატარებლად, რადგან კონკურენტუნარიანი სტრატეგიის შემუშავება საჭიროებს კომპანიის დეტალურ ცოდნას, რომელზეც სრულყოფილ წარმოდგენას იძლევა მხოლოდ კომპანიის შიდა გარემოს დაწვრილებითი ანალიზი. ამიტომაა, რომ კომპანიის ბიზნესის დაგეგმვისა და განვითარების სტრატეგია ყოველთვის არის უნიკალური თითოეული კომპანიისათვის. არ არსებობს შემთხვევა, როცა ერთი კომპანიის ბიზნესის განვითარების სტრატეგია ზუსტად დაემთხვევა მეორე კომპანიის სტრატეგიას, მიუხედავად იმისა, რომ ამ კომპანიებს შეიძლება ჰქონდეთ მსგავსი ბიზნესი, ორგანიზაციული სტრუქტურა და ა.შ. მენეჯერებმა სტრატეგიული ანალიზის შემდეგ უნდა გააკეთონ დასკვნები, დასახონ მიზნები და მოახდინონ მისი მიღწევის საერთო მეთოდების (სტრატეგიების) ფორმირება, რომელზეც არის დამოკიდებული კომპანიის განვითარება, კონკურენტული უპირატესობის შექმნა და წარმატება.

სტრატეგიული დაგეგმვის დასკვნით ეტაპზე ზუსტად უნდა განხორციელდეს “მოქმედებების დაგეგმვა”. ეს ნიშნავს სტრატეგიული მიზნების მიღწევის დეტალური გეგმის შემუშავებას. დაგეგმილი მოქმედებები შედგება მიზნებისა და ამოცანებისგან. ამიტომ, სტრატეგიული მიზნების მიღწევა დაკავშირებულია შუალედური ამოცანების შესრულებასზე. ხშირ შემთხვევაში, თითოეული ამოცანა დაკავშირებულია ტაქტიკურ სვლებთან, რომლებიც, თავის მხრივ, წარმოადგენს სტრატეგიის რეალიზაციის გეგმას. მოქმედებების დაგეგმვა ასევე გულისხმობს პასუხისმგებლობის განაწილებას და თითოეული ამოცანის დროში შესრულებას, საქმიანობის მონიტორინგს და შეფასებას, რომლითაც ორგანიზაცია არკვევს ვინ, რა და როდის შეასრულა.

კომპანიების საქმიანობის პერიოდში მნიშვნელოვანია წლიური გეგმების (მაგ., ოპერაციული გეგმის) შემუშავება, რომელიც მოიცავს სტრატეგიულ მიზნებს, სტრატეგიებს, ამოცანებს, პასუხისმგებლობის განაწილებას და დროის საზღვრებს – რა უნდა გაკეთდეს უახლოეს პერიოდში. როგორც სტრატეგიულ, ასევე ოპერაციულ გეგმაში ასევე მნიშვნელოვანია ბიუჯეტის ზუსტად განსაზღვრა. მასზეა დამოკიდებული ფინანსური სახსრების მოცულობა, რომელიც აუცილებელია რესურსების შექმნისა და წლიური გეგმის რეალიზაციისათვის, ასევე თითოეული დეტალი, როგორ უნდა იყოს გამოყენებული ფული, მაგ., შრომით რესურსებზე, მოწყობილობებზე, მატერიალურ რესურსებზე და ა.შ.

ამრიგად, სტრატეგიული დაგეგმვა საშუალებას იძლევა განისაზღვროს, საით იმობრავებს ორგანიზაცია შემდეგი რამდენიმე წლის განმავლობაში ან

მეტოც, რა ადგილს დაიკავებს მომავალში. სტრატეგიული დაგეგმვა არის დინამიკური პროცესი; იგი წარმოადგენს ცოცხალ ორგანიზმს, რომელიც მუდმივად საჭიროებს ცვლილებებს. ამიტომ, სტრატეგიული გეგმა უნდა იყოს მოქნილი, რომელიც დაექვემდებარება შუალედურ კორექტივებს, რომლის გარეშეც შეუძლებელია ორგანიზაციამ ადაპტირება მოახდინოს ბიზნესში მიმდინარე ცვლილებებზე და სიცოცხლისუნარიანი გახდეს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

გლავი ხიხაძე

აუთსორსინგის არსი, როლი და მნიშვნელობა სამართაშორისო ბიზნესის განვითარებაში

აუთსორსინგი წარმოდგება ინგლისური ტერმინისაგან (**outsourcing – outside resource using**), რაც ქართულად მესამე მხარის მოზიდვას, გარე რესურსების გამოყენებას გულისხმობს ორგანიზაციის შიდა და გარე პრობლემების გადასაწყვეტად. საერთაშორისო ბიზნესის პრაქტიკაში აუთსორსინგი დაკავშირებულია გარე ორგანიზაციების – აუთსორსერების მიერ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ცალკეულ ბიზნეს-პროცესების შესრულებასთან (საწარმოო, სერვისული, საინფორმაციო, ფინანსური, მმართველობითი და სხვა სახით), რომლის განსახორციელებლად აუთსორსერებს განსაკუთრებული რესურსული და ტექნოლოგიური პოტენციალი გააჩნიათ.

მსოფლიოში მიმდინარე მკაცრი კონკურენციის პირობებში, აუთსორსინგი განიხილება, როგორც მაღალეფექტიანი და კონკურენტუნარიანი ორგანიზაციების შექმნის თანამედროვე მეთოდოლოგია, რომელიც XXI საუკუნეში მსოფლიოს სამი ეკონომიკური ცენტრის – აშშ-ს, ევროკავშირის, იაპონიის ეფექტიანი განვითარების საფუძველს წარმოადგენს.

აუთსორსინგმა, როგორც ბიზნესის მეთოდოლოგიამ, გავრცელება დაიწყო საინფორმაციო სისტემებისა და ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად. აუთსორსინგის ეპოქის დასაწყისად XX საუკუნის 60-იანი წლები ითვლება, რადგანაც ამ დროს ჩამოყალიბდა ინფორმაციის ელექტრონული დამუშავების სპეციალიზებული ცენტრების შექმნის პრაქტიკა, რომელიც შესაბამის მომსახურებას უწევდა საშუალო და მცირე ფირმებს, რომლებსაც არ გააჩნდათ სათანადო გამოცდილება და აუცილებელი ტექნიკური საშუალებები. უკვე 1974 წელს გერმანიის სპეციალიზებულმა ცენტრებმა 400 ერთეულს გადააჭარბა და ყოველწლიურმა ბრუნვამ 1.4 მლრდ გერმანული მარკა შეადგინა.

80-იანი წლებიდან საინფორმაციო ტექნოლოგიების აუთსორსინგი მსხვილი კომპანიების საქმიანობის სფეროდ ითვლება. მონაცემთა ელექტრონული დამუშავების დარგში აუთსორსერებსა და კლიენტებს შორის ურთიერთსასარგებლო ურთიერთობების ჩამოყალიბების მაგალითად გამოდგება მრავალწლიანი პარტნიორული კავშირი **EDS-სა და General motors, ან Systemhaus-სა და Drimler**

benz-ს შორის. დღეისათვის საინფორმაციო ტექნოლოგიების დარგში უპირველესი ლიდერია **IBM Global services-ის** კორპორაცია, რომლის ყოველწლიური ბრუნვა 25 მლრდ აღემატება და 110 ათასზე მეტი თანამშრომელი ჰყავს 160 ქვეყანაში.

პრაქტიკული აუტოსორსინგის სათავეები XX საუკუნის 30-იან წლებში მანქანათმშენებლობის ორ უდიდეს მენჯჯერს – ჰენრი ფორდსა და ალფრედ სლოუნს შორის დაპირისპირების პერიოდიდან იწყება, როცა გახდა ცნობილი, რომ არც ერთ ფირმას არ შეეძლო დამოუკიდებელი ყოფილიყო, ამიტომაც ფუნქციების ნაწილი უნდა გადასცემოდა სპეციალიზებულ ფირმებს – დამხმარე საწარმოებს, რომლებიც აწარმოებდნენ მაკომპლექტებელ დეტალებს, ინსტრუმენტებს, ნახევარფაბრიკატებს, ეწეოდნენ მოწყობილობების მომსახურებას, რემონტს და სხვა საქმიანობას. ამგვარი ვიწრო სპეციალიზებული კოოპერაციის მეთოდით კომპანია **General motors-მა** უზრუნველყო ავტომობილების ამერიკული ბაზრის რამდენიმე წლით დაპყრობა და დღემდე **General motors-ი** რჩება ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ გლობალურ კომპანიად, რომლის წარმოების მოცულობამ დიდი ხანია გადააჭარბა 100 მლრდ დოლარს წელიწადში. ნოვაციად ა. სლოუნის პროექტში აუტოსორსინგის მეთოდოლოგია ითვლება, რომელიც მის მიერ 70 წლით ადრე იყო გამოყენებული, ხოლო სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი აუტოსორსინგი 1990 წლიდან გაჩნდა.

XX საუკუნის 70-იანი წლებიდან აუტოსორსინგი საავტომობილო და მანქანათმშენებლობის მრეწველობაში საწარმოო პროცესების ორგანიზების საფუძველი ხდება. თუ კორპორაცია „ფორდი“ დაფუძნების მომენტში 100%-ით მაკომპლექტებელ ნაწილებს დამოუკიდებლად უშვებდა, ამჟამად ინსტრუმენტების 2/3-ს და მომსახურებას უკვეთავს სპეციალიზებულ ფირმებს – აუტოსორსერებს. კომპიუტერული ფირმა **Dell** და **compaq** დიდი ხანია გადავიდნენ 100%-იან საწარმოო აუტოსორსინგზე.

თანამედროვე ეტაპზე აუტოსორსინგის მეთოდოლოგია აისახება ყველა მაღალტექნოლოგიური კომპანიის ორგანიზაციულ გადაწყვეტილებებში, რომელთა არსიც ყველა ბიზნესპროცესის განცალკევებაში მდგომარეობს, რადგანაც აუტოსორსინგის გამოყენების რეზულტატი არის საშუალება ორგანიზაციებისათვის, საკუთარი რესურსები მიმართონ იმ ფუნქციების შესრულებისაკენ, რომლებიც მათ ძლიერ მხარეს წარმოადგენენ და შეუძლიათ გააკეთონ სხვაზე უკეთ, ხოლო გარეშე შემსრულებელ აუტოსორსერებს იმ ფუნქციების შესრულება დაავალონ, რომლის შესრულებაც მათ შეუძლიათ უკეთესად, დროულად და ხარისხიანად.

აუტოსორსინგის მიზანი – წამყვანი ბიზნესტექნოლოგიების და ნოუ-ჰაუს გამოყენებაა კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად გამწვავებულ კონკურენტულ ბრძოლაში. აუტოსორსინგი ეხმარება ორგანიზაციებს ბიზნეს-ურთიერთობების სისტემის აშენებაში და თავის თავზე იღებს საქმიანობის ცალკეული სახეობების შესრულებას გრძელვადიანი შეთანხმებების გაფორ-

მების საფუძველზე. ამით ორგანიზაციას შეუძლია თავისთან შეკრიბოს მეცნიერების, ტექნიკის და ტექნოლოგიების დარგში უახლესი მიღწევები, რითაც უზრუნველყოფს მომხმარებლის მოლოდინის მაქსიმალურ დაკმაყოფილებას და საწარმოს საქმიანობის შესაბამისობას ბაზრის მოთხოვნებთან.

ბოლო ათწლეულების მანძილზე აუთსორსინგის მძლავრმა ტალღამ თითქმის ყველა ორგანიზაციას გადაუარა. სხვადასხვა ქვეყნების სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციები აქტიურად იყენებენ პრინციპს „მომარაგება გარედან“ საქმიანობის იმ მრავალ ფუნქციებსა და სახეებზე, რომლებსაც თვითონ ფირმები ასრულებდნენ. აუთსორსინგი მენეჯერებს საშუალებას აძლევს, განსაზღვრონ საქმიანობის რომელი სახეობებია მათთვის სტრატეგიული ან კრიტიკული და შეიძლება თუ არა მათი ფირმის შიგნით დატოვება, რომელი შეიძლება შეიძინო გარეთ ფართო მოხმარების საქონლის მსგავსად.

ლოგისტიკის სფეროში აუთსორსინგის ზრდას ტრანსპორტირებაზე სახელმწიფო კონტროლის გაუქმებით, საქმიანობის სახეობებზე აქცენტით, მატერიალური მარაგების შემცირებით და კომპიუტერული პროგრამების მიმართ მოთხოვნის გაზრდით ხსნიან, რომლებიც ლოგისტიკური სისტემებით იმართება. იმ კომპანიებმა, რომლებიც სატრანსპორტო მომსახურებას ახორციელებენ, მესამე მხარისათვის დაიწყეს ლოგისტიკის ელემენტების გადაცემა – დაწყებული ცვლილების შეტანიდან საქონლის გადაადგილებაში, დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციების და სატრანსპორტო კომპლექსის ნაწილობრივი ან მთლიანი მართვით დამთავრებული. ლოგისტიკურ კომპანიებს გააჩნიათ თვალთვალის კომპლექსური კომპიუტერული მეთოდი, რომელიც ამცირებს ტრანსპორტირების რისკს და ამადლებს ფრიმის პრესტიჟს, რაც შეუძლებელი იქნებოდა, მოცემული ფუნქცია თვითონ ფირმას რომ შეესრულებინა.

აუთსორსინგის გამოჩენილი სპეციალისტის ჯ.ბ. ხეივუდის აზრით, ზოგიერთ ქვეყანაში მეწარმეებს ჯერ კიდევ შეუძლიათ თავინთი გეგმები დასახონ ნედლეულისა და იაფი მუშახელის მიღწევადობაზე იმედის დამყარებით. ასეთ სიტუაციაში შეიძლება თავიდან სათანადო ყურადღება არ მიაქციო ხარჯების შემცირებასა და ხარისხის ამადლებას, თუმცა უმეტეს განვითარებულ ქვეყნებში ძირითადად კონკურენტული უპირატესობა მიიღწევა ცოდნის, შესადლებლობებისა და შემოქმედებითი გადაწყვეტილებების საფუძველზე. როგორც ადასტურებს ჯ.ბ. ხეივუდი, ამ უპირატესობათაგან ყველა არ არის მუდმივი, იმდენად, რამდენადაც თანამედროვე ტექნოლოგიების წყალობით ახალი ცოდნა და შესადლებლობა საკმაოდ სწრაფად ვრცელდება კონკურენტებს შორის.

აუთსორსინგი მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტენდენციების მთავარი პროდუქტია, რომელიც არის ორგანიზაციის მართვის მეთოდოლოგიის ადაპტაცია ბაზრის პირობების მიმართ, იგი ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს, უცბად შევიდეს ახალ ბიზნესში გარე სამყაროს ყველა ახალი საშუალების გამოყენებით, მათ შორის ცალკეულ შემთხვევებში კონკურენტების რესურსების გამოყენებითაც.

საინფორმაციო მომსახურების მოცულობის გაზრდის ტენდენციების გათვალისწინებით, აუთსორსინგის მსოფილო ბაზარი პირობითად გაყოფილია ორ ძირითად სეგმენტად:

- 1) საინფორმაციო ტექნოლოგიების აუთსორსინგი (ITO)
- 2) ბიზნესპროცესების აუთსორსინგი (BPO)

საინფორმაციო ტექნოლოგიების აუთსორსინგი მომსახურების სხვადასხვა სახეობებს მოიცავს, რომლებიც წარმოდგენილია სპეციალიზებული ფირმების ორგანიზებით: პროგრამული უზრუნველყოფისა და მონაცემთა ბაზის დამუშავება, დაგეგმარება და სისტემური ინტეგრაცია, კონსალტინგი ელექტრონული ბიზნესის სფეროში, კომპიუტერული ქსელების თანხლება და მომსახურება, ინტერნეტმომსახურება და სხვა. საინფორმაციო ტექნოლოგიების აუთსორსინგის ძირითადი მიზეზი იყო და დარჩება მონაცემთა ელექტრონული დამუშავების მაღალი ღირებულება, ერთიანი საერთაშორისო სტანდარტები, მოთხოვნათა გაზრდა ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, კომერციული ოპერაციების ჩატარების პრაქტიკა ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით. საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება ახალ საშუალებებს სთავაზობს ორგანიზაციებს საქმიანობის ეფექტიანობისა და მისი კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად, ხოლო საქმიანობის დიდ არეალს ქმნიან კომპანია აუთსორსინგისათვის. აუთსორსინგის გამოყენების მოცულობა საინფორმაციო სისტემებში მსოფლიო მასშტაბით ყოველწლიურად შეფასებულია 50 მლრდ დოლარად.

ბიზნესპროცესების აუთსორსინგი ისევ და ისევ რჩება, „მომავალი“ აუთსორსინგის ერთ-ერთ ძირითად სფეროდ, გამომდინარე იმ აუცილებლობიდან, რომ შეკრიბოს ძირითადი რესურსები და თანამედროვე ტექნოლოგიები იმ საკვანძო მიმართულებების გასაძლიერებლად, რაც ორგანიზაციის საქმიანობის საფუძველს წარმოადგენს. ბიზნეს-პროცესების გადაცემა გარეშე პარტნიორებისათვის გარკვეულწილად შესაბამის რისკთან არის დაკავშირებული, მაგრამ პარტნიორული ურთიერთობების აწყობა გრძელვადიანი კონტრაქტების საფუძველზე გარანტიას იძლევა ნდობის, უსაფრთხოების და მხარეთა პასუხისმგებლობის აუცილებელ ამაღლებაზე, რაც აუთსორსინგის პროექტის მთავარი შემადგენელია.

ბიზნესპროცესების აუთსორსინგი საშუალებას იძლევა გამოვიყენოთ ყველაზე მაღალი დონის უახლესი საწარმოო პროცესები და ტექნოლოგიები, რომლებიც უზრუნველყოფენ ორგანიზაციის მიერ დასახული მიზნების მიღწევას უმოკლეს ვადებში და მინიმალური ხარჯებით. ამავე დროს უნდა აღვნიშნოთ, რომ აუთსორსინგის პროექტისაგან მოსალოდნელი შედეგების მიღწევა პირდაპირ დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად აქტიურად არის ჩართული ორივე მხარე დამატებითი ღირებულების შექმნის პროცესში. ასეთი რეზულტატები უპირველესად აისახება ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და განვითარების პერსპექტივის უზრუნველყოფაში. ბიზნესპროცესების აუთსორ-

სინგი მიეკუთვნება სტრატეგიული ხასიათის დავალებებს და შეუძლია პრინციპულად შეცვალოს ორგანიზაციის მომავალი, რომელიც ურთიერთობებს აწყობს თავის პარტნიორებთან გრძელვადიან პერსპექტივაში. აუთსორსინგის იდეების განვითარებას მიეყვართ ახალი ტიპის ორგანიზაციების შექმნისაკენ – ვირტუალური და ახალი ტიპის საწარმოო ურთიერთობების ფორმირებისაკენ, რომელიც ჰარმონიულად ეწყობა საერთაშორისო ბიზნესის განვითარების გლობალურ პროცესებს.

შემოთავაზებული ნაშრომი მიზნად ისახავს, რომ ქართულმა ფირმებმა გაათვითცნობიერონ აუთსორსინგის გამოყენების ობიექტური აუცილებლობა, მისი მიღწევები და შესაძლებლობები, რადგან ამდღედეს ეროვნული წარმოების იმიჯი, რაც ნებისმიერი ქვეყნის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამჯერად ქართული პროდუქცია კონკურენტუნარიანა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე უცხოურ ბაზრებზე, რადგანაც უჭირს საერთაშორისო სტანდარტებით წარმოებული უცხოური პროდუქციისათვის კონკურენციის გაწევა. ამ ფონზე მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ მაქსიმალურად გამოვიყენოთ XXI საუკუნის ბიზნესის მეთოდოლოგია – აუთსორსინგი, რათა ამდღედეს ქართული პროდუქციის ხარისხი და კონკურენტუნარიანობა, რის საფუძველზეც ჩვენმა ქვეყანამ ღირსეული ადგილი უნდა დაიმკვიდროს შრომის საერთაშორისო დანაწილებასა და მსოფლიო თანამეგობრობაში.

სექტორული ეკონომიკის სექცია

ვახტანგ ბურდული

დასაქმების ზრდის რეალიზაციის რეგიონული შაბლონების ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფა მსოფლიოს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით

1. თანამედროვე მსოფლიო საფინანსო-ეკონომიკურ კრიზისის გააჩნია უფრო ღრმა ხასიათი, ვიდრე ნებისმიერ ომის შემდგომ (მხედველობაშია მეორე მსოფლიო ომი) რეცესიას. მის ძირითად გამომწვევ მიზეზად გახდა ეკონომიკის საფინანსო და რეალურ სექტორებს შორის ურთიერთობებში შეუსაბამობის თანდათანობითი ზრდა, რომელსაც თან მოჰყვებოდა დაყოვნებები (შეგვიანება) წარმოების ინსტიტუციურ და დარგობრივ რესტრუქტურიაში (როგორც საფინანსო, ასევე რეალურ სექტორში), რომლის მუდმივი თანდათანობითი მსვლელობა განპირობებულია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვით. ხსენებული ნაკლოვანებების დაგროვება ბოლოს და ბოლოს გამოაშკარავდა და გამოიწვია საფინანსო-ეკონომიკური კრიზისი, რომელიც გლობალიზებული ეკონომიკის პირობებში ამა თუ იმ ზომით გააგრძელდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ამ პირობებში მიზანშეწონილი რესტრუქ-

ტურიზაციის პროცესის შეგვიანებამ (რომლის კოორდინაციას და ნაწილობრივ დაფინანსებას ახორციელებს მრავალი ქვეყნის მთავრობა) გამოიწვია უმუშევრობის მკვეთრი ზრდა, ეს მაშინ, როდესაც შრომის და ტექნოლოგიების მწარმოებლურობის თანამედროვე დონე, წარმოების ინსტიტუციური და ტექნოლოგიური სტრუქტურების თანამედროვე გონივრულად გააზრებული ორგანიზაციის (გადანაწილების პროცესის კოორდინაციის ჩათვლით) პირობებში, მისი მინიმუმამდე დაყვანის შესაძლებლობას, ასევე იძლევა ბუნებრივი გარემოს ეკოლოგიურ დაცვაზე მიმართული ხარჯების ზრდის შესაძლებლობას იძლევა, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს დასაქმების ზრდას. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად აშშ-ში, შემუშავებულია კრიზისის დაძლევის პროგრამები და უკვე შეიმჩნევა კრიზისული მდგომარეობიდან თანდათანობითი გამოსვლის ტენდენციები.

საქართველოს, ასევე ზოგიერთ სხვა მცირე ქვეყანას (თუმცა არის ბევრი გამონაკლისიც), მსოფლიოში მიმდინარე საფინანსო-ეკონომიკური კრიზისი შეეხო უფრო ნაკლებად, ვიდრე მრავალ სხვა ქვეყანას რიგი მიზეზის გამო (განვითარებული ქვეყნების დახმარება, სოფლად მობინადრეების მაღალი პროცენტი, ტრანსფორმაციული პერიოდის დაწყების დროიდან ბევრი საწარმოს უფრო ადრინდელ პერიოდში სხვადასხვა მიზეზის გამო დახურვა (მომუშავეები ან ემიგრაციაში იმყოფებიან, ან სამუშაოდ საქმიანობის სხვა სფეროებში გადავიდნენ, ან უმუშევრად რჩებიან, რომელთა რაოდენობა კრიზისის დაწყებამდე დაახლოებით 13% შეადგენდა) და სხვა). მაგრამ მისი გავლენა აისახა როგორც საფინანსო სფეროში (მაგალითად, ბანკებში ბევრმა მომუშავემ დაკარგა ადგილი), ასევე რეალურ სექტორში, კერძოდ, ზოგიერთ დარგში, სადაც წინა წლებში შეიმჩნეოდა ეკონომიკური კონიუნქტურის მნიშვნელოვანი გამოცოცხლება (მაგალითად, მშენებლობაში). ინვესტირების სიფრთხილემ საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის და, გარკვეულწილად, აგვისტოს ომის გამო, გავლენა მოახდინა ახალი რეალური სექტორის წარმოებების შესაქმნელად მიმართული უცხოური ინვესტიციების მოდინების შემცირებაზეც. მაგრამ უკვე არსებობს წინამძღვრები ამ მიმართულებით სიტუაციის გაუმჯობესებისათვის.

ქვეყნის ეკონომიკაზე მსოფლიო საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის უფრო სერიოზული ნეგატიური გავლენის თავიდან აცილების, უმუშევრობის სფეროში მისი შედეგების დაძლევისა და დასაქმების მაქსიმალური დონის მისაღწევად პირობების უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა ეკონომიკის საფინანსო და რეალური სექტორის ინსტიტუციური და ტექნოლოგიური ორგანიზაციის თანამედროვე პირობებისადმი შესატყვისი სრულყოფა როგორც ქვეყნის დონეზე, ასევე მის რეგიონებში.

2. მაშასადამე, საბაზრო კონკურენცია წარმოადგენს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მამოძრავებელ ძალას, რომლის მიღწევების წარმოებაში დანერგვის შედეგად იზრდება ტექნოლოგიების მწარმოებლურობა და შრომის ნაყოფიერება, ვითარდება რესურსდამზოვი ტექნოლოგიები. ამ პროცესის

მსვლელობა იწვევს წარმოების თანდათანობით რესტრუქტურისაციას, ესე იგი თანაფარდობის (პროპორციების) ცვლილებას მრეწველობას, მშენებლობას, სოფლის მეურნეობას, მომსახურებას (მათ შორის წარმოებული გრძელვადიანი გამოყენების ნაკეთობების რეაბილიტაციას), მეცნიერულ-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო შემუშავებების უზრუნველყოფასა და სხვა საქმიანობის სფეროებს შორის. ამასთან, იცვლება სხვადასხვა დარგში და საქმიანობის სფეროში მომუშავეებზე მოთხოვნა (მაგალითად, იცვლება პროპორცია მრეწველობას და მომსახურებას შორის უკანასკნელის სასარგებლოდ). იზრდება მოთხოვნა მომუშავეებზე, რომლებიც დაკავშირებული არიან რთული ტექნოლოგიების გამოყენებასთან, ასევე – მაღალინტელექტუალურ საქმიანობაში დაკავებულ მომუშავეებზე. შრომის ნაყოფიერების ზრდა კი წარმოების ზრდის პირობებში, ხანდახან იწვევს გარკვეულ დარგებში მომუშავეების ნაწილის გათავისუფლებას, თუმცა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესით გამოწვეული შრომა და ინტელექტუალური სამუშაოების განხორციელების აუცილებლობა იწვევს უკუპროცესებსაც, რაც ხშირად ხსნის მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში მომუშავეების შემცირების პროცესს, ამასთან, თანამედროვე პერიოდში, მომუშავეების რაოდენობა სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო შემუშავებების სფეროებში და, ასევე, ძირითადი წარმოების უზრუნველყოფის დამხმარე (მათ შორის, საფინანსო და არასაფინანსო საწარმოო, ბუნების დაცვის და სხვა) სფეროებში თანამედროვე პირობებში მუდმივად იზრდება. ამასთან, საცდელ-საკონსტრუქტორო და მისი შედეგების დანერგვის უზრუნველყოფის საქმიანობაში დაკავებულების ნაწილი თავმოყრილია სამრეწველო, სამშენებლო და ა.შ. კორპორაციებში ან მათთან დაკავშირებულ საწარმოებში (ასევე სოფლის მეურნეობის ფუნქციონირების უზრუნველყოფის დამხმარე ორგანიზაციებსა და საწარმოებში), რაც ხელს უწყობს მომუშავეების რაოდენობის ზრდას მრეწველობაში, მშენებლობაში და ა.შ.

3. ამ პროცესების ფონზე ქვეყნების რეგიონებს შორის მიმდინარეობს კონკურენცია მათი მოსახლეობის რაც შეიძლება მაქსიმალური დასაქმების უზრუნველსაყოფად (რაც, თავისთავად, რეგიონების მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების საწინდარია) ეკონომიკის რესტრუქტურისაციის, საწარმოო და ინსტიტუციური სტრუქტურების რეორგანიზაციის (განვითარების, სხვადასხვა კომპონენტების ცვლილების და ა.შ.) ფონზე, რისთვისაც საჭიროა ხელსაყრელი ინსტიტუციური გარემოს შექმნა ინვესტიციების მოზიდვისა და მოქმედი საწარმოების და ორგანიზაციების სტაბილური ფუნქციონირებისათვის.

ამასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია დასაქმების ზრდისა და დასაქმების სტრუქტურის რაციონალიზაციის რეგიონული ფაქტორების განსაზღვრა და მათი გამოყენებისათვის საჭირო რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარება. დასაქმების ზრდის რეგიონულ ფაქტორებს მიეკუთვნება: მწვარეობის და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელისუფლებო და

საბაზრო კოორდინაციის გაფართოება; რეგიონებში საფინანსო სისტემის (საგადასახადო-საბიუჯეტო, საფინანსო-საკრედიტო, საფონდო-საინვესტიციო) სათანადო მექანიზმის აგება და მოქმედება; ქალაქებში და სოფლად წარმოების რეგიონული დივერსიფიკაციის პოლიტიკის გატარება; რეგიონებში საქონელ-წაწვეის (მათ შორის ექსპორტის მიზნით) ინფრასტრუქტურის განვითარება; რეგიონების კონკრეტული პირობებისა და ეკონომიკური კონიუნქტურის ცვლილებების გათვალისწინების საფუძველზე პროფესიული გადამზადების პრაქტიკის განხორციელება და სხვა.

4. თანამედროვე პირობებში რეგიონებში უნდა ხორციელდებოდეს მაქსიმალური და რაციონალური დასაქმების უზრუნველყოფის პოლიტიკა, ყველა გარემოს გათვალისწინებით (რესტრუქტურისაციის პროცესის აუცილებლობა, ახალგაზრდა ფენების დასაქმება, უმუშევრების რეგისტრაციის, მათი მომზადების ან გადამზადების ვარიანტების განსაზღვრა და დასაქმება და სხვა). ამისათვის საჭიროა რეგიონული ხელისუფლების სტრუქტურაში ისეთი ორგანიზაციის შექმნა, რომელიც მიიღებს მონაწილეობას რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შემუშავებაში, მოსახლეობის, მათ შორის ინტელექტუალური პოტენციალის მქონეთა, მაქსიმალური დასაქმების უზრუნველყოფის კუთხით.

დასაქმების სტრატეგია უნდა შემუშავდებოდეს შესაბამისი რეგიონული სახელისუფლებო ორგანოების გონივრული დიალოგისა და ხელშეკრულებების დადების საფუძველზე მეწარმეთა გაერთიანებებსა და ცალკეულ მეწარმეებთან.

5. რეგიონებში საფინანსო უზრუნველყოფის ქმედითი მექანიზმის ჩამოყალიბების გარეშე შეუძლებელია დასაქმების დონის ზრდის მიზნით სხვა დონისძიებების რეალიზაცია. ასეთი სისტემა განვითარებულ ქვეყნებში რეგიონულ დონეზე მოიცავს სამ ძირითად შტოს – საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემას ცენტრალური ტრანსფერების ჩათვლით, საფინანსო-საკრედიტო (ბანკები ან მათი რეგიონული ფილიალები, სპეციალური შერეული (სახელმწიფო და კერძო სახსრების აკუმულირებით) ფონდები) და საინვესტიციო-საფონდო სისტემებს (აქციები, ობლიგაციები, კერძო კაპიტალის ამსახველი სხვა სახის ფასიანი ქაღალდები, ვენჩურული კაპიტალი). ეს სისტემები, განსაკუთრებით, მეორე და მესამე, ნაწილობრივ გადახლართულია ერთმანეთთან და სამივეს მნიშვნელოვანი როლი აკისრია წარმოების რეალური სექტორის მომსახურებაში.

6. საბიუჯეტი-საგადასახადო მექანიზმით მობილიზებული სახსრები ძირითადად იხარჯება მუნიციპალური (კომუნალური) სტრუქტურის ფუნქციონირებისა და გაფართოების (ახალი მშენებლობის, ახალი ორგანიზაციების დაწესების) მიზნით, თუმცა უკანასკნელ პერიოდში განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო მართვის ზოგიერთი ფუნქციის დეცენტრალიზაციისა და, ამავედროულად, ადგილობრივი სახელისუფლებო ორგანოების პასუხისმგებლობის ზრდის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ამ სახსრების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი იხარჯება რეგიონებში საერთო დანიშნულების წარმოებების განვითარების მხარდასაჭერად. მეწარმეობის სტიმულირების ძირითადი

მიმართულებებია ახალი ტექნოლოგიების ათვისების, გამოყენების, შემოზიდვის და, განსაკუთრებით, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა.

7. ყოველ განვითარებულ ქვეყანაში მოსახლეობის ფართო ფენებისათვის ფასების ხელმისაწვდომ დონეზე შესანარჩუნებლად (განსაკუთრებით სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქტებზე) და შიდა საქონელბრუნვის მაღალი დონის უზრუნველსაყოფად, ასევე ექსპორტის წახალისებლად, ამა თუ იმ ხერხით სახელმწიფო და რეგიონული ბიუჯეტების ხარჯვითი ნაწილიდან გამოიყოფა სახსრები ფასწარმოქმნის კოორდინაციისათვის. მაგალითად, სასურსათო პროდუქციის წარმოებაში გამოიყოფა დოტაციები გადამამუშავებელი საწარმოებისათვის ან სუბსიდიები ფერმერებისათვის. ამიტომ წამახალისებელი სახის ფასწარმოქმნის კოორდინაცია ასევე წარმოადგენს დასაქმების ზრდის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან რეგიონულ ფაქტორს.

8. არც ერთ ქვეყანაში ადგილობრივი ბიუჯეტები არ იცემა მხოლოდ საკუთარი შემოსავლების ხარჯზე, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სახელმწიფო ტრანსფერებს, თუმცა სახელმწიფო ტრანსფერების წილი სხვადასხვა ქვეყანაში მერყეობს 80%-დან 20-30%-მდე (მიუხედავად იმისა, ფედერალურია სახელმწიფო თუ უნიტარული). იქ, სადაც სახელმწიფოს ტრანსფერების წილი ნაკლებია (აშშ, გერმანია, იაპონია, დანია), რეგიონულ და ადგილობრივ ბიუჯეტებში არსებობს ანარიცხები ძირითადი სახელმწიფო გადასახადებიდან.

9. უკანასკნელ ათწლეულებში განვითარებულ ქვეყნებსა და ბოლო პერიოდში პოსტსოციალისტურ ქვეყნებში გაჩნდა და სწრაფად ვითარდება ისეთი მექანიზმი, როგორცაა სპეციალური რეგიონული ფონდების ფუნქციონირება. ტერიტორიული მიზნობრივი საბიუჯეტო და ბიუჯეტგარეშე სხვადასხვა (სახელმწიფო, შერეული, კერძო) ფონდი (რეგიონული განვითარების, სოციალური, ინოვაციების, საგარეო ეკონომიკური ოპერაციების რეგულირების, საპენსიო, სოციალური დაზღვევის, მოსახლეობის დასაქმების და ა.შ.) სხვადასხვა ფორმით არსებობს მრავალ განვითარებულ ქვეყანაში (ზოგიერთში ცენტრალიზებული, რეგიონული ფილიალებით), სადაც კი არ არსებობს, მას ცვლის გადასახადებით დაბეგურის და საბიუჯეტო შემოსავლების გადანაწილების ურთულესი სისტემა, რომელიც იღებს თავის თავზე ინვესტიციების, ახალი ტექნოლოგიების და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სახელმწიფოს მიერ წახალისების ფუნქციების მნიშვნელოვან ნაწილს. არსებობს ასევე სხვა სახის რეგიონული საფინანსო ორგანიზაციები (ან მსხვილი ორგანიზაციების ან კომპანიების, რეგიონული ფილიალები), მაგალითად, რეგიონული დეპოზიტორიები, საინვესტიციო ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, რომლებიც ტერიტორიული ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით, ამყარებენ ურთიერთობებს რეგიონულ ფონდებთან (მაგალითად, ფონდები ფარავენ სახსრებს ზოგიერთი პროექტის შეღავათიანი კრედიტებით დაფინანსებისათვის, აძლევენ გარკვეულ საფინანსო გარანტიებს სადაზღვევო ორგანიზაციებს).

10. ასევე, დასაქმების ზრდისა და სტაბილურობის შენარჩუნების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სოფლად და ქალაქებში რეგიონული

წარმოების დივერსიფიკაცია, რომლის განხორციელების სტრატეგია უნდა შეიმუშაონ ტერიტორიულმა სახელისუფლებო სამსახურებმა (კვლევითი დაწესებულებების გამოყენებით) მჭიდრო ურთიერთკავშირში (დიალოგის და ურთიერთგააღებულებების აღების საფუძველზე) ცალკეულ მეწარმეებს ან მეწარმეების დარგობრივ ასოციაციებთან.

რეგიონების ქალაქებში დეპრესიული მდგომარეობა (მონოსპეციალიზაციის შემთხვევაში) ხშირად ჩნდება რომელიმე პროდუქტზე ან ნედლეულზე (მაგალითად, ქვანახშირზე) საბაზრო მოთხოვნილების ვარდნის გამო, სოფლად ეკონომიკურ დეპრესიას ხშირად იწვევს არახელსაყრელი ბუნებრივი გარემოებები ან ცალკეულ კულტურებსა და ცხოველების ჯიშებზე ბუნებრივი მანებლების (სოკოები, ბაქტერიები, მუხლუხები) დიდი ზეგავლენა. პოსტსაბჭოურ ქვეყნებში ჯერ კიდევ არ არის სრულად დაძლეული, ეკონომიკური დეპრესიის გამომწვევი ისეთი მიზეზები, როგორცაა მოძველებული ტექნოლოგიების გამოყენება, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო შედეგების სფეროს ჩამორჩენა, ასევე ისეთი დამხმარე წარმოებების უქონლობა, რომლებიც უზრუნველყოფს ახალი ტექნოლოგიების დანერგვას და ექსპლუატაციის ხელშეწყობას.

ნათელია, რომ მონოპროდუქტულ და მონოკულტურულ მეურნეობას, როგორც ქალაქში, ასევე სოფლად, არ შეუძლია სტაბილური ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა, განსაკუთრებით გლობალიზაციის პირობებში, რომლის პროცესში მნიშვნელოვნად შემცირდა სამრეწველო პროდუქციის სასიცოცხლო ციკლი და დანქარდა ტექნოლოგიების განახლების პროცესი. ამიტომ, რეგიონების მოსახლეობის სათანადო დონეზე დასაქმების მიზნით და სამუშაო ადგილების დაკარგვის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა როგორც ქალაქებში, ასევე სოფლად წარმოების დივერსიფიკაციის სტრატეგიის განხორციელება და ტექნოლოგიების თავისდროული განახლების მექანიზმის შექმნა.

11. რეგიონებში თანამედროვე დამხმარე არასაფინანსო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების გარეშე შეუძლებელია კონკურენტუნარიანი წარმოების განვითარება და, მაშასადამე, დასაქმების ზრდის უზრუნველყოფა. ასეთ ინფრასტრუქტურაში ქალაქებში შედის საკონსულტაციო ცენტრები (მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობი), ინჟინირინგული ფირმები, მარკეტინგული და საქონელწაწვევის სხვა ორგანიზაციები და საწარმოები, ბიზნესის ინკუბატორები, პროფესიული გადამზადების ცენტრები. სოფლად – სელექციური და სანაშენო ფირმები, პროდუქციის შენახვის ობიექტები (ქალაქებში და სოფლად) – მაცივრები, ელვატორები, სხვადასხვა კულტურების საცავები, სამელიორაციო და მიწის რეკულტივაციის სამსახურები, ბუნების დაცვის სამსახურები (ქალაქებში და სოფლად), ტექნიკური მომსახურების საუზრუნველყოფო ფირმები და სხვა.

12. რეგიონული მიზიდულობის ცენტრების (გროვტჰ პოლეს, გროვტჰ ცენტრეს) განვითარების გარეშე შეუძლებელია ხსენებული ინფრასტრუქტურის

სათანადო განთავსება, თუმცა, როგორც ითქვა, არის ისეთი სპეციფიკური ობიექტები, მაგალითად, სასელექციო და სანაშენო ფირმები, რომლებიც განთავსებულნი უნდა იყვნენ სოფლად. მაშასადამე, მიზიდულობის ცენტრები წარმოადგენენ არა მარტო ძირითადი სექტორების (საფინანსო და რეალურის) საწარმოების განთავსებისა და განვითარების, არამედ დამხმარე საწარმოების (მათ შორის საფინანსო) განთავსების ძირითად ბირთვს. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში რეგიონულ დონეზე განდა სხვა სახის მიზიდულობის ცენტრებიც – ტექნოპოლისები, საექსპორტო-სამრეწველო ზონები, ტექნოპარკები. პირველი ორი შეიძლება შეთავსებულ იქნეს ქალაქთა-გროუტში პოლეს-თან, ამასთან მათი სწრაფი განვითარებისათვის საჭიროა შესაბამისი კაპიტალის მოზიდვა, მათ შორის უცხოურის და არასაფინანსო ინფრასტრუქტურის, მათ შორის კომუნალურის, განვითარება. ტექნოპარკები კი შეიძლება განლაგდეს ან ქალაქებში – მიზიდულობის ცენტრებში, ან განსახდვრულ ხელსაყრელ რაიონებში.

როგორც ითქვა, ასეთი სტრუქტურების შექმნის გარეშე თანამედროვე პირობებში შეუძლებელია პროდუქციის კონკურენტუნარიანობის მიღწევა და საჭიროებისამებრ, ტექნოლოგიების დონის მორალური ცვეთის შესაბამისად, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად, ტექნოლოგიების განახლების ან რეაბილიტაციის უზრუნველყოფა. ამასთან, ასეთი ცენტრების შექმნა წარმოადგენს რეგიონებში დასაქმების ზრდის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და საექსპორტო-საიმპორტო სადღოს უარყოფითი მაჩვენებლის შემცირებას.

ვაჟა გოგიჩაიშვილი

ელექტრონული კომერცია

ელექტრონულ კომერციაში ჩვეულებრივ იგულისხმება ის ბიზნეს-პროცესები, რომლებშიც სუბიექტებს შორის ურთიერთობა ელექტრონული სახით ხორცილდება. ელექტრონული კომერციის წარმოქმნა განაპირობა კომერციული ქსელების შექმნამ, რომელთაც ერთმანეთისგან დაშორებულ ფირმებს მონაცემთა გაცვლის საშუალება მისცეს. ქსელური ტექნოლოგიების განვითარებამ ხელი შეუწყო ელექტრონული კომერციის მასშტაბების ზრდას და შინაარსის შეცვლას.

უმეტესობა ელექტრონულ კომერციას აღიქვამს, როგორც ჯერ კიდევ ნაკლებად ათვისებულს, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ ათწლეულში მსოფლიოში უზარმაზარი ცვლილებები განხორციელდა, რის შედეგადაც ელექტრონული კომერცია სულ უფრო მეტ ზეგავლენას ახდენს კაცობრიობის ცხოვრებაზე. შედარებით მეტ ინტერესს ელექტრონული კომერციისადმი ის ადამიანები იჩენენ, რომლებიც ინტერნეტ-ქსელთან არიან კავშირში.

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენს დროში რეალური ფულის შოვნა სახლიდან გაუსვლელადაც არის შესაძლებელი. დასავლეთში დიდი ხანია ინტერნეტს წარმატებით იყენებენ შემოსავლის მისაღებად, რომელიც, არცთუ იშვიათად, შთამბეჭდავი მოცულობისაა. რეკლამირება, საქონლის გაყიდვა და სხვადასხვა სახის მომსახურების შეთავაზება – ეს არის შემოსავლის მიღების საშუალებების მცირედი ნაწილი. თანდათან იზრდება ონლაინ-მალაზიების საქმიანობა. დღეს ინტერნეტის გამოყენება პოპულარულია სხვადასხვა სახის შეთანხმებების სარეალიზაციოდ ყიდვა-გაყიდვის საქმეში ნებისმიერ დონეზე. დიდი ბიზნესის ჩათვლითაც კი. განვითარებული ქვეყნები დიდი ხანია ბიზნესის წარმართვისთვის გლობალურ ქსელს იყენებენ. აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყნების გამოცდილება საკმაოდ წარმატებულია, რასაც მარკეტინგული გამოკვლევები მოწმობს. მათთვის ელექტრონული კომერცია მნიშვნელოვანი მიმართულებაა მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში, რადგან ბიზნესის წარმატებული მუშაობისათვის აუცილებელია ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება, როგორი ზომის და როგორი მიმართულებისაც არ უნდა იყოს ეს ბიზნესი. წარმოიშვება კითხვა: ხომ არ მივბაძოთ ჩვენი უცხოელი მეგობრების წარმატებულ მაგალითს? პრინციპში, ელექტრონული კომერციის პირველი შედეგები ჩვენშიც გამოვლინდა ინტერნეტის ქსელის შექმნისთანავე. იმისათვის რომ ვისწავლოთ ელექტრონულ კომერციაში მონაწილეობის მიღება და შევძლოთ საკუთარი ცოდნის გამოყენება ჩვენი ფინანსური მდგომარეობის სტაბილიზაციისა და გაფართოებისათვის, აუცილებელია იმ ხალხის გამოცდილების დაუღალავი შესწავლა, რომელთაც შეძლეს ამ დახვეწილი მეცნიერების გაგება და დიდი ხანია გაიარეს ვეგეტაციური პერიოდი. დღეს ჩვენ გვაქვს უნიკალური საშუალება, გამოვიყენოთ სხვა ადამიანების წარმატებული გამოცდილება და მათი რჩევები უეჭველად დაგვეხმარება ყველას, ვისაც გვსურს საკუთარი ძალების გამოცდა ელექტრონულ კომერციაში. მაშ, რა არის “ელექტრონული კომერცია”? ელექტრონული კომერცია – ეს მხოლოდ საიტების სახით ორგანიზებული ელექტრონული მალაზია კი არ არის, არამედ ბიზნესია, რომელიც თავის თავში ატარებს ყველა იმ კომპონენტს, რაც არის რეალურ სამყაროში. მალაზია ან ფირმა, რომელიც ვაჭრობს ან სხვადასხვაგვარ მომსახურებას გვთავაზობს, ასევე წარმატებით შეძლებს ფუნქციონირებას ვებ-სივრცეში. ელექტრონული კომერცია – ეს არის ჩვენთვის ჩვეული ბაზარი, ოღონდ ინტერნეტის სივრცეში. რეკლამა, ინფორმაცია საქონლის შესახებ, ანარიცხების ამოწერა და გადასახადების მიღება, კონსულტაციები – ეს ელექტრონული კომერციის მხოლოდ ძირითადი კომპონენტებია, რომლებიც დღეს ინტერნეტში საკმაოდ პოპულარულია. ელექტრონული კომერცია იქ იწყება, სადაც წარმოიშობა ბიზნესის ავტომატიზაციის საშუალებები და საქმიანი საკითხების გადასაჭრელად გლობალური ქსელი გამოიყენება. ამასთან დაკავშირებით წარმოიშობა საწარმოთა ორგანიზაციის ახალი ფორმები, კერძოდ, ვირტუალური და ქსელური კორპორაციები. ქსელური საწარმოს არსი იმაში მდგომარეობს, რომ კომპანიის ტერიტორიულად დაშორებულ დანაყოფებს

შორის ინფორმაციის გაცვლისათვის ინტერნეტი გამოიყენება. ელექტრონული კომერცია მეტად პერსპექტიული, დინამიკურად განვითარებადი დარგია ბაზრისა, რომელსაც ბევრი უნიკალური თავისებურება გააჩნია და რომლის საფუძველსაც მარკეტინგის ზოგადი პრინციპები წარმოადგენს.

ელექტრონული კომერციის ძირითადი მხარეებია: მინიმალური კაპიტალ-დაბანდებით მსოფლიო ბაზარზე მომსახურებაზე ინფორმაციის გატანის უდიდესი შესაძლებლობის მოპოვება; გასაღების არხების მაქსიმალურად გაფართოება; მიმწოდებლების და მყიდველების გაერთიანება ერთ სისტემაში; დამკვეთების მომსახურების მაღალი დონის აღბათობა; შრომისა და კაპიტალის ახალი ბაზრების შექმნა.

დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ ელექტრონული კომერციის უდიდესი პოტენციალი გარკვეული დროის შემდეგ კარდინალურად შეცვლის მთელ კომერციულ სისტემას და თავად გახდება ბიზნესის წარმართვის უფრო მომგებიანი ფორმა. ინტერნეტაუდიტორიის გამრავლების პოზიტიური ტენდენცია, ვირტუალურ სივრცეში ახალი საიტების გამოჩენის სინქარის ზრდა და ელექტრონული კომერციის განვითარების ტემპის აღმავლობა საშუალებას იძლევა, ამ სფეროში სერიოზულ პერსპექტივებზე რომ ვისაუბროთ. დღეს უკვე უამრავი ელექტრონული ვიტრინა იზიდავს მომხმარებელს თავისკენ, ეს კი უკვე არის გზა წარმატებისკენ. თუ უფრო გლობალურად განვიხილავთ ამ საკითხს ცხადი გახდება, რომ ელექტრონული კომერცია, რომელიც ყველგან ვრცელდება და საქონლისა და მომსახურების სულ უფრო ფართო ასორტიმენტს გვთავაზობს, თანდათან ხდება სახელმწიფოთა, დარგების, საწარმოთა და ფიზიკურ პირთა იმ ერთიან საზოგადოებაში გაერთიანების იარაღი, სადაც პარტნიორების ურთიერთობა ეფექტურია და სახელმწიფო თავისუფლად ახორციელებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.

როგორც ვხედავთ, ელექტრონული კომერციის მომგებიანობა და პერსპექტიულობა ნათელია, ოღონდ შესაბამისი ცოდნის და უნარ-ჩვევების არსებობაა აუცილებელი. იოლ ფულს, ისევე, როგორც რეალურ ბიზნესში, არც აქ უნდა ველოდეთ. შედეგი მხოლოდ შრომით მიიღწევა.

სწორი და ჭკვიანური მიდგომა საქმისადმი სტაბილურობის და განვითარების გარანტიაა.

ლინა დათუნაშვილი
დასაქმების პრობლემის ზოგიერთი ასპექტი სოფლად

– საბაზრო ურთიერთობაზე გარდამავალ პერიოდში მიმდინარე პროცესებმა საქართველოში სერიოზულად გაამწვავა დასაქმების სფეროში არსებული პრობლემები, რაც, სხვა მიზეზებთან ერთად (მწვავე ეკონომიკური კრიზისი, სამოქალაქო ომი და სხვა კატაკლიზმები), ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე

სტრუქტურულმა ცვლილებებმა, ახალმა შრომითმა ურთიერთობებმა და მრავალ-ფორმიანი საკუთრების ჩამოყალიბებამ განაპირობა.

– 2005-2007 წლებში სოფლის მეურნეობაში, მეტყვეობასა და თევზჭერაში დასაქმებულთა რაოდენობა (473,5 და 448,5 ათასი კაცი) 25 ათასი კაცით, ანუ 5,3 პროცენტული პუნქტით შემცირდა. მთლიანად ქვეყანაში დასაქმებულთა რაოდენობა (915,2 და 888,1 ათასი კაცი) 27,1 ათასი კაცით, ანუ 3 პროცენტული პუნქტით შემცირდა. აღნიშნულ წლებში სოფლის მეურნეობაში, მეტყვეობასა და თევზჭერაში დასაქმებულთა რაოდენობის შემცირების ტემპი (5,3%) უფრო მაღალი იყო ვიდრე მთლიანად ქვეყანაში (3%), რაც ამ დარგის განვითარებისათვის არასასურველი ტენდენციაა.

– სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, 2006-2007 წლებში სოფლად აქტიური მოსახლეობის რაოდენობა შემცირდა 63,7 ათასი კაცით, სოფლად დასაქმებულთა რაოდენობა – 66,4 ათასი კაცით, სოფლად თვითდასაქმებულთა რაოდენობა – 54,6 ათასი კაცი, ხოლო, ამავე პერიოდში, სოფლად უმუშევართა რაოდენობა გაიზარდა 2,6 ათასი კაცით.

მოყვანილი ციფრობრივი მასალა ფრიად უარყოფით ტენდენციას აჩვენებს, რადგან მკაფიოდ არის გამოკვეთილი როგორც სოფლის მოსახლეობის, ისე სოფლად დასაქმებულთა რაოდენობის შემცირების ტენდენცია, რამაც უარყოფითად იმოქმედა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურაში სოფლის მეურნეობის ხვედრით წილზე, სადაც სოფლის მეურნეობის, ნადირობის, მეტყვეობისა და თევზჭერის ხვედრითი წილი 2005-2006 წლებში 14,8%-დან – 11,2%-მდე, ხოლო 2007 წელს 9,4%-მდე შემცირდა. ასევე შემცირების ტენდენცია შეინიშნება ოჯახური მეურნეობების ფულად შემოსავლებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების მიხედვით. ეს მაჩვენებელი 2005-2006 წლებში 12,0%-დან – 10,6%-მდე, ხოლო 2007 წელს 7,8%-მდე შემცირდა. აგრარულ სფეროში დასაქმების თვალსაზრისით შექმნილი მდგომარეობა დღის წესრიგში აყენებს იმ შესაძლებლობების გამოვლენას და რეალიზებას, რომელიც არსებობს ამ სფეროში. ასეთებია:

– საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში შრომითი რესურსების რაციონალურ გამოყენებასა და მათ დასაქმებაში გარკვეულ რეზერვს წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დარგთა (მემცენარეობისა და მეცხოველეობის) რაციონალური შეთანაწყობა. ამ მიმართებით ასევე მნიშვნელოვანია სოფლად მცირე ბიზნესის ხელშეწყობით სამშენებლო მასალების – აგურის ქარხნების, კრამიტისა და კირის გამოსაწვავი საამქროების ამოქმედება, ხალხური რეწვის (თექის, ხალიჩების, თიხის ნაწარმის) აღორძინება.

– სოფლის მოსახლეობის დასაქმებასა და სოფლად მათ დამაგრებას ხელს შეუწყობს აქ არსებული ბუნებრივი რესურსების (სილა, გრანიტი, მარმარილო, ხის მასალა და სხვა) ეფექტური გამოყენება და აღნიშნული მასალების დამმუშავებელი საამქროების ამოქმედება, რაც აგრარულ სფეროში სამუშაო ადგილების შექმნისა და სოფლის მოსახლეობის დასაქმების ერთ-ერთი საშუალება გახდება.

- სოფლად სამუშაო ძალის დასაქმების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის მუშაკების, ფერმერების, გლეხურ მეურნეობებსა და შინამეურნეობებში დასაქმებულების კვალიფიკაციის ამაღლება ახალი ეკონომიკური მოთხოვნების შესაბამისად, აგრარული სფეროს სტრუქტურისათვის მაღალკვალიფიციური კადრების (მენეჯერების, მარკეტინგის სპეციალისტების) მომზადება-გადამზადების ორგანიზება.

- სოფლიდან ქალაქში წასული ადამიანების მიერ თავიანთი მიწის ნაკვეთების იჯარით გაცემა და მცირე მოცულობის გლეხური მეურნეობების კოოპერატივებსა და ამხანაგობებში გაერთიანება (რომელთა მიზანი სასაქონლო პროდუქციის წარმოება-რეალიზაცია იქნება) ხელს შეუწყობს სოფლად მოსახლეობის დამაგრებასა და მათ დასაქმებას.

- დასაქმების პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი საშუალებაა პრიორიტეტული დარგების და სფეროების (ამ შემთხვევაში აგრარული სფერო) განვითარებისთვის სწორი საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავება. შესაბამისი სამართლებრივი ბაზის საფუძველზე ადგილობრივი და უცხოური კაპიტალის აგრარულ სფეროში ეფექტური განთავსება ხელს შეუწყობს ეკონომიკის გამოცოცხლებას, სოფლის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას და მათ დასაქმებას.

- მოქნილი საგადასახადო პოლიტიკა და საკრედიტო კავშირების მიერ გაცემული დაბალპროცენტიანი კრედიტი სოფლად მცირე, წვრილი და საშუალო ბიზნესის განვითარების, სასოფლო-სამეურნეო სერვისცენტრების აქტიური ფუნქციონირების სტიმული იქნება, რომლებიც კვალიფიციურ კონსულტაციებს გაუწევენ გლეხურ, ფერმერულ შინამეურნეობებს აგროტექნიკურ, ვეტერინალურ, ეკონომიკურ, აგრომეტეოროლოგიურ და სხვა საკითხებზე.

- სოფლის მეურნეობაში დასაქმების შესაძლებლობა ჩვენი ქვეყნის მდიდარი ბუნებრივი რესურსების გამოყენებით ახლო მომავალში საკურორტო, ტურისტული და სასოფლო ინფრასტრუქტურის უკეთ განვითარებაში გვესახება. ტურიზმი უნდა გახდეს საქართველოში ბუნებრივი და ადამიანისეული რესურსების გამოყენების მნიშვნელოვანი საშუალება, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის გამოცოცხლებას და წარმოშობს ახალ შესაძლებლობებს სამუშაო ძალის დასაქმებისათვის სოფლის მეურნეობაში, ვაჭრობაში, მომსახურებასა და ადგილობრივ წარმოებაში.

ზურაბ ნოზაძე

გარემოს დაცვის გაუმჯობესების ზოგიერთი საკითხი საბაზრო ურთიერთობის პირობებში

სახელმწიფო სრული სუვერენიტეტის, ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და საბაზრო ეკონომიკის პირობებში ძირეულ შეცვლას მოითხოვს ბუნებათ-სარგებლობის პროცესის კონცეპტუალური საფუძველი: უპირატესობა უნდა

მინიჭოს ეკოლოგიურად უხიფათო დარგების და წარმოებების განვითარებას, რაც თავისთავად შეუწყობს ხელს სახელმწიფოს ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანას და აღმავლობის გზაზე დაყენებას.

გარემოს დაცვის რეგულირების ეკონომიკური ბერკეტები კერძო კაპიტალზე მისი ბუნების დაცვის საქმეში მისაზიდად ზემოქმედებს. ეკონომიკური რეგულირების ძირითადი ფორმებია: მიზნობრივი სუბსიდიები, კრედიტები, რომლებსაც სახელმწიფო შეღავათიანი პირობებით იძლევა გამწმენდი ნაგებობების გასაფართოებლად და რესურსების უფრო სრულად გამოსაყენებლად; საგადასახადო შეღავათების სხვადასხვა სახეები; დანქარებული ამორტიზაცია; გარემოს გაჭუჭყიანების წინააღმდეგ საბრძოლველად ანაბრების გამოშვება; გადასახადების შემცირება, ე. წ. - „ეკოლოგიური“ პროდუქტის გამოშვებისას და ა. შ. დამატებით შეღავათებს იღებს კერძო კაპიტალი გამწმენდი ნაგებობების ამოქმედების ვადების დანქარების შემთხვევაში. მაგალითად, საფრანგეთში სახელმწიფოსა და რამდენიმე დარგს შორის დადებულია სპეციალური კონტრაქტები, რომელთა თანახმად, ეს დარგები ფინანსურ დახმარებას იღებს მათი ბუნებისდაცვითი დანახარჯების ფარგლებში იმ პირობით, თუ ისინი დაიცავენ ეროვნული ეკოლოგიური პროგრამის შესრულების კალენდარულ ვადებს. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ეს პრაქტიკა დავენერგოთ ჩვენთანაც, არსებული პირობების და თავისებურებების გათვალისწინებით.

ბუნებისდაცვითი დანახარჯების სტიმულირების ეკონომიკურ ინსტრუმენტს წარმოადგენს შეღავათიანი ტარიფები. დიდძალი თანხების ეკონომია შეიძლება მოხდეს შეღავათიანი დაბეგვრის ხარჯზე, რომელსაც სახელმწიფო ავრცელებს ბუნებისდაცვითი ღონისძიებების გამტარებელ საწარმოებზე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს წყლის რესურსების დაცვასა და კვლავწარმოებას. წყლის გამწმენდი და საკანალიზაციო ნაგებობების ძირითადი ნაწილი განვითარებულ ქვეყნებში ადგილობრივი ხელისუფლების მმართველობაშია. ამიტომ სახელმწიფოს მიერ წყლის დასაცავად თანხების გამოყოფა ადგილობრივ დონეზე ხდება. თუმცა, ხშირად, ადგილებზე უჭირთ ბიუჯეტიდან გამოყოფილ ასიგნებათა ათვისება.

საწარმოებს უფლება ეძლევათ, პროდუქციის საბოლოო ფასში ნაწილობრივ იქნეს ჩადებული დანახარჯები გარემოს დაცვაზე.

თანამედროვე ეკოლოგიური პოლიტიკა ორიენტირებულია თავისუფალი ბაზრის მექანიზმზე. ამ პოლიტიკის თანახმად, საწარმოებს, გაწმენდის დაბალი ღირებულებით, გარკვეულ საფასურად შეუძლიათ დამატებით გაწმინდონ იმ საწარმოთა ჩამდინარე გაჭუჭყიანებული წყალი, რომელთაც გაწმენდის ეს პროცესი უფრო ძვირი უჯდებათ. ბოლო პერიოდში სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა გარემოს დაცვის საგარეო პოლიტიკის ასპექტებს.

ეკოლოგიური პოლიტიკის უზრუნველყოფის სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლია გარემოს დაცვის მართვის სამეცნიერო ბაზა. პრობლემებთან დაკავშირებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის განვითარებაში წამყვანი როლი ეკუთვნის სახელმწიფოს, რომელიც პერმანენტულად აფარ-

თოებს ამ სამუშაოს დაფინანსების მასშტაბებს. სახელმწიფო თავის თავზე იღებს ყველაზე რთულ, მნიშვნელოვან და ძვირადღირებულ მიმართულებათა დაფინანსებას, ხოლო კერძო ფირმები მუშაობენ გამოყენებითი ხასიათის პრობლემებზე.

ეკოლოგიური პოლიტიკის უზრუნველყოფის მეორე რგოლია მონიტორინგი, ანუ ადამიანის ზემოქმედებით გარემოს მდგომარეობის ცვლილებების კონტროლის შეფასებისა და მეთვალყურეობის სისტემა. მონიტორინგის განვითარება ხორციელდება გარემოს მდგომარეობის დამახასიათებელი პარამეტრების ცვლილებებზე დაკვირვების სტაციონარული სადგურების, ავიაკოსმოსური და კონტროლის სხვა საშუალებების სახელმწიფო ქსელის დახმარებით.

ეკოლოგიური პოლიტიკის უზრუნველყოფაში მნიშვნელოვანია გარემოს დაცვისათვის კადრების მომზადების სისტემა. ამ სფეროში განათლების გაუმჯობესების აუცილებლობა ეროვნული ეკოლოგიური პროგრამის უპირველეს ამოცანად ითვლება.

მრავალი ქვეყნის ეკოლოგიურ პოლიტიკაში წამყვანი როლი ეკუთვნის გარემოს დაცვის ოპერატიული მართვის სისტემას, განსაკუთრებით გავრცელებულია მეთოდი, რომელიც დაფუძნებულია სტიმულირების და იძულებითობის ეკონომიკური ბერკეტებისა და ადმინისტრაციული რეგულირების შეთანაწყოებაზე.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა გაზრდის საწარმოებისა და ფირმების პასუხისმგებლობას გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის. ყველა საწარმომ უნდა უზრუნველყოს ბუნებრივი რესურსების ეფექტიანი გამოყენება და აღდგენა. მომჭირნედ მოიხმაროს ისინი წარმოების პროცესში, დაიცვას გარემო გაჭუჭყიანებისაგან.

წყალდამცავი საქმიანობის რეგულირების ფინანსური მეთოდების სრულყოფის მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ჯარიმების 60% გადაეცეს ადგილობრივ, ხოლო 40% ქვეყნის ბიუჯეტს მიზნობრივი დანიშნულებით მათი შემდგომი გამოყენებისათვის. წყლის გამწმენდი ნაგებობების მშენებლობისათვის იმ საწარმთა სტიმულირებისათვის, რომლებმაც წარმატებებს მიაღწიეს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის ღონისძიებებში.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ზრდის საწარმოების, ორგანიზაციების, ცალკეული იურიდიული პირების პასუხისმგებლობას გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენებისათვის. ყოველმა საწარმომ უნდა უზრუნველყოს მათი ეფექტიანი გამოყენება და აღდგენა, მომჭირნედ მოხმარება წარმოების პროცესში. წარმოების განვითარების და რეკონსტრუქციის პროექტებში გათვალისწინებული უნდა იყოს გარემოს დამცავი ნაგებობებისა და დანადგარების მოწოდება, მათი ეფექტიანი ექსპლუატაცია. საწარმომ უნდა აანაზღაუროს გარემოს დაბინძურებით და რესურსების არარაციონალური გამოყენებით გამოწვეული ზარალი. მატერიალურად პასუხი ავოს ბუნების დაცვის კანონების დარღვევისათვის. ამასთან, თუ მისი საქმიანობა ბუნებათსარგებლობის რეჟიმის უხეშ დარღვევას იწვევს, იგი უნდა შეჩერდეს.

ამრიგად, საჭიროა, საწარმოებმა აანაზღაურონ ბუნების დაბინძურებით მიყენებული ზარალი სავალდებულო წესით. ამოღებული გადასახადელები შეტანილი უნდა იქნეს ადგილობრივ და ქვეყნის ბიუჯეტში.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ საწარმოებს დაუწესდეთ ნორმატიული გადასახადი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისა და გარემოში გამაჯუჭყიანებელი ნივთიერებების გამოყოფისათვის. გადასახადის სიდიდის დასადგენად გათვალისწინებული უნდა იქნეს ბუნებრივი რესურსების გავრცელების, ათვისებისა და კვლავწარმოების შესაძლებლობის პირობები: პროდუქტიულობა, კომპლექსურობა, ადგილსამყოფელი, სტრატეგიული მნიშვნელობა და სხვა ფაქტორები.

ზემოთქმული ხელს შეუწყობს, ჩამოყალიბდეს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ხარისხობრივად ახალი სისტემა, რომელიც ორიენტირებული იქნება ადამიანზე ზრუნვასა და ბუნების დაცვითი საქმიანობის საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებაზე. აგრეთვე მის მართვაში ეკონომიკური ბერკეტების ფართოდ გამოყენებაზე. ამის გარეშე წარმოუდგენელია ბუნებრივი სიმიდრის შენარჩუნება და გამრავლება, მისი რაციონალური და კომპლექსური გამოყენება.

რუსუდან პაპასკირი

თავისუფალი ეკონომიკური ზონის განვითარების პრესამპტივები საქართველოში

თანამედროვე მსოფლიოში განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა თავისუფალი ეკონომიკური ზონების შემოღებამ. მსგავსი ზონების დაფუძნება შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ინსტიტუციური ინოვაცია, ეკონომიკური ზრდისა და ტრანსფორმაციის ინსტრუმენტი. ეს მიდგომა განსაკუთრებით აქტუალური გახდა განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის.

მსოფლიოში არსებობს სხვადასხვა ტიპის ეკონომიკური ზონები, რომელთა შორის გამოვყოფდით ყველაზე გავრცელებულს: ინდუსტრიული; პროგრამული უზრუნველყოფისა და ინდუსტრიული ტექნოლოგიების; ტურისტული; ლოგისტიკური და საფინანსო სერვისის ცენტრები (ცნობილი, როგორც ოფშორული ზონები).

დღეს არსებული 3000-ზე მეტი ეკონომიკური ზონიდან მხოლოდ 20% თუ არის ნამდვილად წარმატებული. მათი შექმნა კონკრეტულ მიზანთანაა დაკავშირებული და წინ უძღვის ინტენსიური მოსამზადებელი პერიოდი. ერთ-ერთი მთავარი პირობაა ის, რომ თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში არ უნდა არსებობდეს რაიმე სახის ბიუროკრატიული ბარიერები და ზონაში რეგისტრირებული კომპანიები პრაქტიკულად, გათავისუფლებული უნდა იყოს გადასახა-

დებისაგან, გარდა მომსახურების საფასურისა. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება თავისუფალი ეკონომიკური ზონა წარმატებული.

თავისუფალი ეკონომიკური ზონის წარმატება დამოკიდებულია აგრეთვე ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეზე. ყველა ეკონომიკურ ზონას აქვს თავისი კონკრეტული მისია, თუმცა მაინც შეიძლება გამოიკვეთოს ყველასათვის დამახასიათებელი ისეთი ძირითადი მიზნები, როგორიცაა: საინვესტიციო კლიმატის ლიბერალიზაცია, უცხოური კაპიტალის მოზიდვა და ეროვნული ეკონომიკის აღორძინება, საწარმო ინფრასტრუქტურის განვითარება, ადგილობრივი შრომითი და ბუნებრივი რესურსების ეფექტიანი გამოყენება. თავისუფალი ეკონომიკური ზონების დაფუძნების მიზანი, ძირითადად, არის ქვეყნისათვის უცხოური ინვესტიციების მოზიდვა მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნით, ცალკეულ, შემოსაზღვრულ ტერიტორიასა თუ საქმიანობის ფარგლებში. საინვესტიციო კლიმატი რომ მიმზიდველი იყოს, საჭიროა, ქვეყანაში არსებობდეს უსაფრთხო და სტაბილური გარემო, ტექნოლოგიური ბაზა, გამოცდილება და ა.შ.

საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების მთავარ ამოცანას სწორედ მიმზიდველი საინვესტიციო კლიმატის შექმნა წარმოადგენს. გასული წლის აგვისტოს ომამდე ქვეყანაში მშპ-ისა და საინვესტიციო კლიმატის ზრდა სწორედ ამ ფაქტზე მიუთითებდა. თუმცა განვითარების ტემპი დღეისთვისაც, განსაკუთრებით რეგიონული თვალსაზრისით, ჯერ კიდევ საკმაოდ დაბალია.

საქართველოს დღევანდელიდან გამომდინარე, რეგიონული განვითარების მიზნით თავისუფალი ეკონომიკური ზონების შემოღება ბევრ სირთულესთანაა დაკავშირებული. ხელშემშლელ ფაქტორთა შორის უნდა აღვნიშნოთ:

- ✓ ბუნებრივი რესურსების არცთუ დიდი მარაგი;
- ✓ კვალიფიციური კადრების სიმცირე;
- ✓ სამართლებრივი ბაზა და მისი დაცვის მექანიზმები;
- ✓ ადგილობრივი ბაზრების სიმცირე;
- ✓ თანამედროვე ტექნოლოგიების სიმცირე;
- ✓ სასამართლო სისტემა;
- ✓ ინფრასტრუქტურული პრობლემები (მიუხედავად მიმდინარე პროექტებისა, ბევრ რეგიონში მწვავედ დგას გზების, წყლის, გაზით მომარაგების საკითხი).

მიუხედავად ამ სიძნელეებისა, ქვეყანაში მაინც არსებობს იმის საკმარისი პოტენციალი, რომ განხორციელდეს პროექტი, რომელიც საზოგადოების, ეკონომისტების თუ ბიზნესმენთა დიდ ინტერესს იწვევს. ეს არის ფოთის თავისუფალი ეკონომიკური ზონის პროექტი.

საუკუნეების მანძილზე საქართველო კავკასიაში წარმოადგენდა ყველაზე ცოცხალ სატრანზიტო და სავაჭრო ცენტრს. ფართო გასასვლელი შავ ზღვაზე უფრო მეტ აქტუალობას მატებს მისი, როგორც სატრანზიტო ქვეყნის მნიშვნელობას. საქართველომ უნდა გამოიყენოს ეს სატრანზიტო პოტენციალი.

ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული და გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ამ პროექტს დიდი მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს. ეს არ უნდა იყოს მხოლოდ საბაჟო ზონა, სადაც პროდუქციისა და ნედლეულის დასაწობება და შენახვა მოხდება, იქ უნდა შეიქმნას და დაფუნდეს სხვადასხვა საწარმოები, რაც ფოთსა და საქართველოს ახალ ფუნქციას შესძენს. ფოთის თავისუფალი ეკონომიკური ზონა რეგიონის ეკონომიკურ და სავაჭრო ცენტრად უნდა იქცეს.

მოცემული პროექტის წარმატებამ უნდა უზრუნველყოს სხვა სფეროების განვითარებაც, რომელთაგან აღსანიშნავია ტურიზმი, რომელიც, თავის მხრივ, ბიძგს აძლევს მომსახურების სხვა სექტორების განვითარებას. შესაბამისად კი, გაზრდის საბიუჯეტო შემოსავლებს, დასაქმებას, აამაღლებს მოსახლეობის კეთილდღეობის საერთო დონეს.

ზურაბ რევიშვილი

სასოფლო-სამეურნეოების პრობლემები და აბარული პოლიტიკის აქტუალური საკითხები საქართველოში

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში სასოფლო, ოჯახური შინამეურნეობები წამყვან როლს ასრულებენ. 2004–2005 წწ. ამ მეურნეობებში იწარმოებოდა მარცვლოვანი და მარცვლოვან-პარკოსანი კულტურების 94%, კარტოფილის – 97%, ბოსტნეულის – 97%; ბაღჩეულის – 99,7%, ხილის – 99,5%, ციტრუსების – 100%, ყურძნის – 99%, ჩაის ფოთოლის – 64%; შინამეურნეობებს ეკუთვნოდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის 99,7%, ღორის – 99,9%, ცხვრისა და თხის – 7,1%; ფრინველის 91,8% [საქ. სტატ. წელიწადეული 2005. სტატ. დეპარტამენტი, თბ., 2005, გვ. 210-211]. 1995-2005 წწ-ში აშკარად იკვეთება აბარულ სექტორში ოჯახური მეურნეობების წილის (ფრინველის გარდა) გადიდების ტენდენცია.

2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერამ მოიცვა როგორც სოფლის შინამეურნეობები, ასევე რაიონულ ცენტრებსა და მცირე ზომის ქალაქის ტიპის დასახლებებში არსებული შინამეურნეობები, ასევე, 820 სასოფლო-სამეურნეო საწარმო და 475 სხვა ტიპის მეურნეობა; ე.ი. სულ 729542 ყველა ტიპის მეურნეობა, მათ შორის დაახლოებით 595 ათასი, ე.ი. 82% განთავსებული იყო სასოფლო ადგილებში [საქართველოს 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა. სტატ. დეპარტამენტი, თბ., 2005, გვ. 3-6].

აღწერამ აჩვენა, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწების მქონე შინამეურნეობების 43,2%-ს ჰქონდა 0,5 ჰა-ზე ნაკლები; 0,5-0,99 ჰა მიწა ჰქონდა მეურნეობების 32%-ს, ე.ი. 1 ჰა-ზე ნაკლები ჰქონდა მეურნეობების 75,2%-ს; 1-1,99 ჰა-მდე ჰქონდა მხოლოდ მეურნეობების 18,3%-ს; 2-2,99 ჰა – 3%-ს და 3-4 ჰა ჰქონდა შინამეურნეობების 1,4%-ს. აღსანიშნავია, რომ შინამეურნეობების სარგებლობაში არსებული მცირე ზომის ფართობები დანაწევრებულია 2-3 და რიგ რეგიონში უფრო მეტ ნაკვეთად. ნაკვეთები მნიშვნელოვანი მანძილით არის

ერთმანეთისგან დაცილებული, რაც მათი დამუშავების დამატებით პრობლემებს ქმნის.

საქართველოს რეგიონები არსებითად განსხვავდება ოჯახური მეურნეობის საშუალო ფართობების მიხედვით. თუ მთლიანად საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე როგორც სასოფლო, ისე არასასოფლო ადგილებში, საშუალოდ ერთი ოჯახური მეურნეობა სარგებლობდა 1,05 ჰა-თი; რეგიონებში ეს მონაცემი შეადგენდა (ჰა-ში): აჭარის არ – 0,5; კოდორის ხეობა – 1,03; გურია – 0,82; იმერეთი – 0,64; კახეთი – 1,9; მცხეთა-მთიანეთი – 0,99; რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი – 0,89; სამეგრელო-ზემო სვანეთი – 0,71; სამცხე-ჯავახეთი – 2,21; ქვემოქართლი – 0,95 და შიდა ქართლი 0,9. არსებითადაა განსხვავებული რეგიონებში ოჯახური მეურნეობების ფართობების საშუალო ფრაგმენტაცია (ნაკვეთების რაოდენობა), ასე, თუ აჭარის არ-ში და ქვემო ქართლში იგი შეადგენდა 1,8-ს, კოდორის ხეობაში – 1,7-ს; სამეგრელო-ზედა სვანეთში – 1,5-ს; გურიაში – 2,6; იმერეთში – 2,5; კახეთსა და მცხეთა-მთიანეთში – 2,3-ს; შიდა ქართლში იგი შეადგენდა 2,8-ს; რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში – 3,2 და სამცხე-ჯავახეთში – 3,8-ს. ერთი ნაკვეთის საშუალო ზომა შეადგენდა (ჰა-ში): იმერეთში – 0,25; აჭარის არ – 0,27; რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში – 0,28; გურიაში – 0,31; შიდა ქართლში – 0,32; მცხეთა-მთიანეთში – 0,43; სამეგრელოსა და ზემო-სვანეთში – 0,46; ქვემო-ქართლში – 0,52; სამცხე-ჯავახეთში – 0,59; კახეთში – 0,82; მთლიანად ქვეყნაში კი – 0,45 ჰა-ს.

საქართველოში, საშუალოდ ერთ სასოფლო შინამეურნეობაზე გაანგარიშებით, 2004 წ. მოდიოდა: 3,59 წვერი, მათ შორის 15-65 წლამდე 2,3 წვერი. იგი ფლობდა (ჰა-ში): 1,21 სასოფლის-სამეურნეო სავარგულს, მათ შორის 0,68 სახნავს, 0,14 მრავალწლიან ნარგავს, 0,35 სათიბ-საძოვრს და 0,05 სხვა კატეგორიის მიწას. საშუალოდ ერთი მეურნეობა ფლობდა: მსხვილფეხა (კამეჩის ჩათვლით) – 1,71 სულს, მათ შორის ფურსა და ფურკამეჩს – 1,01 სულს; ღორს 0,7 სულს, ცხვარსა და თხას – 1,04 სულს, ფუტკარს – 0,22 სკას, ფრინველს – 13,8 ფრთას; ცხენს, ვირსა და ჯორს – 0,08 სულს.

მეურნეობების მხოლოდ 2,1%-ს გააჩნდა (2004) საკუთრებაში რომელიმე სახეობის ტრაქტორი (ბორბლიანი, მუხლუხა, მინი); 2,8%-ს გააჩნდა ხელის ტრაქტორი (მოტობლოკი); 0,16% ფლობდა კომბაინს; 2,6% ფლობდა სატვირთო ავტომობილს; 8,4% ფლობდა სხვა სახის ავტომობილს. ამავე დროს, მეურნეობების 52,3%-მა ისარგებლა რომელიმე სახეობის ტრაქტორით; 7,4%-მა ხელის ტრაქტორით; 10,8%-მა – კომბაინით; 23,8%-მა – სატვირთო მანქანით და 10,4%-მა კი სხვა მანქანით. ამრიგად, შინამეურნეობების ტექნიკური აღჭურვილობის დონე მეტად დაბალია. რიგი რეგიონებისა განსაკუთრებულად მწვავედ განიცდის ტრაქტორების, მისაბმელების, კომბაინების დეფიციტს.

ნაკვეთების დაქსაქსულობის, თანაც მცირე ზომების გამო, იხარჯება მეტი საწვავი, ტექნიკა გამოიყენება არაეფექტიანად, ასევე სამუშაოები ხორციელდება არადროულად, ირღვევა აგროვადები. იკვეთება ტენდენცია, მექანიზებული

სამუშაოების შემცირებისა და ცოცხალი გამწვევი ძალით(ხარი, ცხენი) თუ ხელის იარაღებით შრომის წილის გადიდებისა. ასევე იზრდება დაუმუშავებელი, გაკორდებული სახნავეების წილი.

შინამეურნეობის აღნიშნული პრობლემები გაელენას ახდენს მათ მოსაგლიანობასა და პროდუქტიულობაზე. 1999-2007 წლებში საქართველოში, საშუალო მოსახლიანობისა და პროდუქტიულობის მკვეთრ რყევებთან ერთად, ადგილი ჰქონდა მათი შემცირების ტენდენციას. თუ ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობის, ნადირობის, მეტყვეობისა და თევზჭერის წილი 1999 წ. შეადგენდა 24,7%-ს, 2007 წელს მან შეადგინა – 9,4% [საქართველოს სოფლის მეურნეობა 2007წ., სტატ. კრებული, სტატისტიკის დეპარტამენტი, თბ., 2008, გვ. 18].

მცირე და საშუალო ზომის შინამეურნეობებს არ აქვთ კრედიტის აღების შესაძლებლობა, რეგიონების უმეტეს ნაწილში განუვითარებელია ინფრასტრუქტურები, რომლებიც მოამარაგებს შინამეურნეობებს თესლებით, შხამ-ქიმიკატებით, სასუქებით და წარმოების სხვა საშუალებებით. ასევე განუვითარებელია სამსახურები, რომლებიც მათ კონსულტაციებს გაუწევენ ახალი აგროტექნოლოგიების დანერგვაში, ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებასა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გაზრდაში, სასაქონლო პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაში. უმრავლეს შემთხვევაში, შინამეურნეობების წვევებს აქვთ არასწორი ან არასრული ცოდნა აგროტექნიკურ და ზოოვეტერინალურ საკითხებზე, არ აქვთ სათანადო ინფორმაცია ახალ თესლებზე, პირუტყვის ჯიშებზე, ეფექტურ აგროტექნოლოგიებზე.

მცდარია მოსაზრება, რომ სოფლად უმუშევრობა ნაკლებადაა, ვიდრე ქალაქებში. შინა მეურნეობათა დიდი ნაწილის მცირემიწიანობა, მათში პირუტყვის მცირე რაოდენობა, სამუშაოთა შეზღუდული მასშტაბები მხოლოდ ოჯახის ასაკოვანი წევრების ნაწილის დასაქმების შესაძლებლობას იძლევა; ახალგაზრდობის უმეტესი ნაწილი ამ მეურნეობებში ნაწილობრივადაა დატვირთული ან ფაქტობრივად უმუშევარია.

აღწერის მონაცემებით, მეურნეობათა 82%-მა აჩვენა, რომ აწარმოებს ძირითადად საკუთარი მოხმარებისათვის და 18%-მდე კი – რომ აწარმოებს ძირითადად რეალიზაციისათვის. მცირე და საშუალო შინამეურნეობების (უპირატესად გლეხური მეურნეობანი) უმეტესი ნაწილი ორიენტირებულია თვითურუნველყოფაზე და, მთლიანობაში, მეტად დაბალი სასაქონლო წარმოების დონე ახასიათებს. 2004 წელს 3350 შინამეურნეობის შერჩევითი დაკვირვების მონაცემებით, სოფლის შინამეურნეობის საშუალო თვიურ შემოსავლებაში შემოსავლები სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან შეადგენდა 20%-ს [საქართველოს შინამეურნეობები 2003-2004, ეკონომიკურ-სტატისტიკური კრებული. სტატისტიკის დეპარტამენტი, თბ., 2005, გვ. 75-77].

სოფლის მოსახლეობის მთლიანი შემოსავლების დაბალი დონე, მათში ფულადი შემოსავლების დაბალი ხვედრითი წილი და ნატურალური შემოსავლების მაღალი ხვედრითი წილი განაპირობებს გლეხური მეურნეობების

წარმოების უნივერსალურობის აუცილებლობას და მნიშვნელოვანწილად პირადი მოხმარების ნატურალურ ხასიათს.

რეგიონებში ოჯახური მეურნეობის საშუალო ფართობების, ნაკვეთების საშუალო ფრაგმენტაციის და მათი ზომების არსებითი განსხვავებანი, ასევე წამყვანი სასაქონლო კულტურების წარმოების თავისებურებანი და მეცხოველეობის ორგანიზაციის რიგი სხვაობანი, განაპირობებს სასოფლო-სამეურნეო ადგილობრივი პირობების მაქსიმალურად გათვალისწინების საჭიროებას, მიწის არსებული რესურსების, წამყვანი კულტურების წარმოებისათვის ოპტიმალური ფართობების მიღწევისა და ტექნიკური საშუალებების ეფექტიანად გამოყენებისათვის, განსხვავებული რეგიონული აგრარული პოლიტიკის შემუშავების საჭიროებას, ცალკეულ რეგიონებში აგრარული პრობლემების სრულად გააზრებასა და მათი გადაწყვეტის ეფექტური გზების ძიებას.

მეურნეობის საშუალო ზომა წარმოდგენას გვიქმნის მის ეკონომიკურ პოტენციალზე, გვიჩვენებს მეურნეობათა განვითარების დონეს, ამასთან, მეურნეობათა სპეციალიზაცია, ფერმერულ მეურნეობებზე გარდაქმნა, როდესაც მთავარ ორიენტრად იქცევა სასაქონლო წარმოება, განაპირობებს მათ მიერ 1-2 კულტურის წარმოებაზე ან ერთი სახეობის პირუტყვის მოშენებაზე რესურსების მიმართვას, შედეგად, რიგ მეურნეობებში მოიმატებს სახნავი მიწები ან მრავალწლიანი ნარგავები, მსხვილფეხა ან წვრილფეხა საქონლის, ფრინველისა თუ სკების რაოდენობა. ამდენად, მეურნეობების საშუალო ზომების ცვლილებების სწორად შეფასებისას, ჩვენი აზრით, ყურადღება უნდა მიექცეს კულტურათა და პირუტყვის ოპტიმალური კონცენტრაციის მონაცემების სწორად განსაზღვრას.

შინამეურნეობათა პერსპექტივების განსაზღვრისას, მხედველობაშია მისაღები კოორდინირების მიღწევა მოსავლის აღებას, გადამუშავებასა და რეალიზაციას შორის. გადამამუშავებელი წარმოების რიგი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით, ნედლეულით მომარაგება, უნდა წარიმართოს წინასწარი საკონტრაქტო ურთიერთობებით, ტექნიკური კრედიტების მიცემით; მაგალითად, მსხვილ წისქვილს შეუძლია, დადებული ხელსეკრულებების საფუძველზე, მიაწოდოს შინამეურნეობებს გარკვეული ჯიშის ხორბლის თესლი, სასუქები, საწვავი და სხვ. და მოსავალი ჩაიბაროს გარანტირებული, შეთანხმებული ფასებით.

მცირე მეურნეობებთან კონტრაქტების გაფორმება უნდა ითვალისწინებდეს სასოფლო-სამეურნეო კულტურის წარმოების სპეციფიკას. ასე მაგალითად, ყურძნის გრძელვადიან საკონტრაქტო ურთიერთობებს, ვფიქრობთ, უნდა მიენიჭოს დიდი მნიშვნელობა. ღვინის მწარმოებელმა ქარხნებმა მცირე და საშუალო შინამეურნეობებთან უნდა გააფორმონ ხელშეკრულებები, მათთვის საჭირო ნედლეულის გარანტირებულ მოწოდებაზე. ამასთან ერთად, ხელი უნდა შეეწოოს შინამეურნეობათა კოოპერატივების, გაერთიანებების, ასოციაციების ჩამოყალიბებას, რომლებიც ორიენტირებულნი იქნებიან ამა თუ იმ კულტურისა თუ ნედლეულის მნიშვნელოვანი სასაქონლო პარტიების შეკრებასა და საკონტრაქტო მოთხოვნათა შესრულებაზე.

აგრარული სექტორის განვითარების ზოგად ტენდენციას წარმოადგენს წარმოების ოპტიმალური კონცენტრაცია, რომელიც ეფუძნება თანამედროვე მაღალმექანიზებული სოფლის მეურნეობის მოთხოვნებს. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მეურნეობათა საშუალო ზომების გადიდების ტენდენცია და მამულების კონსოლიდაცია მიმდინარეობს როგორც საბაზრო ძალების ზემოქმედებით, ისე სახელმწიფო პოლიტიკის გავლენით. სასოფლო შინამეურნეობების სახელმწიფოებრივი რეგულირების პოლიტიკის შემუშავებისას, ჩვენი აზრით, ყურადსაღებია რიგი ქვეყნების გამოცდილება მიწების განაწილების სახელმწიფო რეგულირებასთან დაკავშირებით. რიგი მიწის შეზღუდული რესურსების მქონე ქვეყნების (ამ მხრივ საყურადღებოა სკანდინავიის ქვეყნები) გამოცდილებათა გათვალისწინების საფუძველზე, ვფიქრობთ, სახელმწიფო პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს, ერთი მხრივ, შინამეურნეობათა საშუალო ზომის ოპტიმალურად გადიდებისაკენ, ხოლო მეორე მხრივ, იგი უნდა ზღუდავდეს ოპტიმალურ მეურნეობაზე უფრო დიდი მეურნეობების და, შესაბამისად, მსხვილი მიწათმფლობელობის წარმოქმნასა და ფუნქციონირებას.

საქართველოში, გამომდინარე არსებული ვითარებიდან და შინამეურნეობების მდგრადი განვითარების აუცილებლობიდან, საჭიროა მიწების გადანაწილების ისეთი პოლიტიკის განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს მეურნეობათა საშუალო ზომების გადიდებას 2-3 ჰა-მდე. ამავე დროს, ადგილობრივი მიწის რესურსებიდან გამომდინარე, რეგიონებისათვის დიფერენცირებულად უნდა განისაზღვროს მეურნეობების საშუალო, მაქსიმალური თუ მინიმალური ზომა, დადგინდეს იჯარით გასაცემი მიწის ზღვრული სიდიდე. აგრარული პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს მცირე და საშუალო შინამეურნეობების გაერთიანებისაკენ, გლეხური და ფერმერული კოოპერატივების, ასოციაციების შექმნისაკენ. ხელი უნდა შეუწყოს სოფლის მოსახლეობის საჭიროებების და მოთხოვნის შესწავლას, მარკეტინგული მომსახურების განვითარებას, სოფლად აქტიურად მოქმედი საკრედიტო კავშირების ორგანიზებას. ასევე აუცილებელია სოფლის პრობლემების დაძლევის კომპლექსური რეგიონული პროექტების შექმნა და მათი სახელმწიფო დაფინანსება.

სახელმწიფომ აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი შინამეურნეობებისათვის განკუთვნილი აგროტექნოლოგიების კვლევების განმახორციელებელი ინსტიტუტებისა თუ სამეცნიერო ცენტრების დაფინანსებას, რომელთაც რეგიონებსა თუ რაიონებში ექნებათ საცდელ-სადემონსტრაციო სადგურები, რომლებიც განახორციელებენ ჯიშთა გამოცდას, შერჩევასა და დარაიონებას, სასელექციო სამუშაოების ჩატარებას.

რეგიონებში უნდა განვითარდეს სასოფლო-სამეურნეო განათლების ქსელი, დაწყებული სასოფლო სკოლებიდან, სადაც მოსწავლე დაეუფლება რიგ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებს, შეიძენს სათანადო ცოდნასა და შრომით ჩვევებს; ასევე, უნდა ჩამოყალიბდეს და განვითარდეს სპეციალიზებული პროფესიული ტექნიკუმების და სპეციალიზებული სამეცნიერო და სასწავლო ინსტიტუტების სისტემა. საჭიროა კვალიფიციური აგრონომების, ვეტერინარების

და ზოტექნიკოსების მომზადება და გადამზადება. რომლებიც ორიენტირებული იქნებიან შინამეურნეობების დახმარებაზე, მცირე და საშუალო მეურნეობების საჭიროებებზე.

სოფლის მეურნეობის სამინისტრომ რეგიონებსა და რაიონულ ცენტრებში მაქსიმალურად უნდა განავითაროს საკონსულტაციო-საინფორმაციო ცენტრები, რომელთა საქმიანობამაც სრულად უნდა მოიცვას ქვეყნის სოფლები. ამავე დროს, სამინისტრომ ხელი უნდა შეუწყოს კერძო ინიციატივებს, საინფორმაციო-საკონსულტაციო კავშირების (ასოციაციების), ფერმერული და კოოპერატიული გაერთიანებების შექმნას და ფუნქციონირებას.

საჭიროა, ეტაპობრივად შეიქმნას და განვითარდეს სოფლების საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების და ტექნიკური მომსახურების რაიონული ცენტრები, რომლებიც იტვირთავენ მცირე, საშუალო და მსხვილი შინამეურნეობების ინფორმაციულ, საკონსულტაციო მომსახურებას, ხელს შეუწყობენ ახალი, გაუმჯობესებული ტექნოლოგიების გავრცელებას, დაეხმარებიან ფერმერებს ტექნიკის შეძენასა და რემონტის განხორციელებაში, ახალი ჯიშების და კულტურების დანერგვაში, წარმოების შიდა და გარე ბაზრებზე სწორ ორიენტაციაში, მარკეტინგულ კვლევებში.

უკანასკნელ წლებში ცალკეულ ბანკებს აქვთ მცდელობა, შექმნან საკრედიტო სისტემები სოფლის მეურნეობისათვის, მაგრამ, ფაქტობრივად, მცირე და საშუალო ზომის შინამეურნეობებს უჭირთ მაღალპროცენტიანი კრედიტის აღება, მათ არ გააჩნიათ ბანკში ჩასადები გირაო, არ არსებობს მათი საქმიანობის დამზღვევეი დაწესებულებები და, რეალურად, კრედიტის ვერ დაფარვისა თუ პროცენტის გადაუხდელობის რისკი ობიექტურად საკმაოდ მაღალია. დიდ სირთულეს ქმნის წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის პრობლემა. ყოველივე აღნიშნული მეტად აძნელებს შინამეურნეობების დაკრედიტების სისტემის განვითარებას.

სახელმწიფო პოლიტიკამ, ერთი მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს ეფექტიანი კულტურების და ჯიშების, ახალი ტექნოლოგიების დანერგვასა და გავრცელებას, შინამეურნეობათა მოსავლიანობის და პროდუქტიულობის გადიდებას, ხოლო მეორე მხრივ, მან უნდა ასტიმულიროს სხვადასხვაგვარი მწარმოებელი, მომმარაგებელი თუ გამსალბებელი შინამეურნეობების კოოპერატივების, გაერთიანებების წარმოქმნა და განვითარება. შინამეურნეობების ამგვარმა გაერთიანებამ მის წევრებს უნდა გაუადვილოს ერთობლივად კრედიტების აღებას, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და სასოფლო-სამეურნეო მასალების ერთობლივ შეძენა, ერთგვაროვანი ნედლეულის წარმოება და წარმოებული სასაქონლო პროდუქციის რეალიზაცია.

*გოდერძი ტყეშელაშვილი
ნინო დიდიშვილი*

ტრანსპორტის განვითარების ძირითადი მიმართულებები

საქართველოში

საქართველო ერთ-ერთი ცენტრალური სატრანზიტო სახელმწიფოა, აქედან გამომდინარე, საქართველოს ტრანსპორტი ემსახურება სატრანზიტო და ადგილობრივ გადაზიდვებს და მგზავრთა გადაყვანებს. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ეკონომიკა კრიზისშია და მშპ-ს მოცულობა 10-ჯერ და მეტადაა შემცირებული გასული საუკუნის 80-იანი წლების მანქანებლებთან შედარებით, ტრანსპორტი მაინც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკაში. ამასთან, იმავე პერიოდში სატრანსპორტო გადაზიდვები ნაკლებად შემცირდა, ვიდრე მშპ. ეს მანქანებელი კიდევ უფრო უკეთესი იქნებოდა, რომ ფუნქციონირებდეს აფხაზეთის ტერიტორიაზე გამავალი რკინიგზა და საავტომობილო მაგისტრალი, როგორც სატრანზიტო გზები.

ბოლო წლებში საქართველოს ტერიტორიის გავლით აშენდა საერთაშორისო მნიშვნელობის “ბაქო-ჯეიჰანის” და “ბაქო-ერზერუმის” მილსადენები, რომლებიც საკმაოდ მაღალი სიმძლავრეებით გამოირჩევა, მაგრამ არ არის სრულად დატვირთული და ქვეყნის ეკონომიკისათვის ჯერჯერობით მნიშვნელოვანი ეკონომიკური შედეგების მომტანი არ არის.

საფუძველი ჩაეყარა “ახალქალაქი-ყარსის” სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობას. მათ დაფინანსებაზე დასაველეთმა ინტერესი არ გამოამჟღავნა, ამიტომ მშენებლობა გადაწყდა საქართველოს და აზერბაიჯანის საკუთარი ძალებით. პროექტის დამფინანსებელი თითქმის მთლიანად აზერბაიჯანული მხარეა, რის სანაცვლოდაც მათ გადაეცემათ აშენებული რკინიგზა ექსკლუზიური ექსპლუატაციისათვის საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდით – 25 წლით. რკინიგზის აღნიშნული მარშრუტი გადის რთული რელიეფის პირობებში და ამდენად დანახარჯები მშენებლობაში მაღალია.

საქართველოში არსებული ტრანსპორტი სახეობებიდან მნიშვნელოვანი ზრდა იქნა მიღწეული სარკინიგზო გადაზიდვებში. ბოლო ათწლიან პერიოდში ზრდამ შეადგინა 472%. საავტომობილო გადაზიდვებზე – 309%. საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტზე კი პირიქით – სახეზეა სატრანსპორტო გადაზიდვათა მოცულობის კლება. თუ სატრანსპორტო გადაზიდვების მოცულობა საზღვაო ტრანსპორტზე იყო 561.8 ათასი ტონა 1996 წელს, 2006 წელს – მხოლოდ 40.4 ათასი ტონა ანუ ტვირთზიდვის მოცულობა შემცირდა 13.9-ჯერ. არა ასეთი მნიშვნელობით, მაგრამ მაინც შედარებით დიდია კლება საჰაერო ტრანსპორტზე. შესაბამის პერიოდში 3.5 ათასი ტონიდან ტვირთზიდვა შემცირდა 1.5 ათას ტონამდე, ანუ 2.3-ჯერ – 233%-ით.

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ტვირთზიდვა ამიერკავკასიის ქვეყნებში, როგორც თვით საქართველოში, ისე აზერბაიჯანსა და სომხეთში, უნდა ხორციელდებოდეს საქართველოს გავლით, ეს ძირითადად ასეცაა, მაგრამ სატრანსპორტო მომსახურებას ახორციელებენ უმეტესად უცხოური ფირმები და არა ქართული სატრანსპორტო ორგანიზაციები.

აღნიშნული გამოწვეულია, უპირველესად, ქართული საზღვაო-საოკეანო ტრანსპორტის უქონლობის გამო.

საბჭოთა კავშირის დაშლისას საქართველოს საზღვაო სანაოსნოს გააჩნდა 80-მდე გემი, მათი უმეტესობა სატვირთო იყო, არსებობდა სამგზავრო ლაინერებიც. ამ სიმდიდრიდან ნაწილი რუსეთმა მიითვისა, ხოლო დიდი ნაწილი სხვადასხვა მაქინაციების გამო გასხვისდა უცხოეთში. დღეისათვის მხოლოდ ხუთი ერთეული ტვირთშიდი ლაინერი დაცურავს საქართველოს დროშით და ისიც ინგლისური ფირმის მფლობელობაშია, რომელთაც ისინი გადაეცა დავალიანების სანაცვლოდ.

საჭიროა რკინიგზის ტრანსპორტის ორიენტირება შუა აზიის ქვეყნების ტვირთების გადაზიდვაზე. აქ ხელისშემშლელია, ერთი მხრივ, გზის მოუწესრიგებლობა – რკინიგზა თავისი ტექნიკური და საექსპლუატაციო თვისებებით ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ამასთან, ჩვენი რკინიგზა მოქმედებს ახერბაიჯანის რკინიგზასთან ერთად. ორივე რკინიგზა ხასიათდება გადაზიდვების მაღალი ტარიფებით, ვიდრე ანალოგიური შემოვლითი გზა რუსეთის გავლით, ამიტომ ტვირთების უმეტესი ნაწილი იქით მიემართება, როდესაც, სწორი და გამიზნული მენეჯმენტის შემთხვევაში, ტვირთების მოზიდვა და მათი საქართველოს რკინიგზით ტრანსპორტირება სავსებით შესაძლებელია.

საავტომობილო გადაზიდვები საქართველოს გავლით ხორციელდება თურქეთიდან და ევროპის ისეთი სახელმწიფოებიდან, როგორებიცაა ბულგარეთი, საბერძნეთი, რუმინეთი, გერმანია და ა.შ. ამ გადაზიდვებით თითქმის მთლიანად დაკავებულია უცხოური სატრანსპორტო-საექსპედიტორო ორგანიზაციები, ხოლო, რაც შეეხება ქართულ საექსპედიტორო ფირმებს, მათ შესაბამისი საავტომობილო პარკი არ გააჩნიათ და საერთოდ ვერ უწევენ კონკურენციას სხვა ფირმებს. ქართველი ექსპედიტორები უმეტესად ადგილობრივი – ქვეყნის შიგნით სატრანსპორტო გადაზიდვებითაა დაკავებული.

არასახარბიელო მდგომარეობაა საჰაერო ტრანსპორტის მხრივაც. თბილისი საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა უპირველეს სავაჭრო და ეკონომიკურ ქალაქს ამიერკავკასიაში. დღეს მას ასეთი მნიშვნელობა თითქმის დაკარგული აქვს. ამიტომ სამგზავრო გადაყვანების სიდიდე ბაქოს მიმართულებით გაცილებით მეტია, ვიდრე თბილისის საქართველოს ავიაკომპანიების თვითმფრინავების პარკი ძალზე სუსტია. ამასთან, არის ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებული სირთულეებიც, რაც საკმაოდ ამცირებს მგზავრ-ნაკადების მოცულობას საჰაერო ტრანსპორტით. აეროპორტის მომსახურების სიძვირის გამო თბილისის მიმართულებით ავიაბილეთები შედარებით ძვირად-ღირებულია, ვიდრე თუნდაც ბაქოს და ერევნის მიმართულებით, ესეც ამ ბაზარზე ერთ-ერთი ხელის შემშლელი ფაქტორია.

ტრანსპორტის გნვითარება და მისი წილის გაზრდა მშპ-ის მოცულობაში სავსებით შესაძლებელია და არსებობს კიდევაც გლობალურად ამის წინაპირობა თუ იქნება ხელშეწყობა ქართული სატრანსპორტო ორგანი-

ზაციებისადმი იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს მათი სატრანსპორტო პარკი, განვითარდეს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და გაუმჯობესდეს მენეჯმენტი. აღნიშნულის მხრივ არსებობს როგორც მაკროეკონომიკური, ისე მიკროეკონომიკური ხასიათის წინააღმდეგობები.

მაკროეკონომიკური პრობლემებიდან უმეტესად უნდა გამოვეყოთ საგადასახადო გარემო, ინფრასტრუქტურა (სატრანსპორტო და საბაზრო) და საფინანსო-საკრედიტო სისტემა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი ერთიანია ყველა მეურნე სუბიექტთან მიმართებაში და მხოლოდ სამი ძირითადი გადასახადი, ისეთები, როგორცაა დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ), საშემოსავლო და მოგების, იკავებს ფირმების საერთო შემოსავლების ნახევარზე მეტს, რომ არაფერი ვთქვათ სხვა სახის გადასახადებზე. ამდენად, იგი ვერ არის სამეურნეო აქტივობის სტიმულატორი და ხელს არ უწყობს ფირმების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. გარდა ამისა, კოდექსის დებულებები საერთოდ რთულად აღსაქმელია, არათანაბარ პირობებში აყენებს ფირმებსა და საგადასახადო ორგანოებს დაგების არსებობის შემთხვევაში და ამ მიმართებითაც გაუმჯობესებას საჭიროებს. საერთოდ აღიარებულია, რომ თუ გადასახადის მოცულობა აღემატება ფირმების შემოსავლების ნახევარს, მაშინ ის ეკონომიკური აქტივობის ხელისშემშლელად გვევლინება.

საბაზრო ინფრასტრუქტურა, მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკაში ძირითადი კერძო სამართლის იურიდიული პირებია, მაინც ვერ განვითარდა საკმაოდ. არსებული ოთხი სახის ბაზრიდან – სასაქონლო, ფასიანი ქაღალდების, სავალუტო და შრომითი – საქართველოში სრულყოფილად ფუნქციონირებს მხოლოდ ეროვნულ ბანკთან არსებული სავალუტო ბირჟა, ხოლო დანარჩენი სახეობის ბირჟები თითქმის უმოქმედოა.

სავალალო მდგომარეობაა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მხრივ, განსაკუთრებით ეს შეეხება საავტომობილო გზებს. საქართველოში დაახლოებით 20 ათასი კმ სიგრძის საავტომობილო გზაა, აქედან ცენტრალური მაგისტრალი მხოლოდ 600 კმ-დეა და ისიც დაბალი პარამეტრებით ხასიათდება, ტექნიკურად სრულად ვერ შეესაბამება დღევანდელ გაზრდილ მოთხოვნებს. მართალია მიმდინარეობს გზების მშენებლობა და რესტავრაცია, მაგრამ ტემპები აშკარად არააღმაკმაყოფილებელია.

ტრანსპორტის წინაშე მდგარი მიკრო და მაკროეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა მომავალში უზრუნველყოფს საქართველოს ტრანსპორტის დაჩქარებულ განვითარებას და სატრანსპორტო-საექსპედიტორო ფირმების კონკურენტუნარიანობის ამაღლებს, რაც მოსახლეობის დასაქმების მიმართულებითაც დადებით შედეგს გამოიღებს.

საქართველოში ტრანსპორტს მნიშვნელოვანი როლი აკისრია ქვეყნის წინაშე მდგარი ეკონომიკური და სოციალური ამოცანების გადაჭრის საქმეში, რასაც იგი სრულად ვერ პასუხობს ისეთი მაკროეკონომიკური პრობლემების გამო, როგორებიცაა: საგადასახადო სისტემა, საბაზრო და სატრანსპორტო

ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა და საბანკო-საკრედიტო სისტემის წინააღმდეგობები. მიკროეკონომიკური სფეროდან ძირითადია სატრანსპორტო პარკის მორალური და ფიზიკური ცვეთა, კადრების არასაკმარისი მომზადების დონე და მენეჯმენტის წარმართვის მოუწყესრიგებლობა.

თენგიზ ქავთარაძე

საბუნაღატო ადრიცხვის სრულყოფის ზოგიერთი საკითხი გლახურ (შემამრულ) მიურნეობებში

სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების („მწარმეობა საქართველოში“ 2008) საფუძველზე, სამეწარმეო სფეროს ძირითადი ეკონომიკური მანვენებლების შედარებითმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა 2003 წლიდან 2008 წლამდე 91 982 ერთეულიდან 207598 ერთეულამდე, ანუ 125,7%-ით გაიზარდა. მათ შორის – სოფლის მეურნეობის, ნადირობის და სატყეო მეურნეობის შესაბამისი საწარმოო ერთეულები 2453-დან 3030 ერთეულამდე, ანუ 23,5%-ით გაიზარდა. მათი რაოდენობა და ხვედრითი წილი რეგისტრირებულ საწარმოთა სტრუქტურაში 2008 წლის 1 იანვრის მონაცემებით შეადგენდა 240 ერთეულს, ანუ 1,5%.

2008 წლის დასაწყისისათვის სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობის იურიდიულ პირ საწარმოებში ზომის მიხედვით მსხვილ მეურნეობათა ხვედრი წილი შეადგენდა 12,3%, საშუალო მეურნეობების შესაბამისად – 23,5%, მცირე მეურნეობებისა კი – 64,2%. 2003 წლიდან 2008 წლამდე პროდუქციის გამოშვება (სუბსიდიების ჩათვლით) სოფლის მეურნეობაში, ნადირობასა და სატყეო მეურნეობაში გაიზარდა 18,7 მლნ ლარიდან 82,2 მლნ ლარამდე, ანუ 339,5%. 2007 წლის მონაცემებით, აღნიშნული უწყების მსხვილ მეურნეობებზე მოდიოდა გამოშვებული პროდუქციის 62,3%, საშუალო სიდიდის მეურნეობებზე შესაბამისად – 9,3%, მცირე ზომის მეურნეობებზე – 10,5%.

მეურნეობათა ზომა ნათელ წარმოდგენას გვიქმნის საწარმოთა ეკონომიკურ პოტენციალზე, გვიჩვენებს მეურნეობათა განვითარების დონეს. საწარმოთა მართვის ჩვევების დაუფლებასთან ერთად, გლეხებმა ყოველდღიურად უნდა გადაწყვიტონ ეკონომიკური, ფინანსური, საკრედიტო, საანგარიშსწორებო და სხვა კომპერციული საკითხები. ოპერატიულად და უშეცდომოდ ამის კეთება მხოლოდ მეურნეობის ეკონომიკის ობიექტური საადრიცხო მონაცემების საფუძველზე შეიძლება.

იურიდიულ პირ მსხვილ მეურნეობებში ადრიცხვას სპეციალური საადრიცხო სამსახურები აწარმოებენ. გლეხურ მეურნეობებში ამის გაკეთება კი თვითონ მეურნეს ან მისი ოჯახის წევრს უწევს. ამ პრობლემის შესწავლა აჩვენებს, რომ ის გლეხური მეურნეობა რომელსაც გამოცდილება და რეკომენდაციები არ აქვს, ადრიცხვას აწარმოებს უსისტემოდ, ძირითადად რეგულაბში ჩაწერით, რაც ხშირად არ იძლევა განზოგადებული დასკვნების გამოტანის საშუ-

ალებას. აღრიცხვის ორგანიზებაზე გავლენას ახდენს გლეხური (ფერმერული) მეურნეობის საქმიანობის თავისებურებები იმისდა მიხედვით, თუ როგორ არის შექმნილი ეს მეურნეობა:

- საკრებულოს მიწის ფონდის ბაზაზე;

- კოლექტიური მეურნეობებიდან თუ სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოდან მიწის და ძირითადი საშუალებების პაით, თუ – წამგებიანი და დაბალრენტაბელური მეურნეობების ბაზაზე.

ფერმერულ მეურნეობებში აღრიცხვა მხოლოდ თვითონ ფერმერის ინტერესებში შედის და მხოლოდ მისი სურვილით ხდება. იგი არაფრით არ არის რეგლამენტირებული. აღრიცხვა – ეს არის საკუთარი საქმიანობის შედეგების თვითკონტროლის საშუალება, მკაცრი საბაზრო ეკონომიკის პირობებში კონკურენტუნარიანობისათვის ბრძოლის იარაღი. სამეურნეო საქმიანობა გლეხურ მეურნეობებს და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს აიძულებს, რომ იცოდნენ და გაითვალისწინონ ძირითადი სახსრები, პროდუქცია და სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი, ანგარიშსწორება ჰქონდეთ კოლექტივის წევრებთან, სხვა მეურნეობებსა და კოოპერატივებთან, ორგანიზაციებსა და ცალკეულ პირებთან. ამ დროს აღრიცხვა ხდება საკუთარი საჭიროებიდან გამომდინარე და თვითონ ხელმძღვანელთა შეხედულებისამებრ. გამორიცხული არ არის, რომ, თუ ფერმერთა ხელმძღვანელობა მიზანშეწონილად ჩათვლის, აღრიცხვის ფუნქციები შეიძლება შეთანხმებით გადასცენ ასოციაციებს ანდა სხვადასხვა ორგანიზაციებს.

ამ შემთხვევაში გლეხურ მეურნეობაში, კოოპერატივში აღრიცხვას აწარმოებს მეურნეობის უფროსი ან რომელიმე წევრი, მან საჭირო გამოცდილება უნდა შეიძინოს. კონკრეტულად რომ ვთქვათ, ამისათვის აუცილებელია:

- პირველადი დოკუმენტების სწორად შედგენა სამეურნეო ოპერაციის (გარიგების) მომენტში;

- შესაბამის წიგნებში ყოველდღიურად და აკურატულად ჩაიწეროს დღის განმავლობაში მომხდარი სამეურნეო ოპერაციები (გარიგება);

- აუცილებლად შეფასდეს ამა თუ იმ სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური მიზანშეწონილობა და სარგებლიანობა, სანამ მის განხორციელებას შევეუდგებით;

სამეურნეო ოპერაციების გასაფორმებლად საჭიროა პირველადი დოკუმენტების შემდეგი ფორმები: საჩეკო წიგნაკი – ბანკში ფულის მისაღებად; განცხადება ანარიცხების ნაღდი ფულის შეტანაზე; საგადასახადო დავალება – ბანკში საანგარიშსწორებო ანგარიშიდან ფულის გადასარიცხად მომმარაგებელთან ანგარიშის გასასწორებლად; ლიმიტირებული ჩეკების წიგნი; საგადასახადო მოთხოვნა – მყიდველებთან ანგარიშის გასასწორებლად; ანგარიშ-ფაქტურა – სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ანგარიშის გასასწორებლად; განცხადება საბანკო ხესხის მიღებაზე; ვადიანი ვალდებულება; სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნაღები; ჩეკების წიგნი (ფორმა №249ბ) მომსახურებაზე შიდასამეურნეო ანგარიშსწორებისათვის; საანგარიშსწორებო-საგადასახადო უწყისი.

კრებსითი აღრიცხვის მოსაგვარებლად შეიძლება გამოვიყენოთ: ქონების აღრიცხვის წიგნი; სამეურნეო საშუალებათა აღრიცხვის წიგნი; ფულადი სახსრების და ანგარიშსწორების (ბანკის სესხის ჩათვლით) აღრიცხვის წიგნი; შემოსავალ-გასავლის წიგნი.

ეთერ ხარაიშვილი

ღვინის სექტორის განვითარების პერსპექტივაში საქართველოში

საქართველოში ეკონომიკური ზრდის მისაღწევად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება აგროსასურსათო სექტორის ადეკვატურ განვითარებას. ბოლო პერიოდში აგრარული პროდუქტების წარმოებამ დაადასტურა რეალური საექსპორტო პოტენციალის არსებობა. ამასთან, მაღალია აგროსასურსათო პროდუქტებით იმპორტჩანაცვლების პოტენციალიც. დღეს პროდუქტების პირველად წარმოებაში, ასევე გადამუშავებაში ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 15% იწარმოება, ხოლო სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია მოსახლეობის თითქმის ნახევარი⁸². ცხადია, დისბალანსი წარმოებასა და მოხმარებას შორის დიდია. ამის გამო მოსახლეობის კვების პროდუქტებზე მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად იმპორტზე სავალუტო რესურსების დიდი ნაწილი იხარჯება. 2008 წლის მონაცემებით, სურსათისა და სოფლის მეურნეობის იმპორტმა 942 მლნ დოლარი შეადგინა, მაშინ, როდესაც ექსპორტი მხოლოდ 250 მლნ დოლარი იყო. როგორც მონაცემებიდან ჩანს, იმპორტის მოცულობამ ექსპორტს 4-ჯერ გადააჭარბა.⁸³

ბოლო წლებში გამოიკვეთა მნიშვნელოვანი დამახასიათებელი ტენდენცია – საქართველოს საგარეო ვაჭრობაში იმპორტის დომინანტი პოზიცია და ექსპორტის შევიწროება ყოველწლიურად მკვეთრად გამოხატულ ხასიათს ატარებს. ასეთ გარემოში სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტი უნდა იყოს მოხმარებაზე უარყოფითი შოკის თავიდან აცილება. უცილებელია საშუალო და გრძელვადიან პერიოდებში ქვეყნის ეკონომიკის რეორიენტაცია მოხმარებიდან და იმპორტიდან დაზოგვასა და ექსპორტზე. ასეთი პოლიტიკის გატარებაში განსაკუთრებული როლი ტრადიციულმა და ქვეყნის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის მქონე დარგებმა უნდა შეასრულოს. კონკურენტუნარიანი პროდუქტების წარმოებით ქვეყანას შეუძლია დიდი მოცულობის სავალუტო რესურსების დაზოგვა და საერთაშორისო ბაზრებზე ადგილის დამკვიდრება.

⁸² საქართველოს ეკონომიკური საფრთხეებისა და მთავრობის კრიზისიდან დაცვის სტრატეგიის ანალიზი და რეკომენდაციები, ანგარიშები, ანალიზი, რეკომენდაციები, №16, თებერვალი, 2009, გვ. 22.

⁸³ იქვე, გვ. 8.

აგროსასურსათო სექტორის განვითარების პრიორიტეტები დარგობრივი და სასაქონლო ჯგუფების მიხედვით უნდა განისაზღვროს.

ეროვნულ ეკონომიკაში მევენახეობა-მეღვინეობის სექტორს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია და განვითარების კონკურენტული შესაძლებლობებიც გააჩნია. საქართველოში საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულია მევენახეობა-მეღვინეობის გაძლიერების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები, ასევე დაგროვილია უნიკალური გამოცდილება ვახის კულტურის გაშენებისა და ღვინის წარმოების მდიდარი ჩვევებით; ქართული მეღვინეობის განსაკუთრებული ნიშან-თვისებები ორიგინალური ჯიშობრივი შემადგენლობითაც არის განპირობებული. სტანდარტული ასორტიმენტი ძირითადად წარმოდგენილია ქართული აბორიგენული ჯიშებით: რქაწითელი, კახური მწვანე, გორული მწვანე, ხიხვი, ქისი, საფერავი, ჩინური, ალექსანდროული, ალადასტური, უსახელური, ცოლიკაური, ციცქა, კრახუნა, ოცხანური საფერე, ოჯალეში, ჩხავერი, კაჭიჭი, თაგვეერი, შავკაპიტო და სხვა.

მსოფლიოში ძირითადად მოთხოვნილება წითელ და ვარდისფერ ღვინოებზეა, საქართველოში კი ამ ღვინოების ხარისხი საკმაოდ მაღალია. საერთაშორისო ბაზრებზე წილის მოსაპოვებლად აუცილებელია ხელსაყრელი გარემოს შექმნა ფერმერებისათვის ყურძნის წითელი და ვარდისფერი ჯიშების საწარმოებლად, ძირითადად კაბერნეს, საფერავის და ოჯალეშის გასაშენებლად. მაღალხარისხოვანი წითელი ღვინოების წარმოებისათვის საკმაოდ ხელსაყრელი პირობებია კახეთის მხარეში. სავსებით შესაძლებელია ყვარელის, კატრეთისა და ახმეტის ზონებში ბორდოს მსგავსი ღვინოების წარმოება.

აგრარული სფეროდან მევენახეობა-მეღვინეობის სექტორი ყველაზე მეტად არის ორიენტირებული ბაზარზე. საქართველოს შეუძლია მსოფლიო ბაზარს მიაწოდოს მაღალხარისხოვანი სუფრის სამარკო და უნიკალური ნახევრადტკბილი ღვინოები. დიდი მოთხოვნილებაა ქართულ სამარკო შამპანურზე და კონიაკზეც. საშინაო და განსაკუთრებით საერთაშორისო ბაზრებზე ადგილის დასამკვიდრებლად უპირველესი მნიშვნელობა აქვს ღვინის პროდუქტების კონკურენტუნარიანობის შეფასებას.

კონკურენტუნარიანობის ანალიზისათვის გაანგარიშდა იქნა ექსპორტების შედარებითი უპირატესობის, იმპორტის შედარებითი შემოღწევადობისა და ვაჭრობის შედარებითი უპირატესობის ინდექსები, ასევე პორტერის კონკურენტუნარიანობის მოდელის შესაბამისად შეფასდა ეროვნული კონკურენტუნარიანობის 4 ძირითადი და 2 დამატებითი ფაქტორი.⁸⁴ კონკურენტუნარიანობის ანალიზის აპრობირებული მეთოდების გამოყენებით („ex-post” და „ex-ante” მეთოდები, პორტერის „ალმახის” მოდელი)⁸⁵ დადგინდა, რომ საქართველოს ღვინის სექტორი კონკურენტუნარიანია.

⁸⁴ ე. ხარაიშვილი, ფ. მამარდაშვილი, საქართველოს აგრარული პროდუქტების კონკურენტუნარიანობის შეფასება, ქ. „ეკონომიკა“, მაისი, 2009.

⁸⁵ Porter, 1993, გვ. 151. Weindlmeier, 1999 S. 3-4.

• ქართული ღვინის კონკურენტუნარიანობის ინდექსები⁸⁶

ღვინო	პროდუქტი	ინდექსები													
		1992	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005
ღვინო	RXA	26.4	28.2	11.1	17.6	8.8	30.5	58.2	46.5	49.6	48.3	50.9	38.3	34.5	47.4
	RMP	0.1	-	0.9	-	-	0.1	-	0.1	0.4	0.2	0.2	0.2	0.1	0.2
	RTA	26.3	-	10.2	-	-	30.4	-	46.4	49.2	48.1	50.7	38.1	34.4	47.2

მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, რომ ექსპორტის შედარებით უპირატესობის ინდექსი 2005 წელს 1992 წელთან შედარებით გაზრდილია, თითქმის იგივე დარჩა იმპორტის შედარებით შემოდწევადობის ინდექსი, ხოლო ვაჭრობის შედარებით უპირატესობის ინდექსები შესაბამის პერიოდში 26,3-დან 47,2-მდე გაიზარდა.

„ალმასის“ მოდელის მიხედვით, მევენახეობა-მეღვინეობის სექტორის განვითარების შემდეგი შემზღუდველი ფაქტორები გამოვლინდა:

მიწის სიმცირე. საშუალოდ ნაკვეთების ზომა 10 ჰექტარს შეადგენს, ფერმერები იშვიათად ფლობენ 100 ჰექტარიან ფართობებს.

სანერგე მასალის სიმწირე. განუვითარებელი სანერგე მეურნეობათა გამო ვერ ხერხდება საწარმოთა მოთხოვნების დაკმაყოფილება მაღალხარისხიან ნერგებზე.

⁸⁶ გაანგარიშებულია ავტორის მიერ FAO-ს მონაცემების საფუძველზე (<http://faostat.fao.org/default.aspx> 16.04.2009)

ჭარბი მიწოდება. ამჟამად ბაზარზე ყურძნის ჭარბი მიწოდებაა დაფიქსირებული. აღნიშნული ფაქტორი შემაფერხებელ როლს შეასრულებს ღვინის წარმოების სამომავლო ზრდაში.

ყურძნის ფასები. ამჟამად ფასები ყურძენზე საკამოდ დაბალია, რაც მეწარმეებისა და ინვესტორების სტიმულირებას ვერ ახდენს.

დაბალი ხარისხის ყურძნის ჯიშები. დღეს ნაკვეთების უმრავლესობა დაბალხარისხიანი ჯიშებით არის გაშენებული. ღვინის სექტორის განვითარების მნიშვნელოვანი ამოცანაა მაღალსტანდარტული ჯიშებით ნაკვეთების გაშენება.

ღვინის საწარმოთა მოქველებული აღჭურვილობა. ღვინის წარმოებისათვის საწარმოთა უმეტესობას შეუსაბამო აღჭურვილობა გააჩნია. ეს მოცულობათა მარკენდის მიხედვით ღვინის სექტორის განვითარების დამაბრკოლებელი ფაქტორია და ძვირადღირებული საქონლის ბაზრისათვის დაწესებული სტანდარტის მიღწევას უშლის ხელს.

ღვინის კონკურენტუნარიანობის მარკენებელთა ანალიზმა აჩვენა, რომ ქართულ ღვინოს შეუძლია ეროვნულ ეკონომიკაში თვითონ უზრუნველყოს საინვესტიციო რესურსების ფორმირება და საერთაშორისო ბაზრებზეც წარმატებით დაიმკვიდროს ადგილი.

ღვინის სექტორის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ახალ ბაზრებზე ბრენდის ცნობადობისა და რეპუტაციის გაზრდა, რაც მნიშვნელოვან კაპიტალს საჭიროებს.

ღვინის მწარმოებლებმა მაღალი ხარისხის და საშუალო ფასის ღვინოები უნდა აწარმოონ. მასტიმულირებელი სტრატეგიის შესამუშავებლად 5 მოსაზრება არსებობს: შეიცვალოს მწარმოებელზე ორიენტაცია მომხმარებელზე ორიენტაციით, ფოკუსირება მოხდეს რამდენიმე ბაზარზე, შეიზღუდოს გამოფენებში მონაწილეობა ღვინის ერთი ან ორი გამოფენით, დაიწყოს ქვეყნის შიგნით ღვინისძიებების ორგანიზება, დისტრიბუტორებისა და საბლოო მომხმარებლების მოზიდვა.

ქართული ღვინის სექტორის განვითარება ახალი საერთაშორისო ბაზრების ათვისებითა და ძველი ბაზრების რეორიენტაციითაც უნდა გამოიხატოს. ახალ ბაზრებზე შესვლის პროცესში აუცილებელია, ერთი მხრივ, პროდუქტის ფასი იყოს საკმარისად დაბალი მყიდველების მოსაზიდად, ხოლო, მეორე მხრივ, ფასი იყოს იმდენად მაღალი, რომ მომხმარებელმა ის დაბალხარისხიანი ღვინოებისაგან გამოარჩიოს.

ექსპერტთა გაანგარიშებით, ღვინის პროდუქტზე წარმოების დანახარჯი ერთ ბოთლზე საშუალოდ 14 აშშ დოლარს შეადგენს.⁸⁷ საცალო სავაჭრო ქსელში ქართული ღვინის 10-15 დოლარის ფარგლებში რეალიზაცია წარმოებას წაახალისებს და გაწვეულ ხარჯებსაც დაფარავს. ბაზრის განვითარების ამ

⁸⁷ ქართული ღვინის ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის პროექტების საკორდინაციო ცენტრი, თბილისი, 2009, გვ. 148.

ეტაპზე და რუსეთის ემბარგოს შედეგად გამოწვეული ვარდნის გამო, ქართული ღვინის სექტორის მიზანია მისი სავაჭრო ნიშნის ცნობადობა. საკმარისი მოცულობისა და ეფექტიანობის მიღწევის შემთხვევაში, სექტორი პროდუქტის დიფერენცირებაზე გადასვლას შეძლებს მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით.

ყოფილ, საბჭოთა კავშირის ბაზრებზე ქართული ღვინის რეალიზაციის შემაფერხებელი ფაქტორია მოსახლეობის შემოსავლების დაბალი დონე. მომხმარებელთა უმეტესობა ფასის მიმართ მგრძობიარეა. თუმცა, ამ ქვეყნების გეოგრაფიული სიახლოვის გამო, გაცილებით დაბალია ტრანსპორტირების დანახარჯები. საქართველოს შეუძლია, ამ ქვეყნებში დაბალხარჯიან ბაზრებზე შეღწევის პოლიტიკა განაგრძოს. მის პარალელურად თანმიმდევრულად უნდა მოხდეს ბაზრის სავაჭრო ნიშნის სახელის შექმნა საერთაშორისო არენაზეც. ქართულ ღვინოს უახლოეს მომავალში სხვა ბაზრებზე შესაძლევად ეკონომიკური ფასი და ადაპტირება ესაჭირობა.

მევენახეობა-მეღვინეობის სექტორში აუცილებელია საკრედიტო ბერკეტების ამოქმედება. ამ ბერკეტის გამოყენებით ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოები შეძლებენ ადგილობრივი წარმოების ნატურალური რესურსების მაქსიმალურად გამოყენებას, სამეურნეო გარიგებების სამართლებრივ მოწესრიგებას ყურძნის შესყიდვაზე, მარკეტინგული სამსახურის პრიორიტეტულად განვითარებას და სხვა.

კონკურენტუნარიანი ქართული ღვინის სექტორის განვითარება მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ამ სექტორში ინოვაციების შემოტანასა და დანერგვაში, ღვინის ხარისხისა და დიფერენციაციის გაუმჯობესებაში, მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაში.

კონფერენციის მონაწილეები

1. **აბუსაძი რამაზ** – სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, ემდ, პროფესორი
2. **ანანიავშილი იური** – თსუ სრული პროფესორი, ემდ

3. **არემაკი ნანული** – სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემკ
4. **ასათიანი როზიტა** – ემდ, პროფესორი
5. **ბარბაქაძე ხათუნა** – თსუ ასოცირებული პროფესორი
6. **ბახტაძე ლელა** – თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
7. **ბენაშვილი ციალა** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
8. **ბერიშვილი ხათუნა** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
9. **ბერუღავა ბიორგი** – სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემდ, პროფესორი
10. **ბიბილაშვილი ნანა** – სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემკ
11. **ბიბინაშვილი დავით** – სრული პროფესორი, ემკ
12. **ბოლქვაძე გუსიკ** – ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
13. **ბურღული ვახტანგ** – სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემდ
14. **ბამსახურობა თამარ** – თსუ ასოცირებული პროფესორი, ემდ
15. **ბეთია ვლადიმერ** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
16. **ბელაშვილი მაღონა** – სოხუმის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
17. **ბველესიანი მირაბ** – ემკ
18. **ბვენეტაძე ლილი** – თსუ ასოცირებული პროფესორი, ემკ
19. **ბითოლენდია ბორის** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
20. **ბოზაშა ვენერა** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
21. **ბოზიაშვილი შალვა** – თსუ ასოცირებული პროფესორი
22. **ბოზიჩაიშვილი ვაჟა** – თსუ ასოცირებული პროფესორი
23. **ბოგოზია მანია** – თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
24. **დავლაშვიტი ნატა** – სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
25. **დათუნაშვილი ლინა** – სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ემკ, დოცენტი
26. **დავლიშვილი ლია** – მაგისტრი
27. **დიდიშვილი ნინო** – სტუ-ს ეკონომიკის და მენეჯმენტის მიმართულების ასისტენტ-პროფესორი
28. **დიხაშინჯია ირმა** – სოხუმის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
29. **იშქიანიშვილი გულნაზ** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

30. **ეთეზია ემირ** – სოხუმის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
31. **ვეზაიძე შოთა** – „ევროპული უნივერსიტეტის“ რექტორი, ემდ, სრული პროფესორი
32. **ზუბიაშვილი მზია** – სტუ ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
33. **თოთლაძე ლია** – სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
34. **თორია მამუკა** – ემკ, დოცენტი
35. **კაკაშვილი ნატო** – თსუ ასოცირებული პროფესორი
36. **კაკულია ეთერ** – სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
37. **კაკულია ნახირა** – სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
38. **კაკულია რევაზ** – თსუ ასოცირებული პროფესორი
39. **კვარაცხელია ღმინა** – სოხუმის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ემკ
40. **კვარაცხელია მურმან** – სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ემდ, პროფესორი
41. **კიჭმარიშვილი ქეთევან** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
42. **კოპერიძე ეკატერინე** – თსუ დოქტორანტი
43. **კულიანი ინბა** – ასისტენტ-პროფესორი
44. **კურატაშვილი ალფრედ** – სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემდ, პროფესორი
45. **ლაზარაშვილი თეა** – სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემკ
46. **ლაშავა ნათია** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
47. **ლოგაშანიძე ვასილ** – თსუ პროფესორი
48. **მამაღაძე ირინა** – თსუ ასოცირებული პროფესორი
49. **მასურაშვილი სოსო** – თსუ ასოცირებული პროფესორი
50. **მელაშვილი მელა** – სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
51. **მესხია იაკობ** – ემდ, პროფესორი
52. **მეჩანოიშვილი ეკატერინე** – თსუ ასისტენტ-პროფესორი
53. **მიძიაშვილი ნინო** – თსუ ასოცირებული პროფესორი, ემკ
54. **მუჯიშვილი თეა** – თსუ ასისტენტ-პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
55. **ნათელაური იზა** – სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემკ
56. **ნაცვლიშვილი ია** – თსუ ასოცირებული პროფესორი
57. **ნოზაძე ზურაბ** – სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი

58. **პაპასკირი რუსუღან** – სოხუმის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი
59. **პაპავა ბიორბი** – სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი კონსულტანტი, ემდ, პროფესორი
60. **პაპავა ვლადიმერ** – სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ემდ, პროფესორი
61. **რევიშვილი ზურაბი** – სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
62. **სამადაშვილი უშანბი** – თსუ ასოცირებული პროფესორი, ემდ
63. **სარჩიშვილია როლანდ** – სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ემდ, პროფესორი
64. **სირბილაძე რუსუღან** – თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
65. **ტყეშელაშვილი გოღერიძი** – სტუ დეპარტამენტის უფროსი, სრული პროფესორი
66. **ზარმაშვილი ნინო** – თსუ ასისტენტ-პროფესორი
67. **ვუტარაძე რამაზ** – თსუ ასისტენტ-პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
68. **ქადაგიშვილი ლეილა** – თსუ ასისტენტ-პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
69. **ქავთარაძე თენგიზ** – სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
70. **ქათამაძე გულიკო** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
71. **ქათამაძე ღაზით** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
72. **ქამბაძე თამარ** – სტუ დოქტორანტი
73. **ქეშელაშვილი ბიული** – თსუ ასისტენტ-პროფესორი
74. **ქისტაური ნუნუ** – სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
75. **ქველაძე ქეთევან** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
76. **ღამბაშიძე თამარ** – თსუ ასოცირებული პროფესორი
77. **ღველაშვილი ნაირა** – თსუ ასოცირებული პროფესორი
78. **ღუდუშაური ლეილა** – თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
79. **შაპურიშვილი შოთა** – თსუ ასისტენტ-პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
80. **შათირიშვილი ჯამლეთ** – ემდ, პროფესორი
81. **ჩოხელი ეპატერიონე** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

82. **ჩხეიძე თინათინ** – სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, სმმდ, პროფესორი
83. **ციმინტია კახაბერ** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
84. **ცუცქერიძე მარიამ** – სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
85. **ჯანია მარია** – სოხუმის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
86. **ხაღური ნოდარ** – თსუ სრული პროფესორი
87. **ხარაიშვილი ეთერ** – ემდ, პროფესორი
88. **ხითარაიშვილი ნინო** – თსუ მაგისტრანტი
89. **ხიხაძე ლალი** – თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
90. **ხუსკივაძე მამუკა** – სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემკ
91. **ჯავახიშვილი რევაზ** – სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ემკ

ს ა რ ჩ ე ვ ი

პლენარული სხდომა

<i>რამაზ აბესაძე</i> სიღარბე და ეკონომიკური განვითარება	3
<i>იური ანანიაშვილი</i> ერთობლივი ბაზოზმებისა და ლაზერის მრუდების ოჯახის შმსახეზ	11
<i>როზეტა ასათიანი</i> ეკონომიკური ზრდა და საქარტველოს ეკონომიკური განვითარება	15
<i>შოთა ვეშაიძე</i> ილია ჰავჭავაძე ბლოგალიზაციისა და ეროვნული ღირებულებების შმსახეზ	19
<i>რევაზ კაკულია</i> წინანების მართვის პრობლემები თანამეღროვე მტაჰზე	24
<i>იაკობ მესხია</i> ანტიკრიზისული პროგრამის მაკროეკონომიკური ასევეტები	26
<i>გიორგი პაპაეა</i> ნორმალიზებული შერეული საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიის შველლების პრობლემის აქტუალობა	30
<i>ვლადიმერ პაპაეა</i> ბლოგალური წინანში კრიზისი და ეკონომიკის ზომბირების საწრთხე	34
<i>უშანგი სამადაშვილი</i> საშუალო კლასის წორმირების პრობლემები საქარტველოში	37
<i>ნოდარ ხადური</i> ღარის, როგორც ერთადერთი საბაღამხდულო საშუალების სტატუსის ბაუქმების შმსაქლო შველებეზ	43

ეკონომიკური თეორიის სექცია

<i>გიორგი ბერულავა</i> ეკონომიკური ტრანსწორმაციის პრობლემები და კრიოტიქეტები ბარღამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში	48
<i>ბესიკ ბოლქვაძე</i> საბიუწმეტო-საბაღასახალო და წუღაღ-საკრემდითო კოლიტიკის კოორღინაცია და ინწლაცია	50
<i>მერაბ გველეხიანი</i> ეკონომიკური კრიზისი: თეორია და რეალობა, პარაღიბა და	

პარადოქსები	55
<i>ლია დვალიშვილი</i>	
უმუშევრობა – აქტუალური პრობლემა ბარდამავალი ძველმეცნიერების <i>მამუკა თორია</i>	64
დასაქმების პოლიტიკა და შრომის ბაზრის რეგულირება ბარდამავალ პერიოდში	67
<i>ეთერი კაკულია</i>	
დასაქმების ღონის ზრდის რეგულირების მიქანიზმის თეორიული მოდელები	69
<i>ნაზირა კაკულია</i>	
ნეკროპონომიკური ფაქტორების მოდელების არსი	71
<i>მურმან კვარაცხელია</i>	
საქართველოს ეკონომიკის სისტემური კრიზისის საკითხისათვის <i>მამუკა ხუსკივაძე</i>	73
ეკონომიკურ-ეკოლოგიური სისტემის ფუნქციონირების ინსტიტუცი- ური უზრუნველყოფის ზოგიერთი ასპექტი	77
<i>Давлашеридзе Ната</i>	
ПУТИ РЕШЕНИЯ ПРОБЛЕМЫ БЕЗРАБОТИЦЫ В ТРУДАХ НОБЕЛЕВСКИХ ЛАУРЕАТОВ ПО ЭКОНОМИКЕ XXI ТЫСЯЧЕЛЕТИЯ	80
<i>Альфред Кураташвили</i>	
МИРОВОЙ ЭКОНОМИЧЕСКИЙ КРИЗИС И ПРОБЛЕМЫ ПОЛИТИЧЕСКОГО МЕНЕДЖМЕНТА	81

მაკროეკონომიკის სექცია

<i>ნანული არევაძე</i>	
შრომის ბაზარი და დასაქმების აღრიცხვის მეთოდები	84
<i>ნანა ბიბილაშვილი</i>	
უმუშევრობის დაკლვივის ღონისძიებები კონსტრუქციულ საქართველოში	85
<i>მადონა გელაშვილი</i>	
კერძო დანაზოგები და მაკროეკონომიკური სტაბილურობა	88
<i>შალვა გოგიაშვილი</i>	
ეკონომიკური პოლიტიკა და კონკურენცია	90
<i>დემნა კვარაცხელია</i>	
უმუშევრობის შემცირება და დასაქმების ღონის ამაღლება	94
<i>ქეთევან კიწმარიშვილი</i>	
„ახალი ეკონომიკა“ და საქართველოს ეკონომიკური განვითარების ღონე	97
<i>ინგა კულიანი</i>	
საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური სტატუსი	99
<i>კატერინე მეყანწიშვილი</i>	

ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ანალიზი მაკროეკონომიკური მოდელირების საფუძველზე	102
<i>ნინო მიქიაშვილი</i>	
ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ზოგიერთი ასპექტი	104
<i>როლანდ სარჩიშელია</i>	
დასაქმების მაქსიმიზაცია და უმუშევრობის მინიმიზაცია საქართველოს ვაჭრად ეკონომიკურ განვითარებასთან შესაბამისობაში	106
<i>რუსუდან სირბილაძე</i>	
საქართველოს ეკონომიკის განვითარების პრობლემები	108
<i>გოდერძი ტყეშელაშვილი</i>	
საქართველოს მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევის გზები	110
<i>გოდერძი ტყეშელაშვილი, ქეთევან კიწმარიშვილი</i>	
საქართველოს ეკონომიკური განვითარების დონე და ინოვაციების დანერგვის პერსპექტივა	113
<i>ნუნუ ქისტაური, მედეა მელაშვილი</i>	
აუდიტის სახელმწიფო რეგულირების პრობლემები საქართველოში	115
<i>თინათინ ჩხეიძე, ქეთევან ქველაძე</i>	
გუნებრივ-რესურსული კოტენციის ოპტიმალურად გამოყენების ზოგიერთი საკითხი საქართველოში	119
<i>მარინა ცუცქერიძე</i>	
ბიზნესბარემო და უმუშევრობაზე მისი გავლენის საკითხისათვის	121
<i>მაია ჭანია</i>	
საბადასახდელო ბალანსის რეგულირებები და ხარისხობრივი მახასიათებლები	122

სამართაშორისო ეკონომიკის სექცია

<i>ბორის ვითოლენდია</i>	
საავტომობილო-სატრანზიტო გადაზიდვების მოცულობის ზრდის შემსაძლავლები საქართველოში	128
<i>ემირ ეთერია</i>	
ეკონომიკური გლობალიზაციის თეორიული ასპექტები	131
<i>გულნაზ ერქომაიშვილი</i>	
საქართველოს მქსკორტ-იმპორტის განვითარების ტენდენციები	136
<i>იზა ნათელაური</i>	
საქართველოს სამართაშორისო კონკურენტუნარიანობა (მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის შეფასება)	139
<i>თამარ ლამბაშიძე</i>	
მრავალეროვნული კომპანიების საქმიანობის თანამედროვე ასპექტები	141
<i>კახაბერ ციმიჩია</i>	
გლობალიზაციის ზეგავლენა ეკონომიკის სახელმწიფოებრივ რეგუ-	

ლირებაზე	144
<i>რევაზ ჯავახიშვილი</i>	
ცენტრალური კავკასიის ძველების საბარეო-სავაჭრო ურთიერთობები	149

წინანების სექცია

<i>ლელა ბახტაძე</i>	
საბადასახადო ტვირთის ბანაწილების ოპტიმიზაციის საკითხები	152
<i>ციკლა ბენაშვილი</i>	
წინანში აღრიცხვა და ინფორმაციის მოძრაობა სააღრიცხვო სისტემაში	155
<i>დავით ბიძინაშვილი</i>	
აუდიტის განმარტოვებელი სუბიექტების კანონმდებლობა აუდიტორული მომსახურებით მოსარგებლემ ეკონომიკური სუბიექტის წინაშე	156
<i>თამარ გამსახურდია</i>	
წინანში კრიზისი და საბანკო ბიზნესის სრულყოფის მიმართულებანი	161
<i>ლილი გვენეტაძე</i>	
წინანში შუამავლები და მათი განვითარების ზოგიერთი ტენდენცია საქართველოში	165
<i>მაია გოგობია</i>	
ფულად ურთიერთობათა ზოგიერთი აქტუალური ასპექტი	167
<i>ლია თოთლაძე</i>	
ინფლაციის ეკონომეტრიკული მოდელირების ზოგიერთი ასპექტის შესახებ	171
<i>ნატო კაკაშვილი</i>	
საბანკო სისტემა და ფულის მიმოქცევა	173
<i>თეა ლაზარაშვილი</i>	
ანტიინფლაციურ ღონისძიებათა სისტემა და მისი ფუნქციონირების ეფექტიანობა საქართველოში	176
<i>ნათია ლეჟავა</i>	
ეროვნული საფულავო ბაზრის ჩამოყალიბების თავისებურებები და ქონების დაზღვევის არსებული მდგომარეობა საქართველოში	179
<i>თეა მუნჯიშვილი</i>	
საკრედიტო რისკის შეფასების ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი	183
<i>ჯამლეტ შათირიშვილი, ნინო ხითარიშვილი</i>	
საბანკო ეკონომიკა და ნოვაციური საბანკო პროდუქტები ქართულ საბანკო სისტემაში	186

მენეჯმენტის და მარკეტინგის სექცია

<i>ვენერა გოგავა</i>	
აქტივებისა და პასივების მართვა საბანკო მენეჯმენტში	192
<i>ირმა დიხაშინჯია</i>	
მარკეტინგული სტრატეგიების ფორმირება ანტიკრიზისულ მართვაში და მათი კლასიფიკაცია	198
<i>მზია ზუბიაშვილი</i>	
სარკინიგზო მენეჯმენტის ახალი ტექნოლოგიის თავისებურებანი	201
<i>ნატო კაკაშვილი</i>	
საბანკო მენეჯმენტის მიზნების ფორმირება	205
<i>ეკატერინე კობერიძე</i>	
საფინანსო ორგანიზაციის მართვის ინფორმაციზაციის აუცილებლობა	207
<i>დავით ქათამაძე</i>	
ბიზნესრისკების მართვის შესაძლებლობები საქართველოში	209
<i>თამარ ქამბაძე</i>	
სატრანსპორტო ფორმების მენეჯმენტის სრულყოფის მიმართულებები საქართველოში	213
<i>ნინო ფარესაშვილი</i>	
ორგანიზაციული ძველის ზოგიერთი ასექტი	215
<i>ნაირა ღვედაშვილი</i>	
შრომის მოტივაცია სოციალურ-კულტურული სფეროსისა და ტურიზმის სფეროში	220
<i>ლელია ღუდუშაური</i>	
დემოკრატის მართვის პრობლემები საქართველოს კომერციულ ბანკებში	222

ბიზნესის პრობლემების სექცია

<i>ხათუნა ბარბაქაძე, ირინე მამალაძე</i>	
კორპორაციის საინვესტიციო პოლიტიკის ევოლუცია გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში	226
<i>ხათუნა ბერიშვილი</i>	
მცირე ბიზნესის განვითარების მასშტაბები საზღვარგარეთ და საქართველოში	230
<i>ელადიმერ გეთია</i>	
ეფექტიანობის პრობლემა საქართველოს სამეწარმეო ბიზნესში და მისი დაძვების გზები	236
<i>ვასილ ლობჯანიძე</i>	
შრომის ბაზონასწორებული მდგომარეობა	239
<i>სოსო მახურაშვილი</i>	

ტურისტული ბიზნესის პერსპექტივები საქართველოში	243
<i>ია ნაცვლიშვილი</i>	
ბიზნესბანათლებების პრიორიტეტები საქართველოში გლობალიზაციის პირობებში	244
<i>რამაზ ფუტყარაძე</i>	
ევროკავშირი სამართაშორისო ბიზნესში	251
<i>ლელია ქადაგიშვილი, შოთა შაბურიშვილი</i>	
ბიზნეს-ანგელოზთა თანაგმრომლობის ფორმები	256
<i>გულიკო ქათამაძე</i>	
ინვესტიციების როლი სამაგვლო წარმოების განვითარებაში	262
<i>გიული ქეშელაშვილი</i>	
ინვესტიციების შეფასების მეთოდები	264
<i>ნუნუ ქისტაური, მედეა მელაშვილი</i>	
ინოვაციური პოლიტიკის ძირითადი პრობლემები თანამედროვე ეტაპზე	269
<i>ეკა ჩოხელი</i>	
ბიზნესში სტრატეგიული დაგეგმვის მნიშვნელობა	271
<i>ლალი ხიხაძე</i>	
აშთსორსინების არსი, როლი და მნიშვნელობა სამართაშორისო ბიზნესის განვითარებაში	273

სექტორული ეკონომიკის სექცია

<i>ვახტანგ ბურდული</i>	
დასაქმების ზრდის რეალიზაციის რეგიონული ფაქტორების ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფა მსოფლიოს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით	277
<i>ვაჟა გოგიჩაიშვილი</i>	
ელექტრონული კომერცია	283
<i>ლინა დათუნაშვილი</i>	
დასაქმების პრობლემის ზოგიერთი ასპექტი სოფლად	285
<i>ზურაბ ნოზაძე</i>	
გარემოს დაცვის გაუმჯობესების ზოგიერთი საკითხი საბაზრო შრომითობის პირობებში	287
<i>რუსუდან პაპასკირი</i>	
თავისუფალი ეკონომიკური ზონის განვითარების პერსპექტივები საქართველოში	290
<i>ზურაბ რევიშვილი</i>	
სასოფლო შინამშენებლების პრობლემები და აბრარული პოლიტიკის აქტუალური საკითხები საქართველოში	291
<i>გოდერძი ტყეშელაშვილი, ნინო დიდიშვილი</i>	

ტრანსპორტის განვითარების ძირითადი მიმართულებები საქართველოში	297
<i>თენგიზ ქავთარაძე</i>	
საბუღალტრო აღრიცხვის სრულყოფის ზოგიერთი საკითხი გლახურ (ფერმერულ) მიწის ნაკვეთებში	300
<i>ეთერ ხარაიშვილი</i>	
ღვინის სექტორის განვითარების პერსპექტივები საქართველოში	302
კონფერენციის მონაწილეები	307
სარჩევნი	311

დაიბეჭდა სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით

გამომცემლობის რედაქტორი სესილი ხანჯალაძე

გადაეცა წარმოებას – 2009.

ქალაქის ზომა –

პირობითი ნაბეჭდი თაბახი –

სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი –

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

თბილისი, გ. ქიქოძის № 14

36 94 77, 93 22 60, 99 68 53

ელ-ფოსტა: economisti1@rambler.ru
